ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

12

1988

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 64-ე | № 12 | დეკემბერი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

# შინაარსი

## პროზა, პოეზია

მიხეილ ჯავახიშვილი — დამდნარი ჯაჭვი. მოთხრობა . . . 3
ბესიკ ხარანაული — აგონიური. ფრაგმენტები პოემიდან . . . 33
ზურაბ სამადაშვილი — ივლისი მესამედ. მოთხრობა . . . 51
ნოდარ ჯალაღონია — ლექსები . . . 102
ჯაბა ასათიანი — ლექსები . . . 104
იმედი ჯახუა — ლექსები . . . 107
ზურაბ ლობჟანიძე — ლექსები . . . 109
ალექსანდრე გაბური — ლექსები . . . 111
ირინე ტალიაშვილი — მოთხრობები . . . 113
დანიილ გრანინი — ჯერ კვალი არ გამქრალა. მოთხრობა. დასასრული. თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა . . . 119

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ლოვარდ ტუხაშვილი — „ვერ დამადუმონ!..“ . . . 143
ლია არჩვაძე — საკუთარი გზის ძიება . . . 150
ალექსანდრე მუჯირი — გიორგი დეკანოზიშვილი . . . 158

## მოგონებები, ფაქტები

კიტა ჩხენკელის წერილები — წინასიტყვაობა რუსუდან დაუშვილის . . . 169

---

ჟურნალ „მნათობის“ 1988 წლის წლიური სარჩევი . . . 173

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი

# დამდნარი ჯაჭვი

მოთხრობა

„დამდნარი ჯაჭვი"ს ავტოგრაფი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის პირად არქივში ინახება, ფანქრით არის დაწერილი და შემდეგი ავტორისეული ნარწერა აქვს დართული: „დეკემბერი — 1925 წ. იანვარი — 1926 წ. დავუბრუნდი 7/V—1926 წ."
ნაწარმოები დასაბეჭდად მოამზადა მწერლის შვილიშვილმა რ ა მ ა ზ  შ ი შ ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა, რომელმაც პუბლიკაციის ჰონორარი გადარიცხა რეპრესიის უდანაშაულო მსხვერპლთა მემორიალის ასაგებ ფონდში.

1

წითელი დირექტორი აპოლონ რაპოლიძე თავის კაბინეტში დადის და მემანქანე ქალის ზურგს ისე უკარნახებს, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო:

— ხოლო ცუდ მოსავალს მოსდევს... არა, მოსდევს კი არა, უნდა მოჰყვეს გლეხის გაღარიბება... მძიმე დაუსვით. გაღარიბება. საკლავი საქონლის გაიაფება. დარღვევა და...

საწერმა მანქანამ ჩხაკუნი და ხრიალი შესწყვიტა, ხოლო მარინემ დუმილის შემდეგ ჩურჩულით ჰკითხა მანქანაზე გაკრულ ქაღალდს, რომელზედაც იის ფერი ასოები დაგეშილ მოვარჯიშეებივით ჩამწკრივებულიყვნენ:

— დარღვევა და...?

წითელი დირექტორი ქალის ზურგთან შესდგა. მერმე თავისი განიერი მკერდით მარინეს შიშველ ბეჭებს გადაეფარა და სთქვა:

— აბა, მაჩვენეთ, რა დავწერეთ.

— საქონლის გაიაფება, დარღვევა და...—იმეორებს დაბეჭდილის უკანასკნელ სიტყვებს მარინე.

აპოლონ რაპოლიძის წვერი, — შავი, გრძელი, ხშირი და ლბილი წვერი მარინეს ტიტველ კანს აჩეჩილ ხავერდის ბეწვივით ულიტინებს, ხოლო მისი თბილი სუნთქვა კისერსა და ლოყას თბილი ნიავივით ელამუნება. ეს სუნთქვა, მამაკაცის იდუმალი სუნით გაჟღენთილი, თვრამეტი წლის ქალს ბანგივით ათბობს, ტანში საამური რეტივით უვლის და დაუდუღარ სისხლს განუცდელი ჟრჟოლით უბიბინებს.

— საქონლის გაიაფება და დარღვევა? რის დარღვევა? — ეკითხება დირექტორი.

მანქანის გაკრიალებულ ფიცარში, როგორც სარკეში მარინეს მსხვილმა კბილებმა გაიელვეს. მისი ღიმილი უმალვე ჩაჰქრა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სასულეში ნერწყვი გაუშრა.

— მიშველეთ, მარინე. — აღერადი ხმით ეჩურჩულება აპოლონი და წვერის ბოლოს ყურის ძირში უცაცუნებს. — აბა, აამუშავეთ ეგ პატარა თავი. როგორ დავწეროთ?

— არ ვიცი. — ძლივს იპოვნა ორი დამბალი სიტყვა მარინემ და ალანძული თავი მარცხნივ წაიღო. დირექტორის წვერის უცნაური ღიტინიც და ადუღებული სუნთქვაც თან მიჰყვნენ იმის ბეჭს, კისერსა და ყურის ძირს.

საქ. სსრ კ. მა
სახ. სახ. რეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ მარინე?

— ჰო... მაგრამ — ამოიოხრა გაბრუებულმა ქალმა.

— თუ ეგრეა...

ვერც აპოლონმა დაამთავრა. უფრო გადაიხარა და თავისი ბუმბულიანი ყბა ქალის ცხელ ლოყას მიაკრა. მარინემ გაიწია. მაგრამ იმავ წამს მარცხენა იღლიის ქვეშ აპოლონის მძლავრი მკლავი გამოედო, ხოლო შიშველ ბეჭებზე ჯუბაჩის ცივი ტყავი გადაეფარა. მარინე აპოლონის მაჯას დასწვდა და ერთხელ კიდევ გაიწია.

— დაიცა, მარინე... დამაცა.

და ქალის მარჯვენა მაჯა ჩაბღუჯა.

წამოწეულმა მარინემ ერთხელ კიდევ შეიფართხალა დაჭერილ თევზივით, მაგრამ უმალვე სკამზე დაეშვა და გაინაბა. მხოლოდ თავის მარცხენა ხელს მაგრად უჭერდა მარცხენა იღლიის ქვეშ გაყრილს აპოლონის მაჯას და ციებცხელებიან ქათამივით ცახცახებდა. აპოლონმა მეორე ხელით მარჯვენა მკლავი დაუმაგრა და შეჰბოჭა.

ერთ წუთს ორივემ სიტყვა ველარ იპოვნეს. ისე გახევდნენ და გატვრინდნენ, თითქოს ურთიერთ შეჰკრეს და დააპატიმრესო.

— მარინე... ყური დამიგდე.

— გამიშვით. — ნელი კვნესით ამოიკვნესა მარინემ, მაგრამ აღარ გაიწია.

— მარინე... ჩემო მარინე! — ათრთოლებული ხმით აბუტბუტდა დირექტორი. — ყური დამიგდე, ქალო. სათქმელი მაქვს... ბევრი მაქვს სათქმელი. — და წუთიერი დუმილის შემდეგ შეკრულ ყელიდან ხრიალით ძლივს ამოიგდო ერთი სიტყვა: — მიყვარხარ.

და ისევ დადუმდა. მისი ნელი თრთოლა შავი ტყავიდან მარინეს ზურგზე გადადიოდა და აფორიაქებულ სისხლს ცხელი ორთქლივით უქლენთავდა.

— ბევრი სათქმელი მაქვს, ბევრი... მიყვარხარ... მიყვარხარ. ...— ერთხელ კიდევ ჩასჩურჩულა ყურში და „ბევრი სათქმელი" ამ ერთი სიტყვით ამოსწურა.

მაგრამ ეს ერთი სიტყვა იყო ცხელი. გალხობილი და გულის ჯურღმულიდან მომავალი. სხვა დროს მარინე არ დაიჯერებდა: მკაცრი. ცივი. გულმაგარი და მიუკარებელი აპოლონ რაპოლიძე ყინულის პირიდან ამ ცეცხლიან სიტყვას ვერ ამოუშვებდა. ეს ერთი სიტყვა ისე არ მიუდგებოდა იმის უძრავსა და ბრინჯაოს პირისახეს, როგორც გაცვეთილი და გახუნებული მაუდის ნაჭერი, რომელსაც ლითონისგან ჩამოსხმულ გრუზა თავზე ქუდის მაგივრად ატარებდა. ხოლო ეხლა ეს ერთი სიტყვაც — დამდნარი ლითონივით ამონახეთქი, ნაკვერცხალივით ცხარე და წმინდა ფოლადივით აელვარებული, — ისე უხდებოდა გოლიათ აპოლონ რაპოლიძეს, როგორც ასსურული წვერი, მოკლედ შეკრეჭილი ხშირი ულვაშები, რკინალეჭია კბილები, კაკლის ოდენა ნახშიროვანი თვალები და მარგილის მსგავსი მკლავები, სადაც მოსამსახურე ქალი ისე იყო განაბული, როგორც არწივის კლანჭებში გაბმული ხოხობი.

ბოლოს, ენადაბმულმა დირექტორმა ძლივს იპოვა სიტყვები. და ამ სიტყვებს ისე ისროდა, როგორც გახურებულ რვალის ნაჭრებს:

— ყური მიგდე, მარინე... ორმოცი წლისა შევსრულდი... მაგრამ აქამდე არავინ მყვარებია.

მარინეს კბილებმა ერთხელ კიდევ გაიელვეს მანქანის შავ სარკეში.

— არა გჯერა? გაძლევ პატიოსან სიტყვას... რომ ...ერთხელ, ოცი წლის წინათ... მხოლოდ ერთხელ დამემართა, რაც ეხლა მემართება... მას აქეთ ამისთანა რამ აღარ მიგრძვნია.

მარინეს პირსახეზე, შუბლით ნიკაპამდე და ყურით ყურამდე ოდნავმა ეჭვიანმა ღიმილმა გადაურბინა:

— ერთხელ? მართლა?

— ჰო, ჩემო მარინე, ჰო! მხოლოდ ერთხელ... მას აქეთ არავინ მომწონებია... ჩემი გული არავისთვის მიმიცია.

გესმის?!... არავისთვის მეთქი! არავისთვის!

კვლავ გაყუჩდა. მერმე დაუმატა:

— მითხარი რამე... სთქვი რამე.

მარინემ წამოიწია, მობრუნდა და მაღალი ტანით აპოლონს თითქმის გაუტოლდა. სდგას შუბლაკრული, ულიმო ქალი და გაბრწყინებულის, ყავის ფერი თვალებით კაკლის ოდენა მაყვალა თვალებში აშტერდება.

— ეგრე რად მიყურებ, მარინე?

პასუხად გრძელი თითები ტყავის გადმოკეცილ საყელოში ჩასჭიდა, ავარვარებული თავი ჩაჰკიდა და წაიბუტბუტა:

— მჯერა.

ოთხი მკლავი, ორი მკერდი და ორი პირისახე ისე ჩაეხლართნენ და მიეკვრნენ ერთმანეთს, თითქო ერთ სხეულად უნდა გადამდნარიყვნენო.

იმავ წუთს აპოლონის აზრმა, სისხლმა და თვალმა ოცი წლის მანძილი მოსპეს და დღევანდელი და მაშინდელი ერთმანეთს შეადუღეს.

* * *

ერთი თვე ძლივს იქნება, რაც აპოლონ რაპოლიძემ მარინე შოფურიძე სამსახურში მიიღო. პირველად რომ შეხედა მთხოვნელის სუფთა და გაშლილ პირისახეს, აშოლტილ ტანს, დიდრონ კბილებს, ყავის ფერ თვალებს და მუდამ ოდნავ გახსნილ ტუჩებს, თვალები მილულა და შეტორტმანებული გული ძლივს შეაყენა. სადღაც ჯურღმულში ჩაფლულ ვინმეს უცებ ავლი აეყარა და მივიწყებული დედაკაცი, ანაზდად გაცოცხლებული, თვალწინ აეჰიმა. უცნაურმა ძალამ გაჰკრა და გაჰკაწრა. მაგრამ წითელმა დირექტორმა დაგეშილი ნებისყოფით უნებურად გაქელილ მოგონებას მაშინვე ისევ წააყარა დავიწყების ფერფლი და ოდნავ მოღიმარე ქალს ისე უთხრა, თითქო კედელს ეუბნებოდა:

— კარგი. ხვალინდელ დღიდან დაიწყეთ მუშაობა.

ქალი გავიდა, ხოლო დირექტორის თვალები მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოსწყდნენ იმ კაბას, რომელმაც ჩაჰყლაპა მარინეს პატარა ფეხები, მაღალი ქვედატანი, სავსე ზურგი, თეთრი კისერი და წაბლის ფერი ლიდი ბულული.

სანამ დღიური მუშაობა გათავდებოდა, დირექტორი და მემანქანე ერთმანეთს ერთხელ-ორჯერ ძლივს მოჰკრავდნენ თვალს. მაგრამ მესამე დღიდანვე რაპოლიძის მდივანი თითქმის ყოველ დღე ეტყოდა ხოლმე მარინეს:

— დარჩით. დირექტორს მოხსენება აქვს დასაწერი.

ან კიდევ:

— საღამოზე მოდით. სამუშაო გვაქვს.

დარაჯი საწერ მანქანას დირექტორის კაბინეტში გადაიტანდა. მარინეც მანქანას მიუჯდებოდა და კარნახს ელოდებოდა. მაღალი, სრული და შავგვრემანი დირექტორი დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული და მარცხენა ხელით წვერს იწიწკნიდა. მერე იტყოდა.

— აბა, დავიწყოთ.

და კარნახს დაიწყებდა. მოხსენების მაგიერ უბრალო წერილები იწერებოდა. მარინეს ჯერ არ ესმოდა: რად აძლევდა რაპოლიძე ასეთ მიწერ-მოწერას საიდუმლო ხასიათს, რად ჰკარგავდა თვითონაც ზედმეტ დროს და დამშეულ მარინესაც რად აკარგვინებდა სადილობის დროს. მერე კი მიაგნო და იგრძნო.

დირექტორი კარნახის დროს მემანქანე ქალს წინ დაუჯდებოდა და გრძელი წამწამებით დაბინდულ თვალებს მარინეს სავსე პირისახეს ისე ჩააბეჭდავდა ხოლმე, თითქო იმ პირისახის იქით კიდევ ვილაცას ხედავდა და ერთი თვალით იმ უჩინარს შესცქეროდა და ნახევარი გულით იმ უხილავზე იყო მიკერებული. ზოგჯერ აზრი გაუწყდებოდა და კარნახში ორიოდე მოკლე კითხვას ჩაურთავდა:

— მაშ თქვენ მარინე გქვიანთ, არა?

— დიაღ.

— მარინე შოფურიძე?

— დიაღ.

— შოფურიძე... შოფურიძე... რადაც

მახსოვს... მაგონდება... სადღაც გამიგია. მაგრამ..

შუბლს ისრესავდა, ქერს შესცქეროდა, იგონებდა და დაკარგულ ვინაობას ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

მარინე გრძნობდა, რომ აპოლონი იმისგან დახმარებას და დავიწყებულის გახსენებას ელოდებოდა, მაგრამ სდუმდა და თავის გვარეულობაზე არაფერს ამბობდა. მხოლოდ ერთხელ სთქვა:

— შოფურიძეები ბევრნი არიან. თქვენ ბაქოში ხომ არ გიცხოვრიათ როდისმე?

— არასოდეს. — უპასუხა დირექტორმა.

— ჩვენ ბაქოელები ვართ. იქიდან არსად გავსულვართ, ამიტომ არც ჩემი მშობლების ცნობა გექნებათ.

ამით დასრულდა მარინეს გვარ-ტომობის ძებნა. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ დირექტორმა ისევ შესწყვიტა კარნახი და ჰკითხა:

— დიდი ხანია, რაც ქალაქში ცხოვრობთ?

— ერთი თვე არც კი იქნება.

— საიდან ჩამოხვედით?

— ბაქოდან.

— მანამდე ტფილისში არ გიცხოვრიათ?

— არასოდეს.

— არც რუსეთში ყოფილხართ?

— არა... არ ვყოფილვარ.

დირექტორი თითქო დამშვიდდა.

— კეთილი. აბა, გავაგრძელოთ. სად შევჩერდით?

— „ჩვენს სახალხო და სახელმწიფო მეურნეობას საფუძვლად აქვს...“

— ჰო, საფუძვლად აქვს...

ზოგჯერ კარნახის დროს მარინეს ზურგის უკან მოექცეოდა და იმის სავსე ბეჭებს, კისრის ბუსუსსა და აბრეშუმის ღალალს, — ბულულივით აყრილს, ლია წაბლის ფერ თმას თავის გულზე იხვევდა. ქალიც ზოგჯერ თავს გვერდით მოიგდებდა, უკან მიიხედავდა, მორცხვად გაიღიმებდა და გონდაკარგულ დირექტორს ჰკითხავდა:

— მერე?

— ჰო... ეხლავე... უკანასკნელი სიტყვა წამიკითხეთ.

ბიბლიოთეკა

მარინე დანაწერს წაუკითხავდა, მერმე მანქანას ან კედელს ჩააშტერდებოდა და იცდიდა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ რაპოლიძე უცებ გამოვიდოდა ხოლმე უჩვეულ ბურანიდან და თითქო თავის თავს მიუგდებდა:

— გვეყოფა... წადით... სადილი გაგიცივდებათ.

და ბაკუნით მიმავალ ქალს დანისლულ თვალებს გააყოლებდა.

* * *

ერთ თვეში წითელი დირექტორი უცნაურად შეიცვალა: მოლბა, მოდუნდა და გაფაქიზდა. მაგიდას მუშტით აღარ ამტვრევდა, აღარც კედლებს ეხეთქებოდა და არც ხაფი ხმით გრგვინავდა:

— აბა, ჩქარა!... ეხლავე!... მომშორდით თავიდან, თორემ...

ვიღაცამ თუ რაღაცამ სირბილი სიარულზე შეაცვლევინა, მუშტები მოუდუნა და ლბილი სიტყვები შეასწავლა:

— გთხოვთ... ცნობა მიბოძეთ... ნუ დამაგვიანებთ... სკამი ინებეთ.

ზოგჯერ დიდი ხნით გაირინდებოდა, დასევდილ თვალებს ერთ წერტილს მიაბჯენდა და ოთახში შემოსულს ძლივსლა ამჩნევდა.

მისი გაკაჟებული გული, — დაუღეველ ჭირში, გაყინულ კატორღაში და დაუსრულებელ ბრძოლაში ნაწრთობი,—ერთ თვეში შეუმჩნევლად მოლბა და გაცვილდა. საგულეში ცივი რკინის ნაცვლად თბილი სანთელი აენთო, ხოლო სუსხიანი სისხლი იმ სანთელზე ყინულივით გალხვა და დადნა. მერმე ის სანთელი აბობოქრებულ ხანძრად გადაექცა, ხოლო აჩუჩუნებული სისხლი ისე აუდუღდა, თითქოს ათასი ეშმაკი დღე და ღამ ჯოჯოხეთის ცეცხლს უკეთებდნენო.

და იმ დღეს აჩუყებულმა სისხლმა საბურველი ამოხეთქა, ხოლო მისი ცეცხლი მარინესაც მოედო და ორივენი დიდი ხუთშაბათის ჭიაკოკონასავით ააპრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

— კარგი. გეყოფა... ნუ გაგიჟდი. გეყოფა მეთქი. — მეათეჯერ ამბობს მარინე და აპოლონის მკლავებიდან ვითომ გამოსხლტომას ჰლამობს. მაგრამ ისევ თვითონვე ეხუტება, ლოყით შავ წვერს ეხახუნება და ხანგამოშვებით თავის ანთებულ ტუჩებს დასალევ ფიალასავით უშვერს.

ბოლოს, ხელიდან გაუსხლტა, მინიან კარადას მიადგა და გაწეწილი თმა შეისწორა. მერმე ისევ აპოლონს მიუბრუნდა, რომელიც სავარძელში ჩაწოლილიყო და მიბნედილ თვალებს პაპიროზის კვამლს აყოლებდა:

— ეხლა? არ წავიდეთ?

დირექტორი წამოდგა, ხელები მკლავებში ჩაავლო და უთხრა:

— ხომ მენდობი?

— რა თქმა უნდა, მერე, რა გინდა?

— დავრეტიანდი. მარტო ვერ გავძლებ. უშენობა აღარ შემიძლიან. მცხეთისკენ გავიაროთ და მოვილაპარაკოთ. ხომ არ გეშინიან?

— შენთან?! არა, მაგრამ... დამაგვიანდება. დედა რას იტყვის?

დედა რას იტყვისო?! რაც უნდა, სთქვას. საკვირველია, რატომ ვერ შეეჩვია აქამდე მარინე ქალი ახალ ქვეყანას!

— შევეჩვიე, მაგრამ...

შეეჩვია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეეჩვია.

— სადაური შეჩვევაა, თუ მუდამ შიშში ხარ: დედა რას იფიქრებს? რას იტყვის? რა თვალით შეხედავს ჩემს დაგვიანებას? ეგ არის დღევანდელი ქალის თავისუფლება?

მარინე ყოყმანობს.

— დამიგვიანდება. დედა ძებნას დამიწყებს.

—არა, ქალო, არ დაიგვიანებ. ერთი საათი გზას დასჭირდება, ერთიც სადილს. ეხლა ხუთი საათია. შვიდზე შინ იქნები.

— კარგი, აპოლონ, კარგი. დამშვიდდი. ოღონდ ნუ გაუწყრები შენს მარინეს, ოღონდ ნუ აღელდები და მარინე ეხლავე დაგიმტკიცებს, რომ ის ახალი ქვეყნის ქალია.

— დედა შენმა რომ გაიგოს ჩვენი გასეირნება ავტომობილით, რას გეტყვის?

— რაც უნდა, სთქვას.

— შენ რას ეტყვი?

მარინე ეტყვის: მე აპოლონი მიყვარს და...

— აბა, მაჩვენე, როგორ გიყვარს?

— აი, ასე.

ერთხელ კიდევ ჩაეხვივნენ ერთმანეთს და გამოვიდნენ. ქუჩაში დირექტორს ავტო ელის.

— დაიცა, აპოლონ. ერთად ნუ გავივლით. შუა ქალაქში, თორემ აყაყანდებიან: დირექტორი თავის მოსამსახურე ქალს სახაზინო ავტომობილით ასეირნებსო.

— კისერიმც მოუტეხიათ! რამდენიც ენებით, იმდენი იჭორიკონ. აქამდე რაპოლიძის გვერდით ქალი არავის უნახავს. დღეიდან კი აპოლონი მარინეს აღარ მოშორდება. ჩაჯექი, მარინე, ჩაჯექი.

— სიმონ, მცხეთისკენ გავისეირნოთ? შოფერს უკვირს. იღიმება.

— რატომ არა, წავიდეთ.

— მაშ გაუტიე.

* * *

გაუტიეს. შემოდგომის თბილი დღეა. ძალმოტეხილი მზე სერზე შემდგარა და ყოყმანობს. ლაჟვარდი ცა მოოქროვილ ნამგალა ღრუბლებით მოფენილა. მყინვარის თავი უუზარმაზარ ნაკვერცხალივით აშოტილა. დილმის ველი, გაღმა მხარე და ზედაზენის ქედი ლალნარევი დამდნარი ქარვით არიან შეპკურებულნი.

ორმოცძალიანი ბენცი გუგუნით მიჰქრის და კორიანტელის გრძელ კუდს მიათრევს. გარინდული მარინე აპოლონის განიერ მკერდს მიჰკვრია. იგი თრთის და ირხევა. ზოგჯერ ავტო ორივეს განზე გაისვრის ან ზევით შეახტუნებს. მაგრამ ორივენი, განუყრელნი არიან, როგორც ერთი სხეული: აპო-

ლონის მკლავს საბედოს წელი რკინის კარშიკივით შეუსალტავს.

— აგერ, ტივი. ალბათ ბორჯომიდან მოდის. — ჩასჩურჩულებს აპოლონის მკერდს მარინე.

გალმა, ვერხვებისა და ბუჩქნარის ძირში ტივი უეზარმაზარ ნაფოტივით მოსრიალებს და ორს ორთაყვირს ისე იქნევს, როგორც უცხო რამ კალია ორს მოტეხილ ფეხს.

— ბორჯომში ყოფილხარ, მარინე?

მარინე ბორძიკობს:

— მე?... ბორჯომში? — და დონდლოდ ათავებს: — არა, არ ვყოფილვარ.

— მაშ საიდან იცი, რომ ტივები ბორჯომიდან მოდიან ხოლმე?

— ვიცი... გამიგია.

— არც ამ გზაზე გივლია? მცხეთა არ გინახავს?

მარინე ისევ ყოყმანობს:

— არა... არ მივლია... არ მინახავს.

აპოლონს მარინეს ყოყმანი არ ესმის. მისი გული უცხო და უცდელი მადლით არის გატენილი, ხოლო აზრი ხვალინდელს ზომავს და მომავალზე ზრუნავს: რა იქნება ხვალ, ზეგ, მაზეგ? მარინე თვრამეტი წლისა ძლივს იქნება. როგორც ეტყობა, კარგად არის გაზრდილი და განათლებული. კარგი ოჯახის შვილი მოსჩანს. ესეც რომ არ იყოს, უბრალოდ ვერ მოიჯერებს ჟინს და ისე ადვილად ვერ მოიშორებს, როგორც აქამდე მოექცა სამს თუ ოთხს ქარაფშუტას, რადგან... მართლა უყვარს ეს ქალი აპოლონს, თუ... არა, არა! შორს ასეთი ტუტუცური ეჭვი, შორს!

— მარინე!... ჩემო მარინე! ხომ არა გცივა, ქალო?

მარინე ბულულიან თავს იქნევს და ბინდ-ბუნდად ილიმება. არა, მარინეს არ სცივა. თავისი მსუბუქი მოსასხამიც ეყოფა. ყურით სცდილობს ტყავის ჯუბაჩი გაუღელოს და თავი შიგ შეჰყოს.

აპოლონმა ტყავის კალთა გადაიკეცა და მარინეს თავის ნახევარი უბეში შეუშვა.

„საოცარია! — გუნებაში ამბობს აპოლონი. — იმასაც ესე უყვარდა გარინდება. და ძილიც. ყველაფერში იმას ჰგავს, ყველაფერში: ტანში, პირისახე, მიხვრა-მოხვრა, სიტყვა და... ალერსიც".

— მარინე, დედა შენს რა ჰქვია?

ისევ ტორტმანი და ლუღლუღი:

— ელენე.

ავტომ დილმის ველზე გზა გაისწორა და ქაქანსა და გუგუნს მოუხშირა. ქალაქისკენ ტაატით მიმავალი ურმები თითქო მიჰქრიან. მენახირე ბიჭებმა მგზავრებს სახრეები მოუქნიეს, ხორხი დაუშინეს და ყივილით რაღაც მიაძახეს. ავჭალიდან უეზარმაზარი თავშავა წითელი გველი მისცოცავს და თავის ნაორთქლს ღრუბლის ბურთებივით ისვრის.

რკინის ხიდთან გორაკის კონცხს შემოურბინეს, რკინის გზა გადასჭრეს და მუხათ გვერდას შეუდგნენ. მარინე გალმა იხედება და ფიქრებში წასულ აპოლონს ეკითხება:

— ეს რა არის? ზაჰესია, არა?

— ჰო, გენაცვა, ზაჰესია.

სხვას და სხვა დროს აპოლონი მრავალს მოუთხრობდა დიდი ელექტროსადგურის შესახებ, რომელიც ჯვარის მონასტერის ძირში შენდებოდა. ეხლა კი დადუმებული იყო. თითქო არ ეცალა. არაგვის ხეობას გასცქეროდა და ისევ მომავალს ჰბურღავდა.

პატარა ქალაქმაც გაირბინა. ხეობაში უკვე ბინდ-ბუნდი იშლიდა მუქ ფრთებს. მხოლოდ ჯვარის გუმბათი იწვოდა. ზედაზენის ქედი დაჩოქილს საარაკო ვეშაპს ჰგავდა, რომელსაც ცხვირი წყლის დასალევად არაგვში ჩაეყო, ხოლო აგრეხილი და მოოქროვილი ხერხემალი ცის სიღრმეში აეშოტნა. პატარა და დაწმენდილი არაგვიც ისე მიჰკვრიყო განიერსა და ბებერ მტკვარს, როგორც მობუზული მარინე აპოლონ რაპოლიძეს, რომელიც შავი კლდესავით გაჯაჯლულიყო. მაღალი და განიერი სვეტი ცხოველი გაქვავებულ გოლიათივით დასცქეროდა ქოხმახიან სოფელს. ღართის კარის ჩამოგლეჯილი გულმკერდი თითქო შესჩიოდა ზედაზენს, არაგვსა და თავმოგლეჯილ ბებრის ციხეს: „აჰა, შე-

მომხედეთ და შემიბრალეთ! აი, როგორ ჩამინგრიეს გული და განმძარცვეს სამოსელი!

ორთქლმავლის საყვირმა საზღაპრო რკინის რაშივით დაიჭიხვინა. არმაზის კლდეებმა ის ჭიხვინი მოიტაცეს და მტკვრის გაღმა-გამოღმა ერთმანეთს ბურთივით გადაუგდეს. ბოლოს, ლითონის ხრიალი სადღაც შორს, შიო მღვიმეს საკნებში შთაინთქა.

ავტომ მიუხვ-მოუხვია, ქვის ხიდის დამტვრეული ზურგი გადირბინა და მცხეთისკენ მიბრუნდა.

მარინემ იდაყვი წაჰკრა აპოლონს და თვალებში გაუღიმა.

— სად მივდივართ? დაგეძინა?

აპოლონი გამოფხიზლდა. ცალი თათი შუბლზე გადაუსვა და ეშმაკურად ჩაუცინა:

— დაგეძინაო? შენს გვერდით ვიჯდე და დავიძინო?! თუმცა შენთან ძილი... ხო-ხო-ხო!

— კარგი, გაჩუმდი! — შეუტია მარინემ. — არ გიხდება ეგეთი ხუმრობა.

— მე არა ვხუმრობ.

— კიდევ უარესი. ეგ სიტყვა არ გიხდება მეთქი.

— რატომ? რატომ არ მიხდება?

მარინე უფრო მიეხუტა. მერმე გაუბედავად ჩაიბუტბუტა:

— არ ვიცი. ვერ გეტყვი... არ შეგშვენის.

— იქნება კიდევ სხვა რამ არ მიხდება?

— დანარჩენი ყველაფერი გიხდება.

— მაგალითად, რომ გეტყვი ხოლმე: მიყვარხარ, ეს სიტყვა კი მიხდება?

მარინემ აპოლონის ფერდთან ჩაიხითხითა:

— ძალიან, ძალიან! არა, კიდევა სთქვი.

— მარინე, მიყ-ვარ-ხარ. — ჩასჩურჩულა ყურში აპოლონმა.

ისევ ჩუმი ხითხითი და ნელი თრთოლვა.

— აბა, ერთხელ კიდევ... კიდევ ერთხელ... კიდევ... კიდევ... ათჯერ კიდევ... ათჯერ კიდევ... ასჯერ... ათასჯერ...

და დირექტორის ჩაღუნული თავი გულიდან ამომავალ სიტყვას ათჯერ და ოცჯერ ჩურჩულებს:

— მიყვარხარ, მარინე... მიყვარხარ, ქალო... გაიგე? მიყვარხარ მეთქი...

ხოლო იმის იღლიაში შემძვრალი მარინე ჩუმი სიცილით იცინის და ისე ფამფალებს, თითქო ვიღაც ან რაღაც სხეულის ყოველ წერტილს ულიტინებსო. მერმე გასწორდა და გადიხარხარა.

— რა გაცინებს, ქალო?

— ხი-ხი-ხი... დღეს დილით არც კი დავიჯერებდი, რომ შენ ეგ სიტყვა იცოდი. ხი-ხი... რომ მაგ სიტყვის თქმას მოახერხებდი.

— რად გეგონა ეგრე?

— იმიტომ, რომ... პირქუში ხარ.

— მარტო მაგიტომ?

— ბღვერია ხარ... კამეჩივით.

— ხო-ხო-ხო... კიდევ? კიდევ რა ვარ?

— კიდევ გინდა? ღრენია ხარ... ყურშა ძაღლივით.

დირექტორის ხარხარმა ბენცის ხვიხვინი ჩააჩუმა:

— კიდევ? კიდევ რა ვარ?

— ბლინძია ხარ... ინდოურივით. ბაჯბაჯა ხარ დევივით.

„დევმა" ისე მოსწია წელწვრილა მარინე და ისე დაიქუხა, რომ ქალის წრიპინი და კვნესა ვერც კი გაიგონა. უცებ გონს მოვიდა და დაფეთდა:

— ხომ არ გეტკინა?... ხომ არაფერი მოგტეხე?... უი, გამიხმეს ეს ხელი. — და ერთი ხელით მეორეს დაუწყო ცემა. — ბოდიში, გენაცვალე, ბოდიში! მაპატიე, შენი ჭირი მე, მაპატიე!

მარინემ ცალი ხელით ნეკნები გაისინჯა და ნაძალადევად გაიღიმა:

— არც ეგ სიტყვა გიხდება.

— რომელი?

— „ბოდიში" და „მაპატიე".

— კარგი, გენაცვა, კარგი. ამ ორ სიტყვას არასოდეს აღარ ვიხმარებ, არც მაშინ, როდესაც ნამდვილად დავაშავებ.

— მაშინ? ჰმ... მაშინ ვნახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიმონ, გაჩერდი! — მიუბრუნდა აპოლონი შოფერს.

ბენცი უკანასკნელ დუქანთან მიშრიალდა და შესდგა.

— მობრძანდით... დაბრძანდით. — გამოეგება მედუქნე. — რას მიირთმევთ? ჰამე? რა მაქვს? ყველაფერი მაქვს, რაღა.

ჭუჭყიან მაგიდას მიუსხდნენ და ჩიხირთმა, მწვადი და ღვინო მოითხოვეს. წვნიანი მალე შესვრიპეს და ორ-ორი ჭიქა წითელი დააყოლეს.

— მარინე, მიამბე რამე.

რაღა უნდა გიამბოს მარინემ, აპოლონ? რაც სათქმელი ჰქონდა, უკვე სთქვა. თავგადასავალი არაფერი აქვს. წელანაც სთქვა: ბაქოში დაიბადა და ისე გაიზარდა, რომ იმ ქალაქიდან არც კი გამოსულა.

— ვინ იყო მამა შენი?

— მამა ჩემი?... მამა ჩემი იყო... მამა ჩემი ექიმი იყო... დიაღ, ექიმი იყო.

— რამდენი ხანია, რაც... მგონი გარდაიცვალა, არა?

მარინე მაგიდაზე პურის სორსოლას აგორავებს. აკეცილი შუბლი განზე მიაქვს და პირიდან თითქო თოკით ამოაქვს:

— შარშანწინ...

— სად?

— ბაქოში.

უცებ თეთრ ლოყაზე ჯერ ორი კურცხალი აუბზინდა. მერმე მეორე, მეხუთე და მეათე. შემდეგ მკლავები მაგიდაზე გაშალა, ზედ თავი დაიგდო და აქვითინდა.

მიკიტანს გამოშვერილი შამფურები ჰაერშივე გაუშეშდა:

— ვა-ა-ა... — გააგრძელა და პირიც ღია დარჩა.

სიმონი გარეთ გავიდა.

აპოლონი ჯერ დაიბნა. მერმე უშნოდ აფუსფუსდა და ალუღლუღდა:

— მარინე... ჩემო მარინე! რა დაგემართა, ქალო? აი, წყალი დალიე... ღვინოც მიაყოლე.

მამის სიკვდილი?! მერე, რაო! ადრე თუ გვიან, ყველა მამები იხოცებიან. აპოლონსაც მოუკვდა მამა. დედაც დარდმა გადაიტანა. ვერ გაუძლო ერთად-ერთი შვილის გაციმბირებას. მარინესაც აპოლონის გული უნდა ჰქონდეს: მტკიცე, კაჟიანი და უდრეკი, თორემ ასეთი ჩვილი გულის პატრონი დღევანდელ მკაცრ ცხოვრებას ვერ გაუძლებს.

— ორი წლის მკვდარი ასე ადვილად არ უნდა მოიგონო.

— სხვა რამ მატირებს, თორემ... — სლუკუნებს მარინე.

— რა გატირებს? მითხარი, გენაცვალე, მაშ რა გატირებს?

უთხრას მარინემ? არა, არა! ნამდვილ მიზეზს ვერ ეტყვის. ეხლა მაინც ვერ ეტყვის. არ შეიძლება დღეს ან ხვალ ამის თქმა, არა!

— ოდესმე... შემდეგში გეტყვი.

— როცა შენი ქმარი გავხდები, არა?

მარინე ილიმება და ხელსახოცით თვალებს იშრობს:

— ჰო... მერე... ოდესმე.

— ვააა, მწვადი გაცივდა, რაღა! — აგონდება მწვადის ბედი მიკიტანს.

მარინეს მწვადი აღარ უნდა. იმისი წილი აი, ამ ძაღლმა შესჭამოს

— ტუგო, ინებე ჩემი წილი.

და კუდა ძაღლი ხლაპუნით ჰაერშივე იჭერს ერთ ნაჭერს, მეორეს, მესამეს.

— ერიჰააა! — ჰკვირობს მიკიტანი — ძაღლმა უნდა მწვადი სჭამოს?! ერთი ღარიბი და ავადმყოფი მეზობელი მყავს. თვეში ერთხელაც ვერ ჩაიდებს პირში მწვადს. ჰაზირ იმას უფრო არ შეერგება? თქვენს გახარებასაც ილოცავს.

მართლა? თუ ეგეთი ღარიბია, რა თქმა უნდა, უფრო შეერგება. ეხლავე დაუძახეთ. დაჯდეს და გაათავოს. ერთი ბოთლი ღვინოც ჩამოუსხი. ჩვენი გაბედნიერება ილოცოს. აპოლონ, ხომ შეიძლება?

— რა თქმა უნდა. ოღონდ ერთი პირობით: ეს ბოთლი ჩვენვე უნდა დავცალოთ.

— კეთილი. ეგრე იყოს. მარინეს ღვინო სწყურიან. დაუსხი, აპოლონ, დაუსხი!

— ეს ღმერთმა აღლეგრძელოს ჩვენი... — და აპოლონს ყურში ჩასჩურჩულა: — ჩვენი სიყვარული.

ერთი კიდევ, აპოლონ, ერთი კიდევ დაუსხი მარინეს. დღეს სხვა დღეა. უნდა დალიოს. რაღაც სხვანაირმა გუნებამ მოუარა:

— დღევანდელი დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ჩემი ბედი ვიპოვნე. შენ, აპოლონ? შენ რას იტყვი?

— ჩემთვისაც, ჩემო მარინე, ჩემთვისაც. მეც ვიპოვნე საბედო, მეც.

მართლა?! ოოჰ რა ბედნიერია მარინე! სიხარული გულში აღარ ეტევა. იგი ღელავს და ამოხეთქვას ჰლამობს. ლამის, შადრევანივით იფეთქოს. მარინე ველარ უძლებს. მას სირბილი, ყვირილი, სიმღერა და ცეკვა სწყურიან.

— აპოლონ, გავიაროთ!

ოთახიდან გავარდა. ერთი ხელით კაბა აიკეცა და გაიქცა. უკნიდან მთვარე უცინის და ბაგა-ბუგით შავი ლანდი მისდევს.

— მარინე, არ წაიქცე!... ნელა, ქალო!

— დამეწიე! დამეწიე, თუ შეგიძლიან.

მირბის მარინე. მისდევს აპოლონი. წამოეწია და ორივე ხელი გაიშვირა. კაბა შრიალით გაუსხლტა და ორლობეში შეერია.

— არ წაიქცე მეთქი!

და დალლილი მარინე მკერდზე მიისვენა.

მიაბაკუნებს მარინე და ჰკივის:

— ჰეი, ჰეი!

იქვე კარმა დაიჭრაჭუნა და ძაღლმა დაიყეფა.

— რომელი ხარ მანდა? — ისმის გლეხის ხმა.

— ვინცა ვარ, სულ ერთია. ღმერთმა ჩემსავით გაგაბედნიეროს. — უპასუხებს მარინე.

— ჰაი, აგაშენოს ღმერთმა! მანდეთ საით მიდიხარ, ქალო? — ეკითხება ღობეზე მომდგარი ლანდი. — მანდეთ არაგვზე ჩახვალ.

— მეც ეგ მინდა, ძმობილო. მშვიდობით.

— ღმერთმა გზა მოგცეს და ბედი დაგილოცოს, კაი ვინმე ყოფილხარ. — კურთხევას უთვლის უცნობი.

— ქალო, არაგვზე რა გინდა! აი, ამ ბაღში დავსხდეთ. — ურჩევს აპოლონი.

— გემო არა გქონია, აპოლონ. აი, მივედით კიდევაც. აგერ, არაგვი ლაპლაპებს.

რიყე გადასჭრეს და არაგვს მიადგნენ. წყალი შხუის და ბურტყუნებს გაღმა, გორაკზე, წიწამურაში ხუთიოდე ჭრაქი ანთია. ქვევით, ჯვარის კლდეზე მონასტერი ბაჯბაჯა დევივით გადმომჯდარა. იმ კლდის ძირში, უფრო ქვეით ელექტრო-სადგურის პატარა ქალაქი ათასი ჰალით გაუშუქებიათ.

მარინე ქვებს ჰკრეფავს და არაგვში ისვრის. მერმე მთვარეს შესცქერის და სავსე ხმით მღერის.

— მეორე მითხარი, აპოლონ!

— მო-ო... ა-ა-ხო-ხო-ო... — ღორღოტოტოს ხმით სტყუის დირექტორი.

— გაჩუმდი! გაჩუმდი! — უყვირის მარინე. — სიმღერა არ გცოდნია. სმენა არ გქონია.

— ეგ კი მართალი სთქვი. — მორჩილი ხმით ეთანხმება აპოლონი.

მარინე მარტო მღერის. მღერის ახალი ხმით, იქვე მოგონილ სიტყვებით, იდუმალის ძალით, გატენილი გულით და გაგანიერებული მკერდით, რომელიც ისე მიუშვერია მთვარესთვის, თითქოეუბნებაო: „აჰა! აი ჩემი სიხარული და სიმდიდრე. მიყვარს და ვიტანჯები. აჰა! მიიღე, გასძეხი და მეც დამიურვე!“.

მერმე გაჩუმდა და ისე გაიზმორა, რომ სახსრებმა გაილაწუნეს. აპოლონმა უკნიდან მკლავები მოჰხვია და ისეთი უცნაურისა და დაბალის ხმით სთქვა, რომ თვითონაც ვერ იცნო თავისი ხმა:

— მარინე...

არაფერი უპასუხა. მამაკაცის ღონიერ მაჯებს, სალტესავით მკერდზე შემოხვეულთ, ხელები ჩასჭიდა და ისე მოუჭირა, თითქო მათი დამსხვრევა უნდოდაო. თან აიგრიხა და გაიწ-გამოიწია.

— მარინე. — ჩამხჩვალი ხმით განიმეორა აპოლონმა და ქალი მშრალ ქვიშაზე წააქცია. — ჩემო მარინე...

— გამიშვი:..

ვერც მარინემ იცნო თავისი ხმა.

— მარინე... დაიცა, ქალო, ყური მიგდე... მე და შენ... მე და შენ ცოლქმარი ვართ.

— არა.

— ცოლ-ქმარი ვართ მეთქი.

მარინემ ვეღარაფერი უპასუხა. ორი აცახცახებული ხელი ყელში მიაბჯინა და გახევდა.

— ხვალვე წავიდეთ და გავათავოთ. ხვალიდან კანონიერი ცოლქმარი ვიქნებით.

— მაშ ხვალ იყოს... ეხლა კი გამიშვი.

— არა, არ გაგიშვებ.

მერმე ბრძოლა დაიწყო. ორივენი აფთრებივით იბრძოდნენ: კვნესით, ხვეწნით, კაწვრით და გამწარებით. ქალი მძლავრი გამოდგა. ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა, ხან უსხლტებოდა, მაგრამ იმავ წამს თვითონვე ებლაუჭებოდა, თავისკენ იზიდავდა, გულში იხუტებდა და გაუგებარსა და უცნაურს ლუღლუღებდა. მერმე უცებ მოდუნდა, გალხვა და ასლუკუნდა. აღარ იბრძოდა და აღარც შეეძლო.

* * *

მარინე მკვდარივით ჰგდია არაგვის ლამიან ნაპირზე. პირსახეზე ხელები აუფარებია, თითქო ცისაც სცხვენიან, მთვარისაც და დირექტორისაც. აღარც სლუკუნებს. გაშოტილი წევს და სდუმს.

აპოლონიც იქვე ზის, მთვარის მობიბინე ანარეკლს გასცქერის და ხანგამოშვებით არაგვში კენჭებს ისვრის. გრძნობს აპოლონი, რომ ქალს ამ წუთში უფრო სწყურიან ალერსი, ნუგეში და გამხნევება, ვიდრე სხვა დროს. გრძნობს, მაგრამ უნებური გულცივობა ვერ დაუძლევია. თბილ სიტყვას ეძებს, მაგრამ ვერ უპოვნია.

ხანი გავიდა. მარინე წამოდგა. ისიც განზე იცქირება. კაბა შეიბერტყა და გაწეწილი თმა შეისწორა. მერმე დაჩაგრული ხმით სივრცეში [illegible] გადააგდო:

[illegible] ბიბლიოთეკა

— წავიდეთ.

მიბრუნდა და წავიდა. აპოლონი დაჰერილ ქურდივით უკან გაჰყვა, — თავჩაღუნული და მობუზული. მარინემ რიყეზე წაიფორხილა.

— არ წაიქცე. — მოიმიზეზა აპოლონმა და ქალს მკლავში ხელი წაავლო.

ჩუმად და ფრთხილად მიდიოდნენ ღამის ლანდებივით. ორღობე გაიარეს და დუქანს მიადგნენ.

სიმონმა მანქანა მომართა და საყვირი ააჭყვიტინა.

— არ დამივიწყოთ, რაღა. — ამბობს მიკიტანი. — ღმერთმა ბედნიერება არ მოგაკლოთ.

მარინე სდუმს.

— მშვიდობით იყავი. — ცივ პასუხს აძლევს აპოლონი.

ბენცი მიჰქრის.. ხიდმა, სადგურმა და არმაზის ხეობამ გაირბინეს. ზევით მირბიან ბუჩქები და დაჩრდილული კლდეებიც. იქითვე მიიზლაზნებიან „ზაჰესის“ შენობები და ელექტრონის ჭალებიც.

აპოლონმა მარინეს მკლავი მოჰხვია და მოიზიდა. ქალი ძალას მისდევს, მაგრამ აპოლონს წელანდელივით აღარ ეკვრის და იღლიაშიც არ უძვრება. ბენცმა მისახვევები დალია და კვლავ გაიმინდვრა. სავსე მთვარე ორივეს გაყინულ და დადუმებულ პირისახეებში ულიმის.

— მარინე! — ძლივს დაარღვია დუმილი აპოლონმა და ამ სიტყვაში წელანდელი სილბილე ჩაჰღვარა. — აქედან პირდაპირ დედაშენთან მივიდეთ.

— რად გინდა დედა-ჩემი?

— უნდა გამაცნო. დღევანდელ დღიდან იმისი სიძე ვარ.

მარინემ გვერდიდან აჰხედა და პირისახე გაიშალა.

— ხვალვე უნდა გავათავოთ ყველაფერი.

დიალ, ხვალვე უნდა გათავდეს ყველაფერი. რა საჭიროა მოცდა და საქმის

გაქიანურება? აპოლონს არ უყვარს ქვეყნის ყაყანი. ზეიმი და ზიზილ-პიპილოები. თვითონაც სადა კაცია და ქორწილმაც უბრალოდ და მშვიდად უნდა ჩაიაროს.

მარინე რბილდება, დნება და თანდათან აპოლონის თბილ იღლიისკენ მისძვრება. სათქმელი არაფერი აქვს. ეგრე იყოს. მაგრამ მაინც...

— ხეირიანი კაბაც კი არა მაქვს.

კაბა? ხო-ხო! აქამდე ვერ გადაეჩვია მარინე ძველს ჩვეულებას? რა დროს კაბაა, ქალო. რა დროს ფარჩაა! რაც ეხლა აცვია მარინეს, ხვალაც ეს ეცმება. მერმე, რა თქმა უნდა, აპოლონი ახალს უყიდის. მაგრამ კაბის გამო ქორწილის გადადება?!

— ნათესავები მყავს. ერთი ვახშამი მაინც უნდა გავუმართოთ.

ვახშამი? ხო-ხო-ხო! ვახშამს არც აპოლონი დაიწუნებს. ამასაც ჰყავს ნათესავებიც და მეგობრებიც. რამდენი ოთახი აქვს მარინეს და იმის დედას?

— ერთი.

— მეც ერთი მაქვს.

სულ ერთია, ერთ ოთახში სტუმრებს ვერ დასტევენ. ჭურჭელიც არ ეყოფათ. აპოლონი ხვალ დილით შეუკვეთავს რომელიმე რესტორანს ოციოდე კაცის ვახშამს, რომელი ურჩევნიან მარინეს, „შამპანი“ თუ...

მარინესთვის სულ ერთია: არც ერთში ყოფილა და არც მეორეში. მაგრამ დედა რას იტყვის? მარინე იცინის:

— ხი-ხი-ხი! გუშინ ჩამოვიდა ქალაქში და ხვალ ქალი უნდა გაათხოვოს.

— გუშინ? მაშ იქნებ ჯერ ჩემი გვარიც არ გაუგია?

არა, არ გაუგია. მარინე ხეირიანად ვერც კი მოელაპარაკა. დღევანდელმა დღემაც ისე გაიარა, რომ დედა არც კი უნახავს. როგორ გაოცდება!

— ხო-ხო! მართლა, როგორ გაუკვირდება! არ გააფრთხილო. ერთად შევიდეთ. პირველი შენი სიტყვა ასეთი უნდა იყოს: „დედა! გაიცანი შენი სიძე: აპოლონ რაპოლიძე“.

ორივენი იცინიან. უეჭველად ესე უნდა გააცნონ სიძე-სიდედრს, [illegible]!

— ხო-ხო! რა ელდა [illegible] ვინებს აპოლონი.

— ხა-ხა-ხა! როგორ დაებმება ენა! — კასკასებს მარინე.

და გამხიარულებული მარინე წელანდელზე მეტად ახითხითდა და აფამფალდა. მაშ ხვალინდელ დღიდან მარინე მოფურიძე მარინე რაპოლიძედ გადაიქცევა?! საოცარია. გაუგებარია! მარინემ თავისი გვარი „მოფურიძე“ უნდა სამუდამოდ დაივიწყოს და ვიღაც „რაპოლიძის“ სახელი უნდა დაირქვას. რად არის ესეთი წესი? ვინ მოიგონა? ან რად დასჭირდა, რომ ქალმა თავისი სახე წაიშალოს და სხვისი ნიღაბი აიფაროს?

— მაშ ხვალინდელ დღიდან მე რაპოლიძე უნდა გავხდე, არა? ხა-ხა-ხა! საკვირველია!

დღევანდელი მემანქანე ხვალ დირექტორის ცოლად გამოცხადდება. ალბად მოსამსახურეები და სხვებიც გაოცდებიან. ბევრს შეშურდება. მაგრამ თავს მოიკატუნებენ და მიულოცავენ. ნეტა იცოდეს მარინემ, კიდევ ააჩხაკუნებს იმ ვერანა მანქანას დღით-დღე და კვირით-კვირამდე?

— რა თქმა უნდა. ეხლა სხვა დროა, ქალო. ყველამ უნდა იმუშაოს: ქმარმაც და ცოლმაც. ოღონდ სხვაგან უნდა გადაგიყვანო, თორემ ცოლ-ქმარის ერთად სამსახური აკრძალულია. ჯერ-ჯერობით მაინც ისე უნდა იყოს, მერმე კი, თუ მოგწყინდა, ოჯახს მოუვლი.

კარგი და პატიოსანი. მარინეს შრომისა არ ეშინიან. შეჩვეულია. მაგრამ...

— დედა? დედას რა ვუყოთ?

— დედა შენი ოჯახს მოუვლის, ჩვენთან იცხოვრებს.

მადლობის ნიშნად მარინე მაგრად და უსიტყვოდ ჰკოცნის აპოლონს. მერმე ამბობს:

— ბინას რა ვუყოთ? ერთ ოთახში სამმა როგორ ვიცხოვროთ?

ამასაც მალე მოერევა აპოლონი. ორს ან სამს ოთახს იშოვნის. ჯერ-ჯერობით კი მარინე ხვალვე გადასახლდება აპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონის ოთახში. მართალია, ავეჯეულობა არ უვარგა, მაგრამ „ძალიან განიერი საწოლი“ აქვს. ორივენი ხალვათად დეეტევიან.

საწოლის გახსენებაზე მარინე ისევ გაოცდა. ან რატომ არ არის საოცარი: აქამდე მარტოს ეძინა. მხოლოდ დედას ჩაუგორდებოდა ხოლმე ბავშვობაში. ეხლა კი ვიღაც უცხოს უნდა მიუწვეს... ისიც მამაკაცს! განიერს, გრძელს და წვერიან მამაკაცს. ვინ იცის, იქნება ბანჯვლიანიც არის. ისეთი ხშირი წვერ-ულვაში და ბალანი აქვს მაჯებსა და კისერზე, რომ ალბად ტანიც ბალნით ექნება შემოსილი. თუმცა... მერე რაო?! თუნდ ჰქონდეს. მარინეს მოსწონს აპოლონის წვერი და ბალანი. საამური ღიტინი იცის ბალანმა. მიუწვება და თითო-თითოს დააგლეჯს. როგორ აწკმუტუნდება აპოლონი!

— ხი-ხი-ხი, — ჩუმად ხითხითებს მარინე.

— რა გაცინებს, ქალო?

— არაფერი. ძილში ხვრინვა ხომ არ იცი?

— არა, არ ვიცი. შენა?

— მე? ღმერთმა დამიფაროს!

მაშ ესე: მარინე აპოლონს მიუწვება. თუმცა, — არ ესმის მარინეს — რა არის ამაში უცნაური? აი, ეხლაც თითქმის წვანან. მარინე ისე ეკვრის თავის ქმარს, როგორც ხვალ მიეკვრება „განიერ საწოლში“, ერთი საბნის ქვეშ და ერთ ლეიბზე. დიდ განსხვავებას ვერ ხედავს: ეხლა ჩაცმულნი არიან, ხვალ კი...

— წელან ხომ არაფერი გატკინე, ჩემო მარინე, ჰა? — ჩურჩულით ეკითხება აპოლონი.

— წელან?.. არაფერი.

— ხომ არ გეწყინა?

— გაჩუმდი.

— მაინც?

— გაჩუმდი მეთქი.

„გაჩუმდი“ უკვე პასუხია. ესმის ეს პასუხი აპოლონს და ყუჩდება.

ეწყინა მარინეს? რა თქმა უნდა, ეწყინა. მას ჯერ არ განუცდია ესეთი უხეში ძალადობა, ესეთი ალვირაწყვეტილი თავხედობა და ხეპრული [illegible]ება. მაგრამ... მართალი [illegible]ც ძალიან სწყენია. მოსახდენი უნდა მომხდარიყო. დღეს იქნებოდა თუ ხვალ — განა სულ ერთი არ არის? რა ჰქნას მარინემ: ესეთი ყოფილა გასათხოვარის ხვედრი. ისიც სულ ერთია, სად მოიხდის მოსახდელს: ოთახში თუ მინდორში, ტყეში თუ ქვიშნარზე. ან რა სათქმელია წყენა! თუ იმისმა ქმარმა ისიამოვნა, მარინეს მეტიც არაფერი უნდა. თუ აპოლონმა თუნდ ერთის წუთითაც განიცადა ბედნიერება, ამით იმის ცოლიც ბედნიერია. მეტიც არაფერი უნდა მარინეს. დანარჩენი თავის თავად მოვა და დალაგდება.

და უჩვეული სიხარულით სავსე მარინე ისეთი ხმით ეკითხება ქმარს, რომ თვითონაც ძლივს ესმის თავისი ხმა:

— აპოლონ... ჩემო აპოლონ! მითხარი, შენც ბედნიერი ხარ?

ჰო, გენაცვალოს აპოლონი, ჰო. ბედნიერია აპოლონი. ამაზე მეტი არც ოდესმე უგრძვნია, არც ბედისგან მოუთხოვნია.

— შენ, მარინე, შენ? შენც ბედნიერი ხარ?

გაჩუმდი, აპოლონ, გაჩუმდი! სიტყვა ზედმეტია, სიტყვა გრძნობას ანელებს. ისევ გაყუჩება სჯობია. სულ ერთია: ვერც შენ იპოვნი და ვერც მარინე მოიგონებს ისეთს სიტყვას, რომელიც ეხლანდელ სითბოს გაახურებდეს და დუმილს, გარინდებას და გაყუჩებას აჯობებდეს. გაჩუმდი, აპოლონ, გაჩუმდი! იყუჩე, მარინეს ერთად, იყუჩე!

და მაღალი გორებიც, მტკვარიც, ღიღმის ველიც, ცაც და მთვარეც ისე გაყუჩებულან, როგორც ერთმანეთში ჩახვეული ცოლ-ქმარი. ყველანი და ყოველივე ურთიერთში გაიხსნენ, გაითქვიფნენ და ერთ სულად და ერთ ხორცად გადაიქცნენ. მხოლოდ ბენცი არღვევს მყუდროებას. მაგრამ არც მარინეს და არც იმის ქმარს აღარ ესმით მისი გუგუნი, ხრიალი და ხვიხვინი.

უცებ ავტო გაჩერდა. მისი ორი ლიფლიფი, ორი უუზარმაზარი და სხივო-

სანი თვალი ცხვრის ფარას მიადგა. ირგვლივ ყოველივე გაჭედილია ცხვარით: გზაც და მინდორიც. თავჩაღუნული მოდის ათიათასიანი ფარა. მხოლოდ ფხაკუნი და შრიშინი ისმის. და იმ ზღვაში მგზავრების თვალწინ უცნაური სანახაობა გადაიშალა. თვითეულ ცხვარს სათვალურებში თვალების მაგივრად ორი პატარა და ბრწყინავი ზურმუხტი უდევს. და ის ზურმუხტებიც იმდენნი არიან და ისე ციმციმებენ, როგორც ვარსკვლავები. აი, დატვირთული ცხენებიც მოდიან. მათი თვალები, მაყალოვაშლის ოდენა თვალებიც ცეცხლმოკიდებულ ლალებივით თრთიან. მწყემსები დუმილით მოდიან. ძაღლები იღრინებიან. თავჩაღუნული ვირები არავის და არაფერს ამჩნევენ.

ფარა ძლივს დაილია. ბენცი ისევ მოსხლტა. შიგაც კვლავ დუმილი და მყუდრო ბედნიერება სუფევს.

ქალაქში რომ შემოვიდნენ, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ.

— მართლა, ბინა სადა გაქვს, მარინე?

— ვაჟა ფშაველას ქუჩაზე.

მაშ ესე: ორივენი ისე უნდა მოიქცნენ, როგორც წელან მოიფიქრეს: მარინე და აპოლონი ერთად შევლენ. მარინე მხოლოდ ამ სიტყვებს ეტყვის დედას: „დედა, გაიცანი. აი, შენი სიძე". მეტს არაფერს. აპოლონ დაუმატებს: „დედა, გთხოვთ ხვალ ქორწილში გვეწვიოთ". მეტს არაფერს.

— დედა-ჩემს შენც დედას დაუძახებ, არა?

— რა თქმა უნდა. მე დედა არა მყავს. დედა-შენმა მეც უნდა დედობა გამიწიოს.

მარინე ხელში ხელს უჭერს და ილიმება.

აღარ ერიდება მემანქანე ქალს დირექტორთან ჯდომა. დეე, მთელმა ქალაქმა დაინახოს. ხვალ უკვე იტყვიან: ტრესტის დირექტორი გუშინ თავის ცოლს დაასეირნებდაო. რამდენიც ილევა გზა, იმდენი გულისტოკვა ემატება მარინეს.

„გენაცვალოს მარინე, დედი! უშენოდ ვიპოვნე ჩემი საბედო. შეიძლება ვერ მოგეწონოს, რადგან შენი ჭკუის კაცი არ არის, მაგრამ ამის გამო არ ახირდები და მარინეს ბედნიერ დღეს არ მოუშხამავ".

რა თქმა უნდა, არ მოუშხამავს. აპოლონს წითელი ვარსკვლავი ჰკიდია მკერდზე. აახსნევინოს მარინემ, სანამ დედას ნელნელა გააგებინებს აპოლონის ვინაობას? არა, იყოს... საჭირო არ არის. ყოველივე უცებ გაიგოს და დაინახოს. ესე ემჯობინება. რა თქმა უნდა, ემჯობინება. ჰო, მართლა: მარინე ერთ დანაშაულში უნდა გამოუტყდეს აპოლონს... უნდა ეხლავე აღიაროს თავისი ცოდვა, რომელიც თავისი დანიშნულის მოსატყუებლად კი არ ჩაიდინა, არამედ წინანდელი დირექტორის თვალების ასახვევად. ნუ გაუწყრები აპოლონ შენს მარინეს, ნუ! რამდენიმე ტყუილი გითხრა, მაგრამ ამით არაფერი დაშავებულა. ეს ტყუილი იმისათვის იყო საჭირო, რომ სამსახურში შემოსულიყო და ერთი ლუკმა პური ეშოვნა. ავი არაფერი ჩაუდვია გულში მარინეს და ცბიერი, ბოროტი რამ საქმე არ განუზრახავს. ერთი სიყალბე ჩაიდინა. დანარჩენი წვრილმანი თავის თავად მოჰყვა იმ სიყალბეს. მაშ ეხლავე გამოტყდეს მარინე, თუ ხვალ ან ზეგ უთხრას? რა თქმა უნდა, ეხლავე სჯობია. დედასაც უხერხულობაში არ ჩააყენებს.

მაგრამ გვიანღაა:

ბენცი უკვე შესდგა.

აპოლონ, ხელი მიეცი მარინეს. კიბეზე ბნელა. ფრთხილად, არ წაიქცე ...აქ თორმეტი საფეხურია... აქ თხუთმეტია. მარცხნივ მიდი... ეხლა მარჯვნივ მოუხვიე.

— აი, ჩემი ოთახი. დავაკაკუნოთ.

— მობრძანდით. — ისმის შიგნიდან.

კარები შეაღეს და ორივენი შევიდნენ. მარინე აპოლონს წინ მიუძღვის და საქმრო ტყვესავით ხელით მიჰყავს.

აპოლონი უცებ შესდგა და ხელი ისე გამოჰგლიჯა, თითქო მარინეს ხელი

გახურებულ ნალვერდლად გადაიქცათ.
იმის წინ უკვე შეთეთრებული დარო იდგა.

მარინე არ შესდგა, .არც უკან მოიხედა. გაშლილი ღიმილით და ხელებით წავიდა დედასკენ და უთხრა:

— დედი, გაიცანი. ჩემი... ჩემი დანიშნულია.

მერმე მოიხედა და აპოლონს შეჰხედა. და თვისი დანიშნული ველარ იცნო: ფერწასული და პირდალრეცილი აპოლონი ბარბაცით კედელს მიაწყდა.

— აპოლონ, რა დაგემართა?... ხომ არ დაიღალე?

და იმავე დროს დედის კვნესა მოესმა. მიიხედა და დაინახა: დაროც ფეხმოკვეცილივით წატორტმანდა. ჯერ მაგიდას დეეყრდნო და მერმე განიერსა და გაცვეთილ სავარძელში დეეშვა, თან ფართედ გახელილი თვალებით ისე შესცქეროდა კედელთან ატუზულ დირექტორს, თითქო იქ უბრალო ადამიანის მაგიერ სულთამხუთავი ასვეტილიყო, რომელიც იმ ოთახში თვისი ხვედრის მისაღებად შემოსულიყო.

III

მაშინ, ოცი წლის წინათ, აპოლონ რაპოლიძე ოცი წლის სტუდენტი იყო. იმისი მამა სევერიანე მდიდარი ვაჭრის მზარეული იყო. სევერიანეს და მარიამს ერთად-ერთი შვილი ჰყავდათ.

ის ზაფხული აპოლონმა სოფელსა და ტფილისში გაატარა. გულმოდგინედ და თავგამოდებით მისცა თავი მაშინდელ სისხლიან ტალღას: მუშების და მოწაფეთა წრე, საიდუმლო ლიტერატურა, აგიტაცია სოფლად და ქალაქად, ყუმბარების დამზადებას, ექსი, ტერორი და მრავალი სხვა საყურეო და საკატორღო საქმე.

დღე არ გავიდოდა, რომ დედ-მამას არ ეტირნათ: „შვილო, შენც დაიღუპები და ჩვენც დაგვღუპავ... შვილო, თავი დაანებე... შვილო, ჩამოშორდი... შვილო, ხელი აიღე“.

მაგრამ აპოლონი უდ[illegible] გულ-ში რწმენის ხანძარი [illegible]ძარღვებში ქაფქაფი სისხლი უდუღდა.

— დამანებეთ თავი, თორემ წავალ და აღარ დავბრუნდები. — დეემუქრა ერთხელ მშობლებს და ორივენი მოსტეხა. დედ-მამა თითქო შეურიგდნენ შვილის სიარულს ხანჯლის პირზე, მაგრამ მუდმივ თრთოდნენ და ჯერ დაუკარგავ აპოლონს წინდაწინვე გლოვობდნენ.

იმ ვაჭარს, რომელსაც სევერიანე ემსახურებოდა, სახლის უკან მოზრდილი ბაღი ჰქონდა. ერთხელ აპოლონი იმ ბაღში იჯდა და ამხანაგს მოელოდა. უცებ იმ ამხანაგის მაგიერ უცნობი ახალგაზრდა ქალი წაადგა:

— წუხელ თედო დააპატიმრეს. მგონი თქვენი ქაღალდებიც ჰქონდა. თავს უშველეთ.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

— თედოს ბიძაშვილი. დარო მქვიან. სანამ დააპატიმრებდნენ, ერთი საათით ადრე მითხრა: თუ დამიჭირეს, აპოლონს შეატყობინე და დროებით მაინც შეინახეო. ჩვენსა გადმოდით. დედა გელისო. ოთახიც მზათ არის.

დიდ ხანს არ უფიქრნია. საცვალი და წიგნები ამოიჩარა იღლიაში და დაროს ვერაზე გაჰყვა.

როგორ მოხდა, რაც მოხდა, აპოლონმა ვერასოდეს ვერ გაიგო. რამდენი ქალი გაიცნო მანამდე — ასი? ორასი? ვინ იცის. ეგების ხუთასიც. შეიძლება მეტიც. მაგრამ ვერც ერთი ვერ მიიკარა. ერთსაც ვერ მიუდგა ქალვაჟურად. ყველანი ამხანაგები იყვნენ და ყველას იმ დიდი ლაშქრის ჯარის-კაცებად სთვლიდა, რომელსაც ზეცა უნდა ჩამოენგრია და ქვეყნის ზედაპირი ქვესკნელში ჩაეგდო, ხოლო მისი სარჩული ზედაპირად გაეხადნა. თვალანთებული და გულმდუღარე სტუდენტი კაბას შალვრისგან ვერ არჩევდა. მაგრამ იმავ საღამოს უხილავმა ძალამ თვალის ბისტი ჩამოჰგლიჯა და ხელის ერთი მოქნევით „ამხანაგური“ ხიდი ჩაანგრია. და აპოლონის თვალწინ ერთ წუთში

თითქო მიწიდან აიზარდა და აიშოტა მანამდე უცნობი და უგრძნობი ვინმე არსება: ქალი ცოცხალი, მოქნილი, ძლიერი და მწვავე ცეცხლით შემოსილი, უცხო ვინმე მგზებარი და მთრთოლვარე, ვნებით დამდნობი და დამდნარი, წითელტუჩა, კბილთეთრა, თვალქინძლალა და ტანსავსე.

აპოლონი დღისით ოთახში იჯდა და თეთრი ქარიშხალის გადავლას უცდიდა. დარო მასპინძლის ვალს და ბიძაშვილის დავალებას პირნათლად ასრულებდა: წამ-და-უწუმ აპოლონის ოთახში შევიდოდა, ძმასავით უვლიდა, ართობდა, აცინებდა და იცინოდა.

აგიტატორის ბაასი და თვალის გეზი პირველივე დღიდან უცნაურად შეიცვალნენ და გადაიხლართნენ: აპოლონი მუდამ ბრძოლაზე და რევოლუციაზე ლაპარაკობდა, მაგრამ, ბოლოს, უნებურად ბუნების მშვენებაზე, მთვარის ძალაზე და სიყვარულზე გადადიოდა. ქალი და ვაჟი ერთმანეთს საკითხავ მასალას აძლევდნენ. აპოლონი ქალს მხოლოდ მძიმე ლიტერატურას — მარქსის, ენგელსის, ზომბარტისა და პლეხანოვის სქელტანიან წიგნებს სთავაზობდა, ხოლო დაროს მარტო „მსუბუქი“ რომანები და ლექსები მოჰქონდა. მარქსი და ენგელსი დაროს ოთახში არხეინად ისვენებდნენ, ხოლო რომანები და ლექსები აპოლონის ხელში უწყალოდ იწეწებოდნენ.

ორივეს გულებში რაღაც უუზარმაზარი, უჩინარი, სანეტარო და იდუმალი რამ უგუბდებოდათ. ლაპარაკს დაუკლეს. საჭმელს ძლივსღა ეკარებოდნენ. ძილს უფრთხოდნენ. დაბანგულნი დაბორიალებდნენ. ორ კვირაში დაილივნენ და დაიცრიცნენ.

ერთხელ, — მაშინაც შემოდგომის თბილი ღამე იყო, — გარინდული დარო ფანჯრის წინ იჯდა და ზედაზენის ქედს გასცქეროდა. აპოლონი ოთახში დატორტმანებდა. მერმე დაროს ზურგის უკან შესდგა, იმის შიშველ ბეჭებზე გადმოეყუდა და აბუტბუტდა. შემდეგ ერთი მკლავი ყელიის ქვეშ შეუყარა. მეორე ხელი ხელში სტაცა და ჩაეხუტა.

დარომ აპოლონის მაჯას თავისუფალი ხელი ჩაჰბღუჯა და გაიწია.

— გამიშვი...

— დაიცა, დარო, დაიცა... სათქმელი მაქვს. — ლუღლუღებდა სტუდენტი.

ასადგომად გაწეული დარო გაინაბა და სმენად გადაიქცა. აპოლონი ჰბოდავდა: გახურებულ სიტყვებს ჰყლაპავდა, სჩიოდა, იფიცებოდა, სთხოვდა და იმუდარებოდა. მერმე დადუმდა და თვითონაც გაინაბა. სიჩუმის შემდეგ წაილუღლუღა:

— მითხარი რამე... სთქვი რამე... გჯერა თუ არა ჩემი სიყვარული?

დარომ წამოიწია. მიუბრუნდა და მაღალი ტანით აპოლონს თითქმის გაუტოლდა. იდგა შუბლაკეცილი, ულიმო ქალი და ყავის ფერი თვალებით აპოლონის მაყვალა თვალებს აშტერდებოდა.

— ეგრე რად მიყურებ, დარო? — შეშინდა აპოლონი.

პასუხად ფაფუკი ხელები სტუდენტური მუნდირის გადმოკეცილ საყელოში ჩასჭიდა, ალანძული თავი ჩაჰქინდრა და წაიბუტბუტა:

— მჯერა.

და ორივენი ერთმანეთს ყელიებში შეუსხდნენ და ერთ განუშორებელ სხეულად გადაიქცნენ.

იმ დღიდან ორივენი სამოთხეში შევიდნენ. ორივესთვის დაუვიწყარი და მარად ცოცხალი დღეები დაიწყო. ორივენი მუდმივ ერთმანეთს უთვალთვალებდნენ და როდესაც სადმე კუნჭულში, კიბეზე ან ბნელ ტალანში ერთს წამს მაინც მოიხელთავდნენ, უმალ ერთმანეთს მიეტანებოდნენ ხოლმე.

როდესაც მეტი დრო მიეცემოდათ, დარო აპოლონს გვერდით მიუჯდებოდა ყელიაში შეუძვრებოდა და, თავს მკერდზე დაუდებდა და ბუტბუტებდა:

— გაჩუმდი, აპოლონ, გაჩუმდი.

და ორთა შორის მყუდროება, გარინდება და დუმილი ჩამოვარდებოდა.

— იყუჩე, აპოლონ, იყუჩე.

ერთ საღამოს ვერის ხიდთან მოუხ-



საქ. სსრ კ. მარქსის

ვიეს. წყლის ნაპირს გაჰყვნენ და მივარდნილ ქვიშნარზე გავიდნენ. მაშინაც მთვარიანი ღამე იყო. ბუტბუტა მტკვარზე ნამგალას ანარეკლი დამდნარ ვერცხლივით დაქცეულიყო. დარო წყლის ნაპირს მივარდა. ჯერ ქვა დააყარა, მერმე გაბადრული პირისახე და გაშლილი მკერდი მთვარეს მიუშვირა და ამღერდა.

— მეორე მითხარი, აპოლონ!

და სიმღერა განაგრძო.

— რუ-უ-ხა-ა-ა... მო-ო-ო... — ბოხის და ყალბის ხმით აჰყვა სტუდენტი.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! არც სიმღერა გცოდნია, არც სმენა გქონია.

— ეგ კი მართალი სთქვი. — დაეთანხმა აპოლონი და გაჩუმდა.

დარო მარტო მღეროდა. მღეროდა ახალი ხმით, იქვე მოგონილ სიტყვებით, იდუმალის ძალით, გატენილი გულით. და გაგანიერებული მკერდით, რომელიც მთვარესთვის მიეშვირნა.

მერმე ისე ჩაიხლართნენ ურთიერთში, თითქო მტრები შეიბნენო.

— გამიშვი...

— დარო... ჩემო დარო!

— გამიშვი მეთქი!

— დაიცა, დარო... ყური მიგდე. მე და შენ ცოლ-ქმარი ვართ.

— არა.

— ჰო მეთქი. რამდენიმე დღეში ჯვარს დავიწერთ.

— მაშ რამდენიმე დღის შემდეგ იყოს. გამიშვი მეთქი.

— არა, არ გაგიშვებ.

ორივენი აფთრებივით იბრძოდნენ: კვნესით, ხვნეშით, კაწვრით და გამწარებით. დარო ღონიერი და გამძლე გამოდგა. ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა, ხან უსხლტებოდა, მაგრამ იმავე წამს თვითონაც ვაჟს ებღაუჭებოდა, გულში იხუტავდა. მერმე უცებ მოდუნდა, გალხვა და ასლუკუნდა. აღარ იბრძოდა და აღარც შეეძლო.

* * *

დარო მშრალ ლამზე ეგდო და ყველაფრისა სცხვენოდა: მტკვრისა, მთვარისა, მთელი ქვეყნისა და აპოლონისა.

სტუდენტი იქვე იჯდა [illegible] ისროდა წყალში კენჭებს. მაშინაც გრძნობდა აპოლონი, რომ დაროს იმ წუთში უფრო სწყუროდა თბილი სიტყვა, ნუგეში და გამხნევება, ვიდრე სხვა დროს. მაგრამ გაცივებული გული ვერ გაილღო და თბილი სიტყვა ვერ იპოვა.

დიდ ხანს იყუჩეს. დარო წამოდგა. კაბა შეიბერტყა და გაშლილი თმა აიწნა. მერმე დაჩაგრული ხმით ერთი სიტყვა გადააგდო განზე:

— წავიდეთ.

და წამოვიდნენ. აპოლონი ფეხაკრეფით მოსდევდა და მაშინაც დაჭერილ ქურდს ჰგავდა. ბუჩქნარში გაუსწორდა და მკლავში ხელი გაუყარა. მერმე დაწყვეტილი ძაფები თავის თავად გაიბნენ და ჩატეხილი ხიდიც თვითონვე ამოშენდა.

მოდიოდნენ ქალ-ვაჟი და ზოგჯერ ერთმანეთის დასაკოცნელად შესდგებოდნენ. დარო ახითხითდა.

რამდენიმე დღის შემდეგ აპოლონი იმისი ქმარი გახდება?! დარო აპოლონ რაპოლიძედ გადაიქცევა?! სთცარია! უცნაურია.

— მაშ ცოტა ხანში მე რაპოლიძე უნდა გავხდე, არა? ხა-ხა... უცნაურია!

— ეგეთი წესია.

— სად ვიცხოვრებთ?

— ჩემთან, მშვენიერი ოთახი მაქვს. ერთ განიერ საწოლსაც ვიყიდი და...

საკვირველია! აქამდე დარო მარტო იძინებდა. მხოლოდ ბავშვობაში ჩაუგორდებოდა ხოლმე დედას. ეხლა კი ვიღაც უცხოს უნდა მიუწვეს, ისიც მამაკაცს! ალბად ბანჯგვლიანია აპოლონი. თუმცა... მერე, რაო?! თუნდ ეგრეც იყოს. დაროს მოსწონს აპოლონის გინგლი. საამური ღიტინი იცის ლბილმა ბალანმა. მიუწვება დარო და თითოთითოს დააგლეჯს. არა, როგორ აწკმუტუნდება დაროს ქმარი! ხი-ხი-ხი!

— რა გაცინებს, ქალო?

— ძილში ხვრინვა ხომ არ იცი?

— მაგაზე იცინი? არა, არ ვიცი. შენა?

— მე? ღმერთმა დამიფაროს!

მაშ ასე: რამდენიმე დღის შემდეგ დარო აპოლონს მიუწვება. უცნაურია! თუმცა... ღლევანდელის შემდეგ უცნაური არაფერია. „განიერ საწოლში" დაწვებიან და განიერ საბანს წაიხურავენ. ზაფხულში უსაბნოდაც გაგორდებიან.

— წელან ხომ არაფერი გატკინე, დარო?

— არაფერი.

— ხომ არ გეწყინა?

— გაჩუმდი.

რა თქმა უნდა, ეწყინა. თუმცა... რა არის საწყენი? დაროს მოსახდენი უნდა მოეხადნა. დღეს მოიხდიდა თუ ერთი კვირის შემდეგ, განა სულ ერთი არ არის? ესეთი ყოფილა გასათხოვარის ხვედრი. ისიც სულ ერთია, სად მოიშორებდა მოსაშორებელს: საწოლზე თუ ბუჩქნარში, ოთახში თუ ლამიანზე. აპოლონი დამშვიდდა. დაროს მეტიც არაფერი უნდა. თუ დანიშნულმა ერთი წუთით მაინც იგრძნო ბედნიერება, ამით დაროც ბედნიერია.

— აპოლონ, ბედნიერი ხარ?

— ჰო, შენი ჭირი მე, ჰო. შენ, შენა?

გაჩუმდი, აპოლონ, გაჩუმდი! ეხლა სიტყვა გრძნობას ანელებს. სიტყვა ზედმეტია. ისევ გაყუჩება სჯობია. გაჩუმდი, აპოლონ, გაჩუმდი! იყუჩე, დაროს ერთავ, იყუჩე!

და მაშინაც ყოველივე ირგვლივ — ვერის ხევიც, მტკვარიც, მაღლა მთვარეც და ძირს ქალაქიც ისე გაყუჩებულიყვნენ, როგორც ორი დანიშნული, რომელთაც ვერის ხევისკენ შეუხვიეს. მერმე შესდგნენ. აპოლონი მთვარეს შესცქეროდა და რეტიანივით ბუტბუტებს:

მაღლა დარი შენებრ დარობს
დაბლა დაროს სჯობს დარება.
დარდმა დარი მოიდარა.
დაროს აჩრჩობს ნეტარება.
ნეტა თუ კინ დამიწუნოს
დაროს დართან შედარება?

უცებ ის ხევი დაროს კისკისით გაიტენა. და ქალის ხითხითს აპოლონის ხრახი სიონის დედა-ზარივით შეემატა.

— როგორაო? როგ[illegible]ხა-ხი-ხი... ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ მითხარი, გენაცვალოს დარო.

და ლექსით გატენილი პოეტი მეორედ და მეხუთეჯერ დამბაჩასავით ისვრის:

მაღლა დარი შენებრ დარობს.
დაბლა დაროს სჯობს დარება.

სიცილით და ლექსის სროლით შევიდნენ ქალაქში.

მართლა, ეხლავე უთხრან დაროს დედას ნიშნობა? რა თქმა უნდა, ეხლავე უნდა უთხრან. მაშ ასე: დარო და აპოლონი ერთად შევლენ. დარო ეტყვის დედას: „დედი, აი შენი სიძე. დაგვლოცე". აპოლონი დაუმატებს: „დედი! სამი დღის შემდეგ ქორწილში მეწვიე". მეტს არაფერს იტყვიან.

— დედა-ჩემსაც დედას დაუძახებ, აპოლონ?

— რა თქმა უნდა. ორი დედა მეყოლება.

დარომ გაიღიმა და ხელი ხელში მოუჭირა. „გენაცვალოს დარო, დედი! — ფიქრობს დარო. — უკვე ვიპოვნე საბედო. მართალია შენი ჭკუის ვაჟი არ არის. ყუმბარებს აკეთებს და ვილაცის აფეთქებას უპირებს. მაგრამ ამის გამო ნუ ახირდები და დაროს ბედს ნუ წაართმევ".

დედა შეშინდება, მაგრამ დასთმობს. სამ დღეში ქორწილს მოიხდიან. მერმე კი განუწყვეტელი მხიარულება და ბედნიერება დაიწყება. აღარ გათავდება იგი. არასოდეს არ გათავდება, არასოდეს!

თავიანთ სახლს მიადგნენ და კარებში შესდგნენ.

მაშ ესე: დარო ეტყვის დედას: „დედი, აი შენი სიძე". აპოლონი დაუმატებს: „დედი, სამი დღის შემდეგ ქორწილში მეწვიე". მეტს არაფერს იტყვიან. როგორ გაოცდება საწყალი! როგორ გაუხარდება! ხი-ხი-ხი! ...ხო-ხო-ხო! აბა, შევიდეთ!

— შესდექით! — მოისმა უცებ ბნელ

კიბეზე და ქალიც განათდა. — ხელები ასწიეთ! აპოლონ რაპოლიძე ხართ, არა? წამობრძანდით.

და ერთ წუთში სამმა კაცმა აპოლონი ბნელ შესახვევში შეიტაცეს.

გაჰქრა იმ დღიდან აპოლონი. დღე არ გავიდოდა, რომ დარო პროკურორის კარებთან არ ატუზულიყო. მერმე, ხელცარიელი და დარეტიანებული დანიშნული მეტეხს მიადგებოდა და შორიდან მოაჯირიან ფანჯრებს შესცქეროდა, მაგრამ აპოლონს თვალიც ვერსად მოჰკრა. ერთხელ ლოგინად ჩავარდა. ორი კვირის შემდეგ ძლივს წამოდგა და გაიგო, რომ აპოლონისათვის სამხედრო სასამართლოს ყუმბარების შენახვისთვის ოცი წლის კატორღა მიესაჯნა. სულიერი სენი უმალვე დაუბრუნდა და გაუმძაფრდა. ღიმილი მოკვდა იმის მხიარულ პირსა და თვალებში, ხან საბელს ეტანებოდა, ხან საწამლავს ეძებდა.

ერთხელ რაღაც გაიგო. თვალის მდევნელს გაეპარა და სადგურზე გავიდა. ცალკე, მოშორებით ორი ვაგონი იდგა, ჯარისკაცებით და ჟანდარმებით შემოხვეული. დარო თვალახვეულივით დაბორიალებდა. მალე ქვეიდან ტუსაღების რაზმი გამოჩნდა, ისიც ჯარისკაცებით შემორტყმული. ისმოდა ხუნდების ქლარუნი და დარაჯების შეძახილი:

— Посторони-и-ись!...

— Проходи-и!

აგერ, აპოლონიც გამოჩნდა: მაღალი, ჩასხმული, თამამი, გინგლიანი, თიხის ფერ ტუსაღური ტანისამოსით და ზურგზე აკიდებულ მცირე ბოხჩით.

— აპოლონ! აპოლონ! მე ვარ!... აქ ვაააარ!

და დარაჯების რკალი ისე შეარღვია, რომ ყველანი დააფეთა და შეაჩერა.

ბატონებო, მიუშვით დარო აპოლონთან, მიუშვით! რად შემოეხვიეთ ამოდენა ხალხი ერთ ულონო ქალს?! რა გინდათ ერთ უძლურ ავადმყოფისგან, რა?! აგერ, იმ ტუსალთან მიუშვით. აგერ, იქ რომ გახევებულა... ტუჩები რომ უთრთის და ცრემლი რომ ლაპალუპით ჩამოსდის. მხოლოდ ორი სიტყვა ათქმევინეთ დაროს, მხოლოდ ორი. თუ მოხვევნა ან კოცნა არ შეიძლება, შორიდან მაინც ეტყვის სათქმელს და მაშინვე წავა.

— გამიშვით!... თავი დამანებეთ!... მომშორდით!

— დამშვიდდით, ქალბატონო, დამშვიდდით. — ეჩურჩულება დარაჯების აფიცერი. — მერე გაჩვენებთ, როცა ტუსაღები ვაგონში ჩასხდებიან.

ჰოი, უცნობო, ღმერთმა მოგცეს კეთილი ბედი და დღეგრძელობა. თქვენი გვარი და სახელი? შალვა შველიშვილი? ნეტა როგორ, ან როდის გადაგიხადოს დარომ მადლობა! ღმერთმა გიკურთხოს თუ შენცა გყავს საბედო. ალბად გეყოლება, თორემ ეგრე რა მოგალბობდა და დაროს უბედურ თავს ეგრე ვინ შეგაბრალებდა?! მადლობელი, გენაცვალოს დარო, ბატონო შალვა, მადლობელი!

დარაჯების ირგვლივ ტუსაღების მშობლები და ნათესავები დაბორიალებდნენ და დასაკარგად განწირულებს გლოვობდნენ. ზოგნი ჩუმად სტიროდნენ ზოგნი კი დაჭრილი ნადირივით ბღაოდნენ. ყველანი კატორღელებს ეტანებოდნენ, მაგრამ ხიშტების რკალს რომ აწყდებოდნენ, შვილებს შორიდან შესცქეროდნენ და თითო-ოროლა მდუღარე სიტყვას ესროდნენ.

აგერ, ერთი თმაგაწეწილი დედაკაცი ჰკივის, ხიშტებს ზედ აწყდება და აპოლონისკენ მიიწევს. ხნიერი მზარეული ცოლს ამშვიდებს და თვითონაც სდუღს. აპოლონი თავის მშობლებისკენ იცქირება და მხრებს იშმუშვნის: „რა ვქნა, დავიღუპე და დაგღუპეთო".

ტუსაღები მიატრიალეს და თითოთითოდ ვაგონებში შერეკეს.

დარომ ვაგონებს მეორე მხრიდან მოუარა და იქვე ახლოს მიიკუნჭა. ოციოდე წუთის შემდეგ კარებში შველიშვილი გამოჩნდა და დაროს თითი დაუქნია. ვაგონის ტალანში აპოლონი იდგა. ტუსალს დარო სიცილით და ბღავილით ჩაუვარდა მკლავებში.

— შენ გენაცვალე-ე-... შენი ჭირი მე--ე... სად მიხვალ — ა-ალ...

აფიცერი მიბრუნდა. ერთს თოფიან ჯარისკაცს ხველა აუტყდა. მეორემ მაზარის სახელოთი ·კვალი მოისრისა.

— მე უკვე განცხადება შევიტანე...: — ლუღლუღებდა დარო. — გესმის? განცხადება შევიტანე, რომ მეც მიმილონ კატორღაში. გაიგე?...

— რას ამბობ, დარო?!

— ჰო, მეთქი, ჰო! შენ გაჩუმდი. შენი საქმე არ არის. — ისროდა სხაპა-სხუპით. — კანონი ესეთია: თუ ტუსაღს ცოლი ან დანიშნული გაჰყვა კატორღაში, მისჯილი ვადა უნდა გაუნახევრდეს. გესმის? გაიგე?

— არა, არ მინდა.

— არა კი არა, ჰო მეთქი, ჰო!

— არასოდეს! შენს თავს უშველე, დარო!

— აპოლონ! ყური მიგდე...

— არა, არა და არა მეთქი! მე დავიღუპე. ჩემი საქმე გათავებულია... მე განწირული ვარ... მე შენი მსხვერპლი არ მინდა... ვერ მიშველი.

— გიშველი. ნახევარს მოგხსნი.

— არ მინდა მეთქი, არა!

— აპოლონ! ან უნდა წამოგყვე, ან თავი უნდა მოვიკლა. ამის იქით მე გზა არა მაქვს.

— დარო, მოისმინე ჩემი უკანასკნელი თხოვნა და ანდერძი: მალე დამივიწყე და გათხოვდი.

ეს სამი სიტყვა ისე მოხვდა დაროს, როგორც ღვთის გმობა მორწმუნეს. დაივიწყოს აპოლონი?! მათი სიყვარული?! ის ღამეც?! აპოლონ, გესმის რას ამბობ? რამ გათქმევინა, ან რამ მოგაფიქრებინა ესეთი უმსგავსი რამე?! ვაი, დაროს ბრალი! როგორ გცნობია შენი დანიშნული. შენ დაგივიწყოს და სხვას მისთხოვდეს! შე უბედურო, შენა, როგორ ამოიღე პირიდან ეს სიტყვები?!

— შენი გათხოვება სამუდამოდ დამამშვიდებს. შემატყობინე შენი ქორწილი.

ეს იყო ტუსაღის უკანასკნელი სიტყვები.

— ქალბატონო, გთხოვთ... გამიშვით. — ჩაუდგა ორივეს შუაში შალვა შველიშვილი.

დაროს მუდარა კივილით და ფართხალით დასრულდა. დარაჯებმა ძლივს ჩაათრიეს გააფთრებული ქალი, რომელიც კარებს და სახელურებს ეჭიდებოდა.

აპოლონი გაჰქრა.

ვაგონები მატარებელს მიაბეს.

შველიშვილმა ტუსაღები მეორე რაზმს ჩააბარა, თავისი გაისტუმრა და დაროს თვალი გააყოლა.

და როცა მატარებელი დაიძრა, წინმდგომი დაროც მიმავალ ორთქლმავლისკენ გაიქცა. მაგრამ იმავ წუთს მხრებში შველიშვილი დასწვდა.

ერთი საათის შემდეგ ახლად გაცნობილმა „პორუჩიკ"-მა თითქმის უგონო ქალი ვაკის ქუჩაზე გაიყვანა და დედას ჩააბარა.

* * *

დარომ თავი მოაბეზრა მოხელეებს: დღე არ გავიდოდა რომ თავთ არ დასდგომოდა და კატორღაში წასვლის ნებართვა არ მოეთხოვნა. მაგრამ, რადგან ჯვრისწერის მოწმობა ვერ წარადგინა ამიტომ ვერც ნებართვა მიიღო.

სანამ წასვლის იმედი ჰქონდა, დარო აშლილი და აფორიაქებული იყო. ხოლო როდესაც მტკიცე უარი მიიღო, პირმოხსნილ ტიკივით მოეშვა და ისე ჩაიჭედა თავის ოთახში, როგორც კუბოში. სინათლეს, ჰამა-სმას და ნაცნობ ნათესავებს ისე გაურბოდა თითქოს ცოცხლად აპირებდა სამარეში ჩასვლასო.

აპოლონის გასტუმრების დღიდან მხოლოდ შალვა შველიშვილს მიენდო და მისი მადლი დააფასა. ახალი ნაცნობი ყოველ დღე მიდიოდა დაროს მოსაკითხავად და პროკურორ-გუბერნატორთან მისაყოლად და დასახმარებლად.

— ღმერთმანი, არ ვიცი: როდის ან როგორ უნდა გადაგიხადოთ მადლობა. — ხშირ-ხშირად ეუბნებოდა დარო.

— რისთვის, ქალბატონო დარო?

— ჯერ ერთი, იმისთვის, რომ აპოლონი მაჩვენეთ, მეორე — სიკვდილისგან გადარჩენისათვის, მესამე — ხელისუფლებთან დახმარებისათვის, და მეოთხე — მოკითხვისთვის, ნუგეშისთვის და გამხნევებისთვის.

ხოლო როდესაც სამუდამოდ დაჰკარგა ციმბირში წასვლის იმედი, შველიშვილს საყვედურით ავსებდა:

— ნეტა თქვენი თავი არ მენახა.

— აპოლონსაც ვერ ნახავდით.

— მართალია, მაგრამ იქვე ერთ წუთში გავათავებდი ყოველივეს, ეხლა კი...

მაინც მხოლოდ შალვას და დედას იკარებდა. არც ოთახიდან გამოდიოდა, არც ლოგინს შორდებოდა. მუდმივი შიში, სევდა და დუმილი დასჩემდა. ექიმები მოდიოდნენ, მიდიოდნენ და იმეორებდნენ:

— მელანქოლია სჭირს... გაიყვანეთ... გაართეთ... გაათხოვეთ.

მაგრამ გათხოვებაზე დაროსთან ხმას ვერავინ ამოიღებდა, ხოლო ყოველგვარი გართობა — გავლა, ხმაურობა, სიცილი, ხუმრობა და ღიმილიც კი ავადმყოფს უარესად სტანჯავდა და აკაპასებდა. მხოლოდ შალვა შველიშვილი ახერხებდა დაროსთან შესვლას, ბაასსა და ათასში ერთხელ ქალის გაღიმებასაც. ულამაზო, უშნო და მოუხეშავი ადამიანი იყო. სამაგიეროდ ბავშვის გული ჰქონდა, ყოველი ცხოველის ხმას ზედმიწევნით აჯავრებდა და ათასი მასხრობა, მხიარული ამბავი და ანეკდოტი იცოდა. მეზობლებიც კი შემოვიდოდნენ ხოლმე მეორე ოთახში და ტალანში, როდესაც შალვა თავის ოინებს და ამბებს მოჰყვებოდა. ხან კუნტრუშით მოსხლტებოდა და კვიცივით ჭიხვინებდა, ხან ჯაგჯაგით დარბოდა და კამეჩივით ყროყინებდა ხან ისე აყეფდებოდა რომ ქუჩის ყველა ძაღლებიც იმ სახლისკენ გარბოდნენ ყეფით და წკმუტუნით. ზოგჯერ ძროხასავით ბღაოდა, ზოგჯერ ოთხით აჩოჩდებოდა და ბავშვივით ალრიალდებოდა. ხან დათვივით ძუნძულს მოჰყვებოდა და აბუტბუტდებოდა. ხან კიდევ იმ ოთახში ერთმანეთში აირეოდნენ ღორების ჭყივილი, გოჭების ჭყვიტინი, ბატების ყიყინი და ფრინველთა ყლურტული, ჭიკჭიკი და ხივილი. და როდესაც თვითონაც დაიღლებოდა და დაროსაც ნერვიულ სიცილ-ტირილამდე მიიყვანდა, ავადმყოფს მეგობრულად დაუკოცნიდა ხელებს და ბავშვივით დაარიგებდა:

— აბა, არ მოიწყინოთ. საღამოზე მოვალ და გაგატარებთ.

და საღამოზე ისე დაჰყავდა ახლომახლო, როგორც ძიძას ახლად ფეხამდგარი ბალღი.

შალვა მალე გადაიქცა დაროს ძმად, მამად, მეგობრად და მზრუნველად.

დაროს ერთმა ნათესავმა ერთხელ სიტყვა „დანიშნული“ იხმარა. და ამ სიტყვამ ისე აადუღა და გაამწარა აპოლონის დანიშნული, რომ შალვამ თავი ძლივს გაიმართლა. მაგრამ ერთხელ ნასროლმა სიტყვამ იმ სახლში თანდათან ფეხი მოიკიდა და ფესვი გაიმაგრა. მერმე ამ სიტყვამ უნებურად დაროს თავშიც დაიბუდა. როდის შეძვრა ის უხამსი აპოლონის დანიშნულის თავში, ან როგორ მოიკალათა დაკარგული ტუსაღის სამფლობელოში, დარომაც ვერ გაიგო. დაქვრივებულმა ქალმა ახალი ბინადარი ნელნელა შეიჩვია და მოინელა. სამაგიეროდ შალვა შველიშვილმა ბეწვიც ვერ გაჰკრა დაროს გულს, რომელიც პირსავსე დოქივით მუდამ გატენილი იყო შებორკილი კატორღელის ხსოვნით, ცეცხლითა და სახელით.

„მალე დამივიწყე და გათხოვდი... შენს თავს უშველე, დარო“. — ხშირად აგონდებოდა ქვრივს აპოლონის ანდერძი, მაგრამ მისი აზრი მაინც ვერ გაიგო. რისთვის? ვისთვის? იმისთვის, რომ აპოლონი დაამშვიდოს? ვითომ დამშვიდდება სადღაც აკატუიში ჯვარცმული ქვეყნის ნაპირზე გადაკარგული აპოლონი? არა, არა! სტყუის აპოლონი, სტყუის! დამშვიდდება კი არა, მეორე და მესამე ჯვარზედ გაეკვრება, თუ... თუ დარო არ დაივიწყა და უკვე არ დამშვიდდა. დაივიწყა?! ღმერთო დიდებულო! ნუ თუ შეიძლება, რომ კუბოში

ჩაჭედილმა ცოცხალმა ადამიანმა დაივიწყოს ერთად ერთი სიყვარული, ისიც ჭაბუკური, პირველი და უკანასკნელი?! დაივიწყოს ის ერთი კვირა... ის ერთი ღამე... იქ. მტკვრის ნაპირზე... ან ის წუთი, ვერის ხევში, როდესაც უუზენაესი ბედნიერებით გულსავსე ჭაბუკი დამბაჩასავით ისროდა:

მაღლა დარი შენებრ დარობს.
დაბლა დაროს სჭირს დარება.
დარდმა დარი მოიდარა.
დარო, ახრჩობს ნეტარება.

დაროს მართლა ახრჩობს წარსულის მოგონება: ის კვირა და ის ღამე მერმე დარდი და ურვა. მერმე სადგური, შებორკილი ტუსაღი, უკანასკნელი კოცნა და... საზარელი ანდერძი: მე დაკარგული ვარ. მე გათავებული ვარ. ცოცხლების სიიდან ამომშალეს... შენ შენს თავს მოუარე... თავს უშველე... გათხოვდი და დამამშვიდეო. მაშ თვითონ კი ყოველივე დაივიწყა და დამშვიდდა? არა, არა და ათასჯერ არა! ამას დარო არასოდეს არ დაიჯერებს.

შალვა შველიშვილო! შენ კეთილი, გულწმინდა და მართალი კაცი ხარ. შენ ერთად ერთი მეგობარი ხარ დაროსი. შენი სიკეთე ქვრივს არასოდეს არ დაავიწყდება. ადრე იქნება თუ გვიან, ასჯერ გადაგიხდის მადლობას. მაგრამ აპოლონის მაგივრობას შენ ვერ გასწევ. ვერც სხვა ვინმე გასწევს. ის ტუსაღი დაროს გულში ერთად-ერთი მდგმურია და მუდამ ერთივე დარჩება.

შენ, შალვა შველიშვილო! გულში დაროს ცოლობა გიდევს. ამოიღე, გადააგდე და დაივიწყე. მაგრამ ვთქვათ, მოგთხოვდა კიდევაც. მერმე? რად გინდა უსულო ხორცი? რისი მაქნისია ცოლი, თუ იმის გულში სხვა ვინმე ცხოვრობს? რისთვის გინდა ქალი, თუ შენ არ მოგეხვევა, და თუ მოგეხვევა, იმავე წუთს შენს მაგივრად აპოლონი ეყოლება ჩახვეული მკლავებში?

მაგრამ შალვა შველიშვილი უჯიათი, კერპი და შეუპოვარი ადამიანია. ჯერჯერობით ხმას არ იღებს. [illegible]გუ-ლში იტრიალებს დაროს[illegible]რო კი იმის გულს წიგნივით კითხულობს და გუნებაში პასუხსაც აძლევს. შალვას ეს პასუხი ან არ ესმის, ან თავს იკატუნებს. და ისევ თავისი გზით მიდის: ყოველ დღე ჰიხვინებს, დარბის, ჰყეფს, ჰყივის, ყიყინებს, პატარა ოთახში დათვივით დაბორიალებს, თვითონაც ხარხარებს და დაროსაც ტირილნარევი სიცილით აცინებს.

აპოლონის დაკარგვის დღიდან დარო აღარ კოხტაობს. დაუდევრობა და სულიერი მოლლა დაეტყო. ვისთვის ჩაიცვას? ვისთვისღა მოიკაზმოს? შალვა მოშინაურდა. დარო შეეჩვია. აღარ ერიდება. ერთხელ პირდაუბანელი დაუხვდა, მეორედ — ჩაუცმელი და გაწეწილი. მერმე მეგობარს ველარც კი ამჩნევდა: იმის თვალწინ ივარცხნიდა, იცვამდა და შიშველსაც აჩვენებდა.

დედამ და ნათესავებმა ჯერ გადაკვრით და მერმე პირდაპირაც მოუხშირეს გათხოვებაზე და დაბინავებაზე ლაპარაკს. დარო პასუხსაც აღარ აძლევდა და შალვაზე ფიქრობდა:

„ვერ გაჰბედავს“.

მაგრამ შალვამ ნელ-ნელა გაბედა. მერმე დრო მოიხელთა და პირდაპირ უთხრა:

— დარო. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. მოდი უფრო დავმეგობრდეთ.

დარო მიუხვდა. გაფითრდა და დაიბნა:

— როგორ?... რით?

შალვამ ეხლა კი გაიხსნა გული. თავისი განზრახვა ჭკვიანურად დაასაბუთა და მომავალი მყუდრო ცხოვრება და ნელი ოჯახური ბედნიერება დაროს ცხადლივ გადაუშალა. ბოლოს შეეხვეწა:

— ეხლავე ნუ მომცემ პასუხს, მეგობარო. მოიფიქრე და გაზომე. „არას“ თქმას ყოველთვის მოასწრებ.

ორი კვირა გავიდა. შალვას ხმა აღარ ამოუღია. იმის მაგიერ ნათესავებმა უფრო მოუხშირეს კირკიტი, შთაგონება და ფუსფუსი. და როდესაც სულერ-

თიანობით მობეგვილი ქალი მოსტეხეს, როცა ურჩი კედელი რვა თვის კაკუნით მოალბეს და მოარღვიეს, მხოლოდ მაშინ ჰკითხა შველიშვილმა:

— ჩემო კარგო. ჩვენი ბაასი ხომ არ დაგავიწყდა?

— არა... მახსოვს.

— მაშ. თუ შენც თანახმა იქნები, ენკენისთვეში დავიწეროთ ჯვარი.

— სულ ერთია. — თავის-თავად გადმოვარდა დაროს პირიდან.

და როდესაც ენკენისთვე მოვიდა, როცა შალვამ თეთრი დედოფალი გვერდით მიიწვინა, უჩინარი ხუნდებიანი ტუსაღიც ისე ჩაწვა ცოლ-ქმარის შორის, როგორც საკუთარ ლოგინში: სამუდამოდ, მჭიდროდ და მოურიდებლად.

და ის ცოცხალი გვამი აქაც ისე იყო ჩაჭედილი, როგორც იქ, თავის კუბოში, ამ ქვეყნისა და საიქიოს საზღვარზე მდებარე აკატუის კატორღაში.

ერთი წლის შემდეგ მარინე დაიბადა. დარომ აპოლონს ანდერძი შეუსრულა და ეს ამბავი წერილით შეატყობინა. სწერდა: „რა თქმა უნდა, ჩვენი უკანასკნელი წუთი გეხსომება. ალბათ ის აფიცერიც გახსოვს, რომელმაც შეგვიბრალა და ერთმანეთი გვაჩვენა. სწორედ იმ კაცს, — შალვა შველიშვილს მივთხოვდი. „მერმე ერთი წმინდანური ტყუილიც დაუმატა: „შენგან ქალი მეყოლა, მარინე დავარქვი. ის ქალიც ისე შეიყვარე, როგორც მე გიყვარდი“.

ამას რომ სწერდა, ფიქრობდა: ჩემს ხსოვნას უფრო ღრმად ჩავუჭედავ თავში და გულში მამობრივ სიყვარულსაც გავუჩენო. და იმ წერილს თავისი და პაწაწა მარინეს სურათებიც მიაყოლა.

პასუხს დიდ ხანს ელოდებოდა.

„ალბათ კატორღელებს მიწერ-მოწერის უფლებას არ აძლევენ“. — ფიქრობდა დარო და მეათე წერილს სწერდა.

მაგრამ აკატუიდან გამოძახილი მაინც არ მოისმოდა.

„რა თქმა უნდა, ჩემი წერილები აპოლონს არ მისდის“. — გადასწყვიტა ბოლოს და იმ დღეს დაწერილი წერილიც დაჰხია.

* * *

აკატუის კატორღაში დრო ჭიაყელასავით მიცოცავდა, ხოლო ამ ქვეყნად — გრიგალივით მიჰქროდა.

შალვა შველიშვილს ჯერ ბურთივით ისროდნენ აქეთ-იქით, მერმე სტავროპოლს მოეკიდა და იქ გაიდგა ფესვები.

ცხოვრება დუნედ და ზლაზვნით წავიდა. შალვა სამსახურის კიბეზე ფეხაუდგმელ ბავშვივით მიჩოჩავდა. დარო დამშვიდდა და დასრულდა. მარინე ცამეტი წლისა შესრულდა და ისე დაემსგავსა ადრინდელ დაროს, როგორც საკუთარ თავს.

ჩრდილოეთიდან წითელი ნიავი მოდიოდა. მერმე ის ნიავი ქარად გადაიქცა, ხოლო ქარი — მჭექარე ქარიშხლად და გრიგალად. და იმ გრიგალმა და კორიანტელმა ბუმბულივით აჰშალეს, მოიტაცეს და დააბორიალეს ის მყუდრო ქალაქიც და შალვა შველიშვილიც.

ერთხელ ქალაქსაც მისწვდა თოფის გრიალი და ზარბაზნის ქუხილი. შველიშვილს სასულიერო სემინარიასთან ჰქონდა ბინაც და სამსახურიც.

დაროც და მარინეც ხედავდნენ ყაზარმებიდან გამოსულ შალვას და იმის პოლკს. მუსიკით და სიმღერით ჩაიარეს. შალვამ ორივენი გულში ჩაიკრა.

— ნუ სტირით... ასჯერ გადავრჩი, ეხლაც გადავრჩები. მშვიდობით ...მშვიდობით!

და ორივენი ძლივს მოიგლიჯა კისრიდან. მერმე ცხენზე შეჯდა და მიმავალ პოლკს დაეწია.

ბრძოლის ჭექა-ქუხილი თან-და-თან ახლოვდებოდა. სალდათები ჯგუფ-ჯგუფად მოიპარებოდნენ. მერმე დანარჩენებმაც იხუვლეს და გამოიქცნენ. ბრძოლა ქუჩებში შემოიჭრა. ორი საათის შემდეგ მაღლობზე ასვეტილ თეთრი სამრეკლოს თავზე წითელი ბაირაღი ფრიალებდა და წითელ ჯარს ცნობებს აწვდიდა. სროლა შენელდა.

თეთრმა ჯარმა ქვევით. სადგურისკენ დაიწია. შალვა არსად მოსჩანდა.

შეშინებული დარო და მარინე სარდაფიდან ამოვიდნენ. დარომ შიში დასძლია. შალი მოიხვია და ქუჩაში გავიდა. იარაღაყრილი თეთრი სალდათები უკვე წითლებს უმეგობრდებოდნენ. დარომ რამოდენიმეს გამოჰკითხა. ბოლოს, ერთმა უთხრა:

— დაიჭირეს. ეს არის ეხლა გაატარეს.

— საით? საით გაატარეს?

— აგერ, იქით.

К стенке приставлют.

დარო გაიქცა. თვითონაც არ იცოდა, საით მირბოდა, ან ვის ეძებდა: შალვას თუ წითლების შტაბს. ბოლოს ვიღაცამ „ცენტრალურ სასტუმროზე" მიუთითა:

— იქ არიან.

დარაჯებმა არ შეუშვეს. დიდი ბაღის მხრიდან მოუარა სასტუმროს, ეზოში შევიდა. აქ აღარავინ ჰკითხა ვინაობა. ისეთი ფაცა-ფუცი და სირბილი იყო, რომ ერთმანეთსაც ძლივსღა სცნობდნენ. ვიღაცამ მიასწავლა.

— Там.

დარომ გრძელი ტალანი გაირბინა და ერთი ოთახის კარები გამოაღო. გამოაღო და კარებშივე ისე გაქვავდა, თითქო შიგ ვეღარ გაეტიაო. იმის წინ აპოლონ რაპოლიძე იდგა: თხემით-ფეხამდე შავსა და მბზინავ ტყავში ჩამჯდარი. თავთ ეხურა მეზარადის მსგავსი ტყავისავე ჩაბალახი, რომელსაც წინ მიკრული ჰქონდა ხუთსხივიანი წითელი ვარსკვლავი. ხშირი და ტყავზე უფრო შავი წვერი განიერ მკერდზე ეყარა.

აპოლონ რაპოლიძე, ოდესღაც სხარტი სტუდენტი, ეხლა ლაკირონის ჯაჭვში და ჩაფხუტში ჩამჯდარი რაინდს ჰგავდა, რომელსაც მხოლოდ ფარი და მახვილი აკლდა.

რაპოლიძე ორს ამხანაგს რაღაც ფიცხელ დარიგებას აძლევდა. კარებში შემდგარ დედაკაცს რომ თვალი მოჰკრა, გაშვერილი ხელი ჰაერშივე გაუშეშდა.

— აპოლონ... ღმერთო ჩემო. — წაილუღლუღა დარომ და ძლივს დაიხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის დიდი მაგიდა იდგა. და ის მაგიდა დაროს სანგარივით გადაეღობა, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი უცხო დარაჯი ესვეტა. და იმ საფარიდგან აპოლონ რაპოლიძე უდრეკ ციხისთავივით გამოიყურებოდა: მტკიცედ. პირქუშად, თითქმის მრისხანედ. ხელი ძლივს გაუწოდა და ორი გაყინული სიტყვით დაროც გაჰყინა:

— რა გნებავთ?

— მე?... მე თქვენთან საქმე მაქვს...

და ორ უცხოს გადახედა. ორივენი წასასვლელად შეტოკდნენ, მაგრამ რაპოლიძემ ორივეს ხელით ანიშნა: დარჩითო, და ისევ დაროს მიუგდო:

— სთქვით, ნუ ერიდებით. მე ამათთან დასამალავი არაფერი მაქვს.

დარო შეყოყმანდა, აილეწა და აირია. მერმე გამშრალ პირიდან ძლივს ამოილო:

— ჩემი ქმარი... დააპატიმრეს.

— ვიცი. მერმე?

იცის? მაშ ცამეტი წლის წინათ კატორღაში გაგზავნილი დაროს წერილი მიუღია. თორემ როდის, ან როგორ გაიგებდა, რომ დარო ვიღაც შველიშვილის ცოლია? უცებ რაღაც იმედი მიეცა, მაგრამ აპოლონს რომ შეხედა, ისევ სისხლი გაეყინა.

— მერმე მეთქი? რა გნებავთ?

— სათხოვნელად მოვედი... არაფერი დაუშავოთ.

აპოლონმა ლითონის ღიმილით გაიღიმა, ადრე, თოთხმეტი წლის წინათ, დარო აპოლონის პირზედ ასეთ ღიმილს ვერც კი წარმოიდგენდა.

— არაფერი დაუშავოთო?! ჰმ... კეთილი. მაგრამ, მგონი, თქვენი ქმარი პოლკის უმფროსი იყო, არა?

— დიაღ, მაგრამ...

— რამდენიმე საათის წინათ ჩვენს სისხლს ჰღვრიდა, ხომ?

— არ ვიცი... მაინც გთხოვთ, გეხვეწებით.

აპოლონმა სიტყვა გააწყვეტინა:

— თხოვნას და ხვეწნას ჩვენში არა-

ვითარი ფასი არა აქვს. ყოველივე ცხადია. არ მესმის, ან თქვენ რად შეიწუხეთ თავი, ან სხვას რად აწუხებთ.

ჰოო? მაშ ეგრეა საქმე?! მაშ ეგრე გამოცვლილხარ, აპოლონ?! მაშ ეგრე ადვილად მიაფუჩეჩე ყოველივე?! ეგრე იოლად დაივიწყე წარსული?! დარო წელში გაიმართა. თვალებში ცეცხლი გაუჩნდა და ხმაში რვალი ჩაესხა.

— ბატონო აპოლონ!

— აპოლონ იორამის ძე. — გაუსწორა აპოლონმა.

— ბატონო აპოლონ იორამის ძევ!

— ბატონო კი არა, ამხანაგო თქო. — კვლავ გაუსწორა რაპოლიძემ.

— არასოდეს! — მიაძახა ქალმა — არასოდეს! პირადად თქვენ ჩემი ამხანაგი არა ხართ... აღარა ხართ. — და ორს უცხოს მიუბრუნდა. — მე ამ ადამიანისგან შვილი მყავს. როცა კატორღაში ჰგზავნიდნენ, მეც თან მივყვებოდი, მაგრამ თვითონ არ მოინდომა. ანდერძად დამიტოვა: გათხოვდი და დამივიწყეო. მე მაინც არ დავუჯერე. რამდენიმე თვე დავეხეტებოდი და კატორღაში წასვლის ნებართვას ვთხოულობდი. მინდოდა ამისთვის ვადა გამენახევრებინა. მაგრამ კანონმა ნება არ მომცა, რადგან დაქორწინებულები არ ვიყავით. ბოლოს, იმედი რომ გადამიწყდა, გავთხოვდი და ამის ქალიშვილს მამა ვუშოვნე. იმ კაცმა ამ კაცს შვილი გაუზარდა. ხოლო ეს კაცი მადლობის მაგიერ თავის შვილის ნამდვილ მამას უპირებს...

და იმ ერთ სიტყვას ველარ მოერია.

„ღმერთო დიდებულო! გააჭრევინე ჩემს სიყალბეს. შენ იცი, თუ რისთვის და ვისთვის ვიცრუე". — გულში მოინატრა თითქმის დაქვრივებულმა დედაკაცმა.

— გაჩუმდით! ხმა გაკმინდეთ! — დაიგრიალა აპოლონმა და დიდი მუშტით კინაღამ მაგიდა ჩაამტვრია. რაც ამ დედაკაცმა სთქვა, ყოველივე მართალია.

„უუჰ" — გულს მოეშვა დაროს.

— მაგრამ, — მიუბრუნდა დაროს გამკაცრებული ნაქმრევი და „შენ"-ზე გადავიდა: — მაგრამ შენ დედაკაცი ხარ და რევოლუციონერის [illegible] არ გესმის. მე შენ გეუბნები, არ გესმის მეთქი!

დარო კვლავ დაიბნა და გაშეშდა. თვალებბანთებული აპოლონი კი მაგიდას უბრახუნებდა და რკინის ნაჭრებივით ისროდა:

— გაიგე, რა გითხარი? არ გესმის მეთქი! არ გესმის მეთქი!

დაროს მართლა არ ესმოდა. ხან ერთ უცნობს შესცქეროდა, ხან მეორეს და, გაოცებული, ხელების გაშლით, ბრალდებულივით ბუტბუტებდა:

— მართლა არაფერი არ მესმის.... სრულებით არაფერი არ მესმის...

— ვერც გაიგებ! — გააწყვეტინა აპოლონმა. — ვერც გაიგებ მეთქი! ჩემი ღვიძლი ძმა რომ ჩამვარდნოდა, იმასაც საკუთარი ხელით მივხვრიტავდი.

დაროს ტყვიასავით მოხვდა ეს ერთი სიტყვა, რომელსაც აქამდე გაურბოდა.

— გაიგე, რა გითხარი? — ცეცხლივით აყრიდა პირში დედაკაცს ის ადამიანი, რომელსაც დარო ველარ სცნობდა. — ვერც ეხლა გაიგე? რომ დაიშავო რამე, არც შენ დაგინდობ! დიახ, არ დაგინდობ მეთქი!

და აპოლონ რაპოლიძე გაცხარდა. მედგრად, მტკიცედ და ფიცხად იცავდა მოვალეობის სანგარს მომხდურ დედაკაცისგან, რომელიც მშობლიური და პირადი მოვალეობით აპირებდა წითელი ციხისთავის დატყვევებას. მაგრამ რაპოლიძე ფხიზლობდა და მტკიცედ იდგა თავის სადარაჯოზე:

— იმ დიდი მოვალეობის წინაშე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, სხვა მოვალეობა აღარ არსებობს. ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

და იმ წუთს აპოლონ რაპოლიძე ჰგავდა მოვალეობის ჯაჭვში ჩამჯდარ ადამიანს, რომელსაც ის ფოლადი ისე ჩაეხლართა და ჩაექსოვა სულსა და სისხლში, რომ იმ პერანგის გახდა და მძიმე ზუჩის მოხდა არც თვითონ შეეძლო, არც სხვა ვინმე სულიერს.

დარომ რაპოლიძის უუზენაესი მოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობისა მაინც ვერაფერი გაიგო. მაგრამ უცებ მიხვდა, რომ დამარცხდა. აპოლონმა მარინეს შვილობა დაიჯერა, მაგრამ თვისი მოვალეობა მამის გრძნობას არ შესწირა. იგრძნო დარომ, რომ არც შესწირავდა. იმის წინ ყინულის ზღუდე იდგა, — ურღვევი და ცივი. და იმ ზღუდეს ყინულისა და რვალის კაცი სდარაჯობდა, — ისიც მტკიცე და უძლეველი. და თვისი თავი იმედდაკარგულმა დედაკაცმა უცებ ქვრივად იგრძნო. მეტი არაფერი დარჩა: თუ მოვალეობის ზღუდე მოვალეობისავე წერაქვმაც ვერ გაარღვია, იქნება ის ყინული ქვრივისა და ობლის ცხელმა ცრემლმა გაალხოს.

— აპოლონ! შენ შვილი გყავს.

— ჩემ შვილს მე თვითონ მოვუვლი.

დარომ უცხო კაცს მოუარა და აპოლონს პირის-პირ დაუდგა. უცებ ორივე ხელით ხელზე დასწვდა, იმ ხელზე აკოცა და მუხლებში ჩაუვარდა:

— აპოლონ! აპოლონ! რას მიშვრები, აპოლონ!

რაპოლიძემ ხელი გამოსტაცა და გაიწია. დარო ჩოქით მისწვდა და მუხლზე მოეხვია, თან ბუტბუტებდა:

— ეგრე ადვილად დამივიწყე?... ყოველივე დაივიწყე?

— დავივიწყე, დავივიწყე! — წვრილი ხმით შეჰყვირა აპოლონმა, ფეხი გამოჰგლიჯა და კარებისკენ გაიქცა, თან იმეორებდა: — ჰო, ჰო! დავივიწყე მეთქი, დავივიწყე!

გავარდა და კარები გაიჯახუნა. თან მოვალეობის ჯაჭვიც ძლივს გაათრია.

უცნობნი დაროს დასწვდნენ და წამოაყენეს. ამშვიდებდნენ და კარებისკენ მიჰყავდათ. ტალანი გაატარეს, ქუჩაში გაიყვანეს და დაბრუნდნენ. იმავ ოთახში შეიხედეს და დაინახეს: აპოლონ რაპოლიძე თავის სკამზე იჯდა. იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და პირისახე განიერ ხელებში ჩაემალნა. იჯდა ვერხვივით თრთოდა.

კარები ჩუმად გაიხურეს და უკანვე გავიდნენ.

დარო ვილაცამ მიიყვანა და მარინეს გადასცა. დაწვა და აბოდდა.

იმავე საღამოს აპოლონი თეთრებს მდევრად გაჰყვა.

მეორე დღეს მარინემ მამას საპატიმროში სადილი წაუღო და სამი საათის შემდეგ უკანვე მოიტანა. ცამეტი წლის ქალმა ჯერ არ იცოდა, რად დაუბრუნეს სადილი. დაბრუნდა და სევდით სთქვა:

— არ მიიღეს.

— დარომ ლოგინში წამოიწია:

— სხვებისა, შვილო, სხვებისა მიიღეს?

— მიიღეს.

ავადმყოფი უკანვე გადავარდა.

დარო უკვე დაქვრივდა.

მარინეც დაობლდა.

IV

და ეხლა, ექვსი წლის შემდეგ ისევ პირის-პირ წარუდგნენ ერთმანეთს: სიძე და სიდედრი, საქმრო და საცოლე.

კედელზე მიყუდებული და პირალრეცილი აპოლონი მომაკვდავის ღიმილით იღიმებოდა. გახევებული დარო თრთოდა და საზარელ ლანდს გაყინულ თვალებს ველარ აშორებდა. რა სთქვა მარინე? „ჩემი დანიშნულიაო!“, ხომ არ შესცდა დარო? სმენამ ხომ არ უღალატა? ეს ამბავი ლანდია თუ სინამდვილე? აგერ, იქ რომ აყუდულა და კბილები რომ დაუკრეჭია, ისიც ლანდია თუ ცხადი?

— აპოლონ, რა დაგემართა? — მეორედ ეკითხება მარინე და ხელით ანჯღრევს დირექტორს. — ხომ არ დაიღალე?

ჰო, დაიღალა. რა თქმა უნდა, დაიღალა. სხვაფრივ აპოლონს არაუშავსრა. სხვა რამ მიზეზი ნუ ჰგონია მარინეს. ნუ შეშინდება აპოლონის დანიშნული: აპოლონი დაიღალა. მეტი არაფერი. ეხლავე მოკეთდება. დაწყნარდი მარინე, დაწყნარდი.

— დედი, შენ რაღა დაგემართა?

დაროს რაღა დაემართა? არაფერი,

შვილო, საიმისო არაფერი. წყალი მია-წოდე დედა-შენს, მარინე, წყალი. და-ლევს და მობრუნდება.

— მკვდრის ფერი დაგედო. ჩემმა და-გვიანებამ ხომ არ შეგაწუხა?

რასაკვირველია, შეაწუხა. შვილის მოლოდინით დედას გული გაუწვრილ-და.

— ეხლა კიდევ ეს ამბავიც უცებ მო-გარტყი და...

ჰო, მართლა! ეგრეა, რა თქმა უნდა, ეგრეა. დედას მოულოდნელად დაატყ-და შვილის გაბედნიერება და გულის ღელვას ველარ გაუძლო. ეს არის ნამ-დვილი მიზეზი, მხოლოდ ეს არის. სხვა არაფერი... მეტი არაფერი. ნუ აღელ-დი, მარინე, ნუ! ნუ გეშინიან.

— დამშვიდდი, შვილო. მეც კარგათა ვარ. აღარა მიშავს რა... სისუსტემ გამი-არა.

— ჩემი ნიშნობა კარგად ვერ დაიწ-ყო. — იღიმება მარინე და სიძე-სი-დედრს უთვალთვალებს.

— რატომ, გენაცვა, რატომ! — ნა-ძალადევად გამოცოცხლდა დარო. — მე ძალიან მესიამოვნა შენი გაბედნიე-რება. მიხარია-ან... ძალიან მიხარიან. რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

— ეს ამბავი დღეს გადაწყდა.

— ამ კაცის გვარს მაინც მეტყოდი.

— როდის-ღა, დედი? გუშინ არ ჩა-მოხვედი? ერთი საათი არც კი გაგრ-ძელებულა ჩვენი ლაპარაკი. დამავიწყ-და. ველარ მოვასწარი. აპოლონ რაპო-ლიძეა, ჩვენი დირექტორია.

დირექტორი წითელი ხავერდის სუ-ფრას ჩასცქერის და სდუმს.

— მართლა, გვარის გახსენებაზე მო-მაგონდა. — მიუბრუნდა აპოლონს და გვერდით მიუჯდა. — ერთი ამბავი უნ-და გითხრა. წელანვე მინდოდა მეთქვა, მაგრამ შემრცხვა. ეხლა კი დრო მოვი-და. მომისმინე და, თუ დასაძრახი ვარ, მერმე დამძრახე.

— სთქვი. — ფუღურო ხმით სთქვა აპოლონმა.

— დედა-ჩემს ელენე კი არ ჰქვიან, არამედ დარო. ჩვენ შოფურები კი არა ვართ, არამედ შვე[illegible]

ხელი ხელში წაავლო [illegible]-ლოს მიიწია.

რაპოლიძეს ოდნავადაც არ გაუკვი-რდა. მხოლოდ გაიღიმა. „ვიცი“, — კინაღამ წარმოსთქვა, მაგრამ დროზე ენაზე იკბინა და ჰკითხა:

— რისთვის გამოიცვალეთ გვარი?

— მიზეზი უბრალოა:

— მამა-ჩემი პოლკოვნიკი იყო და... წითლებმა დახვრიტეს.

აპოლონმა ხელი გამოჰგლიჯა. წამო-ვარდა და ფანჯარას მიადგა.

მამის სიკვდილის შემდეგ დარო და მარინე მარტოდ-მარტონი დარჩნენ. ლუ-კმა პური შრომით უნდა ეშოვნათ. დედა ნამცხვრებს ამზადებდა, მარინე კი ჰყი-დდა. მერმე ესეც მოესპოთ. საჭირო იყო სამსახური. მარინემ რამდენჯერმე იშოვნა ადგილი. მაგრამ ყველგან ანკე-ტები დაუხვდა: „ვინ იყო მამა შენი? სად მსახურობდა? გლეხი იყო, თავადი თუ აზნაური?“ ხოლო მარინეს მამა აზ-ნაურიც იყო, პოლკოვნიკიც და თეთ-რიც. მარინე ჭირიანს დაემსგავსა. ახ-ლოსაც არ იკარებდნენ. რუსეთიდან სა-ქართველოში დაბრუნდნენ. მარინე ხან ქუთაისში მსახურობდა, ხან ბათუმში, მაგრამ აქაც გაუგეს და დაითხოვეს. ლუკმა პურის შოვნისთვის საჭირო გახდა წარსულის წაშლა და დავიწყება. ერთმა ნაცნობმა უშველა: ორი პირადობის მო-წმობა უშოვნა და ორივენი მარინეს მამიდაშვილის გვარით ჩასწერა. ეს იყო მიზეზი ყალბი გვარის დარქმევისა. მე-ტი არაფერი.

— გაიგე, აპოლონ? — ჰკითხა მარი-ნემ. აპოლონის განიერ ზურგს.

— გავიგე. — უპასუხა დირექტორმა ფანჯრის მინას.

— მერმე? რას იტყვი?

არაფერს არ იტყვის რაპოლიძე. იმა-ნაც იცის, რომ ასეთი ამბავი გახშირდა.

— მაშ არ მიწყრები?

— არა, არ გიწყრები.

მერმე მობრუნდა და დაჯდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— შვილო, მარინე, წადი, გენაცვა, და ჩაისთვის ცოტა რამე მოიტანე.

— მართლა, — მოაგონდა მარინესაც. — პატარა ნიშნობა უნდა გავმართოთ.

— მეც გამოგყვები. — წამოდგა დირექტორიც.

დარომ აპოლონს აჰხედა და სათქმელი თვალებით გააგებინა.

— თუმცაა. — წაიბორძიკა აპოლონმა და ისევ ჩამოჯდა.

დაროც მიეშველა:

— თქვენ დარჩით, ნუ შესწუხდებით.

მარინემ მავთულის კალათა აიღო და გავიდა. კიბეზე რომ ჩაბაკუნდა უცებ მოაგონდა:

„მართლა, ფული?“

და ფეხაკრეფით გამობრუნდა. რად აიკრიფა ფეხი, რად მოიპარებოდა ქურდივით, თვითონაც არ ესმოდა. ბნელ ტალანში შემოიპარა და კარებთან შესდგა.

მარინე რომ გავიდა, დარო წამოდგა და მაგიდას დეეყრდნო. ეხლა ის ჰგავდა ციხისთავს, რომელიც სანგარში ამოტილიყო. წამოდგა და აპოლონს სუსხი გადაასხა:

— ამ ოთახში რა გნებავთ?

აპოლონმა ზურგი და მუხლები ძლივს გაისწორა და პასუხის ნაცვლად თვითონვე ჰკითხა:

— მითხარი... ჩქარა მითხარი, ვისი შვილია მარინე, ჩემი თუ იმისი?

და „იმის“ სახელიც ვერ ახსენა.

— იმისი.

და ამ სიტყვაში დირექტორს წრფელი კილო მოესმა.

— მართლა?... მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ. მერმე?

აპოლონმა ისე ამოიხვნეშა, თითქოს გულიდან მუხრუჭები მოიგლიჯაო. გაიღიმა და პირისახე გაუბრწყინდა. მერმე მუხლები მოსწყდა. გაცვეთილ სავარძელში ჩაწვა და ხელსახოცით ცივი ოფლი მოიწმინდა.

— მერმე? — ისეთივე კილოთი განუმეორა დარომ, როგორც აპოლონი ელაპარაკებოდა იმას ექვსი წლის წინათ... იქ, სტავროპოლში, სასტუმროს ოთახში. — მერმე? რა გნებავთ?

— დაიცა, დარო, დაიცა. რამდენი წლისაა მარინე?

— თვრამეტისაც არ შესრულებულა. იანგარიშეთ.

აპოლონს მარინეს სიტყვები გაახსენდა: „მალე თვრამეტისა შევსრულდებიო“. მაინც გონება მოიკრიფა, თითები მოიშველა და ძლივს დასთვალა. ისევ გაიღიმა და მორჩილი ხმით სთქვა:

— მართალია. მაგრამ ესეც მითხარი: რად მომწერე კატორღაში, შენგან ქალი მეყოლაო?

დაროს სევდის ნაოჭებმა გადაჰკრეს:

— მიზეზი ვერ გაიგეთ?

— ვერა, ვერ გავიგე.

— არც ეხლა გესმით?

— არა, არ მესმის.

— არც არის საჭირო. ვერც გაიგებთ.

— ეხლა ისიც მესმის... იქ, სტავროპოლში რომ მოინდომე ჩემი მოტყუება. მარწმუნებდი, მარინე შენი ქალიაო.

— დაწყნარდით. აკი ვერ მოგატყუეთ. მაშინ თქვენ გაიმარჯვეთ. თქვენ მაშინ დაიჯერეთ, ვითომ მარინე თქვენი ქალი ყოფილიყო, მაგრამ მაინც თქვენი გაიტანეთ. ისევ მე დავრჩი შერცხვენილი.

აპოლონი წამოიჭრა და ადუღდა:

— ეს დედაკაცი ვერასოდეს ვერ გაიგებს მოვალეობას. მე მოვალე ვიყავი! გესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვა? მოვალე ვიყავი მეთქი, მო-ვა-ლე! მო-ვა-ლე!

— ვერც მაშინ გავიგე, არც ეხლა მესმის. მესამედ გეკითხებით, ეხლა რა გნებავთ?

აპოლონ რაპოლიძე მესამედ წაიქცა. ისევ შუბლი მოიწმინდა და წაილუღლუღა:

— მიყვარს მარინე, მიყვარს.

— ისე გიყვარს, როგორც მე გიყვარდი, არა?

აპოლონი ამ სიტყვამ გამოაცოცხლა. კვლავ წამოიჭრა და აბუტბუტდა:

— ეგრე, დარო, ეგრე. ისე მიყვარს, როგორც შენ მიყვარდი.

— ისე მძლავრად, როგორც მაშინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ... სტავროპოლში რომ გიყვარდი, არა?

დირექტორს ერთხელ კიდევ მოსწყდა მუხლები და ხმა:

— რას ჩააცივდი, ქალო, იმ ოხერ სტავროპოლს?

ეხლა დაროს ეცა ქვრივისა და დედის მძიმე ჯაჭვი.

მკაცრი, დაუნდობელი და ალესილი იყო, ვითარცა აფთარი, რომელსაც ბოკვერს ართმევენ

— სტავროპოლს რად ჩავაცივდი? არ მოგწონთ?

— რად დაუმალე მაშინ მარინეს ჩემი გვარი და სახელი?

— ეგ ჩემი ბრალია, სასჯელიც სასტიკი მივიღე. მე რომ ადრევე მეთქვა მარინესთვის თქვენი ვინაობა, ეს საზარელი შეხვედრაც არ მოხდებოდა. მაგრამ გავათავოთ. საცაა მარინე დაბრუნდება.

— როგორ გავათავოთ? რა გინდა ჩემგან?

— ეხლავე დასწერე წერილი და წადი. წადი და აღარ დაბრუნდე.

რაპოლიძე ერთხელ კიდევ წამოიჭრა:

— რაო? აპოლონმა მარინეს თავი უნდა დაანებოს?! დაივიწყოს?! არა, ამას დარო ვერ მოესწრება! აპოლონს მარინე უყვარს და ამიტომ ვერც დაივიწყებს, ვერც დაანებებს.

— არასოდეს! არასოდეს მეთქი!

— გეუბნები, ეხლავე დასწერე მეთქი წერილი, თორემ...

და დედის ხმაში მძლავრი მუქარა მოისმა.

— თორემ? თორემ რაო?

— თორემ... არ გესმის, განა! მაშ გეტყვი: მარინე დღესვე გაიგებს სტავროპოლის ამბავს და... ხომ მიმიხვდი?

ჰოი, სასტიკო დედაკაცო! ულმობელო, დაუნდობელო დიაცო! კაპასო, შხამიანო გველო! ეს რა იარაღი იხმარე! აქედან როგორ მოუარე მოპირდაპირეს! როგორ აისხლიტოს რაპოლიძემ ეს გესლიანი ისარი?

— დედა დააქვრივო, შვილი დაობლო და მერმე მოკლულის ქალი შეირთო?! — აღარ ინდობს გა[illegible]ებული დარო.

კარების უკან სუს[illegible]მა. მაგრამ ბრძოლით გაფიცხებულებმა ის ხმა ვერ გაიგეს.

მაშ რაპოლიძემ იარაღი უნდა დაჰყაროს! უნდა დაჰნებდეს ვითომ გამოელია იარაღი! არა, აპოლონი ეგრე ადვილად არ დასთმობს.

— თუ ეგრეა, თუ ჩემი ამბავი უთხარი, იქ შენიც დაუმატე, — ესროლა აპოლონმა.

— რა დავუმატო? თქვენი დანიშნული რომ ვიყავი?

— დანიშნული კი არა, ჩემი საყვარელი იყავი, საყვარელი!

კარების უკან ერთხელ კიდევ გაისმა ამონაკვნესი.

დარომ აპოლონის ნასროლი აიცდინა:

— ვეტყვი, მაგასაც ვეტყვი, ერთმანეთი გვიყვარდა მეთქი, რამდენიმე დღის შემდეგ უნდა დავქორწინებულიყავით, ერთხელ მოხდა... ადრე მოხდა, მერე რაო! იმედი ნუ გაქვთ, მარინე ქალია და ქალისას ადვილად გაიგებს და მაპატიებს. ვეტყვი, უეჭველად ვეტყვი, არაფერს არ დავუმალავ.

უცებ აპოლონი გაიბადრა, არა, არ გამოჰლევია რაპოლიძეს ბრძოლის იარაღი! ერთი ისეთი ყუმბარა აქვს მომარჯვებული, რომ...

— დარო, გირჩევ მაგ საქმეზე ხელი აიღო და სამუდამოდ დამუნჯდე, — დინჯად ეუბნება სიძე, — თორემ შენს ქალს შენვე მოჰკლავ. — და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ყოველივე გათავებულია... იქ, მცხეთაში, დღეს მოხდა... უკვე ყოველივე მოხდა.

და ამ სიტყვამ მართლა ყუმბარასავით იფეთქა.

დედამ დაჭრილივით დაიგმინა.

იმავე წამს კარების უკან ვიღაცამ შეჰკივლა და რაღაცამ ბრახუნი მოიღო.

ორივენი ხმის ამოუღებლივ კარებს ეცნენ.

ტალანში მარინე პირაღმა გაშოტილიყო და ორივე ხელი ჯვარცმულივით გაეშალნა.

* * *

— ...ეს იყო და ეს, ჩემო მარინე. — დაასრულა დედამ თავისი ამბავი. — ყოველივე გიამბე. არაფერი არ დაგიმალე. ეხლა შენ იცი. ქალმა ქალისა უნდა გაიგოს. თუ დავაშავე რამე, გამამტყუნე.

რიყრაყმა მოატანა. ექიმი ნაშუადღევს წავიდა და დაროს დააბარა: ავადმყოფს სრული მშვიდობა მიეცითო. მაგრამ გონსმოსულმა მარინემ ვერ მოისვენა, სანამ დარომ ყოველივე დაწვრილებით არ უამბო.

— თუ დავაშავე რამე, გამამტყუნე. — დუმილის შემდეგ იმეორებს დარო და განაჩენს ელის.

მარინე დედას მოდუნებული ტუჩებით ხელებს უკოცნის და დაცარიელებულ თავს ძლივს აქნევს.

არა, დედილო, არა. შენ ბრალი არა გაქვს. ან როგორ უნდა გაგამტყუნოს მარინემ, რომელსაც დღეს შენივე ამბავი დაემართა. მარინე არც ეძებს დამნაშავეს. ბედმა თუ განგებამ თავისებურად დაატრიალა ბორბალი და მარინე ქვეშ მოიყოლა.

ორივენი ობლებივით სტირიან, — უხმოდ და თბილი ცრემლით.

— დაივიწყე, გენაცვალოს დედა. დაივიწყე ყველანი და ყველაფერი. — ურჩევს ბოლოს დარო.

ჰო, დედილო, ჰო. მარინე ყოველივეს დაივიწყებს, ხსოვნას ხუფს დახურავს და „იმას“ გულიდან ამოიგლეჯს.

— მაშ დაიძინე, გენაცვალოს დარო, დაიძინე.

კეთილი, დედილო, კეთილი. მარინე ეხლავე დაიძინებს. წადი, შენც დაწექი.

მამლებმა მესამედ იყივლეს.

— დავიძინოთ... ორივემ დავიძინოთ.

და მარინე თვალებს ხუჭავს.

ათი წუთის შემდეგ დარო ფშვინავს.

„დაივიწყე, გენაცვალოს დედა, დაივიწყე. — გახურებული ლურსმანივით ჩაეჭედა მარინეს ეს სიტყვები აღუღებულ ტვინში. — „ისე სთქვა, როგორც დილას: ქინძისთავი მომაწოდეო“.

დედამ მაინც მართალი სთქვა: მარინემ უნდა დაივიწყოს. ყველანი და ყველაფერი უნდა დაივიწყოს: ისიც, რომელიც უნებურად წინ გადაელობა, — მაშინ გადაელობა, როდესაც მარინე ჯერ ჩასახულიც არ იყო. უნდა დაივიწყოს დღევანდელი სირცხვილი... იქ რომ მოხდა, — წაუშლელი, უძლეველი და მოუნელებელი აუგი. უნდა დაივიწყოს აპოლონი, რომელმაც...

და მარინეს თავში ცეცხლის ქარიშხალი დატრიალდა.

იცის მარინემ დავიწყების ხერხი, იცის! იცის, როგორ უნდა წაიშალოს ყოველივე და ყველანი. ამას არც ფიქრი სჭირდება, არც ბრძოლა.

პერანგის ამარა და თმაგაშლილი დანიშნული უკვე დაროს საწოლთან სდგას. კედელზე პატარა კარადა ჰკიდია. იმ კარადაში პატარა შუშა სდგას. არც ჭრაჭუნი, არც სხვა რამ ხმაური.

დარო ისევ ფშვინავს.

„დაიძინე, დედი, დაიძინე... იყუჩე, გენაცვალოს შენი ერთა, იყუჩე“.

მარინე ისევ თავის ლოგინში წევს და ისე ებღაუჯება პაწაწა შუშას, როგორც უკანასკნელ იმედს.

ცეცხლის ქარი გაგრიგალდა.

„არც ისე ძნელია“. ერთი წუთი და... მარინე ყველას და ყოველივეს დაივიწყებს. სამუდამოდ დაივიწყებს, სამუდამოდ! ცეცხლის გრიგალიც გაჰქრება და გახურებული ლურსმანიც თავისთავად ამოვარდება. დედასგან იცის: ეს წამალი ტკივილს აღუნებს და ძილსა ჰგვრის. რაღაც საზღაპრო სიზმარიც კი სცოდნია.

— „მშვიდობით, დედილო, მშვიდობით! შენც, აპოლონ. თუმცა... მაგრამ მაინც მშვიდობით იყავი, მაინც!“

შუშამ იატაკზე გაიწკრიალა. დარომ ფშვინვა შესწყვიტა.

„ნუ, დედილო, ნუ! ნაადრევად ნუ გაიღვიძებ. იყუჩე, გენაცვალე, იყუჩე“.

მარინეს არაფერი არ ეწვის, არც სტკივა. გულზე რაღაც ეხვევა. თავი ბურანით ევსება. მთელი ტანი თბილი ნისლით ეტენება. გულიც უდუნდება და უდნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძილი... ძილი... იყურე, დედი, იყურე...“

შენც იყურე, მარინე ქალო!

დაიძინე, გენაცვალოს დედა შენი, დაიძინე!

დაიძინე!

* * *

ბენცი ქშენით და ხრიალით ადის ვაჟას ქუჩაზე. უცებ შესდგა და გუგუნზე გადავიდა.

კიბეზე აპოლონი ისე მორბის, თითქო უკან მოსისხლე მდევარი მისდევსო. ეს არის, ეხლა უთხრა მდივანმა:

— შოფურიძეს რაღაც დაემართა.

— ვინ შოფურიძეს? — და მაშინვე დაუმატა? — ჰო, მართლა...

და ერთი წუთის შემდეგ ავტოში შევარდა.

— ჩქარა, სიმონ, ჩქარა!... ვერ გაიგე? ჩქარა მეთქი!

შუა ოთახში თეთრი საწოლი სდგას. თეთრ ლოგინში გათეთრებული მარინე წევს. მხრებზე და შუბლზე დაყრილ დალალებში იმის მშვიდ პირსახეს, როგორც მუქ ჩარჩოში, არხეინად ჩასძინებია.

თავთ დედა უზის: გაქვავებული, უძრავი და ისიც გათეთრებული.

აპოლონი დაფეთებული კამეჩივით შემოიჭრა და უმალვე ისე გახევდა, თითქო შუბლით კედელს დაეჯახაო. მერმე შეტორტმანდა, ხელები გაასავსავა და ტუჩებიც ისე ააცმაცუნა, თითქო თვისი გაოცება უნდა გამოეთქვაო. მაგრამ ალარაფერი სთქვა. ლასლასით მივიდა მარინეს თავთან და სკამი ააჭაჭუნა.

დარო და აპოლონი ერთმანეთს შესცქერიან, მაგრამ თითქო ერთმანეთს ველარ სცნობენ და ვერც ხედავენ.

მერმე დირექტორმა ერთ წუთში მიმქრალი თვალები მარინეს კვერნასებურ კბილებზე გადაიტანა, რომელნიც გაცრეცილ ტუჩებიდან პაწაწინა მძივებივით ელავდნენ და ვილაცას რაღაცას უსაყვედურებდნენ.

დირექტორმა დიდხანს იყურა. შემდეგ აკანკალებული ხელი ასწია და ცხედარს გაყინულ შუბლზე დაადო. მაგრამ იმავ წუთს დაროს ხელი აფთარის თათივით დასწვდა მაჯაში და შუბლს მოაშორა.

ისე შესცქერიან ერთმანეთს, თითქო ურთიერთი მხოლოდ ეხლა შენიშნეს და იცნესო. დედის პირსახეზე მკვეთრად არის ამოჭრილი შავი სიძულვილი და ავი მრისხანება. ხოლო ბრინჯაოს მოდუნებულ სახეზე უძირო სევდა, ბავშვური მორჩილება და ადამიანური ბრალი სწერია.

წითელი დირექტორი ისე გალხვა, თითქო მოვალეობის ადრინდელი ჯაჭვი ზედვე შეადნაო.

და დამდნარმა რკინამ მიმქრალ თვალებიდან ცრემლად გამოჟონა.

მერმე ამოიწია და ჩატეხილი ხერხემალი ძლივს აიტანა.

უცებ ოთხი თითით დადაბლდა. უხეში კისერი მოუღუნა, განიერი ბეჭები შეუთხელდა და მოედრიკა.

და კარებისკენ ისე წავიდა, თითქო დამდნარი რკინის ჯაჭვი და ჩაფხუტი მოშლილ ფეხებში ჩაესხაო.

კარები ისე ფრთხილად გამოაღო, თითქო ოდნავი ჭრაჭუნისაც ეშინოდაო. გამოაღო და ფეხაკრებით გაიძურწა.

მერმე იმავ ტალანში, სადაც გუშინ იმისი დანიშნული მხურვალე ხერხით იხერხებოდა, დამბაჩამ რისხვით დაიგრიალა.

და ტვირთმოხსნილი აპოლონ რაპოლიძეც იმავ ალაგას ისე გაიშოტა, როგორც მარინე: გულაღმა და ხელგაშლით, თითქო თვისი თავი თვითონვე ჯვარზე გააკრაო.

და იმავ წუთს მარინესაც გაცრეცილი ტუჩი ჩამოეშვა და საყვედური დაჩრდილა.

1925-26 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

# აგონიური

## ფრაგმენტები

ვიღაცა დიდის ქალაქში ი ს ე თ ი, რომელსაც შემთხვევით გვერდით თუ ჩაუვლი, როგორც გინდა იყო წკრიალა და ნაპატივები, ჭკვიანიც, ამაყიც, კმაყოფილიც, ძლიერიც, შენი სახე იმისას ფოთოლივით აეკვრის, ან ჩამოგემსხვრევა, როგორც ქარით სარკმელი... და ელდისგან სახეზე ხელაფარებული, — რადგანაც არ იცი, შეგრჩა კიდევ თუ არა, — სასოწარკვეთილი და აღშფოთებული მის ზურგს მიაძახებ სიმწარით:

— ვინა ხარ?!

შემოგიბრუნდება მაშინ ის უცნობი და თვალების მზერას ბრჭყალებად დაგასობს, ნელნელა, გაჭირვებით ამოძრავდებიან დიდხანს ულაპარაკო იმის სახის ნაკვთები და მძიმე ურდულიან ბაგესაც გააღებს...

ა გ ო ნ ი უ რ ი...

აი, ვინ ვარ მე! უფრო სწორად, ვინ ვიქნებოდი, თუ ადამიანს გვარ-სახელი დაერქმეოდა არა სიცოცხლის დასაწყისში, არამედ ბოლოს — როცა უკვე სხვად ვერ იქცევა. განა ჰომეროსს ჭაბუკობისდროინდელი სურათით ვიცნობთ, თვალებში ყველგან შემღწევილი შუქი რომ ედგა?

ხორცი უნდათ ამათ ჩემი... ხორცი, ხორცი უნდათ. მე კი მხოლოდ ძვლებილა დავრჩი. დგანან, ელიან და ერთმანეთს ეცილებიან, მე კი მხოლოდ ძვლებილა დავრჩი. ერთნი იმას ბრაზობენ, რომ უკვე დამკარგეს, მეორენი იმას, რომ ვერ დამისაკუთრეს, ძაღლი კი მიყეფს მთვარიანში... თუკი ღამით მოვისურვე ჩემი ძვლების გასეირნება.

ჩემი დღევანდელი მდგომარეობა ზუსტად ასახავს დანარჩენი სამყაროსა და ჩემს ურთიერთობას: ორივეს ერთმანეთი გვეზიზღება და ენებს ვუყოფთ. ზუსტად არის დადგენილი პროპორციები და მისამართები — სიყვარულისაც კი. და ეს ამბავი მარტო დამაფიქრებელი კი არ არის, სატირალია, მითუმეტეს, რომ ერთმანეთთან მაინც მიგვესვლება — რადგანაც ვცდილობთ რომ ჩათვლემილებს გამოვტაცოთ რამე ბალიშქვეშ.

ყოველი დღე დანაშაული — ყველაწმინდის, ბიორიტმებისა და ჰომეროსის წინაშე. დაუმატე ამას კიდევ ოთხი სიქველე, ოთხი დრო და [illegible]ქა, დაუმატე ამას ისიც, რაზეც სწერენ გაზეთები, რასაც მოთქვამს რადიო და ტელევიზია. — დაუმატე სიყვარული — მეხვეწება ჩემს ილლიაში ლამაზ-ცხვირპირამოჩრილი ნალბოსანი და უცებ ქრება.. დაუმატე ამას ისიც, რომ ნიავიც არ ჩაივლის, რომ არ გაგძიძგნოს, ჩიტი არ გაიფრენს, რომ არ შემოგჭყიტოს, მაიმუნი — არ დაგიბღვიროს. დაუმატე ამას ისიც, რომ სულში უცვლელად კერის ავადმყოფი გიწევს და გიკვნესის. დაუმატე ამას ისიც, თუ რამდენი ძალა გჭირდება, რომ გადახვიდე, გადმოხვიდე, უპასუხო, გითხრან, გაიგო... და სხეული... და პირადი ჰიგიენაც, რომელიც ოცდაოთხ საათში მთლიანად ძველდება... და თავის მართლება, თავის მართლება... ვიდრე ფეხზე ხარ, ვიდრე ცოცხალი ხარ... ჰომეროსის გმირები მინით გადახურულ ჰადესიდან შემოგვყურებენ, ქარონს ისევ გადაჰყავს თავის მიცვალებულები სტიქსის ტალღებზე და შიგადაშიგ ჩვენსკენ იყურება, მინის საიმედო სახურავისაკენ. ცუდად გამომწვარი თიხა მეორედ აღარ გამოიწვება, ის იმად დარჩება, რა სახელიც ერთხელ დაერქვა — ც უ დ ა დ გ ა მ ო მ წ ვ ა რ ი...

როგორ ვირიდებდი და როგორ დამდევდნენ, რომ ყველა ბინძური სიტყვა თავში ჩაეჭედათ — ზაფხულში მდინარეზე და საქონლის საყარზე, ზამთარში ცეცხლისწინ გაჩაჩხულ ქალებთან... ვიდრე არ ამავსეს აი, ასეთ ჭუჭყლად. სად უნდა მესწავლა მე სულის სიმტკიცე? განა სოფლის ლარინგოლოგის მორყეულ სკამზე? იმ ცრუ ომში გმირობა რომ გამოვიჩინე... უზურგო სკამი ორივე ხელით საჯდომზე რომ მივიკარი და ფანჯრებზე მოსეული ბავშვების თვალწინ ქედუხრელად ყელის გლეჯვა გადავიტანე. ის შეკავებული ყვირილი მე ახლაც ყელში მაქვს, ის დაუხარჯავი ცრემლები მე ახლაც მაკლია...

იყვირე, დილავ, იყვირე გათენებავ, მე აქა ვარ, დედიშობილა... რამდენი უცნობით დაგვეცემა თავს განთიადი, რამდენი ცვარით, რამდენი ციმციმით... ყველაფერი იბადება და იშმუშნება, ყველა კარს აღებს... მამალი ყივის, კაცი ახველებს... იყვირე, დილავ, იყვირე გათენებავ, ეს შენა ხარ, რომ გჭირდება ანთება და ლაშქრების აშლა... მე მშვიდი ვარ... პრეტენზია ჯიბეში მიდევს...

სულელი არის, ჩემს შეპყრობას ვინც მოისურვებს, ვინც იფიქრებს, რომ ხელში ვყავარ, გულში ვუზივარ, გვერდით მივყვები... სულელი არის ვინც ისურვებს, რომ გაიგოს, რა მაქვს ჰკუაში, რა იმალება ჩემს დახურულ ტუჩების იქით, რა სამოთხე, რა ჯოჯოხეთი... ცრუ საძრომები ბლომადა მაქვს, ცრუ სკამები, ცრუ საწოლები...

როგორ მიეცა მედეა იაზონს: როცა პირველად დაინახა მამის, ძმების და დიდებულებს შორის ჩამდგარი, თითქოს ხელი ჰკრა ვიღაცამ და ზურგსუკან გადააგდოო — მაგრამ ახლა ყველა აქ იყო და ისიც, იაზონი, ასეთ პატივს რომ არ ელოდა, ცდილობდა თავი იოლად სჭეროდა — თანაც მედეა დაინახა და სასა ენის წვერით მოისინჯა — იმ ენის წვერით, რომელიც მერე მედეას სასას მოეალერსებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არც ისეთი დიდი ცოდვაა, ყვავილის ძირს დაფლულ ნაღმზე რომ აფეთქდები.

სიმარტოვეში მხოლოდ ერთი პრობლემაა — თვით სიმარტოვე.

იმიტომ კი არა, რომ ჩემს გონებასა და ჩემს გრძნობებს აღარ შეუძლიათ რამე შეიმატონ და არც იმიტომ, რომ ერთსაცა და მეორესაც ისევე ვერ გამოლევ კაცი, როგორც ტყის პანტას ხალათის ჯიბით — სადაც, სხვათა შორის, ბლოკნოტი და კალამიც გიდევს, — თითქოს ჩემი არსების რაღაც გაურკვეველი დეფექტის გამო, ბავშვივით შემიძლია, რომ ყოველდღე რაღაც შევიმატო — იმათგან, რაც გუშინ ვიცოდი. ეს ასე როდია: ერთიდაიგივე საგნები — ერთიდაიმავე პასუხით... ხე, რომელიც გუშინ ვნახე, დღესაც ხე არის, მაგრამ იგი დღეს ყველაზე ერთადერთია. ასევეა ჩიტის ფრენაც და იმისი ხმაც... მიდიხარ ფეხზე მიწააკრული (წუხელ, თურმე, წვიმა ყოფილა), სულ ახლახან მომკულ ყანაზე და ჩიტი, რომელიც ასე ახლოს გიშვებს, რაღაც-რაღაცეებს წარმოგადგენინებს — სულელმა ჩიტმა ცოტა ახლოს რომ კიდევ მიგიშვას, მაშინ მთლად გიჟი ვინმე იქნება და ჩიტობიდან ამოვარდნილი. ხომ შეიძლება, რომ აკოცოთ კიდეც ერთმანეთს, ღმერთო ჩემო, საუბარზე არაფერს ვამბობ... აი, მაშინ კი შეიძლებდით ერთურთისგან გულმშვიდად გაცლას. მაგრამ არა... ახლოს მხოლოდ ესენი გიშვებენ: ზოგი სავსე, ზოგი ცარიელი, ზოგიც გარღვეული — ნიტროამოფოსის მოხატული სასუქის ტომრები... რა მშვენიერია, როცა წვიმის შემდეგ მზე მინდორში გამობრძანდება... მიყვარს ყველაფერი იმის შელანძღვა, რაც რკინისაა — ამჯერად ეს ტრაქტორის მისაბმელს ეხება... თითოოროლა მანქანა რომ მაინც გამოჩნდება, ესეც მეჯავრება... გიყურებენ... შორიდან რომ გიყურებენ და ვერა გცნობენ... სიშორის გამო... განა იმათაც ჩიტისოდენა ცოდნა არა აქვთ შენზე?... იქითაც ვიღაცას უნდა, რომ გამოგიცნოს და გერღვევა შენც მყუდროება: როცა ორნი ხართ, გამტყდარია ჰაერი შუაზე.

ძალიან ბევრ დროს ვუთმობ და ძალიან სერიოზულად ვეკიდები ადამიანებსა და პირობითობებს. ისე ვცხოვრობ, თითქოს აკვიატებული აზრი მქონდეს მოუშორებლად — რა შეიძლება კიდევ ჩემს თავს რომ ვუყო-მეთქი! ღმერთო, რომელმაც მიწყალობე მე ეს სიცოცხლე, რომელსაც მე ასე ვანგრევ და ვანიავებ, ნუ მომისმენ, როდესაც ვტყუი, ნუ მიყურებ, როცა ცუდი ვარ! ღმერთო, ესენი რკინისაგან ჭედავენ ჩემს სულს, ჩემს გულს — ქვისაგან! ღმერთო, ამათთვის აღარავინ აღარ ვიქნები! აქ რა მოხდება? როგორც გადამფრენი იხვების მწკრივში ხორცდება ხოლმე ჩამოვარდნილ მოძმის ადგილი, ისე იქნება! ღმერთო, როგორც სიზმარში, ცხოვრებაშიც ამბები ხანდახან ერთურთს ისე ემთხვევიან, რომ მერე ძნელია ხლართის გახსნა და დაცილება... ღმერთო, მოგვეც კი იმის უფლება, რომ ასეთი უდიერები ვიყოთ ჩვენი სხეულის მიმართ? განა რაც მალე ჩაიწვება ჩვენი სანთელი, უკეთესია?

მე მხარი ავუქციე რამდენიმე შესაძლებლობას: ვერ მოვკვდი ოცდახამი წლის, როგორც ბიძაჩემი, ვერც ოცდაშვიდის... მე ჩემი სიკვდილი უნდა ვეძებო. იგავი ჩემს თავზე, ჩემი თავისა... ვიამბო იმაზე, თუ როგორი შეიძლე-

ბა ვყოფილიყავი, ანდა როგორს ვისურვებდი, როგორს შე[illegible] თავი ხელთ რომ მყოლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ არ გეტყვის სიმართლეს, რადგან იგი არავის არ ეკუთვნის უკვე, პასუხს მასზე არავინ აგებს — არც მღვდელი და არც სამართალი. ის არ იყიდება და არც ფასს ადებენ, დაუქმებულია ის ჭურჭელიც, რაშიც ის იდგა, არც მეგობრობით ევალება იგი ვინმეს, და ის კოშკიც ჩამოშლილია, სადაც მისი მცველი ცხოვრობდა. ამიტომაც უნდა ეძებო, ანონიმი ვინმე უნდა ამოირჩიო, ზურგშექცევით უნდა დადგეთ ერთმანეთისკენ და ისე ჰკითხო — იმ იმედით, რომ თქვენი გზები არასოდეს არ შეხვდებიან. შეიძლება ის შენს სურვილს შეეხოს უცებ, შეიძლება მთლად იმედი გადაგიწუროს, მაგრამ უნდა პირობა დასდო, რომ არაფერს მოეჭიდები. ხიდს მოაჯირი არ ექნება, სიმართლე კი დაგაბარბაცებს.

უდანაშაულოს ცრემლები სამყაროს ხელაა...

ასე, ხუთი საათისთვის დაიწყებენ შაშვები სტვენას... რვა საათისთვის უკვე მანქანებში სხედან, რომ ცხრისათვის სამსახურების კარი შეაღონ.

ორი პორტრეტი: რომელია მათში ნამდვილი?.. ერთში ჩვეულებრივი სახე კაცისა, ფორთოხალივით პრიალა და სანდომიანი, მეორეში ქალის თითებშემოჭერილი, ფრჩხილებჩასობილი, გამოწურული, ბროწეულის ფორმის და ფერის, დარბილებულ-დაჩვილებული — ჩანასახივით.

ცვლილებები. რა საშინელებაა ეს ცვლილებები. თუმცა ძველი ფარდაგი კედელს დაუბრუნეს, მაგრამ ერთი თაობის შემდეგ. ძველი ბუფეტი შეაკეთეს და გამოჭიმეს — ვინც ბავშვობაში მას შესცქეროდა, სიბერეში ისევ შეხედავს. ცვლილებები... შენი ხელით გაზრდილი ბავშვები უკვე მთებივით გადგანან თავზე. შენ უკვე პატარა და ზედმეტი ხარ შენი სუნთქვით შექმნილებისთვის. შენი ნების გარეშე ინთება და ქრება სინათლე. სადაც ხავერდი იყო, იქ ხორკლია და ხიჭვიანი უტყვი ზედაპირი. შენ აგეყარა იმის უფლება, რომ დარწმუნებული იყო კვლავაც შენს სიმართლეში. როდესაც ურჩევ, შენ უკვე გატეხილი ხმით საყვედურობ. გაორებული და დაბნეული ხარ. ყველა ცხოველი — კატა თუ ძაღლი — მოუგებდათ ერთგულებაში, სიყვარულში და ალერსით შენაცვლებაში. მთელი ძალაუფლება მათ გადააბარე, მაგრამ ომი ახლა ჰაერისთვის გაიმართება. „გიყვარდეს და გაშორდი" — აი, შენი გამოსავალი. შენს სიკვდილამდე ისინი მაინც ვერ მოასწრებენ ყველაფრის გაგებას. შენი წასვლა კი იქნება ნიშანი, რომ პირველი სიმაგრე უკვე მტერს ჩაბარდა. შენი სიკვდილი გაამაგრებს იმათ ბასტიონებს, შენს ტყავს გამოჰკიდებენ ციხის ქონგურებზე, ქალისა და რძლის ჩამოსაყრდნობ მოაჯირებზეც, და თვით მეფისწულის სავარძელზედაც. „ამ სახლში უკვე დაიკლა მსხვერპლი, ჩვენ უფლება გვაქვს ამოვისუნთქოთ, რადგან ვალი გადახდილია". მაგრამ ჯერ კიდევ გაქვს რაღაც [illegible] შენ საჭირო ხარ მეორადი

საქმეებისთვის. შენ ხანდახან ფარიც იქნები, თუ დრამაში სიმძაფრე შემოვა და ტომი ისურვებს, რომ ბელადი გამოასვენოს. აქაცვარგიხარ, მაგრამ თუ შენც ჯოგის სისხლი გისხია და თუ ინსტინქტებს ემორჩილები, დაგაჩოქებენ, გიყადა და ათას რამედ გამოგიყვანენ. შენს საფლავს მეტი პატივი ექნება, ვიდრე შენ თვითონ. „დროა, ის მოკვდეს!" — ეს სიტყვები ხმამაღლა არ წარმოითქმება, მაგრამ ჰაერია ისეთი, რომ ყველა ეხლება — უხმო ჰაერი, აბრეშუმივით.

ყველაფერი ჩვენზე იამბობს: წყალი — ჩვენზე, სიმღერა — ჩვენზე... იამბობენ, მიედინებიან, მაგრამ ერთი რამე მუდამ ავიწყდებათ: რომ ჩვენ მარტო ის კი არა ვართ, რასაც გვხედავენ — მხოლოდ ჩვენი თავის ამარა... რომ ჩვენთვის ახლაც ოცი წლის წინ დარეკილი ზარი ხმიანობს... — არ მომკლა, შვილო! — მამა პირმშოს ეხვეწებოდა და ხელებზე საკოცნელად ეტანებოდა. დღეს ჩვენ ის მამაც რომ ვართ, რომელიც არ გვინახავს და ის შვილიც, რომელიც გვზარავს, და ისიც რომ ვართ, ვინც ამ ამბავს წყალივით გვიამბობს.

მე თუ კვლავ ასე დავუჯერე დღეებს, ღამეებს, ადამიანებს, მე თუ ჩემი სული არ გამოვტაცე იმათ ხელიდან... მზე, წვიმა, ქარი, თოვლი, ხალხი, სიყვარული, სიძულვილი, სიტყვა-პასუხი — ისეთ ხაფანგს მიქსოვენ მე ჩემივ თმებისგან და ძარღვებისგან, ისეთ განაჩენს გამომიტანენ — ჩემივ სიტყვებით, ჩემივ ბალიშით ისე გამლევენ, ისე მაქცევენ მაიმუნად ჩემივ ხუმრობით და ეპიტაფიადაც ჩემსავ სიტყვებს დამაბეჭდავენ, რომ არაფერში არ ექნებათ დანაშაული. დღე — დღედ დარჩება, ღამე — ღამედ, ადამიანიც ივლის თავის სრულყოფის გზაზე და თან ალმართ-დაღმართების შეხვედრის წერტილში ჩემისთანებს შესწირავს მსხვერპლად.

მეთორმეტე სართულიდან თუკი გადმოხტი, შესაძლოა ყოყმანმა არ შეგიპყროს გზაში, მაგრამ ის გახელება გექნება გავლილი, რამაც ფრთები გაგაშლევინა. შენ შენს კივილს დაეხეთქები და შენს ცოდნას გადაშლი სისხლით... ამიტომაა, რომ შთამომავლები თავიდან იწყებენ გზას და ცხოვრებას.

უსინდისობა არაა განა, რომ გლახამ ღმერთი მოიმსახუროს, ჭკვიანი უჭკომ და ქალმა კაცი. არაფერი ისე არ ვიცი,რომ ყოველ დღე თავიდან არ აღმოვაჩინო. ყველაფერს, თუნდაც ღრმა დაკვირვებისას, ხვალისთვის ვიტოვებ. და ეს შეგნებული ქმედებით კი არ მემართება, არამედ მხოლოდ იმის წყალობით, რაც გონებას ებრძვის ფარულად. ეს ჩემი ფეხსაცმელი, რომელიც ზეწებოთია კლდესავით შეკრული, მაგრამ ცოტაოდენი ძაფი მაინც რომ შეუხმარებიათ იმის შემქმნელებს, ჩემთვის იმ ძაფის გამო არის მტკიცე და მაგარი, რადგან ის რატომღაც უფრო მშობლიურია — პირველი, რაც ადამიანმა თავისი სხეულის ზრუნვით მოიფიქრა... მახსოვს, როგორ აგებდა ნემსზე ბებოჩემი — წავიდოდა ძაფი, სადღაც გადაუხვევდა, მერე უკან მობრუნდებოდა, ნერწყვით ისევ დასველდებოდა, ჰა, ყუნწს თითქოს უსწორდებოდა...

მაგრამ ‹რა... მაშინ მე წიგნს გვერდზე გადავდებდი და უჩუმრად ჩამოვართმევდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მზე ამოდის, ეს გილგამეშის დიდი შრომის საზღაურია. არ ჩანს მხოლოდ იმისი ზურგი და კიდურები, რომლებმაც მიწის ჯურღმულები შემოიარეს მარადიული სიცოცხლის საძებრად. და აი, რა შემორჩა ხელში, რით გამობრუნდა: ცის კარი იღება და ზევით ამოდის ზურგზე წითელ ბურთშემოდგმული, პირზე დაღლილღიმილიანი... შთამომავლობავ, ასე იცხოვრებ შენ ამიერიდან: ყოველ ღამე ჯურღმულებში იხეტიალებ და დილით გამოხვალ, ზღურბლს გადმოაბიჯებ, ბავშვს მოეფერები, საქონელს წყალს დაალევინებ, იხარებ, იმღერებ, ვიღაცას კეტს დაჰკრავ და დაიტანჯები... და მაინც შენი მოკლე ცხოვრება უფრო სავსე იქნება, ვიდრე ღმერთებისა. ადამიანებთან შეხვედრისას გაგიწყდება შენს თავთან ძაფი, გაბრაზდები, მაგრამ ვერასოდეს დაუდარაჯდები თუ ეს როგორ ხდება.

უნდა მიბაძო ძველებს, — იმათ, რომლებიც არ წუწუნებდნენ და არც იქექებოდნენ საკუთარ ფიქრებში... და მოღალატედაც თავს არ გასწირავდნენ... მაგრამ ისიც არაა მართალი, რომ სიცოცხლე ერთხელ ნათქვამს შესწირო... თუმც გულითა სთქვი, მთელი არსებით... მაგრამ დაბერდნენ სიტუაციები... არც იმისი უფლება გებოძა, შენთვის მობარებული სიცოცხლე რომ არად ჩააგდო, შენი სულის მსახური სხეული... როდის იყო, რომ მსახური პატრონს მხარზე ეკიდებოდა!

ჩემი რომ შეიტყო, ჩემს ტყავში უნდა ცხოვრობდე, ძვირფასო! მერე გაიგებ, რა მტკივა და რა მიხარია. იმდენი ხნის ვარ, რომ შემფერის ჩემი თავის ამარა დავრჩე. მოვაგროვებ ყველაფრიდან, რაც მე ვიყავი — ქუჩის მტვრიდან, წიგნის თაროდან... ავითრევ და თან წავიღებ სუყველაფერს, რისი ღირსიც დღეისთვისა ვარ. კალმებიცა მაქვს, მელნით სავსე დიდი ქილებიც, ქაღალდისა და რვეულების ძნები მიდგია...

იმის შემდეგ, რაც თვალი დაეძებს რაიმეს — რაიმე მიზეზს, საბუთს რაიმეს, თორემ ისე თვალი ვის უნდა!... იმის შემდეგ, რაც ფიქრი ეძებს — რა დაჭმუჭნოს, რა დამალოს, რა დაახვიოს... რათა ამაღლდეს... სიყვარულიც სარგებელია! — სიახლოვე, ვნება, ეჭვები, ერთად ძილი, ერთად ვახშამი — განა ცოტაა იმისათვის, რომ ისურვო მეორესთან შეზიარება? ხოლო იმან, იმ მეორემ თუკი უცებ ფეხი შეშალა, ლოგინი შენი დაამბლა და ვახშამი თუ გაგიცივა — რისთვისღა გინდა!.. ვინ შემიყვარებს მე ჩემდათავად! სხვად დარჩენა შეყვარებულს ვინ აპატია!

ათი წელი იყვნენ ერთად ეს ცოლ-ქმარი — სრული ათი წელი. ჩხუბობდნენ თუ კარგად იყვნენ, რომ დაწვებოდნენ, ცოლი ერთი და იგივე რაღაც წიგნს იღებდა. იღებდა და კითხულობდა ზურგშექცეული. ისეთი შემთხვევაც კი ყოფილა, რომ ქმარს წიგნი წარუტაცია და ქალიც მშვიდად დამორჩილებულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთელი ის ათი წელი, რაც ესენი ერთად იყვნენ, სრული ათი წელი, ქმარს ერთხელაც არ უკითხავს, რას კითხულობდა.

რა თქმა უნდა, მტვერს და ქვიშას მთაზე უფრო სწრაფი ფეხი აქვს. მთა ხომ მთასთან ვერასდროს მივა, მილიარდ წელს იდგება და ჩამოიმტვრევა, მაგრამ ვერ მივა. საშუალო ადამიანები მუდამ მტკიცე კავშირს პოვებენ. ერთდებიან — სად პოულობენ ნეტავ ერთურთს ასე ზუსტად და შეუმცდარად?.. დიდი მათთან არასდროს მივა. ჩვეულებრივი ლოთიც ვინმე — თუ ასეთი გამოერიათ — თუ მივა, ისიც ერიოდე ჭიქა ღვინისთვის. სხვა ცხოვრების მოყვარე ქალს მოწყენისგან სალებავი ჩამოადნება... იკრიბებიან ჩაისთანაც და ღვინოსთანაც -- ყველა ენამოსწრებულია და ერთშიც კი ვერ იპოვნი განწირულებას.

ტვინში არის საძრომები... ანდა — ფიქრში, ანდა — სულში, ვიდრე დადგენილა თუ სად იმყოფება სული და ფიქრი. მე კი მინდა რაღაც უფრო მატერიალური და ამიტომ ტვინს ვამჯობინებ. ტვინში არის საძრომები — მით უფრო, რაც ძველია და მოღალულია — როგორც წესიერი ხალხისთვის დგას ძველთაძველი ღობე პირობითად. მაგრამ სად ნახავ წესიერებს, რომ წიხლისკვრით არ შეანგრიონ. ამიტომ ვამბობ: ტვინსა აქვს საძრომები! მაგრამ შემოხეტებულს იქიდანვე ველარ გააგდებ.

მთელ დედამიწაზე — მთელ ხუთივე კონტინენტზე — გაყუჩდნენ და მიიმალნენ ძგოსან-პოეტები. გადაიქცნენ სიმბოლო-ფრთოსნებად... ბეღურა, შაშვი, ბულბული, ქორი, არწივი, ღამურა, მერცხალი, წერო... და ცხოვრობენ გარიყულად, თავიანთი მხარეების სიმბოლო-ხეებში... მუხა, რცხილა, ცაცხვი, წაბლი, კვრინჩხი, ასკილი... სადაც რა არის... რადგან ქვეყნიერების გაშლილ ადგილებში ბატონობენ რკინის მაღალ საძირკვლებზე აღმართული მიკროფონები.

ხვალ იქნება ქინქლი, ბურუსი — და მე, მთელი დღე, ჩემი თავის გაძლება მომიწევს. გაძლება იმისაც, რაც მხოლოდ ერთი დღის კუთვნილება კი არ იქნება, არამედ ყველა ნაცხოვრებ დღისა. ყოველი გარეგნული ნიშნით ეტყობა, რომ ილვიძებს ურჩხული, ცხელი ლაფი ჯერ მხოლოდ რომ გვამში შეერხა, ჯერ გარეთ რომ არ გამოსულია. თითქოს ჩემი გაუცნობიერებელი ხსოვნა სიჩქარეს აკრეფს — როგორც ძველი სასახლის მდგმურებმა იციან, რომ თუმცა სხვენში სიმშვიდე სუფევს, ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ წესრიგია, არამედ იმიტომ, რომ თვითონ არიან მისგან გარიყულნი. რა არის ერთი დღის კაცის ცხოვრება? ჩვეულებრივი ვალის მოხდა არსებობისთვის. აზრი, რომელიც მან იმსახურა. ნათლით ვერ მოსავს, ვერც სიმშვიდით... რა მოხდა მერე, რომ მოკვდავი ხარ! ამის გამო უნდა ითმინო?.. რომ არ ითმინო?.. აა!.. ყველაფერი, რასაც მოიმოქმედებ, სამაგიერო ძალით დაგატყდება და დამატებით საზრუნავს შეგიქმნის. როგორც იქ, სხვენში, დაუდევრად გამოთრეული რამე საგანი მთელ ნაგავს რომ თავზე დაგამხობს... ის კი ხმალი იყო, ან შანდალი, ან ოდესღაც დიდებული იერის მქონე სავარძლის ფრაგმენტი...

და როცა მისი გამოღება გადასწყვიტე ცნობისმოყვარემ, ათასი რამე — ზედდაყრილი — ჩამოიშალა. ობობა, ამათ სულის მფარველი, [illegible]სკენ გასრიალდა, მტვერი ატყდა, აიძრა, აღელდა... — არა, ბატონო, [illegible] ამბობ, აღარ გინდა, გდებულიყო თავის ადგილას, გადაიფიქრე ცხოვრებაში იმის კვლავ ჩართვა... იბერტყები, სუფთავდები და თავს იწყევლი... ო, ახლობელო, ძვირფასო საგნებო, ხელის გამმართავნო აგონიური ადამიანისათვის... რადგან არ იცის, რას ეცეს და რა დაამტვრიოს — უფრო მიმნდობი, უჩუმარი და ახლობელი, რომელიც სულსაც შეუძრავს და ტვინსაც შეუთბობს... ჩვეულებრივი კვირადღის ნისლიდან ზვერავ ორშაბათს, წინასწარ იცი, წინასწარ ხედავ, მაგრამ, როგორც ჩქარ მდინარეში ფეხისშედგმისთანავე სხვად გადაიქცევი და ძლივსღა გაგიყვანს შენი ძველი გამოცდილებაც... კვლავ გელიან მოგონილი სურვილები და პრობლემები... იმათ ქსელში მონად გახლართვა და ცხოვრება, როგორც ნერვიული ჩანასახისა დედის მუცელში; საქმარისია პირი გააღო და შენი ჰირი ყველასი გახდება და შეგეხათრება. თავის ტკივილსაც არ შეგარჩენენ, აღმოჩნდება, რომ რაც შენ გტანჯავს, ყველას ისა სჭირს... და ისე გამოდის, რომ დამნაშავე ყველას წინაშე თავის თავთან არის მართალი. ხოლო სიზმარი, მე თუ მკითხავთ, ცხადზე ბევრად უარესია: ცხადი თუ ერთხელ კლავს ადამიანს, სიზმარი ორჯერ შეახსენებს ერთსდაიმავეს — ჯერ, როცა ღამით თავზე დაესხმის და მერე — როცა აუცხადდება.

აბა, რა დამრჩა იმ განცდებიდან? სად ვინ რა არის?.. დაკეტილ კარს აქეთა ვდგავარ.

ერთ-ორ წამს ვილაპარაკებ ამ სისულელეებს და მერე დავდუმდები მილიონი წელი. ნუ დამსჯით და ნუ წამართმევთ ამ ორიოდ წამს... ჩემს ძალებს მხოლოდ ეს შეუძლია...

ახლა რაც გინდა ისა ჰქმენ, ღმერთო, გინდ მომკალი და გინდ დამარჩინე, მე უკვე მოვრჩი სიყვარულსაც და სურვილებსაც...

მე ხომ ყოველ ღამე ერთ ძილსა ვკარგავ და ყოველდღე თითო სიფხიზლეს...

დახუჭე თვალები, გაირინდე, გამოითიშე... ყველა ხომ რაღაცას აკეთებს ხოლმე, როცა მარტოა: თმას ისწორებს, თვალებს ლულავს, ან კუნტრუშებს, იმუქრება, მუშტსაც კი იქნევს... შენ ხომ მანქანის გასაღების დაგდებასაც ვერ ასწრებ ხოლმე, რომ უკვე გზაში ხარ... უკვე გეძახიან...

მე ჩემი თავი დამეკარგა და ვერ ვპოულობ — სიყვარულში, სიძულვილში, სმაში, ჭამაში, თვალით ნატვრაში, თმის ვარცხნაში, ძილში, ღვიძილში... მე ჩემი თავი დამეკარგა გზის მოსახვევში, კარადაში, პალტოს საკიდზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალსდექ, ამოჩნდი, ჩემო თავო, გამოანგრივ-გამოამტვრიე, მტვერი ადინე გზას და უკან არ მიიხედო!

ო, სულო ჩემო, ერო ჩემო და ნიჭო ჩემო, როდემდის უნდა ვიყოთ ერთურთს მიჯაჭვულები... როდემდის უნდა მდარაჯობდეთ ქოფაკ ძაღლივით და ყოველ განზე გაწევაზე, როდემდის უნდა მგლეჯდეს ხორცებს თქვენი ჭანგები.

ერთ პირჯვარზე ღმერთს ვერ იხილავ.

ქრისტეს თვალით სახილველი საქმეები რომ არ ჩაედინა, შეიტყობდა იმისას ხალხი? თვალით დანახულისა უფრო სჯერათ ადამიანებს... დახლის წინ შეჩერდება და მკვახეს და მწიფეს გაარჩევს, პური აგურში არასოდეს არ აერევა, მაგრამ მის სულში რა შედის და რა გამოდის, უდარაჯოდ ჰყავს. სული... სული... სული გვგონია, რომ ფრინველია... ვიღაცეებს დარჩათ ეს სიტყვა მიწის მკვიდრთა თავისსატეხად. სული... სული... ერთხელ მაინც რომ მეხილა ან ჩემში მეგრძნო, გულისხეთქვით მოგიყვებოდით... არც დარდია, არც სიხარული და არც არაფერს არ წააგავს, რაც კი გვინახავს. არც ერთ საქმეში, რითაც ცხოვრობს ადამიანი, არაფერში არა სჭირდება... არა კაც კლა რომ არ იყოს და შენ ისე რომ არ მოჰკლა ადამიანი, მაშინ კიდევ შეიძლება სულის ხსენება...
რაც ადამიანს სიამოვნებს, იმისათვის სული არ უნდა. ვაშლს რომ ჩაკბეჩ, რომ ეწევი· განა გრძნობებს მოკლებული ხარ!
ყველაფერი სულით იწყება. როგორც სუსტ ტოტებს დაზნექს ხოლმე მძიმე ნაყოფი, რომელიც იმას გამოება, უნდა თუ არა, სულიც კაცის სასჯელი არის. ვერ მოიშორებს, როგორც უნდა ჩქარა ირბინოს, უხედნ კვიცივით როგორც უნდა ყაროს ტლინკები... სული ჩაიყვანს სამარეში, ყოველთვის რომ უჩინარია და ერთადერთი, თუკი მაინც რაიმეთი გამოიხატა — საქმე იქნება.

ცხოვრებას კი არ მოუვედი, არამედ საქმეს, რომელიც მე ღვთით დამევალა.

არის სიტყვები, რომელთა ძალაშიც ჩვენ მაშინ ვრწმუნდებით, როცა ჩვენზე წარმოითქმება.

როგორ ალვნიშნოთ წითელი წრით, ის ვინც ამ ბრბოში განწირულია... როგორ ალვნიშნოთ. რაა ჩვენში ყველაზე ცუდი... როგორ ალვნიშნოთ, რა გვიხარია...

შენი პროტესტი შეიძლება წამოიწყო სულ უმცირესიდან: — რატომ ვჭამ იმას, რაც არ მინდა!.. მაგრამ ბევრად უკეთესი იქნება თუ — რატომ ვაკეთებ!

სულ ერთია, რაც უნდა იცხოვრო, მაინც „ეს“, „ამან“, „ამას“ [illegible]ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომისთვის არავინ არაა მთავარი...

არა, ნამდვილად ბედნიერებია ეს ჩემი ძმა ალკოჰოლიკები. ისე მშვენივრად ადგებათ ტანზე ნათხოვარიც და ნაჩუქარიც.. მარტო სიფათები თუ ამჟღავნებთ — ეს ერთადერთი — რაც თავის თავს თვითონ მიუძღვნეს.

და ასევე, როგორც დავიბადე, ზოგადი სახელით...

ყველა დიდ ტანჯვაში არის უინტერესო ადგილები. ყველა დიდ მუსიკაში შეგიძლია წუთით სადღაც რომ გაიხედო.

დაიმახსოვრე, ერთადერთი შენი თავის წინასწარმეტყველი შენს სამშობლოშიც შენა ხარ და დედამიწაზეც.

ჩემი ხელისმხლებლის დედა ვატირე...

უბრალო ამოსავალი: კარგს მე ვინ მომცემს.

ათასჯერ უნდა დაიხარო, რომ ერთი დახრა გამოგივიდეს.

ყველაზე დიდი ნაკლი ადამიანში ჩვეულებრივობაა და არა ის, რომ ყველას ჩამოჰგავს.

ხოლო სიკეთის ყველაზე სუსტი მხარე ისაა, რომ ადვილად ირევა ბედოვლათობაში.

რამდენი ვინმეა დედის მუცელშივე ტყვიამოხვედრილი და წაჩოქილი.

სტუმრის დილა: „გამარჯობა — წამით!“ და — „მშვიდობით მარადჟამ“.

ყველა რომ დააჯილდოვო იმით, რაც აკლია...

თქვენმა სიძულვილმა შემაყვარა მე ჩემი თავი, როგორც ძაღლებში ძაღლს ძაღლობამ გადაუაროს.

რა კარგი არის, როცა შენ ცხოვრობ, მაგრამ ცხოვრება შენ არ გეხება... და ყოველ ნაბიჯზე ვიღაცას პასუხობ — ამ ჩემს ფეხებსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატყუარა დღევანდელი დღე, არაფერს რომ არ გვპირდება... აულაგებელ ლოგინისკენ წასული თვალები.

თუკი ოდესმე გავმდიდრდები, ღმერთო, ისე ნუ გამაგიჟებ, რომ რაც ცხოვრებაში მაკლდა ხოლმე, ის ავისრულო.

...როცა ისე დავეუფლები ჩემს თავს და გრძნობებს, რომ იმათზე აღარ ვიფიქრებ.

მე ხომ არ ვუშლი საგნებს იყვნენ ჩემდამი გულგრილნი და დაუდევრები, დაე, მათაც მომითმინონ და შემიგუონ.

სარკე: —გენაცვალე, ჩემო ბიჭო, რამდენსა წვალობ!.. ეს, როგორც ქალმა გითხრას ბოროტ მოთმინებით.

დიდათვრებგაშლილი ლაშქარი ფსიქესი... რომელსაც უკან ტანშიშველი სხეული მისდევს: ჭაობებით, მდინარეებით, ხიდებით, გზებით... მიდის, მიჰქრის, მიცურავს, მიფრენს... თაგვებით, წყლის ბინადრებით, მგლებით, სვავებით, დედით, შვილით, შენობებით, საწოლებით... მიირწევა... მიირხევა.... მიეფარა... შორს ჩანს უკვე..........უკვე შენშია...

ჩემი უკეთესი და გემრიელი ანაჭერი მიწაში არის. ჩემთან ერთად იხარებდე შენც, ჩემო მტერო, ჩემო ავად მახსენებელო, ჩემი სიკვდილის ნატვრაში რომ დღე გილამდება... ჩემთან ერთად გიხაროდეს... განა ვერ ხედავ, როგორ ხელებჩაკიდულნი ვართ მარადიულ და ძველ ცეკვაში, როგორ ერთად ვიყურებით მიწის სარკეში...

სიხარული გამოიცნობს. სიხარულს მეტი ინტუიცია აქვს. სიხარული ამბობს: წინ სიმშვიდე და სითბო კი არ არის, წინ სიგიჟეა!.. წვიმები, ტალახი, სველი თმები, მინდორი, გზები!.. სველი ფეხსაცმელი, გაციება, სიცხე, ბოდვა... და მას უკან მზე და ღრუბელი და ყოველი მისი სხივი — როგორი სიხარბით... როგორი ლოცვით და გამოსუტვით... ყველა ცვარი, ყველა ფოთოლი და მიწა... გამშრალი, მყარი, მინდობილი... წელზე თოკი, ხელში ჯოხი და გზა, გზები, აღმართები, ტყის ჩრდილები, ბალახები, მწერები და ყვავილები და... თვითეულს თავის საქმე — კაცსაც, ფუტკარსაც...
იოლი გზა ის გზაა ხოლმე, რომელსაც კაცს ქალი ასწავლის. ეს კაცი რომ უტრიალებს თავგზაარეული, უტრიალებს, ბელტს აბრუნებს, ქვის ქვეშ ეძებს და კედლის უკან... მძიმე ჰგონია, დაკეტილი და დახლართული... ის კი... ეტ-

ყვის და გამოჩნდება გზაცა და კიბეც, სამალავიც და საძებარიც... ქალებზე მე ცოტა რამ ვიცი — როგორც ეშმაკი ჯერ არავის დაუნახავს გაჩერებული, რომ დაკვირვებით შეესწავლა და გამოეცნო, ისე ქალსაც ერთი განიდან მეორემდე თვალს ვერ შეასწრებ — მაგრამ რაც ვიცი, იმასაც კი სულ ყველაზე ახლობელსაც დალაგებით ვერ მოვუყვები. ამიტომ ვდუმვარ. ქალი ის არის, ერთი საქანელადან მეორეზე რასაც თვალს მოჰკრავ. ისა გვლუპავს და ის გვაშენებს, სხვა ჩვენ არ ვიცით... ისინი გვტოვებენ გაურკვევლობაში, რომ როგორც კი მოგვევლინებიან, წყაროსავით იყვნენ სასურველნი. გინახავთ ქათმები გაჩერებულები?.. დადიან, იქექებიან, პოულობენ, ყლაპავენ... მამალი მათ შორის მარმარილოს სვეტივით ამაღლებულია (თავისი მეტობის მონაა, საბრალო)... ამიტომ არ სჯეროდათ მათი ჩვენს წინაპრებს, ამიტომ ჰყავდათ მუდამ არტახებში. როგორც კი თითის წვერებზე სიარული შესწყვიტეს, პირველივე ნაბიჯი ცერად წაუვიდათ, სისხლიანი აღმოჩნდა პირველივე კვალი.

— თქვენ, სამაგიეროდ, ლექსებსა სწერთ... მეუბნება ვილაც, განა ჩემი თავი... და ის კი არ იცის, რომ არც ერთი ხელობის კაცს არ შეაძრწუნებს ჩემნაირად თავის შეხსენება... პოეტი... არაა საინტერესო, რომელენოვანი, რომელი ქვეყნის, რომელი ეპოქის, ქარივითაა იმის სახელი თუ ნიავივით წინ გიჩერდება... პოეტი... ეს სიტყვა კაცობრიობის ჩასახვის სწორია... იმ დილის, იმ დილის... ხომ უცნაური იქნებოდა პირველი დილა... ძველაღმოსავლური... ვერ გადააცმევენ მას სხვანაირად. იგი ჩვენს წინ დგას იმ პირველი ღვინისფერი წყლის ცვარდაბერტყილი, როცა მიწა წყალს გამოეყო... სწორედ ის არის ახლა შენთვის საინტერესო, სწორედ ის მოდის... არა აქვს აზრი, თუ როგორა წერს — არავინ დაგსვამთ თქვენ შესაჯიბრებლად... თქვენ არაფერი არ გექნებათ საურთიერთო — არც ენა და არც ჩვევები, შემთხვევითაც კი, ერთი ნივთი არ აღმოგაჩნდებათ, ერთი საერთო... ახალგაზრდა ის არ იქნება... არც მოხუცი, ტანსაცმელი რომ ემძიმება... პოეტის ყველა გამოსახულებაში მისი სახე გამოხატავს არყოფნას და მარადიულ არსებობასაც...

ეს მუსიკა მე ერთ მძიმე შემოდგომას მახსენებს... როცა ჰაერი მოლოდინით იყო დამძიმებული და ლოგინზე პირქვედამხობილს ის მუსიკა მესმოდა მხოლოდ... ის ისმოდა ჩემს ოთახში, როგორც ბროლის ვაზაში ერთადერთი უცვლელი ყვავილი და ჰკნებოდა, ჰკნებოდა... და მოულოდნელად როგორი შვება ვიგრძენი და როგორ გადამვარდა გულიდან ლოდი და როგორ აღმოჩენილის სიხარულად მომასკდა... იმის გახსენება, რომ მე თავის მოკვლის შანსი ჯერ არ დამიხარჯავს... და უცებ ყველაფერი არაფრად მივიჩნიე. დაე, ილაპარაკონ!

— გესმის, გეძახის კარის ჯახუნი!
ქარმა ცხოვრება მოგაჩვენა. გადაგაძრო თვალებზე ლული.
როგორც გარეთ, შენშიც ისე ცხოვრობდა ქარი,
როგორც გარეთ, დაფარული თუკი რამ იყო,
თუკი რამ იყო აყრილი და მოფონებული, როგორც სვავი ლეშს — მიითრევდა. შენშიც — რაც კი ფიქრი იყო, რაც კი ცხოვრება,

გაძლებაზე რაც კი იყო, რაც კი იყო გაყუჩებული,
აძრა, აშალა, აიტაცა და აგერ, უკვე განწირულად კედლებს [illegible]
...ბიბლიოთეკა

მე არა ვარ ქალაქში — ქალაქია ჩემში. ამას მე ვგრძნობ დევნილობისას, როგორც იცილებდე ორივე ხელით და ნარჩენი კბილების ღრჭენით უშველებელი ბანჯგვლიანი ცხოველის სხეულს, რომელიც — უსულო — აყირავებული მაგიდიდან შენსკენ გადმოცურდა — სისხლწვებოიანი და კედელზე უნდა მიგსრისოს.
შენ გარიყული,
სულის მოსათქმელად სულ ყველაზე ბოლო სართულზე ამძვრალი,
ახალმშენებლობებში, ქალაქის ნაპირას, სადაც, ხალხი რომ მიიზიდონ,
უშველებელ ჩონჩხებივით სახლებს აგებენ,
ცივ ბეტონზე ფეხგაშლით მჯდარი და ახალნალესს კედელს შვილად ზურგმიყრდნობილი, ფეხებს შორის ბოთლი რომ გიდგას...
ამას კი, თურმე, ბოლო მოძრაობაღა დარჩენია, აუშვია მაჯისსიმსხო კაბელების დიდი ბორბალი და უნდა, რომ ამ კედელზე მიგჭყლიტოს და დაასრულოს შენი ამბავი.
ვინააყირავა შენსკენ მაგიდა? ვინ აუშვა უმართავი დიდი ბორბალი?
იტყვიან რომ სიყვარულმა... ბრმა შემთხვევამ... გულუბრყვილობამ...
მორგი — ორპირქარიანი.
განა როდემდე დაგიტოვებენ. ერთს მეორის ეჭვი ექნება და არავინ არ მოგიკითხავს.
სისულელე იქნება შენი სიტყვაც, შენი სიმართლეც, ცხოვრება თვალს აგარიდებს მკვდარი ძაღლივით.

ბოლო წამს — კაცმა თავის მოკვლა რომ გადაიფიქრა,
განა ცხოვრება შეუყვარდა და იმიტომ გადაიფიქრა?!
თავის შემდეგ დაინახა უცებ ყველა და ყველაფერი
და ეს უფრო საშინელი სურათი იყო — ვიდრე გაქრობა.
ქვევით გადამხტარი ზემოთ ველარ ამოფრინდები!
სულელი ცხოვრება აზრიანი და ნამდვილი გახდება ხოლმე,
როცა დედა გაქვს ნატირები.

პოეზიის გარეშე: ხელგაშვებული ბავშვი, დარჩენილი თავისი სუსტი
ფეხების ამარა.
როცა ყოველ მხრიდან უტოკავს მიწაც და ჰაერიც,
როცა უჩინმაჩინ ქრება ყველაფერი,
რასაც შეიძლება მიეყრდნოს, ჩაეჭიდოს... და მიდმირბის, მიქანავს...
უპატრონო, ეული, უცხო... რადგან ზემოდან დაშვებული ხელიც გამქრალა და დაუტოვებიათ თავისი სუსტი სხეულის ამარა.
ორაძნელიხარშენჩემოთავორამძიმეხარდაროგორიადვილიაშენიდაცემა!

მე არ მეგონა, თუ კატას ფანჯრიდან შეეძლო ყურება... როცა დავხურე კარიც, ფანჯარაც (ცივ ღამეს მივადგი) და ჩემი შიშებისთვის შუქი დავიტოვე,

დავინახე, რომ ის ფანჯრიდან მომჩერებოდა. ახლა, ამ ღამეში... ვერა მშველოდნენ დახურული მძიმედ თვალები, გუგები ქუთუთოების საფარქვეშ უმწეოდ დარბოდნენ... ღმერთო, ვიღაცამ იცოდა კიდევ ამნაირად ჩემთვის ყურება... ვიღაც მ ა რ თ ლ ი ს წინ დარბოდნენ კიდევ ასე ჩემი თვალები... ვიღაცაც ასე ილოკავდა ხოლმე ტუჩებს — ბრძოლას თუ მიგებდა... ვიღაცისთვისაც სწორედ ასე ვცდილობდი, რომ გული მომეგო... ვიღაცასაც სწორედ ასე, მხოლოდ წიხლის კვრითღა ვიშორებდი... ღმერთო... ლოგინიდან წელს ვითრევ და ფარულად ვდგები.... მინდა დავრწმუნდე იქ რომელია.

ყოველი შემხვედრის სახე — სარკეა ჩემთვის.

დაე, დამეხსნან შენი თვალები, ნუ მსინჯავენ, ნუ მწონიან, ნუ მაფასებენ... ათას ნაგავში გამოვლილმა შენმა თვალებმა თავი დამანებონ: ორმა თაგვმა ორი დილის სათაგურიდან... მე არ ვენდობი შენს ორივ თვალს, ორ მოუსვენარ, ცახცახა გუგას, სულ რომ თრთიან თაგვებივით და ყოველი ჩემი მოძრაობა სურთ გამოიცნონ.

ბუნებრივია, მე შენს ტყუილს კი არ ვცემ პატივს — ჩემს შეცდომას, რომელმაც თავი არ დამიმალა, რადგანაც ის მარადიულია — ჩემი შეცდომა, შენი ტყუილი კი რა არის... ის აღარ არის.

გაუმარჯოს ნულს, და იმასაც გაუმარჯოს, ვინც ნულიდან იწყებს ცხოვრებას... ვისი დილის მთქნარებაც და საღამოს ოხვრაც სუფთა ნული არის — იმას გაუმარჯოს... გაუმარჯოს ნულს, სავსეს და მშვენიერს, რომელსაც წინ თუ დაუსვამ დაღრეცილ ხუთიანს, ორაზროვნებას დაჰკარგავს მაშინვე და ორმოცდაათი წლის კაცის ცხოვრებად იქცევა.

ის სული კი არა, არამედ მუცელი, მკერდს ქვემოთ რომ არის... და ის გულიც კი არა, მკერდში რომ ფართხალებს...
რა უბედურებია ეს გენიალური შემსრულებლები, უხერხულად რომ ატრიალებენ ხელში თავის საკრავს — როცა რამე არ გამოუვათ, როცა მთელი ჯადოქრობა, ცოდნა და ხერხები საკრავს კი აღარ ეურთიერთება, არამედ მთელი ძალით მათზე გადაივლის... და მაშინ ყველა სიტყვა, დამამცირებელი, მათი წარმატების დროს სხვების მიმართ რომ წარმოითქმოდა, მათზე იცლება ჭერის ბათქაშივით.

ყველაფერი ალაგია თავის ადგილზე, მაგრამ ვიღაც იყო — ისე ღმერთი არ გამაჩენდა — რომ ყოველი ჩემი ნაბიჯი მარტო ჩემი იყოს და ჩემი საიდუმლოც მარტო მე ვიცოდე.

მგელი არის ის არსება, რომელსაც მგლის ტყავი გადააცვეს, მგლის სახე აქვს, მგლის მადა, მუხლი... და ამის გამო არ ესაჭიროება გამოგონილი ნიღბები

და თავგადასავლები. ის უფსკრულში გადაგდებული საგანივითაა, აუცილებლად ფსკერს რომ ეხეთქება... მე ვარ ის არსება, რომელსაც ადამიანის ტყუვი გადამაცვეს, ადამიანის სახე მაქვს, მუხლი... ამიტომაც ბუნებას ჰგონია, რომ ჩვენი მეგობრობა შეუძლებელია.

შეყვარებულებო, ნუ გაეთელინებით ამ ოხერ სიყვარულს, ქვეშ ნუ მოეტანინებით, თორემ ის მაშინვე სხვა გამსრეს ძალას შეუერთდება... აღიარეთ მისი ძალა დამანგრეველი და ის მიიღეთ, თქვენს პიროვნებას რომელიც არ დააზიანებს.

ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, რომ საბოლოოდ დავშორდეთ შემდეგ და სამახსოვროდ თითო რაღაც ფერს ვუტოვებთ ერთიმეორეს, თითო რაღაც კენჭს, რომ მან, მდგარმა სიკვდილის კართან, თითქოს რაღაც რომ გაიგო, ისე იფიქროს და მკრთალ სურათში, რაც აქ ყოფნის ნიშნად გაჰყვება, ჩვენც აღგვნიშნოს ძლივს შესამჩნევ ფერად თუ კენჭად. ჩვენს ვალს მაშინ მივუხვდებით ხოლმე ცხოვრებას, როდესაც უკან მობრუნების თავი აღარ გვაქვს, რადგან მწარედ გვაქვს ნაბოძები ერთი სიცოცხლე... ღმერთო, ასეთს, როგორიცა ვარ, ჰკუას ნეტა როგორ მაყოლებ, რად მისწორდები...

...და როდესაც ძილაყოლილმა ფარდა გადავწიე და გავიხედე, უმანკო თოვლი ჩამოდიოდა ციდან და... შევკრთი. რამ შემაკრთო? უმანკოებამ? სისუფთავემ? რომელსაც მე მთელი წელი ასე ვებრძოდი... და, საერთოდაც, დანახული გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე რასაც შიგნით ვატარებთ... ყოველი წამი ნალმი არის, რომელზედაც შეიძლება კაცი აფეთქდეს, ამიტომაც ასე აუცილებელია თვითეული წამის აღწერა. მაგრამ სად ჩაყარონ ანონიმებმა თავიანთი იდუმალი წამის ფიქრები? ან არსებობს კი ის მოხუცებული, რომელმაც უნდა მოაგროვოს ისინი ერთად და უჩინარი ბიბლიოთეკის თაროებზე დაახარისხოს.

დადუმებული პირსაპარსი გეუბნება, რომ ტექნიკისა არაფერი არ გაგეგება. სარკე კიდევ თავისას გიმტკიცებს... შენს გარშემო რაც საგნებია, შენის ძალით ზოგს ასწევ და ზოგს ძვრას ვერ უზამ. ზეცა შორია. მიწა არის უკიდეგანო. ყველაზე ძნელი და საშიში ამ მიწაზე ცეცხლი და წყალია და ორივე შენს სახლში ცხოვრობს და ორივე ცოფდებიან შენს შეხებაზე. სხვები მათ მარტივად იმორჩილებენ. მაშინ ამ დროში რატომღა ცხოვრობ? მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა დროში ვერ იქნებოდი? ვერც გლეხობას ვერ გასწევდი (განა ძროხას მოამშობიარებდი?), ვერც მეომრობას (შუბი აძგერო სხვას და სისხლი ზედ შემოგესხას!)... მაგრამ ქუჩაში შეხეთქებულ მანქანებს რომ თვალს ვერ უსწორებ? შენს წინ დავარდნილი ადამიანი რომ გაბნევს და გაფეთებს ხოლმე (ზურგშექცევით რომ გაშორდები!)? რა შეგიძლია?.. არავინ, სულ არავინ რომ არ გაიგოს ისე მითხარი! — არაფერი?.. — სიკვდილი გინდა?.. — არა?!. ასე არავინ არავის არ გაურიგდება!.. მცირედისთვის ბევრს იხდი, მაგრამ ის ბევრიც იმ მცირედისთვის არაფერია. ამაოებაზე ორად-ორი პასუხი არის. ბრძენმა მთელი სიცოცხლე თუ უნდა იკვლიოს, ვიღაცა უბირმა სულ

მარტივად შეიძლება გასცეს პასუხი: — ხელის ჩაქნევით. გორდეუსის კვანძის არ იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურია, ამ წიგნის გემო მე მაშინ გავიგე, საბოლოოდ, წუთი-წუთზე როცა უნდა დავშორებოდი. ასევე ვცხოვრობთ, ასევე გვიყვარს... მშვიდობით, ჩემო სისულელევ! — ამას ვერ ვამბობთ. გინახავთ, სულ ყველაზე უმდაბლესი მათხოვარიც კი, ისეთი, უარესი რომ არ შეიძლება, როგორ ირჩევს სუფთა ადგილს ჩამოსაჯდომად (რა წაეცხობა!). მთელი ტალახი ცას რომ შეაყარო, მიწა არ დაგრჩება. თუ იხსენე, იხსენე და იხსენე მარტოოდენ ცუდი?.. სულ რომ ისე იყო გაბოროტებული, ხანდახან რომ ხარ?.. განა არა ჩანს ერთ ვარსკვლავში მთელი ზეცის დანარჩენობა? ერთ ჟესტში და ერთ საქმეში... დანარჩენობა!..

ისე დაღლილი ვარ, რომ მთელი ქვეყნის მიწა არ მეყოფა თვალებზე დასაყრელად.

სარკე გვასწავლის, თუ რამდენად უფრო მეტად რეალურნი ვართ — ჩვენი ფიქრით შექმნილ ჩვენს თავზე.

ჩვენ სულ იმას ვცდილობთ, რომ სახელი დავარქვათ რაიმე ჩვენს ნერვებსა და სულის ფორიაქს — გარკვევისათვის, როგორც ხეებს ვარქმევთ სახელებს — ფოთლებს კი ერთი სახელი ჰქვია, ფორიაქიც ხისაგანა აქვთ ნაბოძები, სიცოცხლეცა და ჩამოცვენაც.

მე სულ იმის ოცნებაში ვარ, რომ დავწერო ისეთი რამე — თუნდაც წიგნი — რომელიც ჩემს ყველაზე წესიერ და ამაღლებულ გულის ზრახვებს აღმისრულებდა... შიშში მყოფი კაცი მშვიდად რომ გადაშლიდა, იმის იმედით, რომ იქ ისეთს არაფერს არ შეეყრებოდა, რაც ყოველ წამს დამუქრებით მისჩერებია, პასუხსა სთხოვს, თავის თავთან აუცხოვებს და ამტერებს თავისივე მსგავსს — უამრავი საერთო რომ წყალში იყრება და რაღაცა ახირებული განსხვავება იმარჯვებს ხოლმე. ადამიანებში ხომ საერთო უფრო მეტია, ვიდრე სხვაობა. ერთ დაფიქრებას, ერთ ხუმრობას განა მრავალჯერ მოსისხლენი არ გაუყრია? როდემდის უნდა ვგავდეთ ველურებს, ანდა, თუნდაც, შექსპირის გმირებს. აღმოსავლურ მინიატურებში იმდენი სისხლია, ცას შეღებავდა.

ფანჯრიდან რომ მუხრუჭების ღრჭიალის ხმა შემოვარდება და შიშით რომ ელოდები — შეასკდება რამეს თუ არა — მე ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს ყველაფრის შემდეგ: რა იქნებოდა ამის მსგავსი ელდა ნეტავ იმ კაცისათვის, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა ერთ ძველებურ, ღარიბ სოფელში — საიდანაც არსად წასულა... იქნებ სოფლის გადაღმიდან ქალის კივილი... — მაგრამ ეს ხომ ახლაც ისევ საშინელია... გაზეთი მაშინ არ იყო და ტელევიზორი და დედამიწის მეორე კიდიდანაც ქალის კივილს ვერ გაიგონებდა.

მთელი სიცოცხლე ამზადებდა ამ სპექტაკლს ეს ადამიანი: გმირიცა ჰყავდა, მთავარ როლის შემსრულებელი. დადგა სპექტაკლი, დაასრულა... რთული, ხანგრძლივი, სადაც ამბის დასასრულში გმირი კვდებოდა. და ახლა, როცა მისი ჩანაფიქრით დასრულდა სპექტაკლი, მთელმა ქვეყანამ რომ ნახა და რომ გაიგონა, ამ ადამიანს აღარ უნდა გმირის სიკვდილი. ჩივის, აწჩხლობს — დამიბრუნეთო. მაგრამ სპექტაკლი საათის ისრის მიმართულებით არა მოძრაობს, ჩვეულებრივად, იწყება და მთავრდება ხოლმე.

რა თქმა უნდა, გეუხერხულება, ამდენ ხალხში ქაღალდის და კალმის ამოღება, მაგრამ ეშმაკი მაინც გაცდუნებს და ცხოვრებაც მწარე საზღაურს გიმზადებს ხოლმე. უხერხულობის ოფლის მოსაწმენდად ახალთახალ ცხვირსახოცს რომ ჯიბიდან იღებ — შიგ ქუჩის მტვერი და მუწუკებით მოოჭვილი ცხვირი დაგხვდება... და აგრძელებ შეძრწუნებული: ამ ორი მოხუციდან, მხოლოდ ერთმა იცის, რომ ყოველ სალამზე უნდა გაიმართოს, წამოდგეს, მხრები შეარხიოს, თავი დაუკრას, უნდა იხუმროს და იცინოს, განუწყვეტლივ ჰქონდეს კავშირი მუხლებთანაც და გულთანაც, გუნებასთანაც — რომ შეიგრძნოს თავისი თავი. ის, მეორე კი, კუნძივითაა მინდობილი სკამის საზურგეს და სულ ცდილობს — თვალი სადღაც შორს გააპაროს.

ის იყო თანახმა, რომ თავისი ცუდი გუნება დაებრალებინა იმ ერთიციცქნა მუწუკისათვის, ყურის უკან რომ მოიძია.

რამდენგან მაქვს ამოლაგებული ჩემი ბარგი — ჩემი ცოდვა — ჩემი არცოდვა: ჩემი ნავაჭრი ცხოვრებისა... სად... სად... კიდევ სად იყო... ადამიანები ისე ბერდებიან...

გაიღვიძო და იფიქრო: დღეს რაღაცა გამიხარდება!.. ღმერთო, ეს განცდა ისეთივე მარადიულ-მაცდური არის, როგორც მიწაზე გამოკვებილი ფრინველების ნავარდი ცაში.

რამდენი რამე ჩაუყლაპავთ ჩემს თვალებს, ღმერთო!
ისინი კი ყოველ დილით მშიერნი და ხარბნი არიან.

შენ აკვრდები ამ ცხოვრებას და სინამდვილეს წინასწარვე განწირული გულუბრყვილობით, ისინი კი შემოგყურებენ გამართულნი, თავის თავში დაჯერებულნი.

ვინ ამოჭამა ჩემი თავი — ჩემივ პეშვიდან? — მე! დღე და ღამე, და ყოველი წუთი და წამი! ხარბად, სწრაფად და ყოველთვის უკანასკნელად. ვინ არის ასეთი გაუმაძღარი! თავის ღვიძლის მკორტნელი? თავის თმების დამწველი? ჯანის გადამყრელი? ქვა არ დამიბრუნებს უკან ჩემს იარას, თმის

ღერს არ მომიძლვნის დილის სავარცხელი... წყალს ჩემი სახე მიაქვს, ლოგინს — ჩემი სხეული. ყველგანა ვარ, ყველგან ვიყავი... ჩემი თავიდან გასულს კარი მომეხურება და ყოველ წამს ახალ კარს ვაღებ.

ნუთუ მე და ჩემი სამშობლო ერთი გზით მივდივართ? მატყუარა ალკოჰოლიკები, ერთმანეთზე მიშვებული უპოვარი, უქონელი ადამიანები. როგორც ერთ წვეთ თაფლს, უტრიალებენ რაღაცა ნექტარს, როგორც წყალში ჩაგდებული ქვის წრეები ნაპირისაკენ, რომ როგორც კი შეეხებიან, შეასკდნენ და სახე მოენგრათ, გონდაკარგულად ესენიც თითქოს რაღაცას ეწვდებიან, რაღაცას აღწევენ.

კვნესა გინდა... გინდა, გინდა, ძალიან გინდა, მაგრამ ის უფრო მეტად გეწყინება, თუ გაგიგებენ. და აწევხარ ზედ შენს კვნესას. ჩახავსებიხარ.

მაიმუნები ბევრს ამოძრავებენ ზედა კიდურებს, ერთი თათით შეუძლიათ მთელი ღამე ტოტს ეკიდონ და ირწეოდნენ. მაგრამ იმათ მოძრაობაში გრაცია ჯერ არავის არ შეუმჩნევია. ასე არის ეს ფსიქიატრიც, რომელიც თავის წინა ხელებს მისჩერებია... ცხვირწინ მიტრიალებს, თავის თავში დაჯერებული... მაგრამ მარტოოდენ მოძრაობებს რა შეუძლიათ! გრაცია — სულია, გრაცია არ შედის ცოდნაში — ეს არ იცის ამ ფსიქიატრმა, მას ჰგონია, რომ საათის ქანქარაზე თვალი შეჩერდება.

ირგვლივ — როგორც არსად — ამას თუ ჰქვია ნეტავ ჰვრეტა და საკუთარ თავში ჩახედვა... ყველგან რომა ხარ, ყველაფერში და საკუთარ თავს არ სცილდები... ირგვლივ — როგორც არსად — როცა მთლიანდება ხილული სამყარო, სული, ცა, მიწა.

დახშულია ბაგე მთავარი სიტყვებისათვის. როცა პირს გააღებ, მაშინვე მიხვდები. იგრძნობ იმასაც, რომ ბაგეები თურმე ამის გამო იყვნენ მოკუმულნი, ამიტომ იყვნენ მდუმარენი, გაჩუმებულნი. თავის სულ ყველაზე მთავარ სატანჯველს კაცი არ ამხელს, ამიტომაა, რომ მას ემსგავსება, ამიტომაა მისი გონება ჩართული და დადარაჯებული — როგორც თოფის არაობა. უმიზნო რომ უმიზნოდ ისვრის — იხმარიებს ისიც ენას, იცინის, საუბრობს. გზას მიიკვლევს თავის მხრებით, ჰკუას ილესავს... დახშულია ბაგე მთავარ სიტყვებისათვის და მხოლოდ ის შეუძლია, რომ ათასგვარი მოძრაობით ცხოვრებას მიბაძოს... რა შეიძლება, ღმერთო, ჩემთვის? წყალი შეიძლება? ღვინო შეიძლება? თაფლი, წიწაკა, ძილი, ღვიძილი... ყველაფერი შხამად მექცევა. განა ფიქრი შემიძლია? ღრმა არის, ბნელი. ვერც შეტოპავ და ვერც ჩაყვინთავ. იმის გარშემო ვეხეტებით და ნაგავს ვქექავთ... მე რამდენიც სადარდელი მაქვს, იმდენი რომ დარდი შემეძლოს, მე რამდენიც ცოდო-ბრალი მაქვს, იმის ძალა რომ შემწევდეს დაფიქრებისა... ზემოთ ამოსულს მხოლოდ ქაფი ამომდევს მხრებზე.

პირის გემოს ბრალი არის ფურთხი, ძმაო. კიდევ — სულის გემოსი არის, კიდევ — ქვეყნის, კიდევ -— ხალხის, კიდევ — ცხოვრების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ სამადაშვილი

# ივლისი მესამედ

## (მოთხრობა)

### I

— ცხე-ლა, ცხე-ლა, — მარცვლავს თეთრწვერა მოხუცი, — ცხელა.

— დღეს წვიმა მო-ვა, — ეხმიანება შავტუხა ქალბატონი, — წვიმა მო-ვა დღეს, მო-ვა, მო-ვა!

სიზმარში მოსმენილი საუბარი ძაღლების ყეფა ყოფილა და მეტი არაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ძაღლების ყეფა ზუსტად იმ შინაარსს გამოხატავს, რაც მე სიზმარში მოვისმინე.

დილის შვიდი საათია.

კვირა დღე.

ამას ძაღლებისთვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა: გაკაპასებით ღავღავებენ მეზობლის ბებერი შპიცი და ახალგაზრდა ქუჩის მაწანწალა:

— ცხე-ლა, ცხე-ლა!

— დღეს წვი-მა მო-ვა! მო-ვა, მო-ვა!..

„იწვიმებს?"

საშინლად მწყურია. ნაბახუსევ თავში ორპირი ქარი ქრის, შუბლის გავარვარებულ ბარხანებსა და დიუნებზე აქლემების ქარავანი მიიზლაზნება, სადღაც მკერდის არეში მექარავნე ასრულებს დილის ბაიათებს.

ხელისცეცებით შევდივარ სამზარეულოში, თვალებს ძალას არ ვატან, რათა არ გამოვფხიზლდე, მაცივრიდან „ბორჯომის" ბოთლს ვიღებ, ასევე სანახევროდ თვალებმოხუჭული ვბრუნდები საძინებელში და საწოლზე ვენარცხები. ოთახში მომაკვდავი სისუფთავის სუნი დგას. „სისუფთავე სულს ღაფავს, — ვფიქრობ, — საღამომდე ვერ გაატანს, გაფშიკავს ფეხებს". საოცარი ყნოსვა მაქვს. ვიდრე სიგარეტის მოწევას დავიწყებდი, ჰაერის სუნს ვგრძნობდი. ყოველ გაზაფხულს, ყოველ უბანსა და ქუჩას თავისი განსაკუთრებული სუნი ჰქონდა...

— დღეს წვიმა მოვა... მო-ვა, მო-ვა!

— მო-ვა... მო-ვა...

ისე, რა საინტერესოა: გამოღვიძებამდე ცხოველთა ენა აშკარად ვიცოდი... ვითომ მძინავს... საკითხავია, ვის ვატყუებ, ბინაში ხომ მარტო ვარ! გატრუნული ვწევარ და ვფიქრობ. ფიქრი სულაც არ მინდა, მაგრამ ჩემში არსებული რაღაც ზებუნებრივი ძალა, რომელსაც მუდამ თავის ნებაზე დავყავარ, ახლაც მაიძულებს ის გავაკეთო, რაც თვითონ სურს.

თვალს ვახელ — მარცხენას... მერე — მარჯვენას... მერე ზედმეტი სინათლისგან ორივეს სასწრაფოდ ვხუჭავ და „მძინავს".

ფანტასტიკური ნუმპეა მახსოვრობა. თუ საქმე არა გაქვს, არც არსად გეჩქარება და მთელი არსებით აპირებ დასვენებას, ანდა უბრალოდ — გამოძინებას, სწორედ მაშინ ამოგიტივტივებს სიძველისაგან აშმორებულ წარსულს და მყუდროებას აგიქოთებს.

განსაკუთრებით ნასმურევზე უყვარს ამის გაკეთება:

როდესაც ისტერიულად იკივლა, — წადი, წამალი იშოვე შე ლაჩაროო, — შეურაცხყოფილად არ მიგრძვნია თავი. არც იმას ჩავუგდივარ უხერხულ მდგომარეობაში, ექიმიც რომ იქვე იდგა. ნინოს კივილს ისე დავემორჩილე, როგორც კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცი დაემორჩილება ოფიცრის ბრძანებას. ყველაფერი მოგვიანებით გამახსენდა, კრიზისის შემდეგ, როდესაც ბავშვის გადარჩენა ეჭვს აღარ იწვევდა. მოგვიანებით დავიწყე ფიქრი ექიმის მრავლისმნახველ და აღუშფოთებელ, თითქმის დამცინავ გამოხედვაზე და

ნინოს გააფთრებაზეც, ძუ მგლის გააფთრებას რომ ჰგავდა, რომელიც ბუნაგთან მიუმწყვდევიათ და მთელ სამყაროზე გამძვინვარებული მზად არის უყოყმანოდ გაილოს თავისი სიცოცხლე ერთადერთი ლეკვის გადასარჩენად.

„შვილს თუ გაუჭირდა, ყაჩაღობას დავიწყებო! — მეც ხშირად მიბაგუნებია მკერდზე მუშტი, განსაკუთრებით ბახუსთან შეყრის ჟამს, — შვილს თუ დასჭირდა, ქვას ქვაზე არ დავტოვებო!"

არ ყოფილა ადვილი. კაცს სულ რაღაცის იმედი აქვს, სულ ხვალინდელი დღის მოლოდინშია...

ზარმაცია კაცი...

საავადმყოფოში უკვე ხელი მქონდა ჩაქნეული (ამას ახლა ვხვდები), ბედს ვიყავი მინდობილი, ნინო რომ არა!..

პირველად მომაყენა შეურაცხყოფა. მანამდე უსიტყვოდ იტანდა ჩემს კაპრიზებსა და მყრალ ხასიათს, გაუთავებელ ჩხუბსა და აყალმაყალს, უფულობას, უპერსპექტივობას... მისი უსიტყვო მორჩილება სწორედ ჩემი უპერსპექტივობით იყო გამოწვეული (ამასაც ახლა ვხვდები): იმედი გავუცრუე, არასრულფასოვან მამაკაცად მთვლიდა და უაზრობად ეჩვენებოდა ჩემთან კამათი.

ჯორბენასთან გავვარდი უკანასკნელი სამმანეთიანით. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ჯორბენა ორიოდე წელში მოკვდებოდა... ღვინოს იშვიათად სვამდა, სიგარეტს არ ეწეოდა, ნარკოტიკებიც აღარ აინტერესებდა.,. ვეხუმრებოდი ხოლმე, შენ ყველას გაგვისტუმრებ-მეთქი...

არიან სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი ადამიანები, რომლებსაც ნაადრევი სიკვდილის დალი ამჩნევიათ გამომეტყველებაზე, ღიმილზე, საუბარში, — მათი ამოცნობა ზოგჯერ ფოტოსურათითაც შემიძლია, შევხედავ ადამიანს და ვგრძნობ, მალე უნდა მოკვდეს, ჯორბენას კი საამისო არაფერი ეტყობოდა.

კართან მისული ლამის უკან გამოვბრუნდი: ფულით ვერ დამეხმარებოდა, ციხიდან ახალი გამოსული იყო და საპროექტო ინსტიტუტში მუშაობდა; ფულიც რომ გამოენახა, სად წავსულიყავი, ვისთვის მიმემართა! სპეკულიანტებს არ ვიცნობდი (თუ ვიცნობდი, მხოლოდ იმათ, ვინც ჩვრებს ან ნარკოტიკებს ყიდდნენ), აფთიაქში წამალს ვერ ვიშოვიდი, გასაგებად მითხრეს, ხელზე უნდა იყიდო, იმპორტული ანტიბიოტიკიაო, ერთი სიტყვით, მის ნახვას აზრი არა ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც მომხდარ ამბავს ვიხსენებ, მშვენივრად ვხედავ, რომ ბედისწერამ შეგნებულად ჩამიწყო ბავშვის ავადმყოფობა, რათა ჯორბენასთან მივსულიყავი და იქ ჩვენი ყოფილი თანაკლასელი რეზო დამხვედროდა.

თურმე ბედისწერა ნებისმიერ სურვილს ასრულებს, როცა სურვილის შედეგი, ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის მიუხედავად, ნამდვილად ესაჭიროება ადამიანს.

ჯორბენა მაშინვე ტელეფონს ეცა, ფული, რა თქმა უნდა, არა ჰქონდა, რეზომ კი მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული უხერხულობა სწრაფად დასძლია და რაღაცას მოვახერხებთო, მხარზე ძმაკაცურად დამკრა ხელი...

„რა ბედზე გადარჩა!"

ცალ თვალს ვახელ და საათისკენ ვიხედები: ჯერ ცხრაც არ არის. ნეტარებაა კვირა დღე: სტუმარს არ ველოდები, ცოლ-შვილი მოსკოვშია, საამქროში სხვა მორიგეობს... თამამად შემიძლია, შუადღემდე საწოლში ვინებივრო.

ვთვლემ... ძილ-ღვიძილში ვხედავ მორიელივით სიზმარს, თვალებს სრულიად გამოფხიზლებული ვაჭყეტ და შიშისაგან სუნთქვა მეკვრის:

ჩემს საწოლთან თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი მარინა დგას, დახეთქილ-დასისხლიანებული ტუჩებიდან ჩამტვრეული კბილები მოუჩანს და ინტერესით მომჩერებია, მერე თითქოს არაფერიო, მშვიდი, მსუბუქი ნაბიჯებით გადის ოთახიდან.

ესეც შენი კვირა დღე, არადა რა კარგ გუნებაზე გამეღვიძა!

* * *

მატარებლის გასვლამდე სამი წუთით ადრე შევდივარ კუპეში და მორიდებით ვკითხულობ:

— შეიძლება?

— მობრძანდით, მობრძანდით, — საქმიანი ტონით მეპატიჟება შუახნის სიმპატიური ქალი და შინაურულად მაცნობს ქმარ-შვილს, — დასასვენებლად მიდიხართ?

— კი, ვაჟი შემეძინა, ღამღამობით არ მაძინებს და ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი.

— რა კარგია! გილოცავთ! რა ხნისაა?

— სამი თვის. მადლობთ. თქვენც დასასვენებლად მიბრძანდებით?

— ჩემს მეუღლეს ზღვის ჰავა უხდება, გული აწუხებს.

— უკაცრავად, — ამბობს კაცი, — შენი სახელი კარგად ვერ გავიგე.

— გიგა.

— გიგა? საიდანღაც მეცნობი.

— შეიძლება, — პირველად ვხედავ, — შევხვდებოდით სადმე.

— სადმე? — გამომცდელად მიყურებს, — შესაძლებელია!

თვალებს ვარიდებ, უწყინარ გამომეტყველებას ვილებ, მორჩილად ვილიმები.

მშიშარა საერთოდ არა ვარ, მაგრამ ზოგჯერ მაქვს პერიოდი, როდესაც საოცრად უსუსური ვხდები. ასეთი განწყობილება განსაკუთრებით თვითმფრინავით ან მატარებლით სადმე გამგზავრების წინ მეუფლება. თვითმფრინავამდე მისვლა, გრძელ რიგში დგომა და აუტანელი რეგისტრაცია, რეგისტრაციის შემდეგ რენტგენზე გატარება: დაუსტვინა — არ დაუსტვინა, აბა, ჯიპეში რა გაქვს? მოიხსენი ჯვარი, ამოიღე ხურდა ფული და სიგარეტი, ხელახლა გაიარე, ისევ დაუსტვინა — არ დაუსტვინა, აბა, ჯიბეში რა გაქვს? გაჩხრეკვაზე უარესია. ჩაჯდები თვითმფრინავში და ქამარი შეიბნიე, მიეწებე სავარძელს, სალონში არ იარო, სიგარეტი არ მოსწიო, საჭმელს თუ ჩამოატარებენ, ზოგი ჭამს — ზოგი არწყევს, საზიზღრობაა. მატარებელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: არც კონდიციონერი, არც ვენტილაცია, ფანჯარაც არ იღება ყოველთვის. ჩემი უსუსური განწყობილება კი გამოიხატება ზედმეტ თავაზიანობაში, შინაგან მოუსვენრობასა და ცუდის განუწყვეტელ მოლოდინში, აშკარად მიჭირს საკუთარი თავის დამორჩილება, ვკარგავ დამოუკიდებლობასა და სიამაყეს, ვცდილობ, ყველასთან მოვიქცე კარგად, არავის ვაწყენინო, მოკლედ საშინელ დღეში ვარ.

— გამახსენდა, — იცინის კაცი, — შენზე მითხრეს, გმირთა მოედანზე ძაღლი ეჭირა ხელში და ჰაერში იქნევდაო.

— არა, — ვამბობ მორცხვად, — კატა იყო... ფრენას ვასწავლიდი.

— მაპატიე, ნამდვილად სხვაში მეშლები, მაგრამ ისეთი ნაცნობი სახე გაქვს!... რომელ უბანში ცხოვრობ?

— კარგი, დათო, რა დაგემართა! — საყვედურობს ცოლი, — რატომ ჩააცივდი, რა წესია!

უცებ სახეზე თბილი, წებოვანი სითხე მეშხეფება და სიამოვნებისაგან ახარხარებული ბავშვი ლიმონათის ბოთლთან ერთად საწოლზე მიგორავს.

მის საქციელს, ეტყობა, მშობლებიც არ ელოდნენ, გამწარებულები მებოდიშებიან, ბავშვს ტუქსავენ, კიდევ მებოდიშებიან, კიდევ ტუქსავენ, განსაკუთრებით დედა აქტიურობს.

— არა უშავს, — დაძაბულობისაგან აკანკალებული ვცდილობ ცხვირსახოცით სახის შემშრალებას, — ნუ სწუხდებით.

რადგან საბოლოოდ გამოვფხიზლდი, ახლა უკვე შენ გესაუბრები, ჩემო პატარა ეშმაკუნა, ჩვენი დამეგობრების პერიოდს ვიხსენებ. მართალია, ჩემი ცხოვრება მშვენივრად იცი ბავშვობიდან დაწყებული დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ შენამდე საკმაოდ მონდომებულმა მოვაღწიე, მაგრამ ცნობისმოყვარე ხარ და კიდევ ერთხელ მინდა დაგიმტკიცო მოსიყვარულე გულის უანგარობა.

აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყანაში, თურმე თვითეული ადამიანი ბედნიერების ჟამს, ბრინჯის მარცვალს აგდებს პატარა კოლოფში. გარდაცვალების შემდეგ ახლობლები ხსნიან კოლოფს და გარდაცვლილის სიცოცხლის ხანგრძლივობას ამ მარცვლების რაოდენობით ანგარიშობენ. ჰოდა, აწერია საფლავის ქვებს სამი, შვიდი, ცხრაას ხუთი დღე. მე, პირადად, მსგავს კოლოფში ბრინჯის ერთ მარცვლსაც ვერ ჩავაგდებდი, რადგან დილიდან საღამომდე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. გულახდილად თუ გეტყვი, წარმოდგენაც არა მაქვს, რა არის ბედნიერება! საყვედურად ნუ მიიღებ და შენც ვერ მეხმარები ისე, როგორც საჭიროა: არ დაგავიწყდეს, ვალს გასტუმრება უნდა, მე კი ზოგჯერ რომც გილალატო, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, რა სჯობია, როდესაც შეგირდი ოსტატს ოსტატობაში აჭარბებს. ვერ უყურებ, რა გემრიელად ვხითხითებ? უხილავი რომ არ იყო, ახლა კუდზე კონსერვის ქილას გამოგაბამდი და შეიძლება, მაგ შავტუხა, კოხტარქებიან თავუკაზე ნამომერტყა კიდეც...

არ გეწყინოს, ჩემო ბანჯგვლიანო ანგელოზო, სიყვარული მალაპარაკებს, შენამდე ისეთი უძლური ვიყავი, ისეთი გარიყული, ვერც წარმოიდგენ. ხომ ხედავ, ჯვარსაც შენი ხათრით ვატარებ, შევხედავ და შენ მაგონდები, იმედით ვივსები, რწმენა და ძალა მემატება, ჩემი ღმერთიც შენა ხარ და ბედისწერაც.

ცხოვრებაში მთავარი ადამიანებს შორის ურთიერთობაა, მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობა რომ თითქმის შეუძლებელია, ამაშიც ორი აზრი არ არსებობს. პირველი, რაც მშობლებმა ჩამაგონეს, უმცროსს მოუთმინე და უფროსს პატივი ეციო. გავიხედ-გამოვიხედე და ყველა ან უმცროსია ან — უფროსი, კონფლიქტურ სიტუაციაში კი თითქმის ყოველთვის ერთად გიტევენ.

გითხარი, მოწიფულობის ჟამს გაგიცანიმეთქი, თუმცა შენკენ მომავალ გზას გაცილებით ადრე დავადექი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩემი ასაკით დაბნეულმა არ ვიცოდი, ვისთვის როგორი პასუხი გამეცა, ვისთან როგორ მოვქცეულიყავი:

რვა წლის ბავშვი ნალვერში წამიყვანეს დასასვენებლად. უფროსებს თავიანთი საქმე ჰქონდათ, ჩემთვის არ ეცალათ და მოწყენილობისაგან კალათბურთის ფარზე ავძვერი. იქვე ჩემი ხნის ბიჭი თამაშობდა, იმანაც მო-

ინდომა იგივეს გაკეთება და ბევრი წვალების შემდეგ რომ ვერ შეძლო, განაწყენებული ალრიალდა. მოვარდა დედამისი, გულში ჩაიკრა, მოეფერა, დაუყვავა, იმ ყვავმა კი თითი მომაშვირა, — შემაგინაო. მომდგა და მომდგა დედამისი, ცხარე ცრემლით ამატირა, ცეცხლი გააჩაღა — ხანძარში დამწვა, წყალი აადიდა — ზღვაში დამახრჩო, მიწა ამოთხარა — ცოცხლად დამმარხა, დედაჩემსაც მაგრები უთხრა, დიდი დაქოქილი ვინმე გახლდათ, ნამდვილად შენი რომელიმე ტარტაროზი ბრძანდებოდა და ალბათ კოხტა, მკვრივი დუნდულების შესაყართან მოკლე და ბათქუნა კუდიც ამშვენებდა.

არც არაფერი მკითხეს, მომკიდეს ყურში ხელი და ატირებული მთელი დღით ოთახში გამომკეტეს.

ნეტა მართლა შემეგინებინა!

აქამდე მახსოვს და მახსოვს ძალიან მწარედ. ღამეებს ბოლმისაგან თეთრად ვათენებდი, ბალიშს ცრემლით ვასველებდი. ყველაზე მეტად დედაჩემის საქციელზე მწყდებოდა გული: ტარტაროზის ანასხლეტს დაუჯერა და მე — არა.

სწორედ იმ ლაწირაკს მაგონებდა კუპეში ჩემს გვერდით მყოფი ბავშვი, სწორედ მას მაგონებდა ნინოს ერთ-ერთი თანაკლასელიც (მერე პროკურორი რომ გახდა) და მძულს ყველა, ვინც მას ჰგავს ან მას, ვინც მომავალში მომაგონებს.

— როგორ იქცევი! — ჰკიცხავს დედა, — მოუხადე ძიას ბოდიში!

— იყოს, იყოს, ნუ სწუხდებით.

დაშოშმინდნენ, გაფხორილები სხედან, იშვიათად თუ წამოისვრიან რაიმე სისულელეს.

— ცხელა, — იხრავს ქალი.

— აბა, კაცო!

...

— ღვეზელი გინდა, დედიკო?

— ღვეზელი არა მეზელი!

— ციც! — უწყრებიან და ხითხითებენ.

მეც კეთილსინდისიერად ვიცინი.

ხითხითებენ და ილეჭებიან. ნესტოები მევსება მოხარშული კვერცხის სუნით... გოგირდის სუნით: ლაწირაკს საპირფარეშოში გასვლა უნდა...

ბოდიშს ვიხდი, კუპედან გამოვდივარ, ტამბურში სიგარეტს ვეწევი.

მატარებელი მუხლუხასავით მიღოღავს.

ცხელა, როგორც ვეშაპის სტომაქში.

ქალაქი, სადაც შვებულების გატარებას ვაპირებ, ჩემი ოჯახის წარსულთან მტკიცედაა დაკავშირებული, ისე მტკიცედ, რომ მამაჩემს მისკენ გახედვაც არ უნდა, მე კი რატომღაც მიზიდავს და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში თავისკენ მეძახის, თუმცა არც ისტორიული ღირსშესანიშნაობანი მაინტერესებს მაინცდამაინც და არც [illegible] ხალხით ვარ აღფრთოვანებული.

ორი თაობის წინ, კაცს, რომლის სახელსა და გვარსაც მე ვატარებ, ვილაცა უცხოელისგან უცნაური სილამაზის პატარა ჩიტი შეუძენია. ჩიტი თურმე საუცხოო გალობისა და შეფერილობის გარდა მარტივი მელოდიების გამეორების უნარითაც აოცებდა მნახველს და ჩემი წინაპარი შენაძენით იმგვარად მოხიბლულა, რომ ქალაქგარეთ, მომცრო ტბის გარშემო, ბოტანიკური ბაღის გაშენება და მგალობელი ფრინველების მომრავლება განუზრახავს. წარმოსადეგი კაცი ყოფილა, მოხდენილი და ენამოსწრებული, მოქალაქეთა ყურადღებას იქცევდა, საზოგადოება პატივს სცემდა, ცხადია, უამრავი ნაცნობიც ჰყავდა და მაშინდელი მთავრობისაგან არ გასჭირვებია თანხმობის მიღება.

იშვიათი მონდომებით შესდგომია საქმეს, საკუთარი ქონება გაუფლანგავს, თავისი ჩანაფიქრი განუხორციელებია, მაგრამ როგორც საერთოდ ახასიათებთ მოუსვენარ ადამიანებს, არც მას შესძლებია მიღწეულით დიდხანს დაკმაყოფილება: ახლა ქართული ციხე-ეკლესიების აღდგენა-რესტავრაციაზე დაუწყვია ოცნება.

აღარ დასცალდა: ჭრელი დრო იყო, ახალი ეპოქა იწყებოდა: ჯერ მენშევიკებმა მოახდინეს მისი ქონების ექსპროპრიაცია და მეუღლესთან ერთად წამებაში ამოჰხადეს სული, მერე ვილაცის წაქეზებით გლეხებმა დაანგრიეს ჩვენი საგვარეულო სახლი და პაპაჩემი ქვებით ჩაქოლეს, როგორც თავადის შთამომავალი და ხალხის მტერი, მამაჩემსაც არ ასცდებოდა სიკვდილი, ერთ ღვთისნიერ ქალს რომ არ გადაემალა და შემდგომში შვილობილად არ გამოეცხადებინა.

სწორედ ამიტომ არ უყვარს ეს ქალაქი... მე კი ალბათ სწორედ ამიტომ მიზიდავს...

— თავი მტკივა, — ამბობს ქმარი, გაძვალტყავებული მელოტი კაცი, — მაგნიტური ქარები თვითმკვლელობამდე მიმიყვანენ.

— მაგნიტური არა! — იცინის ცოლი, — ქარი რა შუაშია!

— ძალიან დავსუსტდი, — კაცი მე მომმართავს, — ბევრს ვმუშაობ.

— ღლეებით?

— განუწყვეტლივ ვმუშაობ, აი, ახლაც ვზივარ და ვმუშაობ.

— მწერალი ხართ?

— არა, უფრო მეტი, — ამბობს ამაყად, — კოქტეილს ვაკეთებ... საინტერესოა, საიდან მეცნობით! გიგა გქვია? ჰო, გიგა!.. ძალიან ნაცნობი სახე გაქვს.

— ნუ შეაწუხე, — ეუბნება ცოლი, — მოასვენე ერთი წუთით.

ბიბლიოთეკა

— კოქტეილს? — მატარებელმა დრიგინ-დრიგინით გადაიარა ხიდზე და ჩემი ხმა ბორბლების ხმაურში ჩაიკარგა, — კოქტეილს? რა შენუხებაა!

— ჩვეულებრივს არა! — ასანთის ღერს ირჭობს ჭიან კბილში, — აბა, თუ გამოიცნობ!

— უალკოჰოლოს?

— მასეთსაც.

ბავშვი ლიმონათის ბოთლს ანჯღრევს და სიცილით იგუდება.

— რადგან არ იშლი, შენ თვითონ აუხსენი, — იცინის ცოლიც, — მაინც ვერ გამოიცნობს.

— ვერ გამოიცნობს, რა თქმა უნდა! — საქმიანად იჩიჩქნება ასანთის ღერით და საჭმლის ნარჩენს იატაკზე აპურჭყებს, — ასეთი უნარი მხოლოდ მე მაქვს.

— თუ საიდუმლოა, ნუ გაამხელთ, — ვეუბნები, — ლალიძის წყლების რეცეპტი დღემდე არავინ იცის.

— ლალიძე ვინ მიგდია! — მეუბნება დაცინვით, — მე კოქტეილს სისულელისგან ვაკეთებ, სი-სუ-ლე-ლის-გან, აზრემს?

— სისულელისგან? — უხერხულობისგან აღარ ვიცი, სად დავიმალო, აშკარად დამცინიან, — რა საინტერესოა!

— არა გჯერა? გამოტყდი, ხომ არა გჯერა! არავის არა სჯერა, კოქტეილზე კი უარს არ ამბობენ, სიამოვნებით წრუპავენ. აიღებ ცოტა სისულელეს, ოღონდ სისულელე სხვისი უნდა იყოს, დაამატებ არაფერს და კოქტეილიც მზად არის.

— არაფერს?

— სულ დაიცენტრა, ეს უბედური! — ბავშვი ფეხებს ასხმარტალებს, — აღარ შემიძლია მეტი!

— შენი აზრით „არაფერი" არ არსებობს? — ბავშვს ყურადღებას არ აქცევენ, — ჰა, გიგა-ჯან, არ არსებობს?

— აქამდე ასე ვფიქრობდი.

— როცა რაიმე არ არსებობს, ხომ არსებობს ის რაც არ არსებობს?

— ვერ გავიგე, — ვამბობ დაბნეული, — თუ არ არსებობს...

— როდესაც იტყვი, გაშლილ ველზე... — მიხსნის ცოლი.

— ველზე მთა არ არსებობს, — აწყვეტინებს ქმარი, — ნიშნავს, რომ მთა არსებობს, მაგრამ ველზე არ არი, გასაგებია? ასევეა „არაფერიც", რასაც ფერი არა აქვს, არ არსებობს?

— არსებობს.

— ჰო, მოხვედი აზრზე? რომ არ იარსებოს რაიმემ, უნდა არსებობდეს ის, რაც არ არსებობს. თუ არარაობაა, თუ სიცარიელეა, თუ ის არის, რასაც სახელი არა აქვს და რაზეც წარმოდგენა არა გვაქვს, როგორ ვიტყვით, არ არსებობსო, ჩვენ ხომ მასზე წარმოდგენაც არა გვაქვს და თუ გვაქვს წარმოდგენა, ე. ი. არსებობს, აზრემს, გიგა-ჯან?

— კოქტეილი რა შუაშია? — თვალებზე ვაკვირდები: მოყვითალო ფერის გუგებს ავადმყოფურად მოვარდისფრო ნალექი გადასხმია და გამოხედვას თავხედურ, სევდიან და მიბნედილ გამომეტყველებას აძლევს, ასეთი თვალების მქონე ადამიანები ნაადრევად იღუპებიან, — კოქტეილი საიდან?

— როცა პროპორციაში სისულელე ჭარბობს, კოქტეილი უფრო მათრობელა და ნაკლებ გამაგრილებელი გამოდის, როცა პირიქით ხდება, მაშინ შეიძლება, უალკოჰოლოც გამოვიდეს. ნახევარი ნახევარზე ოპტიმალური ვარიანტია. ჰო, სულ დამავიწყდა, სისულელე აუცილებლად სხვისი უნდა იყოს, საკუთარი არ გამოდგება... ასეა გიგა-ჯან, ჯოჯოხეთური სამუშაოა, სულ გაფაციცებული ვარ, სხვისი არც სიტყვა გამომრჩება, არც საქმე, იქამდე მივედი, ნევროზი დამემართა, თვითმკვლელობაზე ვფიქრობ.

— თავს არ უფრთხილდები, — ეხმიანება ცოლი, — დასვენებაც საჭიროა, ასე როგორ შეიძლება!

— ჩინური ნემსებით ვმკურნალობ, ამბობენ, შველისო.

— შველის, — ვეუბნები დარწმუნებით, — ძმაკაცს ჰქონდა საშინელი დეპრესიები, მაგ ნემსებით განიკურნა, ოცი კილოც მოიკლო.

— ხედავ? — ცოლს თავს უქნევს ნიშნის მოგებით და ისევ მე მომმართავს — რამდენი ციკლი ჩაიტარა?

— ზუსტად არ ვიცი, სამი თვის განმავლობაში მკურნალობდა, პოეტია, სიგიჟემდე ბევრი არ ეკლდა, ახლა მშვენივრად არის, სვამს კიდეც.

— გიჟი ყოფილა, — იცინის ცოლი, — პოეტები...

უცებ სიცილს წყვეტს და დაეჭვებული მეკითხება:

— სად მუშაობთ?

მეტი დამაჯერებლობისათვის აქცენტს თითქმის ჩემზე ვაკეთებდი, ძმაკაცისას თუ არა, ჩემს ავადმყოფობას მაინც დაიჯერებდნენ: ასეც მოხდა — ქალი დავარწმუნე, რომ მკურნალობა მე დამჭირდა. ჰუმანური მოსაზრება მამოძრავებდა: ავადმყოფებსა და მათ ახლობლებს მაგალითი ყველაზე უკეთ ამშვიდებთ.

— კვლევით ინსტიტუტში.

— რას ამბობთ! — იცინის ქალი, — მეცნიერი ბრძანდებით?

მისი ფამილარული გამომეტყველება დაახლოებით იმას ნიშნავს, გიჟის მეცნიერება არ გაიშვაო.

— ლაბორატორიაში ვარ პატარა თანამდებობაზე.

გამყოლს თეთრეული შემოაქვს, მანეთ-მანეთს ვაძლევთ და ისევ სილაჩრე მეუფლება: ლეიბს დააფარე, ბალიშს გადააკარი, გაიშალე, დაწექი...

გარეთ გავდივარ, კაციც მომყვება:

— კონდიციონერზე მოგვატყუა, — ამბობს, — ჩავრთავო, დამპირდა.

ქალი კარს კეტავს, ალბათ გაიშლის და დაწვება. ბინძური აზრები მომდის: მშვენიერი ტანი აქვს, ტემპერამენტიანიცა ჩანს, მის კაფანდარა ქმარს არაფრის ნიჭი არ ექნება, ეშმაკმა უწყის, როგორ ტანჯავს და აწვალებს...

ჰოდა, ჩემო კუდრაჭა მბრძანებელო, ვინ ამიშალა ასეთი მაცდური ფიქრები? არის თუ არა ტრანსპორტის სამინისტრო დამნაშავე? რა თქმა უნდა, არის, წყალი არ გაუვა.

— გიგა-ჯან საიდან მეცნობი? — თავისას არ იშლის, — ძალიან ნაცნობი სახე გაქვს.

— არ ვიცი, — კანალიზაციის ჭაში ვიძირები, — სიგარეტს არ მოწევთ?

— სამი წელი, — მეუბნება გაბრწყინებული.

— ბატონო?

— სამი წელია აღარ ვეწევი, ჯიგარო.

— მაგას რა სჯობია! — ლაჩრულად ვემანჭები და ტამბურში გავდივარ.

* * *

მატარებელი დილაუთენია ჩადის.

ტაქსით მივდივარ სასტუმრომდე.

ფოიეში, მოსაცდელ სკამზე ადმინისტრატორი ხვრინავს, მეც სკამზე ვჯდები და ველოდები, როდის გაიღვიძებს.

მალე ორი მანდილოსანი შემოპაკუნდა, მანდილოსნებს ქალ-ვაჟი მოჰყვა, ქალ-ვაჟს — ჩემი ნაცნობი ტარტაროზების ოჯახი: დაბნეულები იყურებიან აქეთ-იქით, აქიცინებენ თავებს, ვითომ ვერ მამჩნევენ, ან რატომ შემამჩნევენ? — მეც ოთახი მინდა და უკვე მათი მეტოქე ვარ.

ათი საათისთვის ადმინისტრატორი იღვიძებს, თავიდან ფეხებამდე ირონიულად მათვალიერებს და ჩემს შემცვლელს დაელოდე, დღევანდელი დღე მას ეკუთვნისო, — მეუბნება:

— ცოტა შეაგვიანდება, მანამდე „გემოში" გადადი, ხაჭაპური მიირთვი, აქ ხომ არ იჯდები!

სანაპიროზე დავფრატუნებ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ბრიყვულად გამოვიყურები, ხელ-ფეხი ერთმანეთში მებლანდება, გაოფლილი, დასაბანი თმა მზეზე საძაგლად პრიალებს, უძილობისაგან გაყვითლებულ სახეზე წვერი წამომზრდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვები სეირნობენ, დარბიან, თამაშობენ, მხიარულობენ... მე ჩანთას დავათრევ... აი, ვილაცა კაცმა ჩამიქროლა, — ფუმფულა, ოდესღაც სპორტულ ხელებში ქვები უჭირავს ჰანტელების მაგივრად და სირბილის დროს მკლავებსაც ავარჯიშებს, ხან თავპირისმტვრევით გავარდება, ხან — შეანელებს, ხან ალმა გაიქცევა, ხან — დალმა; ზღვიდან მოცურავეთა ჟრიამული ისმის: რა ქნან, ჯანმრთელობას იკაჟებენ, დიდხანს სურთ სიცოცხლე.

შორიახლოს, სკამზე ორი ბიჭი ზის. გაჩუმდებიან, დაიბღვირებიან, უცებ ცხენებივით ახვიხვინდებიან, ისევ გაჩუმდებიან, დაიბღვირებიან, მერე კვლავ ახვიხვინდებიან. მეჩვენება, რომ მე დამცინიან და თვითმკვლელობაზე ვიწყებ ფიქრს: „რას მოვეთრეოდი, ლაბორანტი ნაბიჭვარი!" ძაღლიანი მოხუცის გამოჩენამ საბოლოოდ მომიღო ბოლო: როგორც გამიპირდაპირდა, ჰომ, ჰამო, ძაღლმა და გამექაჩა. ამაზე ბიჭები მთლად გადაირივნენ, ტლინკები აყარეს. მაინც ჯიუტად ვზივარ და ფეხს არ ვიცვლი, ან სად წავიდე?

დაღვრემილი რეპროდუქტორი მბზინვარე კარუსელიდან პატრიოტულ ლირიკას მოაფრიალებს.

რეტროსპექტივა სხივებად იღვრება.

ახალგაზრდობა მოსჩქეფს სანაპიროს ბებერ ძარღვებში.

მოხუციანი ძაღლი მეასედ.

უწყინარი ბაასი:

— შოშია შაშვია? — კითხვა.

— შაშვი შაშვია, — პასუხი.

მოხუციანი ძაღლი ასმეერთედ.

ფარული მზერა: თუ კიდევ გაიცინეს, საბოლოოდ დავიჯერებ, რომ მე დამცინიან.

— არა, შოშია შაშვია, — დარწმუნებით ამბობს ერთ-ერთი.

„ნარკომანი მამაძაღლები! — მეღიმება, — აქამდე როგორ ვერ მივხვდი!"

გავარვარებული ასფალტი. დედიშობილა კაცობრიობა. ტროლეიბუსების სადგომი. ლენინის ძეგლი. საზღვაო სადგური. ზღვა. სამი კოლოფი „კოლხეთი". ხურდისთვის მათხოვარივით დგომა. იმედის გაცრუება: არა, გამყიდველი არაფერ შუაშია, ჩემი იდიოტური გამომეტყველების მრცხვენია, „გემოსაც" ვერ მივაგენი — დამშეული ვბრუნდები სასტუმროში: დარცხვენილი და დამშეული, გაოფლილი და აღრენილი... მუხლების კანკალით ვუახლოვდები ადმინისტრატორის მაგიდას... მეორედ მოსვლა — საშინელი სამსჯავრო: ყველანი საანკეტო ბარათებს ეპირფერებიან, ჩემოდნებს დაათრევენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრაზანებივით მასლაათობენ. მხოლოდ ჩემთვის გამოინახა უკანასკნელი ადგილი... ტარტაროზების ოჯახი უკვე საკურორტოდ გამოწყობილა: დაბანილები, დავარცხნილები და კმაყოფილები მიიკლაკნებიან ზღვისკენ. ოჯახის უფროსს ჩემს დანახვაზე უსიამოვნოდ ელრიცება სახე, ცოლს რაღაცას ესისინება, ბავშვი კი ნესტარს მიყოფს.

ასეა, დაჩაგრულსა და ათვალწუნებულს ყველა წიხლს აჭერს, თანაც სად! — ჩემი წინაპრების სამფლობელოში, ჩემი საყვარელი ზღვის თვალწინ.

— რამდენი დღით გინდა? — მეკითხება ადმინისტრატორი.

— სამი დღით.

— სამი დღე? — უცოდველად ჩამღრუტუნებს, — სამი დღე რას გეყოფა, ჯერ ჩადი, ნახე, როგორი ზღვაა.

— სამი დღე არ მეყოფა... არც სამი საუკუნე... არც მარადისობა...

გაოგნებული ვეშვები მუხლებზე, სველ ქვიშაში ხელებჩარგული ველოდები პირველ შეხებას, პირველ ალერსს, ჩვენი სხეულების პირველ შეერთებას:

ზღვა ცოცხალია, რბილი, თბილი, მშვიდი და ჭაობისფერი.. მის უზარმაზარ ძალასა და მოთმინების უნარს ჩირადაც არ უღირს თოლიას კივილი, თევზის სრიალი, მშვენიერი სქესის ჩამოქნილი ფეხები და თეძოები, არც სადღაც წყალმცენარეებში გახლართული ადამიანის გვამი...

ზღვა ვრცელია, იტევს ყველას და ყველაფერს... იტევს სიცოცხლეს, სიკვდილს, დასაწყისსა და დასასრულს... ზღვა დიადია, თვლემს საუკუნო მარტოობაში, გულგრილად იმრთელებს დიდი, რუხი გემებისაგან მიყენებულ იარებს და ქედმაღლურად ელაციცება სანაპიროზე უწესრიგოდ მიმოფანტულ ვნებათაღელვას.

ზღვა ბრძენია და მხოლოდ ქართან მეგობრობს, მხოლოდ მისი სულის მონათესავე სული უფრთხობს მყუდროებას, აშფოთებს, აშმაგებს, ამძვინვარებს; სხვას არავისა აქვს მასთან მიახლოების, მასთან გათამამების, მისი ფიქრის საიდუმლო ლაბირინთებში ჩახედვის უფლება, და თუ მაინც არ მოეშვები, სამუდამოდ თავისთან დაგიტოვებს... სადმე ფსკერზე, წყალმცენარეებში მიგიჩენს ადგილს.

ზღვა ვნებიანია და მოსიყვარულე...

ზღვა თავმდაბალია და შინაური...

ზღვა ველურია და სისხლისმსმელი...

ზღვა საშიშია და მე მუხლს ვიყრი მის წინაშე:

— გამარჯობა, ზღვაო, ისე დამაბნიეს ბინძურმა ადამიანებმა, მოსალმებაც კი დამავიწყდა... ნუ მიწყენ.

* * *

ვინ მოსთვლის, სიკვდილი რამდენჯერ მინატრია, მაგრამ გულით — არასოდეს, ჭეშმარიტად რომ მდომებოდა, აქამდე აღარც ვიქნებოდი ცოცხალი. სიკვდილში უზარმაზარი კანონზომიერებაა და ვიდრე ხელშეკრულებას არ დაუდებ, ვიდრე შენდაუნებურად არ შეუთანხმდები, არავითარ შემთხვევაში არ მოგეკარება. ხელშეკრულების დადება დაახლოებით ისე ხდება, როგორც დღეს დილით, გამოღვიძებისას ვუსმენდი ძაღლების საუბარს: უნებლიედ, თითქმის ინსტინქტურად, თუმცა დროის ზუსტად განსაზღვრულ მონაკვეთში. დაკვირვებულმა ადამიანმა შეიძლება წინასწარ გამოიცნოს არა მარტო მის ცხოვრებაში მოსახდენი ძირითადი მოვლენები, არამედ — სიკვდილის დღე და წუთიც; ისე რომ საშიში არაფერია, სიცოცხლე სიკვდილისთვის განუწყვეტელი მზადებაა და მის შემდეგ რა იქნება ან რატომ, ეშმაკმა უწყის.

დაახლოებით ამგვარი ფიქრითა და სამგლოვიარო განწყობილებით გავემართე გორკის ქუჩაზე წინასწარი გაყიდვის სალაროში ბილეთის შესაძენად. ბევრი ვიარე, მაღაზიებშიც შევიხედე, ლუდის ბარში შესვლა უკანასკნელ წამს გადავიფიქრე, მომერიდა ლოთივით დახლთან მარტო დგომა; საერთოდ, საშინელ მარტოობას ვგრძნობდი, ლამის თბილისში დავრეკე ნატას ჩამოსაყვანად. ნატა ის ქალია, ვისი წყალობითაც მარინა გავიცანი... მარინა კი ფაქტიურად არც გამიცვნია, რადგან ერთადერთხელ ვნახე... დასაფლავების ჟამს, კუბოში მწოლიარე... ერთი სიტყვით, მე თვითონაც კარგად არ მესმის, რას მივედმოვედები.

ნატას ჩამოყვანაშიც უფულობამ შემიშალა ხელი: ფული ბევრი არ დასჭირდებოდა, მაგრამ ისევ მე შევწუხდებოდი, მე გამიჩნდებოდა რესტორნებში ხეტიალისა და დროსტარების სურვილი, ჩემი მწირი ბიუჯეტი კი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ყველაზე სასაცილო ის იყო, დამსვენებელმა ქალმა რომ გამაჩერა და გორკის ქუჩა სად არისო, მკითხა. სასწრაფოდ ვუპასუხე, ჩამოსული ვარ, არ ვიცი-მეთქი. ხომ შემეძლო, მიმეცილებინა, გამოვლაპარაკებოდი, ნურას უკაცრავად! — კუდამოძუებული გავეპარე. ლაჩრობაა, აბა რა არი! სინამდვილეში ტყუილად ვწუწუნებდი, არაფერი არ მომწონდა, ზიზლით ვათვალიერებდი ხალხს, ქუჩებს, მანქანებს, ბინძურ სასტუმროებს, ბინძურ ქალებს, ზღვას ძმაკაცურად მივესალმე, მაგრამ ისიც ბინძურ წუმპედ მეჩვენებოდა. საშუალება რომ მქონოდა, ეშმაკს სიამოვნებით მივყიდიდი სულს, ოღონდ მომენახა ამქვეყნად ჩემი პატარა სამფლობელო, ერთი

ციცქნა ადგილი, სადაც დროებით მაინც ვიქნებოდი სრული ბატონ-პატრონი, მექნებოდა ბლომად ფული და ველარ შემაწუხებდნენ ჩემივე მოდგმის გაბლენძილი არარაობანი.

სერიოზულად დავიწყე ფიქრი, თუ როგორ მიმეყიდა ეშმაკისთვის სული; დიდი მონდომებით გავიხსენე ამის შესახებ რაც მქონდა წაკითხული ან გაგონილი და დავასკვენი: რაიმე უნდა ჩამეთქვა, მსხვერპლიც შემეწირა, ხოლო როდესაც ორივე პირობას შევასრულებდი, ეშმაკი გამომეცხადებოდა, ერთგულებას შევფიცავდი და ხელშეკრულებაც გაფორმებულად ჩაითვლებოდა. გადავწყვიტე, ჩემი შავტუხა კუდიანის გულის მოსაგებად ოცდაცამეტი დღის განმავლობაში არ გავკარებოდი ქალებს, მსხვერპლი კი ცოტა მოგვიანებით შემეწირა, რადგან კარგად არ მქონდა ყველაფერი აწონ-დაწონილი და აჩქარება არ ივარგებდა.

ეშმაკმა რომ ჩემი სავიზიტო ბარათი სიამოვნებით მიიღო, სასტუმროში დაბრუნებისთანავე დავრწმუნდი. ძეხვის გაჭრის დროს, სქელი ფარდა რამოდენიმეჯერ სრულიად მოულოდნელად (ნიავის სახსენებელიც არსად იყო) გადამეფარა ხელებზე, მერე სახეზეც მომელამუნა და დანით თითები დამასერინა. საკუთარი სისხლის დანახვა მსგავს ვითარებაში ყოველთვის იმედიანად განმაწყობს, რადგან სისხლი დაიღვარა, რაღაც უბედურებას გადავრჩი და იმ დღეს სახიფათო არაფერი მელის, მაგრამ მაინც საშინლად ვიყავი აღრენილი და უსიამოვნების მოლოდინით შეპყრობილი.

ნერვების დასამშვიდებლად ერთი ბოთლი შამპანურის დალევა მოვინდომე.

ჩავიცვი, გამოვედი ოთახიდან, დავფიქრდი, ისევ უკან შევბრუნდი, გამოვიცვალე ტანსაცმელი, მერე ისევ დავფიქრდი, მერე ისევ გამოვედი ოთახიდან გავიხედ-გამოვიხედე, კვლავ უკან შევბრუნდი... მოკლედ, ბევრი ვიყოყმანე, მიჭირდა უცნობი მთვრალი ხალხით სავსე დარბაზში შესვლა. ამის გაცნობიერებაზე საბოლოოდ დავკარგე ჭკუა და თითქმის სიგიჟით შეპყრობილმა ჩამოვართვი ოფიციანტს გასანთლულ ქაღალდში გახვეული ბოთლი.

ჩემო რქოსანო მეგობარო, ყველაზე მორწმუნე ადამიანებსაც ზოგჯერ ეჭვი ეპარებათ სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობაში, მე მით უმეტეს, დიდი მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ სულის გაყიდვის იდეა ისე მაძრწუნებდა, ლამის ბავშვივით ავქვითინდი და შენი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სამი სადღეგრძელოს შესმა დავაპირე (ეშმაკის დაბადების, ეშმაკის გამარჯვების და ეშმაკის მარადიულობის), ოღონდ ჩემი სული ძალიან არ გაგეტანჯა და გავარვარებულ კუპრში [illegible]ხანს არ დაგეყოვნებინა... სა[illegible]მა უნდა, ვხუმრობდი, ამ სულელურ ნამოწყებაზე შიგადაშიგ მეცინებოდა კიდეც, თუმცა ჩემს ფიქრებში საკმაოზე მეტ რეალურობასაც ვგრძნობდი, ვგრძნობდი და თუ გულახდილად ვიტყვი, შიშით გული მიკვნესოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარტაროზების მეუფე სწორედ მაშინ დავინახე, როდესაც ჩემს სართულზე ასულს თავი უკვე სამშვიდობოს მეგონა. კაფანდარა სხეულით კიბის სახელურს დაყრდნობოდა, ძირს იხედებოდა და ფიქრებში ისე იყო გართული, მე არც შევუმჩნევივარ.

„კოქტეილის მბრძანებელი, დამცინავი, მათხოვარი... საიდან გიცნობ გიგა-ჯან?"... სიძულვილისაგან თმა ყალყზე დამიდგა, მონუსხულივით მივუახლოვდი, ფეხებიდან ავიტაცე და ასხმარტალებულ სხეულს მთელი ძალით ვუბიძგე.

დაბლიდან ყრუ ბრაგვანის ხმა მომესმა. თითქმის არ შევჩერებულვარ, სწრაფი ნაბიჯით შევედი ოთახში, საწოლზე ჩამოვჯექი და სახეზე ხელები ავიფარე. დედისგან დაუმსახურებლად გალახული ბავშვის სიმშვიდესა და უცნაურ სიცარიელეს ვგრძნობდი.

„ძვირფასი ზვარაკი, — უაზრო ღიმილით გავიფიქრე და გული მომეწურა, — ნუთუ დამინახა ვინმემ?...

* * *

გამთენიისას ჩამეძინა, ორიოდე საათით მოვატყუე თვალი. ჩემდა გასაკვირად საკმაოდ დასვენებულს გამომეღვიძა. ვიწექი და არსად წასვლა არ მინდოდა. ტყუილი ყოფილა, დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის ადგილი იზიდავსო: ისე ვიხსენებდი ღამინდელ ამბავს, როგორც საუკუნის წინათ მომხდარს, გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ რაც მოხდა აუცილებლად უნდა მომხდარიყო. პრინციპში არც ვიყავი დამნაშავე: ბედისწერამ იარაღად გამომიყენა.

„აი, თურმე საიდან მიცნობდა ტარტაროზების ბელადი, — ინტუიციით გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას"...

როდესაც შიმშილმა ძალიან შემაწუხა, სასტუმროს ბუფეტს მივაკითხე. სიტყვა „ბუფეტი" ფანტასტიკურად მაღიზიანებს, კარადის მაგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს, არ ვიცი, საიდან მოათრიეს და რატომ დაარქვეს.

საშინლად სენტიმენტალურ ხასიათზე დავდექი, თანაც წვიმდა. ბუფეტში მებუფეტეს გარდა არავინ დამხვდა. მაგნიტოფონი ჩაერთო, სტივ უანდერს უსმენდა. წავიხემსე, ანგარიში მოვითხოვე, მანეთი და სამოცი კაპიკიო. ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, ხურდა ვერ ვაჩუქე, მათხოვრულად გამოვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. შემეცოდა, მომხმარებელი არა ჰყავს-მეთქი, გავიფიქრე. როცა სალამოსაც მარტო დამხვდა, სიბრალულით სისხლი ამემღვრა; ისე შევწუხდი, იქით გახედვაც აღარ მინდოდა...

მესამე დღეს მშიერმწყურვალი წამოვედი თბილისში. ქუჩის კაფეში, სასადილოებსა და რესტორნებში მომსპე და მარტო ნუ შემიყვან, ჭირივით მძულს, ეგ კი არა, კინოშიც ვერ შევალ მარტო.

მატარებელში რომ ავედი, ჯიბეში ხელუხლებლად მედო ოთხმოცი მანეთი. საოცარი თანხაა: თითქოს ფულია, მაგრამ ვერაფერში დახარჯავ, არაფერს ეყოფა, — ერთი ბაზარი ან ერთი რესტორანი და მორჩა, მერე რას იზამ? იქნებ რა ხდება გზაზე, იქნებ რაში დაგჭირდეს!

სმოლნიდან ჩამოსული ცოლ-ქმარი დამემგზავრა. ცოლი მშვენიერი, ოდნავ შესუქებული ქალი იყო. გამჭვირვალე თეთრი კაბა ეცვა და მკვრივი ბარძაყები მოუჩანდა. თავბრუს მახვევდა მისი სიახლოვე. ქმარმა შემოსვლისთანავე ლოგინი გაიშალა, აძვრა ქანდარაზე და აღარც ამდგარა, ასი წლის გაზეთებს კითხულობდა.

ტურისტული საგზურით ჩამოვედითო, მითხრა ცოლმა, ერევანში კარგად გვაჭმევდნენ, სიღნაღში ცუდადო. ის ქალაქიც დაასახელა, საიდანაც მოვდიოდით, იქაც კარგი იყოო არა, მანდაც საძაგლად გვაჭმევდნენ-მეთქი ვუთხარი.

დევნის არ მეშინოდა, რამეს რომ მიმხვდარიყვნენ, აქამდე დამაპატიმრებდნენ კიდეც. მხოლოდ კინოფილმებში იძიებენ მაშინვე სისხლის სამართლის დანაშაულს, სინამდვილეში გამოსაძიებელ საქმეთა ნახევარი გაუხსნელი რჩება, მერე ვინმე განტევების ვაცს ჩაავლებენ და ყველაფერს შეტენიან. შეგნებულად არ დავინტერესებულვარ, ის კაცი მოკვდა თუ გადარჩა. ან რა გადაარჩენდა! მომხდარი ამბის გახსენებაზე შიშნარევ კმაყოფილებას განვიცდიდი: ღმერთს რომ სიკეთე უნდოდეს, სიცოცხლეს ბოროტებაზე არ ააგებდა, ძლიერი სპობს სუსტს, ასეთია ცხოვრების კანონი. ვისაც ვიცნობ კეთილსა და პატიოსანს, ყველას შიმშილით უხმება კუჭი, ე. ი. ღმერთიც ეშმაკის მხარეზეა და რადგან ეშმაკს მახვერპლი შევწირე, იმედია, ამის შემდეგ მაინც გამიმართლებს-მეთქი, ვფიქრობდი.

მატარებელშიც ვერ გამოვიძინე. ცხელოდა ქალს თითქმის დედაშობილას ეძინა და ყოველ უმნიშვნელო ხმაურზე, თითოეულის ყოველ გაშრიალებაზე გაღიზიანებული ვწრიალებდი. მერედა როგორ შემომეკედლა! ქმარს არცკი დალაპარაკებია, სულ მე დამდევდა ლეკვივით. ტამბურში გავედი — გამომყვა სიგარეტი მოვწიე — მო[illegible] — გაიცინა, დავსერიოზულდა [illegible] ლდა... დილით, ქმრის უჩუმრად მისამართი მომცა:

„თუ იქით მოხვდებიო... ბილეთები აღებული გვაქვს, დღესვე მივფრინავთო".

ეს საქციელიც მომავალი წარმატებების საწინდრად მენიშნა, სიახლის მოლოდინით ავსებული ჩამოვედი მატარებლიდან, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამიერიდან სხვა ცხოვრებით ვიცხოვრებდი, ბედი გამეხსნებოდა...

* * *

— ხუთ მანეთს მომცემ? — მევაჭრება მძღოლი.

— ტაქსი მანეთსაც არ დანერს.

— მაშინ ტაქსს დაელოდე.

ტაქსების რიგში ათას ორასი კაცი დგას.

— ჯანდაბას შენი თავი, — მძღოლის გვერდით ვჯდები.

— ღმერთმა ბარაქა მოგცესო, მეუბნება და შემცბარი ხმას ვერ ვიღებ: ორივე ფეხი მუხლებს ზემოთა აქვს წაჭრილი.

ჯანმრთელისთვის როგორია ამ მყრალ ორმოში ცხოვრება და როცა ოთხი კიდურიდან ორი გაკლია, მაშინ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისევ დეპრესია მეწყება, წელანდელი ოპტიმიზმის ნასახი აღარ რჩება ჩემში...

„რაღა ამას ჩავუჯექი!"

ამიტომ, უხელფეხოების მანქანებით რომ არ იარო და შენს სადარდებელს სხვისიც არ დაუმატო, საკუთარი მანქანა უნდა გყავდეს.

— წვიმებია? — ვეკითხები და ნაწვიმარ ქუჩას გავყურებ: თითქოს საუკუნეა, აქ არ ვყოფილვარ.

— ჰო, ადრე ძალიან ცხელოდა, ჩრდილში 40 გრადუსამდე აღწევდა.

— ფეხებზე რა დაგემართა?

— ომის სახსოვარია.

— ომის მონაწილეებს „ზაპოროჟეცი" და სპეკულიანტებს „ვოლგა", არა?

— რას იზამ, ასეა ცხოვრება მოწყობილი.

ალბათ ბევრი ფიქრის გარეშე წააჭრეს ორივე ფეხი. იქნება გადარჩენაც შეიძლებოდა, მაგრამ ამისთვის თავს ვინ შეიწუხებდა! მოაჭრიდნენ და გადაყრიდნენ, დიდი რამე! აუცილებელი კი არ არი, ყველას ფეხები ებას!

რამდენად ჰუმანური გამოვდივარ იმ ქირურგთან შედარებით? ავიქნიე ხელი და ყოველგვარი ტანჯვისაგან გავანთავისუფლე... სწორად არ ვამბობ? ახლა ამ კაცის ცხოვრებას რა ფასი აქვს? თუ არ იჯაყჯაყა დაფეხვილი „ზაპოროჟეცით" და თუ არ გააბინძურა ჩემი წილი ჰაერი, სხვას რას აკეთებს, რისთვის გამოდგება? ექიმებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! დედაჩემი ათ დღეში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერეს საავადმყოფოდან, ვითომ ვერ მიხვდნენ, ინფარქტი რომ ჰქონდა. ფული არ მივეცით, თანაც პალატაში რემონტის გაკეთებას აპირებდნენ და ზედმეტი ბარგი მოიშორეს... ძალიან კარგი! როცა ჩემი მშობელი არ დაინდეს, მე სხვისი მშობლისთვის მიმიფურთხებია. ბოროტს სიკეთით უპასუხეო, ჰმ! ეს საკენკი თავისთვის დაიყარონ... ნახევარი წლის შემდეგ ისევ ავად გახდა, გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება და ინფარქტი გადაუტანიაო, მაშინ გვითხრეს...

დაამთავრებინებენ სკოლას, მოაწყობენ სამედიცინოზე, ნარკომანობისა და გარყვნილების მეტს არაფერს ასწავლიან და ესენიც დაიფხორრებიან ადამიანის სისხლით დათხვრილი ხალათებით, აქაოდა მაგარი ბიჭები ვართო. ცოტა მოითმინონ, ცხოვრება იმხელა დამპალია, ერთხელ მაგათ სისხლსაც დალევრის.

— მოვედით, — ამბობს.

ორ მანეთს ვაძლევ.

— ხომ მოვრიგდით!

— უცბად არ გამომეკიდო, — ვეუბნები დაცინვით, — გამასწარი სანამ თავი მთელი გაქვს!

ტყუილად არ გამხსენებია ექიმები და საავადმყოფო: სახლში მისულს ბავშვი დამხვდა ავად. სწორედ მაშინ იყო, ნინომ შეშლილივით რომ შემომხედა და იკივლა, წადი წამალი იშოვე, შე ლაჩაროო.

* * *

ეშმაკის ხსენებაზე ახლაც მელიმება და ჩემი წამოწყება მაშინაც სასაცილოდ მეჩვენებოდა, მაგრამ ეს ახირება ერთდროულად მაშინებდა, მამხნევებდა, ზამთრის სიცივეში ბუხრის წინ ჩათბუნებული ადამიანის მყუდროებას მანიჭებდა და იმდენად გამიუფერულა წინაპრების ქალაქში მომხდარი ამბავი, რომ სინანულით დავირწმუნე თავი, ტარტაროზების ბელადს არაფერი დამართია, ყველაფერი გადაგვარებული წარმოსახვის ნაყოფია, ჩემს ცხოვრებაში კი არავითარი გარდატეხა არ მოხდება-მეთქი.

მაინც ჯიუტად ვასრულებდი დიდებულ პირობას, — ოცდაცამეტი დღე ოცდაცამეტ საუკუნედ გადაიქცა, კალენდარზე ყოველ საღამოს ვაკეთებდი აღნიშვნას და სულმოუთქმელად ველოდი დარჩენილი დროის გასვლას. საგონებელში ჩავარდნილ ნინოს პატარა მორცხვი ბიჭივით ვარიდებდი თვალებს, ნატასაც მთელი მონდომებით ვემალებოდი. განსაკუთრებით პირველი კვირა და უკანასკნელი დღეები გახდა ძნელი ასატანი. მერე იმაზე დავიწყე ფიქრი, ოცდამეცამეტე დღეს ვთავისუფლდებოდი ეშმაკთან დადებული პირობისაგან თუ ოცდაცამეტი დღე სრულად უნდა მემარხულა და ოცდამეთოთხმეტე დღეს დამეწყო ნორმალური ცხოვრება.

ვერ მოვითმინე: ზუსტად ოცდაცამეტე დღეს ვესტუმრე ნატას.

თითქოს უზარმაზარი ტვირთი მომეხსნა, დაცარიელებული და კმაყოფილი დავემშვიდობე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს უნებისყოფობას ვაგინებდი, ავჩქარდი, ერთი დღეც უნდა გამეძლო-მეთქი.

წარსულზე ფიქრი იმ კაცის ჭირვეულობასა ჰგავს, სამშვიდობოზე გასვლის შემდეგ რომ შეიგრძნობს საფრთხის მთელ სერიოზულობას, — ცხოვრება ხომ უფსკრულის პირზე სიარულია, პატარა უყურადღებობა და კარგად მეყოლე! ასეა თუ ისე, ეჭვების მიუხედავად, ჩემს საქმიანობაში ცვლილებები ბავშვის ავადმყოფობის შემდეგ დაიწყო. ნატასგან დაბრუნებისთანავე მესტუმრნენ რეზო და ჯორბენა და ბავშვის გამოჯანმრთელება მომილოცეს. რეზოს დანახვა არ გამხარებია, ვიფიქრე, წამლის საფასურს მომთხოვდა, მაგრამ შევცდი:

ფულზე სიტყვა არ უთქვამს, — როდემდე აპირებ ასე ყოფნას, არ მოგბეზრდაო, მკითხა.

* * *

— სკოლაში როდესაც შემოვდივარ, მეჩვენება, რომ ბავშვების წინააღმდეგ მოწყობილ საზიზღარ შეთქმულებაში ვიღებ მონაწილეობას, — მეუბნება ფიზიკის მასწავლებელი, მე კი არაბუნებრივად მეჩვენება მასწავლებლის უშუალობა და მისი ზურგის უკან განუწყვეტლივ სკოლის ადმინისტრაცია მელანდება. — არა, ძმაო, პედაგოგობა სისულელეა, ბიოლოგიურზე რა გინდა! ჩააბარე ისეთ ფაკულტეტზე, სადაც ფულის გაკეთებას გასწავლიან... თვეში ათი კილოგრამი ღორის ხორცის ფასად მომავალი თაობაც უნდა ავღზარდო, ოჯახიც ვარჩინო, თანაც ყველა პოლიტიკოსსა და ავანტურისტს მაიმუნივით უკანალი მივუშვირო და რა კარგია და რა ბედნიერები ვართ, ვიძახო. დროსტარებაც ხომ მინდა, პატარა მხიარულება ხომ მეც მინდა, ოცდაათი წელი ჯერ არ შემსრულებია... ხუთ ბავშვს ვამზადებ, იქიდან ორი მეგობრის შვილია...

„რუსეთს არაფერი აქვს საერთო დასავლეთ ევროპასთან, იგი ვითარდებოდა და მიდიოდა მისგან განსხვავებული გზით, — კრაევსკის სიტყვებს ჩასჩიჩინებს ისტორიის მასწავლებელი რუს დამლაგებელს, — რის გამოც არ ექვემდებარებოდა კაცობრიობის საერთო განვითარებას"...

— ჩემი მეზობელი წისქვილკომბინატში მუშაობს; ვთხოვე, იქნება მომიხერხოს რამე, — ამბობს ფიზიკის მასწავლებელი, — ჩემსას ვცდილობ, გამოვა ხომ კარგი, არა-

და... როდემდე ვიტაქსაო ლამლამობით? მასწავლებელი ვარ, ქვეყანა მიცნობს... ის ორიოდე კაპიკი ბენზინის ფულადაც არა მყოფნის... როცა საკუთარ მოსწავლეზე ცუდად გაცვია, ვინა გცემს პატივს?.. თქვენთან როგორლაც დავმეგობრდი, მაგრამ რის საფასურად? მთელი დღე თავს ვიმართლებ და გებოდიშებით, რატომ? მეც შენსავით მეცნიერი მინდოდა გამოვსულიყავი, ტყუილია, მასწავლებლობას ვერ ასცდები.

— სხვები როგორ გამოდიან?

— პატრონი ჰყავთ... თუ გყავს ძლიერი პროტექტორი, სხვაა...

„კუკოლნიკმა დაიწყო ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით გატენილი პატრიოტული დრამების წერა, რომლებშიც ქანდარაზე მსხდომნი ველური ყვირილითა და ოვაციებით ფანჯრებიდან ჰყრიდნენ გერმანელებს. ასეთი ნაწარმოებები გამოხატავდნენ უაზრო თავდაჯერებულობას, რომ მეტად იოლად შეეძლოთ მოწინააღმდეგის დამარცხება. თავდაჯერებულობა კი ყოველთვის ძვირად უჯდებოდათ, — ისმის ისტორიის მასწავლებლის ხმა სამასწავლებლოდან.

— რას კითხულობს? — ვეკითხები რეზოს.

— რა ვიცი!

— პანაევს, — მპასუხობს ფიზიკის მასწავლებელი.

რეზოსთან ჩემი დაძმაკაცება შეუმჩნევლად მოხდა. ერთხელ საკონტროლო წერა გავაცდინეთ, მთელი დღე მთაწმინდაზე ვიხეტიალეთ და საღამოს, დამშეულებმა ბელინსკის ქუჩაზე ოცდაათ კაპიკად სამი ხინკალი ვიყიდეთ. თითო თითო რას გვეყოფოდა, სიმაღლეში ორივე უკვე მეტრსა და ოთხმოც სანტიმეტრს ვუკაკუნებდით! მესამე ხინკალი სულგრძელად შევთავაზე, მან კი შუაზე გაგლიჯა და „უარი არ მითხრა, მეწყინებაო".

მაგ სამ ხინკალს რა დამავიწყებს!

იმ სულელური ჩხუბის შემდეგაც გულში არაფერი ჩამრჩენია, პირიქით, შერიგებისთვის ყოველთვის მზად ვიყავი... თანაც როგორ შევრიგდით! — ბავშვი სიკვდილს გადამირჩინა.

ქალების გამოჭერაც ერთად დავიწყეთ:

„რომელი საათია, ქალიშვილო? — ასე ვიწყებდით, — შეიძლება გაგაცილოთ?"

იშვიათად გვეუბნებოდნენ უარს, ძირითადად ოცდახუთი-ოცდაათი წლის ლამაზმანებს ამოვარჩევდით ხოლმე (მეტი გამოცდილება აქვთო, ისინიც მშვენივრად გრძნობდნენ ჩვენს ნედლ ასაკს და აქეთ გვეღლაბუცებოდნენ. მივაცილებდით, ცოტა ხანს სადარბაზოსთან ვიბოდიალებდით და ფრიად კმაყოფილები ვბრუნდებოდით სახლებში.

ეს იყო მთელი „გამოჭერა", მეტზე ოცნებაც არ შეგვეძლო.

რა სწრაფად იცვლება დრო!

ახლანდელი ახალგაზრდები ჩვენზე პრაქტიკულები და გამოქექილები — არიან, ჩვენ სხვანაირი ბავშვობა გვქონდა. ვერავინ დამაჯერებს, შენი შვილი ქუჩაში უცნობ ქალს გამოექომაგაო. ერთხელ ჩავიდინეთ მსგავსი უაზრობა და სამასჯერ მოვყევი ოჯახში, სასტიკად ავუკრძალე სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. ან ჩვენ რატომ გამოვიდეთ თავი, ვინ გვეხვეწებოდა? კაცმა ქალი მიასილაქა, დიდი რამე! მიშველეთო, ქალი აკივლდა, განწირულივით გაჰკიოდა, სისხლი სდიოდა, ყანჩასავით აფართხალებდა ფრთებს: ვარდისფერი ფუმფულა ფლამინგო ფაიფურის ფეხებით. კაცის გაკავება ვცადეთ, აქეთ შემოგვიტია, რეზოსაც მიარტყა, მეც ყურის ძირში მომდო. ამოვიდეთ წიხლქვეშ, გემრიელად გავთელეთ. უნდა გენახა, რა ჯოჯოხეთი დატრიალდა! ის რა კივილი იყო, ქალი მერე აკივლდა თუ აკივლდა: ბანდიტებიო, ყაჩაღებიო, გვხოცავენო!

მანამდე ქუჩაში ცხვირი არავის გამოუყვია, ვითომ ყველას ტკბილად ეძინა; როგორც ჩვენ გავედით საქმეში და მიმიქარავს დეზერტირების ბაზარი, საიდან აღარ მოგვესივნენ.

ძლივს გამოვასწარით.

ჩვენი თაობა წინა თაობაზე დაუნდობელია, ახლანდელი ახალგაზრდები ჩვენზე დაუნდობლები არიან, მერე რა იქნება, მხოლოდ შენ უწყი, შავტუხა კუდიანო. ერთი ჭკუის ხალხი ინტუიციით ვგრძნობდით ერთმანეთს, მეტნაკლებად ვერიდებოდით კომფლიქტურ სიტუაციას, ვძმაკაცობდით, ახლა კი ყველა ძველი ბიჭია, ყველას ნერვები აქვს დაგლეჯილი და ვინ სად მოგაკვლევინებს თავს, ვერ გაიგებ.

— ცუდად ვზრდით შვილებს, — ჭრიჭინებს მასწავლებელი, — რა ლამაზი ხარ, რა ნიჭიერი, რა კეთილი, რა ძლიერი... და ბავშვებსაც აკვნიდანვე სჯერათ თავიანთი განუმეორებლობის, ცხოვრება დაუნდობელია, ბოლომდე არავის გაახარებს; ბავშვობიდანვე ჩამოყალიბებული უპირატესობის გრძნობა კომპლექსში გადაიზრდება, ადამიანი თავის მოტყუებას სწავლობს, ხდება შურიანი, წვრილმანი, ბოროტი, ეგოისტი და ვაი მისი ბრალი, ვინც სიმართლეს დაანახვებს. ტყუილია, ადამიანი ვერ დაიჯერებს საკუთარ უსუსურობას...

რომ მოვიდეს ვინმე და მითხრას, ყოველი დაძინება სიკვდილია, გამოღვიძებით კი ახალი სიცოცხლე იწყებაო, უყოყმანოდ დავუჯერებ. ან როგორ შეიძლება, კაცი წლების განმავლობაში მხოლოდ ერთ გარკვეულ მიზანს ემსახურებოდეს, საზოგადოების ერთ გარკვეულ წრეში ტრიალებდეს, როდესაც გა-

რშემო ყველაფერი მოძრაობს და განუწყვეტლივ იცვლება.

ჩვენც ვიცვლებოდით...

დღე არ გავიდოდა, რამე ახალი არ გაგვეგო, ახალი არ გვესწავლა. ნუ შეშინდები, სკოლა არა მაქვს მხედველობაში, ადამიანებზე ვამბობ, სამაგალითო ადამიანებზე: ჰუმანურებზე, სულდაგრძელებულებზე...

გაკვეთილებიდან რაც დამამახსოვრდა, თუ გინდა ორიოდე წუთში ჩამოგითვლი: ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, ყველა იმუშავებს უნარის მიხედვით და დაკმაყოფილდება მოთხოვნილების მიხედვით, რას კარგავს პროლეტარიატი რევოლუციაში? არაფერს ბორკილების გარდა; ყოველი დარტყმა იწვევს უკუდარტყმას, მოისპობა განსხვავება ერებსა და ეროვნებებს შორის, ვილაპარაკებთ ერთ საერთაშორისო ენაზე, ძირმომპალი კაპიტალიზმი სულს ღაფავს, ჩვენ ვიფურჩქნებით...

შემდეგ, სამსახურში დამჭირდა მხოლოდ წერაკითხვის ცოდნა (წერაკითხვის ცოდნა არ არის სავალდებულო: მუშამ რაც ცოტა იცის, უფრო დამჯერეა და ე. ი. უკეთ მუშაობს), შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა.

ჩემი ბოლო დასკვნა ისე ძალიან მომწონს, საზიზღარი განწყობილებაც მავიწყდება, საწოლზე დავხტივარ, ხელებს ვიქნევ, თავში თუჯის ბურთულების რახარუხს არ ვაქცევ ყურადღებას და შიგადაშიგ გიჟივით ვღრიალებ: გაყოფა, გაყოფაა!

კიდევ კარგი, არავინ მხედავს. ასაკი სისულელეა, სხვის დასანახად ასერიოზულებს ადამიანს, ისე, ეჰ! კი არ ვბერდებით, ბავშვობა ცვდება ჩვენში.

ჰო, ასე იყო, დღითიდღე ვიცვლებოდით, მაგრამ უფროსები სულ ერთ ტალღაზე მუშაობდნენ: საშუალო „CB“, საშუალო „CB“, საშუალო „CB“, „მოკლეს“ ბეჯითად ახშობდნენ: კაპიტალისტები გვჭორავენო, „გრძელს“ კი მთელი საქალეთი დასაბამიდან ეძებს და როგორც ბოროტი ხმები ლალადებენ, — აქამდე უშედეგოდ.

ასაკში საგრძნობ სხვაობას თავიანთ დამსახურებად თუ უპირატესობად მიიჩნევდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ „უპირატესობის“ ბოლომდე შესანარჩუნებლად. როგორც ოდნავ დამოუკიდებლობას გამოვავლენდით, საკუთარ აზრს გამოვთქვამდით, მშობელი, მასწავლებელი, ნებისმიერი ამვლელ-ჩამვლელი უმალ ცხრათავიან გველეშაპად იქცეოდა, მოგვდგებოდა, დაგვტორავდა, შეგვიგინებდა ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სიარულისა და საუბრის მანერას და ასერიგად დანერწყვილსა და დამუშავებულს გადაგვიძახებდა სტომაქში. აზროვნების საშუალებას არ გვაძლევდნენ, ცოფდებოდნენ, რომ [illegible] გარჩევას ვცდილობდით. [illegible] რობოტებს ფიქრის დრო სად ჰქონდათ! — რევოლუციაო, შინაურ და გარეულ მტრებთან ბრძოლაო, სამამულო ომი და დანგრეული ქვეყნის აშენებაო, როდისღა ეაზროვნათ? მაგრამ რა ჩვენი ბრალია, ჩვენ რას გვერჩოდნენ! ისე ამაყად ამბობდნენ, ცუდი ახალგაზრდობა მოდისო, თითქოს მარსიდან ვიყავით ჩამოფრენილები და ყველაფერი მათგან არ გვქონოდეს ნასწავლი.

რა თქმა უნდა, მათ შორის კარგებიც ერივნენ, თუმცა რა დასამალია და გულის განვრილება რჩევა-დარიგებებით ამ უკანასკნელთ უფრო ეხერხებოდათ, ამიტომ სიმპატია, რომელსაც დასაწყისში იმსახურებდნენ, მალე ზიზღითა და დაცინვით იცვლებოდა. საიდანღაც შემოპარული ჯაშუშივით ვგრძნობდი თავს უფროსების სახელმწიფოში და არა მჯეროდა არც ერთი მათი სიტყვის. ვის აინტერესებდა ჩვენი პრობლემები (არ გშიათ, არ გწყურიათ, რა პრობლემები გაქვთო!), არც გვისმენდნენ; ჩვენ კი უნდა მოგვესმინა, უნდა დაგვეჯერებინა: არ გააცდინო, არ გააბრაზო, ისწავლე, სხვამ არ გაჯობოს, ხულიგნებს ნუ აჰყვები... გვზრდიდნენ მეტოქეებად და ამასობაში მზის ქვეშ ჩვენს კუთვნილ ადგილს იკავებდნენ, რათა სკოლისა თუ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისევ მათ მივდგომოდით მოწყალების სათხოვნელად ხელგაწვდილი მათხოვრებივით. რა ექნათ, შეუგნებლად მოსდიოდათ, კარგად ვერ გვატყუებდნენ; მე კი შეგნებულად ვზრდი ჩემს შვილს ძლიერ, თავდაცვისუნარიან, ყოველგვარი სენტიმენტალიზმისგან თავისუფალ მამაკაცად:

სიკეთე ისეთი ფუფუნებაა, ყველასთვის არ არის მოგონილი.

* * *

— თქვენი ახალი თანაკლასელი, — წარგვიდგინა ჯორბენა თავდაცვის ინსტრუქტორმა.

ზედმეტი ინფორმაციით ტვინის დანაგვიანება არ მიყვარს, ამიტომ თავდაცვის ინსტრუქტორის გარდა არცერთი მასწავლებლის გვარი აღარ მახსოვს, მან კი თავი იმით დამამახსოვრა, რომ გაკვეთილზე სრულიად უმიზეზოდ აირწინაღი ჩამარტყა სახეში და თვალის კუთხეში პატარა ნაიარევი დამიტოვა.

მეტნაკლებად ყველანი ავადმყოფები ვართ, ყველას ჩვენებურად გვიქრის: ეგ საცოდავი ომს გადაერია, მკვდარი გააცოცხლესო, გვეუბნებოდნენ. თუნდაც არ გაეცოცხლებინათ,

ომიდან ნორმალური როგორ უნდა დაბრუნდეს კაცი!

— რა არის საჭირო საძგერებლად? — გვკითხავდა, მიიღებდა მტაცებლის გამომეტყველებას („მთავარია გამომეტყველება!") და იქნევდა კალაშნიკოვის ავტომატზე წამოცმულ ხიშტს.

ჩვენც ხომ მეტი არ გვინდოდა, ვაწყდებოდით ერთმანეთს.

თავდაცვის მეცადინეობა ცირკი იყო („თუ ატომური ბომბი გესროლეს, კედელს ამოეფარე, სხეულზე გაზეთის გადაფარებაც არ არის ურიგო, რადიაციისგან იცავს!"), ცირკიაო, იმ დღესაც ვიღაცამ წამოიძახა; ეს გიჟი კი მე მომიბრუნდა და აირწინალი მგლიჯა.

რას ვეტყოდი! — დაჯდა და ატირდა.

— მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდაო, — გვიმტკიცებდა, — სამ მილიონზე ნაკლები მოსახლეობიდან 693 ათასი გაგზავნეს ომში. იქიდან, ვინც გადარჩა, დაინვალიდებული და დაავადებული დაგვიბრუნდა და მაშინ როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტიურად ყუმბარა არ ჩამოვარდნილა, ქართველმა ხალხმა ბელორუსებთან და უკრაინელებთან ერთად უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო, თითქმის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი, და ადამიანი თუ სამი მანეთიდან მანეთს კარგავს, უსადილოდ რჩება, ათასიდან ხუთასის დაკარგვისას კი იაპონურის მაგივრად საბჭოთა მაგნიტოფონს იყიდიო.

არ იყო ცუდი კაცი, თავისებური შეხედულებები ჰქონდა, ახლა აღარც იქნება ცოცხალი...

ჯერ თერთმეტი საათიც არ არის.

გაოცებული ვარ:

როგორ ვასწრებ ამდენ ფიქრს ასე მცირე დროში?

დრო მართლაც უცნაური რამეა, ყოველთვის თავის ნებაზე დადის, ხანააჩქარებს, ხან შეანელებს, ჩვენ კი აზრზე არა ვართ.

თავდაცვის ინსტრუქტორი რაღამ გამახსენა? არლა მოწევნულ არს ჟამი მისი...

თავის ქალაც დიდი მამაძაღლი ყულაბაა. ნეტა რომელი უფრო ხმამაღლა ჩხრიალებს, აბაზიანი თუ შაურიანი?

— ...ვირთხები კარგად იტანენ რადიაციას, — ქადაგებს ინსტრუქტორი, ქათამი, ჩვეულებრივი ქათამი ცხენზე და ძროხაზე უკეთ...

— ნამდვილად, პატივცემულო, — ეთანხმება რეზო, — ქათამს გემრიელი კვერცხი აქვს, მამლის სპერმა...

ინსტრუქტორს აღარავინ უსმენს, კლასი რეზოს ბრიყვულ სახეს მისჩერებია და ხარხარებს. ჯორბენაც იცინის, — რეზოს მიერ მოწყობილი პატარა პროვოკაცია ხომ მის გასამხიარულებლადაა ჩაფიქრებული. მართალია, პროვინციიდან ჩამოსული ბიჭია და ვერ ტოვებს მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას, მაგრამ რას იზამ, თავი ყველას უნდა მოაწონო!

— ანა კარენინა ნარკომანობდა, — მეჩურჩულება ჯორბენა.

ეს მის მიერ ჩვენს კლასში ნათქვამი პირველი წინადადებაა.

— აბა, შენა ხარ, რა!

— წაიკითხე, თუ არ გჯერა, — ამბობს განაწყენებული — „ლომკაში" იყო, მატარებელს რომ ჩაუვარდა.

— ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, — ვეუბნები რეზოს.

— რა?

— ანა კარენინა ნარკომანი იყოო.

— ნარკომანი? — კლასში ღრიანცელმა იმატა, — შირავოი? ქეში?

უცებ მინა ჩაიმსხვრა და ოთახში ბურთი შემოვარდა.

— ვა, მერცხალი შუა მეცადინეობაზე, — მიკვირს, — თანაც თეთრი.

— მინა რომ ჩაიმსხვრევა, ან მერცხალი შემოვარდება ან ძროხა, — მიხსნის რეზო.

— ვესროლო? — თავდაცვის ინსტრუქტორი ავტომატს უმიზნებს, — ვესროლო?

— არ გინდათ, პატივცემულო, — ვეხვეწებით, — რას გიშლით!

— მაშინ ორიანი, — რეზოს ეუბნება, — გიგა, შენც ორიანი!

— რაში პატივცემულო?

— მეცადინეობის ჩაშლაში, — ნასიამოვნები ხითხითებს.

უცნაური დღე იყო. ნინოც იმ დღეს ვნახე პირველად... ნეტა რას აკეთებენ, როგორ არიან! დარეკოს მაინც: ასულნო იერუსალიმისაონი, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა... დარეკოს მაინც!

საცოდავი ჯორბენა! არც ერთ ჩვენთაგანს არ ჰგავდა. ნებისმიერ დღეს ნებისმიერი გაკვეთილი იცოდა, თანაც იცოდა აუცილებლად ხუთიანზე, ჩახრინწული ხმა და მხრებში ოდნავ მოხრილი, გამხდარი ტანი ჰქონდა. დანახვისთანავე კულტურული თაღლითის შთაბეჭდილება დატოვა.

ბიჭებმა ადვილად დავიბრიყვეთ. ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი დაუნდობლობით ვექცეოდით, თავის დაცვა არ შეეძლო, თუ არ უნდოდა და ეს უფრო გვაღიზიანებდა... თუმცა, როგორც მერე გამოირკვა, ლაჩარი სულაც არ ყოფილა.

ბავშვობიდან ავადმყოფურად ვიცოდი რაიმეს აკვიატება. საათობით ვტიროდი, კიბო მაქვს-მეთქი. მერე გულის მანკი ამოვიჩემე. მანამდე არ ვმშვიდდებოდი, ვიდრე ექიმთან

არ წამიყვანდნენ და არ გამაშუქებდნენ. ცოტა რომ წამოვიზარდე, ლეთარგიული ძილის შიში დამჩემდა. ძილის წინ, საწოლთან ფურცელს ვტოვებდი: „მძინავს და მკვდარი არ გეგონოთ!“ თმები ყალყზე მიდგებოდა იმის წარმოდგენაზე, თუ რა აუტანელი იქნებოდა კუბოში გამოღვიძება. „სისხლის ბრალიაო, — მამაჩემი ამბობდა, — სისხლს გადახალისება უნდა, ჩვენ კი გლეხის სისხლი არასოდეს შეგვრევიაო“. ქალებით როგორც დავინტერესდი, ყველაფერმა უმალვე გამიარა: მუდმივად შეყვარებულს სიკვდილზე ფიქრისთვის დრო არ მრჩებოდა, მაგრამ მაშინდელი ჩემი სიყვარულიც მხოლოდ ჭირვეულ აკვიატებას წარმოადგენდა, შემეძლო, გოგოს არც დაველაპარაკებოდი, მისთვის ცხრა მთას იქით მომეკრა თვალი და შემდეგ თვეობით მეოცნება. მარინამ ხომ თითქმის ჭკუიდან გადამაცდინა, ფიქრებში ახლაც ხშირად ვესაუბრები ხოლმე (როგორც ვამბობ, ყველას თავისებურად გვიქრის), მისი სული მოსვენებას არ მაძლევს, ეგ კი არა, მეჩვენება, რომ ბედისწერამ სერიოზული შეცდომა დაუშვა: მარინა ჩემთვის იყო გაჩენილი.

* * *

სადარბაზოში ლიფტს ველოდები.

— მუშაობს? — მეკითხებიან.

საოცარი სილამაზის გოგოა, ჩემზე სამიოთხი წლით უფროსი, ჰაეროვანი, მაღალი, ფერადი. თვალთ მიბნელდება, მუხლებში სისუსტეს ვგრძნობ, სხეულში უცნაური ჟრუანტელი მივლის.

— მუშაობს, — ვეუბნები, — რომელ სართულზე მიდიხართ?

— მეცამეტეზე.

— აუჰ, თარსია!

მეცამეტე სართულზე პროფესიონალი მოცეკვავე ცხოვრობს და თავს ვირწმუნებ, რომ ესეც მოცეკვავეა.

— ცეკვავთ?

— კი, ვცეკვავ, — იცინის.

მივაცილებ მეცამეტე სართულზე, ვბრუნდები ბინაში, ჩანთას ვაგდებ, საჭმელს ზედ არ ვუყურებ (მადა დამეკარგა) და რეზოსთან გავრბივარ.

რეზოსთან ბიჭები არიან, ქაქანებენ: პინკ ფლოიდი სჯობია თუ ლედ ზეპელინი, ქოთანა მეტს იკეთებს თუ თორენა, ტაზიკა გახდა თუ არა განაბი, ვინ ვის შეაწერა, რომელმა რომელი გადააგდო... ვუსმენ და მიკვირს, ნუთუ აქამდე მეც ასეთი წვრილმანები მაინტერესებდა! ნუთუ ვერ გრძნობენ, რომ შეყვარებული ვარ და სიყვარულთან შედარებით ატომური ომიც არარაობაა!

რეზო დავიმარტოხელე და ალსარებას ვეუბნები (ვაფორმებ, რა თქმა უნდა): შევახვიე, გავეცანი, სახლში მყავდა, ვაკოცე, ტელეფონის ნომერი დამიწერა საკუთარი ხელით... ვუყვები და ჩემი მონაყოლის, მე თვითონ მჯერა.

მთელი თვე სხვა კაცი ვარ: დარბაისელი, დინჯი, სულგრძელი, თავაზიანი... ქუჩაც სხვანაირია, ქალაქიც, სკოლაც, ჰაერსაც კი სხვანაირი გემო და სურნელება აქვს...

ერთი თვის შემდეგ, ჯორბენა გვიყვება, თუ როგორ დაენარცხა მის ფეხებთან სასტუმროს მე-3 სართულიდან გადმომხტარი უმშვენიერესი ქალიშვილი და როგორ განუტევა სული.

ბიჭები მიზეზს იკვლევენ, მეც არანაკლებ მონაწილეობას ვიღებ სჯა-ბაასში: ქერათმიანი... მაღალი... მოცეკვავე.. სასტუმროში შეიტყუეს... დაქალის საქმრო... საბურთალოზე უცხოვრია...

უცებ საზარელი ეჭვი მეუფლება და ჩამწყდარი ხმით ვკითხულობ:

— რა ეცვა? — თითქოს ერთ კაბაზე მეტი არ ექნებოდა, — რა ფერის კაბა ეცვა?

რეზოს შეიძლება ჩემი ეჭვი საფუძვლიანად არ ეჩვენება, მაგრამ სიამოვნებით იჯერებს: ყოველ დღე ხომ არ ელუპებათ ძმაკაცებს შეყვარებულები, თანაც ასეთ იდუმალებით მოცულ გარემოებაში?!. გოგონები მორიდებით ჭორაობენ, ბიჭები დარბაისლური დუმილით მიცხადებენ თანაგრძნობას, ფიზკულტურის მეცადინეობიდან მანთავისუფლებენ.

პარალელურ კლასელს ნათხოვარ ბოტასებს ვაყრი:

— ნეხვო, შენმა ბინძურმა ბოტასებმა ფეხები ამიყროლეს!

ასკინკილით უახლოვდება, უსიტყვოდ იცმევს: შეპასუხებას ვინ გაუბედავს თავზეხელაღებულ მგლოვიარეს!..

საზიზღარი პერიოდია სკოლის პერიოდი. ჩამოუყალიბებელი, არასრულფასოვანი ადამიანი ხარ, ყველაფერი გაინტერესებს, უამრავ საკითხებში ვერ გარკვეულხარ, უფროსებიც უარესად გაგიჟებენ: ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ, მესამეს აკეთებენ. მოდი და მიაკვლიე, სად მარხია ძაღლის თავი.

ვითომ რა მოხდა, ბავშვობაში შეცდომა ვის არ მოსვლია?!

მაინც საზიზღრად მახსოვს.

მიმიფურთხებია! არა კაცი კვირისათვის, არამედ კვირა კაცისათვის. სხვებმა იკისრონ! ჩემს შვილს საკმარისად დავეხმარები, ოქროს მედალსაც ვუყიდი, სწორ გზაზეც მშვენივრად დავაყენებ, და ღმერთნიცა დაგვემორჩილებიან სახელითა შენითა, ლუციფერ!

საწოლიდან ვდგები, სააბაზანოში შევდივარ, ვყოყმანობ, — ჯერ შხაპი მივიღო თუ წვერი გავიპარსო?! სარკეში საკუთარ გამოსახულებას თვალს ვუკრავ: ახალგაზრდა

ხმელხმელი მამაკაცი მოწიწებით მესალმება.

— სხვებმა იკითხონ, ჩემო ძმაო, — ვეუბნები, — წავიდა ის დრო, სამასი მანეთი დიდი ფული რომ გეგონა, ჯერ სადა ხარ! ოფიციალური მილიონერი უნდა გახდე... შეიძლება, მილიარდელიც!.. ასე თუ გაგრძელდა...

პირჯვარს ვიწერ და ხეზე სამჯერ ვაკაკუნებ: თფუ ღმერთსა და ანგელოზებს, ეშმაკმა არ გვიწყინოს!

* * *

შხაპის ქვეშ ნინოზე ვფიქრობ. თითქმის თვეა მოსკოვში არიან და ერთხელაც არ გავხსენებივარ. ადრე ვინმეს რომ ეთქვა, ცოლს მარტო გაუშვებ დასასვენებლადო, შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი თავს. ცოლი არ უნდა მუშაობდეს (ოჯახშიც უამრავი საქმეა), არც მარტო უნდა დადიოდეს სადმე, ქალს ქათმის ჭკუა აქვს, იკაკანებს, იკაკანებს და კვერცხს სხვის ეზოში დადებს. პატიოსანი, ერთგული ქალი არ არსებობს, პატიოსანი შეიძლება გარემოება იყოს; თუ მომენტი ჩაუვარდა, რომელი იტყვის ღალატზე უარს? მთავარია, არავინ გაიგოს. უკვე წავიდა ჩვენი დედების დრო — ფანატიკოსი ქალების დრო, ახლა ზოგს რცხვენია კიდეც საყვარელი რომ არა ჰყავს. პატიოსნება იმდენად პირობითი ცნებაა, სად იწყება და სად თავდება არავინ უწყის. კი ბატონო, გამონაკლისებიც არსებობენ, მაგრამ რა არი მათი არსებობის მიზეზი? შემთხვევით, რაიმე ფიზიკური ნაკლი ან გონებაშეზღუდულობა ხომ არა?!

მსგავს თემაზე ვსაუბრობდით და ობობა ხარო, ნინომ მითხრა:

— რომელი სახეობის, იცი? დაბადებისთანავე ერთმანეთს რომ ჭამენ და ბოლოს მხოლოდ ერთი აგრძელებს სიცოცხლეს, თანაც არ დაგავიწყდეს, რვაასამდე იბადებიან.

მადლობა მოვუხადე, მასეთი კომპლიმენტი არავის უთქვამს-მეთქი.

არა, ობობა არა ხარ ,იუდა ხარო და ატირდა.

ჭკუა აქვს ახლა მაგას!

მთელ სალამოს ფშლუკუნებდა, თვალები სულ დაიწითლა; იმდენი იტირა, თავისი გაიტანა და ჯერ რეზოს ცოლთან ერთად წავიდა სამოგზაუროდ, მერე — მეზობლის ქალთან ერთად, ახლა შვილთან ერთად დადის. ჯანდაბას, იაროს, რამდენიც უნდა, ოღონდ დარეკოს მაინც, ეს დაურეკაობა რაღა მამაძაღლობაა! ბავშვის ამბავი მაინც გამაგებინოს!... ძალიანაც მინდა, თანამედროვე, ევროპულად მოაზროვნე მამაკაცი ვიყო, მაგრამ ვერ ვახერხებ:

ჩემს მტერს დამოუკიდებელი, გათამამებული ცოლი.

* * *

სახლში შესვლისთანავე ჩანთა მივაგდე და გაზეთს ვეცი. პირველად ვკითხულობდი მიცვალებულების სიას. ნეკროლოგს ინტუიციით მივაგენი — არც გვარი ვიცოდი, არც სახელი და მისამართი. მარინე რქმევია.

გასვენება სამ საათზე იყო, უკვე სამის ნახევარი ხდებოდა და ფაციფუცით გავვარდი, ძლივს მივუსწარი: გვირგვინები და მოწნულ კალათებში ჩაწყობილი ყვავილები გამოჰქონდათ, სურათიც გამოეტანათ.

ფოტოგენური არა ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე.

ახალგაზრდები ცალკე შექუჩებულიყვნენ; სათითაოდ ავათვალიერე თვითეული მათგანი, სიმპატიურებზე ვიეჭვიანე კიდეც: „იქნებ შეყვარებული ჰყავდა?" ხეზე მხრით მიყრდნობილი გამომწვევად ვაბოლებდი სიგარეტს (ჩემს ასაკში მოწევას გვიშლიდნენ) და სევდანარევ სიამაყეს ვგრძნობდი. მელანდებოდა, სასტუმროში რომ ვყოფილიყავი, როგორ ავკეპავდი იმ ბიჭებს, შიგნეულში როგორ დავუტრიალებდი დანას და მარინასაც ერთ სილას როგორ გავაწნავდი... ან დაბლა მაინც ვმდგარიყავი, დეგენერატ ჯორბენას ადგილზე, ხელით დავიჭერდი... „ეჰ! კაცს როცა ბედი არ სწყალობს!"

ამასობაში მიცვალებული გამოასვენეს. სახეზე უფრო გამხდარი და მობერებული მეჩვენა. თმით ვიცანი. შორიახლოს მივყვებოდი სამგლოვიარო პროცესიას. ნიავმა თმა აუწეწა და თითქოს გაცოცხლდა... სადარბაზოში შევვარდი, ვალებინე... შეიძლება ბევრი მოვწიე და იმიტომ.

განადგურებული გამოვბრუნდი.

ღამე თეთრად გავათენე.

აქამდე თუ ჩემს დარდში არტისტული მეტი იყო, ახლა მართლაც კოშმარულად განვიცდიდი. ნიავზე აფრიალებულ თმას ვერ ვიშორებდი მხედველობიდან.

* * *

— ექიმებს ტყუილად ემდურებით, — გვეუბნება ფიზიკის მასწავლებელი, — ასორმოცდაათ მანეთად ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს რომ მიაბარებ, როგორ ფიქრობთ, ქრთამს არ აიღებენ? ვილას რად უნდა თქვენი ინტელიგენტობა! პრინციპში, ინტელიგენცია აღარც არსებობს. ორი კატეგორიის ხალხია, ფულიანები და უფულოები. ფულიანები უფულოებს რაღაცა უ[illegible]ბი ჯიშის ცხოველებად თვლიან, რომელთა გამოყენება შეიძლება ფულის გასაკეთებლად; ზოგჯერ შეაქებენ, ზოგჯერ დატუქსავენ; ერთი-ორ კაპიკსაც გადაუგდებენ, თუმცა ადამიანებად არ მიაჩნიათ... ესენი კი ეპრანჭებიან, ეთაყვანებიან, ყოველნაირად ცდილობენ მათი კე-

თილგანწყობილების მოპოვებას... ფულიანებსაც და უფულოებსაც სამშობლო მხოლოდ ისეთ კონდიციებში აინტერესებთ, როგორიც მათი ჯიბისთვის იქნება ხელსაყრელი. ამიტომ გირჩევთ ნორმალურ ფაკულტეტზე შესვლას, კარგი ბიჭები ხართ, გული შემტკივა თქვენზე... დილაუთენია ვილვიძებდი, ექვს საათზე უკვე სადგურის სასადილოში ვუსმენდი საბჭოთა კავშირის ჰიმნს და ერთ ჭიქა ფორთოხლის წვენს ვსვამდი, ხშირად ეს იყო ჩემი საუზმე, სადილი და ვახშამი... ხელფასი ათი დღეც არ მყოფნიდა...

— ასორმოცდაათი მანეთი ცოტაა? — ვეკითხები.

— რა ასორმოცდაათი?

— აი, ექიმის ხელფასი.

— ე, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილხარ, — უკვირს და ახლა რეზოს მიმართავს, — მაინც გავძლებდი, მეცნიერება აზარტული რამეა, მაგრამ როცა ჩემმა დიასახლისმა, არყის სმისაგან სახედასიებულმა დედაკაცმა, საყვარლობა შემომთავაზა, ყველაფერი მივატოვე და საქართველოში დავბრუნდი, რა ვქნა, ყოველგვარ მალალფარდოვნებას უშუალო ურთიერთობები მირჩევნია, სადაც სიყვარულს ახსენებენ, იქ პრეტენზიებიც ჩნდება, პრეტენზიები ცხოვრებას ართულებენ, ხელოვნურად გართულებული ცხოვრება კი გონებას აჩლუნგებს... ჰო, მართლა, გაკვეთილზე რატომ არა ხართ?

— ქიმია გვიცდება.

— ტუზი დაგცემიათ, — ძმაბიჭური ღიმილითა და თვალების პაჭუნით შედის სამასწავლებლოში, — დირექტორს ნუ დაენახვებით!

— შენ რა, ხელფასზე აპირებ ცხოვრებას? — მეკითხება რეზო, — შენს მაგივრად შემრცხვა.

— არა, კაცო, გიჟი არ იყო! ვაგოიმებდი, ყიყლიყო ტიპია, რას გადაგვიშლის ხოლმე გულს!

— რა ვიცი, ქალებში მაგრად იჩითებაო, ამბობენ. ხომ იცი მეცნიერების ამბავი, ყველანი უფსტვენენ, დისერტაცია ჰქონია მზად.

— ასიანი ყიყლიყოა; წამო, გავაბოლოთ.

სკოლის ტუალეტში სიგარეტი მოვწიეთ, შემსვლელ-გამომსვლელს ფული შევაწერეთ, — ზოგს მანეთი, ზოგს სამი მანეთი, ხურდაც ბლომად მოვაგროვეთ და უკანასკნელ გაკვეთილზე შესასვლელი ზარიც დაირეკა.

ბიოლოგიის კაბინეტთან მერვეკლასელები იდგნენ. დამცინავად გადავხედეთ, როგორც უფროსებმა ცხვირმოუხოცავ ლაწირაკებს და ის-ის იყო ჩვენი ოთახისკენ გავემართეთ, რომ ნინო შევამჩნიე: ორი ვაშლი დაეკავებინა, სიცილით ჟონგლიორობდა; განსაკუთრებით მისი საყურეები მომეწონა (სკოლაში არ შეიძლებოდა თვალების შეღებვა და სამკაულების გაკეთება), — ვერცხლის[illegible] ერთი ციცქნა. „ფუფუნებაში გაზრდილი პატარა ქალბატონი".

— ეს გოგო ვინ არის-მეთქი, — ვკითხე ბიჭს, რომელსაც ნინო ეკეკლუცებოდა და რომელიც ყოველთვის წალვერში ნანახ ლაწირაკს მაგონებდა.

— უკვე ორი თვეა რაც ჩვენთან გადმოვიდა, — ქირქილებს, — თვითონ მაგას ვერ კითხავ?

— შენ ვინღა ხარ? — ნიკაპი ავუწიე, თვალებში ჩავაშტერდი, — ვინა ხარ?

— რა, არ იცი? — ხელი უხეშად ამიკრა, კლასში შესვლა დააპირა, ყინჩად ეჭირა თავი. სკოლის შემდეგ იურიდიული დაამთავრა და ახლა სადღაც პროკურორობს.

— ვიცი, ახვარი ხარ და მაგ გოგოს მოეშვი, — მარინაზე მგლოვიარეს სასწრაფოდ ვინმე უნდა შემეყვარებინა, სხვანაირად ვერ დავივიწყებდი.

— რაო?

კისრით დავიჭირე და კედელზე ავაკარი:

— აბა, თქვი რა ხარ!

გამგელებული მომჩერებოდა, პირი ჯიუტად მოეკუმა, წამეჭიდავა კიდეც.

— არ იტყვი, რა ხარ?! — რეზომ მუცელში ჩაჰკრა და მეც ვუთავაზე სიფათში.

—ჰაა?

— ვარ, — ბოღმისაგან თვალზე ცრემლი მოადგა, — შემეშვით!

ცოტათი სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, თუმცა ახია-მეთქი, გავიფიქრე.

მისი თანაკლასელები გასუსულები გვისმენდნენ. ნინოს ვაშლები ჩაებღუჯა (მომეჩვენა, რომ სროლას აპირებდა) და სიმწრით იკვნეტდა ტუჩებს.

— თქვი, რო ახვარი ხარ და მაგ გოგოსთან არაფერი გესაქმება, — მუშტი მივუტანე ცხვირთან.

თუ ამ სიტყვას ვათქმევინებდი, სამაგიეროს გადახდაზე ველარც იოცნებებდა: ახვარს ვინ დაუჭერდა მხარს!

— ვარ... არაფერი მესაქმება.

— რატომ იტყუები! — რეზომ ერთიც წამოარტყა, — მტყუანის, რო ახვარი არა ხარ, დავიგინო?

ბიოლოგიის მასწავლებელი დაგვაცხრა ყვირილით:

— ხულიგნებო, ყველას კოლონიაში გაგისტუმრებთ!

ნინომაც გაიმეორა, ხულიგნებოო.

გავუღიმე და თვალი ჩავუკარი. ამის შემდეგ, ზედმეტს ვერავინ გაუბედავდა, — რეზოსაც ასე ვუთხარი.

აუტანელი თვისება ჰქონდა, ლამაზი გოგოს დანახვაზე, უ, რა სექს ბომბააო, ან რა-

მე უარესს დაახეთქებდა და უმალვე სხვებიც აჰყვებოდნენ. დავასწარი, ცუდს აღარაფერს იტყოდა, პირიქით, მაგარი გოგოაო, გემოვნება მომიწონა, ადრეც შევამჩნიეო.

* * *

შემოსასვლელიდან ხმაური მესმის.

— გიგა, სახლში ხარ? — პეტროვნა მოსულა, დამტვრეული ქართულით მეხმიანება.

— აქა ვარ, პეტროვნა! — გავძახი, — თავი მოგვანატრე!

რაღაცას ბუზღუნებს, წყლის ხმაურში ვერ ვიგებ.

ნინომ ამაშიც თავისი გაიტანა: მოსამსახურე დაიქირავა, კვირაში სამჯერ მოდის და სახლის დასუფთავებაში ეხმარება.

წვერს გულდასმით ვიპარსავ, ხალათს სველ ტანზე ვიცმევ და უკვე სანახევროდ გაკრიალებულ ოთახში გამოვდივარ. პეტროვნას მტვერსასრუტი ჩაურთავს, დაწითლებულ თვალებზე და ცხვირზე ეტყობა, რომ გუშინაც კარგად მოულხენია, ტარიანს ეწევა და ფუსფუსის დროს ენერგიულად იქნევს უზარმაზარ უკანალს.

— ჭურჭელი დავრეცხე, სარეცხსაც დავრეცხავ, — ანგარიშს მაბარებს, — „ვოტკა" შენზეა.

— პეტროვნა, შეიძლება, ადამიანმა ცხოველთა ენა ისწავლოს?

— რაა?

— ცხოველთა ენა.

— ეჰ, მე ძაღლი მყავდა! — ოხრავს, — რასაც ვეუბნებოდი, ესმოდა.

— რა იქნა?

— მოკვდა, დაბერდა და მოკვდა, ცამეტი წელი იცოცხლა; იმდენი ვიტირე, იმდენი!.. დასალევი გაქვს?

— როცა საქმეს მორჩები.

ოთახში სიგარეტის სუნია, შხაპის შემდეგ უფრო მკვეთრად იგრძნობა.

— შენი ოინებია? — კონდიციონერზე ვანიშნებ.

— არა, დედა ნუ მომიკვდება, — თავს იმართლებს, — გამორთული იყო.

ყველა ტარტაროზის ბანჯგვლიან კეფას თამამად დავიფიცავ, მე არ გამომირთავს, პეტროვნასიც მჯერა, ე. ი. თავისით შეწყვიტა მუშაობა... მობეზრდა და გაჩერდა...

ფანჯრიდან ვიხედები: ახალგაზრდა ქალი ტაქსს ელოდება, სახეზე ცხვირსახოცი აუფარებია, თითქოს ტირის. „რა აუტანელი ვინმეა!" — ვფიქრობ და წუხანდელი ღამე მახსენდება, — „მარინა". საძინებელში შევდივარ, სავარძელს დავყურებ, იქვე წყლით სავსე ბოთლი გდია, თავდაცობილი და სალსალამათი, იატაკზე კი...

შიშისაგან გაოგნებული თვალს ვერ ვაცილებ სისხლის წვეთებს... კედლები სადღაც მოუსავლეთისკენ მიისწრაფიან, უსაშველოდ გრძელი და არაპროპორციული ფეხები, ხელს ვიწვდენ ბოთლისკენ და ხელის მტევანიც რაღაცა ლორთქო ამფიბიის საცეცის მსგავსად გრძელდება და ეწებება ბოთლის ზედაპირს... ყოველი ნივთი დეფორმირდება, როგორც საკუთარი ანარეკლი „სიცილის ოთახში", გაუბედავი ნაბიჯები სპობენ უცნობ ცივილიზაციას, რომელიც წარმოიშვება ჩემსავე ჩრდილში და რომელიც არსებობს ადამიანის დროით სამას მილიარდ სამას მილიონ წელს... ქაოსი... გათავხედებული ანტისამყარო... დიდი ხანია არ გამოჩენილა და აღარც მეგონა, თუ გამოჩნდებოდა. ადრე ნარკოტიკებს ვაბრალებდი, ახლა?.. კედლისკენ სახით შებრუნებულმა თვალები გავახილე, გავისუსე, ჯერ კიდევ მთვრალი ვიყავი, ქურდის შემოსვლა ვერაფრით გამაღვიძებდა, ეს კი დალივლივებს, ფრთხილად დაფარფატებს — თითქმის უჩუმრად, ღამურასავით, და მაინც სხეულის ყოველი ნაკვთით ვგრძნობ მის სიახლოვეს. გადმოიხარა, დამხედა, ამოიოხრა, ჩემი საწოლის გვერდით სავარძელში ჩაეშვა. კონდიციონერიც ალბათ მან გამორთო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. სამარისებური სიჩუმე. ასე იცოდა, მოვიდოდა და ყველაფერს გამორთავდა: მაცივარს, კონდიციონერს, მაგნიტოფონს... მაინც შევამოწმე, გამომრთველისკენ გავაპარე ხელი. გამომრთველის გატკაცუნებაზე აცმუკდა, ისევ ამოიოხრა, სავარძელი ააჭრიალა. ველარ მოვითმინე, უეცრად შემოვტრიალდი, საწოლთან მდგარი წყლის ბოთლი ავიტაცე და სავარძლის მიმართულებით ვისროლე. დაიკვნესა, სწრაფად, არითმულად გაირბინა ოთახში... ახლა კი ზუსტად იმ ადგილას იატაკზე სისხლის წვეთებია.

— ჩამომივარდა, — ამბობს პეტროვნა და გუაშის ქილას მიჩვენებს, — მოვწმინდავ, ამაზე არ იდარდო.

ჩვეულებრივი ამბავია:

ქუჩაში დავინახავდი ჩემს სვიტერში გამოწყობილს, შენი სვიტერი მათხოვარს ვაჩუქეო, სახლში დაბრუნებისთანავე მეტყოდა ნინო, თან დარცხვენილი შემომხედავდა, არ გაბრაზდესო (მათხოვრებს ვერ ვიტან), ტელეფონის ჯიხურში მოვკრავდი თვალს და ვილაცა მარინა გირეკავდა მთელი დღეო, საიდუმლოდ მიჩურჩულებდა დედა, ნინომ არ გაიგოსო...

სასწაულია, აბა რა არი!

სასწაული ყოველ წუთს ხდება, უბრალოდ, თუ არ დააკვირდი, ვერ შეამჩნევ.

— მოვასუფთავე, — პეტროვნა თავს წამომადგა.

კონიაკს ვუსხამ.

— ვოტკა სჯობია, — ამბობს თვალებგაბრწყინებული, — საქმესაც ხალისით მივხედავ.

„საბრალო მარინა! ბოთლი სახეში მოხვედრია, იმიტომ წამომადგა დღეს დილით კბილებჩამტვრეული. სიმთვრალე კაცს რას არ გააკეთებინებს!"

— ერთიც დაგესხა, — პეტროვნა ბოთლს სინანულით გაჰყურებს.

— ბევრი მოგივა.

— ნინო როდის ჩამოდის?

ტელეფონთან მივდივარ, ყურმილს ვიღებ. არა, ყველაფერი რიგზეა, მუშაობს.

ჩემს გრძნობებში ბოლომდე გარკვევა ყოველთვის მიჭირდა, ამიტომ აღარ ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას: „იმან ის გაიფიქრა, ამან ეს გაიფიქრა"... საიდან იციან ვინ რა გაიფიქრა, როდესაც ადამიანი საკუთარ ფიქრსაც არ იცნობს ნორმალურად?

რამდენჯერ დავკვირვებივარ, გახურებული მუშაობის დროს, როდესაც ნემსის ყუნწში ვძვრებით, შაბათ-კვირასაც საამქროში ვალამებთ და ვათენებთ, ათასნაირ კომბინაციებს ვიგონებთ და უცებ, ვტაცებ კუდში ხელს, გამოვათრევ სოროდან და თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემდაუნებურად რაღაც სისულელეზე ვფიქრობდი, მაგალითად — რეპლიკაზე, რეზოს ცოლმა რომ წამოიძახა სამიოდე თვის წინ ტელევიზორის ყურებისას: „როგორ ერთობა ხალხი!"

მილიონერის საკუთარ იახტაზე შემთხვევით მოხვდება თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ბიჭი. ყველანი გალეშილი მთვრალები არიან: ვინ ცეკვავს, ვინ პოკერს თამაშობს, ვინ კაიუტაში მიყუჩებულა, მილიონერის ცოლი კი ბიჭს უსიტყვოდ გადააწვენს გემბანზე, აფრების ქვეშ და თითქმის ძალით აუპატიურებს, ხოლო რეზოს ცოლი, როგორ ერთობა ხალხიო, ოხრავს. ჰოდა, გახურებული მუშაობის დროს, მე ვფიქრობ ამაზე, აგრეთვე ვფიქრობ, რომ ამგვარი ფიქრი რეზოს მიმართ ღალატია და ინცესტს უდრის, ვბრაზობ, რომ ნინო რეზოს ცოლთან ერთად იყო დასასვენებლად და რაც მთავარია, მგონია, რომ მხოლოდ სამსახურზე ვფიქრობ.

რომელერთი მსგავსი მომენტი გავიხსენო?

და როდესაც ფიქრს ბოლომდე ჩაეძიები, აუცილებლად დამყაყებულ წუმპეში ამოჰყოფ თავს; — „დავსცე მწყემსი და განიბნივეს ცხოვარნი", — ასე არ არი, ჩემო კუდრაჭა?

თუ ოდესმე კარგი გამიკეთებია, თუ ვყოფილვარ ოჯახისა და მეგობრების ერთგული, თუ მრქმევია კაცი, მხოლოდ იმიტომ, პატივმოყვარეობის გრძნობა დამეკმაყოფილებინა, და ვინც არ არის ჩემამდე მოსული, ან ბრიყვია, ან ჩემამდე აუცილებლად მოვა; ყველას ყიდვა-გაყიდვა შეიძლება ფულით, შექებით, ძალადობით, შეშინებით... ვცხოვრობთ უზარმაზარ ნაკრძალში და თავს ვიცავთ იარაღით, რომელიც თვითეულს გაგვაჩნია: რქებით, კბილებით, ეშვებით, ჩლიქებით, [illegible]ბით...

ბიბლიოთეკა

— არა გშია? — სამზარეულოდან მეძახის პეტროვნა, — კონიაკი წამოიღე, რა!

აი, ცოცხალი მაგალითიც: პეტროვნა ას გრამზე იყიდება.

• • •

ნინო დანახვისთანავე მომეწონა, მაგრამ მაშინ ასაკით მხოლოდ ჩემზე უფროსის შეყვარება შემეძლო. ახლა პირიქითა ვარ, პატარები უფრო მომწონს, თანაც ისეთები, რომლებიც ფულზე არ იყიდებიან. ასაკს ვერაფრით მოვერგე, ყოველთვის ხელს მიშლიდა, ასეა ჩემი ცხოვრება აწეწილი, არაფერი არა დგას თავის ადგილზე; დროც რა გიჟივით გარბის! სკოლაში ნელა მიიზლაზნებოდა, ინსტიტუტში ცოტა ააჩქარა, ინსტიტუტის შემდეგ წლები თვალსა და ხელს შუა ქრებიან. თითქოს გუშინ იყო, რეზოსთან მუშაობა რომ დავიწყე: აიღე ქვიშა ერთი ბუნკერიდან და ჩაყარე მეორეში, სულ ეს არი, — მუშას — თუმანი, შენ — ბლომად. როდესაც პირველი ათასი მანეთი მომცეს, ქვეყანა ჩემი მეგონა, მერე ათასი მანეთიც ყოველდღიურ სახარჯო ფულად მექცა და თუ ჯიბეში ნაკლები მქონდა, ქუჩაში შიშველივით დავდიოდი... ფულიც ყელში ამომივიდა, სულ რაღაცა სერიოზულის მოლოდინში ვარ: გაიხედ-გამოიხედავ და ერთიდაიგივე სახეები, ერთიდაიგივე ინტრიგები, ერთიდაიგივე პრობლემები... თითქმის არაფერი იცვლება, არაფერი ხდება, გინდა მტაცებელივით ჩაუსაფრდი და გინდაც მიკროსკოპით უკირკიტე: დაინახავ მოლეკულას, დაინახავ ატომს, დაინახავ ყველაზე მცირე განუყოფელ ნაწილაკსაც და როცა კიდევ დააკვირდები, იმ განუყოფელი ნაწილაკის იქით დაინახავ კაცს, რომელიც მიკროსკოპში იხედება, ეს კაცი კი, რა თქმა უნდა, შენ თვითონვა ხარ. რასაც ვხედავთ, ცხოვრების ალფა და ომეგა არისო, დღეს ცოტა გავიჭირვოთ, ხვალ უკეთესად ვიქნებითო, ბედნიერი მომავალიო, — ჰმ! დღეს თუ ცუდად ვიქნები, არ მიმიფურთხებია ბედნიერი მომავლისთვის? სიცოცხლე ხომ აზროვნებაა და რატომ არ უნდა ვეცადო, სასიამოვნოდ ვიაზროვნო? რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ უკეთესად ვიაზროვნებ, ვიდრე — დღეს? ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნება ბავშვობაში შეძენილი სათამაშო იყო, ყველაზე დიდი უსიამოვნება კი — წალვერში ნანახი ლაწირაკის მიერ მოყენებული დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, რომელიც ისეთივე სერიოზულობით განვიცადე, როგორც მარინას გარდაცვალება, უფრო მეტი სიხარული ან უფრო მეტი ტანჯვა მე ფიზიკურად არ შემიძლია და დროთა განმავლობაში ეს

შეგრძნებებიც გამიხუნდება, ამის უნარსაც დავკარგავ, ამიტომ უნდა ავჩქარდე, უნდა მოვასწრო ცხოვრება, ისედაც უკვე დიდი ხანია ვმეორდები... მთელი უბედურება კი ის არი, რომ ახლანდელ დროში შენც ვერ გენდობა, ეშმაკო, კაცი ბოლომდე შენც არა ხარ, ყოვლისშემძლე.

რეზოს რა უჭირს, თავის სტიქიაშია, სამსახურით ცოცხლობს; იმისთანა მაფია ჩამოაყალიბა, საერთაშორისო ბაზარზე გააქვს პროდუქცია. ოფიციალური უფლება არა აქვს, უბრალო საამქროს უფროსია და რამდენ რამეს ახერხებს, უფლება რომ მისცე, მაშინ რალას იზამს! ორ დღეში ფეხზე დააყენებდა ჩვენი ქვეყნის ჩავარდნილ და დამპალ ეკონომიკას .არა, ძმაო, სხვა გაქანების კაცია, საერთაშორისო ბაზარზეც პატივმოყვარეობის გამო გაიტანა პროდუქცია, ჩვენი პირადი დაინტერესებისათვის ზარალის მეტი რა მოაქვს! ნაღდი ბიზნესმენია, ამერიკაში რომ დაბადებულიყო, მილიარდერებს გააკოტრებდა, ვინმე სპეკულიანტს კი არა ჰგავს! მდაბიო ხალხის მომხვეჭელობის ჟინი მაცოფებს, სისხლს მიმღვრევს, სიამოვნებით მივახვრეტდი ნებისმიერ მათგანს. წაეთრევა გლეხი ან მუშა ტურისტულ მოგზაურობაში, მიესევა მაღაზიებს, იყიდის უვარგის ჭინჭებს და ორმაგ ფასში ასაღებს თანამშრომლებზე, გემოვნება მაინც ჰქონდეთ! მონები!

როცა ადამიანი ცუდად გიცნობს, შენი მეგობარი ვერ იქნება. რომ გიცნობდეს, ზუსტად შენი დონის ჭკუა, ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რაც შეუძლებელია და ამიტომ მეგობრობის არა მჯერა. არსებობს მხოლოდ მიჩვევა, სიმპატია ან ანტიპატია და კიდევ — გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც დამეგობრების სურვილს ვინმეს თავს ძალით მოახვევ, ხოლო შემდეგ თვითონვე დაიჯერებ საკუთარი გრძნობების უანგარობას.

ნინო მიცნობს, როგორც ქალი — მამაკაცს, თუმცა ძირითადში ჩვენც უცხოები ვართ. მე და რეზოს წლები გვაკავშირებს, თითქმის მისჯილი გვაქვს ერთმანეთი და ურთიერთობის ფორმაზე ცოტას ვფიქრობთ, ის მე მთვლის მეგობრად, მე — მას. კრებაზე პირველად რომ გამომლანძღა, მზად ვიყავი შუაზე გამეხლიჩა. სამსახურში ასეა საჭიროო, მითხრა, სხვების დასანახად გავაკეთე, არ გეწყინოსო. ჩვენც ერთმანეთს იმ შთაბეჭდილებით ვაფასებდით, რაც სკოლის მერხიდან გამოგვყოლოდა. საქმიანობაში მისი გაქანების უნარს, მის მასშტაბებს გვიან მივხვდი, ჯორბენას ხასიათსაც გვიან ჩავწვდით, რატომღაც მაღლიდან დავყურებდით, დაცინვითა და გულგრილი დიდსულოვნებით ვექცეოდით. ცხოვრება ჭეშმარიტი კონსერვატორია. ყველანაირად ნიღბავს ადამიანებსა და საგნებში მომხდარ ცვლილებებს, მთელი ყურადღება გარეგნულ ერთფეროვნებაზე გადააქვს და შინაგანი გარდაქმნები, სულის ქაოსური მოძრაობა ფაქტიურად შეუმჩნეველი რჩება, ყველაზე მთავარი, კი სწორედ ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ცვლილებებია, სწორედ ისინი განაგებენ ხილულ თუ უხილავ სამყაროს. ნერონის შეფასებას ნერონის ტვინი უნდა, კეისრის გამოცნობას — კეისრის ნიჭი, სხვანაირად ვერაფერს დაინახავ, თუ დაინახავ და წყლის დანახვითაც შეიძლება დაიხრჩოს კაცი, ამიტომ რაც სჯერა საზოგადოებას, მე უყოყმანოდ ეჭვს ალმიძრავს. უნიჭო კაცი არარაობაა, საქონელია, ნიჭი კი ბოროტებაა, რადგან ჭეშმარიტი ნიჭი სიძლიერეს ნიშნავს, სიძლიერე — გამარჯვების უნარს, ხოლო გამარჯვების უნარი მხოლოდ ბოროტებასა აქვს, მხოლოდ მას ეკუთვნის უკანასკნელი დარტყმა.

მიტევების უნარსაც დიდი შინაგანი ძალა სჭირდება, მაგრამ ადამიანის დამარცხებას იწვევს და ყველაზე ამაზრზენი და უსუსური დამარცხებული ძლიერია... ან სად გაგონილა დამარცხებულის ძლიერება?

სხვა რამეზე ვფიქრობდი და სად გადავხტი! გარეთ ქაოსი, შიგნით ქაოსი, გაგიჟდება კაცი!

ნინო მარინასთან შედარებით არარაობად მეჩვენებოდა, პატარა იყო და იმიტომ. გამარჯობა, გაგიმარჯოს, რა კარგი გოგო ხარ!.. რამოდენიმეჯერ სახლამდე მივაცილე, მარინაზე ველაპარაკე... მეტი არაფერი, ჩვენი ურთიერთობა ამით ამოიწურებოდა, მასთან ყოფნა დარდს მავიწყებდა. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, რეზომ კარგი ოინი მომიწყო. გასახსენებლად ადვილია — სასაცილოა, თუმცა მაშინ სიცილისთვის არ მეცალა... მე ხმას არ ამოვიღებდი, საიდუმლოს შევუნახავდი,.. კაცმა რომ თქვას, მისი საქციელი არ გამკვირვებია, უკვე აღარ მოვითხოვდი ახლობლებისაგან იმას, რისი გაცემაც მე შემეძლო, სამაგიეროდ, აღარც საკუთარ თავს ვუყენებდი დიდ პრეტენზიებს და პირიქით, რაც უფრო ფუქსავატურად ვიქცეოდი, უფრო მეტი პატივისცემით მეპყრობოდნენ.

ოფიცერთა სახლში შევედით რომელიღაც ამერიკული ფილმის სანახავად, სიგარეტს ვეწეოდით და ჯორბენას ვჭორავდით, — ტალინური ჰალსტუხი მომასალა ოცდახუთ მანეთად, იტალიურიაო (ფირმის ნიშანი წაეჭრა), მეც დოყლაპიასავით დავუჯერე. ამ ლაპარაკში რომ ვართ, გავიხედე და რას ვხედავ! მარინა.. ვისზედაც მგლოვიარე ვიყავი, ვილაც ახმახის გვერდით წამოსკუპებულა და არხეინად მიირთმევს ნაყინს. კინალამ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკეცე, თუმცა, გულახდილად თუ ვიტყვი მის ნახვას თითქოს ველოდი კიდეც...

უცნაური პარადოქსია, არა?

მარინას არსებობას განუწყვეტლივ ვგრძნობდი, ვესაუბრებოდი, ვეჩხუბებოდი, სიყვარულს ვეფიცებოდი, ვეჭვიანობდი, ვოცნებობდი, ქუჩაში მელანდებოდა, მესიზმრებოდა...

ამან კი... ავუარე, ჩავუარე და ვერც მიცნო...

რეზო ვაჟკაცურად ებრძოდა სიცილს, ერთ-ორჯერ ჩაიფხუკუნა, — ნახე, რა კლიენტიაო, — ვითომ სხვა ვინმე ნახა სასაცილო. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და კარგად დააკვირდი, იქნება ესეც ვინმეში გეშლებაო.

მეორე დღესვე ჩამოკაკლა კლასში დანვრილებით, ამისთანა საჭორაო მასალის ხელიდან როგორ გაუშვებდა!

სახლამდე გავყევი, ერთმანეთით გართულება ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ. ახმახი სადარბაზოსთან დაემშვიდობა, მე კიბეზე ავედი და კარზე გვარი წავიკითხე. ცოტა მოგვიანებით სხვა რაღაცებიც დავაზუსტე, რაც მთავარია, სახელი გავიგე: მარინას ნატა რქმევია.

* * *

— თქვენ რუსებს, როგორც უფროს ძმებს ისე გვიყურებთ, არა? — მეკითხება პეტროვნა.

ცხვირი თანდათან გაულურჯდა, თვალები დაეწმინდა და აზრიანი გაუხდა.

— თუ ასაკი გაქვს მხედველობაში, უფროსები ჩვენა ვართ.

— არა მჯერა, — იცინის, — ბერძნებზეც ძველები ხართ?

რადგან შემეპასუხა, უკვე აღარაფრის გამკეთებელია.

„ბოთლს დაცლის და გავაძევებ“:

— არც ახლები.

ტელეფონი რეკავს.

რეზო მეუბნება, სამინისტროდან სტუმრები იქნებიან, სახლიდან არსად გახვიდეო. მივკიბ-მოვკიბეთ, მივედ-მოვედით, სამსახურზე ვიყბედეთ.

— სამსახურში მილიციელმა მოგაკითხა, — ამბობს სხვათაშორის, — რა უნდოდა, არ მითხრა.

— კვირა დღეს?

— ჰო, დღეს იყო, მაიორია.

— წარმოდგენა არა მაქვს, — ვამბობ სიცილით, — დიდი ძალლი ყოფილა.

— არსად გახვიდე, — მემშვიდობება, — გადმოგირეკავ.

— რეზო, — ვეკითხები, — შეიძლება, ადამიანმა ცხოველთა ენა ისწავლოს?

— ძაღლები?

— სერიოზულად გეკითხები.

— შენ რა, — მეუბნება [illegible] რეზოს შემდეგ, — კაიფში ხარ?

— კაიფი არა! — ვბრაზობ, — საიდან მოიგონე?

— კარგი, ნაცუქი, — ხმაში მასაც გალიზიანება ეტყობა, — სამინისტროდან არიან, არ დაგავიწყდეს.

„რალა დროს ის ამბავია! — თავს ვიმხნევებ, — რას დამიმტკიცებენ! ვიღაც ნაბიჭვარი ასი წლის წინ კიბიდან გადახტა; მე რა შუაში ვარ!“

— მოდი ვიმღეროთ, — მეპატიჟება პეტროვნა, — ოქროს საწმისზე ვიმღეროთ.

— არგონავტებმა რომ ახვრულად შოგვპარეს?

— ნუ იგინები! — ამბობს გაკაპასებით, — ყველა იპარავს! საიდან ამდენი ქონება?

„ნიკოლოზის ნათრევი!“

— გასალები ჟამეკარგა, შენი დამიტოვე.

— დაგიტოვებ, — წამოდგა, ნაბარბაცდა, — დავთვერი, — ხითხითებს.

„გადავაგდე... ავილე და გადავაგდე... ასხმარტალდა კიდეც, ჩვეულებრივ მოხდა, ძალზე უბრალოდ... იმიტომ მგონია, რომ“...

— ამ თვისა კიდევ გეჭუთვნის, — ფულს ვაძლევ, — ნახევარი ადრე მოგეცი, გახსოვს?

არ მართმევს, დამეკარგებაო, კონიაკის ბოთლზე კი უარს არ ამბობს.

— მილიციაში განაცხადე, ალბათ მოგპარეს. გასალებზე მეუბნება.

— განვაცხადებ.

საზიზღარ გუნებაზე ვდგები: ცოლი უცხო, შვილო უცხო, ძმაკაცი უცხო... „კაიფში ხომ არა ხარო“, ბრიყვი!.. ყველანი ერთმანეთის პოტენციური მტრები. სამი საათი დამლაგებლის ბჟუტურს გავუძელი; აბა, მე მივსულიყავი მასთან თუნდაც საქმეზე და ჩემს ხასიათზე არ ყოფილიყო, ათ წუთში გამომაბუნძულებდა, ამიკრავდა გუდა-ნაბადს... ეჰ, რა უაზრობაა ყველაფერი... ადამიანი განუწყვეტლივ წარსულში ცხოვრობს, ე. ი. ფაქტიურად არ არსებობს... შეიშლება კაცი!

შენ მაინც გამოჩნდი, რას მემალები, ხომ იცი, შენს იქით გზა არა მაქვს.

— თუ გიყვარს და იტანჯები, ნახე და ელაპარაკე, — მეუბნება ჯორბენა, — გაგიგებს, ქალს მეტი რა უნდა!

— სად ვნახო! არ მუშაობს, არ სწავლობს, — ვნუნუნებ.

— სახლში მიაკითხე, სახლი იცი?

— ადრე მივაკითხავდი, ახლა...

— სიყვარულის ბრალია, — გამოცდილი, თავისთავში დარწმუნებული კაცივით იცინის, — გინდა, მე მივიდე?

„ესეც მაგარი პატივმოყვარეა, ვფიქრობ, — დასაკარგი რა აქვს, ავა და ჩამოვა, დიდი რამე! სამაგიეროდ ინიციატივა ჩაიგდო ხელში და მუსუსის სახელის მოხვეჭა უნდა, ამიტომ აქტიურობს ამდენს“.

— რას ეტყვი?

— შენზე დაველაპარაკები, იქნება შეგახვედროთ კიდეც, მაგის მეტი რა ვიცი, მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც პირველი ქალი გავაფორმე, თბილისელი იყო, სოფელში ისვენებდა... — დაწვრილებით ჰყვება ყველაფერს, — მივიდე?

ვდგევარ, ველოდები.

სამი საუკუნით დაიკარგა.

უკვე კოშმარები მელანდება, კარების შემტვრევას ვაპირებ, წამების მეთოდებს ვიგონებ...

სადარბაზოდან მოწყალე ღიმილით გამოდის, ხელით რაღაცას მანიშნებს, კედელს ეფარება, შარდავს, მერე ჩემთან მოდის და ამბობს წინადადებას, რომელიც მისთვის დღემდე ვერ მიპატიებია:

— შენ რომ არ აგეგზავნე, ნაღდად წამოვაგორებდი, ასპროცენტიანი კახპაა, — ავხორცულად აბრიალებს თვალებს, — შვილი ჰყავს, ქმარს გასცილებია.

— მართლა იყავი? — განადგურებული ვარ.

— ავიდეთ, გველოდება.

არ უნდა ავსულიყავი:

კარებს აღებს, ჯორბენას ბაბილონელ ძუკნასავით უცინის, ჩემს დანახვაზე სახე ეძაბება, გახსენებას ცდილობს, მეორე ოთახიდან ბავშვის ჩხავილი ისმის, კოშმარია.

სულელურად მივედმოვედები, ბავშვს იდიოტივით ვეფერები, დედამისს პაემანს ვუნიშნავ.

— არ დაგავიწყდეს, — მემშვიდობება ჯორბენა, — ხვალ ხუთ საათზე გელოდება.

აქამდე ვერ ამიხსნია, რატომ ტოვებდა ჯორბენა გონებაშეზღუდული ტლუ ბიჭის შთაბეჭდილებას. დავუშვათ, მშიშარა კაცად ვთვლიდით, მაგრამ მშიშრები სხვებიც იყვნენ და მასე უხეშად არავის ვექცეოდით, სოფლიდან ჩამოსულებიც ბევრნი გვერივნენ ზოგიერთ ყველანი უცებ გაშინაურდნენ, ქალაქური ჟარგონით ალაპარაკდნენ, მხოლოდ მას არ დაადგა საშველი. მიზეზი ალბათ მის გარეგნობაში იმალებოდა, უფრო ზუსტად — მის გამოხედვაში: კაფანდარა სხეულს აშკარად არ უხდებოდა ქალურად ვნებიანი და მიბნედილი თვალები, თითქოს გამხდარი, ლოყებჩავარდნილი მოგრძო სახიდან სულ სხვა ადამიანის თვალები იმზირებოდა და მე, პირადად, უცნაურ, გულისამრევ გუნებაზე მაყენებდა. ვერაფრით წარმოიდგენდი, რომ ასეთი გამომეტყველების პატრონს შეიძლებოდა ვაჟკაცური სული ჰქონოდა ან საერთოდ რაიმე სერიოზული სცოდნოდა. [illegible]ნა. რეზო კი პირიქით, ფოცხვერივით [illegible]დავდა, მაღალ შუბლს შეიჭმუხნიდა, ხმას ოდნავ დაიბოხებდა და სისულელეს იმხელა დამაჯერებლობით იტყოდა, ნათქვამში ეჭვს ველარავინ შეიტანდა.

სამზარეულოში შევდივარ, ჩაის ფინჯანს ვავსებ შამპანურით, უაზროდ ვიხედები გარშემო, სიგარეტს ვუკიდებ — არ მსიამოვნებს, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით ვარტყამ ნაფაზს, ისევ ვავსებ ფინჯანს და სულმოუთქმელად ვცლი.

მაცივარზე შემოდგმული შანდალი ას ოთხმოცი გრადუსით იცვლის მდებარეობას, ხან ერთ თეძოს მომიშვერს, ხან მეორეს... „ეშმაკობ, ჩემო კუდრაჭა?“ ხან აინთება, ხან ჩაქრება... „კარგია, როდესაც მარტო არა ხარ“... ერთი თეძო... მეორე...

— გაჩერდი! — ვღრიალებ, — გეყოფა!

ოთახის კუთხისკენ დინამიკს მივათრევ. მეორე დინამიკსაც მივათრევ მეორე კუთხისაკენ და მათ შორის ვჯდები. მუსიკა ჩუმად ისმის, თანდათან ხმას ვუწევ, ახალგაზრდობას ვიხსენებ: არ ვფიქრობ, არ ვოცნებობ (რაღა დროს ჩემი ოცნებაა!), მივყვები რიტმს, იმპროვიზაციას, ვუსმენ მთელი სხეულით...

ასე ვიცოდი ხოლმე, გამოვეთიშებოდი ყველაფერს და ბგერებს ვხედავდი; მართლა ვხედავდი, არ ვაზვიადებ, ვხედავდი სხეულის თვითეული ნაკვთით...

ვხედავდი... ვერ ვხედავ, არ მესმის... ვბერდები:

მუსიკა — თავისთვის, მე — ჩემთვის...

სიგარეტს სიგარეტზე ვეწევი: ხომ უნდა ავინაზღაურო, რაც დილიდან არ მომიწევია! ჩავისუნთქავ, ამოვისუნთქავ, ჩავისუნთქავ.. კვამლი მესამე ამოსუნთქვამდე ფილტვებში რჩება.

გამჭვარტლული ბუხარი, გარედან — მარმარილო, შიგნით — ნეხვი.

„ვინ ოხერს გავახსენდი?“ — ბუზღუნით ვაღებ კარს, — ზარს ვერ დარეკავს!“.

არავინ არ არი, სამაგიეროდ, ხანძარია: ელექტროგაყვანილობას ცეცხლი გასჩენია, სადარბაზო კვამლით გავსებულა, კიბეზე ხალხი ჩარბის, დიდი ვაი-უშველებელი აქვთ.

არხეინად შევდივარ ბინაში: ხანძარი მალე ჩაქრება, დენი გამოურთავთ, საპანიკო არაფერია. „დეგენერატები!“ — ვფიქრობ და მეზობლებს გადავძახი:

— ეჰეი!.. ეჰეჰეი!

მთელი კორპუსი ეზოში გაკრეფილა, პინგვინებივით ირევიან ერთმანეთში, გამწარებულები ყაყანებენ, სახანძრო მანქანებიც მოგრიალებულან, — ბაბილონის გოდოლია. ის ახალგაზრდა ქალიც იმავე ადგილზე დგას,

სახეზე ცხვირსახოცაფარებული და ატირებული, დილით რომ იდგა.

— ეჰეი, მეზობლებო! — კარგია, ნინო არ მისმენს, — მეზობლებოო, ეჰეჰეი!

რამოდენიმე ქეციანი თავი ამომყურებს, რაღაცას მიყვირიან, თუ არ ვცდები, მილიციას გამოუძახეო.

უცნაური ძალა აქვს ბრბოს, ყველამ ერთად რომ დაიძახოს, გადმოხტიო, ძახილი მიმიზიდავს და ეჭვიც არ მეპარება, აუცილებლად გადავხტები. იცოდნენ!..

ჩემო კუდრაჭავ, წარმოიდგინე გაუვალი ჯუნგლები, სადაც მუდმივი ზაფხულია, მუდმივად ანათებს მზე და სკოლოპენდრები დაჯლიგინობენ, გეკითხები, — აქვს ფასი ასეთ მზეს?

— ბავშვი! — გაჰკივის ჩემი მეზობელი, — ბავშვი! ცუნცულა! ჩვილი!.. ყრმა!..

მშობლიური სიყვარულის თანამედროვე ვარიანტი: სამშვიდობოს დაიგულეს თავი და მძინარე ბავშვი მერე გაახსენდათ, მე კი, როგორც ქრისტიანულად აღზრდილი კაცი, ეშმაკს განვადიდებ, რადგან მხოლოდ ეშმაკია ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი.

— ვინ არის? — მეკითხება კარს იქიდან.

— გააღე, ციცქნა, გიგა ვარ.

აღებს და ცნობისმოყვარედ ათვალიერებს ჭერს, შიშის არაფერი ეტყობა:

— ჩაქრა? — რა ცუდია!

— წამოდი, ჩემთან გავიდეთ; რატოა ცუდი?

— დევს ვატყუებდი, ცეცხლში ჩახტი და ალი ცამდე აგაფრენს-მეთქი, ახლა აღარ ჩახტება.

ბავშვებით არასოდეს ვყოფილვარ აღფრთოვანებული, შვილი თუ შენზე უკეთესი არ გამოვიდა, რაღა აზრი აქვს? მაგის გარანტიას კი ვერც ღმერთი მოგცემს და ვერც ეშმაკი, ამიტომ შვილი საერთოდ არ მინდოდა და ნინომ დიდი დავის შემდეგ დამიყოლია.

— ვინ გითხრა, ხანძარიაო?

— დაბლიდან იძახდნენ, — დიდი ქალივით სერიოზულად მომყვება, — დევები არსებობენ?

— ცხრათავიანები არა, ჩვეულებრივი უამრავია.

— ბაყბაყდევები? — სავარძელში ჩასკუპდა, მუხლებზე კაბა გაისწორა, — ბაყბაყდევი ჩვეულებრივია?

საიდანღაც ელემენტები ამოვქექე და მაგნიტოფონს ვრთავ. რა სჯობია, როდესაც დენი არ არი, შენ კი მაინც მუსიკას უსმენ. ქალი მღერის, მშვენიერ, წკრიალა ხმას ნემსის ყუნწში აძვრენს, ზოგჯერ თავს ისე ატანს ძალას და ხმასაც ისე ნაძალადევად იბოხებს, რომ შინაურულად საყვარელი და სასაცილო ხდება. თითქმის ზუსტად ვიცი, ცხოვრებაში როგორი ხასიათი ექნება, წარმოვიდგინე და წარმოდგენილზე მეღიმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი კაპარჩხანა ვი[illegible]

— ვინ?

— ის ქალი, — მაგნიტოფონისკენ იშვერს ციცქნა თითს.

„ვერ უყურებ!"

ადამიანები შვილებში მაზოხისტური გართობის საშუალებას ხედავენ; ანებივრებენ, ეფოფინებიან, თითქოს შოთა რუსთაველი გაიზრდება, ან — თამარ მეფე მაინც, მეტი არაა ჩემი მტერი! ბავშვები მიყვარს, ისეც არ არის საქმე, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვს შემიძლია საათობით ვუსმინო, მაგრამ რა ჩემი ბრალია თუ თვითეულ მათგანში ჩემი შვილის მომავალი მეტოქე მელანდება?

ისევ ფანჯარაში ვიხედები.

მეზობელი ხელით მანიშნებს, ბავშვი როგორ არისო.

პასუხს არა ვცემ, ვითომ ვერ მივუხვდი. — „ინრუწუნოს ცოტაც".

— შეიძლება, თვალები დავიხატო? — ციცქნა ნინოს ოთახიდან გამომძახის.

— შეიძლება.

კართან მეხანძრეები გნიასებენ. კარს ვაღებ და ნატა მივარდება მკლავებში, მეხვევა, მპროშნის.

— საიდან გაგახსენდი?

— ეზოში ვერ შემამჩნიე? მე მოგიკაკუნე წელან.

— და გაიქეცი?

— თავი შემომენირა შენთვის? — იცინის, — ელექტროგაყვანილობას მოეკიდა და მალე სახლი მთლიანად აალდებაო.

— ეს საიდანღა მოათრიე? — მეკითხება ციცქნა. სახე პოლიტიკურ რუკასავით აუჭრელებია, — ფუ, სულ მაგისი სუნი აგდის, — ნატას ზიზღით შეჰყურებს და ტუჩებს უკმაყოფილოდ კუმავს.

საინტერესოა, ასეთი ბავშვი, როგორ დაიბადა იმ მყრალ ოჯახში?

* * *

გინდათ, საკუთარი ლექსი წაგიკითხოთ? — გვეუბნება რუსულის მასწავლებელი და სახელმძღვანელოს დარცხვენილი ფურცლავს.

— გლიჯავს, — ამბობს ვიღაც.

— წაგვიკითხეთ, რა!

— შენზე ისეთი რამე მითხრა, — ხითხითებს რეზო, — ჰი, ჰი, ჰი!

— ჩემზე?

— ჰი, ჰი, ჰი, ვერ გეტყვი, მოკლავ, მაგ საცოდავს.

— ქართულად დაწერე, — გვეუბნება მასწავლებელი.

— რუსული არ იცი და...

არ ესმის.

— რა თქვა მასეთი?

ხელს იქნევს, თავი დამანებეო:

— მოუსმინე, — მეჩურჩულება, — ცირკი იწყება.

— „აი, შეინძრა შავი ბელტი, გაჩნდა ნაპრალი“... — კითხულობს მასწავლებელი.

ჯორბენას გავყურებ. კისერი მოუღრეცია და ორიოდე მერხით უკან მჯდარ გოგონას თვალებით კაბის ქვეშ უძვრება; ის ვითომ ვერ ამჩნევს, მარჯვენა ფეხს მონოტონურად ამოძრავებს, დაქალს ეჭორავება და შიგადაშიგ ნაძალადევად იცინის.

— „სიღრმიდან გლუვი, ლბილი ღერო ამოიწვერა“...

— მითხარი! — ვბრაზობ, — რადგან დაიწყე...

— ქალები გამაცნო, მწუ! — ჰაერში კოცნას აგზავნის, — მარწყვივით.

—„ და გაახილა ორი თვალი, და კიდევ ორი“...

— განიყვნეს სამოსელი შენი, — ქირქილებს, — მერმედ გაჰყიდეს სამოსელი და იყიდეს მახვილი, გასაგებია?

— „ყვითლადნაფერი ვარდისფერით რკალმოხატული“...

— ქადაგად დაეცა, ეს შობელძაღლი!

— ქალები?

— მარწყვივით.

ჯორბენამ ლამის კისერი მოიტეხოს, გოგო კი ფეხებს ჭერზე აწყობს.

— „მერე დაშორდნენ ერთმანეთს და ორი მათგანი იქცა ფოთლებად...“

— რა დიდებულია!

— ოჰ, პატივცემულო!..

— „ორი — ყლორტად და ორიც — ფრთებად“...

— აფრენს, — ამბობს რეზო, — საბრალო... საბრალდებულო... სასოსისე, რა უცნაური სიტყვებია, არა? ხშირად გაიმეორე, სასოსისე, სასოსისე, სასოსისე... მნიშვნელობას კარგავს... სა-სო-სი-სე.

სპეციალურად აგდებს სიტყვას ბანზე, ცდილობს, უფრო დამაინტერესოს.

— ნუ გაახურე, მითხარი დროზე!

ყურში მეჩურჩულება და თანდათან ვგრძნობ, როგორ ეხლება ძარღვებს ადრენალინით გამდიდრებული სისხლი.

— „და გაიზარდა ფანჯრების წინ ორი ტირიფი“, — ამთავრებს მასწავლებელი.

ბავშვები სულს ველარ ითქვამენ, მხოლოდ მე არა ვარ სიცილის გუნებაზე.

— ბრბოს თვითშემოქმედებამდე დაჰყავს შემოქმედება, — ამბობს ჯორბენა, — მოსწონს მხოლოდ ის, რაზედაც ხელი მიუწვდება, ხელი კი ყველაფერზე მიუწვდება შემოქმედების გარდა.

— ბრბო ჩვენა ვართ? — ვეკითხები.

— სერიოზულად გეწყინა? — უკვირს.

— ამის შემდეგ ალარაფერს [illegible],

— გვტუქსავს მასწავლებელი, [illegible] ჰყავს თავისი ბრიყვები, მაგრამ ქართველ ბრიყვებს ის უპირატესობა გაქვთ, რომ რამდენიც არ უნდა გბერტყოთ, თავიდან სიბრიყვეს მაინც ვერ გამოგიბერტყავთ!

— ბრბო ჩვენა ვართ?

— კარგი რა! სად დაკარგე იუმორის გრძნობა?

— ფეხბურთი ვითამაშოთ, — ამბობს რეზო, — შარზე ნუ ხარ, იხუმრა კაცმა, რა ცხვირი ჩამოუშვი!

სკოლის ეზოში გავდივართ.

— ხალიჩა, — ვეუბნები ჯორბენას, — ხალიჩა გამიფინე!

— ხალიჩა? — იცინის.

— შეეშვი, — რეზო ბურთს დააგორებს, — სხვა ადგილზე ელაპარაკე.

— ხალიჩა-მეთქი!

— კარგი რა! — შეცბუნებულია, — ძმაკაცები არა ვართ?!

— ხალიჩა! — ხელით ასფალტზე ვანიშნებ.

— ხვალ სახლიდან მოგიტან და გაგიფენ, — რეზოსკენ გარბის, — პასი!

ბიჭები გულმოდგინედ იჭაჭებიან, თუმცა წარმოდგენა არა აქვთ, რაშია საქმე, მათ სიცილზე საბოლოოდ გამოვდივარ მოთმინებიდან:

— მოდი აქ! — ვეძახი.

— შეშინებული მიახლოვდება, ბრიყვულად ილიმება:

— რა გეწყინა?

მკლავით ვითრევ, მოშვებული მომყვება, ფეხსა ვკრავ და ძირს ვაგდებ.

ნელ-ნელა ვადგამ ნაბიჯებს, განძრევას არ აპირებს, ხელი აქვს ჩაქნეული, უფრო ვლიზიანდები, შუბლზე ქუსლით ვეხები, მის მკერდზე ფეხებს გულმოდგინედ ვიწმენდ და გაშლილი ხელებით ვიცავ წონასწორობას.

ბიჭები ალარ იცინიან.

რეზოს დარტყმული ბურთი მხარზე მხვდება:

— შეეშვი, — მეუბნება, — სათამაშოდ არ მოვედით!

თამაშს ვიწყებთ.

ჯორბენა კუთხეში დგას გარინდებული, მერე შარვალს იფერთხავს.

— ჩუჩელა! — ამბობს ვილაცა, — სადა ჰგონია თავი!

რეზოსთვის უთქვამს, გიგამ ჯერ ქალის გემო არ იცის და მისი სასიყვარულო თავგადასავლები გამოუცდელობით არის გამოწვეული, ნინოს რალაზე აწვალებს, აქეთ ეგ დნება, იქით — ის გოგოო.

გადავირიე, გაკვეთილზე ძლივს გავძელი, ნინოს ავად ხსენებამ გამაცოფა, მაგრამ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი უფრო რთულად იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა: რეზომ ჯორბენას სიტყვები ეშმაკურად გამოიყენა, საქვეყნოდ მოინდომა ჩემი გამასხარავება.

ჩვენს შორის იმთავიდან არსებობდა ფარული თუ აშკარა მეტოქეობა, ერთმანეთის ცუდი არ გაგვიხარდებოდა, მაგრამ ალმოჩენილ სისუსტეს ნიშნისმომგები დიდსულოვნებით ვპატიობდით, თუ ერთერთის სულგრძელობის მოწმე საზოგადოებაც იქნებოდა, ამას ხომ არაფერი სჯობდა. მაშინაც ჯორბენას სიტყვები სხვათაშორის „წამოსცდა“, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პასუხს მოვთხოვდი, საუბარს აუცილებლად სხვებიც დაესწრებოდნენ და ჯორბენასაგან ჩემზე საიდუმლოდ ნათქვამი ჩემგანვე გახმაურდებოდა, ჩემს თავს მე თვითონ დავუყრიდი ჭორებს; სკოლა უმალ აიტაცებდა, გიგას ქალი არ უნახავსო, იქირქილებდნენ, იპუტუნებდნენ, ილლაბუცებდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი რეზო დინჯად იტყოდა ორიოდე წინადადებას, ისევ სხვათაშორის დააგდებდა ორიოდე ტყუილს, როგორც მე მომიტანა ამბავი და ალმიდგენდა შერყეულ ავტორიტეტს, ამით უპირატესობასაც დამიმტკიცებდა და მეგობრობასაც.

მივუხვდი.

იმიტომ დავსაჯე ჯორბენა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

* * *

ჯორბენა სამი დღე სკოლაში არ გამოჩენილა და მის მიმართ ზიზღნარევი სიბრალული დამეუფლა, ასე მემართებოდა: უცებ გადავირეოდი, გავგიჟდებოდი, ამოვანთხევდი ბოლმას და ბრაზის მაგივრად ზიზლის გრძნობა მიჩნდებოდა, ერთ კაცზე განაწყენებული ზიზლს მთელი კაცობრიობის მიმართ ვგრძნობდი; მერედამერე თითქოს ამანაც გამიარა, რადგან თვითეულ ადამიანში იმდენი სიბინძურე ალმოვაჩინე, კარგისა და ცუდის გარჩევა გამიჭირდა, შემთხვევით წამოცდენილი უმნიშვნელო სიტყვით, ერთი ჩვეულებრივი გამოხედვით ისეთ დასკვნებს ვაკეთებ ან ადამიანებთან საერთოდ უნდა შევწყვიტო ყოველგვარი ურთიერთობა და სადმე გამოქვაბულში გადავსახლდე, ან თავი უნდა მოვიკატუნო და ყველაფერზე თვალები დავხუჭო.

გულახდილად თუ გეტყვი, რაც არ იცი, იმას ვერც დაინახავ და როცა ხედავ, უკვე ისეთივე ხარ, როგორიც შენს მიერ დანახული პიროვნებაა, ე. ი. მეც დიდად გარყვნილი და ბინძური ვინმე ვარ, თუმცა სხვებისგან განსხვავებით, არც ვმალავ ამას და თვითეული მათგანის თვალწინ გემსახურები.

კიდევ ვხუმრობ. ჰო, ნამდვილად ვხუმრობ, ყოველგვარი სასწაულების მიუხედავად შენც არ არსებობ, ტყუილად გეყბედები ამდენს... და თუ არსებობ, ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი შენა ხარ.

„ადამიანის ფიქრი არასოდეს ეკუთვნის აწმყოს, ყოველთვის დროს უსწრებს ან ჩამორჩება, აქედან იწყება ნებისმიერი გაუგებრობა, ნებისმიერი ქაოსი, თუმცა სწორედ ფიქრი ამთლიანებს ადამიანს და აჩერებს წარსულსა და მომავალს შორის. აწმყო ფაქტიურად არ არსებობს, განუწყვეტლივ მისრიალებს უკან, გარდასულისაკენ... სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ დროიდან ამოვარდნაა. — არსებობა დროის გარეშე, არსებობა დროის გარეშე კი შეიძლება საუკეთესო განცდაც იყოს“, — ჯორბენას უყვარდა სიკვდილზე საუბარი. იქნება ეხლა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სიცოცხლეში გრძნობდა, რას გაიგებ! — ყველას თავისი ყოფა მიაჩნია მნიშვნელოვნად...

საღამოს სკოლასთან შევგროვდით. კონსპექტისათვის ავედი ნაცნობთან. ჯორბენა იქ დამხვდა. ქუჩის კუთხეში მიეყუჩებინათ, თითებს უქნევდნენ და მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ. ო, როგორ გაუხარდა ჩემი დანახვა! დაკარგული ძაღლი რომ პატრონს დაინახავს, ზუსტად ისე. მაშინვე მოვლბი, ბიჭებთან თავის გამოჩენაც მომინდა, — ჯორბენ, ნადი სახლში-მეთქი, — ვუთხარი; კომსპექტი გავატანე გადასაწერად, შიშისაგან კანკალებდა ამხელა კაცი, ქალების რისხვა და ფრიადოსანი. ძუკნასავით გაძუნძულდა, ბიჭებმაც ალარაფერი უთხრეს, შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს, ან რას დააშავებდა, უბრალოდ ერთობოდნენ.

უბედური! ასეთ სიცოცხლეს ნამდვილად სიკვდილი ერჩია.

ნატა ფიქრის საშუალებას არ მაძლევს.

ალგზნებულია.

სახეაწითლებული.

ალბათ გუშინ კაცი ვერ გამოძებნა.

ისეთი ქალების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც თავში არაფერი უყრიათ, მაგრამ ერთი დღეც ვერ ძლებენ უმამაკაცოდ, და თუ როგორმე გაძლეს, მეორე დღეს, დაგროვილი ენერგიის ხარჯზე თავისუფლად შეიძლება მათი ხელოვნურ თანამგზავრად გაშვება რომელიმე უახლოესი კოსმოდრომიდან.

— განახო, მარსელები როგორ ამყარებენ სექსუალურ კავშირს? — საჩვენებელ თითს ნეკნებში მჩრის, — განახო?

სიცილის დროს მთელი ტანით ძიგძიგებს და გამომწვევად ასავსავებს ფეხებს.

ამაზრზენი სანახავია.

— გაგიგონია, ადამიანმა ცხოველთა ენა იცოდეს? — ვეკითხები.

— სადღაც წამიკითხავს, — არც შეკითხვა უკვირს და არც არაფერი, მის თვალწინ

რომ ფრთები გამომესხას და გავფრინდე, მერე რაა, იტყვის.

— მალე მეცოდინება.

— რაში გჭირდება?

— ეჰ, — აზრი არა აქვს ამასთან ლაპარაკს, — შამპანურს დალევ?

— აქ დავლიოთ, მე თვითონ მოვიტან, — სამზარეულოში შერბის, ჭიქებს აწკრიალებს, უკან დინჯად შემოდის, ბორბლებზე შემდგარ მაგიდას მოაგორებს.

— სად იშოვე? — მეკითხება, — რა დიდებული მაგიდაა!

— სამსახურში გავაკეთებინე.

— კარგია, ზომაც ნორმალური აქვს, ზედვე მოხერხდება ქეიფი, — ხალიჩაზე ჯდება აზიურად, მაგიდის კიდეს ზუსტად ნიკაპით სწვდება, უმალვე სიცილით დგება და სავარძელს მოათრევს, ვერ ისვენებს ერთ ადგილზე.

— ოჯახიდან გამოგაპანღურეს? — შამპანურს ვუსხამ.

— ვინ გითხრა?

— ვივარაუდე.

— ჩემი ქაჯი დედამთილის ოინებია, დედა ვუტირე, ბინას შუაზე ვუყოფ.

— შენსაში ვერ ეტევი?

— ვერა! — ამბობს ჯიუტად, — არ არის შენი საქმე!

— ქმარი?

— ეგ ხო კაცი არ არი! დედამისი რასაც ჩასძახებს!.. რომ უთხრას, მიდი ფეხები დაუკოცნეო, არც დაფიქრდება, ეგრევე გამოქანდება, ამხელა სკანდალის შემდეგ.

ნატა გარყვნილი ქალების მეორე უკიდურესობაა: თავისით ვერ მოასწრო გარყვნა, უმწიფარს დააწყებინეს სექსუალური ცხოვრება და ღალატი მისთვის ისევე ბუნებრივი გახდა, როგორც გაცნობისას ხელის ჩამორთმევაა. ჩემი აზრით, პირველი მამაკაცის შემდეგ გონებრივად აღარ განვითარებულა, თვითონ კი მიმტკიცებს, სიმაღლეში აღარ გავზრდილვარ (საკმაოდ მაღალია) და ფრიგიდულიც გავხდი, ვერ ვგრძნობ ჭეშმარიტ დაკმაყოფილებასო. მაგრამ იტყუება, ფრიგიდული და ამხელა ტემპერამენტი შეუძლებელია.

— მაგრად ურევ!

ურევს, აბა რას შვრება: ჩეხოსლოვაკიაში ორმა ფეხბურთელმა გამაუპატიურაო, სოხუმში — იტალიელმა და გამომშვიდობებისას სალეჭი რეზინა მომცაო, წყნეთში... თანაც როგორ აემღვრევა ხოლმე სახე თავისი სარეცელის ინტიმური წვრილმანების მოყოლის დროს, თითქოს ყველაფერს ხელახლა განიცდიდეს. ნამდვილად სექსუალურ ნიადაგზეა შერყეული.

— ვანახვებ, რა ქალიც ვარ! — იმუქრება, — ორივეს გავასახლებ მაგ ბინიდან... როგორ ცხელა, გამორთული [illegible]ციონერი? გავიხდი, რა!

ბიბლიოთეკა

— ნატა, ყბედობა გიხდება, — ვეუბნები, — მაგრამ ერთი საათით მარტო დაგტოვებ, საქმე მაქვს, არსად წახვიდე.

— მარტო რა ვაკეთო? — ისევ იცმევს, — ეხლა მოგინდა! ხომ გახსოვს, შვილი დღევანდელ დღეს გარდამეცვალა, იმიტომ მოვედი შენთან.

— მალე დავბრუნდები და მერე ვილაპარაკოთ, — ლამის გადავიფიქრო წასვლა, — აუცილებელი საქმე მაქვს.

— გახსოვდა? — ატირებას არაფერი უკლია, — გახსოვდა მაინც?

* * *

— არავინ დაგვადგეს, — ამბობს ჯორბენა.

— ექვს საათამდე არ მოვლენ, — ეუბნება რეზო, — ოღონდ ფანჯარასთან მოვწიოთ.

მორიგეობით არტყამენ ღრმა ნაფაზებს და ბოლს ფანჯრიდან უშვებენ.

— კლასიკური მასტირკა გამოვიდა.

— მაგის მეტი რა მიკეთებია! — ტრაბახობს ჯორბენა, — ყანწი რა!

რეზო ტარიანის ანთებულ ბოლოს პირში იდებს, უბერავს და მეორე მხრიდან გამოსულ კვამლს ჯორბენა ისრუტავს, — დავიხრჩე! — ამბობს ხველებით.

— მასე რატომ ეწევით?

— გრილი გამოდის, — ხითხითებენ, — შიგ ჯანში მიდის.

— მეც მომაწევინეთ, — „აი, თურმე რატომ ჩაუტკბნენ ერთმანეთს!“

— მოგიწევია?

— კი.

— იტყუება, — ამბობს რეზო, — ცოდვას გვტენის.

— მოიტა, ჯორბენ!

— არა, — რეზო უარზეა, — თუ არ მოგიწევია, „გრეხია“.

— „ოთხჯერ ორი“ სად გაქვს? ჟურნალი დაათვალიეროს. — ღლაპივით მექცევიან:

„ჯორბენას კიდევ მოუწევს ნიხლებით გადავლა“, — ვფიქრობ.

რეზო ტახტის ქვეშიდან დამტვერილ-დახეულ ჟურნალს იღებს, „4X2“ აწერია და ერთმანეთში საოცრად ჩახლართული შიშველი ადამიანების ფერადი ფოტოა გარეკანზე.

პორნოგრაფიული ჟურნალი თექვსმეტი წლის ოტროველამ პირველად დავათვალიერე. მანამდეც ბევრჯერ მქონდა საშუალება, მაგრამ როდესაც ყურებამდე დაწითლებული და შარვლისუბე გამობერილი ბიჭები ჟურნალს თვალს ვერ აცილებდნენ, მე გამომწვევად მეჭირა თავი, თითქოს ასეთი ბავშვუ-

რი გასართობი აღარ შემეფერებოდა და სხვებს დავცინოდი.

დავათვალიერე და ქალთა სქესი შემძულდა... ცხრა-ათი დღით. თუმცა ამ ათ დღეში იმდენი ვიფიქრე, თანდათან ყველაფერი ძალზე ბუნებრივად მომეჩვენა.

— ნანახი მაქვს, — ვამბობ უხალისოდ, — ჯორბენ, ვინ გააცანი რეზოს? თუ ძმობაა, ბოლომდე ძმობა იყოს, არც მასტირკას მაწევინებ, არც ქალებს მაცნობ, ეგრე სად არი!

— ვაჰ, როდის გითხარი უარი!

— ხათუნა რა გოგოა! — რეზო ტარიანს წვრილად ხევს და ნაფლეთებს ფანჯრიდან ყრის, — საწოლში რა იქნება, უჰ!

— გაგაცნო?

— სამნი რო ვართ!

— წამოიყვანს ვინმეს.

რეკავს.

ლაპარაკობენ

ვლელავ:

— ქალების თავი გაქვთ ეხლა?

— აზრზე არა ხარ, — მეუბნება რეზო, — ქალი ეხლაა კარგი, როგორც ძილ-ღვიძილში, გამთენიისას.

— ერთ საათში რუსთაველზე იქნებიან, — ამბობს ჯორბენა, — შეიძლება, უფრო ადრეც... გადმორეკავენ.

რეზო ნაძალადევ გრიმასებს კერავს: შუბლშეკრული მრისხანე სახით მიდი-მოდის· „თავზეხელაღებული ბიჭი!" ჩემისთანა გამოუცდელი კაციც მიხვდება, რომ დამწყები მწეველია. ჯორბენა კი სულ არ შეცვლილა, მხოლოდ თვალები ჩაუწითლდა ოდნავ და ზედმეტად ხმაურობს:

— ქრიდენსი დადე, რა!

თავის დაძვრენა მინდა, — „ვინ ხათუნა, რა ხათუნა":

— თუ არ მომეწონა, ზედ არ შევხედავ, — ვამბობ.

— მოგეწონა? — იცინის რეზო, — საშენოდ ვინ გახდის! ხათუნას მე ვითრევ, დანარჩენზე თქვენ ილაპარაკეთ!

ათიოდე წუთში რეკავენ.

— რა მონდომებულია! — ჯორბენა კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს და ვარიეტეს მოცეკვავესავით იგრიხება, — ასეთია, ლომებო, ჭეშმარიტება, თქვენს წინაშეა ველური ტახი ჯორბენად წოდებული! აქ ამოვაცუნცულოთ?

* * *

რეზო, ხათუნა, კიდევ ერთი გოგო და მე ლალიძის წყლებთან ჯორბენას ველოდებით.

ხათუნა ქვის სკამზე ჯდება, — მომიჯექი გვერდით, ხელით მანიშნებს, ფერმკრთალი სახით, სავსე მკერდით, სუსტკიდურებიანი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი ტანით არცთუ მთლად ჯანმრთელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხზე დგომას ვამჯობინებ.

— ჩვენი უბნის ინსპექტორი დაიჭირეს, — ამბობს რეზო, — რვა წელი მისცეს, განაბებთან ყოფილა შეკრული.

მეორე გოგო ხმას საერთოდ არ იღებს, რეზოსაც აღრენილი სახე აქვს: ან ჩუმად არი ან რაიმე ძველბიჭურს ახეთქებს.

— გნოლიძე? — მეჩვენება, რომ გამვლელ-გამომვლელი ჩვენ მოგვჩერებია და ყველა ხვდება, რა მიზნითაც ვართ შეკრებილი.

— კარგი თანაკლასელები გყავთ? — ეკითხება ხათუნა რეზოს.

— კარგი რას ნიშნავს?

— გოგოებზე ვამბობ.

— არიან რა! ცუდები რატომ იქნებიან? კახპებს გულისხმობ?

— არა, — იცინის, — თქვენთან მაინც წესიერად მოიქცევიან.

— ჯორბენას საიდან იცნობ? — უტაქტო კითხვას ვაძლევ.

— ბათუმში გავიცანი... დედა, როგორ მინდა სიგარეტი! — ოხრავს, — რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ქუჩაში მოწევა?.. პროვინციული ქალაქია თბილისი, არაფერი ეშველება.

— ქეთამ კაბა იყიდა, გაგიჟდები! — სრულიად მოულოდნელად ამბობს მეორე, — ოთხასი მანეთი მიუცია.

სამივე გაოცებულები ვუყურებთ: „ვინ ქეთა, რა ატამი!"

— რაა? — მცირე პაუზის შემდეგ ხათუნა ისტერიულად კისკისებს, — რაა?

— რა ვთქვი ისეთი?

— არაფერი, — ეუბნება რეზო და ჩვენც გიჟებივით ვხარხარებთ.

ძლივს ვიმორჩილებ თავს, ყურებამდე დაფჩენილი ყბები თითქმის ძალით მიმაქვს ერთმანეთთან, დაძაბულობისაგან ნერვები მაწყდება: „ნერვიული ახალგაზრდობა!.. ჭკუიდან შეშლილი ახალგაზრდობა!"...

„ამათი შიშით ქუჩაში ვერ გაუვლია კაცს, არ ჰყავთ პატრონი?!"

— ჩვენზე თქვეს?

— არა მგონია, — ამბობს ხათუნა, — ჯორბენ, გამოჩნდი დროზე, თუ არ მოვწიე, გავგიჟდები!

„შვიდთვიანი ქვეშაფსია, — ვფიქრობ, — მარინა მოკვდა, ეს კი"...

— სპეკულიანტები კაპიტალისტებსაც ჰყავთ?

— მალაზიაში ყველაფერია და... ჯორბენ, აღარ შემიძლია მეტი!

ჯორბენას გამოჩენამდე მილიციელმა დაგვაწიოკა, — საზოგადოების თავშეყრის ადგილზე სამი და მეტი კაცის უქმად გაჩერება არ შეიძლებაო.

ყურებჩამოყრილები შევუდექით აღმართს.

— ბედი შაგისი! — იმუქრება რეზო, — კაიფში ვარ, შარი ატყდებოდა!

— მოგცლია რა, — ხათუნა მაინც მხიარულადაა, — იყეფებს, იყეფებს და გაჩერდება!

— გიგაზე უფრო შევშინდი, — დაბალი ხმით, მაგრამ მაინც ჩემს გასაგონად ეუბნება, — შეყვარებული დაელუპა, გიჟს გავს. ეგ რომ გადარეულიყო, ასპროცენტიანი აჩეხავდა.

— გასაღები ვერ ვიშოვე, — მებოდიშება ჯორბენა, — იმიტომ შემაგვიანდა, კაცს ველოდებოდი.

— მაინც ზედმეტი ვიყავი, — ვცდილობ, ხმაში სიხარული არ შემეტყოს, — კინოში შევიდეთ.

— მოვახერხებ რამეს.

„ფეხებით გადავუარე და ქალით მიმასპინძლდება, რას ნიშნავს მონური სული!“

ხათუნა ჩერდება სახლთან, რომელსაც ძველი ფოტოსურათის სუნი ასდის.

— როგორ შევიდეთ? — შინაურულად ეკითხება ჯორბენას, — ძველებურად?

მინას ილებენ და ფანჯრიდან გადავდივართ.

მაგნიტოფონი, ბინძური მაგიდა. ორი ბოთლი „კახეთი“. კედელზე პატარა ჯვარი. მწუხარე სახიანი ანგელოზი, ჭოტის დიდი თვალები — ნახატი. ვაზაში მყრალი ყვავილები. საფერფლე. „პრიმა“. „ყაზბეგი“. შარშანდელი კალენდარი. ფერფლით სავსე ჭიქა. კარტი...

კარტს ვთამაშობთ... მერე ჯორბენას ხათუნა გაყავს. ჩვენ მეორეს რიგრიგობით ვეცეკვებით. ვატყობ, რეზოც ჩემს დღეშია, სახეზე ადამიანის ფერი არ ადევს, ცეკვის დროს ცდილობს თავის გამოდებას, ხელებს უფათურებს, სხეულზე იხუტებს, მაგრამ ისე უხეშად და არაბუნებრივად, რომ ცეკვაზე უარს ეუბნებიან და ისევ კარტს ვთამაშობთ.

— ნეტა რას აკეთებენ ამდენ ხანს?

ჩაბნელებულ ოთახში ფანჯრიდან შემოსულ სუსტ სინათლეზე ორ საწოლს ვარჩევ, ერთზე ვილაცის შარვალ-ხალათია დაუდევრად მიგდებული, მეორეზე ხათუნა წევს დედიშობილა და სიგარეტს ეწევა.

— მოვწევ რა, — მეუბნება, — ძალიან გეჩქარება?

ისე ვიხდი, თითქოს შხაპის მისაღებად ვემზადებოდე, კაცმა რომ თქვას, სხვა არც მინდა არაფერი.

ერთადერთი ფიქრი მიტრიალებს: არ შემეტყოს გამოუცდელობა.

თამამად მივდივარ საწოლთან და ჩემის აზრით, როგორც მრავლისმნახველ მამაკაცს შეეფერება, ხათუნას მკლავებში ვიმწყვდევ.

— ნელა, ნუ დამამტვრიე, — [illegible]ნის, ჩემი საბრალო ბიჭი სულ [illegible]რველადა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სახლში გაჩერება აღარ შემეძლო... ქუჩაც იმისთანად უბერავს, სახლები ქანაობენ, ხეები ნელში წყდებიან, ადამიანები გაზეთის ნაფლეთებივით დაფრინავენ; მხოლოდ მილიციელი დგას მყარად, ყელი მოუღერებია, მაღლა იყურება, იქნებ ჩემს ბინას ზვერავს, ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

შეგნებულად ნელა მომყავს მანქანა:

„ძალლო, მე მდარაჯობ?“

მამჩნევს, ძაღლური ლაქუცა თვალებით მომჩერებია. მაგნიტოფონში კასეტას ვდებ და გოგმან-გოგმანით ვაგრძელებ გზას. ბენსონი მღერის, გენიოსია ეს შობელძაღლი, ზანგი მაინც არ იყოს!

„ძაღლო, ტყუილად მდარაჯობ, — ვერთობი ჩემთვის, — მე სინდისი სუფთა მაქვს: არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა; სადღაც ვილაცა ავანტურისტს ტურისტებმა თავში მყარი საგანი უთავაზეს და ჩემგან რა გინდათ? რა საგანი? მყარი. კერძოდ? ალბათ ქვა. ვინ გითხრა, მყარი საგანიო? შენ მითხარი. მტყუანის! ეგრე! მე არ მითქვამს! გითქვამს! არა-მეთქი. ჰო-მეთქი. აკი თავი მოიკლაო, მკვლელობა რატომ ახსენე, თუ მონაწილე არა ხარ? შენ არ მითხარი? მე? ჰო, შენ! არა-მეთქი. ჰო-მეთქი. — ვხითხითებ: ვერაფერს დამიმტკიცებენ, იყურყუტოს რამდენიც უნდა“.

ძველი ნაცნობები მაჩერებენ: გიბონი და აფთარი.

გიბონი შუალედური რგოლია მაღლისმაგვარ და ადამიანისმაგვარი მაიმუნებს შორის, აფთრებს კი ყოველთვის მშიშარა და მყრალ პირუტყვებად ვთვლიდი, თუმცა საოცრად ძლიერი ყბები აქვთ, იმდენად ძლიერი, რომ ჰეპარდისაგან მიტოვებულ დიდ ძვლებს სრულიად ადვილად ამტვრევენ და აეუცმაცებენ.

— რას აკეთებ? — მეკითხებიან, — ისევ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევი?

მთვრალები ყოფილან, არ უნდა გამეჩერებინა, ახლანდელ დროში ყველა ნასვამი ურევს, აღარც შინაური იციან, აღარც გარეული.

— რამდენი წელია არ მინახიხართ, საჰაერო დაბომბვა იყო?

— თხრიან რა! გვაშენებენ, — იპურჭყება აფთარი.

— ომი რო არ ყოფილიყო, ევროპაში ასიასოცი მილიონით მეტი კაცი იცხოვრებდა, — ამბობს გიბონი, — ამდენი წიგნი, ამდენი ფილმი.

„ვინ მიანიჭა ადამიანს უპირატესობა, ვინ მისცა ცოცხალ არსებებზე მბრძანებლობის უფლება?.. რით დგას ცხოველზე ან მცენარეზე მაღლა, აზროვნებით? — დამყაყებულ ჭაობს ვუახლოვდები, — სიბრიყვეა, თუ ერთხელ მაინც გყოლია ძაღლი და იტყვი, ცხოველები არ აზროვნებენო... ძაღლი?“...

— შეიარაღება! — აგრძელებენ, — დედამიწის აფეთქება შეგვიძლია.

— თვითეულ ადამიანში კანიბალი ზის, ამიტომ იყო ამდენი ომი, — ჩათრევას ჩაყოლა სჯობია, — არავითარი ტერიტორია, არავითარი სიმდიდრე და პოლიტიკა, მიზეზი ერთადერთია: მკვლელობის თავისუფლება.

— რა ვიცი, ერთში თუ მოგარტყეს, მეორე მიუშვირეო, — აფთარი კბილებს აღრჭიალებს, — მძორით გაივსო ქვეყანა!

„პერსპექტივა, რომლისკენაც ნებისმიერი ფილოსოფოსი მიისწრაფის, საზოგადოებრივი ყოფის უმაღლესი საფეხური, მოქმედებისა და აზროვნების საბოლოო ფორმა ნებისმიერ მცენარეს, ნებისმიერ ქვასა თუ ნეხვს განვლილი აქვს: აუმღვრევლობა, უშფოთველობა, უბოროტობა, უანგარობა“, — ტვინის ნახევარს ხავსი მოეკიდა და ჭაობიც უკვე მნვანედ ბიბინებს:

— რაც მეცნიერებას მოჰკიდა ხელი, ქუჩაში აღარ გვინახავს, ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული მზეთუნახავი!

ცდილობენ, სიმთვრალე არ შეიმჩნიონ, გაფაციცებით უსმენენ ერთმანეთს, ეთანხმებიან, სოლიდარობას უცხადებენ, ხომ უნდა იკამათონ კიდეც და ეკამათებიან.

— აუჰ, მეცნიერება! — გიბონი ფამილარული პატივისცემით მომჩერებია, — როდის?

— მიხსენებია?! — ვამბობ უხალისოდ, — იქიდან ასი წლის წინ წამოვედი.

— სწორად მოქცეულხარ, მაგრამ სიმართლის დამალვაა საჭირო, — ქეჩოს იფხანს, — ისე...

— სიმართლეს იტყვის და მაგადანს იქით დაატოვებინებენ.

— აქ ჩადით, სხვაგან მივდივარ, — მოვალეობის გულისთვის ვბრაზდები, უაზრობაა ამათზე ნერვების მოშლა: — უცხოს ამდენს არ ვალაპარაკებდი!

— ჩვენთან ჩხუბი მკვლელობით თავდება! — აფთარი ჩასვლას არ აპირებს, — აზრზე მოდი!

„ცხოველი კლავს არსებობისათვის, — დამყაყებულ ჭაობში მივაჭყაპუნებ, ჩვენ კი ამასაც გართობის მიზნით ვაკეთებთ“.

— მე თავი დამანებეთ, — ყმუის გიბონი, — სხვისი ცემა არ მიყვარს, მე თუ მცემენ, მით უფრო არ მსიამოვნებს.

— ფიტულებადაც არ ვარგიხართ, — კარს ჰკეტავ, — რა მოგიხერხოთ [illegible]

— აფსუს, როგორ ფუჭდება ხალხი — იღრინებიან.

ბაზრის შესასვლელს სათოფეზე ვერ მიეკარები, მანქანები ჩაუმწკრივებიათ. საინტერესოა, სად პოულობენ ამდენ მოსაპარს, ყველას მანქანა როგორ ჰყავს! ხომ უნდა არსებობდეს განსხვავება ადამიანებს შორის? — მეც — მანქანა, იმასაც — მანქანა. მეც — ბაზარი, იმასაც — ბაზარი, რაღა გამოვიდა! იქნებ კომუნიზმში შევედით და ვერ გაგვიგია?

მოშორებით ვაჩერებ, სამას ხუთი. მეტრი მაქვს ფეხით გასავლელი. ცოტა ის მართობს, რომ ჩემს წინ მშვენიერი გოგო მიდის პაპუასების თანხლებით, ხელების ქნევით ეყაყანებიან. აფთრებისაგან დევნილ შვლის ნუკრსა ჰგავს: ფიფქის ფეფება ქაფბატონი... სისულელეა! ადრე თუ გვიან შველი მაინც აფთრების ლუკმა ხდება, სამაგიეროდ ჯავრს მათხოვარზე ვიყრი, აგერ არა ზის! ვითომ შემთხვევით, ხურდაფულიან ქუდს ნაზად ვეხები და ცხრაას კილომეტრზე ვისვრი, ფული ასფალტზე იფანტება.

— უკაცრავად, მათხოვარო, — ვეუბნები თავაზიანად, — გთხოვთ, მომიტევოთ.

მუხლუხასავით იწმანნება, მუცელზე დახოხავს, აგროვებს მთელი დღის ნამოღვაწარს.

„გამოვლისას ერთსაც გავკრავ და მეყოლე ვარდივით“.

ასე კარგად დიდი ხანია არ მიგრძვნია თავი. ნაბაზრით დახუნძლული მივდივარ მშობლებთან, უხმოდ ვღიღინებ არარსებულ მელოდიას და მხიარულად ვესალმები ნაცნობებს. ისინიც, თითქოს ხვდებიან ჩემს განწყობილებას, მელამუნებიან, მეპირფერებიან, მესლიკინებიან, ლამის ავტოგრაფი ჩამომართვან. ათიოდე წლის წინ კი, როდესაც კვლევით ინსტიტუტში ასოცი მანეთისთვის ვმუშაობდი, გაბღენძილები გადმომიგდებდნენ ხოლმე გამარჯობას და ხშირად ეგეც ავიწყდებოდათ.

ფაქტია, თავისუფლებაა ფული, დამოუკიდებლობაა ფული, ძალაა ფული.

ფული დემოკრატიის სიმბოლოა, ამიტომ ყველას არ უნდა ჰქონდეს, ზედმეტი დემოკრატია რყვნის მასას. თავისუფლება რაში სჭირდება ძროხას? წავა-წამოვა, მაინც ბალახს მოძოვს, მერე, მუჰუო ,დაიძახებს და ძუძუებს მოგიშვერს სასრესად, თან სიამოვნებით ტუჩებსაც გაანწკლაპუნებს.

თავისუფლება ღუპავს ძირმომპალ კაპიტალიზმს. მილიონერებსა და მილიარდელებს შევეშვათ, საქმის ხალხია, დანარჩენებს რა აწუხებთ, რას ეპოტინებიან? უბრალო, ჯიბეგახვრეტილი ჟურნალისტი რომ პრეზიდენტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკრიტიკებს, ბრბო რომ ქუჩაში გამოვა და საქვეყნოდ რაღაცას მოგთხოვს, თუნდაც — სამუშაოს, პოლიციელი რომ მინისტრის წინააღმდეგ საბრალდებულო სიტყვას იტყვის და ფერმერი საკუთარ ნაკვეთზე მოკრეფილ ნაყოფს სადაც გაეხარდება იქ გაყიდის, რაღა დემოკრატიაა! — ანარქიაა და მეტი არაფერი. აბა, სამაგალითოდ ორი-სამი კაცი კედელთან მიაყენე და დახვრიტე, ვინღა გაბედავს ხმის ამოღებას!

თუ მასას ზოგჯერ სახრე არ გადაუჭირე, თუ ზოგჯერ ლუკმა პური არ მოანატრე, თუ ერთ სიმართლეს ასი ტყუილი არ მიაყოლე და თუ ყბედობის უფლება არ ჩამოართვი, ხალხს ბოროტ სამსახურს გაუწევ, გააშმაგებ და გადარევ, დაავიწყებ სიმშვიდის, ლუკმა პურის, სიმართლის ფასს. ბრბოს არ უნდა თავისუფლება, ბრბო ძროხაა, მენახირე და სახრე სჭირდება. გონიერი კაცი კი თვითონ მიხედავს თავს; პირიქით, რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევ, უკეთესია: სადმე ჩრდილში თავისთვის იფაჩუნებს.

— როგორა ხარ, გიგა? — მეკითხება დედა.

— კარგად.

— გაიცანი, — მოხუც ქალს მაცნობს, — ჩემი მეგობარია.

— ეკატერინა გიორგევნა, — დიდისამბით მართმევს ხელს, — მართალია, თქვენი სურათები დავათვალიერე, მაგრამ, ხომ იცით, ცხოვრებაში ხშირად... თქვენ ზუსტად ასეთი...

— მადლობთ.

— თქვენ ზუსტად ასეთი მყავდით წარმოდგენილი.

— თქვენც თავადი ბრძანდებით?

— ეჰ, რაღა დროს ეგ არის, მხოლოდ გვარი შემრჩა თავადური, — იცინის, — დედის მხრიდან სუფთა გლეხი ვარ.

— არაფერი გეტყობათ, — მეც ვიცინი, — არისტოკრატიული სახე, მშვენიერი თითები, ასაკში რომ არ იყოს პატარა სხვაობა, აუცილებლად შეგიყვარებდით.

— უი, რას ამბობთ! — ნამეტანი ახალგაზრდულად მორცხვობს, — ბებიად შეგფერით.

მერე სამივე ერთად ვიცინით და რამ გამომაშტერაო, ამბობს.

— ჩემს ცოლს ორი წელი ებუტებოდნენ, — ვეუბნები, როგორც ოჯახის ძველ მეგობარს, — გვარი გაგვიფუჭა, თავადი არ არისო, ბავშვის დაბადების დღეს შეგვირიგდნენ.

— ტრადიციას თქვენ უღალატეთ?

— ასე გამოდის.

— მშვენიერი გოგოა, — ეუბნება დედაჩემი, — ცოდოა ამის ხელში... როგორ არიან? როდის ჩამოვლენ? — მეკითხება, — ისე მომენატრნენ!

— კარგად არიან, მალე ჩამოვლენ, — დედის ოთახიდან გავდივარ, — უკაცრავად, ეკატერინა გიორგევნა, მამას ვინახულებ.

მამისახელით მიმართვას, როგორც იქნა, მივეჩვიე; ადრე საშინლად მაღიზიანებდა, უაზროდ და სასაცილოდ მეჩვენებოდა: „ეკატერინა გიორგევნა", ოჰ! „გიორგევნა". რა შუაშია მამამისი? სამსახურში ავითვისე, მონურია, მაგრამ რას იზამ, უფალოვიჩ! სადაც სხვები, შენც — იქ, ყველაფერში კი არ უნდა გამოირჩეოდე ბრბოსგან! ეკატერინა გიორგევნა!" აუჰ!

— გიგას გაუმარჯოს, — მამა ხელს მართმევს, — სტუმრობა გაგვიძვირე, რაშია საქმე?

— ვმუშაობ, როგორა ხართ?

— მე რა მიჭირს, ქალი გაგვიხდა ავად.

— დედა?

— ჰო, გულმა შეაწუხა... ტატოსთან დამარეკინა, — ტატოს ხსენებაზე სიამოვნებისაგან იღიმება, — წამალი უცებ ვიშოვეთ, ახლა ყველაფერი რიგზეა.

— რატომ არ გამაგებინეთ, — ვამბობ განაწყენებული, — წამალს ვერ მოვიტანდი?

— აღარ შეგაწუხეთ, დედაშენს ტატო გაახსენდა და...

— ჩემი თანაკურსელებიდან ყველაზე მეტად ეგ უყვარდა, რას შვრება, რას აკეთებს? — პასუხს აღარ ველოდები, ვრეკავ, — მადლობას მაინც ვეტყვი.

საბრალო მშობლები მყავს, მირაჟებით უდგათ სული: თავადური სისხლიო, ტრადიციებიო, კეთილშობილებაო... კიდევ სჯერათ რაღაცის და ეგ მიკვირს.

— არ არის სახლში?

— არა, ამ სიცხეში ქალაქში გაჩერდებოდა!

მდუმარედ შევყურებთ ერთმანეთს, ორი წუთის მოსული ვარ და უკვე მოვიწყინე.

— დღეს სტუმრად მიგვიპატიჟეს, — ნათესავს მისახელებს, — წამოხვალ?

— ეგ არ იყო, სათამაშო თოფს რომ დამპირდა? რამდენი ჩვენთან მოვიდოდა, ჩავირბენდი ხოლმე და მანქანაში ვიხედებოდი, ხომ არ დარჩა-მეთქი, როცა იმედი საბოლოოდ გადამეწურა, მაგისი ნათქვამი ტყუილის მე შემრცხვა.

— კიდევ გახსოვს? — იცინის, — აპატიე ერთი ტყუილი, რა გაგიხდა!

— ვხუმრობ, დღეს ოფიციალური შეხვედრა გვაქვს სამინისტროს ხალხთან, აუცილებლად უნდა მივიდე.

— ნინოსგან რა ისმის, როდის ჩამოდიან?

— ამ ქალს შეხედე! — დედის ოთახიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმის გიორგევნას ალტაცებული ხმა, — აუ, რა ტიპია!

ტელევიზორს უყურებენ.

— ვაი! — ამბობს დედაჩემიც, — ამისი საქმე ვერ არის კარგად.

რადგან ნინოს ხსენებას შემთხვევით ეს საუბარი მოჰყვა, საუბრის შინაარსი ნაწილობრივ მასაც ეხება... როდესაც ახლობელ ადამიანზე ვფიქრობ და ამ დროს ვინმე სრულიად სხვას ახასიათებენ, ჩემი ახლობელიც, ნაცნობობის დონისა და ხანგრძლივობის მიუხედავად, შემდგომში თითქმის მთლიანად იმსახურებს უცნობ ადამიანზე გამოთქმულ აზრს. სამწუხარო ჭეშმარიტებაა: „ნინოს საქმე ვერ არის კარგად".

— მალე ჩამოვლენ, კარგად არიან, — ვეუბნები და ჩემს ყოფილ სამფლობელოში შევდივარ. აქ ყოველ ნივთს თავისი სული და ისტორია აქვს, კედელზე ისევ ჰკიდია მუსიკოსთა ფოტოსურათები, საწერი მაგიდაც ძველ ადგილზე დგას, არაფერი შეცვლილა, თითქოს გუშინ გადავსახლდი ახალ ბინაში. ხელუხლებლად მხვდება მაგნიტოფონიც — სანახევროდ გადახვეული კასეტით — ზუსტად რომელიმე სიმღერის დასაწყისზე იქნება გაჩერებული: როგორც არ უნდა ავჩქარებულიყავი, აუცილებლად ბოლომდე მოვისმენდი, შუაზე გაწყვეტილი სიმღერა რატომღაც ცუდ გუნებაზე მაყენებდა. ესეც ჯორბენას ნაჩუქარი ნახატი. ჰო, ზოგჯერ ხატავდა კიდეც — ფანქრით ან აკვარელით! ყანა, მზის ჩასვლა, შორს, მდინარის იქით სოფელი, ყანიდან მოშორებით ჭალა, რომელიც მდინარის ორივე ნაპირზე გრძელდება: „წარმოიდგინეო, მითხრა, ყანიდან მიდიხარ სოფლისაკენ, მაგრამ ჯერ ჭალას გაივლი, მდინარეს გადალახავ, მერე ისევ ჭალას გაივლი, მანამდე კი ჭალის მახლობლად ჟანგიანი და მუხლუხებდაწყვეტილი ტრაქტორი დგას, და შენ მთელ ამ სამყაროს ალიქვამ შინაურულად, მშობლიურად, ითვლი ნაბიჯებს ტრაქტორამდე, თუ მასაც გასცდები, გზის მეოთხედი გავლილიაო. ბორნით გადადიხარ მდინარეზე, უახლოვდები სოფელს და რაც უფრო უახლოვდები, სიხარულით ივსები, რადგან სახლში დაგხვდება ცივი ღვინო, გემრიელი საჭმელი, სიმყუდროვე, შეიძლება დაგხვდნენ მეგობრებიც და, რაც მთავარია, ხვალ დილაუთენია ისევ უნდა წამოხვიდე ყანაში სამუშაოდ".

— ტრაქტორი საიდან მოიგონე-მეთქი, პროვინციელი ნარკომანის თავგზააბნეულ ბოდვად ჩავუთვალე ნაოცნებარი, — ან ყანაში რა სამუშაოა! ერთხელ დათესავ, მეორედ მოიმკი.

— სოფელი მიტოვებული ტრაქტორის გარეშე არ არსებობს და რაღა მე გამოვიგონო, — მიპასუხა, — ჯიმი ჰენდრიქსი საკუთარ კუნძულზე ოცნებობს, მე სოფელზე ვიოცნებო, არ შეიძლებაო!

ეჰ, ჯორბენ, არ იყავი შენ სათბილისო კაცი, რა მოგარბენინებდა ქალაქში!

ერთხელ მეც წამომცდა მსგავსი სისულელე ხევსურეთში (ოღონდ ძველ ხევსურეთში) ცხოვრებაზე. ჩაჯექი თოფ-იარაღში და იქნიე ხმალი, რა სჯობია!.. „მოგკლავდნენ, სხვანაირი ხალხიაო, — რეზომ მითხრა, — რქებით მიაწვებოდი და არ მოგითმენდნენო". არ მიცნობდა კარგად, არც ახლა მიცნობს, უფრო სწორად, მიცნობს ისე, როგორც მე მინდა რომ მიცნობდეს.

ან მე ვიცნობ ჩემს თავს?

საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში გაყვითლებულ რვეულს ვპოულობ. გიგა სამძივარი, — აწერია, — მეექვსე კლასი.

შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი: „მარტოოდენ დამარცხებაში სწავლობს ადამიანი ჭკუას, წარმატება გონებას აჩლუნგებს". რა სიბრიყვეა! აი, კიდევ: „ერი, რომელიც დამოუკიდებლად არსებობას ვერ ახერხებს, არც არი არსებობის ღირსი". ამას არა უშავს, მაგრამ აშკარად თავდაცვის ინსტრუქტორის გავლენითაა დაწერილი... ის ხომ მეექვსე კლასში არ გვასწავლიდა?! ნაღდად ვიტყუები, გვიანდელ შევსებულსა ჰგავს. გვარები, თარიღები: „ილია ჭავჭავაძე, 1907 წ. 30 აგვისტო. ცოლი — შიმშილით... ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, კოტეტიშვილი, ბუაჩიძე, შევარდნაძე, გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, დევდარიანი... 634 დელეგატიდან 425 დელეგატი"... რა აბდაუბდაა! შემიძლია დავიფიცო, რომ ამისთანა არაფერი მახსოვდა, ნუთუ ამხელა დოყლაპია ვიყავი?! „აბსოლუტური სული ყოვლისმომცველი თბილი ნათელია, რომელიც ანათებს, ამშვიდებს, ამსუბუქებს და რომელიც რაღაცით საყვარელ ქალთან ყოფნას გაგონებს, თუმცა უფრო ამაღლებული და თავისთავად უსხეულოა". მცოდნოდა მაინც, რა იყო ქალი! სწრაფად ვტოვებ გვერდებს და აი, უკანასკნელი ჩანაწერი: „ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული, ეს შეცდომაა. ჟოზეფ ფუშე".

მარინასაგან მოწყობილი ზებუნებრივი მოვლენა: ვის გაუგია, წლების განმავლობაში რაღაცას წერდე და უკვალოდ გაქრეს, მახსოვრობაში არაფერი დაგიტოვოს?! არა, ნამდვილად მარინას ხელი ურევია! ო, როგორ მომეწამლა ხასიათი, რა შტერი ვყოფილვარ! რვეულს სასწრაფოდ ვხევ. სირცხვილით ვიწვები:

ამაზრზენი ბავშვობა.

მშობლების დანახვა აღარ მინდა, ნეტა გაპარვა შემეძლოს!

— გიორგევნა წავიდა? — ვეკითხები დედას.

— იცი, რა განათლებული ქალია! — როგორც წესი, უცებ ახერხებს წვრილმანებით ალფრთოვანებას, — მრგვალ ბალში გავიცანი, შვილიშვილს ასეირნებდა, მაშინვე დავმეგობრდით.

— მიდიხარ? — მეკითხება მამა, — გვესადილა მაინც, ჯერ ადრეა!

ჩემი სახლის წინ იგივე პოზაში დგას მილიციელი ოციოდე წლის ბიჭთან ერთად, ორივენი სახლს მისჩერებიან, ბიჭს საოცრად ნაცნობი სახე აქვს, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ვინ შეიძლება იყოს.

„მიდარაჯეთ რამდენიც გინდათ! — ვფიქრობ, — რას დამიმტკიცებთ, მაგასაც ვნახავ!"

* * *

— სპილოს სინაზე ხორთუმშია, — ამბობს ხათუნა და პიკანტურ გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ აშკარად კომპლიმენტს ელოდება, — რა დიდებულად ვთქვი, არა?

რეზოს და ხათუნას სასტუმრო „საქართველოს" რესტორანში შევხვდი შემთხვევით. ჩემი დანახვა გაუხარდათ, — დაგირეკე, სახლში არ იყავიო, — რეზომ.

ხათუნას საზოგადოება გვეამაყება, დაძაბულები და გაფაციცებულები ვსხედვართ, თვითეულ სიტყვას ვუკვირდებით, ბევრს ვტრაბახობთ და ვცდილობთ, რაც შეიძლება საუკეთესო შთაბეჭდილება მოვახდინოთ.

— გენიოსი ბავშვი ხარ, — მფარველური ტონით აქებს რეზო, — აქამდე სად იყავი!

— კახა შემხვდა, — ვამბობ.

— ისევ სამხედრო ფეხსაცმლით დადის?

— ჰო, კაშნეც უკეთია.

— ამ სიცხეში? — ხათუნას უკვირს და ჩვენც ხომ ეს გვინდოდა!

— მხატვარია, ორმოცი წლის, იმთავიდან ბათინკები აცვია.

— თავისებური ხალხია, — ამბობს ხათუნა, — რას გაიგებ!

— ქუჩაში ჩემი ერთი მესამედი დადის, ორი მესამედი სახელოსნოშია და განუწყვეტლივ ხატავსო, მითხრა.

— ორიგინალობს?

— არა, ლოთია. საზოგადოებაში მთელი ძალით ვებრძვი თავს, რომ ნორმალური ვიყო და სხვებისგან არ განვსხვავდებოდეო; უცხო ხალხს ვერ ეწყობა, ჩვენ მოხარშულს ვიცნობთ.

— მოსკოვში გაიკეთა კარიერა, — უხსნის რეზო, — ებრაელობა დაიბრალა და ებრაელმა მხატვრებმა გაქაჩეს, პარიზში მოუწყეს არაოფიციალური გამოფენა. ბრაზილიის ელჩთან ძმაკაცობს, ამერიკის საელჩოში სურათები აქვს გადალებული, ქვეყნის ნაცნობები ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გრან-პრი მიიღო მამუკას ნახატმა; ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლით, — „ამერიკის ხმამ" გადმოსცა.

— თქვენ თვითონ მოუსმინეთ?

— კი, კაცო, — ერთხმად ვიტყუებით და ვპირდებით, მხატვრის სახელოსნოს დაგათვალიერებინებთო.

ჰავლაბრულ მუსიკას აჭყიპინებენ, ღიპების ზღვა მოედინება, ოფიციანტები ენაგადმოგდებულები დარბიან... რეზო ნაცნობების მაგიდასთან მიდის და სვამს. მესალმებიან. ხელით ვანიშნებ, ქალს მარტო ვერ დავტოვებ-მეთქი.

— გოიმია? — მეკითხება ხათუნა, — ფრიადებზე რატომ სწავლობს?

— ვინ?

— ჯორბენა.

— რა ვიცი... ერთხელ კაცი მივასიკვდილე; — ვქაქანებ, — კასტეტი ვურტყი კბილებში, მერე ბიჭები ამორეკა და...

— ნაცნობი მწერალი შემხვდა, — რეზო მოპირდაპირე მაგიდისკენ გვახედებს, — სამჯერა მყავს გალახული, ყველა მწერალი გახდა, რა!

— მაგასთან ვიყავით სახლში, სოლოლაკში მაგისი ბაითია, — კისკისებს ხათუნა, — ტანაც აუცილებლად თავისი თავი რომ გამოჰყავთ მთავარ მოქმედ გმირად, მაგაზე ვგიჟდები!

— კარგად იცნობ?

— საკმაოდ, რამინა ჰქვია, წყალწაღებული ნარკომანია.

— მამუკას კაცი დაუჭრია, — რეზო ამთავრებს ხელოვნებაზე საუბარს, — იმალება.

— ბარამიძეს?.. როდის, ვინ?

— ვილაც ახვარი. ვნახავთ, როცა საჭირო იქნება, ჯერ საავადმყოფოშია.

— მამუკასაც ვიცნობ, — ამბობს ხათუნა, — საყვარელი ბიჭია, დაბადების დღეზე ყვავილები მომიტანა.

— ყვავილები?

ამღვრეული თვალებით ვათვალიერებ აჭრიასებულ დარბაზს და თანდათან ბოლმით ვივსები: ეს რესტორანი, სასტუმრო, თვითონ თბილისი და საქართველოც ისევე ეკუთვნის ათას ვიგინდარას, ათას მონასა და მათხოვარს, როგორც — მე, ეგ კი არა, შეიძლება, ზოგიერთს მეტადაც ეკუთვნოდეს, სად არი სამართალი!

— მხოლოდ ძალას ვცემ პატივს, — ფეხზე ვდგები და ლაპარაკისას ენა მებმის, — ჩემზე ძლიერს ავიტან, თუმცა სულ იმისი დამარცხების მოლოდინში ვიქნები, ჩემზე სუსტებს არ დავინდობ, არ გავახარებ! ავადმყოფი საწოლში უნდა მოკლა, მაშინ ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟკაცი; მოდი, ჩვენს დაუმარცხებლობას გაუმარჯოს!

— ჯორბენაც ძველბიჭობს ხოლმე? — გვეკითხება ხათუნა.

— ჯორბენა? — დამცინავად ვხითხითებთ, — ხომ არ გიყვარს, რა ხშირად ახსენებ?

რეზო თმაზე ექაჩება და თავს მაგიდაზე არტყმევინებს:

— შეგიყვარდა?

— უჰ! — ხათუნა ნატკენ ადგილზე ხელს ისვამს, — გაგიჟდი?

მერე იქვე გამოგონილი სიმღერა წამოვიწყეთ: გიყიდიან, გაგყიდიან, დედალო, დედალო, შავო დედალო. თავგანწირვით ავღრიალდით, ხმას ხან სპეციალურად ვიუხეშებდით, ხან — ვინაზებდით, მელოდიასაც შეგნებულად ვამახინჯებდით. რის ორკესტრი, რა ორკესტრი, მთელი რესტორანი ჩავაჩუმეთ! „შავ დედალს" „ჩაეძინა მას, გამეღვიძა მე" მივაყოლეთ, ოფიციანტსაც, როგორც მახსოვს, პანღური ვუთავაზე, ერთი სიტყვით, დიდებულად მოვილხინეთ.

— წინააღმდეგი იქნები? — მეკითხება რეზო.

— რისი წინააღმდეგი?

— მე მიმყავს, — ამბობს მოკლედ და გასაგებად.

— წაიყვანე.

— ნათლია ვარ თქვენი, — კისკისებს ხათუნა, — ამბობენ ბედნიერება მოაქვსო, მე მაშინ ორმაგი ბედნიერება მეკუთვნის.

* * *

პირალმა ვწევარ, გვერდით გატრუნული ნატა მიწევს. სიჩუმეს დროდადრო ეზოდან შემოსული ბავშვების ჟრიამული არღვევს.

— სიგარეტი მომაწოდე, — ვეუბნები.

ორ ცალს უკიდებს ერთად.

— მუნდშტუკიც მომაწოდე,—სიგარეტს არ ვართმევ.

— გაფუჭებულო! — სიცილით მაწვდის.

— ე. ი. გამოგაპანღურეს?

— შენ ოღონდ ვინმეზე ცუდი გაიგო! — მკერდზე მკოცნის და ჩემს მარცხენა ფეხს მუხლებში იმწყვდევს.

— როგორ მოვწიო?

— მე თუ ვეწევი!.. დღეს კიდევ მიდიხარ სადმე?

— დამირეკავენ და წავალ.

— მე უფრო ლამაზი ვარ თუ ნინო?

— შენ.

— იტყუები.

ჩუმად ვეწევით.

არაფერზე ვფიქრობ.

— პირველი ყველაზე ძნელია... მეორედ თავს იმართლებენ, ძალა აღმართსა ხნავსო.

— ხნავს?

— მესამედ უკვე ბუნებრივად მიაჩნიათ.

— ვის?

— ქალებს.

— შენ რა იცი?

— მამასხარავებ? — ეჭვის თვალით მიყურებს, — ქალი არა ვარ?

— ისე რა! და მაგარი, სექს ბომბა.

— აბა, თვალები დახუჭე, — მეუბნება ეშმაკურად.

— მორჩი!

— დახუჭე, რა!

— მერე, რა?

— წარმოიდგინე მთელი სამყარო.

თვალს ვახელ.

— წარმოიდგინე ერთი წუთით, ფულს ხომ არა გთხოვ?

— გჭირდება?

— არა, წარმოიდგინე?

— ჰო.

— ახლა წარმოდგინე ამხელა სამყაროში პატარა დედამიწა, წარმოიდგინე?

— ჰო.

— პატარა დედამიწაზე ერთი ციცქნა საქართველო, წარმოიდგინე?

— ჰოო!

— ციცქნა საქართველოში ერთი ერთი ერთი ციცქნა თბილისი.

— მერე?

— ვჩანვართ?

— არა, — ვეუბნები მტკიცედ.

— ხომ ხედავ, ჩემი შვილის სახსენებელიც ალარსად არი, — ტირის, ცრემლები მკერდს მისველებენ, ჩუმად ტირის, თავისთვის, მე სიგარეტის ნამწვი მიკავია და არ ვიცი, სად გადავაგდო, მერე მისი თმით სველ მკერდს ვიწმენდ.

— ნოემბერშია შენი დაბადების დღე? — მეკითხება, — ოცდაერთში?

— 21 ნოემბერი.

— მორიელი ხარ, მე სასწორი ვარ, გჯერა ამეების?

— ეშმაკის მჯერა, ცხოველთა ენასაც მალე ვისწავლი.

— მომეცი, საფერფლეში ჩავაგდებ, — სიგარეტის ნამწვს მართმევს.

— მაშ გამოგაპანღურეს? — ვეკითხები.

რეზოს და ხათუნას დავემშვიდობე და უაზროდ გალეშილი ნატას მივადექი.

კარი ახმახმა გამიღო, სახლში არ არისო.

სადარბაზოსთან ველოდე კარგა ხანს, არ გამოჩნდა და გინებაზე გადავედი. ახმახს ვაგინებდი. გინებით რომ დავიღალე, გული ამიჩუყდა, შემეცოდა ჩემი უილბლო სიყვარული და ავტირდი. ვილაცა ლაწირაკი მამშვიდებდა, ნუ ტირიხარ, ქალი არ ღირს კაცის ცრემლადო, ამაზე სული გადავირიე, გულამომჯდარი ავქვითინდი, ხმამაღლა მოვთქვა-

მდი, რა მატირებდა ახლაც არ ვიცი. ტირილითაც რომ დავილალე, საფეხურებზე ავბობლდი, გარშემო ყველაფერი ქანაობდა, კარს ნვალებით მივაღწიე და წიხლები დავუშინე. ნადი, თავი დაგვანებეო, ახმახმა. შევაგინე. გაიცინა. პედერასტი ხარ და პედერასტებს გინება გიხარიათ-მეთქი. ხელი მკრა, კიბეზე დამაგორა. ლაწირაკო, რატომ თავს არ დაგვანებებო, — ახლა ნატამ. აკი სახლში არ იყავი, შენი ასე და ისე-მეთქი. მეცა, სახე ჩამომკაწრა. მივასილაქე. ახმახსაც მივწვდი, ჩავებღაუჭე, თავის დარტყმა მინდოდა, მეზობლები გამოცვივდნენ, დიდი პანიკა ატეხეს, ძლივს გამომათრიეს სადარბაზოდან.

დილითვე მივედი სამაგიეროს გადასახდელად, „შკოლნიკის" სპიცი მედო ჯიბეში. ნატა მარტო დამხვდა, თვალთმაქცურად გამიღიმა, ოთახში შემიძღვა. ისე ეხებოდა იატაკს შხვართი ფეხებით, როგორც მუსიკოსი ქნარის სიმებს. უფრო მოვიშალე: აქვე დაგამტვრიო ფეხები თუ დაბლა ჩამომყვები? — შევეკითხე.

— რა დაგიშავეო, — გაიცინა.

უცებ ბავშვი ატირდა და გული შემეკუმშა სიბრალულით.

ყოველთვის ვცდილობდი, სიბრალულის გრძნობა ბოროტებით დამეძლია, რადგან სიბრალულიც მონური თვისებაა, — ვერ მოვახერხე: ძალიან მომწონდა, თან მივხვდი, რომ წუხანდელ თავგადასავალს მასზე რატომღაც კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა, მეც ჩემდაუნებურად გავმხიარულდი და ენამოსწრებული გავხდი.

ბედისწერა ისეთი რამეა, რაც არ უნდა გააკეთო და ილაპარაკო, აზრი არა აქვს, საქმეს მაინც თავის ნებაზე მოაკვარახჭინებს.

ღამე მასთან დავრჩი, გათენებამდე ვიყბედეთ, ასჯერ ვიჩხუბეთ და შევრიგდით.

თითქმის სიძულვილით გამოვემშვიდობე:

საკუთარი სენტიმენტალობა გულს მირევდა.

მძულდა მეორე და მესამე დღესაც, თუმცა გონებიდან ვერ ამომეგდო მისი ლვედივით ტანი.

ვნების ახალი შეტევით თავგზააბნეული მეოთხე დღეს მივუვარდი და სიყვარული ისეთი სერიოზულობით ავუხსენი, თვითონვე ეჭვი შემეპარა, მართლა ხომ არ მიყვარს-მეთქი. მინდოდა, იმ ღამინდელი გულისამაჩუყებელი აბდაუბდა აღარ გამემეორებინა, მაგრამ — ამაოდ...

თანდათან მოვალეობის მოხდის მაგვარი გრძნობაც გამიჩნდა და უკან დახევა უკვე გვიანი იყო, გამოუცდელი და რაც მთავარია, სიტყვის კაცი გახლდი, ნატა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ყურებით დამიჭირა.

ის ახმახი სად გაქრა, აქამდე ვერ გავიგე, ხან რუსეთში წავიდა სამუშაოდ, ხან ოფიცერია და გასაიდუმლოებულიაო, მე და ნატა კი შევაბერდით ერთმანეთს.

* * *

უამრავი ქუჩებით, მოედნებით, სკვერებით, შენობებითა და გზაჯვარედინებით გამოძერწილი ქალაქი ობობათა მირიადი თაობების მიერ მოქსოვილ გიგანტურ ბადეს გავს, რომელშიც ერთხელ მაინც თუ გაიხლართა ადამიანი, მერე ვერაფრით დაიხსნის მისგან თავს.

ქალაქში ყოველ წამს იბადება ან კვდება სიცოცხლე...

ქალაქში ყოველ წამს მონაცვლეობს დაუნდობელი სისასტიკე და მოყირჭებული სიმშვიდე, მონური მორჩილება და ლუარსაბისებური მაძღრობა, სისხლისმთხეველი ბოროტება და ნაფტალინწაყრილი სიკეთე, ვნება და ტალახი...

ქალაქი ერთფეროვანია: მასში ყველაფერი ხდება ყოველთვის...

ქალაქი ზღვასავით უკიდეგანო და ზღვასავით საშიშია, იგი მუდამ სიმაღლისკენ მიისწრაფის...

მაგრამ მე მუხლს არ ვიყრი მის წინაშე, რადგან ზღვისაგან განსხვავებით ქალაქი არ არის ბრძენი და მისი მოთვინიერება შეიძლება...

— სადაც გინდა წახვიდე, ობობას ყველგან დაინახავ, — ვეუბნები რეზოს და სკოლის წინ მდგარ ფიზიკის მასწავლებელზე ვანიშნებ.

— რა დაგიშავა! — ესალმება, — მშვენიერი ცისფერი ყიყლიყოა.

— გაშავებულხართ, ბიჭებო, — სათითაოდ გვართმევს ხელს, — ზაფხული კარგად გაატარეთ? იმეცადინეთ?

— ისე, რა! — ვიცინით.

— როგორ შეცდით! ოქროს მედალი როგორ ვერ აიღეთ! სამი ათასი უნდოდა, მეტი კი არა! სამაგიეროდ, ერთ საგანს ჩააწყობდით და ეგ იქნებოდა.

— თქვენ სად დაისვენეთ? როგორა ბრძანდებით?

— არსად. სამსახურზე ვჩალიჩობდი. ახლაც საბუთების წასაღებად მოვედი და დირექტორთან მომივიდა ჩხუბი, ლამის ხელი დავარტყი, — წუწუნებს ჩვეულებისამებრ, — ცოცხლად ვიხრწნებით, ცოცხლად და გამოსავალი არ ჩანს, ადამიანებს შორის ზღვარი წაიშალა, ზედმეტად შინაურები და ერთმანეთისთვის გასაგებნი გავხდით, მოისპო კამათისა და მსჯელობის კულტურა, ძველად საზოგადოებაში გაცხარება უზრდელობად ითვლებოდა, რაღაცა აუცილებლად რჩებოდა უთქმელი, ახლა კი საუბარი ხშირად პი-

რადი შეურაცხყოფითა და ცემა-ტყეპით თავდება. ძნელია, სიყვარულის სურვილი გქონდეს, მაგრამ გძულდეს, იმიტომ რომ არ გაძლევენ სიყვარულის საშუალებას. რა სჭირს ხალხს? რატომ გადაგვარდა საქართველო?

რიხით წარმოთქმულმა მონოლოგმა თავის ქალა რიყის ქვებით ამივსო, ღიმილით გადავხედე რეზოს: ისიც იღიმება.

„არ მაძლევენ სიყვარულის საშუალებასო", — მამლაყინწამ.

— ილია რომ გააცოცხლა! — სადღაც ყურმოკრულს იმეორებს რეზო, — ეგ თუ გვიშველიდა!

— სპარტაკი რომ გააცოცხლა, მონების აჯანყებას მოახდენდა?.. სხვა დროა, სხვა ეპოქა, ერთი სიკვდილი არ ვაკმაროთ იმ კაცს? ყველას საკუთარი თავი უნდა ებას მხრებზე, ასეა საჭირო! სხვისი იდეებით გატაცება ბრიყვების საქმეა, ჩვენისთანა ხალხი ყოველგვარ იდეამდე თავისი ფეხით მიდის!

— თქვენგან მშვენიერი მსახიობი გამოვიდოდა, — ვეპირფერები, — არ გიცდიათ?

— ეე, მსახიობებიც შიმშილით იხოცებიან, — ამბობს ნაძალადევი თავმდაბლობით, — თევზის მაღაზიაში ვიწყებ მუშაობას, ,ორიოდე კაპიკს ვიშოვი, ცოტა სარისკოა, მაგრამ...

— რას ერჩი! — მეუბნება რეზო მასწავლებელთან დამშვიდობების შემდეგ, — ასპროცენტიან კაიფში იყო, თვალებზე არ დააკვირდი?

— არა, კაცო! რო კაიფობდეს მასეთი დაცენტრილი იქნებოდა!

ჯორბენა ქუჩაში დგას სახლიდან ორ ნაბიჯზე და ფანჯარაში გადმოყუდებულ ვილაცა კახპას ემასლაათება.

— ტარიანი გაქვს?

— ჰო, შედით, — გასაღებს გვაძლევს, — ხუთ წუთში მოვალ.

შევდივართ, ტარიანს ვეძებთ. არსად არ არი: არც კარადაში, არც ვაზაში, არც საწოლის ქვეშ.

— სადმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე დამალავდა, — ამბობს რეზო, — მოხარშულს ვიცნობ.

მართლაც კიბესთან ვპოულობთ, სანაგვის მაღლა ვენტილაციის გაუქმებულ მილში.

— ვა, რამდენი ჰქონია! — სანახევროდ დაცლილი „ყაზბეგის" კოლოფიდან ქაღალდის პაკეტს იღებს, — ოცი პაპიროსი მაინც იქნება.

— ვაწრუწუნოთ? — ვიცინი.

ჯორბენა ხორხოცითა და ხელების ქნევით შემოდის, ფანჯარას აღებს და გვეკითხება, რით გაგიმასპინძლდეთო:

— ფანჯარას როცა ვაღებ, ბუზები გარეთ მიფრინავენ, სხვაგან პირიქით ხდება.

— რატომ?

— ჩემთან საჭმელი არაფერია, შიმშილით იხოცებიან.

— გათიშულია! — მეუბნება რეზო.

— არაა! — თვალებს დანაშაულზე წასწრებულივით აცეცებს, — დილას მომაწევინეს.

— ტარიანიც არა გაქვს? — ვეკითხები.

— დილას მოვწიე რა! აღარ მახსოვდა, შენ რაში გაინტერესებს?

— დღეს გამიმასპინძლდა, — იცინის რეზო, — ჩვენი ძმაა.

— სალოლ! — გამოცოცხლდა ჯორბენა, — კიდევა გაქვს?

— არა... რად გინდა ეს სულელური ნახატები, — კედელს შევყურებ, — ვერ ჩამოხსნი?

— სტუმრების ჭკუას ამ ნახატებით ვიგებ, არ ვარგა, მაგრამ იმის მიხედვით, ვის რა მოსწონს, დასკვნების გაკეთება შეიძლება.

— ერთი ნაგავია ყველა.

— წავიდეთ, წავიდეთ, — რეზო ფეხზე დგება, — ამისგან კაცი არ გამოვა!

— რა ვქნა, ძმაო, ფული არ არი, თანაც გამოცდები იწყება, დრო არა მაქვს.

ჩემთან ავდივართ და ჯორბენას მოსაწევს ვეწევით.

— არ ვარგა, — მეუბნება რეზო, — შენი სჯობია... დიდი ხანია ეწევი?

— ზღვაზე ვეწეოდი, ბლომად იყო... აუ, ერთ კვირაში მისაღები გამოცდები იწყება!

— მისაღები რაღაა! თქვი, გამოცდები... ნუ გეშინია, მოვეწყობით, — მამშვიდებს.

ტელეფონი აწკრიალდა და სხვაგან მოხვდი-მეთქი, ვეუბნები ჯორბენას.

— კარგი რა, რა ხუმრობაა!

— სხვაგან მოხვდი, გენაცვალე, გიგა არა ვარ.

ისევ რეკავს.

— რა ჯიუტია ეს ვირიშვილი! — იცინის რეზო, — უპასუხე, არ მოგვეშვება.

— თქვენ წაიღეთ? — მეკითხება ჯორბენა.

— რაა?

— ვითომ არ იცი!

— აზრზე არა ვარ.

— მოსაწევი თქვენ წაიღეთ?

— ცუდად ისმის, გადმორეკე ხელახლა.

— მაშინ ამოვალ თქვენთან.

— რაც არა გქონდა, რას წავიღებდით!

— რომ გამომეჩინა, — თავს იმართლებს, — დღესვე შემოგვეწეოდა, ცოტაც ვერ ამოვილე; ახლა ვაპირებდი თქვენს დაობლებას და აღარ დამხვდა.

— ბევრი იყო?

— კარგი რა! თქვენ, ძმაო, მამიკოები მოგაწყობენ, მე კი თუ არ ვიმეცადინე, პატრონი არა მყავს.

— იმეცადინე, მერე, ვინ გიშლის!

— თუ არ მოვნიე, ვერ ვმეცადინეობ.

— ვერ გავიგე, ჩვენგან რა გინდა! — ახლა რეზო ელაპარაკება, — შენ ხომ არ გადარეულხარ, ჟოშკა ვირიშვილო!

— ბიჭო, ჩავიჭრები! — მისი ცრემლნარევი ხმა მეც მკაფიოდ მესმის, — უმაგისოდ წიგნს ვერა ვკითხულობ.

— არ ვიცი, ჯორბენ, რას დავობ, — ვეუბნები, — ორი პაპიროსი გვაქვს და ერთს დაგითმობ, რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ყოფილხარ, ოღონდ ჩემთან არ ამოხვიდე, დავიწვებით, ფანჯრიდან ჩამოგიგდებ.

ზუსტად მასტირკა ნახევარს ვუგდებ, რომ უფრო განვალდეს და მისი დაფიქრებული სახის წარმოდგენაზე, ერთში შეაკეთოს თუ ორში, თავებს ვურტყამთ ერთმანეთს:

— რა უბედურია ეს საცოდავი!

* * *

ყრუ ტკივილი კეფიდან იწყება, შუბლთან გროვდება, ჰაერთან ერთად ჩადის მკერდში და ფილტვებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს... გაძლება მიჭირს.

— თვითმფრინავივითა ვარ, — ვეუბნები ნატას.

— ატომური ბომბივით, — შამპანურს წრუპავს.

— საჰაერო ორმოში რომ ვარდება ... თვითმფრინავი...

— ზებგერითი ავიაგამანადგურებელი, — სახეზე მაკვირდება, — რა ფერი დაგედო, უკმარისობა გაქვს?

ვცდილობ, არაფერი შევიმჩნიო, მაგრამ არ გამოდის: თვალთ მიბნელდება, ნატას ხმაც სადღაც შორიდან ისმის, ცივი ოფლით მენამება შუბლი და საფეთქელი...

— ნერვების ბრალია, ნეტა ვიცოდე, რა გაქვს სანერვიულო! — შეშინებული შემომყურებს, — თავი მოგაბეზრე?... ვალიდოლი მაქვს... სადღაც... დამშვიდდი, ექიმი..,

დავდივარ, დამყვება, მელაპარაკება...

უაზრო და ტყვიასავით მძიმე სიტყვებით ივსება იატაკი, ოთახი, ქუჩა, ქალაქი...

მაგიდას ვილებ თავისი ჯამ-ჭურჭლიანად და კედელს ვესვრი.

სასიამოვნოდ წკრიალებს.

აქეთ-იქით ვიხედები, ვარჩევ სხვა რა დავამტვრიო.

ესეც სისულელეა.

საძინებელში გავდივარ.

ვწვები და მესმის ნატას მოგუდული ქვითინი (ნამტვრევებს აგროვებს), შიგადაშიგ ლექვივით წკმუტუნებს:

— გამოგაპანღურეს? — ვეძახი.

— აი, ნახავ, შენთან თუ მოვალ როდისმე! — ცოცხით შემოვარდა და ღრიანცელსაც უმატა, — ნახავ!

— აფსუს, — ვეუბნები, — შენ უნდა ყოფილიყავი ჩემი ცოლი, აფსუს!

გაოცებისაგან პირს აბჩენს, მერე ცოფიანივით მაცხრება:

— გიჟო, მოგკლავ! მოგკლავ! — კივის.

ხელები გავუკავე და ყელზე ვკოცნი.

— არანორმალურო, — ვითომ გასხლტომას ცდილობს, სინამდვილეში მთელი ტანით მეტმასნება, — გგონია, ცუდი ცოლი ვიქნებოდი?

ნინოს წირვას გამოვუყვან.

ვინ იცის, უარეს დღეშია! როგორ არ რეკავს!

ნინოს გახსენებაზე ყველაფრის ხალისი მეკარგება:

— ძუკნები ხართ ყველანი!

— ახლა გაიგე?

რამდენჯერ გავაფრთხილე, არ წახვიდე-მეთქი. ეჭვიც რომ დამეძლია, გულში რაღაცა მაინც ჩამრჩებოდა. ასეც ვუთხარი.

ვიციო და წავიდა.

მანამდე საოცარ სიახლოვეს ვგრძნობდი, თითქოს ერთი ადამიანი ვიყავით. გამიუცხოვდა... უფრო მე გავუუცხოვდი. ზღვარი გაჩნდა ჩვენს შორის. ბუნებრივი ზღვარი...

როგორიც უნდა ყოფილიყო...

როგორიც საერთოდ არსებობს ნებისმიერ ორ ადამიანს შორის, მაგრამ ხომ არ იყო?

— უფროსი დაწინაურებას მპირდება, — სხვათაშორის ამბობს ნატა.

— მაგას რა სჯობია!

— გასამრჯელოს მომთხოვს.

— მიეცი.

— რას ამბობ, სამოცი წლისაა! — იცინის. — მაგას გავაწვალებინო თავი?

ნატა თითქმის არ შეცვლილა, ძველებურად მომხიბლავია, გულახდილი, შტერი, თავაზიანი და ყველაფერი.

არც ვეჭვიანობ მასზე.

მგონია, მის მეტს არ ვუყვარვარ არავის, ერთხელ ხარაკირის გაკეთებაც კი დააპირა სოლიდარობის მიზნით... გახსოვს, ხათუნას ნაცნობებს რომ ვეთამაშე სოლოლაკში და ოცდაერთი ამპულა მოვიგე? მომდიოდა და მომდიოდა კარტი, მომდიოდა და მომდიოდა...

სამ დღეში უნდა მოეტანათ.

ვიხარბე, მესამე დღეს მარტო მივედი, რეზოსთვისაც არ მითქვამს არაფერი, ხათუნაც გავაფრთხილე, არსად წამოგცდეს-მეთქი.

არ მოიტანეს, გათიშულები მოვიდნენ, იქით მომდეს შარი.

ჰო, ეგ ამბავი ცოტა გვიან მოხდა, უკვე ინსტიტუტში ვსწავლობდი.

პაპის დასიზმრება ცუდად მაქვს დაცდილი, რამე საშინელებას რომ არ გადავეყარო, არ შეიძლება, ჰოდა დამესიზმრა, თითქოს

საპატიმროში ვიჯექით ერთად, უფრო სწორად — ვიდექით, რადგან დასაჯდომი ადგილი არ იყო:

ორ კედელს შორის ვიყავით ჩაჭედილები, სუნთქვა გვიჭირდა, მაღლიდან კი ბინძური სითხე დაგვდიოდა წურწურით. ხომ ხედავო, — მითხრა, — ქვით არ მოვმკვდარვარ, დათეთქვილი წამომიყვანეს და აქ ჩამაგდესო... მერე ოთხი ტყავის ლაბადიანი კაცი შემოვარდა და მიხვეულ-მოხვეული ვიწრო დერეფანით ჩაბნელებულ დარბაზში შეგვათრიეს. დარბაზის ყველაზე განათებულ კედელს უზარმაზარი პლაკატი ამშვენებდა, «Грабь награбленное!». ეწერა პლაკატზე და მის წინ მსხვილი ლურსმანით ხელში, მაღალი ხმელხმელი და ჟღალწვერიანი კაცი იდგა.

— შენ ჩვენ გვიღალატე! — უთხრა პაპას, — სისხლი არ გივარგა, გადმონაშთი, დესპოტი და მავნებელი ხარ!

— რომელი გირევიათ გლეხი, სულ თავადები და აზნაურები არა ბრძანდებით! — სისხლის ნთხევით უპასუხა პაპაჩემმა, — გლეხს სად შეუძლია მაგდენი!

— ჩიტებს ანაცვალე პროლეტარიატი? პოეტური სული გაქვს? — დამცინავად ჩაიქირქილა ჟღალწვერიანმა, — პოეტები ტანჯვისთვის იბადებიან, გაუძლებ შვილიშვილის სიკვდილს?

— ქართველები არა ხართ! — ამოიკვნესა, — ეგ ხომ ჯერ არც დაბადებულა!

— თუ საქართველოს კიდევ ახსენებ, შოვინისტო გლეხიყლაპიავ, ორივეს წამებით ამოგხდით სულს! — გაცეცხლდა ჟღალწვერიანი და თავისთან მიმიხმო, — მოდი, ბიჭუნა, მოდი! ვნახოთ ერთი, რა უყრია პაპაშენს ჭკვიან თავში, ვინც ახლობლის სიკვდილს ვერ გადაიტანს, ჯერ თვითონ უნდა მოკვდეს!

ლურსმანი და ჩაქუჩი მომაჩეჩეს, პაპა წამოაქციეს და დააჭედე, თორემ შენც იგივე მოგელისო, მიბრძანეს.

რახრახისა და ყრუ დარტყმების ხმაზე მოვედი გონს, ნაცემ-ნაბეგვი, ტალახში მოთხვრილი და თავგაჩეხილი სარდაფში ვეგდე, სადღაც მაღლა ტრაქტორი რახრახებდა.

ბუნდოვნად გამახსენდა, აქ საიდან მოვხვდი.

შეშინებულმა ტრაქტორისტმა გამიჩერა ტაქსი და მძღოლი დიდი ხვეწნის შემდეგ დაიყოლია, რომ ნატასთან მიეეყვანე, ეშინოდა, ხელში არ ჩავკვდომოდი.

ნატასთან თვითმკვლელობის სცენა გავითამაშე, ვმსახიობობდი ალბათ, რადგან იგივეს გაკეთება მანამდეც შემეძლო, თუმცა ნატაც ამყვა და როლში ისე შეიჭრა, ჩემს შვილს ვინ მიხედავსო, ჩაილაპარაკა და დანა პირველმა გადაისვა ვენაზე.

„რომეო და ჯულიეტა!"

ვიცი, ალარაფერი ეტყობა [illegible] ნატას ხელისკენ გამირბის [illegible]

— შიდსი საბჭოთა კავშირშიც შემოვიდა? — მეკითხება.

— შემოვიდა?

— მე შენ გეკითხები, შემოვიდა?

— არ შემოვიდა, აქედან გავიდა, აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში... ვაკე-საბურთალოს გზატკეცილიდან.

— დედას გაფიცებ! — გამომცდელად მიყურებს, ვერ გაუგია ვხუმრობ თუ არა. — მართლა?

— მართლა... აბა, ეხლა მომიყევი, როგორ გამოგაპანღურეს, დედამთილმა რაო?

ვეკითხები და ოთახში მარინა შემოდის... ჩემი გარდაცვლილი ორეული... კბილებჩამტვრეული ორეული... ნატას ყურადღებას არ აქცევს, იქვე სავარძელში ჯდება და შესაბრალისად იღიმება... ნატაც იმ სავარძელს უყურებს, მაგრამ ვერაფერს ხედავს... ბრმა ადამიანები. თვითკმაყოფილი უვიცები. თუ ტვინის ნახევრადთხევადი მასით აღვიქვამთ საგნებს, რატომ არ შეიძლება, პირიქით მოხდეს, ფიქრმა მიიღოს რეალური სახე?

მარინა ისევე რეალურია, როგორც ფინჯანი ჩაი, ან ეს მოძრავი შანდალი, თუნდაც ნატა — სპერმის სასაფლაო.

— დღეს... წვიმა... მოვა... დღეს...

— მოვა... მო-ვა...

— გაიგე?

— რაა?

ყრუ კაცობრიობა — რუხი თოჯინების საროსკიპო. სველი და მყრალი საროსკიპო. სისხლის გულისამრევი სუნით აქოთებული საროსკიპო.

— გშია? — მეკითხება, — მე უკვე მომშივდა.

არსებობის მარტივი ფორმულა: არ შეჭამ — ვერ იარსებებ

უმაღლესი სადიზმი: ეფერება, უვლის, ასუქებს, ანებივრებს, მერე გამოსჭრის ყელს და შეახრამუნებს, ტყავისგან კი ფაჩუჩებს შეიკერავს... ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევს ცხოველს, მცენარეს, მიწას, წყალს, ჰაერს, ტყესა და ველმინდორს, რასაც ვერა სჭამს, აბინძურებს და ანადგურებს... ბინძური ექსკრემენტებით ბილწავს სამყაროს.

— საწევროს იხდი? — იცინის.

— მანდატიცა მაქვს.

— ნოეს კიდობანში ყველა თანაბარია, თითო-თითო ადგილი ეკუთვნის ცხოველსაც, კაცსაც. წელანდელი ხანძარი გაიხსენე, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ.

— არც შენ აკლებდი!

ინტუიციის უეცარი გამონათება: მილიციელის გვერდით ჩემგან მოკლული კაცის ორ-

გაზმის ნაყოფი იდგა, სასუქდამატებული კვერცხუჯრედიდან წარმოქმნილი საოცრება: ტარტაროზების ანასხლეტი.

მამამისს რა ერქვა?

დათო?

რა მნიშვნელობა აქვს, სახელში რა ყრია? სწორედ სახელის გამოგონებამ აუბნია გზაკვალი ადამიანებს. ჯერ იყო სახელი... და არა — სიტყვა. ვერ ხელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, არცა ხესა ხენეშსა ნაყოფისა კეთილისა გამოღებად. ორგაზმის ნაყოფი — ღელვის ფოთოლი — Ecce Homo!

რა უბრალოდ მოხდა!

თითქოს ყველაფერი წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი, გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე.

— წყალი აღარ მოდის, — დარცხვენილი ამბობს ნატა, — რა საშინელებაა!

ჭამა, დალია და ამიქოთა საპირფარეშო. ღმერთო ჩემო, რა უბადრუკები ვართ! თფუ ღმერთს, ეშმაკმა არ გვიწყინოს! თუმცა თვითონვე გაარკვიონ ჩემი სული რომელს ეკუთვნის, მე ძლიერის მხარეზე ვარ, ეკლესიაში ეშმაკს ვუნთებ სანთელს.

ყველაფერი სულერთია და რატომ არ უნდა ვიყო ლაჩარი? — მითხრა ერთხელ ჯორბენამ, — ადამიანი ისეთი მცირეა, ისეთი უმნიშვნელო, იმდენად დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებსა და ნესჩვეულებებზე, რომ პრაქტიკულად არაფრის შეცვლა ან გამოსწორება არ შეუძლია, გენიოსებიც კი ბედისწერის ხელში მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენენ, ხოლო ძალა უნიჭო მასის მხარეზეა და გაცილებით მოსახერხებელია შენც იმ მხარეს იდგე, სადაც ნაკლები ჭკუა და მეტი ძალაა, თუნდაც ლაჩარი გერქვას. ჩვენი ცხოვრების ქაოსში იმხელა კანონზომიერებაა, იმხელა გარდუვალობა, დრო და სივრცე, მიზეზი და შედეგი, მოქმედება და უმოქმედობა უაზრობაა, ქათამი და კვერცხი ერთდროულად გაჩნდა, ადამიანი კი დამსახურებისა და გაწუმეორებლობის მიუხედავად, სრული არარაობაა და როგორ იცხოვრებ მნიშვნელობა არა აქვს, რადგან როგორც არ უნდა იცხოვრო, უეჭველად მაინც შენი საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებ.

გაიგე? სწორია? თავიდანვე შენ გეკუთვნოდი?

— ვუპასუხო? — მეკითხება ნატა.

არა-მეთქი, ვანიშნებ და სასწრაფოდ ყურმილს ვიღებ. რეზო ყოფილა, წყნეთიდან მეხმიანება, არსად გახვიდე, მალე გამოგივლით.

— მარტო ხარ?

— თითქმის, ნატაა ჩემთან.

— ნატა-მარინა? — იცინის, — შეიძლება, ეგეც დაგვჭირდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რეზო და ჯორბენა პოლიტექნიკურში ჩაირიცხნენ, მე კი ფიზიკის მასწავლებელს იმედი გავუცრუე და უნივერსიტეტში ჩავაბარე ბიოლოგიურზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდულად მიქროდა თავში, მეცნიერული კარიერა მიზიდავდა, მაგრამ ჩაბარებისთანავე მივხვდი, რომ მეცნიერული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ნებისყოფა და ათასგვარი ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევის უნარი არ გამაჩნდა, თანაც მამაჩემს მოულოდნელად ინფარქტმა დაარტყა, სამსახური გამოიცვალა და ფაქტიურად პროტექტორის გარეშე აღმოვჩნდი.

— როგორია?! ნაიმფარქტალი მშობლები! როცა დახმარება მჭირდებოდა, სწორედ მაშინ მიმაგდეს ბედის ანაბარად... ეშმაკს შევწირავდი მსხვერპლს, აბა, რას ვიზამდი?!.. ისედაც დიდხანს ვითმინე... თუმცა ფულის შოვნას ეშმაკი რად უნდა? ვიცნობდე მაინც! ნანახი მაინც მყავდეს! „მეცნიერული კარიერა"! ჩემი კარიერა რისკია — უზარმაზარი რისკი, ერთი კომპეტენტური რევიზია და ხეხე თხუთმეტი წელი, ეშმაკი ან გიშველის ან — არა.

„დღეს წვიმა მოვა!.. — მო-ვა... მო-ვა!"..

— გაიგე?.. ახლაც ვერ გაიგე?

— რა უნდა გამეგო?

„მაცალე, ვისწავლო ცხოველთა ენა, კარიერა შენ მერე ნახე!"

— მო-ვა, მო-ვა, მო-ვა!..

— დღეს... მო-ვა... წვი-მა!..

ნატას სხეული მაიმუნისაგან წარმოიშვა... დარვინისა და მაიმუნისაგან... მშვენიერი გიბონი: ხორბლისფერი კანი აქა-იქ მიმოფანტული ოქროსფერი ბუსუსებით. კანქვეშ მლაშე და თბილი სითხე — მოაზროვნე სითხე. გული. ფილტვები. დიაფრაგმა. საჭმლის მომნელებელი სისტემა: აქოთებული საპირფარეშო — ევოლუციის უწყინარი შედეგი.

სულიც მაიმუნისგან გამოჰყვა ადამიანს?

აშკარად ვგრძნობ, როგორ ახრჩობენ ერთმანეთს ჩემი სისხლძარღვები... გველებივით.

პითონი. ბრძენი პითონი — ჩემი სისხლძარღვების სისხლით ნათესავი... პითონი.

შანდალს ვერ ვხედავ — სამზარეულოშია. სავარძელს ვხედავ. ახლა სავარძელი მოძრაობს, ფეხს ხან დაიმოკლებს, ხან — დაიგრძელებს, ხან დაიმოკლებს, ხან... დაიგრძელებს. ენა დაუგრძელებიათ ნივთებს, არავის არაფრად აგდებენ, რაღაცას ყბედობენ და თავიანთი სურვილისამებრ იცვლიან ფერს, ადგილს, ხასიათს... შანდალს ვერ ვხედავ...

სავარძელს ვხედავ. მარინასაც ვერ ვხედავ, თუმცა ისევ დგას ქუჩაში, სახეზე პროვინციელი დედაკაცივით აუფარებია ცხვირსახოცი და ტაქსს ელოდება.

„კარიერა“!

ნატაც პითონივით დასრიალებს, დაიკლაკნება ჩემს გარშემო, მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ...

ნატას თავი არა აქვს, ნატა უთავო მხედარია — მაინ რიდის უთავო მხედარი — ბავშვების საყვარელი წიგნი — მოდიდან გამოსული ბავშვების ყოფილი საყვარელი წიგნი.

— ჯორბენას საფლავზე გადიხართ? — მეკითხება.

— ალბათ... არ ვიცი.

ჯორბენა. ნიჭიერად გამოდებილებული კაცი. ჩამოვიდა პროვინციიდან და მაშინვე ნარკომანი გახდა. ის ბიჭებიც თურმე მაგიტომ ეძავებოდნენ სალამოს სკოლასთან, ჰალსტუხიც იმიტომ მომასალა ოცდახუთ მანეთად, რეზოსაც იმიტომ ჩაუტკბა იმ პერიოდში.

მეც კი მიმალავდნენ.

მერე: საქმეს მიხედეთ, რა დროს ნარკომანობაა! — რეზომ. ოპიუმი აღარ აინტერესებდა, ფულმა დაუცხრო ვნებები.

რას გამოაპარებდი, ბოზი დედამთილისა არ იყოს! — ვიდრე არ დარწმუნდა, ფულს არ გაგვაკარა.

ფული — სერიოზული ბიძების ოპიუმი.

ათასი საანგარიშო, ათასი საფიქრალი! — აღარ გვეცალა...

ერთადერთი ვარიანტი: საქმე — სხვანაირად ვერ შეველეოდით.

რამდენი გაპარულა ძილში, რამდენს ჰაერი ან ჭუჭყი შეჰპარვია! — პანაშვიდზე მაინც გათიშულები მივდიოდით, იქვე ვჩალიჩობდით, სადარბაზოებში ვიკეთებდით.

ამაზე მეტად როგორ შეგვაშინებდნენ?

აგიტაცია-პროპაგანდაც სისულელეა. იმდენი ტყუილი მოგვასმენინეს, სიმართლის აღარავის სჯეროდა. როცა მახინჯ შთამომავლობაზე ლაპარაკობდნენ ტელევიზორში, ერთხმად ვასკვნიდით, ლოთების გაკეთებულ ბავშვებს გვიჩვენებენ და ნარკომანებს აბრალებენო. უფრო ჯიუტად ვჩალიჩობდით, უფრო მეტს ვიკეთებდით.

— მახსოვს, სულ ფულზე წუწუნებდი, — თავისი საფიქრალით გართული ნატა გულმოდგინედ ივარცხნის თმას და სავარცხელში ჩარჩენილ თმის ღერებს იატაკზე ფანტავს.

ერთმანეთისთვის უკვე სრულიად უცხონი და ზედმეტნი ვართ.

— არ ვწუწუნებდი! სტუდენტები გვიგროვებდნენ, ზოგს ძალით ვართმევდით, ფუმფულა მშობლებიც ბევრსა ჰყავდა...

აღარ მისმენს, ნახევრად შიშველი ფანჯრიდან იხედება.

— გამოდი აქეთ, — ვეუბნები, — მეზობლებმა არ დაგინახონ, მაშინვე [illegible] უპატაკებენ.

ბიბლიოთეკა

ზანტად შორდება ფანჯარას, ნერვებზე თამაშობს, სავარძელშიც ისე ჯდება სპეციალურად, რომ ტიტლიკანა უკანალი გამოუჩნდეს.

პეტროვნასავით ვერ გავაძევებ, რეზომ ბრძანა, — შეიძლება, დაგვჭირდესო, — იძულებული ვარ, მოვითმინო:

ძმაკაცისთვის რას არ მოითმენს კაცი!

ერთხელ სამასი გრამი ოპიუმი შევაწერე ნალჩიკელ ბარიგას. ვიკეთებდით, ვსვამდით, ისევ ვიკეთებდით... იმ დროს ჩემზე მეტს ქალაქში სულ ხუთი-ექვსი კაცი თუ იკეთებდა, ორი გრამი თვალებსაც არ მიწითლებდა, ხელისგულზე მომწიწკნიდა ოდნავ და მთავრდებოდა მაგით. მიკვირს, რა ორგანიზმმა გაუძლო. თანაც ვლოთობდი, ქალებსაც არ ვიკლებდი. როდესაც გაგვითავდა, სამი კვირა უნდა დავისვენო-მეთქი, გამოვაცხადე. დღეში ოთხ-ხუთ პაპიროსს ვეწეოდი და მშვენივრად ვგრძნობდი თავს, რეზოსაც არაფერი უჭირდა, ჯორბენა კი ლამის მოკვდა, კრუნჩხვები დაეწყო, დორბლი წამოუვიდა, ციებცხელება დაემართა, — კაცს აღარ ჰგავდა. კიდევ კარგი, ათიოდე გრამი მქონდა მოყუჩებული! — თითოთითო კუბით ძლივს გამოვიყვანე. რომ არ დაეჭირათ, ასიანი დალპებოდა. მართალია, ციხეშიც იკეთებდა, მაგრამ ფული ცოტა ჰქონდა, წამალსაც ცოტას შოულობდა და მაგან უშველა.

მერე რა სულელურად დაიჭირეს!

როგორც ქალების მოყვარულს, ქალი შეხვდა მოსამართლედ, მაგაშიც დასცინა ბედმა, თხუთმეტი დღის მაგივრად სამი წლით ჩააჯინეს, თუმცა დაზარალებული არ ჩიოდა და ჯორბენას დასჯას არ მოითხოვდა.

ქალი და მოსამართლე? აბორტი და სამართალი?

ტარტაროზებისაა ეს ქვეყანა, ყბედობა არ უნდა!

სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ნინოს თანაკლასელები შეიკრიბნენ და დიდი ქეიფი გააჩაღეს. თამადად მომავალი პროკურორი ჰყავდათ. ძუკნის ნარწყევი. ნაღვერში ნანახი ლაწირაკის ტყუპისცალი. იმ დროს დაუსწრებლად სწავლობდა, თუ არ ვცდები, რკინიგზის მილიციაში მუშაობდა და წესრიგის დამრღვევები სეტყვასავით აყრიდნენ ოქროს თევზებს: ქვირითი ცალკე, ლაყუჩები ცალკე, ტყავგადაძრობილი ცალკე...

ფრანტების დოლი გაიმართა: საქმროები, საცოლეები, კაცები, ქალები, ძველი ბიჭები, იმათი ბიჭები, — ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა:

პატრიოტული თემა, დედიკოებისა და მამიკოების სადღეგრძელო, წინაპრების სად-

ღეგრძელო, მასწავლებლების სადღეგრძელო. უაზრო ყაყანი და სიცილ-ხარხარი, თვალების ცეცება, დანა-ჩანგლის წკრიალი, ხორაგის თქვლეფა, საზიზღარი თვითშემოქმედება, სასმელისაგან მორყეული სახეები, ბინძური პროვინციალიზმი, გადაგვარებული ლიბიდო...

ნინოც რომ აიყოლიეს!

— პარიზში გარყვნილებას რა უნდა! პარიზში რაც ხდება, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების ნორმაა, გარყვნილება ჩვენთან იკითხეთ! — „რეზოს თანამეცხედრესთან ერთად სამოგზაუროდ ნამყოფი ქალბატონი".

წვეულებაზე მისვლამდე მოასწრო ჩემთვის ხასიათის გაფუჭება: სამი კაბიდან ვერაფრით ამოარჩია, რომელი ჩაეცვა, თანაც ფეხმძიმედ ბრძანდებოდა და ყოველ წვრილმანზე ჭირვეულობდა.

— გათხრები დავიწყოთო, — დამცინავად მომახსენა, — იქნებ სადმე დამარხულ განძს წავაწყდეთო.

სანახევროდ ჩაცმული კაბა ხელებზე ჩამოეფარებინა, ალეწილ სახეს მარიდებდა და დაბნეული ცდილობდა ჩასაცმელის მოწესრიგებას. იმდენად უსუსური სანახავი იყო, ლამის ბოლმისაგან გავსკდი.

ფულით სავსე კასრის დანახვაზე ხომ ჩემი დამემართა:

დამსხვილებულიყო, მოსუქებულიყო, დავაჟკაცებულიყო... როგორც მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაძაღლებს ახასიათებთ, რიხითა და ფახიფუხით ლაპარაკობდა, დანარჩენები გაუსაპნავად უძვრებოდნენ უკანალში.

ნინოს რა უჭირდა! მართალია, მუცელი ოდნავ ეტყობოდა და ცოტა წონაშიც მოიმატა, მაგრამ მაინც ფერიასავით გამოიყურებოდა, ის უბრალო კაბაც უხდებოდა. ყველაზე უბადრუკად მე ვგრძნობდი თავს: გაქუცული ჯინსები, გახეხილი საყელო, ჯიბეში ორი კაპიკი. ერთი სიტყვით, ყველა მიზეზი მქონდა, რომ თავმდაბალი ვყოფილიყავი, თავმდაბლობას კი ვერ ვიტან, რადგან მონურია... ან — ამპარტავნული, როდესაც საქმეს საათივით ააწყობ და საქმე იჭიმება შენს მაგივრად. სხვანაირი თავმდაბლობა არ არსებობს.

თამადამ მაინცდამაინც მე ამომიჩემა, გადმოდიოდა და გადმოდიოდა ალავერდებს, ალბათ ძველი შიში ახსოვდა. როცა კარგად შეზარხოშდა, გათამამდა და რამოდენიმეჯერ უკბილოდაც გამეხუმრა (სახლში მისვლისთანავე ნინომ მითხრა, მოგელანდა, შენთვის ცუდი არაფერი უკადრებიაო). ისედაც ეკლებზე ვიჯექი, ეგღა მინდოდა?!

— გახსოვს! — შემეხმიანა სიამაყისაგან გაფუებული, — ორმოცდამეთხუთმეტე სკოლელებს როგორ დავერიეთ, იქ არ იყავიო! რა არის ბავშვობა, გახსოვს, რა კლასი გვქონდა, მთელი სკოლა ხელში გვეჭირა! — თქვენი კლასიც არ იყო ურიგო, როგორც მაგონდებაო.

მაღალფარდოვანი ტყლარჭია ლაპარაკით მოაჯადოვა საზოგადოება და ახლა მკლავის ძალის გამოჩენა მოინდომა. ყველაზე მეტად კი იმან გამაოგნა, რომ გარშემო მყოფებს, ამ მანჭია სალახანებსა და თვითონ ნინოსაც სჯეროდათ მისი სიტყვების, ულრმესი კმაყოფილება და ღირსეული აღფრთოვანება ენერათ სახეზე.

ადამიანთა უმრავლესობა ბავშვობაში მიღებული ინფორმაციის გადახარშვას უნდება მთელი ცხოვრება, გარკვეული წარმატების შემდეგ აღარ ვითარდება გონებრივად, რისი დამახსოვრებაც არ აწყობს, იმას მალე ივიწყებს, ხოლო ახალს ფაქტიურად ვერაფერს ხედავს, რადგან ხედავს მხოლოდ თვალებით და არა სულით. ან როგორ დაინახავენ, როდესაც სული მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ და რას გაყიდიან რაც არა აქვთ!

შეეძლოთ!

რომელი მათგანი შეყოყმანდება? რომელი არ დაუკოცნის ჩლიქებს? რომელი არ ინამებს ეშმაკს?

ამათ კიდევ გაუძლებდა კაცი! — ნათესავებისთვის, მეზობლებისთვის, უამრავი ნაცნობისთვის რა მომეხერხებინა?

არაფრად მაგდებდნენ, პატივს აღარ მცემდნენ, აღარც ეშინოდათ; იქამდე მიმიყვანეს, ნინოსთან გავლის მრცხვენოდა.

მივჩაქჩაქებ ფეხით და გვერდით ლამაზი ქალი მომყვება: გადასასვლელებზე მანქანებს უჩერებენ, გზას უთმობენ, მომღიმარ-ავხორცულ მზერას აყოლებენ... ქუჩაში ეყბედებიან, ავტობუსების გაჩერებაზე ეყბედებიან...

ვინ ვიყავი?

აბსოლუტური ნული, რომელსაც იმის უნარიც არ შესწევს, ლამაზი ცოლი მანქანით ატაროს. იმისთანა ლაწირაკები მელაპარაკებოდნენ მხარზე ხელის ტყაპუნით, ვისთანაც ადრე გამოლაპარაკებასაც არ ვიკადრებდი. იმიტომაა ამდენი ნარკომანობა და ქურდბაცაცობა, ამდენი ძაღლი და მამაძაღლი. ერთ ნარკომანზე მეორეა დამოკიდებული, მეორეზე — მესამე, ის ვერ იშოვის, შენ გექნება, შენ ვერ იშოვი — სხვა გაგიმართავს ხელს, ურთმანეთოდ ვერ იარსებებთ, ძალაუნებურად პატივს გცემენ, საჭირო კაცი ხარ, ქურდებისა კი ეშინიათ, ქურდი ხელშეუხებელია, თანაც ფულს შოულობენ. არადა რამდენნი არიან! ყველა კორპუსში თითო ქურდი, ყველა სართულზე — ნარკომანი. სადაც წავედი ყველგან გადავეყარე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე...

„მთელი სკოლა ხელში გვეჭირაო", რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა ველარ მოვითმინე და თეფში ვესრო-ლე. ნინის ნერვიულობაზე ლამის ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ავად გახდა, სასწრაფო დახმარების მანქანით მივიყვანე სახლში.

ო, რა სცენები მომიწყო!

იწვა, ტიროდა, პირს არ აჩერებდა: არ გიყვარვარო, ჩემი თავიდან მოშორება გინდაო, შვილზეც სპეციალურად ამბობ უარსო:

— დიახ, მარინა გიყვარს, — ქვითინებს, — არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი, ის გიყვარს!

— ცოცხალი არც მინახავს...

— მარინას მეტი არავინ გიყვარს, არც ძმაკაცი, არც ნათესავი, არც მე! მეგონა, ზედმეტი სიყვარულისგან გძულდა ადამიანები, ტყუილია, ვერავის იტან! შუალამით მომაყენებ ლოთებს, ჩასკდებით, წავლენ და ყველას აგინებ, ალბათ მეც მაგინებ! მოახლედ გინდივარ მხოლოდ, მოსამსახურედ!

— უფულობის!..

— არ გამაგონო! — კივის, — ეგ არაფერ შუაშია! შენ შეიშალე, მარინამ გაგაგიჟა, მარინამ და ნარკომანობამ, მთვრალი მეუბნებოდი, არ მეშვებაო, კუბოში თმა რომ აუფრიალდა, იმან გაგაგიჟა! მეშინია შენი, მეშინია!

ეჭვიანობის მიზეზი არასოდეს მიმიცია, რაც ცოლად შევირთე, შემთხვევით თუ გავივლიდი ვინმესთან, მხოლოდ ნატას შევაბერდი და ისიც ისე მყავს გასაიდუმლოებული, ნინომ მის შესახებ არაფერი იცის.

მანამდე კი დრო თავზესაყრელად იყო და ხომ უნდა დამეხარჯა რამეში? ფილმები იტყუებოდნენ, თეატრშიც ყველაფერი ყალბად და მალალფარდოვნად მეჩვენებოდა, თანამედროვე მუსიკა აგვიკრძალეს, კლასიკური მუსიკით ყურები გამოგვიჭედეს და რაღა დარჩა? ნარკოტიკი და ქალი.

სიმპატიური ქალის გაცნობისთანავე უცნაური სპორტული აზარტი მეუფლებოდა, ერთი სული მქონდა, გამეგო, როგორ იკრუსუნებდა საწოლში, როგორ მინაბავდა ექსტაზში თვალებს.

დასაწყისში ნატას ჯიბრზე ვიქცეოდი ამგვარად, ნიშნისმომგებ სიამაყეს ვგრძნობდი, მერე კი ჩვევად გადამექცა და გარეგნობასაც აღარ ვაქცევდი ყურადღებას.

ერთადერთხელ შევიკავე თავი და მაშინაც რეზოსთან ჩხუბით დამთავრდა ჩემი სულგრძელობა თუ უგუნური წინდახედულება. ყოველთვის ასე ხდება, ჩემო ტარტაროზო, — კარგს მოინდომებ — ცუდით გადაგიხდიან, ვინმესთვის შეწუხდები — არ დაგიფასებენ, მოვალეობის გრძნობა გაგიჩნდება — უფრო დიდ ვალს დაგაკისრებენ.

ხათუნა შემიყვარდაო, რეზომ, მოვკლავ ვინც მაგასთან გაივლისო.

შენი ჩანწყობილი ოინია, პირველი ქალი ეშმაკისაა.

სასაცილოდ არ მყოფნის [illegible] გამდი რქებს, მაგრამ როდესაც დაიჩემა, ცოლად უნდა მოვიყვანოო, აღარ გავკარებივარ.

რა იცი, რა ხდება!

ხათუნა მაინც ხშირად მაკითხავდა, სასმელი ამოჰქონდა, დაქალები ამოჰყავდა, თვრებოდნენ და რაც შეეძლოთ მაქებდნენ. რეზოს გატაცებას სერიოზულად არ უყურებდა, — გამოუცდელია და გაუვლისო. თვითონ იმ ბიჭით იყო აღფრთოვანებული, ვინც ოცდაერთი ამპულისთვის ლამის საიქიოს გამისტუმრა. დასცინოდა, აგინებდა, ჭორავდა, მაგრამ იმდენს ლაპარაკობდა და ისე ხშირად ახსენებდა, რომ ბრიყვიც ადვილად გამოიცნობდა მის სათუთ მკერდში აბრიალებული ხანძრის მიზეზს. როდესაც ვაჟბატონს ჰარპუნი ვესროლე და საავადმყოფოში დააწვინეს, ხათუნა ნიანგის ცრემლებად დაიღვარა, ვითომ ჩემზე ზრუნავდა და საქმის გართულების ეშინოდა, — მასე ძალიან არ უნდა დაგესაჯა, იენებ მოკვდესო!

ძუკმა!

რეზოს ხათრით ეს სიტყვებიც მოვითმინე, თანაც მშვენივრად მაქებდა, — რაღაცას ნიშნავს, როცა წყალი გაქვს შემდგარი, ყველა ამრეზილი გიყურებს, უპერსპექტივოდ მიგიჩნევენ, ეს კი გაჭმევს, გასმევს, გართობს, ყავის ჭიქაში იხედება, მკითხაობს და გამწარებული გაქებს.

ჯორბენას პროცესი ორ-სამ დღეში იწყებოდა, უაზროდ ვიჯექი სახლში, სასამართლოს ველოდებოდი და ცხოვრებას ვაფურთხებდი, — ვხედავ — რეკავს. პირველად და უკანასკნელად გამიხარდა მისი ხმის გაგონება, სტუმრადაც პირველად დავპატიჟე ხალისით რისთვის ამოვიდე, დოყლაპიებივით შევყურებთ ხოლმე ერთმანეთს, ლაპარაკი ტელეფონითაც შეიძლებაო, — თავი გამოიდო.

ორაზროვნებაზე ყოველთვის თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ ველარ მოვითმინე, ნერვები ისედაც დაწყვეტაზე მქონდა: ჯერ ერთი ჯორბენას გვერდით ადვილად შეეძლოთ ჩემი დაყუდებაც, თანაც ნარკოტიკი ემოციებს აძლიერებს: ალებაზე რისკი, გაყოფაზე ჩხუბი და აყალმაყალი, საზოგადოებასთან განუწყვეტელი კონფლიქტი, — მგელივით იმალები, ბრბო შენი მტერია...

მართალია, ბევრსაც სწავლობ, თითქოს რაღაც იმქვეყნიურს ეზიარები, თითქოს სამყაროში სულ სხვა ახალ სამყაროს აღმოაჩენ... თუმცა... რა მნიშვნელობა აქვს! მოსვენებას არსად გაძლევენ, კანონი შენი მოწინააღმდეგეა, ხალხი ზიზღით გიყურებს.

ან ლაპარაკს ვინ გეხვეწება, შე ბოზო-მეთქი!

არ მეგონა თუ ასე ეწყინებოდა, — გადაირია. თავმოყვარე გოგო! რეზოს თავნება საცოლე! როგორ აკადრეს! რეზოს ეტყვის!

აქ შენი და იქ რეზოსი-მეთქი!

— რით დაიმსახურა ეგ სიტყვები? — მეკითხება რეზო.

ამრეზილია, შეურაცხყოფილი, გაალმასებული.

— რით და იმით... — ბინძურ სიტყვას ვეუბნები.

არ გაპატიებო და მიდის.

როცა ნინო მოვიყვანე ცოლად, ქორწილში დავპატიჟე. არ მოვიდა. მებუტებოდა. ხათუნას მალე ჩამოშორდა, მაგრამ მაინც დიდხანს მებუტებოდა. წლები. საუკუნეები. გული დამწყდა, რაც მართალია — მართალია. განვიცდიდი, თავს ვადანაშაულებდი.

ჯორბენასთან შევრიგდით.

სწორად უთქვამთ, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

— საზიზღრობაა, როცა ცნობილი პიროვნება დაგაშტერდება, — ნატა ფანჯრის რაფაზე ამძვრალა და ჩამოწყვეტილ ფარდას ამაგრებს, თან მოპირდაპირე კორპუსისკენ აცეცებს თვალებს, იქნება დამინახონო, — სულ გეჩვენება, რომ შენს სახეზე იმ შთაბეჭდილების კვალს ეძებს, რასაც თითქოს მისი პიროვნება ტოვებს, შენ კი ჩირადაც არ გიღირს.

— მოსცილდი ფანჯარას, რამდენჯერ გითხრა?!

— მადლობის მაგიერია! ნუ გეშინია, ნინოს არავინ წაგართმევს!

ნინოს ბებია ახალგაზრდა დაქვრივებულა და მეშინოდა, მისი ბედისწერა შვილიშვილს არ გამეორებოდა. აქეთ პაპაჩემი, იქით ნინოს ბებია, შუაში მე ვიჭყლიტებოდი.

მშვენიერი პატარა ამორძალი: ყოველგვარი შიში მიმავიწყა... ჩემზე საეჭვიანო ნამდვილად არაფერი აქვს. პირიქით... დაეთრევა სადღაც... მიყვარდეს მარინაც, რა მოხდა, ხომ აღარ არის ცოცხალი! ნატა კი აუცილებელია, მასთან ისეთ რამეს ვაკეთებ, რისი გაკეთებაც ცოლთან არ შეიძლება.

მარინას ბავშვობიდან ვიცნობდი... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯერა. თვალწინ მიდგას, როგორ დარბოდა, როგორ თამაშობდა, როგორი ბაფთა ეკეთა. მისი ხმაც ვიცი, თუმცა არასოდეს მომისმენია, სიარულის მანერაც.. თვალების ფერი. სიგიჟემდე მომწონს ცნობისმოყვარე და ოდნავ დამცინავი მისი თვალები, განშორებისა და ახლობლის დაკარგვის მუდმივი მოლოდინით სავსე; მოლოდინით, რომელიც არაფერს გავალდებულებს და რომელსაც მიტევების სწორედ ისეთი უნარი გააჩნია, მხოლოდ საბოლოო განშორების შემდეგ რომ არის [illegible]

საქორწინო მოგზაურობამ [illegible] კიდევ ერთხელ დამარწმუნა სასწაულების არსებობაში, კიდევ ერთხელ დამარწმუნა რეალური ცხოვრების არასრულფასოვნებაში:

აეროპორტში ვიგრძენი, რომ რაღაც აუცილებელი ნივთი დამრჩა, მოვიძიე და საათი არ მეკეთა ხელზე. უსაათობაც ცუდად მაქვს დაცდილი, — ნინოსთვის არაფერი მითქვამს, ჩემთვის დავიბოლმე, სიგარეტის საყიდლად გავემართე აღრენილი, ორიოდე წუთში დავბრუნდი და დედა დამხვდა ნინოს გვერდით, — შენ თვითონ რატომ არ დარეკე, უცებ რა არ ვიფიქრე! — სიცილით საათი მომაწოდა.

მაშინაც დავინტერესდი, მერეც რამოდენიმეჯერ ვიკითხე: გეფიცები, გოგომ დარეკა, ხმაზე ვცნობ, თუ არ ვცდები, მარინა ჰქვიაო. ჰოდა, როგორ შეიძლება, ასეთი გოგო არ მიყვარდეს?

* * *

— გიგა! — მეძახიან.

ჩემს უკან მხოლოდ და მხოლოდ ყრუ კედელია, მაგრამ ინსტინქტურად მაინც ვტრიალდები: აშმორებული შპალერი, ნაპრალები, ქალალდის ნახევები, უცნაური ჩრდილი გამყინვარებამდელი გამოსახულებით, — გიგა! „რა მემართება! — ვფიქრობ და გარშემო მყოფთაკენ შეცბუნებული ვაპარებ მზერას, — რას იტყვიან! ორ ნაფაზზე შეიშალაო“...

— არ თამაშობ? — მეკითხება რეზო.

ფსონში მექანიკურად ჩავდივარ ოცდახუთ მანეთს.

ჩემს გვერდით მჯდომი წითური კაცი თვალებს ახელს, აუტანელი ხვნეშითა და ტუჩების ბინძური წრუპუნით ითვლის სამმანეთიანებს და ფულს დაუდევრად ყრის მაგიდაზე.

ოთახის თვითეული კუთხე, იატაკის თვითეული ფიცარი არაბუნებრივად ჭრიალებს, ბუტბუტებს, თითქოს უსტვენს კიდეც... გარკვევით მესმის ყოველი ჩვენთაგანის სუნთქვა, მაჯისცემა... მაგიდის პატარა საათი წყლის წისქვილივით ხმამაღლა ფქვავს წამებს და წამი უსაშველოდ დიდხანს გრძელდება.

— მეტი აღარ შემიძლია, — ხველებით ამბობს ვიღაც, — მთელი დღე ეწევი, ეწევი... კარტიც მომბეზრდა, სუფთა ჰაერზე გავიდეთ.

„მივქარავ, არაფერი არ მომივა, რომელი გუშინდელი ლლაპი მე ვარ!.. სხვები უარესად არიან“.

— თქვენთან იმიტომ იკეთებენ, — მეუბნება წითური, — ასეთი მოსაწევი არა გაქვთ. შენს ძმას შეხედე, რა მაგრად არი, — რე-

ხოზე მანიშნებს, — მალე ალბათ გაფრინდება.

— მაგის მეტი რა უკეთებია! — განაწყენებული ვამბობ და გაფაციცებით ვუსმენ საკუთარ სხეულს, რომელიც მეტალურგიული ქარხანასავით თუხთუხებს, გუგუნებს, ხრიალებს...

უფრო მახვილი სმენა რომ მქონდეს, მარტო ეს ხმაური მომილებდა ბოლოს.

ფეხარეული გავდივარ ოთახიდან.

რეზო ფულს მაძლევს.

— მე მოვიგე?

ქუჩაში ორ-ორად დაწყობილები მივიზლაზნებით.

ჰაერი დამძიმებულა და ათასფრად ბრიალებს.

ხალხის ნაკადი მაფრთხობს.

— საშინელი ავადმყოფობა დაემართა, ცარიელი ძვალი და ტყავი გახდა, თანაც ოპიუმის ნევისგან ცალი ფილტვი გახმობოდა და ღვიძლიც აღარ უვარგოდა, — ჰყვება ნითური, — მერე ეგ პრეპარატი მიალებინეს.

— მორჩა? — ეკითხებიან.

— თითქმის... პრეპარატის მიღების შემდეგ სიკვდილის შიში დასძლია... შხამიანი სოკოს მტვერისგან ამზადებენ.., ტკივილს აღარ აღვიქვამ ადრინდებურადო, უთქვამს, ტკივილიც ჩემი განუყოფელი ნაწილია, ისევე როგორც თვალი, თითი, ბედისწერა ან ჩემი ავადმყოფობაო... "

მანქანების მოახლოებას არაფრად ვაგდებ, მეჩვენება, რომ სადღაც ქვევით გაივლიან... მეყსეულად მოვდივარ აზრზე, თანამგზავრებს ვუახლოვდები და მათი მიბაძვით გადავდივარ გადასასვლელზე.

— ოპიუმმა მოკლა, — აგრძელებს ნითური, — ჯარში მიეჩვია თურმე, ანაშას არ კადრულობდა, ბავშვების გასართობიაო... დასაფლავებაზე მილიციამ ხელი არავის ახლო, შევიდნენ მდგომარეობაში, ზოგჯერ ეგენიც იქცევიან ადამიუნურად... საფლავში მოსაწევი და ცოტა ოპიუმი ჩავაყოლეთ... რაც კაცს სიკვდილის წინ გააჩნია, იმქვეყნად მზამზარეული ხვდება, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავაკეთეთ.

— დოქით წყალი უნდა ჩაგეყოლებინათ, — ამბობს მეორე.

— დოქი ვერ ვიპოვე, სადღაც დაიკარგა.

დიდი ხანია მივხვდი, ნივთები საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, როცა უნდათ — იკარგებიან, როცა უნდათ — გამოჩნდებიან. ჩემი მაცივარისა არ იყოს, როცა თვითონ ნებავს, მხოლოდ მაშინ აციებს, ტელევიზორიც...

— საზიზღარი სუნი ამდის, — მეჩურჩულება რეზო, — ვერა გრძნობ?

— შენ არ აგდის, — ვეუბნები სერიოზულად და თევზის მალაზიაზე ვუთითებ — იქიდან მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ძლიერია, არა?.. [illegible]...

— მეც მაგ დღეში ვიყავი, — ვიცინი და შეშინებული ვიხედები ზურგს უკან, ძახილი ისევ მეორდება: მარინას ხმა, მარინას იმქვეყნიური ხმა, მარინას ხმა — მინის კედელი. რეალური, ხორცშესხმული ფიქრი — ტვინის უჯრედებით შექმნილი ცოცხალი არსება. უცნაური, პატარა და საშიში ცხოველი. დანაწევრებული სხეული. დაგრეხილი კიდურები. გრძელი და ძლიერი კუდი. რაღაცას ამბობს. გიახლოვდება, კიდევ რაღაცას ამბობს. ძირს იხედება. გამჩნევს. ლამაზი სახე შიშისაგან საზარლად უმახინჯდება და კივილით გარბის. მორიელი. ჯორბენას სოფელი. სარდაფი. ჯორბენა ცეცხლს ანთებს. წრიულად ასხამს ნავთსა თუ ბენზინს და ცეცხლს ანთებს. „შეხედე, მეუბნება, ცეცხლის რკალში მოხვედრილმა მორიელმა თავი უნდა მოიკლას... საკუთარი კუდით დაინესტრავს სხეულსო, სადღაც ამოვიკითხე, ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა" სამნი არიან. სათითაოდ ვყრით ცეცხლში. ორი მათგანი მაშინვე ცოცხლად იბრაწება. მესამე მოჯადოებულ წრეში დარბის, მერე ცენტრში ირინდება წამით, კუდს რკალავს და საკუთარი შხამით იგესლავს სხეულს. ნუთუ ესეც მომეჩვენა? პირველი ნაფაზი — მოგზაურობა ბრიყვთა ქვეყანაში: ჩალის ხალხი — ჩალის ქუჩა — ჩალისაგან დაჩრდილული ჩერო" „ბრიყვთა ხომალდი" „არავითარ შემთხვევაში, — ჯორბენამ, — მართალია ბოსხიც, ჯეკ ლონდონიც, თრაკლიც, მაგრამ ისეთი ხასიათი გაქვს, თუ გემო გაუგე, აღარც მოეშვებიო". რეზოსთან ერთად მიელო გადანყვეტილება. იმიტომ მიმალავდნენ ლორმუცელების კეთილშობილება! გალიაში გაზრდილი მგლის გაოცება, რომელმაც პირველად იხილა ცოცხალი სისხლი. ჰალუცინაციები: მარინა — ხორცშესხმული ფიქრი, ტვინის უჯრედებით შექმნილი ადამიანი. მოძრავი ნივთები. მოლაპარაკე იატაკი. შიში. გაოცება, სიმშვიდე, — კაცი ყველაფერს ეჩვევა: — თუ მოსაწევს ჰალუცინაცია არა აქვს, რა მოსაწევია!

— გაჩერდი, მეგობარო, თავბრუ დამეხვა, — ხითხითებს ნითური.

თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ბოლთას ვცემდი...

— ჰო, სასტუმროში მოგაკითხავთ.

ღმერთმა კაცობრიობას მოაზროვნე თავი აზროვნებისთვის კი არ გამოაბა, არამედ — იმიტომ, რომ უფრო დამჯერენი ვყოფილიყავით, ჩვენს განვრთნაზე ნაკლები ენერგია დახარჯოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ადამმა იგემა ცნობადის ხის ნაყოფი და გაიგო ცო-

დნის შექენისა და კომფორტის მათრობელა ზემოქმედების ძალა, ღმერთი ეშმაკს დაუდგა მოჯამაგირედ, ხალხის წამებით ერთობა.

პირველივე ცნობისმოყვარეობა სამოთხიდან გაძევებით დამთავრდა... „მიბრძანდით, ბატონო, პარაშასთან". არავითარი პატიება. არავითარი მიტევება...

— თუ ერთი კაცის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნის ბედი, მაშინ ამ ქვეყანაში აუცილებლად მონარქიაა. სტალინის დროს... მონარქია იყო.

— ხრუშჩოვის დროს?

ორი დიდი პოლიტიკოსი ერთმანეთს ატყუებს...

ორი დიდი პოლიტიკოსი ერთ მომცრო ყუთში:

— ბრეჟნევის დროს?

სასტუმროს კიბეზე მწვანე ხალიჩა დაუფენიათ. ხალიჩაზე ბილიკი მიიკლაკნება. მწვანე ხალიჩა — მწვანე ბილიკი. ბილიკზე ბალახის ამოსვლა. ბილიკზე კენჭი. ბილიკზე ტალახი. ქვა. მიწა. გამხმარი ტოტი. ჩიტების სკორე. ცხოველის შარდი. ნევხარ გაუნრძევლად და მკერდზე გაბიჯებენ... შენში მთავარია მიწა: როცა გაფურთხებენ, ხმის ამოღების უფლება არა გაქვს, როცა ჩლიქებით გაბიჯებენ, გატრუნული ითმენ... მათ შეგქმნეს შენ, ისინი რომ არ იყვნენ, არც შენ იქნებოდი, შენ ხარ ბილიკი და შენში მთავარია მიწა... იშვიათად, ძალზე იშვიათად ფეხებთან დიდ ქვას მიუგორებ: თუ კისერს მოიტეხს, რა შენი ბრალია!... ყველამ წინ იყუროს, ყველამ თავის ბილიკზე იაროს... ბილიკი ხარ და მსახიობობ: მწვანე ხალიჩა — მწვანე ბილიკი: სასტუმროში გაშლილი მინდვრის ყვავილი... მინდვრის ყვავილიც მსახიობია, დგას საკუთარი სურნელებით გაბრუებული და აფერადებს საღამოს ნიავს. საზიზღარი სარეველა! მსხვერპლს ჩაფრენილი მტაცებელივით ებღაუჭება სიცოცხლეს თავისი მიხრწნილი ფესვებით და უსუსური ჩრდილითაც კი თვისტომებს სხივებს პარავს... ყველაზე წმინდა თაიგულიც მხოლოდ ბალახის ხმელი გროვაა, მოუთმენლად რომ ელოდება ქარის პირველ ჩამოქროლებას, რათა როგორმე გაისვაროს რომელიმე ბინძურ წუმპეში... იგივე წუმპე, იგივე ტალახი, იგივე მიწის გორახი... საშველი არსაიდან: თითქოს ჩემს გულში შესობილ შხამიან ეკალს ისევე ეკუთვნის ჩემი გული, როგორც მე მეკუთვნის... თითქოს ჭეშმარიტი ცხოვრებით კი არ ვცხოვრობ, არამედ ვცხოვრობ ბიოგრაფიით, რომელიც რაღაც ზებუნებრივმა ძალამ ჩემი გარდასული სიცოცხლის მიხედვით აღადგინა... დაუსრულებლად ვმეორდები...

— ისევ აქ მოვედით, — მეუბნება რეზო.

ხალიჩაზე მწვანე ბილიკი... წარსულის ნინასწარმეტყველება... უხამსი [illegible]

კანიბალიზმი დამღუპველია — [illegible] ადამიანის ხორცი. სხვა მხრივ საფიქრალი არაფერი: სინდისის ქეჯნისა და ყოყმანის გარეშე ვიშოვიდი ახალ სამწვადეს, ვინ რას გაიგებს! დაკალი — შეწვი. გულის ამრევია ადამიანის ხორცი, სხვა მხრივ... ბატის ხორციც არ მიჭამია, ყველაფერს მიჩვევა უნდა... საქმე საქმეზე თუ მიდგა, ვირთხის ლეშზე არ იტყვი უარს...

— დავსხდეთ, მოვიფიქროთ, — ვამბობ.

ბარში შევდივართ, ტელევიზორს ვუყურებთ: პოლიტიკური ინსინუაცია დამთავრებულა:

— იაა! — მღერის მომღერალი და მსმენელს ანიშნებს, თქვენც იმღერეთო.

— იააა! — იმეორებს დარბაზი.

— უაა! — მღერის მომღერალი.

— უააა! — იმეორებს დარბაზი.

— ვინ არიან? — მეკითხება რეზო.

— ალბათ კუბელები, — ბარში მსხდომ ხალხს დაბნეული ვათვალიერებ: „გაგონილა! სართული იცოდე, ნომერი იცოდე და ვერ მიაგნო ოთახს, სადაც ორი ღამე გაათიე!"

— ეტყობა, შაბათობით ლიფტი არ ადის მეცხრე სართულზე... გუშინ სხვანაირად მუშაობდა.

— კიბითაც ხომ ვცადეთ! მერვეზე კედელს მივადექით, აღარ გახსოვს? ტელევიზორს ორჯერ ჩავუარეთ, ამ ბარში მესამედ ამოვყავით თავი, მოჯადოებული წრეა ნამდვილად.

— წრე რა შუაშია, ჩვენ არა ვართ სრულ ჭკუაზე, — ამბობს რეზო და უზრდელად ხარხარებს.

შეცბუნებული ვიყურები აქეთ-იქით:

— რა გჭირს?

— ამას შეხედე! — ხარხარით მანვდის გასაღებს და პირს მეც ყურებამდე ვაბჩენ, — უკულმა ვკითხულობდით, აზრზე მოდი, როგორ შეგვეშალა!

ხორხოცით ჩავდივართ მეექვსე სართულზე, მაგრამ ოთახს მაინც ვერ ვპოულობთ... ვერც იკითხავ — სამარცხვინოა:

— ცოტა დავლიოთ, იქნებ გვიშველოს, — ვამბობ დაბოლმილი, — დავიღალე.

— ჰო, მეც დავიღალე... ბარი რომელ სართულზე იყო? — მეკითხება.

ორიოდე წამის განმავლობაში გახსენებას ამაოდ ვცდილობ, მერე კი სიცილისაგან დაოსებულები კიბის საფეხურზე ვსხდებით.

თავის ქალა ფერადი ქაღალდებით, ბრჭყვიალა ნივთებით, ნაცნობი სახეებით, მდედრობითი სქესის შიშველი ბარძაყებითა და გაცრუებული იმედებით გამოტენილი სანაგვეა. წლების სიმძიმისაგან დაწნეხილი სანაგვე. სანაგვე — ყულაბა. ყველაფერს ჩატევ...

ახლა სხვაგან ვარ, უცხო მხარეში და საქართველო აქედან არ ჩანს... ცხოველური თავისუფლება: მე სამშობლო არ გამაჩნია, მე არ მყავს წინაპრები, მე არ ვიცი საიდან მოვედი, საით მივდივარ და ჩემში ქაოსია: ხეების შრიალი, აკვიატებული მელოდია, ზაფხულის ხვატი, ზამთრის სიცივე, გარყვნილება, გათენებული ღამე, ამღვრეული თვალები — დამშრალი აუზი, ისტორიის სახელმძღვანელო — მარსის მოედანი, ფარსმანი, ლეთა, ლუციფერი, არმაზი, მცხეთა, ფარნავაზი, „ქვათა ღაღადი", ჯვრისტარიანი მახვილი, წმინდა გიორგი, ლუციფერი, დიდგორი, ჟანგი, ტაო-კლარჯეთი, ლუციფერი, კრნანისი, ფერფლი, კოკაინი, ოპიუმი, ინდური კანაფის თავთავები, ქვებით ჩაქოლილი სისხლი და ხორცი, უზარმაზარი ენერგია და მოლოდინი... და ისევ აკვიატებული მელოდია „ერი არ ითარგმნება, ერი არ ითარგმნება, ერი არ ითარგმნება"...

ვხვდები, რომ ყოველ ჩრდილს თავისი ფერი აქვს...

ხოლო მოშორებით, სადაც არც წვიმს და არც თოვს, ყველაფერი ხდება ყოველთვის, — ქალაქს ჩემთვის არა სცალია: ვარ მარტო, როგორც საიდუმლო კაცი ყველაზე პატიოსანი ქალის ცხოვრებაში და ვაკვირდები კვირის დასაწყისს...

— როგორ ნაილებთ? — გვეკითხება ნითური.

— ნესვით.

— რაა?

— ნესვში ჩავდებთ.

— ეე! უკვირს, — ნიკოლოზის დროა?!

— თავისი საქმე თვითონ იცის! — რეზო ჩემს ჯიბრზე დაიფხორება, — ფოსტით გაგზავნა მაგას არ ნებავს და!..

თვითმფრინავში ატანის ეშინია, ფოსტით გამოგზავნეო, ნითურს იმიტომ ეუბნება, თანაც თავის მისამართს აძლევს... თვითონ თუ მიიღო, ჩამოარიგებს, ვილაცვილაცებს მოიმადლიერებს და... რატომ უნდა ვდიო კუდში? ეს ხალხი ხომ მე გავაცანი! რატომ აძლევს მაინცდამაინც თავის მისამართს?

— კარგი გამოგზავნოს... ოღონდ ჩემს მისამართზე.

— შენთან ვითომ რატო? არ მენდობი? — ზიზლით სცრის კბილებში.

უსიტყვოდ მივდივართ აეროპორტში, ერთმანეთს ზედ არ ვუყურებთ, მძულს ლაჩრული ანგარებისათვის და რეზოსაც ვძულვარ, რადგან ჩავხვდი მის ქვენაგრძნობას, — უხერხული მოწმის როლში აღმოვჩნდი: რომ დამიჭირონ, ალბათ გაუხარდება კიდეც, იტყვის: ვურჩიე ფოსტით გაგზავნა და არ დამიჯერაო...,

სინდისს დაიმშვიდებს...

ამაღლდება საკუთარ თვალში, საკუთარ საზოგადოებაში.. საზოგადოება კი ბატონის რუხი კედელია, რომელზედაც შენი ჩრდილი აირეკლება, მაგრამ აირეკლება მხოლოდ ორი განზომილებით: სიგრძითა და სიგანით.

წინდახედული ბიჭი!

— შენ რა შუაში ხარ, იმ ნაბიჭვარს ვერ ვენდე, — ნითურზე ვეუბნები.

ხმას არ იღებს, აწყობს ბუტიაობა: ჯერ რეგისტრაცია არ გაგვივლია.

გაბრაზებული შიშს აღარ ვგრძნობ.

რადგან შიშს არა ვგრძნობ, საფრთხე აუცილებლად გვერდს ამივლის.

ინტუიცია პირველი ხილია: სამეფო მანდრაგორა... შეიძლება — ვცდები, შეიძლება — არ ვცდები: მე არ ვიცი, რომ ყველაფერი ვიცი...

შენ... იცი — თუ იცი როგორ უნდა იცოდე, იცი — თუ იცი რატომ არ იცი, არ იცი — თუ ფიქრობ რომ იცი... და იცი — თუ იცი ინტუიციით.

ინტუიცია პირველი ხილია...

მართლაც ასე ხდება: რეზოს თავიდან-ფეხებამდე აშიშვლებენ, მე ყურადღებას არ მაქცევენ, — თვითმფრინავში მშვიდობიანად ვიკავებ ჩემს ადგილს

— ხედავ? — მეუბნება რეზო, — გული მიგრძნობდა.

„მაინც მონახა გამოსავალი"

ახლა მე ვებუტები: ვიძინებ.

ოთხნი ვდგევართ ნახევრად დამდნარ, სიფრიფანა ყინულზე და მონუსხულები ველით, როდის ჩაგვყლაპავს აბობოქრებული ოკეანე. ხენეში ქარი ხრავს გველის ტყავივით ხორკლიანი კანით შემოსაზღვრულ, ყოველგვარი იმედისა და რწმენისაგან განძარცულ სიცარიელეს, რომელსაც ჩვენი სხეულები ჰქვია. არც ერთი ძვალი, არც ერთი კუნთი, არც ერთი წვეთი ცრემლი... მხოლოდ ნატას გული ბჟუტავს წმინდა გიორგის ხატის წინ დანთებული სანთელივით და ეშმაკმა უწყის, ამ ქარში როგორ ახერხებს ციალს.

— ერთმანეთისთვის მარად უცნობებად ვრჩებითო, — მეუბნება სევდიანი ღიმილით და საოცრად ჰგავს მარინას, — წვეთი, რომ ზღვას შეუერთდება, ის წვეთი საბოლოოდ დაკარგულიაო.

რეზოს და ჯორბენას უკვე ოკეანე მიათრევს: „წვეთი რომ ზღვას შეუერთდება... წვეთი რომ ზღვას შეუერთდება"...

— მაგრამ თუ წვეთი სისხლის წვეთია? — ვეკითხები და ოკეანე მეც მხვევს თავის საცეცებს, — სისხლი ხომ... ცოცხალია?...

— წვეთი რომ ზღვას შეუერთდება!.. — უკანასკნელად მესმის ნატას კივილი...

ოფლში გაწურულს მეღვიძება.

კიდევ ერთხელ ვგრძნობ სიკვდილს თავისი გარდუვალი რეალურობითა და ნიშნისმომგები მოულოდნელობით. ხშირად ხდება, აქეთ ეპატიჟები, თვალსაც თამამად უსწორებ და პრინციპულადაც მიდიხარ რისკზე... თუმცა... როდესაც არ ელი, მართლაც შემზარავია...

ძალიან კარგი: რაც ვნახე სიზმარი ყოფილა, ჩვეულებრივი სიზმარი და მეტი არაფერი. საკუთარ შიშზე მეცინება, გულს კი ისევ გააქვს ბაგაბუგი...

— არ შევრიგდეთ? — სხვათაშორის ამბობს რეზო.

ძირს უკვე თბილისი ჩანს: ესეც ჩემი დედაქალაქი?!

როგორც ნაცნობი, ღამით ვბრუნდები.

* * *

გონს ვერ მოვედი, ისე სწრაფად დადგა ზაფხული...

— ცხელა...

საქართველოში მზე საკმარისზე მეტია...

დულს თავის ქალა: სანაგვე — ყულაბა.

— ჩემი ოცნება რა იყო, იცი? — ნატა მუხლზე ირტყამს ხელისგულს ხულიგნურად და კეკლუცად.

— რა თუ ვინ?

— რა მნიშვნელობა აქვს!.. როგორ მიხვდი?

— რას როგორ მივხვდი?

— სულელურად ნუ მელაპარაკები, არ გაინტერესებს?

— მაინტერესებს.

— სამურაი, — იცინის.

— ვინ?

— წარმოიდგინე, ხმლის ერთი დაქნევა და მხრიდან თეძომდე გაპობილია კაცი, თანაც გარდიგარდმო... შევიყვარებდი სიგიჟემდე.

— გარდიგარდმო? — ისევ გავშინაურდით.

— გარდიგარდმო, — კისკისებს, — რა სიტყვაა, არა? გარდიგარდმო... ეე, აღარ შემიძლია მეტი! გარდი-გარდმო.

— ერეკლე რატომ დაივიწყე? — მეც ვხითხითებ, — ისეთი სისწრაფით ურტყამდა ხმალს, გვამი რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმას კიდევ ახერხებდა, მერე ტანი ცალკე ეცემოდა, თავი ცალკე.

— გარდიგარდმო! — სულს ველარ ითქვამს, — ვახტანგ გორგასალი? ერთი დარტყმით ჭრიდა მუზარადს, აბჯარს, კაცს, უნაგირს, ცხენს... ვახტანგ გორგასალი!.. შენ — ნინო, მე — გორგასალი, შენ — ნინო, მე — გორგასალი, გაწყობს?

...და აქვითინდა.

აქვითინდა, მაგრამ რა აქვითინდა!

მართლაც საოცარია ქალი.

შუაგულ გლოვაში მახსენდება მისი პირველი ღალატი: ატირებული კახპა!..

მოგეხმარებიო, — ჩემს თანაკურსელს სამზარეულოში შეჰყვა. პოკერს [illegible] სამი სათითით ფულის [illegible] კაქტუსი პეიოტი. ხელებით კარადას დაყრდნობოდა. დამშეული ცხოველივით შემომხედა. შარვლის უბეზე დამაშტერდა. არავითარი სინდისის ქეჯნა, აქვითინებული ძუკნა. იმან კი, — ლამაზი ქალი საზოგადოების საკუთრებააო. სრული წყვდიადი... ზიზღნარევი, გესლგარეული, ასპიტივით რომ დაცოცავს ჩვენს სხეულებზე და სისინით მოგვჩერებია... სიტუაციიდან თავის დაძვრენა — ბინძური გამოსავალი: ცემატყეპა, ბუტიაობა, შერიგება... აქვითინებული ძუკნა!

გონს ვერ მოვედი, ისე სწრაფად დადგა ზაფხული.

ცხელა.

ჩვენში მზე საკმარისზე მეტია...

ეს ვიწრო ჩარჩო, შელებილი ათი წლის წინათ, ავსებულა საუკუნის ერთფეროვნებით. ცოტათი ზემოთ ვერის ძველი სასაფლაოა, ჯვარმომტვრეული ეკლესია, „კოლხური კოშკი“ და „თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მინას ჭიპზე ვკოცნიდე“.

რატომ ჰგავს მარინას ნატა?

* * *

პრინციპული ლაჩარიაო, — მითხრა ჯორბენამ მომავალ პროკურორზე.

წყნეთში შეგვხვდა, ქეიფიდან ცოტა ხნის შემდეგ. თვალი მომარიდა. მეც გავეცალე. უაზროდ ვიყავი, მისი თავი არა მქონდა, შენც ლაჩარი ხარ-მეთქი, ჯორბენას მივუბრუნდი. ეგ პრინციპულიაო, — სიცილით დააზუსტა.

ისევ ახალგაზრდული გამოუცდელობა: იმდენი ველაპარაკე სილაჩრეზე, თავი გამოიდო და დანის დასარტყმელად გაიწია. ჯორბენა და დანა?.. მაშინვე მიაბრძანეს ვერის აბანოში. მასტირკა უპოვეს ჯიბეში, — შუა აზიიდან ახალი დაბრუნებულები გახლდით მე და რეზო.

ჩემთან ითამაშა როლი, პატივმოყვარეობამ შეაწუხა. ნარკომანობაც სხვისი მიბაძვით დაიწყო. უნებისყოფო პროვინციელი. პატივმოყვარეობა ნებისყოფის გარეშე?.. სასაცილოა. თუმცა, როგორი ნებისყოფაც არ უნდა ჰქონოდა, სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად ჩამოსული გამოუცდელი კაცი აუცილებლად ბევრ სისულელეს ჩაიდენდა. „მოვწევ პლანს და ლექციებს ერთი წაკითხვით ვიზეპირებო“... სკოლაშიც ასე ემართებოდა თურმე... „სიცოცხლის ფიზიკური ხანგრძლივობა ყველა სულიერისათვის ერთნაირია, უბრალოდ, სხვადასხვა სიჩქარით ბერდებიან და აზროვნებენო“. შენელებული კადრივით: ყვავილი შენს თვალწინ ამოდის, იშლება და ჭკნება

რამოდენიმე წამში. ალბათ ამას გულისხმობდა. სიკვდილზე ხშირად უყვარდა ლაპარაკი, თითქოს წინასწარ გრძნობდა. მისი უკანასკნელი დღეებიც კარგად მახსოვს: ისეთი სევდიანი თვალებით იყურებოდა, გაშმაგებამდე მივდიოდი.

რეზოს თავიდანვე გააჩნდა დიპლომატიური ნიჭი. კარიერაც თავისით გაიკეთა. მამამისის დაპატიმრებას რომ არ შეეშალა ხელი, უფრო შორს წავიდოდა, აქამდე შეიძლება სამმართველოს უფროსიც გამხდარიყო.

„სასამართლო" — სიაფანდების სამართალი. ჯორბენაზე ხუთჯერ მეტი მიუსაჯეს და თითქმის ერთდროულად განთავისუფლდნენ. რეზოსთან ჩემს წაჩხუბებამდე რამოდენიმე თვით ადრე ჩატარდა, — დაიდგა კარგად მოფიქრებული წარმოდგენასავით: სადაც 700 ათასი ტრიალებდა, 7 ათასი ახსნეს, სადაც მინისტრი უნდა ეთქვათ — ქარხნის დირექტორი თქვეს, ფულს ნულები ჩამოაკლეს და სავარძელს თანამდებობა, სამაგიეროდ დახვრეტას გადარჩა, წინასწარი შეთანხმების თანახმად 15 წელი აკმარეს.

მაფია მარტო კაპიტალისტებს კი არა ჰყავთ!

რეზო კომბინაციების გაკეთების სტრუქტურაში თავიდანვე მშვენივრად ერკვეოდა, მამამისის ცოდნა სრულყოფილად აეთვისებინა. ჩამოთვალა: სამინისტრო, სამმართველო, ტრესტი, პროკურატურა, მილიცია, სახალხო კონტროლი, ინჟინრები, ეკონომისტები, არასაუწყებო დაცვა.., არავინ გამორჩენია, ყველას თავისი წილი მიაკუთვნა და გვითხრა, დღეში 50 ტონაზე ნაკლების გაშვებას აზრი არა აქვს, ხარჯსაც ვერ დაფარავს, დასაწყისისთვის მეტსაც ნუ ვეცდებით, ჯერ შემოგვხედონ, დაგვინახონ, გეგმა შესრულდესო.

ყველაფერი გაითვალისწინა, საერთო ენა ყველასთან გამონახა, რისკი მინიმუმამდე დაიყვანა, მინისტრის შვილიშვილი და პროკურორის სიძე შეიკედლა, პარტიაშიც უკლებლივ მიგვიღო...

საამქროს შიგნით თითქმის სამხედრო რეჟიმი დააწესა: არავითარი გაცდენა, არავითარი დაგვიანება, არავითარი სიზარმაცე... თვითეულ თანამშრომელს ჯამუშები მიუჩინა და ენის მიტან-მოტანაც ფართოდ დანერგა, — შემოწმებული მეთოდია: გათიშე და იბატონე.

ხომ გეუბნებოდი, ჩემო შავტუხა, ცხოვრება დიდი სკოლაა-მეთქი... სკოლა კი ცირკია და ცირკში ტაკიმასხარაა პირველი კაცი, დირექტორსა და მომთვინიერებელსაც არა უშავს, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვინც ძროხების ნახირში გაერევა, ძროხა ძროხაა, ცირკისა იქნება თუ კოლმეურნეობის.

„უკანალგასაქელებულ ცირკის ადმინისტრაციას საკუთარი სასახლეებისა და აგარაკების მოსაპირკეთებლად მხოლოდ უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალა ხებავს (ცხადია, ფულს არ გვიხდიან) და იმხელა ხარჯი გროვდება, პატიოსნად რომ ვიმუშაოთ, დანაკლისს ვერაფრით გავასწორებთ, ორიოდე დღეში გაგვყრიან ან მიგვაბრძანებენ სადაც ჯერ არს, ამიტომ ჩვენც ცოტა მეტს ვამატებთ და ფული კეთდება.

ერთი წამითაც არ ვგრძნობ დანაშაულს: ბრბოს ყოველთვის ატყუებდნენ და ყოველთვისაც მოატყუებენ, მე არ მოვიპარავ — სხვას მოაპარინებენ და რაღა სხვამ მოიპაროს?

რაც მთავარია, ქვიშა პროდუქციის გამძლეობაზე არ მოქმედებს, გარეგნულ სახეს აზიანებს ოდნავ, გარეგნობას კი ჩვენში ვინ აქცევს ყურადღებას?

— გიგა, მიდი და ხელი ჩამოართვი ძიას!

საიდან გამახსენდა ცხონებული ბებიაჩემის სიტყვები?!. შემაძულა ნათესავებთან მისვლა, ბავშვობიდანვე რობოტად გადაქცევას მიპირებდა.

თურმე სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გაიგო, არამედ — ისე, როგორც გაწყობს: ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ღმერთი თუ ეშმაკი ჰყავს, ყველა თავისებურად ხედავს, თვითეულს თავისებურად ესმის, წლობით ერთად იცხოვრებთ და უცებ აღმოაჩენ, რომ თურმე აბსოლუტურად უცხონი ხართ ერთმანეთისთვის: რაც შენთვის მარტივი ჭეშმარიტებაა, მისთვის ამოუხსნელ რებუსს წარმოადგენს. ჭეშმარიტება დილით სხვა არი, საღამოს — სხვა, ღამით — სხვა... ახლა საღამოა და ჭეშმარიტება ავად ატროყებული ყვინჩილასავით გაჰყივის მამლის ბიბილოსფერი ცის ფონზე:

— მთელი ცხოვრება საროსკიპოა და ჩვენ ყველანი კახპები ვართ.

ამგვარ მზეს მკვდრის მზეს უწოდებენ და სხვას კი არა, მგონია, მაკედონელსაც ასეთმა ზეცამ უწინასწარმეტყველა დასასრული: „ბაბილონში შევხვდებითო".

სისულელე: ავად ატროყებული ყვინჩილა არ გამიგია! რის ბაბილონი, რა მაკედონელი! იმდენი ვიფიქრე ნარკომანობაზე, რომ ჩავკაიფდი კიდეც...

ამანაც გაახურა:

— დიახ, კახპები ვართ, შენც კახპა ხარ! — მეუბნება, — სარგებლობ ჩემი სისუსტით. როგორ ფიქრობ, ბავშვი რომ არ მომკვდომოდა, ასეთი ვიქნებოდი? შვილის გაჩენა რომ შემეძლოს, მესამედ გავცილდებოდი ქმარს?

„ისევ შვილის სიკვდილი!"..

დარეკონ მაინც... საშინელი წინათგრძნობა მაქვს. ეს ძუკნაც დათვრა, თვითონაც არ იცის, რას ბოდავს.

— რეზოსთან მივდივართ, ალარ დალიო.

— რეზოც კახპაა, — ტირის, — ყველანი კახპები ვართ.

მამაჩემის მოყვანილი ქალი შოკოლადს მაწვდის, დაახლოებით ხუთი წლის ვიქნები. მერიდება, არ ვართმევ. მაგიდაზე ყრის უამრავს, ფერად ქაღალდებში გახვეულს. მერე სადღაც მიდიან, მაგრამ მე ხელის ხლების ნებას მაინც არ მაძლევენ:

— ამ შოკოლადის შეჭმა არ შეიძლება, კახპაა ეგ ქალი, — ტირილით ამბობს დედა.

ბევრი ვიფიქრე: ისეთი ვინ უნდა ყოფილიყო კახპა, რომ შოკოლადის გამორთმევა არ შეიძლებოდა.

ვერაფერი მოვიფიქრე.

ერთხელაც, მამაჩემს დაურეკეს, ორდენით დაეჯილდოვებინათ.

არ წავიდა.

სახლში მოართვეს.

— ამის მოცემას ასი მანეთი ეჩუქებინათო, — გაიცინა, — მამა უმიზეზოდ მომიკლეს, მე ორდენს მაძლევენო.

ოჯახური ანეკდოტები.

ჯიუტად სნამთ რაღაცის... მაინც სწამთ...

— რეზომ თქვა, გრიპი ექნებაო, — ნატა ისევ კრუსუნებს, — ორივე ფილტვის ანთება ჰქონდა, რაღა მაშინ წამიყვანე რესტორანში, იქ რა მინდოდა! თქვენ ფულებს ზეიმობდით, მე რა შუაში ვიყავი?

— ნუ წაილე ტვინი!

— წესიერად მელაპარაკე! — მაგიდას ხელისგულს ურტყამს, — რატომ წამიყვანე რესტორანში, ბავშვი მიკვდებოდა! მესამე დღეს გათავდა.

ჰო, ესეც იქ იყო. „სამებაში" ვიქეიფეთ. ჯორბენა, რეზო, ორიოდე თანამშრომელი... ჰო, ესეც იქ იყო. გარდამავალი დროშა გადმოგვცეს იმ დღეს. ქალაქგარეთ ვაპირებდით ალნიშვნას..., ცხელოდა, მაგრამ ინვიმა და რესტორანში შევედით.

— მოსამსახურე გჭირდებოდათ, ფეხებზე დაიკიდეთ ავადმყოფი ბავშვი, სუფთა ჰაერი მოუხდებაო, მომატყუეთ.

ჩემს თვალწინ იზრდებოდა. ღამე გავუთენე. პატარა ციყვივით ინვა. ჰალუცინაცია დამეწყო: ჯერ ამეკვიატა, ნანადირევის სუნი ასდის-მეთქი, მერე: თვალს მოვაცილებ — ციყვია, შევხედავ — მიცვალებული... მტერს არ ვუსურვებ!.. ღვინომ ძლივს დამაწყნარა...

ჰო, ზუსტად მახსოვს: ეს თვე იყო — ივლისი.

* * *

„რატომ მოჰკალი ადამიანი?" — მეკითხება მილიციელი.

მე ყველაზე კეთილშობილი კაცი ვარ მთელ მსოფლიოში:

დაე, პირველი ქვა იმან მესროლოს, ვისაც ოცნებით კაცი არ მოუკლავს, არ უქურდია, არ ულალატია, არ უნამებია. ტრაფარეტი — ჭეშმარიტება... და ყველაფერი ერთად: უაზრობა — გაწყალებული თავადური სისხლი, ქართული სისხლი, დაგუბებული სისხლი. რადგან ბინძურ წუმპეში ვიმყოფებით, ცურვას ვსწავლობ.

წუმპეშიც საჭიროა პირველი და უკანასკნელი.

— თავი მოგაბეზრე?

ნატამ მცირე ხნით ჩასთვლიმა სავარძელში და ახლა სრულიად ფხიზელია.

„რატომ მოჰკალი, რა დაგიშავა? — მეკითხება გამომძიებელი.

— არა.

— იცი, რა არის მონოგამია?

—მერე რა?

— ყორნებს ახასიათებთ, გედებს, მგლებს... ძირითადად მტაცებლებს.

— მტაცებელი ხარ? მალე თქვენს ენას ვისწავლი.

„უკანასკნელად გეკითხებით, რატომ მოჰკალი?" — პროკურორი ალშფოთებით ოხრავს. — „ოჰ, შე ნაძირალა!"

— მე მარტორქა ვარ, — იცინის ნატა, — წყალი მოვიდა?

უკვე დროა. მალე რეზო დარეკავს. სახლიდან გასვლა მინდა: ერთიდაიგივე ნივთები, საზიზღარი განწყობილება, ამოვიდა ყელში! ერთ დღეში რამდენჯერ უნდა შეეცვალოს კაცს ხასიათი?

— მეც წამიყვანთ? — მაგნიტოფონს ანთებს, — რეზომ ასე თქვა?

„რატომ მოჰკალი, გვიპასუხე" — რუხ კედელთან დამაყენეს თვალებახვეული და მუშკეტებს მიმიზნებენ, — „სამამდე ვითვლით!"

— ალბათ.

წვიმს, ქალაქგარეთ ვერ გავალთ, უკვე დაგვიანდა კიდეც.

ნატას წაყვანა უაზრობაა, სადმე რესტორანში შევალთ, რა საჭიროა!

„ერთი!"

— ჯორბენა არ სვამდა?

„ორი!"

„არ მომიკლავს!" — ვამბობ:

— საიდან გაგახსენდა?

„დაგვიმტკიცე!" — მეუბნება მოსამართლე, „თქვენ თვითონ დამიმტკიცეთ!"

— მამაჩემი სიმთვრალეში ურევდა და მეშინოდაო, მითხრა, შიშმა გაიარა, მაგრამ მთვრალი ხალხის მიმართ აგრესია დამრჩაო.

— შენ გითხრა?

— ჰო.

ადრე მეჩვენებოდა, რომ ჯორბენა ჩვენს წრეში შემოძრომას ცდილობდა. და მის სურვილს ათასნაირად ვხსნიდი, სინამდვილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოვწონდით, იმიტომ გვეტმასნებოდა. როდესაც შემთხვევით სადმე შევხვდებოდით, სიხარულისაგან ღიმილს ვერ იკავებდა, ხმამაღლა ალაპარაკდებოდა, ნერვიულად იცინოდა... მერე დაწყნარდებოდა, სიმშვიდე და მყუდროება დაეუფლებოდა... ბავშვი იყო, ციხემაც ვერ შეცვალა, პირიქით, თითქოს უფრო დაბნეული გამოვიდა. სამაგიეროდ სამსახურში რისკავდა სხვაზე მეტად, — რაც გიწერია, არ აგცდება, — ფატალიზმი სისხლში ჰქონდა გამჯდარი. აყვირდებოდა, სტრონციუმი აღმოვაჩინეო. ღიმილით გადავხედავდით ერთმანეთს: რომელი სტრონციუმი! მთავარია პროპორცია: ამდენ საშენ მასალას — ამდენი ქვიშა. დავცინებდით, გავამასხრებდით, ცოტას კიდევ იქაქანებდა და დასაჭერ საბუთზე ჩუმად მოაწერდა ხელს. პრეტენზია რომ მოვიდოდა, ისევ ჯორბენას მივდგებოდით: „თუ მართლა აღმოაჩინე, წუნის გაშვებას რატომ არ შეუშალე ხელი, გასაგდები ხარ სამსახურიდან!" ითმენდა. ოჯახი ჰყავდა სარჩენი. ითმენდა და რისკავდა... თანაც კაპიკებს ვაძლევდით. რეზოს მუშაობის პრინციპი ასეთია: მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევ. გარდაცვალების შემდეგ კი ბევრი ვინანეთ: მეტი ეკუთვნოდა.

რაღაც უცნაური დაავადება დაემართა.

სამი თვე იწვა, ექიმებმა ვერაფერი გაუგეს.

სამი თვის თავზე შევუთვალეთ, სამსახურში გამოსულიყო.

ძლივს დადიოდა, მაინც დაბრუნდა... გვეცოდებოდა, მაგრამ საქმე თავისას მოითხოვდა. მისი „გამოჯანმრთელებაც", „სამებაში" ავღნიშნეთ. საძაგელი რესტორანია, ნატას ბავშვიც მანდ ყოფნის მერე დაიღუპა, ჯორბენაც ქეიფიდან მესამე დღეს გათავდა: ზოგჯერ ცხოვრებაში ისეთი დამთხვევები ხდება, ორ სერიან ინდურ ფილმშიც რომ ვერ შეხვდება კაცი. ღვინო არ დაულევია, ბევრი იმხიარულა, მესამე დღეს კი სამსახურში არ მოვიდა, გამთენიისას გარდაცვლილა.

გასვენებაზე არ მინდოდა მისვლა, თავის დასაძვრენი ვერ მოვიფიქრე: თითქოს სვავი ვიყავი და ვინმე მისი თვალების ამოკორტნას მაიძულებდა... უამრავი ხალხი. სიაფანდები. ყალბი ჭირისუფლები. „გულისხმიერი" საუბარი... ცრემლებით სპეკულაცია...

ვიღაც ბებრუხანა დამეჯახა: ოთხად მოგრეხილი ასი წლის დედაკაცი. ვერ ვიტან დაჩაჩანაკებულ მოხუცებს, ფეხებში გედებიან... რაღა დარჩენიათ სიცოცხლეში, რისთვის არსებობენ? მაგრად აწყობილი ქვეყანა კი დაგვახვედრეს! ერთი სული მქონდა, მისთვის წიხლი ჩამეზილა, მაგრამ სათუთად მოვკიდე ხელი და ქუჩის მეორე მხარეს გადასვლაში მივეხმარე. მთელი ხამქრო იქ იყო, მილეთის ხალხი, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.

ჯორბენა... წინასწარ გრძნობდა... მაშინ ვერ ვხვდებოდი... ნამდვილად გრძნობდა.. თვალებით... საქციელით... აღსასრულს გრძნობდა. მეჩვენება, რომ მეც მინდოდა მისი სიკვდილი... გაუცნობიერებლად სულ მისი აღსასრულის მოლოდინში ვიყავი... ნუთუ ნატაზე ნათქვამ სიტყვებს ვერ ვპატიებდი? სხვა რა დამიშავა? იქნებ მხოლოდ გართობის მიზნით მქონდა ასეთი სურვილი? ახალი სიტუაცია, ახალი შეგრძნებები.. ყველაფერი მელანდება, ყველაფერს მე თვითონ ვიგონებ... დღევანდელი ხანძარი? ჯორბენასთან ერთად დანთებულმა ცეცხლმა გამიელვა გონებაში, მორიელების ცეცხლში ჩაყრა გამახსენდა, მერე გართობის მიზნით გავიფიქრე, უბრალოდ გავიფიქრე, შეუგნებლად, ჩემდაუნებურად და სადარბაზოში ცეცხლი რომ დამხვდა, არც გამკვირვებია... ჰო, ხანძარი მაინც გაჩნდეს მეთქი, გავიფიქრე, გავიფიქრე და უმალვე მიმავიწყდა. მერე კი... არ გამკვირვებია, ველოდი. ნატასაც ველოდი, ხალხის უკეთურობასაც... წინასწარ ვვარაუდობ, ვის რა ბოროტების გაკეთება შეუძლია და შემდგომში ყველა ისე იქცევა, როგორც მე მქონდა ნავარაუდები. ნუთუ რეზოს სიკვდილიც მინდა? მაგრამ რატომ? იქნებ მინდა და ვერ ვხვდები? ნინოს სიკვდილი... შვილის სიკვდილი... არა, სისულელეა! როგორ შეიძლება, ყველაფერი ჩემზე იყოს დამოკიდებული? მივქარავ... აშკარად მეჩვენება... საოცარი პარადოქსი: მე ვემორჩილები ბედისწერას, მაგრამ ბედისწერაც ემორჩილება ჩემს გაუცნობიერებელ სურვილებს — სურვილებს, რომლებიც ერთი შეხედვით მნიშვნელოვანს არ წარმოადგენენ და მიუხედავად ამისა, მაინც მთლიანად განაგებენ პირადად ჩემსა და ჩემი ახლობლების ცხოვრებას... ე. ი. მაინც მე ვარ მთავარი! ასე გამოდის...

— მაგნიტოფონი ურევს, — ამბობს ნატა, — სიჩქარეს კარგავს.

კასეტას ვცვლი... სიჩქარეს ისევ კარგავს.

ესეც ცუდად მაქვს დაცდილი: მაგნიტოფონი როდესაც აურევს, რაიმე უბედურება აუცილებლად შემემთხვევა, შემემთხვევა და მერე თავისით გაკეთდება, საათივით დაიწყებს მუშაობას.

ფანჯარასთან ვდგავარ, წვიმის წვეთები ჩარჩოზე ეცემიან, რამდენიმე ოთახშიც შემოხტა.

ნამდვილი შემოდგომაა... ივლისური შემოდგომა.

— მე წავალ, — ლალისფრად ლბილ ბიბილოს ეალუბლება, — დავიღალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონი რეკავს გაბმულად, პროვინციულად... „რეზო რეკავს ნყნეთიდან“, — უკვე არსად წასვლა აღარ მინდა, ნეტა გადაიფიქროს.

— ვუპასუხო? — მეკითხება.

— უპასუხე და სახლამდე გაგიყვან, რეზო იქნება.

— შენთან არიან, — მეუბნება აღგზნებული, — ნინოა.

ეგეც შენი მაგნიტოფონი.

ჩხუბით იწყებს, სცენებს მიწყობს:

— იმიტომ არ ვრეკავდი! გაავსე სახლი კახპებით? მომიშორე თავიდან და...

— დამლაგებელია, — თავს ვიმართლებ, იერიშზე გადავდივარ, — სადა ხართ აქამდე? — ნატა მუშტს მილერებს, სამზარეულოში გადის, ტაქტიანად იქცევა, — არ გვისმენს.

— ბავშვმა აპენდიქსის ოპერაცია გაიკეთა.

— რატომ არ დარეკე? რა ოპერაცია!

— აპენდიქსის.

— ვინ გაუკეთა, რატომ არ დარეკე?

— ჩაიარა, ყველაფერმა, შენ...

— რა მე?

— როგორა ხარ? — ხმაზე ეტყობა, რომ ვითომ ღელავს, — ეგ ქალი ვინ არის?

— არავინ, დამლაგებელია, შენ ახველებ?

— არა, ვილაცაა ჩართული.

— არავინ, დამლაგებელია. შენ ახველებ?

— არა, ვილაცაა ჩართული.

— საქალაქთაშორისოზე ჩართვა არ გამიგია, შენთან არი ვინმე?

— გაგიჟდი? რას მეუბნები!

— გაგიჟდი? — ისმის მამაკაცის ბარიტონი, — გაგიჟდი, სიმონ?

— დადე ყურმილი, შე თესლო! — ვღრიალებ.

— დადეთ, რა, ძალიანა გთხოვთ! — ნინოც ემუდარება, — მოსკოვიდან ვრეკავ.

— რას რეკავ, — ეუბნება, — ამ დაცენტრილთან დარეკვა შეიძლება!

ყურმილს ვახეთქებ.

მშვენიერი საუბარი გამოგვივიდა, მიმიფურთხებია ასეთი ოჯახისათვის: „შენთან ვინ არი, ჩემთან ვინ არი, ბარდაგია სუფთა!“

ნატამ შეშინებულმა გამომხედა და ისევ მიიმალა.

ზუსტად ისე ვარ, მდინარის ფსკერზე ფილტვებში დარჩენილ ჰაერს რომ გამოუშვებ და იცი, ზედაპირამდე აუცილებლად გაიგუდები.

„ეშმაკმა უწყის, რას ეყბედება ის კაცი ნინოს!“

ყურმილს დავწვდი, ზუმერი არა აქვს, ჩამიჩუმი არ ისმის.

— ნატა! — ვეძახი.

გატრუნულია, სამზარეულოდან აღარ გამოდის.

ხორხზე მელანქოლიის ნ[illegible]ნება თავისი ლორწოვანი სხეულით, სავარძლიდან ნატას თმის ღერს ვიღებ, ინტერესით ვაკვირდები და რატომღაც დიდი სიფრთხილით ვდებ მაგიდაზე:

— ნატა!

— რა იყო?

— გამოდი, ნუ იმალები, ნერვებს ნუ მიშლი!

* * *

ადამიანებს ცხოველებივით ცხოვრება უნდათ და რა უფლებით ვუშლით ხელს?

მეზობელი ფანჯრიდან ახალგაზრდა ინტელიგენტის თავი გამოჩნდა, რაფაზე რამდენჯერმე გადაგორდა, ვადააპურჭყა, ნანვიძარ ცას სიგარეტის კვამლი შეაფრქვია და ისევ სოროში გაუჩინარდა, — გამოლაპარაკებას მოერიდა.

ჩემამდე მოაღწია მისი პირის ღრუდან ამომსკდარმა მყრალმა ოხშივარმა. სუნთქვა შევიკავე, ლამის გავიგუდე: წელიწადში ორჯერ შემოივლის, გაიხედ-გამოიხედავს, ამოიხვნეშებს, მოილუშება და იწყებს მთავრობის გინებას, ცოდნას არ აფასებენო. შურიანი მაჩვი. მოვატყუე, რევიზია დაგვეცა, ყველას გვიჭერენ-მეთქი. სიცილი ძლივს შეიკავა, აფორიაქდა, აღფრთოვანდა, თითქოს შობას დღესასწაულობდა, ისეთი სახე მიიღო — მაჩვის სახე.

ჩემო შავტუხა, შენ რეზოს სახე უნდა ნახო, როცა საამქროდან რაიმეს წაღებას დავაპირებ: გაალმასებული ცდილობს ჩემი თხოვნით გამოწვეული გაღიზიანების დაფარვას, რისხვით ავწეტს ტუჩებს, ნაპერწკლებს აფრქვევს თვალწარბწამწამიანად. კონკურენტის გამოჩენამ ხომ საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან, მღელვარებით ალავსო პატივცემულო ვაჟბატონო, ჩვენი ბრძანებელი, ჩვენი ალფა და ომეგა.

— ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, ყოველთვის სტანჯავენ ერთმანეთს, — თავისთვის ღუღუნებს ნატა, — ეჭვი რა საკადრისია!

კონკურენტი იმ თაობის კაცია, როცა მუშტიკრივითაც შეიძლებოდა კარიერის გაკეთება და გაიკეთა კიდეც. ქვეყნის ნაცნობები ჰყავს, ფულიც ოხრადა აქვს, მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო: ქალაქგარეთ დიდი ქარხანა აიშენა, მერე პროდუქციის წართმევა მოგვინდომა, უმაღლეს დონეზე ჩაანყო — უმაღლეს დონეზე, რეზომ კი ახალი სამშენებლო მასალა გამოიგონა (ფაქტიურად იგივეა, ძველისგან მარტო სახელწოდებითა და ფასით განსხვავდება (დისერტაცია დაიც-

ვა და გამოგონება სასწრაფოდ დანერგა საამქროში. გაკოტრებას გადავრჩით, დანარჩენი რეკლამის საქმეა: სამი-ოთხი თვის განმავლობაში სუფთად ვიმუშავებთ, ხარისხს არ გავაფუჭებთ, ხალხს მოვიზიდავთ...

სალაპარაკოდ ადვილია: რამდენი წვალება დასჭირდებოდა?!

შინაურ სუფრაზე ყოველთვის იგვიანებს. მის მოსვლამდე არი ხოლმე გნიასი, ქაქანი, გამოჩნდება და ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებ, მეყსეულად გაისუსებიან, დაიხვეწებიან, — მობრძანდით, ბაგრატიჩ! დაბრძანდით, ბაგრატიჩ!... მამამისი ციხიდან გამოაშვებინა, ოფიციალურად გაამართლა ამხელა გახმაურებული პროცესის შემდეგ, ბიოგრაფია გამოიკვეთა... ცუდი მხედველობა და ღვიძლის ავადმყოფობა მოიგონა მეტი სიმშვიდისათვის: რასაც არ უნდა — არ დაინახავს, სადაც არ უნდა — არ დალევს, მგლის ეშვი დაიკიდა კისერზე, მგლის ტყავი ჩაიკერა ფეხსაცმელში, მგლის ბეწვისგან აქსოვინებს წინდებსა და საცვლებს...

— ბოროდინი ქართველია? — მეკითხება ნატა.

„რა ტუტუცები ვართ ადამიანები, რა ებოროდინება, საკუთარი უკანალისთვის ვერ მოუვლია".

ჩაბნელებული სადარბაზოდან გამოვდივარ ჩაბნელებულ ქუჩაში, გვერდით ნატას გაუპატიურებული სხეული მომყვება, უკან — რეზოს ნაპატივები მძღოლი.

— თვითონ სად არი?

— სახლში გავუვლით.

წვიმა აღარ მოდის, ნესტის სასიამოვნო სუნია; შორიახლოს ლითონის პატარა ბუდრუგანა მოუთრევიათ და მილიციელი ზის შიგ.

ლითონის ბუდრუგანა. ალბათ ალუმინის. ალუმინუმ ორი, ოპ, სამი... ან აპ, ფერუმ თქვენს ვასკაცობას!

„მოპკალი საზოგადოების ჯანსალი წევრი?"

„არა!"

„სრული პასუხი!"

„მე არ მომიკლავს საზოგადოების ჯანსაღი წევრი"... ავადმყოფი საზოგადოება:

— უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ.

— ვერ გავიგე, — ამბობს მძღოლი.

ისე მყუდროდა ვგრძნობ თავს, მანქანიდან ჩამოსვლა აღარ მინდა, საშინლად დავიღალე:

— ნატა მივიყვანოთ სახლში და უკვე ძილის დროც იქნება.

მძღოლი გაოცებული მიყურებს:

— მართლა? არ წამოხვალთ?

— წამოვალ, აბა რას ვიზამ.

ქალაქში პროვინციელი აბიტურიენტები დაფაციფუცობენ, დაათრევენ სოფლურ ვირეშმაკობას, უჯიშო ადამიანებისათვის დამახასიათებელ დაუცხრომელ ბრძოლისუნარიანობას, შურში ამოგანგლულ [illegible] ბასა და მდაბიურ სიბეჯ[illegible] — [illegible] ქალაქი ოტროველა ბიჭებითა და გომბიოებით, მათი მშობლებითა და ნათესავებით... მერედა რამხელა პერსპექტივა აქვთ წინ: რუსთაველის პროსპექტი, ლაღიძის წყალი, ნაქირავები ბინა, გარყვნილი სტუდქალაქი, ენაგატლეკილი მორფინისტები, ცისფერთვალება რასპუტინები, ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები... თქვენია, ბიძიკო, მომავალი.

— ნახვამდის, — მემშვიდობება ნატა.

— ნადი, რას უდგეხარ.

— ნავალ, — ხელს უხერხულად მიქნევს და დგას.

მძღოლს სიცილით მიჰყავს მანქანა:

— არ ეთმობით, ბატონო გიგა.

— ისე მაგის...

— არა, სინამდვილეში რა! — ყარაჩოღულად უქცევს, — ამათ უფრო იციან კაცის დაფასება, აი, მე ხო მოსკოვში ვიყავი, გავგიჟდი, ჩამოდიან მილიონერების ცოლები, აქ რო პატიოსნებაზე თავს დებენ და „ტრიაპკების" გულისთვის ბარიგებთან იჭერენ საქმეს, გავგიჟდი, რა! ფული არ აკლიათ, დაფასება არ აკლიათ, რაღა უნდათ, ვერ გავიგე.

ეჭვით გადავხედე.

ბრიყვულ სიფათზე არაფერი ეტყობა, ხასიათი კი უარესად მიფუჭდება.

რეზოს სახლთან ვჩერდებით. ეს მუტრუკი დასაძახებლად ადის, მე მოპირდაპირე კორპუსს მივშტერებივარ: ქუჩაში უამრავი ხალხია და არ მინდა მათი თვითკმაყოფილი ცხვირპირის დანახვა... პირველ სართულზე ახალგაზრდა ჭაკები მაგნიტოფონს მძვინვარედ აგუგუნებენ. ფაიფურის ჭალი. ჭაკების ჭალი. ვნებიანი ტუჩების ტუმბოსებური მოძრაობა: ტუჩებით შესრუტული მაგნიტოფონის გრუხუნი. ჭაკების გრუხუნი. ცხენი — ულამაზესი მანდილოსანი, როგორც ბრძანა მაიაკოვსკიმ... მეორე სართული... მესამე სართული... ილიჩის ნათურა... პატიოსანი ოჯახი... უცებ... აივანზე სრულიად შიშველი ქალიშვილი... თვალებსაც ვერ დაითხრი... თუმცა სინათლე ზურგიდან სცემს და მისი სიშიშვლე ალბათ მეჩვენება.

— ახლავე ჩამოვალო, — ყურში ჩამღმუის მძღოლი.

— სტრიპტიზს გვიჩვენებენ, — ვამბობ ხალისით, — ყოჩაღი მეზობლები ჰყავს რეზოს.

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ლაწირაკიც ჩერდება და თავმომწონედ შეჰლიმის ზეცას: მუწუკებიანი მომავალი თაობა...

სიგარეტს ვუკიდებ, ძველისძველ გაზეთში ვყოფ ცხვირს: არც მე მაქვს მეტი ჭკუა:

„თეთრი კაბა... საზაფხულო თეთრი კაბა“...

— მარინა! — ისმის ქალის სასოწარკვეთილი კივილი, — მარინა!

ნიავი ჩემს წინ თეთრ საზაფხულო კაბას მიაფრიალებს.

— მარინა! — კივის ქალი, — მარინა!

— ეს რა ქნა, კაცო! — ჩურჩულებს მძღოლი, — გადმოხტა, თავი მოიკლა...

რეზოს ფეხებთან მომაკვდავი ფართხალებს... ბრონეულის გასრესილი ნაყოფი.. მოლეკულების უაზრო გროვა.. მუსიკის ფონზე..

— გავასწროთ დროზე, — რეზო ყურადღებით ითვალიერებს შარვალს, — კიდევ კარგი, არ გავისვარე

მდუმარედ ვუხვევთ სანაპიროსკენ: აივნების ბუტაფორია, მანქანების რემა...

„მაგნიტოფონი მაინც გამოერთოთ“, — ვფიქრობ.

— მაგნიტოფონი მაინც გამოერთოთ, — მძღოლი ცხვირსახოცით იწმენდს შუბლს, — გაგონილა!

მტკვარი ჩვეულებისამებრ მიზოზინებს, მიდუდუნებს მტკვარი ანკარა, მტკვარი — კანალიზაციის ამაყი მილი..,

— სად მივდივართ? — ვეკითხები ფანჯრიდან სანახევროდ თავგაყოფილი.. „თავგაპობილი.., თავგაჩეხილი... მაინცდამაინც მარინა“...

— სამებაში.

— სად?

— სამებაში.

დაწყევლილი „სამება“... ჯერ ნატას ბავშვი... მერე, ზუსტად სამი წლის შემდეგ... ჯორბენა... სამი წლის წინ... ივლისში. ნატას ბავშვიც ივლისში... ახლაც ივლისი სამი წლის შემდეგ... ზუსტად სამი წლის შემდეგ.... ზუსტად მესამედ...

უიმედო სასოწარკვეთა მეუფლება, ცივი ოფლით იფარება შუბლი, საფეთქელი, სახე.. ინსტინქტურად ვეწინააღმდეგები შიშისაგან გათოშილი ხელების კანკალს... ალბათ მოვიდა ჩემი აღსასრულიც.

ეროვნული

— არ მოვდივარ, — საკუთარ [illegible] ვცნობ, — სამებაში არ მოვდივარ, სხვაგან წავიდეთ.

— ხალხია დაპატიჟებული, შეკვეთა მიცემულია, — მეუბნება რეზო, — ნუ გიყვარს აჩემება.

რომ არ გავყვე, არაფერი მომივა, მაგრამ სწორედ მაგიტომ ჩემი საქციელი ბავშვური და ყოვლად გაუმართლებელი იქნება, გაყოლა კი სიკვდილს უდრის, ტყუილად არ ხდება ასეთი დამთხვევა, მთელი სიცხადით ვგრძნობ უეჭველ დასასრულს... თანაც ეს მარინა!.. დაწყევლილი ბედისწერა. დროც რა სწრაფად გარბის, მოფიქრების საშუალებას არ იძლევა... ნუთუ არ არსებობს გამოსავალი? ნუთუ სიკვდილი მართლა მინდა?

მონუსხული მივჩერებივარ შენობებს, ხეებს, ადამიანებს... რა სხვანაირია ყველაფერი! თითქოს ჩემშიც ყველაფერი შეიცვალა, საკუთარ სხეულში სტუმარივით ვგრძნობ თავს... არა, არ მინდა სიკვდილი, უნდა მოვიფიქრო რამე,.. სასწრაფოდ უნდა მოვიფიქრო... აი, სამებაც გამოჩნდა.. ნანადირევის სუნით გაჟღენთილი სამება..,

— რამდენი ხალხია! — უკმაყოფილოდ ამბობს რეზო, — მანქანის გასაჩერებელი ადგილიც არ დაუტოვებიათ.

რეზოს რა ენაღვლება, ზის არხეინად... თუმცა.. ღმერთო ჩემო, იქნებ ამისი რიგია? იქნებ რეზოს რიგია? იქნებ ხულიგნებმა ბოთლი ჩაარტყეს ან მძარცველებმა გაუყარონ დანა? ჩემზე ეჭვს ვინ მიიტანს, ბავშვობის მეგობრები ვართ... არა, სხვა გზა არ არის, სხვანაირად ბედისწერას ვერ მოვატყუებ... ეჰ, რეზო, რეზო, სჯობდა სხვაგან წავსულიყავით?..

დაძაბულობისაგან ნერვებდაგლეჯილი ვაღებ კარს და მანქანიდან პირველი გადმოვდივარ:

— ესეც სამება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯალაღონია

## ტყის რეკვიემი

არ დაუწყია სიკვდილს ლოდინი,
ტყვიამ იწივლა შეწყდა მოტივი.
და ჩამოვარდა შაშვი ტოტიდან,
როგორც აკორდი თეთრი ნოტიდან.
გაიბზარა და უცებ დაიმსხვრა
ცა გაზაფხულის ფერით ნაგები.
თვალცრემლიანი იდგა მაისი
ერთი ლამაზი ჰანგით ნაკლები.
მთებს კი ღრუბლები მხრებით ეკავათ,
და გაზაფხული სევდას ევსო.
ტყე კი უკრავდა უკვდავ რეკვიემს,
და პულტთან იდგა ნაძვი-მაესტრო.

## ნოკო ხურციას გახსენება

ხმის ჩამწერმა „მელოდიამ" გამოუშვა ფირფიტა ნოკო ხურციას სიმღერების ჩანაწერებით.

როგორც ჩუქურთმა მარტვილის
კედელს,
შენი ხმა ქართულ სიმღერას შვენის.

საქართველოს ცას, კოლხეთის ედემს,
არ მოსწყინდება გალობა შენი.

შენი ბულბული ვარდს ისევ უმღერს
და სიყვარულის ისევე სჯერა.
ვერავინ ადგამს კისერზე უღელს,
შენს ხმას მიჩვეულ ბუსკას და ჩელას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბადება და არასდროს კვდება
ნაღდი სიმღერა და ნაღდი ლექსი,
შენი „ჰარირა“ კვლავ ცერზე დგება
უტუს შენი ხმა ისევე ესმის.

შენ ისევ აქ ხარ, შენ ისევ მღერი,
შენ ისევ ატკბობ გულსა და სმენას.
შენი ხმა, შენი ლერწამის ყელი
სალამურივით უჭირავს სენაკს.

იქაც გახარებს ის ცა და ის მზე
სამუდამოდ რომ შენს სულში დარჩა.
და სარდალივით მიუძღვის ისევ
შენი ხმა
      კოლხურ ჰანგების ლაშქარს.

## ჯუმითი

ო, მაპატიე, ჩემო ჯუმითო,
ჯუმითელებო, თქვენც მაპატიეთ.
თქვენ ქორწილებში ვერ მოვილხინე,
თქვენ ჭირში ღამე ვერ გავათიე.

რომ ვერ გავწიე თქვენი სამანი,
რომ ვერ შევმატე სოფელს სახელი —
და მუჭა მიწა
      ჩემი სამარის
თქვენს სასაფლაოს რომ დავაკელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯაბა ასათიანი

## ლურჯ ტალღას ვხატავ

ღამის ნათელო...
შენი კალთა გადმაფარე.
კვლავ შერცხვენილი დაგიბრუნდი, ქანცგაწყვეტილი.
დღემდე რაც შევქმენ, დავასახლე, ზღვარი დავუდე,
სრულიად უცხო მეჩვენება და უდღეური...

თითქოს დავტოვე ოკეანე, ვდგავარ ნაპირზე
და მაინც, ღმერთო, ველოდები ისევ თეთრ ხომალდს
და სველ ქვიშაზე
ლურჯი ტალღის დახატვას ვცდილობ.

## მოველით მერცხლებს

სახლის წინ,
ბაღში,
ვაშლის ხე დავრგეთ,
წყალი დავუსხით
თეთრ იასამანს,
ჯერ მზე დავკიდეთ
ცის კამარაზე,
მერე მთვარე და
ბოლოს — ვარსკვლავნი.
ახლა ვსხედვართ და
მოველით მერცხლებს,
თან ქართულს ვსწავლობთ —
მშობლიურ ენას,
თანდათან,
დღეში ერთ სიტყვას მაინც
მე და ათი თვის
ციცქნა ნიკო...
აუ,
რამდენი საქმე
მოგველის!

## ამოხსნილი გამოცანა

სიცოცხლე, მე რომ ორსული ქალი მეგონა.
ცხოვრება, შენ რომ ალუფხული გზა გეგონა,
სიცოცხლე, მე რომ მღვრიე მორევი მეგონა,
ცხოვრება, შენ რომ ბავშვის სიცილი გეგონა...
სახლიკაცს თურმე
სადღაც უნახავს —
ფორანზე მჯდარი ეს ვაჟბატონი
და ხელში შინდის სახრე სჭერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გასავლელი მქონდეს ბავშვობა

ჩემი ქალაქის წვიმაც მიყვარდა
და მეეზოვეც, ყოველ დილით რომ
გულდაგულ გვიდა ბავშვობის ეზოს,
სადაც თითქოსდა ერთი ოჯახი,
ცხოვრობდა ლოთი
და მეცნიერი,
ქორვაჭარი და
ბავშვთა ექიმი,
ზეინკალი და
მექრთამის დედა
და პასკვილების მარჯვე ოსტატი,
რომელიც დღე-დღე ელოდა ვიზას...
და თვითეულმა იცოდა წვრილად:
ვინ რას ჭამდა ან
რა კერძს ხარშავდა,
ვის სადა ჰყავდა
შემწე, პატრონი,
ვინ მცირედიდაც იყო მდიდარი,
ვისთან ვინ გახლდათ ხშირი სტუმარი,
ვის ვინ უყვარდა,
თავს რით ირთობდა,
ვის რა ნაღველი აწვა ლოდივით...
და აივნებზე გადმომდგარი დედაკაცები
ხარფუხის მხრიდან დაძრულ ნიავქარს
ატანდნენ სიზმრებს ჩუმი ბუტბუტით.

დღეს ისე მშვიდი დილა გათენდა,
თითქოს არ ვიყო დიდიხნის მკვდარი
და გასავლელი მქონდეს ბავშვობა.

## 1985

გალვიძებული,
ძილს ვერაფრით ვერ შეიბრუნებ.
აგე მტკვარმაც კი გადაიხსნა მკერდზე
ყინული,
მთვარე რომ ჰყავდა ხმის გამცემი და
უტყვი შემწე.
ამ დღეს ელოდა ხე, მერცხალი, თეთრი
ხომალდი
და წინაპარი —
დაკარგული უმისამართოდ.

## უთბილისოდ

მე უთბილისოდ
ვინა ვარ, რა ვარ?
ერთი ჯიუტი,
ობროდი მგზავრი,
მთვარიან ღამით გზა რომ დაკარგა
და სამშობლოში სამშობლოს ეძებს.

## მატარებლიდან

თვალს მიეფარა
მწვანე ეზო, აგურის სახლი,
გამოჩნდა ტბა და მობალახე ჭრელი
ძროხები...
ისე გეცნობა მშობლიური მიწის ეს
მხარე,
თითქოსდა ზეცამ აქ მოგტაცა
ბავშვობის ფრანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დრო-ჟამის ლალა

მედლეხვალიე ბედის მკითხავი
გეჩურჩულება დათაფლულ სიტყვებს,

თუმც კარგად იცი, რომ ამას იქით,
გზა გაგექცევა მხოლოდღა თავქვე...

მალე ზამთარიც კარს შემოგიმტვრევს
და წინ გაგიგდებს — დრო-ჟამის ლალას.

## რაც ვერ გითხარი

და ყველა სიტყვა,
რაც ვერ გითხარი,
ლია ჭრილობად მექცა ბაგეზე...
შედედებული მრუმე ჯანღიდან
სიკვდილის თვალი მომჩერებია.
— ო, ღმერთო,
იქნებ ქარად მაქციო,
თავისუფალი მხოლოდ ქარია.

## ჩემი ქალაქი

ისე მცირეა ჩემი ქალაქი
და უფრო მეტად — ქართველი ხალხი,
რომ მოსაწყენად ვერ მოგვიცლია,
ვერ მიგვიხედავს ჭრილობებისთვის...
და როცა
სადმე შორს გავექცევი,
დღემუდამ ისევ მასზე ვოცნებობ
ხმადაბლა, ჩუმად,
თითქმის ჩურჩულით,
ავ თვალს ვარიდებ ფიქრს და საწუხარს.
მე გაჩენამდეც მიყვარდა ალბათ...
თუ მაინც გავჩნდი — იქნებ იმიტომ —
გული გამეხსნა და წავსულიყავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა

## შემოდგომის მოლოდინში

გაზაფხულიც
ზოგჯერ
ისე,
ისე ულიმღამოა...
— ცაო,
სულ ამაოდ გიმზერ...
არაფერი გამოვა...

ხელს ჩაიქნევ,
წყლით აივსებ
ჩაიდანს თუ სამოვარს...
იტყვი:
— ჩაის დავლევ ისევ,
ღვინით არა გამოვა...

შენ ვერ ილილინებ სხვისებრ:
„იგი წავა,
სხვა მოვა“...
ალარ —
იგი სიხალისე...
არც იგი მზე ამოვა...

გული სხვა სიმღერას ისმენს,
ის არც ისე ამოა...
ღვინოც,
იმავ თასს რომ გივსებს,
სხვაა,
უკამკამოა...

რომ მოქარაგმ-მოანდაზობს,
ნეტავ იმ გზას რა მოაქვს?
ის ჩემი მზე,
იმ ჩემს ცაზე
მაინც როდის ამოვა?..

ტკივილს ვერვინ გაასხვისებს,
წვიმად ცრემლის ზღვა მოვა...
მაისის ცაც
ივლისის მზეც
ისე ულიმღამოა...

— შემოდგომას ველოდები,
ერთი ვნახოთ — რა მოვა!..
გულს ვადუღებ გამეტებით —
სისხლით სავსე სამოვარს...

## ოლონდაც...

რამდენი რამე ვითმინე...
თმენის დავკარგე ნიჭი...
რამდენი ღამე ვითენე...
— ძილის დავკარგე ნიჭი...

რამდენი უხმოდ ვიტირე —
ცრემლი დამიშრა თვალში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენი სისხლი ვიდინე —
ლამის სისხლთაგან დავშრი...

ცხოვრებამ დარდი მიმატა
და დრო და ქამმა — ხანი...
ვერავინ ვერ განმიმარტა
ცით მოსმენილი ხმანი...

ისევ მე გაველ ბაწარზე,
ისევ მე დავდე თავი...
ერთი ვარსკვლავი ამ ცაზე
იქნება ჩემიც ჰყვავის...

სიკვდილი დღემდე ვათრიე —
მაინც ცოცხალი დავრჩი...
რამდენი კარი ვამტვრიე —
ძვლები დამემტვრა მაჯის...

რამდენი ტყვილა ვირბინე,
რამდენგან ტყვილა შევდექ...
ველი რა შვებით ბიბინებს
რამდენი ზამთრის შემდეგ...

დღეს ადვილია სათქმელად,
დღემდის რა ცეცხლიც მენთო...
ჩამოვდნე ცვილის სანთელად,
ვენთო და დავილევენთო..

მოვკვდე დარდგაუქარველად,
ნუ შემიწყალებ, ბედო,
ოღონდაც კვლავაც მფარველად
მხარზე ღვთის ხელი მედოს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზურაბ ლომჯანიძე

* * *

გამარჯვებამდე
    ჯერ შორი არის...
გულს არ გაივლო
    შიში და დაღლა.
ჯერ მხოლოდ ძირი შემოიარე —
სხვების ნატკეპნი აღმა და დაღმა.

ხოლო იქ,
    ზევით, აწვდილს ამაყად —
მწვერვალს დაფარულს
    ღრუბლის ბორცვებით,
ჯერ ვერ სწვდები და
    არც ღირს დამალვად —
ეალერსები წრფელი ოცნებით.

* * *

დედი, წლებთან იმედებიც
ნავლდებიან, ქრებიან
და გარდასულ დღეთა ამბებს
ნაღვლიანად ყვებიან:
როგორ ვძებნე და ვერ ვპოვე
შავთვალება ქალწული,
როგორ გაჰქრა, როგორც კვამლი
ოცნებები წარსულის.

წლები, წლები — ეს ქურდები
რა უჩუმრად მიდიან,
ჩემს გზებზე კი ძველებურად
გაუვალი ბინდია...
მეტირება... მაგრამ გულში
ვხედავ ისეთ ნაპერწკალს —
ზოგჯერ ბნელს რომ გაანათებს
და ცას თეთრად გაკენწლავს...

## მზე და სიცოცხლე

ბავშვები მუდამ რად ხატავენ
                    ამომავალ მზეს,
შემდეგ კი როცა მოხუცდებიან —
მათი თვალები რად აფრქვევენ
        ჩამავალი მზის უძირო ნაღველს?
და როდის არის ბედნიერი ადამიანი?
— როდესაც მეტყველ გამოხედვაში ამომავალ მზის
    სინათლე და სითბო უნთია,
— თუ როცა კრძალვით ძირს მზერადახრილს
    ჩამავალი მზის სხივილა უკრთის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ცხოვრება როდის არის ნამდვილი, მზეო?
— როცა მას, როგორც თოთო ბავშვს ნაზად უცქერის
— თუ როცა ბებრის კუშტი მზერით ეალერსები?..

ბავშვები მუდამ რად ხატავენ
ამომავალ მზეს,
შემდეგ კი, უკვე მოხუცებულნი,
ჩამავალი მზით რატომ ტკბებიან?..

## მე ნახევრად ცხოვრება არ შემიძლია

ვიცი, რომ არასდროს ბედნიერი არ ვიქნები
და იმიტომ ვარ ნაღვლიანი.
დიდი მწუხარების დროს მე ბედნიერი ვარ.
დიდი მწუხარება ნამდვილია და თვალთმაქცობას არ თხოულობს.
დიდი სიხარულის დროსაც მე ბედნიერი ვარ.
დიდი სიხარული ნამდვილია და შელამაზებას არ თხოულობს.
მაგრამ — როგორც დიდი მწუხარება, ისე დიდი სიხარული
განუმეორებელი და წამიერია.
მაშასადამე,
სამუდამო ბედნიერებაც შეუძლებელია.

## სიზმრად ვნახე

სიზმრად ვნახე — საქართველო
ქართველებით იყო სავსე,
ღვთისმშობელი თვალნათელი
მომღიმარი გვადგა თავზე,
ტანს ემოსა თეთრი კაბა,
ირწეოდა ზღვიდან ზღვაზე.
გვერდით ედგნენ შოთა, საბა,
მოუბარნი დაბალ ხმაზე —
როგორც უწინ — უფრო უკეთ —
დარგე ვაზი; დადგი სახლი,
უხრწნელია შენი ფუძე,
უკვდავია შენი ხალხი.

* * *

როგორც ივლისის მზეს —
ცეცხლს, თაკარას,
შეუმჩნეველი დაჰკრავს ნაღველი —
შემოდგომაზე
მზეს ჩამავალს
მზერას რომ უმღვრევს,
ის ჩემს დღეებს ჯერ ახალგაზრდულს,
აფერადებულს
სისხლით და ხორცით —
შორი სიბერის მწუხრი ეცემა
და სულს მოჰყვება
ციდა-ციდა ნელი ნაბიჯით,
— ვით მდინარის პირს
საღამოს ჩრდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გაბური

## არხოტული ღამე

ეს ღამე ფიქრით გავმურეთ,
ღამე — შვების და ურვის
ხან ფანდურს აახმაურებ,
ხანაც ნანგრევთა დუმილს.

ცაზე ვარსკვლავი კიაფობს
ღრუბელს არიდებს პირსა.
ზოგჯერ ბარისას გიამბობ,
ზოგჯერ მიამბობ მთისას.

წუთი წვისა და წვალების
ქლრიალებს რვალის ხმაზე.
ხან დარდს მომაწვდი თვალებით,
ხან ყანწს არაყით სავსეს.

ამ მთა-კლდეების ვალი მდევს
გულს დაკიდული ნალმად.
ასას ხან მხარზე გაიდებ,
ხანაც აყვები ალმა.

გაუწურთნ ფერებს ავანებ,
ცის და მიწის ვალს იხდი
ზოგჯერ სიცოცხლეს მანანებ,
ზოგჯერ მანანებ სიკვდილს.

ჩამომწყდარ ზარებს ვაკივლებთ
ჩავლილ ფიქრსა და წადილს.
ხანაც ღმერთობით მაკვირვებ,
ხანაც კაცობის მადლით.

ამ ლოდინს არ ულალატებ,
ამ მთის წვიმას და თოვას.
ხან სიმარტოვეს მანატრებ,
ხანაც ქარებთან დგომას.

ამ ცის ქვეშ მამულს ილოცებ,
ამ ცის ქვეშ გწამს და გიკვირს.
ხან შემაბრალებ სიცოცხლეს,
ხან შემაბრალებ სიკვდილს...

## ერთხელ...

ერთხელ ზაფხულის სანახებს შლიდი
ლურჯი წალკოტით, ბალჩა-ედემით.
ჩაივლიდი და ჩვეული რიდით
მთელ ქუჩას შენსკენ მოახედებდი.

ერთხელ ლაჟვარდის კაბას იცვამდი,
დღეს ჩაგკრეფია მზე და უფალი.
მარტივად ცხოვრობ, ციდან მიწამდე
დაშვებული და თავისუფალი.

ერთხელ გელოდნენ ოთხივე კარით,
დღეს სინანული ყვავილობს გულთან.
ჩამივლი, გვერდით მოგყვება ქარი,
მაგრამ ქარსაც ხომ დახარჯვა უნდა.

ერთხელ აისის ცეცხლში სახლობდი,
დღეს ცა და მიწა ორივ ყრუ არი...
როგორ გახუნდა მადლი თანხმობის,
რა კარგი იყო შენი უარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საგაზაფხულო

ხეში, ჭალებში, ლაჟვარდებში,
სიცოცხლე იძრა
და ქართულ ძარღვში ნაზამთრალი
ჯიში მიღელავს.
რამდენი თბილი ოცნებებიც
დაფარა მიწამ,
იმდენი ლტოლვა
ყვავილებად ამოიღერა.

რაც შეიცვალა, რაც მიბრუნდა,
წარსულად იქცა,
ახალ სიცოცხლის მიზეზი და
სათავე ერქვას.

ამბოხი სული რამდენჯერ
მიჰფარდა მიწას,
იმდენჯერ ზეცამ განრისხებით
გადაიჭექა.

ჯილდოდ მივართვათ გაზაფხული
მათ გულებს, ვინც გვწამს,
სიხარულს ატმის ყვავილების
სამოსი ეცვას.
რამდენი წმინდა სიყვარულიც
გადიქცა მიწად,
იმდენი წვეთი დაგვაწვიმა
ცრემლებად ზეცამ.

## შემოდგომა

ისევ დაეტყო ხელებს ლოდინი,
ფერებს სევდა და თვალებს სიშორე
და მიგაცილებს ფიქრი ცოდვილის
ბოლო დუმილით, ტკივილით, შურით.

დამძიმებულა ზეცა ტიალად
და უკან მრჩება გული და თვალი.
რა იყო: შევსვი ვნების ფიალა,
თუ ეს სიხარბემ დალია წყალი?...

ცაზე გინთებდი ვარსკვლავთა
სანთლებს,
შენი ჭალები ვაშარიშურე.
რა ცეცხლი მიგაქვს, რომ ველარ
დავთმე,
რა სიცოცხლე გაქვს, რომ ვერ
ვიშუშებ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე ტალიაშვილი

# მოთხრობები

## პალტო

ლია იდგა და შეცბუნებული ილიმებოდა. ლევანს ძველი, დალილული პალტო ეცვა. მაღლა აწეულ საყელოში გრძელი კისერი ულაღლაღებდა. ორი ხელით წამდაუწუმ, მაგრამ განასკვულ ჰალსტუხს ექაჩებოდა. ყოველ დაქაჩვაზე ბაგე ელრიცებოდა და ნიკაპი განზე გაურბოდა.

— ზედმეტს არ გთხოვ, რამდენიც მჭირდება, ზუსტად იმდენი უნდა მასესხო, არც მეტი, არც ნაკლები, რა თქმა უნდა, უვადო ანგარიშით.

შინაგანი დაძაბულობისაგან ლევანს ხმა აუკანკალდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე მოისვა. მერე მკერდზე ცალი ხელი მიიდო და პასუხის მოლოდინში თავი ჩაქინდრა; ლიამ შუბლი მოჭმუხნა და ამოიოხრა. ეს კაცი ოდესღაც უყვარდა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და სიყვარული გაუნელდა. თუმცა ერთმანეთი მაინც არ დაუკარგავთ. ლევანი ხანდახან გამოუვლიდა ხოლმე, ისადილებდა, თავის გაჭირვებულ ცხოვრებაზე იწუწუნებდა, დედა დამიბერდაო, შესჩივლებდა, კიდევ რაღაც-რაღაცეებზე ილაყბებდა, წასვლისას სამ, ან ხუთ მანეთს ესესხებოდა და მადლიერი, აფორიაქებული გაიხურავდა კარს.

ვალი არასოდეს დაუბრუნებია და ვერც დაუბრუნებდა. ლიამ იცოდა, მაგრამ უარს მაინც ვერ ჰკადრებდა.

„ცოტა წელში გავიმართები და ორმაგად გადაგიხდიო", ისეთი კეთილშობილური სიამაყით იტყოდა, სახეზე ისეთი დონკიხოტისებური თავმოყვარეობა გამოეხატებოდა, რომ ქალს გუნებაში ეცინებოდა. ლევანი ახლაც გაჭიმული, რაინდივით თავმოდრეკილი იდგა და პასუხს ელოდა.

— ხომ იცი, ქართველები ვართ, ნათელ-მირონობის გატეხა არ შეიძლება, ნიკო თავისი ფეხით მეახლა სახლში, მოწიწებით მთხოვა შვილის მონათვლა, რა ვქნა, აბა? ბავშვობის მეგობარია, ხათრს ხომ ვერ გავუტეხდი? ასეა, ჩემო კარგო! ჭკვიანი ქალი ხარ, გესმის ჩვენი ტრადიციების მნიშვნელობა... უფულობის გამო უარი როგორ მეთქვა? თანაც... — კაცმა ამაყად წამოსწია მკერდი და ხელი აიქნია, — თანაც მაფასებენ!..

ლიამ დამცინავი სინაზით შეათვალიერა კაცი. მის საქციელში რაღაც მიუტევებელი და ბავშვური იგრძნობოდა. ქალი შებრუნდა და კარადისკენ გაემართა.

— იქ წასვლის მაგიერ, ჯობდა ერთი წესიერი პალტო გეყიდა, მე კი მოგცემ ფულს...

მისი ლაპარაკი ლევანს ჭკუაში არ დაუჯდა, გესლიანმა ღიმილმა შეუთრთოლა ბაგე, მაგრამ უკანასკნელ სიტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებზე ისევ გამოცოცხლდა, მიეჭრა და ხელებზე წაეპოტინა.

— ლია, ჩემო მფარველო ანგელოზო, ჩემო მეგობარო!... ოჰ, როგორი მადლობელი ვარ შენი... რაც შეეხება პალტოს, მაგაზე ვიფიქრებ, განა აქამდე ვერ ვიყიდიდი, ხომ იცი, არ გამიჭირდება, მაგრამ ჩემი გემოვნების შესაფერი არ შემხვდა. მოდაში ახლა ბუკლეს ქსოვილია, პალტო წელში ოდნავ გამოყვანილი, გადიდებული მხრებით. — ლევანმა უკან დაიხია და ლია შეათვალიერა.

— ასეთი შეკერილი პალტო შენც მოგიხდება, ჩემო გოგო, აუცილებლად იყიდე ნაჭერი, კარგ მკერავთან მე წაგიყვან.

— კარგი რა! — თავი გააქნია ქალმა და დალლილივით ჩამოყარა მკლავები. — კარგიი! — ის უკვე უჯრას აღებდა, რომ ფული ამოეღო, გახალისებული ლევანი ადგილზე ცქმუტავდა.

— კიდევ გახველებს? — ჰკითხა მოულოდნელად ალერსიანი ხმით, — მახსოვს, ამ რამდენიმე დღის წინ გაციებული იყავი.

ლიამ ამრეზით გადმოხედა.

— საიდან მოიგონე?

ლევანს ყურადღება არ მიუქცევია.

— აუცილებლად დალიე ხველების აბები, გაიგე? ან არადა, სოლუტანი, ხველება გულზე არ გადავიდეს, თორემ შეიძლება ასთმა გამოიწვიოს... მოიცა, მე შენ კარგ ექიმთან წაგიყვან, უნდა მოვიცალო.

კაცი ისეთი სასაცილო იყო თავისი საქციელითა და მოჩვენებითი მზრუნველობით, რომ ქალი გაჯავრებას ვერ ახერხებდა, ბოლოს, როგორც იქნა ფული მოძებნა, შეკვრა მაგიდაზე დადო.

— ჩემი შვებულების ფულია, — ისე საწყლად შეხედა, თითქოს არ ემეტებაო, — სამასი მანეთი. — კაცმა ხარბად შეავლო თვალი და ტუჩები გაუშრა.

— ჰო, განა არ ვიცი, რომ მარტოხელა ქალს ყაჩაღივით გძარცვავ და მთელი წლის ნაშრომს გართმევ[illegible], მაგრამ, — მხრებში მოილვენთ[illegible]ნა? 150 მანეთს თუ მასესხებ, მერე მორჩა, აღარ შეგაწუხებ... ორმოცდაათს ჩემს საქმეზე დავხარჯავ, დანარჩენს კიდევ ნათლობაში...

კაცმა მაგიდასთან მიდგმული პატარა სკამი მიიცურა და თითებით ანგარიში დაიწყო... ხელები აუკანკალდა...

— აბა, ვნახოთ რამდენი დამეხარჯება?.. მღვდელს ორმოცი მანეთი, ნათლულსაც საჩუქრები, დანარჩენიც შამპანურები, ეჰ, — ნაღვლიანად ამოიოხრა, — არც მყოფნის, მგზავრობისთვისაც ხომ მინდა.

ლიამ ისე სწრაფად დაათვარა შეკვრას ხელი, თითქოს ეშინია არ წამართვასო... მერე რაღაცნაირი გამყინავი, მძულვარებით სავსე თვალებით მიაჩერდა. ლევანმა აიხედა და სწორედ ეს მზერა დაიჭირა. უეცრად სახე მოელრიცა, ფეხზე წამოიჭრა და მაგიდას მუშტი დასცხო.

— რას დამყურებ ცხედარივით? კუბოში ხომ არ მაწვენ? — სიბრაზისგან ნიკაპი აუცახცახდა.

— დამიხედეთ ამ სათნოების და ქველმოქმედების განსახიერებას... ჯანდაბამდის გზა გქონია შენი ფულიანად!

ლიამ შეშინებით დაიხია უკან. არ მოელოდა.

— ჩემო კარგო! — მუდარით ჩამოაწყო მხრებზე ხელები. — ჩემო კარგო!

„ ჯანდაბას, ჯანდაბას, — უფრო გაალმასდა ლევანი, — მძულხარ, გაიგე? მძულხარ, იმიტომ რომ ისე იღებ მოწყალებას, თითქოს შეწირული იყო!.. არ მინდა შენი ფული, არ მინდა!

კაცმა ხელი დასტაცა ათმანეთიანებს და მაგრად მოჭმუჭნა, დაბნეული, სასოწარკვეთილი ლია ხელებში ჩაათვრინდა.

— გაგიჟდი?

— აა, დაგენანა, არა? ჩემია, ხომ მომეცი? რასაც მინდა იმას ვუზამ, თუ მინდა დავლეჭავ! — ლევანმა კბილებში გაიჩარა ფული და მართლაც დალეჭვა

დაიწყო. ქალი მთლად გადაირია. სახემოღრეცილი, თმააბურძგნული კაცი სატანას გავდა. ლიამ თავი ველარ შეიკავა, ხელი აიქნია და მთელი ძალით ლოყაზე გაულაწუნა. ლევანი გაშრა. შეცბა. პირში შერჩენილი ფულის ნაფხრეწები გადმოაფურთხა და ფეხზე წამოდგა.

— ოჰ, შე, შე... შე... — ენა ვერ მოაბრუნა — ასეთები ხართ აი, ქვეცმოქმედი, სულგრძელი ქალები! ყელში ამოუყვანთ სიყვარულს ადამიანს! — ცოტა ხანს შეყოყმანდა, მერე ერთი ცალი ათმანეთიანი შეკვრიდან ფრთხილად ამოაძრო, ზევით ასწია, უსუნა და უბისკენ გააქანა, პალტოს საყელო მაგრად ამოიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო, გაიჯგიმა და კარისკენ წავიდა.

— ეეჰ, შენისთანებს რა ესმით ან უფულო კაცისა, ან ნათელ-მირონობისა, მე მაინც ვიყიდი პალტოს! დიახ, მონა! — ზიზლით შეავლო თვალი გახევებულ ქალს და კარი გაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტიტები

მიდიან ორნი... მაღალი, პირქუში სახის მამაკაცი და კაფანდარა, ხუჭუჭთმიანი ქალი. ქალს გოგონასავით სათნო გამომეტყველება და სინაზე შერჩენია. შემოდგომის ნათელი საღამოა, მოფრიალებენ ქარისგან დამფრთხალი კაჭაჭ-ფოთლები. გზატკეცილზე მსუბუქი მანქანები მისრიალებენ... გზატკეცილს იქით ვიწრო მოედანია. მოედანზე ძაღლი დაყუნცულა. იქვე ბებერი დედაკაცი ზის. წინ ტიტებით სავსე კალათა უდგას. ტიტებს გარშემო პრიალა, გამჭვირვალე ქაღალდი აკრავს, შეკვრაში ოთხ-ხუთ ცალზე მეტი არ იქნება. თითო მანეთი ღირს.

ქალი და კაცი ისევ მიდიან. გზატკეცილის პირს მიუყვებიან. კაცი სიყვარულზე ებაასება ქალს.

— ჩემო ფსიქიკა, — ეუბნება კაცი, — ისეა მოწყობილი, რომ სიმშვიდეს მოითხოვს. სიყვარულმა არ უნდა დამღალოს, თავი არ უნდა მომაბეზროს. სიყვარული მარტოობის თავშესაფარი უნდა იყოს და არა ერთფეროვნების ნიმუში. ხშირი შეხვედრები ურთიერთმიზიდულობასა და ლტოლვას სიმძაფრეს უკარგავს... მძაგს რუტინა, გამუდმებული რეკვა და მოკითხვა... სული უნდა დაანაყრო, ჩემო ერთგულო მეგობარო, ჰარმონია თავისთავად იგულისხმება მონათესავე სულებს შორის...

ქალი უსმენს, თვინიერი, მორჩილი გამომეტყველებით, თვალები ხანდახან რაღაც უცნაური ნაპერწკლებით უელვარდება, მაგრამ მალევე აქრობს და იქით, დედაბრის ტიტებიანი კალათისკენ მიურბის. დედაბერი მშვიდად შეექცევა მზესუმზირას და დაყუნცულ ძაღლს ტუქსავს.

— სიყვარული, — პათეტურად განაგრძობს კაცი, — სულიერი სიდიადეა! ჩემთვის მთავარია სული, ამიტომაც ვაფასებ ფენომენში მშვენიერების აღქმისა და ჭვრეტის უნარს, ო, სული უდიადესია, ჩემო ერთგულო მეგობარო!.. გონებით მარტივი და პრიმიტული ადამიანი, რომლისთვისაც მხოლოდ მატერიაა მთავარი, სულს ვერ შემიქმნის... სული თანაგრძნობისთვის არის დაბადებული... მე მიყვარს მაღალი სული!..

ქალს ოდნავ უფერალდება სახე, ფეხი უბორძიკდება, თვალებზე ეტყობა რაღაცის თქმა სურს, მაგრამ მჭევრმეტყველებით გატაცებული კაცი ვერაფერს ამჩნევს, თავისას აგრძელებს.

— ვერ ვიტყვი, რომ შენ მაინც და მაინც მაღალი სულის მატარებელი ხარ, იმ სულისა, რომელიც მე ასე მამშვენებს და მხიბლავს, მაგრამ შენი სიახლოვე მაინც მამშვიდებს, მოთმენა და მორჩილება ქალის უძვირფასესი თვი-

სებაა. მე ვგრძნობ. შენშიც არსებობს ეს მონაცემები...

ქალს უკანასკნელ სიტყვებზე ჩუმად ელიმება და ისეთი გამომეტყველება უკრთება თვალებში, ბავშვის ტიტინის მოსმენისას რომ სჩვევიათ დედებს: თბილი, მიმტევებელი, ალერსიანი...

ახლა უფრო ხშირ-ხშირად იყურება მოედნისაკენ და ცქმუტავს, განზე მიიწევს, მაგრამ კაცი კვლავ ვერაფერსამჩნევს.

— სიყვარულს აღზრდა უნდა, ჩემო ძვირფასო, — ხელით ფართე წრეს ხაზავს ჰაერში.

— აი, შეიკრა სიყვარულის წრედი... ოო, მოხები, მოხები იყვნენ სამხრეთელი ქალები, იქიდან მოდის საწყისი, იქიდან, ოკეანიდან, განწვალდა ცა და დედამიწა, იშვა გრძნობა, უფაქიზესი, სათაყვანო!..

კაცი წამით ჩერდება, სახეანთებული, თვალმოელვარე, ხელგაშვერილი... ქალიც ცოტა ხანს ყოყმანობს, მერე უცებ წყდება მის მკლავს, გზატკეცილზე გადარბის და მაღ[illegible]ელ-დამშვენებული სიცილით ბრუნდება უკან.

— შეხედე, — შელიცლიცებს გახევებულ კაცს, — ხომ კარგია? შენთვის მინდოდა.

მამაკაცი დაცინვით მანჭავს ტუჩებს, ორი თითით, გულგრილად ართმევს შეკვრას და ცხვირთან მიაქვს.

— ფიჰ, არ არსებობს შენში სიმაღლე, მეგობარო, მე სულის სიმშვენიერეზე გელაპარაკები, შენ მოსმენაც არ გაინტერესებს... აი, ეს არის ფულების ფანტვა, ის დედაბერი იქ იმიტომ არის ჩასაფრებული, რომ შენისთანა პრიმიტივებს ფული დასცინცლოს... ჰმ, ტიტები, ეს უცხოური მოდერნიზება სიყვარულისა, სუნი მაინც ჰქონდეს!.. ეჰ, ქალებო, ქალებო!.. — ოდნავ დაწინაურებულ კაცს მკლავქვეშ ამოჩრილი ტიტების თაიგული მიაქვს, ნირწამხდარი, დაბნეული ქალი შეწუხებული სახით მიჰყვება უკან.

## თანამედროვე რომანი

ტახტზე წამოწოლილი ირმა ჰემინგუეის ბიოგრაფიას კითხულობდა, თან ტელევიზორისკენ მიურბოდა თვალი.

ლია ფანჯრიდან სინათლეზე ქინქლები მოფრინავდნენ, ყურის ძირთან კოღომაც გაუზუზუნა. ლოყაზე ხელი მიიტყაპუნა, მერე წიგნი გვერდზე გადადო, წამოდგა და ტახტის ქვეშ შედგმული ტელეფონი გამოაცურა. დიდხანს დაჰყურებდა, სახეზე დაძაბულობა და მღელვარება ეხატებოდა.

— თუ დარეკა, ვაპატიებ, — თქვა ხმამაღლა, მაგრამ იცოდა, რომ ლევანი არ დაურეკავდა და გულში რაღაცამ უჩხვლიტა, ატკივდა, თვალებიც მოუწყლიანდა.

„ოთახი პატარა იყო და მაინც მთელ სამყაროს იტევდა", ამოუტივტივდა უცებ გონებაში. მერე ლევანის ხმელ-ხმელი, კუშტი სახე წარმოიდგინა. — ორ კვირაში მეტამორფოზას განვიცდი, გამოვიცვლები, — გაახსენდა მისი ნათქვამი. მაშინ ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა, არც უკითხავს. შეჰყურებდა მოვლილ, იოგივით ნავარჯიშევ, მაგრამ ავადმყოფურად დაძარღვულ, გამომშრალ სხეულს და ეჩვენებოდა, რომ ეს კაცი მუდმივ სიჭაბუკეს რაღაცა მაგიური, სასწაულმოქმედი წამლებით ინარჩუნებდა. პატარა საათფთიაქო ყუთში იმდენი უცხოური და სხვადასხვა დასახელების წამლები ელაგა, რომ ირმას უკვირდა კიდეც.

— „ალბათ ასეთი იქნებოდა დორიან გრეი! დორიან გრეი!.. — უტივტივებდა თავში და უცნაური შიში ეუფლებოდა. ამ კაცს შეეძლო ადამიანის დატანჯვა. ფართე, ოდნავ წამოზიდული მოელვარე თვალებით ისე იყურებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მუდამ შთაგონების წუთებს იყო ნაზიარები...

ირმას რომ ელაპარაკებოდა, მაშინაც ამგვარი, არამიწიერი, წმინდანის იერი გადაჰკრავდა. რბილ, იისფერ ტუჩებს კბილებით აწვალებდა და ისე იწითლებდა. მოგრძო, ნატიფად ჩამოქნილ თითებში, ქარვისფერი რომ დაჰკრავდა, ფანქარს ათამაშებდა. ირმას რატომღაც სურვილი უჩნდა, წამომდგარიყო და მის წინ დაეჩოქა, მაგრამ ამ კაცის მანერები უნებურ სიძულვილსაც ჰგვრიდა. ვერ მიმხვდარიყო, რა იწვევდა სიძულვილს მის არსებაში.

— „წელან სილის გარტყმა დამავიწყდა, ჩათვალე რომ უკვე მიილე", — ეს მერე უთხრა, მისი სახლიდან წამოსვლის შემდეგ, როცა გზიდან ტელეფონავტომატით დაურეკა.

გაჯავრებით არ ჯავრობდა, არც სძულდა, ოღონდ ერთი სული ჰქონდა მარტო დარჩენილიყო საკუთარ თავთან. ეზოში რომ გამოვიდა, ყურებში ისევ ლევანის ხმა ედგა, უნდოდა როგორმე ჩაეხშო და სტვენა წამოიწყო, ჩუმად, თავისთვის. ცდილობდა არხეინი, უდარდელი გამომეტყველება შეენარჩუნებინა. მაშინაც ცდილობდა, ლევანი ტელეფონით ვიღაც ქალს რომ ესიყვარულებოდა და პაემანს უნიშნავდა.

„ჩვენში ასეთი რამეები მოდის", — ღიმილით ჩაუკრა თვალი, როცა ირმას შეცბუნებული სახე შენიშნა, — შენ ხომ ინტელექტუალური გოგო ხარ, — ცინიზმი ჩააქსოვა ხმაში, — ჩვენში ასეთი რამეები მოდის!

ნირწამხდარი ირმა ისე აცეცებდა იატაკზე თვალებს, თითქოს რაღაცას ეძებდა, თან რატომღაც გული ერეოდა. უნდოდა სახეზე ხელები აეფარებინა, მაგრამ ვითომ არაფერი, ფეხზე ფეხგადადებული, არხეინად იჯდა და ლევანს გულგრილად ულიმოდა.

— მე წავალ, აბა, — თქვა ბოლოს.

ლევანმა გამომცდელად შეხედა. სავარძელში ჩაეშვა და სიგარეტს მოუკიდა.

— ეს ამბავი ნუ შეგაწუხებს... არსებობს სული, არსებობს ხორცი, მე შენთან ყოფნა მინდა...

ირმა აღარ უსმენდა. უფრო და უფრო ერეოდა სევდა. ღია ფანჯრებზე ჩამოფარებული მძიმე, წითელი ფარდები სისხლისფერი სიბნელით ჩრდილავდნენ კედლებს. გარედან ხალიჩის ბერტყვის ხმა შემოდიოდა. ქვედა სართულიდან ქალის ხმამაღალი წყევლა ისმოდა: „მტვრით აავსეს სახლი ამ ოხრებმა", ირმას სწორედ მაშინ გაახსენდა სადღაც წაკითხული ფრაზა. „ოთახი პატარა იყო და მაინც მთელ სამყაროს იტევდა"...

ლევანი კვლავ ირმას აკვირდებოდა.

— თანამედროვე ადამიანისთვის წრფელი გრძნობები გაუცხოვდა... მე პირველყოფილ ადამიანს ვგავარ, — ელაპარაკებოდა ჩვეული, შთაგონებული გამომეტყველებით, — იკითხე რამდენიც გინდა კანტი, დეკარტე, ლაომძი... მთავარია შინაგანი, თვითნაბადი ინტელექტი... არა მჯერა, არც შენი მჯერა და რა ვქნა, მომკალი, — მოსჰრა უცებ.

ირმას აღარც მისი ინტელექტი აინტერესებდა, აღარც გული უდგებოდა. წამოდგა და გაიმეორა, — მე წავედი!

— ნუ წახვალ! — გაურკვევლად, მზაკვრულად იღიმებოდა ლევანი. ქალი ვერ მიხვდა, თვალთმაქცობდა, თუ გულით თხოვდა. საერთოდაც ვერაფერი გაუგო მის გუნება-განწყობილებას. მობეზრდა კაცის შეჯავშნული სამყარო... არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა, გაეგო მის შიგნით რა ხდებოდა... ყურთან ისევ გაიზუზუნა კოღომ...

ირმა ხილვებიდან გამოფხიზლდა. ტახტიდან წამოდგა და ტელევიზორი გამორთო. ირგვლივ სიყრუე ჩამოდგა. უფრო მომრავლდნენ ქინქლები.

„არ უნდა მეთქვა. სილის გარტყმაზე არ უნდა მეთქვა". — სინანულის ცხელმა ტალღამ შემოჰკრა გულზე, „—რაღაცა ბავშვურად გამომივიდა, თანაც"...

ირმამ ტელეფონი აიღო, — „თანაც

ვერ გაამტყუნებ, ჩემთვის არაფერი მოუტყუებია, არ ვუყვარვარ, მორჩა და გათავდა“...

ირმა უკვე ნომერს ჰკრეფდა.

„ვეტყვი, ჰემინგუეა ყველაფერში დამნაშავე-მეთქი“. — მან თვალი ჩაჰკრა წიგნის პირველ აბზაცს — „ლედი დაფი ტვისდენი განთქმული იყო იმით, რომ მრავალი სამიჯნურო თავგადასავალი ჰქონდა... ერნესტი მეტადრე მოხიბლა მისმა ქალურობამ და უზრუნველობამ“...

ირმამ თვალები დახუჭა. „არა, მე ვერასოდეს ვიქნები დაფი ტვისდენისთანა ქალური და უზრუნველი“... ფიქრით ისევ ლევანს დაუბრუნდა. წარმოიდგინა მისი ჩაბნელებული ოთახი, კედლებზე ნახევრად აგლეჯილი შპალერის ნაფლეთები, მაგიდა, რომელზეც სიგარეტის ცარიელი კოლოფი ეგდო და იდგა ტელეფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა ისე აშკარად [illegible] ხილულად, თითქოს იმ ოთახში იმყოფებოდა. საოცარი უმწეობა იგრძნო. შეიძლება ვერასოდეს ველარ ეხილა ეს სამყარო. ყურმილი ჩაიხუტა და ყური მიუგდო წყვეტილ სიგნალს... მთელი ცხოვრება იქით დარჩა, სადენის მეორე მხარეს, მიწასა და ცას შუა გამოკიდებული... მათ შორის კი მკვრივი ფენით გამაგრებულ გარსში, ლევანი იჯდა და საკუთარ ძაფზე ჩამოკიდებული ობობასავით ქანაობდა.

ირმას მწუხარებისაგან გააჟრჟოლა. ტელეფონი გვერდზე მიაცურა, თავი ხელებში ჩარგო და გაყუჩდა. ახლაღა გაახსენდა, რომ ლევანი პაემანზე უნდა წასულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანიილ გრანინი

# ჯერ კვალი არ გამქრალა

ვოლკოვის წერილები კი ისევ ვრცელი იყო. ყველაფერს დაწვრილებით სწერდა: „რამდენიმე საათის წინ შტაბში გადმომცეს თქვენი წერილი. რა უმსგავსობაა, რომ ასე დაგვიანებით მოდის წერილები! თითქმის ერთ თვეს უნდება. სამი დღის წინ შემატყობინეს, რომ ჩემი ძმისშვილი დაიღუპა; უმცროს ძმასავით მყავდა, ძალიან მიყვარდა. ორი კვირის წინ ლენინგრადში დედა გარდამეცვალა. დისტროფიამ თავისი ქმნა, ვერა და ვერ აღიდგინა ჯანმრთელობა ბლოკადის შემდეგ. სულ იმას ნატრობდა, ნეტა თვის დასაწყისში მოვკვდე, რომ სურსათის ბარათი ჩემს დას დავუტოვოო. ჩემი ძმის შვილი სინიავინთან მოკლეს, იქ ბევრი მეგობარი დამეღუპა. სულ ყმაწვილი იყო, ცხოვრებას არც კი იცნობდა, სამაგიეროდ, სიკვდილი ბევრი ნახა. არც მინდა ამაზე წერა, თქვენ ეს არ დაგაინტერესებთ, თუმცა თავაზიანად დამიწყებთ მტკიცებას, რომ ძალიან გაინტერესებთ. ისევ ისა სჯობს, იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რა ლამაზია სიცოცხლე, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. ულუფა მოგვიმატეს და თანდათანობით მოვსუქდით. ქალაქში რომ ვიყავი, რადიოთი ოლღა ბერგოლცის ლექსები მოვისმინე. რა კარგად კითხულობდა! მე მგონი, ომის შემდეგ პირველ რიგში ქალებს დავუდგამთ ძეგლებს და მათ შორის პოეტ ბერგოლცსაც. თქვენ კინოზე მწერთ, ვერ მოვასწარი მენახა: „საჰერო მეეტლე" და „ნასრედინი ბუხარაში". კინო ჩვენთვის ძნელად მისაწვდომი სიამოვნებაა. ვნახე „ანტონ ივანეს ძე ბრაზობს" და კიდევ „ორი მებრძოლი". თეატრში წასვლა ვერაფრით ვერ მოვახერხე. „ორ მებრძოლთან" დაკავშირებით თქვენ იკითხეთ, შეიძლება თუ არა, წერილებით შეიყვარო ადამიანიო. ფილმში ქალიშვილს არკადი სწერს, მაგრამ ხელს მისი მეგობარი აწერს. მას ქალიშვილი შეცდომაში შეჰყავს. მაპატიეთ, ჟანა, გამომიძახეს... ძალიან დაკავებული ვიყავი. დღეს უკვე 10, 11, ე. ი. მეორე, განვაგრძობ, თქვენი შეკითხვა უბრალო არ არის და ორივე ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანია. გიპასუხებთ ფილმისგან დამოუკიდებლად. ჩემის აზრით, შეიძლება შეგიყვარდეს, მაგრამ მხოლოდ შეგიყვარდეს და მეტი არაფერი. ნამდვილად შეყვარება არ შეიძლება და აი, რატომ — გიყვარდეს, ეს ნიშნავს, რომ გყავს ისეთი ადამიანი, რომელსაც გსურს დაუკავშირო შენი ცხოვრება. უცებ შეყვარება არ შეიძლება, ეს მთელი პროცესია — ბუნებრივი სულის ნათესაობა, ერთმანეთისადმი მისწრაფება, მომხიბვლელობა; თავიდან თავისუფალი ვალენტობა აიძულებს, დაინტერესდნენ, მერე კი შეეთვისონ ერთმანეთს. შინაგანი ცვლილებები ხდება, შენ წამდაუწუმ პოულობ ახალ, სასიამოვნო თვისებებს სხვა ადამიანში, და ის, რასაც აქამდე გულგრილად შესცქეროდი, ახლა უკვე მოგწონს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ შენ შეეთვისე, შენი სტრუქტურა შეიცვალა. ტემპერატურამ აიწია და შეერთების რეაქცია შესაძლებელი გახდა. მაპატიეთ, რომ სკოლის ფიზიკურ-ქიმიური მოდელები გამოვიყენე ამ შემთხვევაში. ჩემთვის სიყვარული არის შეყვარებულების ერთობლივი შეცვლა, როცა ორივე ერთმანეთის შესაგებებლად მიილტვის. არის აქ საერთო მოთხოვნილებები — ნესიერება, მიზანდასახულობა, იდეური ერთობა, და არის აგრეთვე უალრესად პირადული მოთხოვნილებები. დავუშვათ, გარეგნობა, ჩვეულებები და ა. შ. მაგრამ როცა გარდაქმნა მოხდება, აღარ აქცევ ყურადღებას იმას, რაც ადრე შეგეზიზღებოდა. მე აქ მეგობარი მყავს, სემიონ ლევაშოვი, რომელმაც შინიდან ანონიმური წერილი მიიღო (არცა სცხვენიათ!), რომ მისი ცოლი კარიერას იკეთებს სხეულის ყველა ნაწილის წყალობით. სემიონმა იბობოქრა, იბობოქრა და ბოლოს შეეგუა ამ ამბავს, რადგან გაგიჟებით უყვარს ცოლი.

---

დასაწყისი იხ. „მნათობი", № 11.

მაგრამ მოდით, ისევ მიწერ-მოწერას დავუბრუნდეთ. თუ წერილის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ თქვენი ზოგადი მოთხოვნილებები, პირადს მაინც ვერ ამოიცნობთ ან სულ სხვა შთაბეჭდილება შეგვექმნება. ეს სერიოზული საშიშროებაა. დავუშვათ, წერილების მიხედვით გეჩვენებათ, რომ ის წესიერი ადამიანია, მთელი გულით მოილტვის თქვენსკენ, ალალია, ახალგაზრდა, ფიცხი, მოწინავე აზროვნებისა. მან გაგიგოთ თქვენ და ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ იპოვეთ ადამიანი, რომელსაც ეძებდით, ამას ემატება ფოტოსურათი, — არამც და არამც მახინჯი არ არის. ორივე მხრიდან ნახევრად გამხელილი გრძნობები, გულახდილობა, წარმოსახვა მუშაობს და წარმოიშობა გრძნობა. შეყვარება ისევე შეიძლება, როგორც ქვაბიდან წვნიანის გემოს გასინჯვა. სინჯის ალება. თითქოს გემრიელია, მაგრამ ჭამას რომ დაიწყებთ, შეიძლება სულ სხვა ეფექტი იყოს. გინდათ, უცებ მოვსპო თქვენი სიყვარული? თქვენი თვალით რომ დაინახეთ, ძალიან მაღალი, გვერდმრუდი, უსუფთაო აღმოჩნდა, პირიდანაც ცუდი სუნი ამოსდიოდა — განა ამას გაიგებ წერილიდან? თუმცა არ გვინდა ასე უხეშად. ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ ძუნწია, კრიჟანგი. ყოველ მანეთს ზედ დაჰკანკალებს. ან კიდევ, პირველივე შეხვედრისას გეხვევათ, ყველას დასანახად გკოცნით, თვალს გიკრავთ, აქაოდა განვცალკევდეთო. არც ყვავილებია და არც გულისფანცქალი. ტრფიალი არ დაფიქრდება ერთად ცხოვრებაზე, მას არა სურს ორი ადამიანის ბედის შეერთება, არ მოითხოვს მუდმივ ურთიერთობას. ტრფიალი, ვით ყოველი გატაცება მოკლეა, თუ სიყვარულში არ გადაიზარდა. თუმცა გვეყოფა თეორიული მსჯელობა. თქვენ ხუროთმოძღვრულ წრეზე მწერდით და ეპიდიასკოპს უჩიოდით. მართლაც, ჩვენი გამოშვებული ეპიდიასკოპები ხანგრძლივი მუშაობისთვის არ არის გათვალისწინებული. გაძლევთ რჩევას: ლია ბრათს, რომელიც უნდა სხვებისთვის მეჩვენებინა, ზემოდან უბრალო მინას დავაჭერდი ხოლმე და აღარ დაიბრიცებოდა. როცა ამოვიღებდი, აუცილებლად სქელტანიან წიგნში ჩავდებდი..."

დიდხანს გაგრძელდა ეს, გულისგამაწყალებელი დაწვრილებით დაწერილი ინსტრუქციები, მხოლოდ ბოლოში მოჩანდა რაღაც ჩვენი, ფრონტული.

...ახლა 02 საათი და 33 წუთია. ფეხები გამეთოშა. ვზივარ, ყურებიანი ქუდი მახურავს. შეშა გათავდა. ნოემბრის დღესასწაულებზე ნაწილში ვმორიგეობდი. ეს წერილი ალბათ ახალი წლისთვის მოაღწევს თქვენამდე, ამიტომ გილოცავთ და მინდა, რომ ცხოვრებამ მოგცეთ ის, რასაც მოითხოვთ. ჩემს გარშემო ცხოვრება სულ გაფუჭდა, არამყარი გახდა. ის ბუნდოვანი ც[illegible]ველის, რომ თუ პასუხს მ[illegible]ებამდე უნდა ვიცოცხლო".

სწორედ საახალწლოდ მომინია მეთქვა ჩემი სათქმელი ვოლკოვისათვის — ბორისს გამოვექომაგე. თუმცა ბორისს არ უთხოვია, ვალდებულად ვთვლიდი თავს, დამებრუნებინა მისთვის მოტაცებული სიყვარული. გულღვიძლს მიწვავდა, რომ ბორისს უსამართლოდ მოექცნენ, რადგან ახალგაზრდობისთვის წმიდათაწმიდაა სამართლის აღდგენის წყურვილი. მაშინ იმ გმირებისაკენ მიგვიწევდა გული, რომლებიც დამცირებას განიცდიდნენ მათივე საგმირო საქმეებისათვის, მათ ცოლსა სწამებდნენ, სძრახავდნენ, ხრიკებს სდებდნენ, რის გამოც საყვარელი არსებები ზურგს აქცევდნენ... ერთი სიტყვით, ვოლკოვი ავკაცი იყო, ბორისი კი — კრაზანა ან დუბროვსკი. ბოლოს და ბოლოს, მაშინ ის იყო ოცი წელი შემისრულდა და ჩემი ახლანდელი გაგებით, სულ ბავშვი ვიყავი.

ოფიცრებს მხიარული ვახშამი გვქონდა. მგონი, ნაძვის ხეც იდგა, საიდანღაც მოიპატიჟეს ორი თუ სამი ქალი და რიგრიგობით ვცეკვავდით მათთან. შესვენების დროს ჩემთან მოცეკვავე ქალმა ვოლკოვს გაუღიმა, რომელიც იქვე ახლოს იდგა, და იმანაც გაუღიმა. ქალი ყურს არ მიგდებდა. მეც ავდექი, მივედი ვოლკოვთან და ვუთხარი: „გეყოფათ, სხვის ქალებს ნუ ეპოტინებით. უპატიოსნოდ იქცევით — თქვენივე ამხანაგის საცოლეს წერილებსა სწერთ. ისარგებლეთ, არა, ლუკიანოვის გულახდილობით? თქვენ გგონიათ, რახან ასეთი ერუდირებული ხართ, ყველაფერი გეპატიებათ, ჩვენ კი ბითურები და შტერები ვართ, არა?" ცივად ვუთხარი ეს, ხელები ზურგს უკან მქონდა დაწყობილი და თითის წვერებზე ვირწეოდი, თანაც ძალიან მომწონდა თავი, მეგონა ელეგანტური შურისმაძიებელივით ვიქცეოდი.

მაგრამ ვოლკოვის ღიმილმა ყველაფერი წყალში ჩამიყარა. მას აშკარად ეტყობოდა, რომ ეცინებოდა და ვაი, რომ ჩემი კილო იყო ამის მიზეზი. ვოლკოვმა მკლავში ხელი გამომდო, განზე გამიყვანა და უკვე სერიოზულად მითხრა, თქვენ საცოდავ მდგომარეობაში აყენებთ ლუკიანოვს, რომელიც აქ არ არის. ასეთ შემთხვევაში მესამე პირის ჩარევა არა ღირს. თუ ოდესმე შეიტყობთ, რა ვითარებაა ახლა, შეგრცხვებათო.

და აი, მე ვოლკოვის წერილში ვკითხულობ ამის შესახებ.

„...პირველ იანვარს ახალ წელს ვხვდებოდით, სწორედ იმ სოფელში, საიდანაც პირველად მოგწერეთ წერილი. 10.00 შევიკრიბეთ ქოხში. დავიწყეთ მოხსენებით საერთაშორი-

სო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ჩვენი ოფიცერი იყო. მნათესავით კითხულობდა, ყველასთვის ცნობილ ჭეშმარიტებას გვამცნობდა: რომ გერმანია სადაც არის დამარცხდება, რომ ჰა და ჰა, მეორე ფრონტი გაიხსნება, რომ გერმანელები თანდათან უფრო მეტ შეცდომებს უშვებენ, ჩვენ კი სულ უფრო უნარიანად ვიბრძვით და ა. შ. როგორც იყო, მორჩა. ჩვენ მგზნებარედ დავუკარით ტაში, მერე არჩევნები იყო ოფიცერთა კრების საბჭოში, სადაც მე, მონა ღვთისა სერგეიც მოვხვდი ს. ლ-ის რეკომენდაციით, რომელიც აქ ჩემი ერთადერთი ამხანაგია. არჩევნების შემდეგ ჩვენი სამხედრო ნაწილის მეთაურმა გზა დაგვილოცა ოფიცრებს: არ დათვრეთ, გინებას არ მოჰყვეთ, არ იჩხუბოთ, კონსერვები თეფშიდან ხელით არ აიღოთ, ჩანგლები იხმარეთ და ქალებს ისე მოუფრთხილდით, როგორც პურსო".

მე კი არ გამახსენდა, წარმოვიდგინე, როგორ ლაპარაკობდა ჩვენი მეთაური, ეს სწორედ მისი კილო იყო — ვერ გაიგებდი, ხუმრობდა, თუ სერიოზულად ამბობდა. მან თვითონაც კარგი სმა და მოლხენა იცოდა. სულ გვარიგებდა: როცა სვამთ, უნდა იცოდეთ, რასა სვამთ, რამდენს, ვისთან სვამთ და როდისო. გულფიცხები ნაირნაირი სასმელისგან კი არ ხდებით, არამედ სხვადასხვა თანამესუფრეებისგანო.

„ჯარისკაცებმა სკამები მიიტანეს ქოხში. ჩვენ შევედით. თეთრსუფრაგადაფარებული სამი მაგიდა იდგა და ზედ ნუგბარი საჭმელი ეწყო, რასაც გადაჩვეულები ვართ — ვინეგრეტი, პური — შავი, 25% თეთრი, კომბოსტო, შპროტი, ქაშაყი, დალოცვილი არაყი — ორ კაცზე ნახევარი ლიტრა. სათამაშოებით მორთული ნაძვისხეც იდგა, მთელი ოთახი ბრჭყვიალებიანი ბაფთებით მოეკაზმათ. ამ დარბაზში შესვლამდე პატარა ოთახი იყო, სადაც „შიპრს" ვისხამდით და ჩექმებს ვიპრიალებდით"...

ღმერთო ჩემო! აკი, მართლაც იყო ნაძვისხე! უცებ წარმომიდგა თვალწინ ოქროსფრად მოციმციმე, უფრო მეტად მოკაზმული, ვიდრე ბავშვობაში, ისეთი გულისფანცქალითა და აღფრთოვანებით გამახსენდა, რაც არასოდეს არ განმეორდება. ჩემს სიცოცხლეში ეს იყო უკანასკნელი ნაძვისხე, რომელმაც ძალიან ამაღელვა. აქ ერთმანეთში აირია ყველაფერი — ომი, ის გაჭვარტლული ქოხი, ჩვენი უხეში ოფიცრული ყოფა და უცებ ეს წარსულის ზმანება, იმ დროისა, როცა ჯერ კიდევ იყვნენ დედა, მამა, პატარა ძმა, დეიდა, ჩვენი სახლი — ჯერ დაუნგრეველი, ძველი კარადა, სადაც სათამაშოებს ვინახავდით. ნაძვისხის ძლიერი და ნაზი სურნელი, პაწაწინა ანთებული სანთლების სუნი, შობადღის სუნი აირია კომბოსტოს, ტყავის, თუთუნის, საფანტის, ომის სუნში, რომელსაც ვერაფრით ვერ მოსპობ. იქნებ ბავშვობაში [illegible] მქონია მადლიერებისა და ბედნიერების [illegible] თი მწვავე შეგრძნება, როგორც იმ ნაძვისხისგან მქონდა 1943 წლის ღამეს.

გავიხსენე და ოთახში დავიწყე ბოლთვა, თან წერილების წყალობით ვტკბებოდი ამ სურათით და ვგრძნობდი, რომ ვიღიმებოდი.

„პირველი სადღეგრძელო გამარჯვებისა შემოგვთავაზეს, მეორე — სამშობლოსი, მესამე — იმათი, ვინც გვიყვარდა. ჩამოვიდნენ მსახიობები წითელი არმიის სახლიდან".

აი, მსახიობები კი ცუდად მახსოვდა.

„ისხდნენ ჩვენთან, კატლეტებსა და შემწვარ კარტოფილს ვჭამდით, მერე ცეკვები დაიწყო. ცეკვასა და ცეკვას შუა მსახიობები თავიანთ ნომრებს ასრულებდნენ. მე კარგად ვგრძნობდი თავს, სევდა მომერია. უგუნური აზრი ამეკვიატა — გაიღება კარი და შემოხვალთ თქვენ, ცისფერ კაბაში გამოწყობილი. გაქვთ ასეთი კაბა? ხომ ხდება ხოლმე სასწაულები? თქვენ შემოხვალთ, ყველანი გრუხუნით წამოცვივდებიან ფეხზე, გაიჯგიმებიან, თქვენ ჩამოუვლით ყველას და დააკვირდებით, მე დამიწყებთ ძებნას. მაგრამ დრო გარბოდა, თქვენ კი არ გამოჩენილხართ. სამაგიეროდ, გამოჩნდა კარგად შეზარხოშებული ლეიტენანტი დ. ბ. ლუკიანოვის მეგობარი, და დამიწყო გაკიცხვა, რომ თქვენ „გაცთუნებთ" ბორისის დაუკითხავად. ნეტა რატომ ფიქრობს ზოგიერთი, რომ ნება აქვს, სხვის ინტიმურ ურთიერთობაში ჩაყოს ცხვირი, გადაწყვიტოს, განსაჯოს, რა არის მართალი და რა არა? რადიოლა უკრავდა, ხან ბაიანი და ვცეკვავდით. მე რამდენიმე საცეკვაო დავუკარი, მაგრამ ცოტა არ იყოს, სევდიანად გამომივიდა. მერე ჩაი მოგვართვეს და ბრინჯიანი ღვეზელი. ჩაი ტკბილი იყო. მსახიობები კმაყოფილნი დარჩნენ, ყველა მხიარულობდა და, ახლა, როცა ამას ვწერ, ვგრძნობ, რომ კარგი, ძალიანაც კარგი იყო. ღამის ორ საათზე ნალმსატყორცნებიდან დაგვიშინეს, ჩვენს გვერდით ნაწილში კი ფრიცებმა სცადეს ფრონტის ხაზის გარღვევა, მაგრამ კარგად დახვდნენ. ომია, დიად ქალაქს, სამშობლოს ვიცავთ, და ამასთანავე, ვჩხუბობთ, ვეჭვიანობთ, რაღაც გვწყინს, ერთმანეთს საძაგლობებს ვეუბნებით. არა, ჩვენს მისიას ეს არ უნდა ვაკადროთ. იმისი ღირსნი უნდა ვიყოთ, რასაც ვიცავთ. მე დამნაშავე ვარ და შევეცდები მოველაპარაკო ბ. ლ-ს, თუმცა არ ვიცი, როგორ. თუ გიყვარს, ოცნებობ სიყვარულზე, ეს, ჩემი აზრით, ღირსეული საქციელია, ასეთი მძიმე ომის დროსაც კი.

ხშირად მაწყვეტინებენ და ამიტომ წერი-

ლი არეულ-დარეულია. ბორისისა კი მშურს, მან, ალბათ, საერთო ენა გამონახა თქვენთან, [illegible] შეკითხვით მოგმართავთ. იმედს ვიქონიებ, რომ ოდესღაც მეც დავიმსახურებ ამას. არ ვიცი, რა დამოკიდებულება გვექნება მე და ბორისს, მაგრამ პირადად მე მუდამ მადლობელი ვიქნები ლუკიანოვისა, რადგან მისი საშუალებით გაგიცანით".

ეს იყო და ეს, ამის მეტი არაფერი მიუწერია ვოლკოვს ჟანასთვის იმ, ჩემთვის სამახსოვრო, ამბის შესახებ. უწყინრად, გაუბრაზებლად წერდა. ამას მოაყოლა ჩაი ლვეზელებით, თანაც, ჩაი რომ ტკბილი იყო, მნიშვნელოვანი გახლდათ ვოლკოვისათვის. იქნებ მართალიც არის, ამდენი ხნის შემდეგ სასაცილო, შეუთავსებელი ჩანს, რომ ცხარე ომის დროს, მოწინავე ხაზზე, ასეთი ვნებათაღელვისგან ვიტანჯებოდით. წამდაუწუმ ნაღმსატყორცნებიდან გვესროდნენ, მე კი აფოფრილი მამალივით მივვარდი ვოლკოვს — რატომ, რისთვის?

ახალი წლის შემდეგ, რამდენიმე დღე რომ გავიდა, ლუკიანოვი მივლინებიდან დაბრუნდა, მერე შეტევისთვის მზადება დაიწყო; არ ვიცი, გაიგო თუ არა ბორისმა ახალ წელს რა მოხდა, მაგრამ ეს კი იყო, რომ თავის მიწერ-მოწერაზე კრინტიც აღარ დაუძრავს ჩემთან.

„ძვირფასო ჟანა, როგორც იქნა მივიღე თქვენი 15. 04-ს გამოგზავნილი წერილი. ვერ გამიგია, რატომ არ ღებულობთ ჩემს წერილებს? ამ თვეში სამი წერილი გამოგიგზავნეთ, თითოეული ათგვერდიანი იყო. ნუთუ დაიკარგა? განმეორებით გიგზავნით პასუხს თქვენს წერილზე, რომელიც 17. 03-ს გამოგზავნეთ და სადაც არ ეთანხმებით ჩემს აზრს. თქვენმა მოსაზრებამ გამაოცა, ამ საკითხის სხვა მხარე დამანახვა, ის, რომელსაც ქალი ხედავს. თქვენ მწერთ, რომ არა აქვს მნიშვნელობა თუ ადამიანი, რომელსაც წერილებით შეიყვარებთ, სხვა სიმაღლისა, კოჭლი, ავადმყოფი აღმოჩნდება, რომ თანახმა ხართ ამაზე, წინასწარ მზად ხართ გადაიტანოთ ეს და ემზადებით იმედგაცრუებისათვის. ვეჭვობ, რომ კიდევაც გინდათ იტანჯოთ, რომ უამისოდ სიყვარული რა სიყვარულია. ოღონდ თქვენს სატრფოს მდიდარი სული ჰქონდეს და მზადა ხართ შეელიოთ საკუთარ პრეტენზიებს. როგორც ჩვენთან ამბობენ, სატრფოს მოსაბეზრებელი არაფერი აქვს. თქვენ, გოგონას, შეგიძლიათ ისე ამაღლდეთ, ისეთი რამ გააკეთოთ, რასაც მე, მოწიფული კაცი, რომელმაც ცხოვრებაში ყველაფერი განვიცადე, ვერაფრით ვერ ჩავწვდები, მხოლოდ შემიძლია ვიგრძნო ის სიბრძნე, რაც მამაკაცთა მოდგმისთვის მიუწვდომელია. აქ თვითონვე ვაკავებ საკუთარ თავს: ეს ქალწულებრივი აღმაფრენაა, სცდის, ერთი-ორი თვე ინტერესდება, მერე კი ცხოვრება თავისას გაიტანს: შეიყვარებს ვინმე, ახალგაზრდა, ლამაზი და გაცვლის, ან რატომ არ უნდა გაცვალოს მეთქი. მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ქალზე ცხოვრებისეული ჩვეული ლოგიკა ვერ იბატონებს, ის ქალის გულზე მდაბალია. სიყვარული სწორედ იმიტომაა საოცარი, რომ ანგარიშიანობას არ ემორჩილება. ჩემსა და თქვენს შორის ის განსხვავებაა, რომ მე, პატიოსნად თუ ვიტყვი, შეხვედრისა მეშინია. თან მინდა, თან მეშინია. იმიტომ, რომ მე გონებაში შევქმენი თქვენი ხატება, ხასიათი, გულში გელაპარაკებით და გონების თვალით ვხედავ თქვენს ყოველ ჟესტს. რა თქმა უნდა, ცოცხალი ისეთი არ იქნებით, როგორიც თქვენი წერილებისა და ფოტოების მიხედვით შეგქმენით. იქნებ სხვაობა დიდიც აღმოჩნდეს შესაძლოა, სინამდვილეში უკეთესიც ხართ, ვიდრე გამოგონილი, მაგრამ მე ხომ უკვე შევეჩვიე იმას, და იმ საზომით გაგზომავთ. ახლა მიხვდით, რა განსხვავებაა ჩვენს შორის? თქვენც ხომ შეგექმნათ ჩემი რაღაც ხატება, მაგრამ სულაც არ გეშინიათ..."

ამის შემდეგ ვოლკოვი, რატომღაც, დაწვრილებით აღწერს, როგორ დაესიათ ტილები, როცა გერმანელების შემდეგ სათივეში გაათიეს ღამე, რომ თივა სავსე იყო ტილებით.

„თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა საზიზღრობაა, როცა გრძნობ, რომ ტანზე ათობით პარაზიტი დაგაცოცავს და ვერც ვერაფერს ილონებ, გამოსაცვლელი საცვალი არცა გაქვს და ვერც მოგაწვდიან. მდინარის ფონს განუწყვეტლივ უშენენ ტყვიებს. გიმნასტურის, შარვლის, შინელის ნაკეცები სავსეა ტილებით, ვერსად ვერ გაექცევი. იძულებული გავხდით, ერთ თვეზე მეტი გვეთმინა. ამჟამად დასასვენებლად გადაგვიყვანეს. თუმცა მხოლოდ რვა კილომეტრით ვართ დაშორებული მოწინავე ხაზს. მაგრამ ეს ხუთი-ექვსი დღე მაინც დასვენება იყო. გუშინწინ მთლად განვთავისუფლდი პარაზიტებისაგან. ადრე დილით დავანთეთ სოფლის აბანო, გავახურეთ ქვის ღუმელი, ღუმელის უკანა მხარეს დავკიდეთ საცვლები, შინელები, ყურიანი ქუდები. ქვის ღუმელს ვედროდან წყალს ასხამდნენ და ძლივს ვასწრებდი გადმოხტომას, რომ არ დავთუთქულიყავი. შვიდჯერ გავიმეორე ეს პროცესი, შვიდჯერვე დავწყვლე ფრიცები, მერე თვითონაც დავიბანე, ღრუბლით ისე მაგრად გავიხეხე ტანი, ლამის სისხლი წამომივიდა და აი, უკვე მესამე დღეა ვტკბები სიმშვიდით. არც ერთი კბენა! დილით გავსინჯე ჯარისკაცები — სისუფთავეა! ამ საშინელებას რომ გადა-

იტან, მაშინღა დაავასებ სუფთა ბალიშისპირებიან და ზეწრებიან ლოგინს. მინდოდა მომეწერა თქვენთვის არა მხოლოდ ფლამანდიური სკოლის სურათებზე, არამედ ჩვენი ჯარისკაცული ცხოვრების ერთ ამბავზე მაინც.

„ჟანა, თქვენ რომ გენახათ იმათი სახეები, ვინც ფონი გამოიარა!.. აი, ვინ უნდა დახატონ მხატვრებმა. აქ რომ ფოტოგრაფები იყვნენ, ფასდაუდებელი სურათები გამოვიდოდა. მე მანქანის კაბინაში ვიჯექი და მდინარის ფონიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით მოძრაობის მომწესრიგებელმა ქალიშვილმა სიგნალი მოგვცა — „სდექ!" მანქანების კოლონა შეჩერდა. გავუშვით შემხვედრი ქვემეხებიანი მანქანები, რომლებიც ჩვენი პოზიციების დასაკავებლად მიდიან. განუწყვეტლივ გვიშენენ ტყვიებს, ყუმბარებს. ესვრიან ტყეს, ფონს. მე და შოფერი უსიტყვოდ ვსხედვართ მანქანაში. მანქანის ძარაში ნაღმები გვიდევს. ახლოს რომ აფეთქდება ყუმბარა, მეწინავეები უმალ მიწაზე განვებიან. ყუმბარის ნამსხვრევები ტყაპა-ტყუპით ეცემა მანქანას. საშინლად მოგვწყინდა. დრო ნელა მილოლავს. მე ხან ნამების ისარს დავცქერი, ხან ქალიშვილს. იგი დგას აფეთქებებს შორის, მიწაზე გაწოლის ნება არა აქვს, არც კი მოიხრება. უნდა იდგეს და დგას. რა არის ეს? ჩვეულება? მაგრამ განა შეიძლება ყუმბარის ნამსხვრევებისა და ნაღმების ზუზუნს შეეჩვიოს ადამიანი? მაგალითად, მე შევეჩვიე მიწაზე გაწოლას. ამას რომ მოკლავენ, სხვა დადგება, იმიტომ, რომ მომწესრიგებლის გარეშე არ შეიძლება, და ისევ აფრიალდება პატარა დროშები. რამდენი გამოვა მწყობრიდან ამ მდინარის გადალახვისას! ბოლოს ქალიშვილმა დროშა დაგვიქნია, შოფერმა გაზს დააჭირა ფეხი, მდინარესთან ჩავდივართ. ნელ-ნელა მივუყვებით მორყეულ ხიდს. მე თვალებს ვხუჭავ, როცა ჩვენს გვერდით წყლის ჭავლი ავარდება, შოფერმა კი წინ უნდა იყუროს. პირველი სიჩქარით გავედით მარჯვენა ნაპირზე, სამასი მეტრით რომ დავცილდით ხიდს, შოფერი ჩემსკენ შემობრუნდა და ყველაფერი ერთი სიტყვით გამოხატა: „გავედით!" მისი სახე რომ დაგენახათ იმ წუთში, დიდხანს დაგამახსოვრდებოდათ, ისეთი სიცოცხლის შეგრძნება ეხატა სახეზე, დაბრუნებული სიცოცხლისა. რატომ არა ვარ მხატვარი?.."

ყველაფერი ეს მეც გადამხდა: აბანო, სუფთა საცვლები, მდინარის გადალახვა და გზის მომწესრიგებელი ქალიშვილი, და ახლა ისე ჩავეფლე ამ თითქოს სამუდამოდ მივიწყებულ სიამოვნებაში, ვითვისებდი აზრს იმ ქალიშვილზე და მხატვრობაზეც კი. დარწმუნებული ვარ, რაღაც ამის მსგავსი ჩემს წერილებშიაც იყო, რომლებსაც იმას ვწერდი... გვარი ველარ გავიხსენე, მხო[illegible] სოვდა, რომ მოსკოვში ცხ[illegible] ცდა რომ ჩამეტარებინა: ის ჩემი წერილები საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი წამეკითხა, არა მგონია მივმხვდარიყავი, რომ ჩემივე დაწერილი იყო. ფრონტის ბევრ წვრილმანს ისე წავიკითხავდი, როგორც სხვის დაწერილს. თითქოს მე არ განმეცადოს ეს, თითქოს საერთო განცდები იყო — კინოში ნანახი, წიგნებში წაკითხული — ისე მიეწეპა ყველაფერი ერთმანეთს, ვერ გაარჩევდი. მაგრამ რაღაცას, რომელიღაც სტრიქონებს უცებ გამოეხმაურებოდა ხოლმე ჩემი სული, მერე კი ნელ-ნელა ამოცურდებოდა მეხსიერებაში რიცხვები, დასახელებები და გაცოცხლდებოდა დავიწყებული სცენები.

ვოლკოვის ერთი წერილი წყლის ნაჟონებით იყო დასერილი და პირველი ფურცელი ძლივს წავიკითხე. ბოლო გვერდის მინდორზე კი ირიბად მინაწერი ახსნა იყო: უბედურება მოხდა, დილის შვიდ საათზე გამეღვიძა და ვხედავ — საშინელებაა! წყალი მოთქრიალებს — თოვლის დნობა დაიწყო. ჩემი დახაზული სქემები მოისპო, წერილიც დაისვარა, გადასაწერი დრო სულ არა მაქვს, ასევე გიგზავნით დათხაპნილს. თვითონაც თავითფეხებამდე სველი ვარ. თქვენი სერგეი".

მე მოვიბუზე, გამახსენდა, წყალმა რომ იხუვლა ჩემს მიწურში. ქვევითა ტახტები წყალმა დაფარა, იატაკის ფიცრები ამოცურდა. სანგარში რაღა ხდებოდა? შევეცადე გამეხსენებინა ეს და რადგან მინდოდა გახსენება, თვალწინ დამიდგა მუხლებამდე, ის კი არა და, უფრო მაღლაც, ყინულივით ცივი წყლით გავსებული მიხვეულ-მოხვეული სანგრები. მინდვრებიდან ნაკადულებად წამოვიდა წყალი, ბრუსტვერებიდან ჩამოედინებოდა, საშიში იყო, რომ ჩვენც ამოვეყარეთ ზემოთ. საბრძოლო დაცვის დანაყოფიდან ხოხვა-ხოხვით მოვიდა ჩემი ოთხი მებრძოლი, მთელი ათეული, ყველანი თავითფეხამდე სველები. მათი დანაყოფი სულ გაივსო წყლით. თანაც, წვიმა წამოვიდა, ამან ხელი შეუწყო თოვლის დნობას. პოლკის შტაბის უფროსი ყვიროდა: თხრილები გათხარეთ წყლის გადასაგდებად, აკი გაფრთხილებდით, პოზიციები არ მიატოვოთო. მეტყვიამფრქვევეები გორაკზე იყვნენ და წყალმა გზა მოუჭრა, ვერაფრით ვერ ვახერხებდით საკვების მიწოდებას. თოვლგარეული წყალი კი მოედინებოდა და მოედინებოდა, შეაჩერა ჩვენი წინსვლა. ვერც არტილერია, ვერც ავიაცია ვერა გვშველოდა. აღარც კი მახსოვს, როგორ გავუძელით ამას. ისლა მიდგას თვალწინ, როგორ მიცურავს დიდი ვაი-ვაგლახით მომარაგებული შეშა, ხელის ტყვიამფრქვევების დისკები, ყუმბარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით სავსე ყუთი, რომელიც თავს ზევით გვეჭირა და ისე მიგვქონდა. სად მიგვქონდა? ალბათ მიწურების სახურავზე დასადებად.

იმის გახსენებაზე, რომ ამას გავუძელით, ნაგვიანევი სიამაყით ამევსო გული. ყინულოვანი ემბაზისგან მოყენებულ მძიმე განსაცდელს რომ გავუძელით, ეს არ იყო აღნიშნული არც ცნობებში, არც გაზეთებში, ამისთვის ჯილდო არ იყო დაწესებული და მეხსიერებიდანაც გაქრა, ჩაიძირა სიხარულში, რომელიც გაზაფხულის შეტევამ მოგვანიჭა. ალბათ არც ჩემს წერილებში მიხსენებია ის ეპიზოდი. ნამდვილად ვწერდი, რომ ორმოცდაოთხი წლის იანვრის მზიან დღეებში ბლოკადა მოიხსნა, დაახლოებით ისევე, როგორც ვოლკოვი წერდა: „ვათავისუფლებთ ლენინის ქალაქს, გაზეთებიდან მალე შეიტყობთ ამას. გზატკეცილზე მწკრივად მოედინებიან მსუბუქად დაჭრილები, მიჰქრიან სანიტარული მანქანები, მათ გზაზე ხვდებათ შემხვედრი მძიმე ტანკები, დესანტიანად, იარაღით დატვირთული მანქანები, მანქანებითვე მიჰყავთ ტყვე ფრიცები“... მე ხარბად ვეძებდი ვოლკოვის წერილებში ასეთ აღწერებს. ეს უფერული აღწერა კი იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა სინამდვილე მაშინდელი ფაცაფუცისა, გამიორჩეოდა ხმები, რომლებიც ოდესღაც მესმოდა იმ გზატკეცილზე, მოძრაობის სუნები, რომლებსაც ახლა გადავეჩვიეთ, ამ მოძრაობას შესანიშნავი სუნი ჰქონდა: ბენზინის, დიზელის ჭვარტლის, და გადათხრილი ასფალტისა. მივარღვევდით თებერვლის ნესტიან ჰაერს და ესტონეთში შევდიოდით. აი, ისიც. „თხუთმეტი გრადუსი ყინვაა, ღამე ღია ფარდულში მეძინა, გავითოშე, გარშემო ტყვიები ზუზუნებენ, ყუმბარები სკდებიან. ბევრი თანამებრძოლი დავმარხეთ. მეორე წერილშიც ასევე წერს: „ესტონეთის ტყეები. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. მშვენივრად მოჩანს ორიონი და სირიუსი. კარავში ვწევარ. გვერდით მებრძოლები წვანან. ყველას სძინავს. ორი კილომეტრის იქით ბრძოლის გრიალია. ჩვენი „კატიუშები“ ღმუიან. ზევით თვითმფრინავი მიფრინავს... ყვირილი გაისმა: „სდექ! ვინ მოდის?“ ცაში აიჭრა სასიგნალო რაკეტები. გუშინ ორი ყუმბარა ჩვენი კარვიდან დაახლოებით ათი მეტრის დაშორებით ჩამოვარდა. ჩვენ ვიწექით და სიკვდილს ველოდით, მაგრამ ყუმბარები არ აფეთქებულან. ჩემი ბიჭები ყველანი გადარჩნენ და ამიტომ მშვენიერ გუნებაზე ვარ“.

„ვზივარ ჩემს ფარდულთან და კოლოებს ვჭყლეტ. ნადიამ ვედროში ცეცხლი დაანთო და ხავსი ჩადო. მზარეულმა ჩაგვიარა, სამხედრო ნაწილის მეთაურთან მიემართება მენიუს დასაზუსტებლად. ვკითხე, ხვალ რას გვაჭმევ-მეთქი. მისმინეთ: საუზმედ — ლობიოს ფაფა, სადილად — ატრიის წვნიანი, ქაშაყი კარტოფილის პიურეთი“.

ერთი სახლის სხვენზე ნაღმებს რომ ვეძებდი, საინტერესო გაზეთი ვიპოვე და შევინახე. მიყვარს ასეთი რამეები: „გაზეთი-კაპიკი“ 1915 წლის 17 აპრილისა. შიგ საინტერესო ცნობებია: „ცეპელინები ინგლისის ცაზე“, „როგორ უნდა ილაპარაკონ ტელეფონისტმა ქალებმა“.

„გუშინ მშვენივრად ვისადილეთ. პირველი — ჩრდილოეთის ორაგული. წვნიანი, დაბეგვილი კატლეტი ბრინჯის ფაფით“.

ნეტა რა ხეთქვაზე წერა აუტყდა ვოლკოვს? საკმაოდ უტაქტოდ გამოუვიდა, თბილისში იმ დროს ბევრი არაფერი იყო საჭმელი. მაგრამ მე უკვე იმ დროში ვიყავი ჩაფლული და მოვისაზრე, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა — მოხარშული ნაცარქათამას, კომბოსტოს დამპალი ფურცლების, პურის განაწილების, შეშუპებულობის, დისტროფიის, ძირმაგარების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩემი ასეულის ჯარისკაცი სინიუხინი გაასამართლეს სამზარეულოდან კარტოფილის მოპარვისათვის (მოიპარა და უმი კარტოფილი შეჭამა) ყველაფერი ამის შემდეგ — უხვმა და ნაირ-ნაირმა საჭმელმა შეძრა ჩვენი სულები. ჩრდილოეთის ორაგულის ნაჭერი — არაჩვეულებრივი სანახაობაა, ისევე როგორც სამი თავი სადილი თავისი საუზმეულით — თერმოსის მაგვარად, რომელსაც ღამე მივართევდით დამაკავშირებელი გზებით და მერე ათეულის მიწურთან კარდალებით ამოვხიპავდით ხოლმე გაყინულ დურდოს. მერე მაკარონიან წვნიანში ჩავყრიდით და ეს გვქონდა საუზმედ, სადილად და ვახშმადაც. ზოგჯერ ჭურვის ნამსხვრევი მოხვდებოდა თერმოსს და მაშინ პურსა და შაქარსლა ვჭამდით.

ნადია რომ გამახსენა, ამისთვის დიდი მადლიერი ვარ ვოლკოვისა. ნადიას ყვირილზე რომ არ მოვხრილიყავი, თავისქალას გამიხვრეტდნენ. რამდენჯერ უშველია ჩემთვის რაღაცას! სხვა სანგარში ჩახტებოდი და ყუმბარა ნაფლეთებად გაქცევდა, შეყოვნდებოდი და ჭურვი მოგხვდებოდა. რამდენჯერ გავექეცი ასე სიკვდილს. საკმარისი იყო მისი გაყინული ფრთა შემხებოდა, რომ მაშინვე ამოძვრებოდა სიცოცხლის სურნელი და ფერები. ასეთი იღბლიანობისგან ალტაცება თითქოს სამუდამოდ უნდა დამრჩენოდა კაშკაშა მოგონებად, მაგრამ ნურას უკცრავად, წაიშალა, გადამავიწყდა. ის ოთხი წელი საშინლად გაგრძელდა. დანარჩენი, ომისშემდგომი წლები შეიკვეცა, მონოტურ არსებობად გადაიქცა. მხოლოდ წლები კი არა, ათწლე-

ულებიც მიეწეპნენ ერთმანეთს ისე, რომ ვერც კი გამოარჩევდი.

ბორისი ისევ ისეთ წერილებს სწერდა ჟანას. იმედის ნაპერწკალი კიაფობდა მის გულში და საინტერესო ის არის, რომ ჟანა დროდადრო თითქოს აღვივებდა ამ ნაპერწკალს. ბორისი რაღაცით მაინც იზიდავდა მას, რომელილაც ძაფი ჯერ არ გამწყდარიყო. ალბათ მისი გულუბრყვილობა, ერთგულება, პირდაპირობა იზიდავდა, ან იქნებ ჟანას ღლიდა ვოლკოვის ჭკვიანური მოსაზრებები, მისი მოწიფულობა, განათლებულობა...

ლია ბარათების მთელი დასტები იყო, ზედ გამოსახული ლენინგრადით. ყოველ მათგანზე ეწერა ვოლკოვის ახსნა-განმარტება — რა შენობა იყო, ხუროთმოძღვრის ვინაობა, როდის აეშენებინათ ის შენობა, ვოლკოვს არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა.

„მარჯვნივ დგას ერთ-ერთი სვეტი დიდების გენიებით შემკული, რომელიც პრუსიელმა ფრიდრიხ ვილგელმ IV 1845 წელს აჩუქა ნიკოლოზ I-ს. სვეტის უკან მოჩანს ყოფილი ცხენოსანი გვარდიის მანეჟის კარიბჭე, კვარენგის გაკეთებული (1804 წ.)"

დანარჩენიც ამის მაგვარად ეწერა. ვოლკოვი ატყობინებდა ჟანას, მიწერ-მოწერა მაქვს ვოლოგდელ ქიმიკოსთან მ. ჩუევასთან იმის თაობაზე, თუ რატომ კრისტალდება მარილი კუბის მაგვარად, მასთან ერთად ვარჩევ არაორგანული ქიმიის რაღაც პრაქტიკულ საკითხსო. ხუროთმოძღვრების გარდა იგი მსჯელობდა რემბრანდტის, რუბენსის, ვან-გოგის, პიკასოს ფერწერაზე, კლოდ მონეს სურათზე „კაპუცინების ბულვარი პარიზში". რუსი მხატვრებიდან — სავრასოვზე, ლევიტანზე. წერდა თეატრზე, აკრიტიკებდა სიმონ ჩიქოვანის წერილს „ქართული ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში". ვოლკოვის შენიშვნები არ იყო უწყინარი. ჩიქოვანის სტატია მან დაუნდობლად გააკრიტიკა, მაგრამ ეს გაუფრთხილებელი გესლიანობით დაწერილი კრიტიკა სიამოვნებით იკითხებოდა.

საშიში იყო, რომ ვოლკოვს სიფრთხილე ავიწყდებოდა. მის წერილებს ჟანა, ეტყობა, შიშით კითხულობდა. ეს იქიდან დავასკვენი, რომ ვოლკოვი ქალიშვილს საყვედურობდა: მიკიბულ-მოკიბულად რატომ მპასუხობთო. იქნებ, შეტევაზე რომ გადავედით, ის აუვარდა თავში, მაშინ ყველას წარმატების ეიფორია გაგვიჩნდა. თანაც იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც არც ტყვია შეხებია, არც ნაღმის ნამსხვრევი. შელოცვილივით მარჯვედ მოქმედებდა როგორც ჩვენს, ისე გერმანულ ნაღმებთან. ასეთ იღბლიანობას არ შეიძლებოდა კარგი ბოლო ჰქონოდა. საერთოდ, საკუთარ იღბლიანობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაშ, რატომ სწერდა ჟანას, უვნებელი ვარო? ომში ძალიან ბევრი ცრურწმენა. იქ მეტად ბევრი რამეა დამოკიდებული შემთხვევისაგან. როგორც არ უნდა დასცინოდე ცრურწმენას, მალულად მაინც, მიაბრუნებ თავს მარცხნივ და გადააფურთხებ.

ტარტუს რკინიგზასთან რომ მივედით, შეგვცვალეს და დასასვენებლად გავჩერდით. არმიიდან გენერალი მოვიდა ჯილდოების დასარიგებლად. ორდენს რომ გვიმაგრებდა მკერდზე, თან სახეში შემოგვცქეროდა, ძნელი გასაძლები იყო მისი მორძისფრო-მოცისფრო თვალების მზერა, მე ძლივს შევიკავე თავი, კინაღამ თვალი არ ჩავუკარი. მერე არაყი და ბუტერბროდები მოგვართვეს. გრძელ მაგიდასთან ვიდექით, გენერალი დადიოდა და ყველას ჭიქას უჯახუნებდა. ვოლკოვთან შეჩერდა. მისი გარეგნობა შეაჩერებდა ხოლმე უფროსებს. შემმოწმებლები, კორესპონდენტები, ინსტრუქტორები მუდამ მას მიმართავდნენ. ან ჩამოქვეითებული პოლკოვნიკი, ან შემთხვევით მობილიზებული დირექტორი ეგონათ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, ლეიტენანტობა რომ არ შეეფერებოდა. გენერალი გამოელაპარაკა. ვოლკოვი მოკლედ, პირქუშად პასუხობდა. არც დაულევია. გენერალი არ იყო დაჩვეული ასეთ უყურადღებობას. აღარ მახსოვს, როგორ ჩაითრია ვოლკოვი საუბარში ჩვენს ოპერაციაზე, რომლისთვისაც ჯილდოები დაგვირიგეს. ვოლკოვმა უთხრა გენერალს: მდინარის გადალახვა და რკინიგზასთან გამოსვლა სხვანაირადაც შეიძლებოდა და არც ამდენი ხალხი დაიღუპებოდაო. გენერალი შეეპასუხა, რაღაც უთხრა, მაგრამ ვოლკოვი თავისას განაგრძობდა, მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს, არ მისცა საშუალება გენერალს, რომ სიტყვა შეეწყვეტინებინა. მისი ხმა სპილენძისებურად ჟღერდა. იმ შეტევის დროს მთელი ასეული დაიღუპა. მათ შორის სემიონ ლევაშოვიც, მაგრამ ვოლკოვს მაინც არ ჰქონდა ნება ასე მოქცეულიყო, დღესასწაული ჩაეშხამებინა ყველასათვის. უფროსებმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს, რომ ჩვენ პირში ვეცით ვოლკოვს, რადგან ნათელი იყო — ჩვენ დანაკარგი კი არ უნდა გვეთვალა, შტაბის წარმომადგენლებთან კი არ უნდა გვეჩხუბა, არამედ წინ უნდა გავჭრილიყავით და ფაშისტებთან გვებრძოლა. მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ვოლკოვი ჩვენს გმირობას დიდების შარავანდედს აცილდა, გვამცირებდა უფროსების თვალში, რომლებიც ასე კარგად გამოეხმაურნენ იმ ბრძოლებს. რა ჩვენი საქმე იყო დაღუპვები გვეთვალა, ჩვენ ბრძანება უნდა შეგვესრულებინა. ისე გავუბრაზდით ვოლკოვს, რომ თავი აიშვა და ღმერთმა უწყის, რა აღარა თქვა — ორდენები დახოცილების ხარჯზე მივიღეთო. მეორე დღეს სათი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოდ გამოგვიძახეს ყველანი და ჩვენც არ დავინდეთ, სამაგიერო გადავუხადეთ ვოლკოვს ახლანდელი ლაპარაკისთვისაც და წინანდელისთვისაც.

ამ ამბის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მე სატანკო პოლკში გადამიყვანეს და მერე ვილაცისგან გავიგე, ვოლკოვი დაესაჯათ. მისი შემდეგი ხვედრი კი დასავლეთისაკენ მიმავალი ჩვენი ტანკებისა და თვითმავლების მტვერში გაეხვია.

მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით მოხდა. ჯერჯერობით კი ვოლკოვის წერილებში მშვიდი არცოდნა სუფევდა. ერთ წერილში მთელ გვერდზე ნახატი იყო — სახლის ნანგრევები, ქვის კიბის საფეხურები, დაკლაკნილი ბეტონის საბჯენები. რკინის ლუმელი საძირკველზე იდგა. „დაადგინეთ ამ ნანგრევების მიხედვით რა სტილის შენობა იყო, როგორ უნდა აღვადგინოთ. ჩვენ ახლა დანგრეული ქალაქების აღდგენა მოგვიხდება და უნდა შევისწავლოთ ჩვენი ისტორიისთვის ძვირფასი ნაგებობები. ლუმელზე ჩიტი ზის, თავი გაზრდია ფლუსისაგან, ფლუსი ჩემია, მაგრამ ჩიტი ამის გამო დიდხანს ვერ იჭიკჭიკებს".

ზოგიერთ გადაკრულ სიტყვებს, ხუმრობებს, ვერა ვხვდებოდი, ეტყობა მათი ჩვეულებრივი გამოთქმები იყო, რომლებიც სწრაფად მატულობდა. ვოლკოვმა სცადა, ამოეცნო ჟანას ხასიათი, დაეხატა მისი პორტრეტი. სიმართლის მოყვარულმა ვოლკოვმა, ეტყობა, ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა, იმიტომ, რომ ჟანა გაჯავრდა და ერთხანს წერილებზეც აღარ პასუხობდა.

„რამდენჯერმე ვიყავი საბრძოლო დავალების შესასრულებლად და სიცოცხლესაც ვემშვიდობებოდი. მოხდა ისე, რომ აღარ მჯეროდა, თუ ამცდებოდა ესე ფიალა. ერთხელ მე და ორ ჯარისკაცს გერმანელებმა გზა მოგვიჭრეს და ჩვენებმა დალუპულად ჩაგვთვალეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მაინც დავაღწიეთ თავი და გავედით სამშვიდობოს. დავბრუნდი თუ არა, პირველყოვლისა წერილები მოვიკითხე, დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი წერილი დამხვდებოდა. ეგ რწმენა მშველიდა მთელ გზაზე. მაშინ, როგორც არასოდეს, ისე ვგრძნობდით სიცოცხლეს — დავბრუნდით, არც დაჭრილები ვიყავით და დავალებაც შევასრულეთ. ყოველი წვრილმანი გვახარებდა — პურის, ცხელი ფაფის გემო, საწოლის სირბილე, რომელზედაც შეგვეძლო გავშხლართულიყავით მაზარაგახდილები. წერილი არ დამხვდა. ეს შეუძლებლად მომეჩვენა. რატომ აღარა მწერთ? ისე მოხდა, რომ თქვენზე ახლობელი ამჟამად აღარავინ მყავს, არც აქ, ნაწილში, არც სადმე სხვაგან. მე არა მაქვს უფლება, დაგადანაშაულოთ, ან მოგთხოვოთ რამე, ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერს [illegible]ობა ასაზრდოებს. თქვენ რო[illegible] მიწერ-მოწერის შეწყვეტა, მე რა შემიძლია ვილონო? არაფერი. არც მესამე პირი გვყავს ვინმე, რომ მეკითხა, რა მოხდა. ბორისს ხომ ვერა ვკითხავ ამას, თანაც ვერცა ვხვდებით ერთმანეთს, იგი მეზობელ ნაკვეთზეა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი წერილის თარიღი 1944 წლის 14 ივლისია. ამ წერილში ერთი სიტყვაც არ არის დაჯილდოვებაზე და იქ მომხდარ ამბავზე. არის ასეთი სტრიქონები: „დაიღუპა ჩემი მეორე ძმისწული. დაიღუპა ჩემი ამხანაგი სემიონ ლევაშოვი. მას შვიდი წლის ძმა დარჩა, მშობლები ბლოკადის დროს დაეხოცა, პატარა ძმა კი ევაკუირებულია სარატოვში საბავშვო ბაღთან ერთად. გადავწყვიტე, ვიშვილო ეს ბიჭი, თუ ცოცხალი გადავრჩი. თქვენ ხომ არა ხართ ამის წინააღმდეგი?

და უცებ ვოლკოვი ხუმრობის, უდარდელ კილოზე გადადის:

„ჯვარს კათოლიკურ ეკლესიაში დავიწერთ — გვაქვს ასეთი ნევის პროსპექტზე. შემდეგ მართლმადიდებელ ეკლესიაში გავემგზავრებით — ვლადიმირის ტაძარში, იქიდან მაჩაბში; ამის შემდეგ თბილისში წავალთ და იქ ყველაფერს გავიმეორებთ. ორცოლიანებს სჯიან, ორმაჩხიანებს? საერთოდ, თუ ყოველ წელს გატარდები მაჩხში?.. თქვენთვის შევუკვეთე წიგნი „ირაკის ფერწერა", თუ ვიშოვე, მაშინვე გამოგიგზავნით".

ვცდილობდი, გამეხსენებინა ცხოვრების პატარა, ბოლო შუალედი — იმ ბედუკუღმართი ამბიდან ჩემი ტარტუდან წასვლამდე. იქ, დასასვენებლად რომ ვიდექით ტარტუში, როგორი იყო ვოლკოვი ჩვენი განშორების წინ? მაგრამ, რატომღაც, მაშინვე თვალწინ წარმომიდგებოდა მისი მძიმე, ჩაფიქრებული, მშვიდი სახე. თითქოს იცოდა, რა საფრთხეც მოელოდა, მაგრამ ისე აღიქვამდა ამას, როგორც გარდუვალ ბოროტებას, როგორც ჩვენ აღვიქვამდით გაყინულ წყალს, სანგარს რომ დატბორავდა. და ასე, უკან სვლით რომ წავიდა ჩემი ფიქრები, სულ სხვა თვალით დავინახე მისი გენერალთან შეჯახება. თითქოს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, რასაც მაშინ ამბობდა. ისე რომ, ვოლკოვის მაშინდელი საქციელი აფეთქება არ ყოფილა, უბრალოდ, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, საკუთარი აზრი გამოეთქვა. ესე იგი, თითქოს წინასწარ უშვერდა თავს იმ უბედურებას, რაც მერე დაატყდა.

თუმცა იქნებ ახლა გამოვიგონე ეს? იქნებ ჩემი წყეული გულმავიწყობის ხრიკებია და მლიქვნელურად მიხატავს იმას, რაც მინდა?

საკუჭნაოში ერთი დიდედაჩემის კიდობანი

გვედგა. დიდი, გამძლე კიდობანი იყო. ზედ სახიანი რკინის სამაგრები ერტყა. ესლა დარჩა მათი ფლუგერიანი სახლისაგან, რომელიც ოხტენში იდგა. ამ სახლს თუჯის კიბე და გაპრიალებული მოაჯირი ჰქონდა. ამ კიდობანში ისეთ რამეს ვდებდი, რასაც გადაგდებას დაუპირებდნენ. ასე გადავარჩენდი ხოლმე ბევრ ძველებურ ნივთს: ვალმოხდილ, ლესვისაგან დალეულ სანადირო დანას, ჩემი ქალიშვილების სასკოლო რვეულებს — ასე მეგონა, რომ გაიზრდებოდნენ, ესიამოვნებოდათ თავიანთი ნაჯღაბნის ნახვა; სიგელებს, რომლებსაც ჩემი მეუღლე იღებდა, გაზეთების რომელიღაც ნომრებს. იქვე იყო ჩემი მედალიონი, — შავი პლასტმასის პატარა ვაზნა, შიგ იდო ქაღალდზე დაწერილი გვარი და სხვა მონაცემები ჩემი გვამის გამოსაცნობად. სიკვდილის მედალიონი. ამაზე უკეთესს ვერაფერსს ჩამოვიტანდით შინ, ბებიაჩემის თქმისა არ იყოს, ეს ყველა მედალს და ჯილდოს სჯობდა. პილოტურა, საველე სამხრეულები, ტტ ს მჭიდე, სატანკო მუზარადი და საველე ჩანთაც იქ იდო. ამ საველე ჩანთაში აღმოსავლეთ პრუსიის რუკის ბოლო ფურცლები იყო, აგრეთვე ტრიპლექსის პრიზმა და ქაღალდები. ეს ჩანთა კირზისა იყო, მერე ტყავისა შემომთავაზეს, მაგრამ ძველ ჩანთასთან შეჩვეული ვიყავი და ისევ ის დავიტოვე. ისე მომბეზრდა ეს რელიქვიები, რომ ერთხელ შევახვიე ფუთაში ჩემი სამხედრო ნივთები, მინდოდა გადამეგდო. ჩემმა მეუღლემ სცადა სასკოლო მუზეუმისთვის გადაეცა ეს ნივთები, მაგრამ იქ უკვე ჰქონდათ პლანშეტებიცა და საველე ჩანთებიც.

ახლა კი იმიტომ ჩამოვედი აქ, რომ კიდობანი გადამექექა. ერთ-ერთ საერთო ფოტოზე უნდა ყოფილიყვნენ ვოლკოვიცა და ბორისიც. იქნებ ბორისის ის წერილიც მქონდა შენახული, რომელიც კენიგსბერგთან დამეწია. იქაც შეიძლებოდა რამე საინტერესო ყოფილიყო.

კიდობანს ავხადე თავი და შმორის მოტკბილო სუნი მეცა ცხვირში, და კიდევ სუსტი სურნელი, რომელიც ბავშვობიდან მახსოვდა, როცა ეს კიდობანი დიდედასთან იდგა და მწვანე პლუში ჰქონდა გადაფარებული. მაშინ გამოქვაბულივით ვეებერთელა მეჩვენებოდა. უკვე დიდი ხანია, იქ აღარაფერი შემენახა. ადგილი ბევრი იყო ამ წარსულის შესანახად კიდობანში. თუმცა, ახლა, ეტყობა სიცოცხლის ისეთი პერიოდი დამიდგა, რომლის გახსენება აღარ მომიხდება. კიდობნის შევსების დონე შეეფარდება სიცოცხლის იმ ვადას, რომელიც მოგონებებისთვისაა განსაზღვრული, ვფიქრობდი მე.

ვიდექი და ვერ ვბედავდი კიდობნიდან საველე ჩანთის ამოღებას. არ მინდოდა არაფრისთვის ხელის ხლება. სიანდვილეში, სრულიად პატიოსნად ვუპასუხე [illegible] არ ვიცნობ-მეთქი. როცა მე[illegible]ლებით აღარ მახსოვდა. ასე ივიწყებენ იმას, რაც უნდათ, რომ თავიდან მოიშორონ. ეს იყო მეხსიერების წინააღმდეგობა, მისი ინსტინქტი.

რა არის მივიწყება, ვფიქრობდი მე, მეხსიერების სისალე თუ ავადმყოფობა? მივიწყება სიკეთეა თუ ურჩხული, რომელიც უძვირფასესი ადამიანების სახეებს შთანთქავს? მათი სახელები გესმის, მაგრამ სახეები გამქრალან, მხოლოდ მომწვანო ლაქა ლივლივებს, მოგიახლოვდება, მაგრამ მასში ვერაფრით ვერ გამოიკვეთება შენთვის ძვირფასი ნაკვთები. მათ მაგივრად უცებ, თითქოს დაცინვით, თვალის ჩაკვრასავით, გამოგეცხადება ვაგონის ლაყლაყასიფათიანი თანამგზავრი. რატომ ამოანთხევს მას მეხსიერების ურჩხული? ზოგჯერ კი მეხსიერება მთლიანად დაიმორჩილებს ადამიანს, და მას ენყება მეხსიერებისგან ტ ა ნ ჯ ვ ა. ჩვენ გვყავდა ერთი თანამშრომელი, ჩუმი, მორიდებული ქალი. ერთხელ, როცა იგი ბლოკადაზე გვიამბობდა რაღაცას, რომელიღაც ქალიშვილმა უთხრა: „თქვენი ბლოკადა რა დიდი ამბავია, ნამდვილი ბლოკადელები ყველანი პესკარევის სასაფლაოზე წვანან". ამ, მრავალი წლის წინ მხდალების მიერ წამოსროლილ სულელურ, ის კი არა და, საზიზღარ სიტყვებს, ახალგაზრდები დაუფიქრებლად იმეორებენ ხოლმე. ქალი კი ამ სიტყვებმა ისე შეძრა, რომ უცებ აწრიალდა და მას შემდეგ თავისივე მეხსიერება ეცა და დაიმორჩილა. მან ყინვიან ზამთარში ჩაიცვა ნაბდის ჩექმები, წელზე შალი შემოიხვია, როგორც ბლოკადის დროს აკეთებდნენ, გავიდა ქუჩაში და დაადგა იმ გზას, ბლოკადის დროს რომ დადიოდა. იდგა საპურესთან კედელზე მიყრდნობილი, დასასვენებლად პანელზე ჯდებოდა, მერე ჭიშკრის ქვეშ დაწვა, იქ, სადაც ორმოცდაორ წელს იწვა. როცა გაიგეს, ავადმყოფი არ იყო, დიდი ბრბო შეიკრიბა. მეტი წილი არ იცნობდა, ჩაფიქრებულები იდგნენ და დაჰყურებდნენ ქალს. ის კი განაგრძობდა თავის გზას „იმ ბლოკადის სამუშაოზე", ისევე ეცემოდა, როგორც მაშინ, და უმწეოდ შეჰყურებდა ცას. შედიოდა მაღაზიაში „ლიტეინის" პროსპექტზე, სადაც უკანასკნელად იყიდა რაღაცა წიგნაკი. ექიმმა ფსიქიატრმა მერე დაადასტურა: ჯანმრთელია, უბრალოდ, მოგონებები მოერიათ. მე ამ ცხოვრებიდან წასულებს ველაპარაკები, მათ ესმით ჩემი, ყურს მიგდებენ, მათთან კარგად ვგრძნობ თავსო, გამომიტყდა მე ის ქალი. კეთილსინდისიერად მუშაობდა და ამიტომ ყველა შეურიგდა მის უცნაურ საქციელს. ზოგჯერ წარმოიდგენდა,

რომ პესკარევის სასაფლაოზე ესვენა და ექსკურსიები მასთან მიდიოდნენ, ყვავილებს დებდნენ მის საფლავზე... ამ ქალის ამბავმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე და არ მინდოდა მოგონებებს მივცემოდი. მე ჩემი წილი ვიბრძოლე, რაც მერგებოდა, მივილე, დამანებეთ თავი! ხალხს უნდა გმირების, გამარჯვების ამბავი მოისმინოს, მე კი მოვდგე და ის ვუამბო, როგორ დამეხოცა მთელი ოცეული? როგორ ამოვეფარებოდი ხოლმე მინდორში გვამებს?

ფრთხილად, უხმაუროდ დავუშვი კიდობანის ხუფი. უცებ თავში გამიელვა, რომ ის, რაც ვოლკოვს გადახდა, უკვალოდ არ გამქრალა. თვითონ ვოლკოვზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ დანაკარგზე ფიქრი კი ღრმად ჩამრჩა გულში და აღარ მომეშვა, თან დამყვებოდა: მოკლე სატანკო ბრძოლაში, როცა ჩასაფრებულები ვიყავით, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ტანკის ჯავშანზე ჯარისკაცებს შემოგვისხამდნენ...

ვოლკოვის წერილები გათავდა. ერთადერთი დარჩა, უკანასკნელი წერილი 1949 წლით დათარიღებული, მაგრამ ისიც გვერდზე გადავდე.

ბორისისგან კი უკანასკნელი დეპეშა იყო, თბილისში გაგზავნილი 1945 წლის ნოემბერში: „მოვდივარ, შემხვდი, გკოცნი. ბორისი". ეს იყო და ეს. მეტი არც არაფერი. ისტორია გაწყდა ყველაზე საინტერესო ადგილას. როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში ისტირიკოსები?

ამგვარად, არსებობდა მხოლოდ თეთრი კონვერტი ახალი მისამართით: ხაბაროვსკის მხარე, საფოსტო განყოფილება „ყურე". ს. ა ვოლკოვს.

ხელწერა თითქმის არ შეცვლილა. ექვსი გვერდი თავიდან ბოლომდე გავსებული იყო. ვიფიქრე, ეშმაკმა დალახვროს, ნეტა შემეძლოს, არ წავიკითხო-მეთქი. მაგრამ უკვე ძალიან ღრმად შევტოპე და ბოლომდე უნდა მიმეღწია.

„არ გაგაკვირვოთ ამ წერილმა, არც აღშფოთდეთ. რატომ არ შეუძლია მარტოობით დატანჯულ კაცს მისწეროს წერილი ქალს, რომელთანაც ოდესღაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა? მაინც ვერ შევხვდით ერთმანეთს. მე მიყვარდა, რომ გწერდით და ვბედავ ვიფიქრო, რომ თქვენც ხალისიანად მპასუხობდით. რა თქმა უნდა, შესაძლოა, უკვე გათხოვილი ხართ, და შვილებიც გყავთ. რა მოხდა მერე? ჩემის აზრით, ქმრისა და შვილების თვალში სახელი არ გაგიტყდებათ, რომ ოდესღაც ფრონტიდან მამაკაცი გწერდათ თავის ცხოვრებაზე, მსჯელობდა თქვენთან ფერწერასა და ლიტერატურაზე. მით უფრო, თუ ამ ადამიანს მიწერ-მოწერის დროს შეუყვარდით და ბედავდა ოცნება, რომ მის გრძნობებს თქვენ [illegible]ით — არც ამაშია არაფერი [illegible] უყვარდით, მათ შორის იყო ვინმე ვოლკოვი, საბრალოს ბედმა უმუხთლა, მაგრამ მაინც სწორედ ის იყო თქვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული თაყვანისმცემელი. თქვენ რომ უყვარდით ვინმეს, ეს, ბუნებრივია, სამარცხვინო აქ არაფერია. თუ გათხოვილი ხართ, გილოცავთ. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თქვენი ქმარი ბ. ლ. არ არის. მაგრამ თუ ბ. ლ. არის, მაინც გილოცავთ. იგი გულადი და მედგარი მეომარი იყო. ხოლო რაც მე შემემთხვა, იმაში არ არის სავალდებულო, დავინახოთ ბ. ლ.-ს ბოროტი ხელი. ჩემი ბედი თვითონვე ვჭედე, აღარ გავიმეორებ, ამის შესახებ წინა წერილში მოგწერეთ. მე, ოდესღაც, იმ სიცოცხლეში, მინდოდა თქვენი მშობლების გაცნობა. არ მოხერხდა კი. ნეტავი, ერთი საერთო ნაცნობი მაინც გვყავდეს. წარმოგიდგენიათ — ხუთი წელი გავიდა! მე ხშირად ვიგონებ არა იმას, რომ გწერდით, არამედ, როგორ გწერდით და როგორ მშველოდა ეს. ერთ წერილს, ნაღმებს რომ გვიშენდნენ, მაშინ ვწერდი. მაშინ კარავში ვიწექით — კარგი საფარი კია! — და ვუცდიდით, დაგვეცემოდა თუ არა ნაღმი. გაქცევა, სადმე თავის შეფარება არ შეგვეძლო. ჩემი სამი ჯარისკაცი ნერვიულად ექაჩებოდა თვითნაკეთ პაპიროსს, მე კი თქვენა გწერდით წერილს. თან ველოდი: ამცდება თუ არ ამცდება? შეუჩერებლივ ვწერდი. ცრუმორწმუნეობისაგან ნაღმები სულ არ მიხსენებია. სასიამოვნო კია წარსულში გადატანილი გაჭირვების მოგონება". ამას მოჰყვებოდა მისი ლექსები ომის თემაზე. იქ იყო ორი სტრიქონი, რომლებიც გულზე მომხვდა:

ჯერ კვალი არ გამქრალა,
იქნებ გაგვიხსენონ...

სადღაც სიგარეტი მქონდა გადამალული, ყოველი შემთხვევისათვის, ყველაზე იაფი, ყელის ჩამხლეჩი „პამირი". სამზარეულოს კარადაში ვიპოვე, დამტვრეულიყო, გამომშრალიყო. პირველად რომ მოვქაჩე, თავბრუ დამეხვა და, მადლობა ღმერთს, რადგანაც რამისთვის გული ხომ უნდა გადამეყოლებინა, რომ კითხვა შემეწყვიტა. ვინ იცის, შემდეგ რა ეწერებოდა? იქნებ ჩემზეც იყოს რამე. რატომაც არა?

ღამის პირველი საათი დაიწყო. ფანჯრის იქით, რძისფერ ნისლში გახვეული მინდორი ზმანებას ჰგავდა. მეჩხერი, ტანწვრილი ნაძვები თითქოს იფრქვეოდნენ ცვალებად სინათლეზე. ელექტრონის ყვითელი ფარნები ფუჭად ენთო თეთრი ცის ფონზე. ამ სურათში, ამ, ღმერთმა უწყის, საიდან გადმოღვრილ სინათლეში, სევდა იგრძნობოდა. ვიდექი, ვე-

წეოდი, სივრცეს გავყურებდი და ერთბაშად გაჩნდა პასუხი იმ აკვიატებული ფიქრისა, რომელიც რამდენი ხანია მაწუხებდა — იმიტომ ხომ არ გამომეცხადა ჟანა, რომ პასუხი მომთხოვოს ვოლკოვის გამო, იმის გამო, რაც მას შეემთხვა. მაშ, რისთვის ჩამოვიდა აქ? ქალის დაჟინება, კუშტი სახე, არაფრის ახსნა რომ არ მოისურვა, სანამ ყველაფერს არ წავიკითხავდი, ყველაფერი დაემთხვა, გადაეხლართა ერთმანეთს. ან ვოლკოვმა მისწერა, ან სადღაც გაიგო, ვილაცამ გადაკვრით უთხრა, და რადგან აღარც კომისარია ამ ქვეყნად, აღარც პოლკის მეთაური, ლეიტენანტებიდან კი მელა დავრჩი ცოცხალი, მაშ, პასუხიც მე უნდა ვაგო. რუხ მგელს დააბრალე, რუხი ყველაფერს აიტანს... კეთილი, ჯერ ბოლომდე ჩავიკითხო და მერე ვნახოთ.

ყოველი აბზაცი დაბრკოლება იყო, რომელიც უნდა გადამელახა, ნებისყოფა კი არა მყოფნიდა — იქნებ ყოველი აბზაცის შემდეგ ჩემსკენ მოშვერილი თოფის ლულა დამხვედროდა.

„მგონი 45 წელს გამოგიგზავნეთ ერთი თუ ორი წერილი, გთხოვდით, ამანათი გამოგეგზავნათ ჩემთვის, რომ იცოდეთ, ჟანა, როგორ მრცხვენია. ღმერთო ჩემო, ასე როგორ დავგლახაკდი? ამის ერთადერთი მიზეზი, თანაც ყურადღების ღირსიც რომ არ არის, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სასოწარკვეთა. დიდი შიმშილობა იყო. ომისშემდგომი დრო ყველასათვის ძნელი იყო, ჩემისთანებისთვის კი განსაკუთრებით ძნელი. ქარხანაში რომ მივდიოდი, მეორე სართულზე ძლივს ავდიოდი, ჩემს ლაბორატორიაში. გზაში სამჯერ ვისვენებდი. ფეხები მიკანკალებდა. ველარ ავიტანე ასეთი მდგომარეობა და წერილი გამოგიგზავნეთ, რომელშიც საპონს, ცოტა ღორის ქონს, სვიტერს და რაღაც ამისთანებს გთხოვდით. ომმა წამართვა ყველა ახლობელი და ის რამდენიმე მეგობარი, რომლებიც მყავდა. რატომღაც მაშინ თქვენსკენ გამომიწია გულმა. ეს სისუსტე იყო, უტაქტობა, მაგრამ მეგონა, რომ თქვენ ასე არ ჩამომართმევდით. მაპატიეთ, ჟანა, ახლა, როცა მაძღარი ვარ, ვხედავ, რომ მაშინ თითქოს ვისარგებლე ჩემი დამოკიდებულებით, რათა დამატებითი კვება მიმელო. ჭეშმარიტად, მაძღარი მშიერს ვერ გაუგებს. სამ წელიწადში ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა. დღეს დღესასწაულია — შვიდი ნოემბერი. სტუმრად ვიყავი და ეს არის დავბრუნდი. მივირთვი ნამდვილი ციმბირული პელმენი, მოხრაკული ცხვრის ხორცი კარტოფილით, ლვეზლები, კოლიმური ლიქიორი, კაკაო და კიდევ სხვა გემრიელი რაღაცეები. როგორც იცით, დასჯილი ვიყავი, მაგრამ დიდი ვადა არ მომისაჯეს. ზუსტად იმისთანა ვარ, როგორიც მაშინ ვიყავი, როცა ფრონტიდან წერილებსა გწერდით. ამჟამად ქარხნის დირექტორის კაბინეტში ვზივარ, გარეთ კი ქარბუქი ღმუის. ქარხნის სანარმოო-ტექნიკური ნაწილის უფროსი გახლავართ. სწორედ საჩემოა, მე ხომ სპეციალობით ტექნოლოგი ვარ. კერძო ბინაში ვცხოვრობ. ხელფასი ორი ათასი მანეთი მაქვს.. რატომ გწერთ? ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ბოდიში მოგიხადოთ წინა წერილის გამო, თანაც მინდა დარწმუნდეთ, რომ მაძღარსაც მახსოვხართ... მეორეც იმიტომ, რომ მომენატრეთ. ჩემსა და თქვენს შორის დამყარებული უხილავი კავშირი არ მიშვებს, დამაბა, და მადლობა ღმერთს, რომ ასეა. ვიცოდი, რომ შეიძლება გათხოვილიყავით, მაგრამ გულში გულის ღრმა კუნჭულში, იმის იმედი კიაფობდა, რომ მე მელოდით. მხოლოდ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ნაკლებად მჯერა ამისა. არც დაჯერების და არც დაეჭვების არავითარი საფუძველი არა მქონდა მხოლოდ ის ვიცოდი, რომ უკვალოდ ვერ გაქრებოდა ის სიახლოვე, რომელიც მე და თქვენს შორის წარმოიშვა. ჩვენ გვირაბს ვთხრიდით ერთმანეთისაკენ. თქვენ ჩემი სულისკენ მოიწევდით, მე თქვენი სულისკენ არავინ არ ჩასწვდენია ისე კარგად ჩემს არსს, როგორც თქვენ, არავისთვის ისე არ გადამიხსნია გული, როგორც თქვენთვის და, თუმცა მიწერ-მოწერა შეწყდა, თქვენს ადგილს ვერავინ ვერ დაიჭერს. იცით, ჟანა, ფიზიკური ლტოლვა, რალა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მაგრამ ერთმანეთში გათქვეფა ლოგინში უფრო ადვილია, ვიდრე სულში".

კარგი იქნებოდა, ამ წერილს ისტორიულ მასალად თუ ალვიქვამდით, მხოლოდ იმ დროის არქივის საბუთად, როცა ავტომობილები გუგუნებდნენ, ორთქლმავლები ხრჩოლავდნენ და წერილებს მელნით წერდნენ. ძალიან ვრცელი წერილი იყო, ეტყობა, ვილაცას გაატანა თბილისში. როგორც იქნა, ფართოდ გაალო გულის კარი ვოლკოვმა. ისევ ისე წერდა: არც წაშლილი სიტყვები, არც აბზაცები, რაც სავსებით სწორია, რადგან ცხოვრება განუწყვეტლივ მიედინება, უაბზაცებოდ და წაუშლელად. 1946 წელს ვოლკოვი მოსკოვში გამოიძახეს და მისი სპეციალობის შესაფერი სამუშაო შესთავაზეს. მაშასადამე, პრაქტიკულად ადრე შენიშნეს. იგი სამეცნიერო-კვლევითი თემის ხელმძღვანელი გახდა. ლაბორატორიაც მისცეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ შეემთხვა უბედურება — აფეთქება მოხდა. ვოლკოვს ხელები და თავი დაეწვა, ძვლები დაემტვრა. თვალები რალაც სასწაულით გადაურჩა. როცა მომჯობინდა, დასაჯეს. როგორც ხელმძღვანელს, პასუხი უნდა ეგო. მაგადანში გაგზავნეს წარმოების

უფროსად. ალალი აღფრთოვანებით აღწერდა იგი გემით მგზავრობას — ლაპერუზის სრუტეს, იაპონიის უკანასკნელ შუქურას, ოხოტის ზღვას... შტორმის დროს გემის კიჩოდან ქიმისაკენ გარბოდა, ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა. გემის რყევა მასზე არ მოქმედებდა. ქარიშხლით ტკბებოდა და ადარებდა მას აივაზოვსკის „მეცხრე ზვირთს". ნარმოიდგინეთ, თურმე, თავის დროზე ეჭვი ეპარებოდა, ტალღის ზუსტი ფერი თუ შეარჩია მხატვარმა და თუ არსებობს ასეთი ფერები, განსაკუთრებით ტალღის ფაფარზეო. გემის მოაჯირს ჩაფრენილი ამოწმებდა ამას, უშველებელი ზვირთი აღიმართებოდა მის თავს ზემოთ და აღმოჩნდა, რომ აივაზოვსკი არ შემცდარა. ტაიგის ალისფრად აგიზგიზებულ ფერებს რომ შეჰყურებდა, კუინჯი, ლევიტანი, შიშკინი და ვასილიევი გაიხსენა, პირდაპირ ხელოვნებათმცოდნის შენიშვნები იყო, თითქოს წამდაუწუმ შერბის რუსულ მუზეუმში და ადარებსო. გარეშეს რომ წაეკითხა ვინმეს, აღშფოთდებოდა — ნეტა რა მცოდნედ მოაქვს თავი, რას გვასულელებს, რა ეპეიზაჟებოდა, კეკლუცობაა და მეტი არაფერიო. მაგრამ მე ხომ ვიცოდი, ვინ წერდა და — ვის. ვოლკოვს უნდოდა ეჩვენებინა ჟანასთვის, რომ ნებისმიერ პირობებში მისი სულიერი სამყარო არ ქრებოდა, რომ მას შერჩა სამყაროს პოეტური აღქმის უნარი და ამიტომ არ უნდა შეიცოდონ, მას არ სჭირდება შეღავათი. ზოგჯერ გადაჭარბებულად აღფრთოვანდებოდა ხოლმე ველური ბუნების სილამაზით. მის გულთბილობაში რაღაც სიყალბე იგრძნობოდა.არც ერთხელ არ დაუჩივლია, არც გაბრაზებულა, არც საყვედური უთქვამს რამეზე — არაფერი ასეთი არ იკადრა. ძნელი როლი იყო, თანდათან უფრო მეტი ნებისყოფა სჭირდებოდა, რომ თავი შეეკავებინა, თვითონვე სწვდებოდა ყელში საკუთარ თავს, ზოგჯერ ნახევრად მიმხრჩვალის ყრუ ამოძახილი ისმოდა — მარტოობა („ახლობელი აღარავინ დამრჩა და ველარც გავიჩინე"), რწმენის უქონლობა („ნეტა გამაგებინა, რას ფიქრობთ ამ წერილის კითხვისას"). საერთოდ კი — გაართვა თავი, გამოვიდა მოუდრეკავი პიროვნება, რომელიც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, არაფერს არ დაგიდევს, რა გარემოებაც არ უნდა იყოს, მას ვერ დათრგუნავს. მაძიებელი გონებისათვის საზრდო ყველგან მოიპოვება. აი, მთელი გამოკვლევა ჟარგონისა, ისეთი სიტყვების წარმოშობისა, როგორიცაა „შმონ", „პროხორია", „შავტუხა" და სხვა. ბოლოს წინა გვერდზე წითელი ფლომასტერით ხაზგასმული გვერდები იყო: „ამასწინათ გავიგე, თურმე ერთ-ერთ ფრონტელს უზრუნვია, რომ ჩემთვის სასჯელის ვადა შეემცირებინათ. მართალი გითხრათ, მისგან არ მოველოდი ამას, თურმე ახსოვდა [illegible] უკულმართობა. ნეტა გამაგებინა, [illegible] ეს გაეკეთებინა?" ნეტა, ვინ შეიძლება იყოს? ასეთივე ზიგზაგით ჟანა აღნიშნავდა იმ ადგილებს, რაც მე მეხებოდა. გავიხსენე, ვინც მახსოვდა და გადავწყვიტე, რომ ყველაზე უფრო ჩვენი პოლკის მეთაურს შეიძლებოდა ექნა ეს. მისი სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენჯერმე ვიყავი მეთაურთან, რომელიც სამხედრო სამსახურიდან გენერლის ჩინით გადადგა. ერთხელ სიტყვა ჩამოვარდა ჩვენს შეტევაზე ესტონეთში და გენერალმა მითხრა: მართალი იყო ის ლეიტენანტი-მესანგრე, (გვარი არ დაასახელა), ოპერაცია ეკონომიური არ ყოფილა — მიდი, მიდი! იერიშის აზარტმა ფეხქვეშ მოიგდო ტაქტიკის მოთხოვნილებანიო.

ჩვენს გენერალს სჩვეოდა ეს — ჩაერეოდა, იზრუნებდა, თავის ვინაობას კი არ გამოაჩენდა.

ორი გვერდილა დარჩა და ისიც გადავიკითხე. მეტი არაფერი იყო, არც ერთი ჩვენგანი არ უხსენებია, არავის დასდო ბრალი, რომ მაშინ არ გამოვექომაგეთ, ის კი არა და, შევუტიეთ კიდეც. წერილი უცებ შეწყდა, თითქოს ვოლკოვი მიხვდა, რომ მაინც არავითარი ბოლო არ ექნებოდა. მერე მაინც დაუმატა ქაღალდის ვიწრო ზოლზე დაწერილი: „ვშიშობ, ვაითუ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდეთ. მაპატიეთ, არ მინდოდა. მე არც თანაგრძნობის იმედი მაქვს და არც პასუხისა. თუ ცოცხალი ვიქნები ხუთიოდე წლის შემდეგ კიდევ მოგწერთ. მანამდე შიში ნუ გექნებათ. საოცარი კია, მაგრამ ძალიან შეგეჩვიეთ. როგორ უცებ შეწყდა ყველაფერი. რა შესანიშნავად დაიწყო და რა სევდიანად დამთავრდა. მაგრამ, იქნებ, ჯერ არ დამთავრებულა, ყველა სიმღერა ბოლომდე არ იმღერება. მამაჩემის თქმისა არ იყოს: სად არის ამ თოკის ბოლო? აღარ არის, ჩამოაჭრეს!"

სირცხვილნარევი შვებით დავყურებდი კუთხეში მექანიკურად მიწერილს, მერე დავეგდე ტახტზე და მაშინვე დავიძინე, გაუხდელად, როგორც ოდესღაც ფრონტზე.

## I I I

მზე საადმირალოს შპილზე ეკიდა. ზაფხულში დაცარიელებულ ქალაქსა და გრანიტის სანაპიროებს აცხუნებდა. გახურებულ ასფალტზე ყრუდ ისმოდა ხის საზოების ხმა. გერმანელები, შვედები, ფინელები, მუქი სათვალეები, ყბები, კევს რომ ღეჭავდნენ...

— რა ქენით, გაიხსენეთ ვოლკოვი?

ეს კითხვა უნებურად აღმოხდა ჟანას. დიდ

ხანს შეიკავა თავი, ისე იქცეოდა, როგორც ნესია — შესავალი ფრაზების გაცვლა-გამოცვლა, ამინდზე, ქალაქში მომავალ გასეირნებაზე საუბარი. მანეჟთან ახალი აბრა ეკიდა. „ფინეთის ფერწერის გამოფენა". იქვე ურიკა იდგა და ნალების ნაყინს ყიდდნენ. მუყაოს ყუთიდან მშრალი ყინულის ორთქლი ამოდიოდა.

— გაიხსენეთ?

ყველაფერი აშენდა, შეიღება, ბლოკადის ნიშანწყალიც არსადა ჩანდა. ყველაფერი პირწმინდად შეთეთრებულია. ვილას სჭირდება ის, ჰორიზონტს გადაცილებული დროის ვნებები?

მე თხუთმეტი წუთით ადრე მივედი. ჟანა უკვე იჯდა სკვერში, შორიდანვე ვიცანი ყორანივით შავი თმით, თუმცა ზურგიდან დავინახე, რადგან პარალელურ ხეივანს მივუყვებოდი. გაუნძრევლად იჯდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. ღმერთმა უწყის, როდის მივიდა იქ.

— ოლონდაც! ჩვენი განთქმული მესანგრე ვოლკოვი, „საბჭოთა კავშირის მესანგრეს" ეძახდნენ.

ჟანას ტუჩები აუმოძრავდა, რაღაც წაიჩურჩულა და მოიღუშა.

— ყველაფერი უნდა მიამბოთ მასზე, რაც გახსოვთ, ყველაფერი.

ქალი ღელავდა და გავიფიქრე, ნეტა, ვოლკოვი ცოცხალი ხომ არ არის-მეთქი. ამის გაფიქრებაზე შემეშინდა, თან გავოცდი კიდეც.

— მაინც რა გაინტერესებთ?

— ყველაფერი, ყველაფერი, — მოუთმენლად შემაფუცხუნა მან. — მაგაზე მერე გიპასუხებთ.

სანაპიროზე გავედით. წყალი ბრწყინავდა და თვალს გვჭრიდა.

— ჩასკვნილი, საშუალო სიმაღლისა იყო, ბოხი ხმა ჰქონდა. მღეროდა კიდეც ბარიტონის ხმით. გულჩახვეული ადამიანი იყო.

„იყოს" რომ წარმოვთქვამდი, ჟანას სახეზე არაფერი ცვლილება არ ეტყობოდა.

— მაშ, ჩემზე ბევრად დაბალია?

ჟანა ჩემს პირდაპირ გაჩერდა.

— მაშ, არც კი გინახავთ?

ჟანამ მტრულად აიჩეჩა მხრები.

— საქმეც ეგ არის, რომ არასოდეს მინახავს.

მე გავიფიქრე, ვოლკოვი მართლაც ბევრად დაბალი იყო ქალზე, მხრებში მოხრილს მაიმუნივით გრძელი მკლავები ჰქონდა, სულაც არ შეეფერებოდა ჟანას.

— მხარბეჭიანი, ათლეტური აღნაგობისა იყო და ამიტომ ჩანდა დაბალი.

ვიცოდი მაინც, რისი გაგონება სურს ჩემგან.

— უყვარდათ? როგორი ხასიათი ჰქონდა?

— ჩვენ ცოტა რამ ვიცო[illegible] უყვარდა საკუთარ თავზე [illegible] ალისტი კი კარგი იყო.

ხელის ცეცებით მივიწევდი წინ, ჟანას სახეზე ვერაფერს შეატყობდი.

— იცით, ასეც მეგონა, რომ სიტყვაძუნწი იყო, — ჟანა გამოცოცხლდა, — წერილებით კი ვერ შეატყობ ამას, არა?

— მე მიკვირდა, როცა ვკითხულობდი. აი, ბორისი კარგი მთხრობელი იყო, გატაცებით ვუსმენდი, წერილების წერაში კი, რა თქმა უნდა, აგებდა...

ნეტა რისთვის ვცდილობდი ლუკიანოვის დაცვას, სამართლიანობის აღდგენას? ხომ შეეძლო ორ კარგ ადამიანს ერთი და იგივე ქალიშვილი ჰყვარებოდა? რა საჭირო იყო, რომელიმე მათგანი უარესი ან სულელი ყოფილიყო, რატომ ხდება ისე, რომ ერთ-ერთი მოქიშპე მუდამ მხდალი, თავკერძა, ერთი სიტყვით, უღირსი არის ხოლმე. ახალგაზრდობაში მეც ასე ვთვლიდი. ვოლკოვს რომ მიუსაჯეს, ამით თითქოს დამტკიცდა, რომ უარესი იყო, რომ არა ჰქონდა ნება, ბორისს გზაზე გადასდგომოდა.

— რატომ გაშორდა ცოლს ვოლკოვი?

— ცოლს?.. — რაღაცამ გამიელვა გონებაში, მოგონების აჩრდილმა, ოდესღაც ამაზე ვმსჯელობდით კიდეც — ჯანდაბას ჩემი თავი, მეხსიერება მღალატობს, იქნებ მერე გავიხსენო, — გამოვტყდი მე.

— ჩვენს მიწერ-მოწერაზე თუ გიამბობდათ რამეს?

— კრინტიც არ დაუძრავს. ეს არ სჩვეოდა. ბორისისგან ვიცოდი, რომ ორივენი ერთსადა იმავე ქალიშვილს ელოლიავებოდნენ. უკაცრავად, ახლა კი ვხვდები, რომ ეს თქვენ იყავით.

— ღმერთო ჩემო, თანდათან რა საზრიანი ხდებით!

მე გამეცინა:

— ეს ძალათ მოგიშვირეთ გვერდი, რომ გაგიადვილდეთ. სხვათაშორის, მგონი, თქვენი წერილები ვნახე, როცა ვოლკოვის მიწური დაბომბეს.

— საინტერესო კი იქნებოდა ახლა იმ წერილების წაკითხვა. ვერც კი წარმომიდგენია, რა იყო შიგ.

— მეც სულ იმას ვცდილობდი, ეს წარმომედგინა. ეტყობა, კარგი წერილები იყო, თორემ ასეთ მიწერ-მოწერას არ გამოიწვევდა.

— გმადლობთ, — მითხრა მან. — ან კი რა უნდა ყოფილიყო იმ წერილებში. მთავარი ინტონაციაა. დღეს, იქნებ, ვერც შევძლებდი... ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ დროთა განმავლობაში ჭკუა გვემატება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ასე არ ხდება. შა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ, ცხრამეტი წლისა უფრო კარგად ვგრძნობდი და უკეთესად მესმოდა ყველაფერი.

— მე კი მთლად ბრიყვი ვიყავი. ნამდვილად, გახსენებაც კი მრცხვენია.

ერთხანს უხმოდ მივდიოდით. ჟანამ ხელი გამომდო და უცებ ჩუმად მკითხა:

— თქვენ დაეხმარეთ ვოლკოვს?

მე გავწითლდი.

— არა, მე არა. ალბათ ჩვენი პოლკის მეთაური.

ჟანამ ყურადღებით შემომხედა. კეპი მოვიხადე და ქნევა დავიწყე გასაგრილებლად.

— არ გიყვარდათ ვოლკოვი?

— რატომ გადაწყვიტეთ? — რაც შეიძლება ცივად ჩავიცინე. — უბრალოდ, ბორისთან უფრო ახლოს ვიყავი, ხომ იცით, ქვეითი ჯარი...

— ქვეითი ჯარი აქ არაფერ შუაშია.

— დიახ, მე ბორისს ვუჭერდი მხარს.

— საერთოდ, არ გსიამოვნებთ ომის გახსენება?

ჟანამ ერთხელ უკვე მკითხა ეს და ახლა გამოვცოცხლდი.

— მაინც რატომ უნდა მსიამოვნებდეს? მთელი სამი წელი მესიზმრებოდა, რომ მუცელი გამიფატრეს და ნაწლავებს ვერაფრით ვერ ვტენიდი შიგ, ხელიდან მისხლტებოდნენ.

— მაშ, სხვებს რატომ უყვართ ომის მოგონება?

— არ ვიცი. ჩემთვის ახლანდელი დავიდარაბაც კმარა. აი, ამჟამად „გოსპლანს“ ვეომებით. ესეც ხალხთა ბრძოლაა. ოცდაათწლიანი ომი.

— ფრონტელებსაც არ ხვდებით?

ჟანას სიტყვებში მტკიცება მეტი იყო, ვიდრე შეკითხვა. ეს გახლდათ წმინდა ქალური თვისება, უცებ, სრულიად უსაფუძვლოდ, იდუმალი რალაცეების გამოცნობა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ მე დიდი ხნის წინ შევწყვიტე ფრონტელების შეხვედრებზე სიარული? მას შემდეგ, რაც ჩვენი გენერალი დავმარხეთ. მის სამოქალაქო პანაშვიდზე გავიგონე, რომ სიტყვა მისცეს აკულოვს. იგი ჩვენთან კავშირგაბმულობაში მუშაობდა და ორმოცდაორ წელს სიმხდალისათვის პარტიიდან გარიცხეს. მას შემდეგ აკულოვმა დაიწყო ყველას წერილობით დაბეზღება. ძლივს მოიშორეს თავიდან. ომი რამდენიმე წლის დამთავრებული იყო, რომ ისევ გამოჩნდა და ყველგან ფრონტული მოგონებებით გამოდიოდა. ჩვენი გენერალი ალშფოთებული იყო, მაგრამ მაინც ვერ შეუშალა ხელი. და აი, ახლა, კუბოსთან დადგა და ხელი ასწია. მე ხმამაღლა ვთქვი: „ნუ მივცემთ აკულოვს სიტყვის უფლებას, ეს მკრეხელობაა!“ ხალხი დაიბნა, მაგრამ აკულოვი არ დაბნეულა, მაშინვე თქვა: „ჩვენმა მეგობარმა დარდისგან ზედმეტი გადაჰკრა და ახლა ყველაზე ეჭვიანობს, ალარავის გვანებებს გენერლის პატივისცემას, ჩემზეც ეჭვიანობს, და არც გასაკვირია, რადგან ჩვენს გენერალს ყველა თავისი ოფიცერი უყვარდა, ისე უყვარდა, რომ...“ და გაუტია და გაუტია: რა გმირები ვიყავით ჩვენი პოლკის მეთაურის წინამძღოლობითო, ქალაქებს როგორ ვათავისუფლებდითო, მტერს როგორ ვანადგურებდითო, რა წმინდა, პატიოსანი დრო იყო და აი, წავიდა ჩვენგან ის, ვისთვისაც ვეტერანები კი არა, ჯარისკაცები ვიყავით, მან იცოდა ჩვენი ბრძოლების დღეები და ღამეები, სხვებისთვის კი ეს მხოლოდ თარიღები იყოო. ჩემს გარშემო სლუკუნებდნენ, ცხვირს იხოცავდნენ. რას იზამ, მართლაც ლამაზად ლაპარაკობდა ის ძაღლის შვილი. მაგრამ ამის შემდეგ შევწყვიტე შეხვედრებზე სიარული. იმ მოგონებებში ლითონის საყვირების და აკულოვის ხმა ჩამესმოდა: „აჰ, როგორი უშიშარი გმირები ვიყავით!“ პიონერულ შეხვედრებზე ისეთ რამეს მეკითხებოდნენ, რომ უხერხულად ვგრძნობდი თავს: „რა გმირობა ჩაიდინეთ თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა? რამდენი ორდენი გაქვთ? რამდენი ფაშისტი გყავთ მოკლული?“ ორ ფუმფულანაწნავებიან გოგონას დავყავდი სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმში. მინის ქვეშ ეწყო ავტომატის გაპრიალებული დისკები. მიწურის მოდელიც ჰქონდათ, კედლები პატარა ფიცრებით იყო შეფიცრული, შიგ პატარა ნათურა ინთებოდა, რომელიც პისტოლეტის მასრაზე იყო მიმაგრებული. გულისამაჩუყებელი იყო. გოგონებმა მთხოვეს მეჩუქებინა მუზეუმისათვის ჩემი წარწერიანი საათი, თან მითხრეს: თუ ახლა ვერ შეელევით, მაშინ, როცა მოკვდებით, მაშინვე მოგვცენო. საყვარელი გოგონები ძალიან ზრუნავდნენ თავიანთ მუზეუმზე.

— ჩხუბობდნენ?

— ვინ?

— ვინ და, ვოლკოვი და ლუკიანოვი.

— არც უმაგისობა იყო. კინკლაობდნენ. სხვათა შორის, ვოლკოვი ოდეკოლონს ხმარობდა. — უცებ ამომხდა ეს სიტყვები და რალაც სულელურად გამეხარდა. გამახსენდა, როგორ იზელდა ვოლკოვი ოდეკოლონით სახეს გაპარსვის შემდეგ და რა ალშფოთებული ვიყავით ჩვენ ამით. ოდეკალონს ვპარავდით ვოლკოვს და ვსვამდით. ვოლკოვი რალაც მანქანებით ისევ შოულობდა „ვოენტორგში“ და ამ მრგვალი შუშისთვის ხუმარები პრინციპის გულისთვის ნადირობდნენ, და რა თქმა უნდა, პოულობდნენ კიდეც.

— წარმოგიდგენიათ, ოდეკალონს ხმარობდა!

ჟანა, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა, რა იყო

ამაში ასეთი განსაკუთრებული და რამდენიც არ უნდა მეჩიჩინა, მაინც ვერ ჩახვდებოდა.

— მარჯვნივ ერთ-ერთი სვეტი დგას დიდების გენიით, ეს პრუსიის მეფემ აჩუქა ნიკოლოზ პირველს ორმოცდახუთ წელს.

ჟანა თითქოს ჩუმ-ჩუმად გიდის სიტყვებს თარგმნიდა, რომელიც ყოჩაღად, სხაპასხუპით ლაპარაკობდა გერმანულად. მაგრამ მალე შეუსაბამობა შევამჩნიე. ექსკურსანტების ბრბო მოედნისაკენ გაემართა, ჟანა კი განაგრძობდა, მიხსნიდა. იგი ზეპირად იმეორებდა ვოლკოვის ღია ბარათების ტექსტებს, თან თითს ასწევდა ხოლმე და ამით საზეიმო ელფერს ჰმატებდა სიტყვებს. იგივე მოხდა „სპილენძის მხედართან“, რომელიც „მოქანდაკე ფალკონემ შექმნა და 1782 წელს გაიხსნა“. და ასე ამგვარად. მერე აილო ის ლენინგრადისხედებიანი ღია ბარათები, ნაჩქარევად რომ გადავათვალიერე, ერთი მე მომცა, ზედ ისაკის ტაძარი იყო გამოსახული, ჩააბულბულა მისი ტექსტი და მერე თვითონ განაგრძო, მიამბობდა სვეტების, ტაძრის დაწევის, დიდი ორსაგდულიანი, ბარელიეფიანი კარისა და მონფერანის უხეირო პროექტის შესახებ... შავ-თეთრ ღია ბარათზე ტაძრის გასწვრივ დამცველი აეროსტატები იყო გამოსახული. სამი მოგრძო ვერცხლისფერი სხეული. მე არასოდეს მინახავს ისინი ახლოს, მუდამ შორიდან ვუყურებდი. ბინოკლშიც კი ძნელად გამოარჩევდი მოთეთრო ცისაგან.

ამჟამად კი აეროსტატების მაგივრად დიდი რიგი იყო გაჭიმული, იდგნენ ისინი, ვისაც ტაძარში შესვლა უნდოდა. პირადად მე არასოდეს ვყოფილვარ ამ ტაძარში. არ მაინტერესებდა: არც მონფერანი და მისი შეცდომები, არც პეტრეს თავი, რომელიც თურმე ფალკონეს გამოძერწილი კი არა ყოფილა, არამედ ქალწულ კოლოსი. მე ჟანას მღელვარებამ დამაინტერესა, რომელიც ვერაფრით ვერ იმორჩილებდა საკუთარ ხმას. დროდადრო მშვიდი გულგრილობა ისე გაუქრებოდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ჟანა შემომხედავდა და ენით აუხსნელი თხოვნა გამოსჭვიოდა მისი თვალებიდან. მე თავს ვუკანტურებდი, ენერგიულად ვუკრავდი კვერს, მაგრამ თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან ვერ ვიზიარებდი მის აღფრთოვანებას ამ ძეგლებით და ანსამბლებით. მათ შორის გავიზარდე და ვერც კი ვამჩნევდი, ისევე როგორც ვერ ვამჩნევდი ქუჩის ხმაურს, აბრებს და გახურებულ ასფალტის სუნს. შთამომავლობით ქალაქელი ვიყავი. ეს ქალაქი სხვანაირიც მახსოვდა — თავისი რიგებით, დემონსტრანტების კოლონებით, მახსოვდა მისი კიბეები, ეზოები, კომუნალური ბინები.

ტაძარში შესვლის იმედი გადაგვიწყდა. ურიგოდ მხოლოდ ორგანიზებულ ექსკურსიებს უშვებდნენ შიგ. ამათგან უმეტესობა უცხოელები იყვნენ. ჩვენ ვცადეთ — ექსკურსიებს მივკედლებოდით, მაგრამ ზრდილობიანად ჩამოგვაშორეს მათ. სამაგიეროდ, პირველად მივედი ტაძრის შესასვლელ კართან და ხელითაც მოვსინჯე კარზე გამოსახული წმინდანები.

ხიდი გადავიარეთ და ბირჟის წინ აღმოვჩნდით. მარშრუტს ღია ბარათები მიგვანიშნებდნენ.

— ბირჟის მარცხნივ ზოოლოგიური მუზეუმის შენობაა, რომელიც სიდიდით მესამეა ევროპაში, — მკაფიოდ თქვა ჟანამ. — აქეთ-იქით როსტრალური სვეტები უდგას. თვითონ ბირჟა, არსებითად, ათენის პართენონის გამეორებაა. მიაქციეთ ყურადღება, — თქვა მან სხვა კილოთი, — რომ ვოლკოვი საბერძნეთში ნამყოფი ადამიანივით დარწმუნებით წერდა. მას ყველაფერი თვალწინ ედგა... კალიკრატე უკმაყოფილო იქნებოდა მასალის ხარისხით, — განაგრძო მან დეკლამაცია — ფიდიასი იმით, რომ აქ ქანდაკებებიც არ არის, საერთოდ კი ყველაფერი ზუსტად დორიულ სტილშია. საბედნიეროდ, მთავარი პორტალიდან მოხსნეს შუქრეკლამა, რომელიც ყურადღებას ფანტავდა. ეს ადგილი ერთ-ერთი ულამაზესია ქალაქში. აი, როგორია ჩვენი ლენინგრადი. გრავიურა საოცარ ხელოვანს ოსტროუმოვა-ლებედევას ეკუთვნის. მას, როგორც არავის, შეუძლია ჩვენი ქალაქის სიმშვინიერის გადმოცემა. ტომონს ბირჟის შენობა მისივე პროექტზე უკეთესი გამოუვიდა. იშვიათი შემთხვევაა...

ღია ბარათის ტექსტი გათავდა. ჟანა განაგრძნობდა დავიწროვებული კაპიტელების, ჰორტიკის, პანდუსის ჩვენებას.

— თქვენ ვერაფერსა გრძნობთ! — წამოიძახა მან, მის ხმაში სიმწარე გაისმა.

ნეტა რა ჯანდაბად უნდა ამიჩუყონ გული ამ პანდუსებმა და კაპიტელებმა, მე არაფერი გამეგება არქიტექტურისა და არცა მსურს მასში გარკვევა.

ჟანას გუნება გაუფუჭდა: პანდუსები რა შუაშია? ნუთუ თქვენ არაფერს გეუბნებათ ეს ღია ბარათები, რომლებიც ბლოკადის დროს, ღმერთმა უწყის როგორ გამოუშვეს, რაც თავისთავად გმირობა იყო? თანაც იმ დროს, ალყაშემორტყმული ქალაქიდან საქართველოში გამოგზავნილი, მანამდე კი ქალაქში ნაყიდი, ფრონტზე ჩატანილი და იქ წვრილი ასოებით დაწერილი, (რათა ბევრი დატეულიყო), მერე საველე ფოსტით გამოგზავნილი ბარათები. მთელი ამ წლების განმავლობაში შენახული და ახლა აქ ჩამოტანილი? შეუძლებელია, ყოველივე ეს არ იგრძნოს ადამიანმა! სწორედ ამიტომ გადაიქცა

ეს ბარათი საოცარ საბუთადო. ჟანას შავი თვალები ბრიალებდა. უგულო უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დააფასოს ვოლკოვის სიყვარული ქალაქისადმი, არ დააფასოს მისი ერუდიცია. ვის შეეძლო აღეწერა ყოველივე ეს ასეთი სიზუსტით! ახლა, ქალაქის სილამაზეს როგორ გრძნობდა! იმ დროს ანგრეულ-დანგრეული, დამახინჯებული, ნახევრადმკვდარი ქალაქისას? სწორედ ამ ღია ბარათებით შევისწავლე ლენინგრადი, ამიტომ ვიშოვე ალბომები, მონოგრაფიები. ისე შევისწავლე ქალაქი, სულ დავიზეპირე. და ეს ადგილი — ვასილის კუნძულის ისარი — მართლაც რომ უმშვენიერესი ადგილია, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ასეთი ხედი იქნებოდა პეტროპავლოვკიდანო.

მივხვდი, რომ ცალკეული ფოტოები, სურათები პირველად შეერთდნენ მისთვის პანორამად, რომლისთვისაც შეიძლებოდა ხანგრძლივად ეცქირა — ხიდების თაღები, ნევის ნაპირები, სანაპიროების გაშლილი ფრთები — ყველაფერ ამას ჟანა ხარბი თვალით გასცქეროდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ თითქოს, ვოლკოვის თვალით შესცქეროდა. მე აღარ მომმართავდა, ახლა ამ მოჭუჭყიანო-თეთრ წარმართულ ღმერთებს უფრო ეუბნებოდა, როსტრალური სვეტების ძირში რომ ისხდნენ. სახე ისე გაუბრწყინდა, რომ დალიანდაგებულხალათებიანი თურქმენები შეჩერდნენ, ექსკურსიის მძღოლი მიატოვეს და გულაჩუყებულები ტკბებოდნენ ჟანათი. მე დამნაშავედ ვგრძნობდი თავს. ეტყობა, ამ ღია ბარათების ისტორია გაცილებით მეტი ყურადღების ღირსი იყო, ვინემ მეჩვენებოდა. ჩემთვის ეს უმნიშვნელო რამ იყო: იშოვა რა საქმე, ომის დროს, თავის განათლებულობას უჩვენებდა გოგონას, თითქოს ამ ორს, ვოლკოვს და ჟანას, წინ უამრავი წელი ჰქონდათ. ასეთი ღია ბარათების წერა აი, ასეთ ექსკურსანტებს თუ შეუძლიათ-მეთქი.

მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რამდენჯერ ჩამითვლია წვრილმანად სხვათა და სხვათა მორიდებული გულის გადაშლა, გადაკრულად ნათხოვნი, მერე კი აქედან ტრაგედია ამოზრდილა, ბედი შესცვლიათ ადამიანებს. ის სურათები, რომლებსაც ზემდეგი მოიხსენიებდა, თურმე დრეზდენის გალერეიდან ყოფილა, მე კი თვალიც არ შემივლია მათთვის. მოვლენები გარს მივლიდნენ და ისე მიეფარებოდნენ თვალს, ვერც კი გავეცნობოდი. ჩემი მეზობელი პატარა ნატაშა მთელი წელინადი მეხვეწებოდა, ჩემი ლექსები წაიკითხეო, თურმე შეყვარებული ყოფილა ჩემზე, მერე მისთხოვდა მეზღვაურს და ვლადივოსტოკში წავიდა. ვოლკოვის ღია ბარათები კი დარჩა და მთელი ამ დროის განმავლობაში ვიღაცის სულს აფორიაქებდნენ.

— კაცმა არასოდეს არ იცის, რა დარჩება მისგან, — ვთქვი [illegible] სულაც ის არა, რაც ჩვენ [illegible]

ასე მივდიოდით ქალაქში ერთი ღია ბარათიდან მეორისაკენ. ჟანას მხოლოდ ეს ლენინგრადი აინტერესებდა. იქნებ, უნდა მეთქვა, რომ მისი ვოლკოვი წერილებისა და ფოტოებისგან არის შექმნილი, რომ ის ქაღალდის შეყვარებულია, რომ ჟანამ თვითონ გამოარჩია საუკეთესო ფრაზები წერილებიდან და თვითონვე შექმნა ვოლკოვი, რომ ეს თავის მოტყუება იყო. მაგრამ არ ვიცოდი, საჭირო იყო თუ არა ამის თქმა.

— მისი ბოლო წერილი როგორ მოგეწონათ?...

— ხალისიანი წერილია. სამუშაო მოსწონს, აფასებენ...

ჟანა თავიდან ხარბად მიგდებდა ყურს, მაგრამ ბოლოს ჩაქრა.

— ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, რომ არავის სდებს ბრალს? — შემაწყვეტინა მან და თვალი თვალში გამიყარა, თითქოს ჩემივე შიში გამახსენა. — საკუთარ თავს ადანაშაულებს ერთი თხოვნისათვის! მე მამართლებს, საკუთარ თავს კი ბრალსა სდებს! — ჟანას სინაზე მოერია, ცივი, გაქვავებული სახე გაუვარდისფერდა, გაუბრწყინდა. — რა თავაზიანად მაპატია, რომ ვალდებულად არ მეგრძნო თავი. არა? პატიებაც უნდა იცოდე კაცმა. ამბობენ: გულისხმიერება ნახევრად პატიებააო. მას არ შეეძლო გაეგო, რატომ მოხდა ასე, მაგრამ მაპატია. პირადად მე, ასეთ შემთხვევაში, შურისძიება, თავმოყვარეობა დამფერფლავდა. მე პატიება არ ვიცი და ეს ცუდია. მისი წერილი რომ წავიკითხე, სინდისმა დამიწყო ქენჯნა. საკუთარი თავი დავინახე. იცით, ანტონ, ასე მგონია, ვოლკოვი ჩამოვიდა ჩემთან, თბილისში. უცნაური ამბავი მოხდა: ვიღაც კაცი ჩემს სახლთან იდგა. მერე ჩემს კაბინეტთან იჯდა პოლიკლინიკაში. ეს კია, რომ იმას თმა ჰქონდა. იქნებ, სულაც მერე გავუხსენი გზა ჩემს წარმოსახვას...

არხების მწვანე წყალს სიდამპლის სუნი დაჰკრავდა. ცხიმიან აპკზე მკაფიო გამოსახულება ლივლივებდა: ორნი მოაჯირზე დაყრდნობილან, თავზე თვრამეტი ივნისის ცისფერი ცა დაჰყურებთ. ომის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე-მეთქი, გავიფიქრე მე.

ხიდის ქვეშიდან ნავი გამოცურდა, შიგ ქალიშვილი იჯდა, ხელში ვარდისფერი ქოლგა ეჭირა. მხურვალე ცის სილურჯე თხელ ფენად ეფინებოდა ფანჯრებს, მანქანების პრიალს, წყალს. ქალაქი ცისფრად კიაფობდა. რაღაც საწყენი იყო მის მომხიბლავ სილამაზეში. ჩვენ ყველანი დავბერდით, ქალაქს კი

კვალიც არ დასჩენია იმ უბედურებისა, ოდესღაც ჩვენთან ერთად რომ გადახდა.

სემიონოვის ეკლესიასთან რომ მივედით, ჟანა შეჩერდა და ის ადგილი დამანახა, სადაც ვოლკოვის სახლი იდგა. ეს სახლი შარშან დაანგრიეს. ახლა აქ სკვერი იყო. ჟანა ისეთი კილოთი ამბობდა ვოლკოვის სახლიო, თითქოს დოსტოევსკის სახლს ახსენებდა. ბაღის მერხზე ჩამოვსხედით. მე მტკივანი ფეხი წინ გავიშვირე, თან ვცდილობდი, სახე არ დამღრეჯოდა.

ვოლკოვის სახლს კარგად ვიცნობდი. დაფხავებული, სევდის აღმძვრელი სახლი იყო, ვიწრო, აქოთებული კიბეები ჰქონდა. რამდენჯერმე ვყოფილვარ იქ. მეორე სართულზე, კომუნალური ბედლამის ბოლოში ოდესღაც ერთი გაძარცვული სორო იყო, ჩემი ხანმოკლე პაემანების ადგილი. კაცმა რომ თქვას, ამ თავშესაფრისთვისაც მადლობა უნდა მეთქვა. სადარბაზოების, ბაღის მერხების, ეზოების კუნჭულების (თავის კატების ქორწილებიანად) მიუსაფრობაზე უარესი არაფერია; აგრეთვე უსახლკარო ახალგაზრდების საძაგელ წვალებაზე, რომლის გამო ქრება სურვილები და იფერფლება ვნებები. იმ ქალმა ისეთი კოცნა იცოდა, როგორც არავინ. ფანჯრების ქვეშ გრუხუნებდა ტრამვაი, დაქროდნენ საბაგირო მანქანები და ამ ხმაურში თითქმის არც ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

— ...ორმოცდაექვს წელს ჩამოვედი ლენინგრადში. როგორც იქნა, მოვახერხე მივლინების აღება. ცნობათა ბიუროში გავიგე ვოლკოვის მისამართი. მივედი, ვრეკე, ვრეკე, კარი არავინ გამიღო. მერე მეზობელი გამოვიდა, მოხუცი ქალი იყო, თავზე ბეწვის ქუდი ეხურა. მე რაღაც მოვჩმახე, რომ ერთმა ფრონტზე დაჭრილმა მთხოვა მისი მეგობრის ამბავი გამეგო. სიმართლის თქმა შემრცხვა — მე, ქალიშვილი ასეთ მოწიფულ კაცს რომ დავეძებდი. მოხუცი ქალი დიდხანს მაკვირდებოდა და ბოლოს ჩურჩულით მითხრა: ნუ ეძებ, მისი ბედი უკულმა დატრიალდაო, და მივხვდი, რომ არც დაჭრილი იყო, არც მოკლული. ესეც კარგი იყო. მეტი ვერაფერი გავიგე, ისე დავბრუნდი შინ. შინ კი ბორისი მელოდა. გამოცხადდა მთელ გვარდიულ ბრწყინვალებაში. სწორედ მისგან გავიგე, რა შეემთხვა ვოლკოვს.

— ბორისი რატომღა ჩამოვიდა?

— ხელი მთხოვა.

— თქვენ?

— უარი ვუთხარი.

— უარი? ბორისს?

წინათ ისე ვიყავი აღტაცებული ბორისით, რომ ახლა იმ აღტაცების ძალამ შემძრა. თვალწინ დამიდგა ბორისი — მაღალი, ცისფერთვალება, მაზარანამოსხმული, შუბლზე მინებებული ოქროს კულულე[illegible]ღიმილით შეჰყურებდა ჩემს მო[illegible]ისევ ისეთი იყო, დაუბერებელი, ოცდასამი წლისა. მაგრამ ეს? ჟანა? როგორ გადაწყვიტა, როგორ გაბედა?

გაოცებული ვიყავი, მაგრამ უცებ კიდეც დავინტერესდი იმ ცხრამეტი წლის ქართველი გოგონათი.

— ...გმირი ოფიცერი სპეციალურად ჩემთვის ჩამოვიდა ვენის მისადგომებიდან, დამინახა და იმედი არ გაუცრუვდა. მეგობარ გოგონებს შურდათ ჩემი. საქმროები მაშინ ძვირად ფასობდნენ. ჩვენი ბიჭები თითქმის ყველა დაიღუპა. როგორ ცდილობდა დედა, რომ თანხმობა მიმეცა! ბორისმა მოხიბლა დედა, მას ისედაც აწუხებდა ჩემი და ვოლკოვის ურთიერთობა, ახლა კიდევ ბორისმა აძაგა ვოლკოვი. ეს მერე გავიგე, მეტისმეტად გვიან.

— რატომ აძაგა? უამბო. — შევუსწორე მე.

— სწორედაც რომ აძაგა, — მტკიცედ გაიმეორა ჟანამ — ბორისს ისედაც უპირატესობა ჰქონდა. აკი, ყველაფერი ისე რომანტიკული ჩანდა. ჩემი და ბორისის ამბავი გაზეთშიც დაბეჭდეს. — ჟანას შავი თვალები მოეჭუტა და რაღაც ჩემთვის უცნობს მიაჩერდა. — იცით, რამ შემაჩერა? იმან, რომ ბორისი გამარჯვებას ზეიმობდა. არ ეცოდებოდა ვოლკოვი, მისი აზრით, რაც ვოლკოვს შეემთხვა, კანონიერი იყო.

— კი მაგრამ, იქნებ ასე ეგონა? მაშ, რატომ წერდით ბორისს გამარჯვებამდე, რატომ აიმედებდით?

— მე წერილებზე ვპასუხობდი.

— პასუხობდით... ის კიდევ თქვენ გპასუხობდათ და სწორედ ამას ჰქვია მიწერ-მოწერა.

— რა თქმა უნდა, ეს ქარაფშუტობა იყო.

— მაშ, ჩვენ რაღას გვასამართლებთ? თქვენ ქარაფშუტები ხართ, ჩვენ მიუხვედრელები.

— თქვენ რაღა შუაში ხართ? — ცივად მკითხა ჟანამ.

— იმაში, რომ მეც ისე მოვეკიდე ვოლკოვის ამბავს, როგორც ბორისი.

მე დავუწყე ახსნა ჟანას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვოლკოვის შეკითხვები, ასე რომ გვალიზიანებდა, მისი ეჭვები, რომლებსაც ჩვენ უკუვაგდებდით, საქციელი, დაცინვას რომ იწვევდა — ყველაფერმა ამან ახლა დაკარგა დამაჯერებლობა. მაშინ მაინცდამაინც ჭკვიანურად და ლამაზად არ გამოვიყურებოდით, მაგრამ იმ დროს... როგორ დავანახო ჟანას ის მანძილი, რომელიც ჩვენ, ყველამ გამოვიარეთ?

ჟანამ ხელი შემახო.

— მეც შიშსა მგვრიდა ვოლკოვის გამონათქვამები.

— მაშ, ბორისი უკან გაბრუნდა?

ჟანამ თავი დამიქნია.

— ეს იყო და ეს? მას შემდეგ აღარ მოუწერია წერილი?

— არც ერთხელ.

ჟანა შეიძლებოდა ბორისის ცოლი გამხდარიყო, გავიფიქრე მე, და ამ აზრმა ქალი უფრო ახლობელი გახადა, ამავე დროს, საკუთარი ბედის გამო მსუბუქი სევდა და სინანული ვიგრძენი, სწორედ ისეთი, ლამაზი, მაგრამ, უცხო, მიუწვდომელი ქალის დანახვაზე რომ გრძნობს ადამიანი.

ბორისმა თბილისში ნამდვილად ისე ჩაალწია, როგორც მე — ლენინგრადში, — მატარებლის სახურავზე, კარსელებში. ყველაფერი ეს ადვილად წარმოვიდგინე: სადგურებზე ადუღებული წყალი, მატარებლების ხანგრძლივი დგომა, ნადავლი ღვინო, ოფიცრები, ჯარისკაცები, მოქალაქეები — ყველაფერი აირ-დაირია და არავინ არაფერს დაგიდევდა; ყველაფერი ეს მღეროდა, ზეიმობდა, ასაჩუქრებდა ერთმანეთს, იგუდებოდა გეგმებით, იმედებით, ჰყვებოდა მოგონილ ამბებს, უკრავდა სადაფის აკორდეონებზე, იყო ერთ გაცვლა-გამოცვლაში, ჭიქების ჯახუნში და წარმოვიდგინე, როგორ ბრუნდებოდა უკან ბორისი. თბილისიდან კოსტრომის ოლქში. უარყოფილი — მაგრამ რისთვის? რა მიზეზით? ბორისი, რომელსაც მთელი მსოფლიო ეკუთვნოდა, იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო დავალებული იყო ჩვენგან! და ყველა ის დედაკაცები, გოგოები, რომლებიც ბედნიერები უნდა ყოფილიყვნენ ყოველი ჩვენგანის ერთი სიტყვისგანაც კი... ასე იყო, მეც ასე ვცხოვრობდი იმ მთვრალ ომისშემდგომ, სალუტებით სავსე პირველ წელს.

— ფუი, ეს ხომ სისულელეა, — ვუთხარი მე, — გამოდის, რომ თუ ბორისი თქვენს ვოლკოვს შეაქებდა, ყველაფერი მოგვარდებოდა და გაჰყვებოდით ცოლად, არა? თქვენის აზრით, ბორისს ნება არა ჰქონდა მეტოქე ექაგებინა. ეს ხომ აბსურდია. მაპატიეთ, მაგრამ ასეთი რამ არ შეიძლება.

— შეიძლება. ჩემს ცხოვრებაში ცოტა იყო აბსურდი. მე მუდამ ლოგიკურად ვიქცეოდი. ლოგიკურად მიყვარდა და განშორებაც ლოგიკური მქონდა.

— ნანობთ, რომ ასე მოექეცით ბორისს?

— არა, — რბილად თქვა ჟანამ, — ნაწილობრივ მადლობელიცა ვარ მისი. მაგრამ აქ სხვა რამეა. თქვენ გგონიათ, ვოლკოვი მიყვარდა? არა, ეს ჯერ არ იყო სიყვარული.

— რატომ არ მომეცით ვოლკოვის ბოლოსწინა წერილი?

— იმიტომ, რომ არ არსებობს.

— როგორ თუ არ არსებობს?

— დედამ დამიმალა, სა[illegible].

ჟანამ ეს სიტყვები დაძაბულად წარმოთქვა, უნდოდა რაღაცის დამატება, მაგრამ აღარ თქვა.

— გინდათ, პატარა გემით გავისეირნოთ? ნავსაყუდელი აქვეა, ახლოს.

— რატომ არ მეკითხებით, როგორ მოხდა ეს?

— თქვენ არა გსიამოვნებთ ამაზე ლაპარაკი.

— ჩემს მაგივრად ნურაფერს გადაწყვეტთ, — უსიამოვნო ხმით მითხრა ჟანამ.

— თვითონ არა მთხოვეთ, ნურაფერს მკითხავთო?

— მუდამ ასეთი მორჩილი ხართ?

— მომისმინეთ, ჟანა, მე გადავეჩვიე ქალებთან საუბარს. არასოდეს ვიცი, რისთვის უნდათ, რომ ყურადღება არ მიაქციონ მათ ნათქვამს? ერთი მითხარით, რაში სჭირდებათ ეს? ლევ ტოლსტოისაც კი არაფერი ესმოდა ქალებისა.

— ერთადერთი, ვისაც ქალებისა ესმოდა, ტოლსტოი იყო.

— მაპატიეთ, მაგრამ არა. იგი საკუთარ ცოლშიც კი ვერ გაერკვა. ტოლსტოის სიძლიერე იმაშია, რომ მან იცოდა, ქალების გაგება შეუძლებელი იყო. გათხოვილი ხართ?

ჟანას ოდნავ გაეღიმა:

— უნდა გავარკვიოთ, მართალი გითხრათ, არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე.

ირონია შველოდა მას გაუბედაობის დაძლევაში, რაღაც უშლიდა, რომ დაეწყო ლაპარაკი.

— იქნებ არა ღირს დემონების გაღვიძება, — ვთქვი მე.

— უნდა გავაღვიძოთ, — მტკიცედ თქვა ჟანამ, — თორემ ისე არაფერი გამოვა. სწორედ ამისთვის ჩამოვედი აქ. ხომ უნდა გავამართლო ეს ჩამოსვლა?

— მაშინ ნუ გერიდებათ, დაუფარავად დაფქვით ყველაფერი.

აი, ვის არ ერიდებოდა. ჟანა სწრაფად, თანაბრად, მაგრამ თითქოს საკუთარ თავზე არ ლაპარაკობდა. მიყურებდა და ვერა მხედავდა, სადღაც იქით მიისწრაფოდა, ცდილობდა მალე მიეღწია.

— ...ჰოსპიტალში დაჭრილებს ბევრჯერ ვუწერდი წერილებს. ისინი მკარნახობდნენ, მე ვწერდი. იშვიათად თუ დამაწერინებდა ვინმე მოგონილს. ერთნი სწერდნენ, მსუბუქად ვართ დაჭრილებიო, მეორენი აზვიადებდნენ, მესამენი თავის გმირობას აღწერდნენ, სხვები სევდასა და სიყვარულს. ამის შემდეგ წერილებს თითქოს არ უნდა ემოქმედა ჩემზე, არა? არადა მოქმედებდნენ, თანდათან უფრო ძლიერად, მერე შევეჩვიე მათ, როგორც

ნარკოტიკს. მაკლდა მისი წერილები. ერთი მეორის მიყოლებით ვლებულობდი. მაგრამ მერე, კარგა გვიან, ეჭვი შემეპარა. დავქალდი და ცინიზმი მომემატა, პირველი ქმრისგან გადამედო. ვოლკოვის სიმართლის შემოწმება მოვინდომე და ყველაფერში მართალი გამოდგა. პარიზის მუზეუმში წავედი იმპრესიონისტების სანახავად. ესეც შემოწმებისთვის. მინდოდა მისი მხილება, სიმაღლიდან ჩამოგდება. რისთვის? იმისთვის, რომ მომატყუა და მიმატოვა. ბორისის წასვლის შემდეგ სულ ველოდი მეგონა, ვოლკოვი შემატყობინებდა... და სწორედ მაშინ მომიკვდა მამა, ინსულტისაგან, გული მიკვდებოდა, რომ მშიერი გარდაიცვალა. თბილისში მაშინ შიმშილობა იყო. დედა მამტყუნებდა: ბორისს რომ გაჰყოლოდი ცოლად, უზრუნველყოფილები ვიქნებოდითო. ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გულში ასე ფიქრობდა. ვოლკოვისგან კი არაფერი ისმოდა. მერე ერთი კაცი გამირიგეს, ერთი სიტყვით, დამითანხმეს, დამიმტკიცეს. ქმარი ჩემზე ბევრად უფროსი იყო, ვოლკოვივით, მაგრამ ყოჩაღად გამოიყურებოდა. დარბაისელი, განათლებული კაცი გახლდათ, ინგლისური იცოდა, პოეზია უყვარდა. სასიამოვნო ადამიანი იყო და მეც დავთანხმდი. ცხოვრება მართლაც გაადვილდა, რაღაც რაღაცეები გამიჩნდა, ახალი ტანსაცმელიც, ყოველდღე სუფრა იყო გაშლილი. ფული საიდანღაც მოდიოდა, მას თან ახლდა ათასი რაღაც, რაზეც ადრე არც კი მიოცნებია.

ჟანამ ცოცხლად დამიხატა, როგორ ადგებოდა ქეიფის დროს მისი ქმარი და გულშიჩამწვდომად კითხულობდა ბარათაშვილს ან ტაბიძეს. ეს რატომღაც მამშვიდებდაო, თქვა. მეჩვენებოდა, რომ ლექსების მოყვარული ადამიანი არ შეიძლებოდა თაღლითი ყოფილიყოო. გულახდილობის წუთებში ქმარი გამოუტყდებოდა ხოლმე, სავაჭრო კომბინაციების რისკი მიტაცებს, ჩვენი ცივილიზაცია ვაჭრობის წყალობით წარმოიშვა. ყველაფერი კომერციული ნიჭით დაიწყო და ეს ნიჭი გამოყენებული უნდა იქნეს, ცოდვაა, როცა ნიჭი გამოუყენებელი რჩებაო, და ასე შემდეგ. ბობოქარი ცხოვრება ჰქონდა, არაფრისა ეშინოდა და მთებში დაიღუპა, გაუგებარ ვითარებაში. ამის შემდეგ მაშინვე გამოირკვა, რომ მასზე სასამართლოში საქმე იყო აღძრული.

— დამიმტკიცეს, რომ მე ფარად ვუნდოდი, რადგან ჩვენს ოჯახს უზადო რეპუტაცია ჰქონდა. იმ დღეებში გადავწყვიტე, ექიმი გამოვსულ[illegible] თავი დავანებე მშენებლობის ფაკულტეტს. მინდოდა, რაღაცით მაინც მომენანიებინა...

რამდენიმე სიცოცხლე, გაცილებით მეტი, ვიდრე მეგონა, ჩაეტია ჩემი ლეიტენანტების გოგონასა და ამ ქალს შორის[illegible] ტომლაც, ჩემთან ჩამოვიდა[illegible] ლები ჩამოიტანა.

ბავშვები დაქროდნენ სკვერში იმ ადგილას, სადაც სერგეი ვოლკოვი ცხოვრობდა, სადაც ჩვენს თავებს ზემოთ, უჩინარ მოცულობაში ოდესღაც იდგა აკვარიუმი, ეტაჟერი, რომელზეც ცნობარები ეწყო, ეკიდა რემბრანდტის რეპროდუქცია. ჩვენს პირდაპირ სემიონოვის ეკლესია აღმართულიყო — ქალაქში ყველაზე ძველი, როგორც ჟანამ მაუწყა. ამ ეკლესიის მიხედვით, ვოლკოვის ნასახლარი ყოველთვის შეიძლება დადგინდეს. რაღაც მაინც დარჩა. ჩვენი სახლისგან, ლესნოეში, და მეზობლად მდებარე სახლებისგან კი აღარაფერი დარჩენილა, სულ შეშად გამოიყენეს.

— იქნებ ცოცხალია? — ვკითხე მე.

— ცნობა მივიღე, რომ ოთხი წლის წინ გარდაცვლილა, იქ, ჩრდილოეთში. იქ დარჩა. მაგრამ სჯობს თანმიმდევრობით გიამბოთ, — თქვა ჟანამ და კეთილსინდისიერი გულახდილობით განაგრძო, თითქოს მოწმე იყო და ჩვენებას მაძლევდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, როგორც ჩვენების დროს, ყველა წვრილმანი შეიძლება საჭირო გახდეს, ამ წვრილმანებისგანაც წარმოიქმნებოდა რაღაც აზრი, ჯერჯერობით ბუნდოვანი.

პირველის შემდეგ ჟანა მეორედ გათხოვდა, ქმარი ავადმყოფურად ეჭვიანი აღმოჩნდა.

— დარწმუნებული იყო, რომ უნდა მელალატა. თანაც, როგორც ქალი, მაინცდამაინც ხშირად არ ვიზიდავდი. აბორტი გამაკეთებინა, არა სჯეროდა რომ ბავშვი მისი იყო.

დაუნდობლად, მოურიდებლად, გულახდილად მიამბობდა ჟანა თავისი ქალური ცხოვრების საიდუმლოებებს. ისე ბუნებრივად, უბრალოდ გამოსდიოდა, რომ მეც ასევე აღვიქვამდი.

ჟანა ქმარს გაშორდა და შვება იგრძნო, დამოუკიდებლობა დაუბრუნდა, საკუთარი „მე" შეიგრძნო. განათხოვარი უკვე იყო, თავისი ვალი შეასრულა, ახლა ჩიტივით თავისუფლად გრძნობდა თავს, ოჯახიც თითქოს ჰქონდა: დედა ჰყავდა, მასზე უნდა ეზრუნა, შვილს ვალი მოეხადა. სამუშაომაც მოიგო, მედიცინაში ჩაეფლო, რომელიც მსოფლიოში ყველაზე კარგი პროფესიაა, რადგან შეიძლია არ იფიქრო წინსვლაზე, წოდებებზე და მაინც ყოველდღე წარმატებას მიაღწიო. მამაკაცები მის ცხოვრებაში ისე გამოჩნდებოდნენ და გაქრებოდნენ, რომ კვალსაც არა ტოვებდნენ. მაგალითად, ჰყავდა ერთი ლამაზი კაცი, რომელიც კარიერას იკეთებდა. ჟანა ისე დაჰყავდა დარბაზობებზე, როგორც პირადი სამკაული. მისი არისტოკრატიზმი

შესანიშნავად მიესადაგებოდა ამ კაცის გეგმებს, თუმცა ერთი დაბრკოლება მაინც გამოვლინდა — ჟანას მამა წარმოშობით უცხოელი იყო. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჟანას პაპა ესპანეთიდან საქართველოში ჩამოსულა და დიდხანს შეუნარჩუნებია თავისი ქვეყნის ქვეშევრდომობა. ჟანა ღვარძლიანად ადევნებდა თვალს, როგორ უშლიდა ხელს ეს გარემოება მისი კავალრის შორს გამიზნულ ვარაუდებს. საწყალ კაცს არ ესმოდა, რომ უზადო ბიოგრაფიაც კი შეიძლება არ მოიწონონ და ამრიგად, მისი კარიერა შეფერხდეს. მამაკაცები არც ისეთი ჭკვიანები ყოფილან, როგორც ჟანას ახალგაზრდობაში ეჩვენებოდა. მას უფრო მეტად უხასიათოები, კომპლექსიანები, ცუდად მომუშავენი ხვდებოდნენ, და, რაც მთავარია, მოსაწყენები და გონებაშეზღუდულები.

— უნებურად ჩემზე ჭკვიან მამაკაცს ვეძებდი, რომ კულტურულიც ყოფილიყო და ქვემოდან ზემოთაც მეცქირა მისთვის. ერთი სიტყვით, იმედგაცრუებული ქალის ჩვეულებრივი მოთხოვნილებები მქონდა. სწორედ მაშინ გავიხსენე ვოლკოვი. ხელახლა რომ ვკითხულობდი მის წერილებს, ვადარებდი სხვებს და ვრწმუნდებოდი მის უპირატესობაში. იგი უფრო დიდდებოდა და... როგორ აგიხსნათ... უფრო ვგრძნობდი მას, გამიგეთ?

— ჰო, რა თქმა უნდა.

ჟანამ უნდობლად ჩაიცინა და ამიხსნა, — რადგანაც ვოლკოვი უკვე წარსულში იყო, მისი არსებობა დაბოლოებული რეალობა გახდა — ოდესღაც მას ჰყავდა შეყვარებული, იდეალურად შეეფერებოდნენ ერთმანეთს და ახლა მისი ბიოგრაფიის საუკეთესო სამკაული გახდა. შემთხვევა თუ მიეცემოდა, ამხანაგებს ფოტოს აჩვენებდა, კიდევ კარგი, ბიჭი არ იყო და, რაც წლები გადიოდა, სულ უფრო შეეფერებოდა ჟანას. ზოგჯერ ოცნებობდა — იქნებ უცებ გამოეცხადოსო. ჟანას თურმე მოსწონდა, როცა წარმოიდგენდა თავის არსებობას თითქოს „მოკითხვამდე". მან ვოლკოვს გამართლება გამოუგონა — მისი სიამაყე. რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში ვოლკოვის ფიგურა ბინდმა მოიცვა, დაშორდა, მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებიღა დარჩა. ალბათ, მისგან გადაედო გატაცება ფერწერით, არქიტექტურით, ამიტომ ისწრაფვოდა ვოლკოვისკენ, პასუხობდა მას წერილებზე. ერთი წლის წინ დედა მოუკვდა. დასაფლავებისთვის საბუთებს რომ ეძებდა, დედის ქაღალდებში ვოლკოვის წერილს წააწყდა. მე რომ წავიკითხე, სწორედ იმას. ჟანას თურმე თავზარი დაეცა, ადგილზევე გაშეშდა. მაშ, ვოლკოვი სწერდა მას! დედა? დედამ რაღად დაუმალა, მიჩქმალა. ტექსტიდან ჩანდა, რომ ერთი წერილი კიდევ უნდა ყოფილიყო, იქნებ ორიც — 1945 წელს მოწერილი. ვოლკოვმა მაშინ [illegible]სეც უნდა ყოფილიყო. ჟანამ [illegible]დაქექა, მაგრამ ვერ იპოვა. იდგა დედის კუბოს წინ, ჩაშტერებოდა გაქვავებულ ნაკვთებში და ცდილობდა გაეგო, რა მოხდა, რატომ მოიქცა დედა ასე? პირველ წერილში ვოლკოვი შველას სთხოვდა, ჟანამ კი არ უპასუხა, პირში წყალი ჩაიგუბა. ის პირველი წერილიც დედამ ან გადამალა ან მოსპო. მაგრამ როგორ შეეძლო დედას ასე მოქცეულიყო? ამაში რაღაც ველური, არგაგონილი იყო. ჟანამ დამძიმებული გულით დამარხა დედა.

— გულგვამი ამომიტრიალდა, ვოლკოვი გაცოცხლდა, გამოჩნდა. მე დამნაშავედ, შერცხვენილად ვგრძნობდი თავს მის წინაშე. აუტანელი სირცხვილით ვიწვოდი. ერთი დაფიქრდით — პირველ წერილზე ხომ არ ვუპასუხე, და არც მეორეზე! რას იფიქრებდა ჩემზე? გამოდის, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში არ დავვიწყივარ. პასუხს ელოდა. წარმოგიდგენიათ, რა ვერაგობაა, რა სიმდაბლე? — ჟანას გადაჭდობილი თითები გაუთეთრდა. მუდარით შემომცქეროდა.

— თქვენ რა შუაში ხართ? რას იბრალებთ?

— მხურვალედ ვუთხარი, თანაც, რაც შემეძლო, უხეშად, არ მინდოდა, რომ საკუთარ თავზე ასე ცუდად, ასე მწარედ ელაპარაკნა.

— არა, დამაცადეთ, მე ალვადგინე, როგორც იყო ყველაფერი. პირველი წერილი სწორედ იმ დროს მოვიდა, როცა ბორისი იყო ჩამოსული. დედას ჩემს გამო შეეშინდა. არ ვიცი, რით დააშინა ბორისმა, მაგრამ ვოლკოვის მისამართი რომ წაიკითხა, კონვერტი გახსნა. მაშინ ბევრი რამისა გვეშინოდა. დიდი რამ უნდა მომხდარიყო, რომ დედას ეს ჩაედინა. ჩვენს ოჯახში სხვისი წერილის გახსნა წარმოუდგენელი რამ არის... გეფიცებით, მე რომ წამეკითხა ის წერილი, ყველაფერს მივატოვებდი და ვოლკოვთან გავქანდებოდი. დედამ იცოდა ეს. მეორე წერილი კი მაშინ მოვიდა, როცა ყველაფერი კარგად იყო. დედა ჩემს ბედნიერებას იცავდა.

— მასაც შეიძლება გავუგოთ.

— კი მაგრამ ვოლკოვმა ხომ არ იცოდა, როგორ მოხდა ეს. მან, ალბათ, გადაწყვიტა, რომ სიმხდალე გამოვიჩინე, რომ ჩემს კეთილდღეობას მოვუფრთხილდი. დავიჯერე კიდეც, რომ დამნაშავე იყო. კი, ბატონო, ვთქვათ, დამნაშავეც იყო, მაგრამ დამნაშავეებსაც კი არ ეტყვიან უარს გულმოწყალებაზე. მე კი უარი ვუთხარი, ერთი ნაჭერი საპონი ვერ გავიმეტე. ეს საპონი სულ თავში მიტრიალებს.

— ხომ გაუგზავნიდით, რომ გცოდნოდათ.

— კი მაგრამ, რატომ არ ვიცოდი? რატომ? — წამოიძახა ჟანამ მკვეთრი ხმით და ხელში ჩამაფრინდა. — თქვენ გგონიათ, იმიტომ, რომ დედამ წერილი დამიმალა? თითქოს მე არაფერ შუაში ვიყო. აქაოდა გაუგებრობა მოხდა, დედამ ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინაო. — ჟანას სახე დაუბრიცა ირონიულმა ღიმილმა. — არ გამოვა, ჩემო კარგო ანტონ მაქსიმოვიჩ. რადგან სინამდვილეში ყველაფერი ჩემი გულისთვის მოხდა. კარგი იქნებოდა, შემთხვევისათვის, უიღბლობისთვის დამებრალებინა, არა? მაგრამ არ შეიძლება. იმიტომ, რომ ბედმა კიდევ მომცა შესაძლებლობა. ბედი ზრუნავდა ჩემზე. ბოშა ქალმა ერთხელ გამაფრთხილა — შენ იღბლიანი ხარ, ბედი მუდამ ორ-ორჯერ გაგიღიმებს, ყველაფრის გამოსწორებას შეძლებო. ვოლკოვის მეორე წერილი რომ მოვიდა, მაშინ შეიძლებოდა ყველაფრის გამოსწორება. მაგრამ მე სურენმა თავბრუ დამახვია. ჩემს ქმარს ერქვა სურენი. რესტორნები, კაბების მოზომება, მოგზაურობა. დედა თვლიდა, რომ ეს იყო ბედნიერება, მე თვითონ ვეუბნებოდი ამას. ბორისთანაც ხომ ასევე იყო. რატომ ვუხვევდი თვალს? თქვენ მართალი თქვით. ექვს თვეს კი არა — ომის დამთავრებამდე ვასულელებდი. მომწონდა, რომ ჩამოვიდა. რა საწყლად გამოიყურებოდა, როცა მიდიოდა, მაგრამ ჩემს გულში არაფერი გაფაჩუნებულა. ახლა კი თვალწინ მიდგას მისი უფერული ღიმილი. ჩემი ბრალი იყო, რომ ბორისი ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო ყველაფერი.

— ნუ იმტყუნებთ თავს. მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყავით.

— ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, მხოლოდ მე და მეტი არავინ. ყველაფერი ჩემი ბრალია! — ჟანას თვალები ცრემლებით აევსო, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეიკავა თავი, რომ ცრემლები არ გადმოსცვენოდა. სასტიკმა გამომეტყველებამ სახე დაუშნოვა, — ცუდი საქციელი მუდამ ცუდი საქციელია, — თქვა მან. — გინდა სიბერეში ჩაგიდენია, გინდა ახალგაზრდობაში, ერთნაირად ცუდია. ცუდი საქციელი ოდესმე მაინც მოგეწევა. და აი, მომეწია კიდეც. თქვენ გგონიათ, სანყალ სურენთან სხვანაირად იყო? როგორ არა! ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი, არც კი მიფიქრია, საიდან მოდიოდა ამდენი რამ. თავის გასამართლებელი მიზეზი მქონდა — კაცს ლექსები უყვარდა. — ჟანამ თავი უკან გადააგდო, ცას მიაჩერდა და ლექსი წაიკითხა:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი ცხოვრება ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ც[illegible]

როგორ კითხულობდა ტაბიძეს! ის წამგლეჯი-მოქეიფეებიც კი ტაშს უკრავდნენ. სიცრუით ვიცავდი თავს. რამდენი სიყალბე ჩავიდინე! იმათ ველაქუცებოდი, ვინც მეზიზღებოდა. ზოგჯერ სურვილი დამებადება ხოლმე, რომ წავიდე ჩემს ყოფილ სკოლაში, დავდგე ბავშვების წინ და გამოვუტყდე ჩემს ცოდვებში. ვილაცას გულის გადახსნა სწყურია, მაგრამ ვის უნდა მისი მოსმენა? — ჟანა ზიზღიანად დაიღრიჯა.

გუნება გამიფუჭა. თითქოს ჟანას გულახდილობამ მე მამხილა. გამახსენდა ერთი შემთხვევა: ხანძარი გაგვიჩნდა. მერე რიგრიგობით ვცხადდებოდით კომისიის წინ და ვისაც როგორ შეგვეძლო, თავს ვიცავდით. ენერგეტიკოსები მემონტაჟეებს აბრალებდნენ, მემონტაჟეები — მშენებლებს. ყველამ იცოდა, რომ საამქროს საექსპლოატაციოდ მიღება არ შეიძლებოდა, მაგრამ მიიღეს. უფროსს დაუთმეს. არავის არ უთქვამს: ძმებო, მე ვარ დამნაშავე, მე დავნებდი, ჩემი გულისთვის დაშავდა ხალხი და საავადმყოფოში წევსო. რატომ არავის უბიძგა სინდისმა? არც მე მიბიძგა, მიხაროდა, რომ გადავრჩი. თუკი არ გამასამართლეს, მე რაღაზე უნდა გამესამართლებინა საკუთარი თავი?..

— იცით, ჟანა, თქვენ ყოჩაღად მოიქეცით. ყოჩაღ, რომ ასე ლაპარაკობთ, — ისეთი კილოთი ვუთხარი ეს, ჩემს დღეში რომ არ მითქვამს.

მესმოდა, რა ძნელი იყო საკუთარი შეცდომების დანახვა, მათი შეცდომებად აღიარება, საკუთარი თავის გასამართლება. კაცმა რომ თქვას, როცა ვოლკოვმა დიდ მსხვერპლზე ილაპარაკა, ამით ჩვენ გვაიძულებდა დავფიქრებულიყავით, შევეშფოთებინეთ მაინც ჩვენი გამარჯვების მეტისმეტად დიდ საზღაურს. ჟანასაც ვუამბე, როგორ გავუბრაზდით მაშინ ვოლკოვს, რადგან ვერ დავინახეთ, როგორ პატიოსნად მოიქცა. აქამდე არ ვიცი, რამ უბიძგა მაშინ ვოლკოვს — სემიონის დალუპვამ თუ იმან, რომ თავმომწონედ ვზეიმობდით გამარჯვებას. მაგრამ ეს ვაჟკაცური საქციელი იყო და უკვალოდ არ გამქრალა.

მუხრუჭებმა დაიღრჭიალეს, ჩვენთან გაჩერდა, ღმერთმა იცის საიდან გაჩენილი, ძველებური ავტომობილი, რომელსაც მაღალი ძარა ჰქონდა და ეტლსა ჰგავდა. მანქანიდან თავი გამოყო ქლალისფერად თმაშეღებილმა მამაკაცმა.

— თეატრალურ ინსტიტუტთან როგორ უნდა მივიდეთ? — დაიძახა მან.

მე ვანიშნე, მაგრამ კაცი მე კი არა, ჟანას

უჰურებდა. თვალი არ მოუშორებია მისთვის, ისე გადმოვიდა მანქანიდან და მოგვიახლოვდა. ტყავის ქურთუკი და ყვითელი პრიალა კრაგები ეცვა, საუკუნის დასაწყისში რომ ეცვათ ხოლმე, ისეთი.

— თქვენ სწორედ ის ქალი ხართ, ფილმისთვის რომ მჭირდება, — თქვა მან. — ეს ფილმი სიყვარულზეა. არამიწიერი სიყვარული, რომელსაც ყველა დასცინის. მზეთუნახავი არა ხართ, მაგრამ გეტყობათ, რომ თქვენი გულისთვის შეიძლებოდა სისულელეების ჩადენა. არც არაფრის თამაში დაგჭირდებათ, მხოლოდ ტივზე იჯდებით.

— მე არ შემიძლია ტივზე ჯდომა, — უთხრა ჟანამ, — გათხოვილი ვარ და არ შემიძლია სხვა მამაკაცებს ვუყურო.

ქალღმერთმიანმა თვალი ჩამიკრა, სავიზიტო ბარათი მომცა, ზედ ტელეფონის ნომერიც ეწერა და თქვა, საღამოს ველი დარეკვასო, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

— ხელი შეგვიშალა, — მითხრა ჟანამ — განაგრძეთ, განაგრძეთ.

— კაცმა რომ თქვას, მეტი არც არაფერი მაქვს სათქმელი.

— სპეციალურად ჩემთვის ხომ არ შეალამაზეთ ვოლკოვი? — დაეჭვებით მკითხა მან.

— ყველაფერი თქვენთვის კეთდება, მაშ, როგორ! — ვუთხარი მე.

— არ გეწყინოთ, მომეჩვენა, რომ თავს ძალას ატანთ.

— ასეც არის. არც ისე სასიამოვნოა შეიგნო, რა სულელი იყავი. იცით, რა კარგია, როცა წარსული თავს დაგანებებს, მაშინ არაფერი სადაო აღარა გაქვს მასთან. ამ დროს თქვენ ჩამოხვედით და დაიწყო! ერთი მითხარით, რატომ ჩამოხვედით?

— ვოლკოვის შესახებ მინდოდა გამომეკითხა თქვენთვის.

— რისი გამოკითხვა გინდოდათ, რატომ?

— ვიფიქრე... იქნებ მიწერ-მოწერა გქონდათ მასთან.

— მერე რა? ახლა რაღად გინდათ ამის ცოდნა?

— მართალი ხართ, მეტისმეტად გვიანია. აი, სახლის მაგივრად სკვერია. აღარაფერი დარჩა.

— თქვენ არ მიპასუხეთ. რაში დაგჭირდათ, რისთვის მაიძულეთ წამეკითხა წერილები?

— მაპატიეთ, ბევრი დრო წაგართვით.

— საქმე ეს არ არის.

— მეგონა, გესიამოვნებოდათ ახალგაზრდობის გახსენება, ამხანაგების ამბის გაგება.

— მართლაც სასიამოვნო იყო. მგონი, მიხარია კიდეც, რომ მოვინახულე იქაურობა. იქ ხშირად უნდა დავბრუნდეთ ხოლმე. მაგრამ მაინც... თქვენ ხომ ამისთვის არ ჩამოსულხართ? არც იმისთვის, რომ მე და თქვენ ღირსშესანიშნავი ადგილები მოგვევლო და სხვადასხვა ფრონტონები [illegible] ჩემთვის, ხომ მართალია?

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ბევრი რამ არ იცოდით, — ჟანამ უცებ თვალი თვალში გამიყარა, სახეზე კეკლუცობა აღებეჭდა.

— ჟანა, ასეთი სულელი ნუ გგონივართ. თუ არ გინდათ თქმა, ნუ იტყვით. ჩავთვალოთ, რომ გაქვთ ამის მიზეზი.

ჟანა გულდასმით ათვალიერებდა საკუთარ თითებს.

— როდის მიდიხართ? — ვკითხე მე.

— მიზეზი მაქვს, თუმცა სიტყვებით ახსნა ძნელია. მაგრამ შეგპირდით და უფლებაცა გაქვთ, იცოდეთ. მაშ ასე — მე მჭირდებოდა, რომ ვინმეს სცოდნოდა, რატომ მოხდა ისე, და თქვენ ამოგარჩიეთ. მიმაჩნდა, რომ თქვენ და ვოლკოვი ფრონტის ამხანაგები იყავით. მინდოდა, გცოდნოდათ, რატომ არ დავეხმარე ვოლკოვს. თავის გასამართლებლად კი არა, — ხომ გამიგეთ? უბრალოდ, საჭირო იყო, ვინმეს სცოდნოდა.

— კი მაგრამ მე რა შემიძლია? — ვთქვი დაბნეულად. — ველარაფრით დაგეხმარებით. ის ხომ ცოცხალი აღარ არის.

— მერე რა მოხდა, რომ აღარ არის? — წკრიალა ხმით მითხრა ჟანამ. — მაინც უნდა მეთქვა.

— თქვენ რა, გულზე მოგეშვათ?

— ვერ გამიგეთ. ასეც ვიცოდი. — ჟანა უცებ მოეშვა. — არ შემიძლია, ვერ აგიხსნით.

ის ვიწრო, ყანყალა ხიდი, ჩვენ შორის რომ გაიდო, თითქოს ჩაიზნიქა და აჭრიალდა. ჟანას ვარწმუნებდი, რაღაცას მივხვდი, რაღაცა კრთის, მაგრამ უცებ ვერა ვხვდებიმეთქი. იქნებ მართლაც რაღაცამ გაიელვა ჩემს გონებაში, თითქოს ოდნავ გამოჩნდა და ისევ გაქრა ჟანას რაღაცნაირი, უჩვეულო გაგება ცხოვრებისა, სიკვდილისა, სულისა; და ახლა ისევ აღარ მესმოდა, რატომ ჩამოვიდა, რატომ გადამიშალა გული და რა შეემატა იმით, რომ მე გავიგე. ჩემი კითხვები მეტისმეტად უხეში იყო და ვგრძნობდი, რომ იდუმალსა და ჩემთვის მეტისმეტად რთულ რაღაცას შევეხე. ჟანასთვის ვოლკოვი ახლა უფრო რეალურად არსებობდა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, როცა ცოცხალი იყო. ბორისის შესახებ რატომღაც აღარ დაგვიწყია გამორკვევა, თუ რა მოუვიდა, როგორი იყო, იგი ჩვენს საუბარში ცოცხლობდა და ჩვენთვის ესეც საკმარისი იყო.

საღამოს ჟანას ვაცილებდი. მატარებლით მიდიოდა. საქაღალდე პატარა ჩემოდანში ჩადო. თოკი მომცა და მეც გულმოდგინედ შევკარი მსუბუქი, მოხერხებული ფუთა.

„საპურე ვიყიდე საჩუქრად", — მითხრა

მან. ლურჯი ჩითის ხალათი ეცვა, ისიც ლენინგრადში ეყიდა. მსუბუქ ლაბადას მოვიხურავ და ასევე წავალ სადგურში, რომ ვაგონში აღარ დამჭირდეს ტანსაცმლის გამოცვლაო. ჟანა უმნიშვნელო რამეებზე ლაპარაკობდა, სწრაფი, უბრალო, შინაურული იყო, მხოლოდ თვალები ჰქონდა შეშუპებული, გაწითლებული.

ვოლკოვი ხომ ვერ გააბედნიერებდა ჟანას, უცებ მივხვდი მე, მეტად მძიმე იყო, თან თავმოყვარეც, დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე. რა იქნება, რომ ვუთხრა ეს? მაშინ განთავისუფლდება სინდისის ქენჯნისაგან, აღარ გაკიცხავს საკუთარ თავს, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტე, არაფერი მეთქვა. მეცოდებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არ უნდა მივხმარებოდი.

ჟანას ცხოვრებაში მომხდარი ამბებისაგან რაღაც სურათი შეიქმნა. წერილები, გათხოვებები, შიში, საავადმყოფოს ამბები, დედამისის კოლოფი — ყველაფერს, რაც წარსულში იყო, ნათელი მოეფინა და გამოისახა ბედი. ეს ცნება მუდამ გამოგონილად მეჩვენებოდა. ჩემს წარსულში ვერავითარ ერთიანობას ვერ ვამჩნევდი. რაღაც ჭრელი ნაგლეჯები კი იყო, მაგრამ ისინიც სადღაც მიფრიალებდნენ, თითქოს მანქანა მომდევდა, განვლილ ცხოვრებას ფქვავდა და მტვრად აქცევდა. ომის დროს მიზანი გვქონდა — გრძელი, მაგრამ ნათელი გზა გამარჯვებისაკენ, ბერლინისაკენ. ომის შემდგომ ამბებს სადღა მივყავდი? იყო კი ეს გზა? ხომ არ შეეძლო ჩემს ცხოვრებას ასე ტყუილუბრალოდ სრბოლა! ალბათ მასშიც არის აზრი, რომელიც მიჩქმალულია ამ ფაციფუცის, ყველაფერი იმის უკან, რაც დღეს ასე მნიშვნელოვნად გვეჩვენება, ხვალ კი გამოუსადეგარი გახდება. იქნებ დევს სადღაც ჩემგან გადამალული, დაგვიანებით მოსული წერილები. ასე ვიმშვიდებდი თავს, როცა ვხედავდი, რა შესაშური თვალსაჩინოებით აჩნდა ზედ ჟანას თავისივე ბედი.

წასვლის წინ ცოტახნით ჩამოვჯექით. ფანჯრების მინები ზრიალებდნენ მანქანების ღრიალისაგან. ჩვენ ვისხედით და ვუსმენდით. მერე ორივე ერთად წამოვდექით. სადგურამდე მოკლე გზა იყო, მხოლოდ მოედანი უნდა გადაგვეჭრა. ნელი ნაბიჯით მივდიოდით, ვლაპარაკობდით იმაზე, თუ რით იყო კარგი ხის საპურეები, პეტერგოფის შადრევნებზე. ვაგზლის ყველა ბაქანზე ხალხი ყაყანებდა, ჩემოდნებს მიათრევდნენ, იყო ერთი ხვევნაკოცნა, სლუკუნი, შეხვედრა, დამშვიდობება. ერთხანს ვაგონთან ვიდექი. მთელი დღის გახურებული ვაგონის მწვანე კედლები სითბოს აფრქვევდნენ. ნათურების ფერმკრთალი შუქი ჩაუქრობელი დაისის ვერცხლისფერ სინათლეში იყო არეული. ბოლო წუთები ფუჭად მიედინებოდა და არ ვიცოდი, როგორ შემეჩერებინა. ალბათ რაღაც უნდა მეთქვა. ჩემ წინ იდგა ერთადერთი ქალი, რომელიც მაკავშირებდა ომთან, ჩემს სიყმაწვილესთან, იმ ლეიტენანტურ ცხოვრებასთან, როცა ფოტოსურათებით შევიყვარებდით ხოლმე ქალიშვილებს. სატრფოები ცოცხლდებოდნენ ოცნებაში, ტანკებზე ჩვენთან ერთად ჯაყჯაყებდნენ მათი გაცვეთილი ფოტოები, ჩვენი სიზმრების მკერდფუშფუშა ანგელოსები, ყველანი ღვთაებრივად წმინდები იყვნენ. ჟანაც ერთი იმათგანი იყო, სულ რამდენიმე საათი გავიდა, რაც გავიცანი და ამავე დროს ათობით წელიც. რამდენიმე წუთის შემდეგ წავა და ალბათ, ვეღარც ვერასოდეს შევხვდებით. არ იყო ეს სწორი. ვიცოდი, ვინანებდი, რომ პირში წყალი ჩავიგუბე.

— ტყუილად უთხარით უარი ფილმში გადაღებაზე, — დავიწყე სიცილით, მაგრამ სიცილი არ გამომივიდა.

ჟანამაც დააპირა გაღიმება, მაგრამ აღარ გაიღიმა.

— კიდევ ჩამოდით, — ვუთხარი მე.

ჟანამ შემომხედა — პირველად საკუთრივ მე, კოჭლს, სახედანაოჭებულს, ძველ მწვანეკეპიანს, მაგრამ არც ჩაუცინია, არც გაკვირვებია, მას ისევ დაუბრუნდა მშვენიერი პირქუშობა და აღნიშნა ის სერიოზული წამი.

— რა ვიცი, დამნაშავის კილოთი თქვა მან.

ეს ფოტოგაელვებასავით იყო. ვიცოდი, რომ სწორედ ასეთი დამამახსოვრდებოდა — მისი თვალების მხურვალე სიშავე, დაუხამხამებლად რომ მიყურებდნენ. ჟანას თეთრი, სუფთა სახე სევდამ დაარბილა, ერთ დღეღამეში გახდა და ნათელი შეემატა.

აქამდე მისთვის ვოლკოვის ამბების წყარო ვიყავი და უცებ დამოუკიდებელი პიროვნება გავხდი.

— ჯერ კიდევ გაქვთ დრო, ხვალ წავიდეთ კინოსტუდიაში.

— მერე?

— გადაღებას დაგიწყებენ, დარწმუნებული ვარ, რომ კარგად გამოგივათ, იმასობაში მეც რაღაცეებს გავიხსენებ. გადაღების შემდეგ რომ მოხვალთ, ახალი მოგონებებით დაგხვდებით.

— ხელის თხოვნასა ჰგავს, თუმცა ძალიან მორიდებულს, — მხიარულად მითხრა ჟანამ.

ორივეს გულზე მოგვეშვა და გაგვეცინა.

ყველაფერმა ხუმრობაში ჩაიარა. ჟანამ ხელი ჩამომართვა და მადლობა გადამიხადა. ვაგონის ბაქანზე შემობრუნდა და რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგონე.

ნევის პროსპექტზე ფარნები არ ენთო, მაგრამ მაინც ნათელი და ხალხმრავალი იყო. შევნიშნე, რომ არაფერს ჩრდილი არა ჰქონდა. ადამიანები მიდიოდნენ, ლანდი კი არ მისდევდათ. არც მე მომდევდა ლანდი. კატა მიიპარებოდა, არც იმას ჰქონდა ლანდი. ურნიდან კვამლი ამოდიოდა და ლიცლიცებდა ამ არსაიდან მოსულ სინათლეზე.

ადრე არასოდეს მენახა ქალაქი ასეთი მსუბუქი, ჰაეროვანი. ამ გაფანტული სინათლის მოუხელთებლობა იდუმალებ[illegible]ძლევდა ყველაფერს. ბავშვო[illegible]ხლები და გზაჯვარედინები ჩემთვის უცნობი სილამაზისა იყო.

მაგრამ ამაზე უცნაური ის იყო, რაც დღეს გავიგონე. ჟანას ჩამოსვლამ და გულის გადაშლამ მადლიერების გრძნობა აღმიძრა და თან გამაკვირვა კიდეც. მაშ, ჟანა მართლაც იმიტომ ჩამოსულა, რომ ეს ყველაფერი მე გამეგო...

მაგრამ ეს რა იყო იმ გრძნობებთან და ფიქრებთან შედარებით, რომლებიც თავში მიტრიალებდნენ და კიდევ დიდხანს არ მომასვენებდნენ.

თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოვარდ ტუხაშვილი

## „ვერ დამადუმონ!..“

### (მუხრან მაჭავარიანის პოეზიის გამო)

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

ეს ის მოვლენაა, უფრო იდუმალი სამყაროდან რომ იღებს სათავეს. ასეთი პოეზიის შესახებ ამბობდა აინშტაინი, რომ პოეტური განჭვრეტის მექანიზმი საკრალური საიდუმლოებაა, რომლის სიღრმეში შეღწევა არა, მაგრამ მისით აღფრთოვანება კი შეუძლია!

გ. ტაბიძის წყალგამყოფი — ილიას მკვლელობა, მართლაც ავლებს ზღვარს ორ საუკუნეს შორის.

ისტორიული თემატიკისადმი ქართული პოეზიის დამოკიდებულება გართულდა საბჭოთა პერიოდში. პირველ ეტაპზე ჩაითვალა, რომ „ოქროს ხანა“ 1917 წლის მერე დადგა. მაშასადამე, უნდა უკანა რიგში (თუნდაც „ვერცხლის“ რიგში) გადასმულიყო კლასიკა. მეფეთა პანეგირიკა შეცდომად მოინათლა. კლასობრივმა პრობლემატიკამ გადაალაგა ისტორიულ მოვლენათა გადაფასების საყრდენები, თვით ყველაზე დიდი დემოკრატი ილია ჭავჭავაძე მხოლოდ მებატონედ გამოცხადდა. საბედნიეროდ მარქსიზმ-ლენინიზმს უარი არ უთქვამს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასევე სწრაფად გადარეცხა დრომ ე. წ. „რაპელთა“ ფსევდორევოლუციური მემარცხენეობა. ისტორიული თემა დარჩა პოეზიაში. ნიჰილისტური ტენდენციები მალე დაითრგუნა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ისტორია თვითონ ხალხია, ხალხთან კავშირი უნდა განხორციელებულიყო მისი ისტორიული ბედის გაზიარებით, ახალი დროის მიერ ამ ბედის გათავისებით. 30-50-იანი წლების პოეზიაში ბრწყინავს ისტორიული ფონი, ოღონდ ეგაა! — თითქმის ალწერილობითია. ასეთი იყო ლადო ასათიანის „ბასიანი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანის“ შესაბამისი ადგილის პოეტური წაკითხვა). ასე დაიწერა ირ. აბაშიძის პოემა „რას გადაურჩა თბილისი“ (შ. მესხიასა და დ. გვრიტიშვილის „თბილისის ისტორიის“ გალექსილი ვარიანტი“. ორივე ნაწარმოები მაღალი პოეზიის ნიმუშია, თუმცა მკითხველზე ზემოქმედება აქ მაინც უპირატესად ისტორიზმით მიიღწევა. ლადო ასათიანის ბრწყინვალე ლექსში „ბასიანი“, ავტორი პასიურია, თვით ბასიანის ომია უფრო მაღალი! აქ არ გამოვა შეძახილი — „ხ მ ა ა  მ თ ა ვ ა რ ი“. უბადლო ხმა აქვს ლადო ასათიანს, მაგრამ მაინც ვერ ფარავს იგი ქართველთა ყველაზე შესანიშნავი ბატალიის განსაკუთრებულ „ექოს“. საინტერესოა ირ. აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზეც“, სადაც თანამედროვეობიდან დანახული ეროვნული ისტორია ასევე საუცხოოდ ჩაეწნა შესაბამის „ხმას“. აქ პოეტი უკვე აღარ არის ქრონიკის გამლექსავი. ამ ციკლში ირ. აბაშიძემ მოახერხა „გასხლტომოდა“ ისტორიზმის მძლავრ ორბიტას და თავის პოეტურ ლერძზე ებრუნა. ამ მხრივ უალრესად საგულისხმოა მუხრან მაჭავარიანის „ისტორიული“ პოეზია. ჩვენ არ შევეხებით ლიტერატურულ-ესთეტიკურ მხარეს (ეს პროფესიონალი ლიტერატორების ფუნქციაა). ამიტომ განზე ვტოვებთ მუხრან მაჭავარიანის პოეტური ფენომენის მნიშვნელოვან რკალს — ციკლებს „ვეძებ და ვეძებ“, „წისქვილის ღამე“, „შემოდგომის ღამეები“, „დიალოგები წვიმაში“ და ა. შ. რა თქმა უნდა, პოეტის შემოქმედების სპეციფიკური ასპექტების მიხედვით დაყოფა ერთობ პირობითია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ავტორის საერთო-სახალხო სიყვარული და პოპულარობა

მოუპოვა ძირითადად იმ ლექსებმა, რომელთა უმთავრესი ნაწილი მოქცეულია ციკლებში „ზე იწევს ციხენ“, „ორი ცრემლიდან“, „1882“. მუხრან მაჭავარიანის „რჩეულის“ მოკლე შესავალ წერილში, მართალია, ძალზე შეკუმშულად, მაგრამ მაინც ახსნილია მიზეზი ამ მოვლენისა, მინიშნებულია, რომ პოეტმა მიაგნო „აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებულ ერთადერთ ფორმას. ვერაფერს ვიტყვით, არა, აზრადაც არ მოგვდის ეჭვი შევიტანოთ ასეთ „მინიშნებაში“, დავსძენთ უბრალოდ! საერთო-სახალხო აღიარებას არ სჭირდება ყოველთვის ახახვის ფორმის სისრულე. აქ უფრო სხვა სახის „იდუმალი მექანიზმი“ უნდა იყოს. ავტორმა ისტორიული მოვლენები თანამედროვეობის პარალელურად, ერთდროულად კი მასთან დაპირისპირებით, მოგვცა „დღევანდელობის“ მანკიერი მხარეების მძაფრი კრიტიკა. აწმყო, როგორც ნამყოს გამრუდებული ვარიანტი დააშინა მკაცრი მომავლით! („მოდის მერმისი, ცოცხით ხელში, მკაცრი და სუფთა!“). ეს საკითხის ერთი მხარეა. უფრო მნიშვნელოვანი მეორეა, სხვა. მუხრან მაჭავარიანთან ფაქტობრივად არცაა ისტორიზმი, ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით. წმინდა „ისტორიულ თემაზე“ ხულ რამდენიმე ლექსი თუ აქვს შექმნილი.. („საბა“, „ისევ საბა“ და ა. შ.). ისიც — ნაწილობრივ. „საბა“-შიც უფრო დღევანდელი გულისტკივილია გაცხადებული. მკითხველმა უნდა ირწმუნოს: რამდენიც უნდა „მოიროტოს“, „მოისტამბულოს“, „მოიპარიზოს“ ქართველმა, საშველი არაა, თუ თავადვე, სხვის გარეშე ვერ იპოვი გამოხსნის გზას. კნუტის ალერსი უფრო აინტერესებთ „მეფე-მზე“ ლუი მეცამეტეებს, ვიდრე შორეული იბერიის ბედი. ავტორმა იცის, რომ ვერსალში სულხან-საბას დახმარება აღუთქვეს, ისიც წაუკითხავს. რა დიდებულად მიიღო საფრანგეთის ორივე სატახტო ქალაქმა საქართველოს დესპანი, რა შთაბეჭდილება მოახდინა საბა-სულხანის აკადემიურმა ტონმა ფრანგ არისტოკრატიაზე.

„მე მოხუცი ვარ და უძლური, თორემ თვითონ წავუძღვებოდი ლაშქარს იბერიის სახსნელად“ — სინანულით თქვა იმპერატორმა. „თქვენ ისეთი გრაციით ატარებთ ასაკს. ყველა ისურვებდა ამ ძვირფასი სამკაულის ტარებას“, ვერსალის შესაფერისი ქათინაურით წარმოთქვა იბერიის ელჩმა. აიტაცა პარიზმა ეს ფრთიანი გამოთქმა — „ასაკის ლამაზად ტარება“. ყველაფერი ამაო იყო. პრაგმატისტულმა ევროპამ დიდი ხანია ხელი აიღო რომანტიზმზე. მიშველი ევროპული პრაქტიციზმი გამორიცხავდა საფრანგეთის რაიმე დახმარებას. ეს იგრძნო პოეტმა... (კი არ შეისწავლა, „იგრძნო“). ამიტომაცაა გროტესკული ფრანგი მზე-მეფის სახე, ამიტომაა ცრემლიანი ჩოხა საბასი, რომელიც პოეტის გაგებით დიდხანს ალოდინეს და ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან მეთხუთმეტე კაცად შევიდა, როც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა“. რატომ სჭირდება ისედაც უშედეგო ელჩობის უტრირება? მან ხომ იცის, რომ საბას დიდხანს არ ალოდინეს? იმიტომ, რომ იგი ქრონიკას არ ლექსავს, აანალიზებს ელჩობის პოეტისეული რედაქცია გაცილებით სჯობს წმინდა მეცნიერულს.

მუხრან მაჭავარიანმა, ფაქტობრივად „პოეტის თვალით დანახული „ქართლის ცხოვრება“ (აკაკი, ილია)? შემოგვთავაზა. ხომ არსებობს „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ვარიანტი: ლეგენდარული, მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული, ფოლკლორული, ფანტასტიკურიც. მაგრამ არსებობს პოეტური „ქართლის ცხოვრებაც“. ამ მხრივ მუხრან მაჭავარიანის ისტორიული „ხილვებიც“ ორიგინალური, განუმეორებელი და განსაკუთრებულია!...

„მე საიდანაც ვარ, იქ სხვათა შორის, ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის მდინარე დის; ერთია დ უ მ ა ლ ა, მეორე — ყ ვ ი რ ი ლ ა. ალბათ ამიტომ მე, როგორც აქაურმა, დ უ მ ი ლ ი ც მეტყველი ვიცი და ყ ვ ი რ ი ლ ი ც“.

...ლაპარაკი — ვერცხლია, დუმილი — ოქროო! — ამბობენ ჩვენი ძველები.

ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა, ვყვირი! — მისთვის ვყვირი! ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ! მხოლოდ ჩემთვის, ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს! მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვები, ეს „შესავალი“ თეთრი ლექსივით იკითხება. შემინიშნავს; ჭეშმარიტი პოეტის ხელიდან გამოსული თვით პროზაული ნაწარმოებიც კი, უფრო მაშინ, თუ იგი ავტორის შემოქმედებით კვინტესენციას გამოხატავს, პოეტურ სიმაღლეზეა! (კლასიკური გაგებით პოეზია ხომ მართლაც მთლიანად ლიტერატურას გადაფარავს!). ეს აზრი შესანიშნავად დაამტკიცა ჭერ აკაკი წერეთელმა, ჩვენს ეპოქაში კი კიდევ მეტი ბრწყინვალებით — გიორგი ლეონიძემ. „ყვირილისა“ და „დუმილის“ მონაცვლეობაც ისტორიული ბედის გამოხატულებაა. „სრულიად საქართველოს“ ბედის „ყვირილს“ (რადიკალიზმს) ძველად „ჟამი ომისა“ ერქვა, „დუმილს“ (კომპრომისს) — „ჟამი სივლტოლისა“. ორივე აუცილებელი იყო. ერთმანეთის შემავსებელი. არც ყვირილში გადაგვიჭარბებია, არც დუმილი გაგვიხდია თვითმიზნად.

აი, რას ეუბნებოდა ივანე ამირსპასალარი მეფე გიორგი III-ს ერთ-ერთი მარცხისას: „ნუ ღკუე. მეფე. ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლვისა ვინაითგან ყ ო ვ ე ლ ს ა ვ ე ს ა ქ მ ე ს ჟ ა მ ი მიაჩნს, რამეთუ ოდესმე ალე-

ქსანდრელი იძლევა დედაკაცისა მიერ, და ერეთვე სამბხონ დალისაგან და სოლომონ ბილისაგან... აწ ჩვენცა თავმდებელთა ფიკუით სივლტოლა. და კუალად შემძლევმან ძლევათა მან ჩვეულებითავე მოგვაგონს უძლეველობა“.

ვიმეორებთ: დუმილი და ყვირილი, შეტევა და უკანდახევა ეროვნული ისტორიის თანამდევი იყო. პოეტმა შესანიშნავად გააცნობიერა ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენის აუცილებლობა, სამანევრო-იძულებითი საჭიროება მამულის დაცვისას. მამული ხომ ერთადერთია — ულალატო, მარადიული; „სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა, რომ ჩემს საფლავზე ყაჩოსავით ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“ („მარტო იმიტომ“), ვიბრძვით და ვითენთ, ვთმობთ პირადულსაც. „ვინაიდან დუნიაზე მამულს ვაღმერთებთ“ („მადლი იმ ზათა“). ამ გრძნობას ვერ გაიგებს მხოლოდ ის, ვინ სამწუხაროდ სამშობლოთი არაა ავად“ („მიზეზი ყოვლის“). მამული ქართველისათვის ეექვსე გრძნობაა, ოლონდ მნიშვნელობით პირველ ადგილზე „გადასული“. უკვე დიდი ხანია ჩვენთვის ქართველობა თვისობრიობად იქცა. ცნება „ქართველი“ სიმაღლის, კულტურის, ზესაფეხურის შესატყვისია. მამული — საქართველოა! სიცოცხლის, ლმავალი კოლექტიური სიცოცხლის, ეთნიკური მარადიულობის სიმბოლოდ გადაიქცა. მამულის თემა წამყვანია ისტორიოგრაფიისთვისაც და სიტყვაკაზმული მწერლობისთვისაც. ამიტომ ერთგვარად ბანალურიცაა, შაბლონით გამშრალებული. კრიტიკაში უკვე აისახა, რომ პატრიოტიზმი ზოგჯერ ლიტერატურული სპეკულაციის წყაროა! ასეთი ცნებების შემოტანა ადვილიცაა, თუმცა შეიცავს რისკსაც და საცდურსაც. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში მამულის პრობლემა ტკივილადაა გაცხადებული. მამული მასთან მძიმე ტვირთია, გოლგოთაზე ასატანი ჯვარია, მართალია, ულამაზესი, უმდიდრესი შესაშური, ისეთი, სხვებს რომ არა აქვთ („არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თორემ კი“), მაგრამ მაინც — ტკივილი და ცრემლი! აქ ცრემლი ყოველთვის სამშობლოსთანაა დაკავშირებული („საბას კაბა დაუხველა რამ“)... აქ ცრემლს შოთა რუსთაველისეული ფუნქცია არ გააჩნია. იმპერიულ პერიოდში ცხოვრობდა შოთა რუსთაველის ქართველი. მაშინდელ რაინდებს უფლება ჰქონდათ ცრემლი „სისხლდანთხეული“ ეღვარათ სატრფოსათვის, მუხრან მაჭავარიანთან ცრემლი მხოლოდ მამულისთვის იღვრება — იგი თავისებურად გაიაზრებს წარსულს, ნამყო, მაყოლულიც და მინორულიც. თანამედროვეობის ორი შენაკადია. პოეტი ცნობს 23-საუკუნოვან ისტორიას, ლეგენდარული ქართლოსის გვერდის ავლით ფარნავაზიდან იწყებს („დილმის წვიმა“) ალბათ იმიტომ რომ ყველაზე უკეთ ხედი აწყმოდან ნამყოში სწორედ [illegible]: ფარნავაზი + 23 საუკუნე + [illegible] რაც წინაა, ლეგენდების სფეროა. რაც მომდევნო („მკაცრი მერმისი“) — აწმყოდან ამოვა! მაშასადამე, ავტორისათვის მთავარია ე. წ. „ხილული ისტორია“. აქ სხვა რამაცაა: ფარნავაზიდან ყალიბდება ქართველი და საქართველო (= ქართლი). — ერთიანი ტერიტორიით, ენით, კულტურით, რელიგიით, დამწერლობით, პოლიტიკური თავისუფლებით. ფარნავაზი, საქართველოსთვის იგივეა, რაც ბიბლიური ებრაელებისათვის — მოსე. განსხვავება ისაა, რომ მოსე მონებს შეპირდა თავისუფლებას, მერე არ ენდო მონობაში დაბადებულებს, 40 წელი უდაბნოში ხეტიალით „გაწყვიტა“. ფარნავაზმა კი აღადგინა, აღადგინა რაღაც დიდი, ოდესღაც უკვე არსებული, თუმცა ახალი რედაქციითა და თვისობრიობით.

„ოცდასამი საუკუნის წვიმა ვერ დაწონის ვერც ცხადში, ვერც ძილად, ოცდასამი საუკუნის წინათ მოსულ დილმის წვიმას!“ „რადგან აღორძინება მძლავრი იწყება დილმის წვიმით“. აღორძინება არ ნიშნავს საწყისის პოვნას. იგი დაქცეულის წამოდგომაა! პოეტი ნატრულობს სწორედ დაცემულის, დაჩოქილის წამოდგომას. ალბათ მისთვის კარგადაა ცნობილი შეძახილი „მე ექვსი ათასი წლისა ვარ!“ მაინც 23 საუკუნე უქცევია ზღვრად, სანატრელ თვისობრიობად. „დილმის წვიმათ სანატრელო“ — ეს სხვა არაფერია, თუ არა ახალი თვისობრიობის — შეგნებული თავისუფლების გზის პოვნის ნატვრა. სამწუხაროდ, ქართველები იმ ბედნიერ ერთა რიცხვში არ შედიან, ერთხელ რომ იპოვეს ხსნის გზა და მერე დიდხანს აივაკეს სავალი. ეგვიპტის, შუმერის, ბაბილონის, ასირიის, ელადის, სპარსეთის, რომის, ბიზანტიის, თურქთა იმპერიული ზეობის პერიოდები ასეულ წლებს მოიცავენ. ივანე III-მ 1480 წელს გადაიგდო მონღოლთა უღელი, მას შემდეგ სოციალური განთავისუფლებისთვის კი იბრძოდნენ მისი ხალხის ჩამომავლები, თორემ „თეთრი რუსეთი“ (=პოლიტიკურად თავისუფალი რუსეთი) ხარემ 5 საუკუნეა გიგანტური ნახტომებით აბიჯებდა ყველა მიმართულებით. ყველაზე დიდი ზეობა ქართველთა, ხანგრძლივობით საუკუნენახევარს არ გადასცილდება. ამიტომაც ჩვენში დროდადრო პერმანენტული სიჯიუტით იდგა პრობლემა „აღდგენა-გამოხსნისა“. იყო ძიება „ქართლოსის საფლავის ლოდის“, მოდიოდნენ „თაობანი გადაცელილი“. გულდათუთქული პოეტი ამიტომაც წერს: „მე მეცხრამეტე საუკუნიდან მესმის ურმული. წვიმა მასველებს მეჩვიდმეტე საუკუნისა“. ჩვენი მამული არაერთგზის „სისხლით გაჯერეს. იმდენად მტრებმა, — წვიმას ვერ იტანს“ („ორი ცრემლიდან საქართველოს

გაჭყურებს საბა"). „ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი, — ორბელიანმა თვალის ჩინი დაკარგა ალბათ! — პირიქით ერთობ კარგად ხედავს და მიტომ სტირის:" აქაც და შემდეგაც წარსული დღის სამზირიდანაა დანახული. „ქუხდნენ ჭადრები, ქუხდნენ მუხები, ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!" ეს წარსულია — „ქუხან ჭადრები, ქუხან მუხები, ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!" ეს უკვე აწმყოა. „ნუ — გათათრდები" გვიანდელი შუა საუკუნეების ეროვნული ლოზუნგია! „თათარი" ადრე მონღოლს აღნიშნავდა. შემდეგში ჩამოყალიბდა თავისებურ განზოგადოებულ ცნებად. „თათარი" კულტურულად არაქართველს ნიშნავს. ა რ ა მ ხ ო ლ ო დ მ ო მ თ ა ბ ა რ ე ს, ა რ ა მ ხ ო ლ ო დ მ უ ს ლ ი მ ა ნ ს, ა რ ა რ ო მ ე ლ ი მ ე კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ე რ ო ვ ნ ე ბ ა ს ა ნ ეთნიკურ ჯგუფს, „თათარი" რაღაც შენაზავია ყველაფერი იმისა, რაც მიუღებელია ქართველისათვის, რაც უპირისპირდება ქართველობას. „თათრობა" ესაა ენის დაკარგვა, ინტენსიური მეურნეობის იგნორირება, კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმა. XIII-XVIII საუკუნეებში „თათრობა" ასახიერებდა ყველა მომხდურის ცხოვრების წესს. ფართო მნიშვნელობით იგი დენაციონალიზმის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინია. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა შენიშნა, რომ „თათრობა" ხშირად ხორციელდებოდა ნებაყოფლობითაც, რაც ეროვნულ თვითლიკვიდაციას ნიშნავდა. „გათათრების" თანამედროვე რედაქცია აუცილებელი არ არის პოლიტიკურ დოქტრინად გავიგოთ. აქედან გამომდინარე არც „ნუ გათათრდები" ნიშნავს პოლიტიკურ ლოზუნგს. „ნუ გათათრდები" ესაა ანტისნობისტური, ანტინიჰილისტური მიმართულებების ეროვნულისაკენ შემობრუნება. მუხრან მაჭავარიანი შესანიშნავად „აზუსტებს" ამ მარადიული ძახილის („ქუხილის") შინაარსს. ეს ძახილი ისევ აუცილებელია, რადგან „წევს მხართეძოზე მდუმარება უზარმაზარი! („პეტრე I"). თანამედროვე ქართველს მორევია მრავალი სენი, დაგვიჩემებია „სუყველაფერზე თავის კანტური", დაგვივიწყებია, რომ ეს „საქციელია არაქართული", შემოგვდებია ისეთი ზანგი, რომ „გაოცება ენას ართმევს კრწანისს, ნარიყალა ილიმება ძალით, ბასიანიც, ვატყობ ცერად გვიმზერს!" ულარდელობით ხელში შემოგვფლეთია ქვეყანა „როსმე ფრიადი ქვეყანა ქართლი, დღეს ერცახეა, ვით ტყემლის კურკა". „სხვენზე აგდია ქანგის ულუფა, პაპის ნაქონი თოფი". „აღარც საბაა, აღარც ბესიკი, აღარც ვახტანგ აღარც არჩილი". და ეს როდის? როდესაც: „არა და ისევ დღის წესრიგშია ბედი ქართლისა, და ქართლის ჭირი" (ციკლიდან „1832"). მუხრან მაჭავარიანის ძალა სწორედ ამაშია! აქ წარსული არც რომანტიკაა, არც გახსენება, იგი დღევანდელობისათვის ბრძოლის მეთოდია! საფრთხე[illegible]ქართველობას, ლპობას იწყებს [illegible]". აღარ ღირს უკვე ლაპარაკი იმაზე, „რაც უკვე მოხდა, გვაწუხებს ის — აწი რაც უნდა მოხდეს" დღევანდელობის სევდიანი ნოტი ადრევეა დარხეული. დამოუკიდებელი საქართველოს ჩ ჰაე (გიორგი XII და დასასრული) ვერ აღმოაჩნდა „ანის" (ფარნავაზი და დასაწყისი) შესატყვისი! „მოწყენილია თელავის ციხე — ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა". „ქვითინებს მუხა ალაზნის გაღმა... ვერ იდავითა პატარა კახმა!" („ლხინი ალაზნის ჭალაში"). პატარა კახის ნაშიერებსაც რაღაც „უცნაური ავადობა" შეყრიათ! ქართველები: — „სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწნი" „სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტნი", „დედამიწის ლამაზი შვილნი, მოუცავთ გაუგონარ უპასუხისმგებლობას! „ძენი ძის ძენი მეფე გუმბაზის, მერე რამდენი, მერე რამდენი, დახოცილები ქართულ სუფრაზე, დილომში წვანან, სამარაბდენი!"... შედეგი? „ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა! გვეცლება ქართლი თვალ და ხელ შუა". პოეტის თითოეული ფრაზა უტრირებულია, გამძაფრებული. „გუგულის ბარტყი, ესოდენ ურცხვად არ მოქცეულა დღემდე": „სიტყვა ქართული ესოდენ მძაფრად, არ სწყურებია დმანისს". „საცაა გუგულს, ვიცი და ვიცი, ბუდე დარჩება მერცხლის, სირცხვილით იწვის, სირცხვილით იწვის, კრწანისის ველზე ცეცხლი!"

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ორიგინალურად აისახება ე. წ. „მიმდინარე პროცესი"... ეროვნული თავისთავადობის არსის მიმდინარე პროცესი!

დაამუშავეს რა აქტიური ბრძოლის მეთოდი შუა საუკუნეებში, ქართველებმა ვეღარ მოარგეს „ახალ ეპოქას" ახლებური ძალისხმევა. ადვილი იყო უწინ ბრძოლა; — მოდიოდა მომხდური, აშკარად ამბობდა სათქმელს, ასევე აშკარად ხვდებოდა დამხდურიც. XIX საუკუნის დასაწყისიდან შედარებით მშვიდობა დამყარდა და გამოირკვა, რომ დაიწყო უკვე სხვა რიგის უფრო რთული და დაუნდობელი ბრძოლა, ბრძოლა გაძლებისათვის, შეგუებისათვის. კულტურის მაღალ რეგისტრებში ესოდენ ზეცაში ატყორცნილი ქართველობა, ყოფაში ჭაობში ჩაეფლო. დაიწყო ულარდელობა, მოდუნება, დემოგრაფიული გულგრილობა, გამრავლდნენ „სან-სუნები, ბერბიჭები", „კვიცა რაინდები". ამასობაში საშიშროება შეექმნა ჩვენს შესანიშნავ ისტორიულ არქიტექტურას, ძველ წყაროებს, თავდაცვაზე გადავიდა ისტორიოგრაფია. გვიხდებოდა და გვიხდება „დამტკიცება", რომ „ჩვენ ვართ ჩვენ" რომ ჩვენია ჩვენი, ჩვენი ანბანი, ჯვრის მონასტერი, თბილისი, ტაო, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, გრიგოლ ბაკურიანი, პეტრიწონი, დავით კურო-

პალატი, სამეფო დინასტია, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, ისტორიული პერსონალია და ა. შ. გადამალეს ქართული წარწერები ელადაში, სირიაში, პალესტინაში, „სულ ახლოს, აგერ აქვე!“... პოეტი გულისტკივილით გამოეხმაურა ამ ერთი შეხედვით უწყინარ, სინამდვილეში კი უველაზე „აგრესიულ აგრესიას“. „გვინგრევენ წარსულს, გვიობრებენ. ჩვენ ყურზე გვძინავს“ („ქართველი ამას იკადრებს? — არა!“). ისტორიის ნგრევის გარდა, ინგრევა აწმყოც. არა ომით, არა სისხლისღვრით, არამედ ჩვენივე უთავობით ვკარგავთ პოზიციას. მოდით, შევხედოთ ამ ფაქტს მშრალი სტატისტიკოსის თვალით. 1800 წელს ქართველობა ამიერკავკასიაში ერთადერთი ხალხი იყო, რომელიც ფლობდა სახელმწიფოებრიობას, მორღვეულს, აგონიაში მყოფს, მაგრამ მაინც მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას — ისტორიული ოპტიმიზმით გაჟღენთილს! კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობაც, განსაკუთრებით ქართლ-კახეთში. კრიზისული მდგომარეობის მიუხედავად, ქართველები რიცხვით მაინც აღემატებოდნენ მხარის ყველა დანარჩენ ხალხს საერთო რაოდენობით. XIX საუკუნის I ნახევარში დიდი იმპერიის სადარაჯოზე ბევრი არაფერი უშველია. ქართველობა არ გაიზარდა (ბევრი შეიწირა 1802, 1804, 1810, 1812-13, 1819-20 წ. 1832 წ., 1840 წლების ანტიცარისტულმა გამოსვლებმა და ხშირმა ეპიდემიებმა. ამასობაში მატულობდა სომხური ელემენტები (შემოსახლებისა და ბუნებრივი ზრდის ტემპის წყალობით). აზერბაიჯანელები კი რელიგიურ საფუძველზე გარს იკრებდნენ ყველა მუსულმანს (ტატებს, თარაქმებს, მუღალებს, ირანელებს, თურქებს, ქართველებსაც კი). ასეთ ტენდენციას შესაფერისი რეზულტატიც მოჰყვა. XX საუკუნის დასაწყისში ქართველებს „წამოეწივნენ“ აზერბაიჯანელები და სომხები, მერე კი გაასწრეს და მერე როგორ! ნუ გამოვეკიდებით ამ რთული, ჩვენთვის სავალალო მოვლენის მიზეზებში პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური მოტივების ძიებას, მაგრამ მოვუსმინოთ ამ მიზეზის პოეტურ ახსნას: „ქედზე ჩვენსავე დადგმული უღლის, გულში ჩვენსავე ჩამდგარი მწუხრის, დვრიტაა... ჩვენივ ბუნება წუწკი“. მკაცრი განაჩენია, ოღონდ სამართლიანი. ქართველობა დაიბნა, ეს „ნაშამქარალი“, „ნადიდგორალი“, „საასპინძე“, „სამარაბდე“, „სატანძიე“ ხალხი თითქოს გადაირია, ლამის გაბდეს საკუთარი თავის მესაფლავე. ამიტომ ძალზე ღრმოულია მკვახე შეძახილი: „კმარა, გვიანღა იქნება მერე. გვიახლოვდება, ვხედავ წერტილი, და საქართველოს უკვდავი მტერი, სიცილით კვდება ჯალალედინი!“ („თქვა ოპიზარმა“).

მართლაც, „როდემდე უნდა იმაყოს ქართველმა ხალხმა, ისევ და მხოლოდ გინდ მოთათი, გინდა ცოტნეთი? დევგმიროთ ძველთა „ვერ შევმატებთ უკეთუ ახალს?“ („რუსთაველისადმი“).

„რა ბედენაა დიდების და მთაწმინდის მიწა თუ სიკვდილია. აი, წოლა მესმის შამქორში“ („თუ სიკვდილია“).

მუხრან მაჭავარიანთან ძირითადი მახასიათებელი მაინც ისტორიული ოპტიმიზმია. ცრემლი, ურვა, ტკივილი, ტირილი, მხოლოდ შეგონებაა... სიდიადისა და დაცემულობის (უმთავრესად თანამედროვე ყოფითი უარსაყოფი მოვლენების ხაზგასმით ილუსტრირების) შეპირისპირებით პოეტი არც პასიური რომანტიკოსია (იგი არსად მისტირის წარსულს), არც უპერსპექტივოდ განწირული პესიმისტი. თვითონაც გაღიზიანებული ქართველობას მძაფრი სიავით აღიზიანებს, მოუწოდებს შურისძიების სიხარულისაკენ („შურისძიება“). მაგრამ ნუ დავაკნინებთ ავტორს, ან ნუ გამოვაცხადებთ შურის ანდა მიგებითი შურისძიების ბრმა მოსისხლედ! იგი პოლიტიკური ვენდეტის მოტრფიალე კი არ არის, მასთან შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა ა ღ დ გ ე ნ ა ა, ა ღ მ ა ვ ა ლ ი ა ღ დ გ ე ნ ა. მარადიული უკვდავების გამაგრებაა. აქ გზაცაა მინიშნებული გარკვევით: „რუსთველი ახალი, თუ გინდა, დავით, ვეფხისა ახალი, თუ გინდა ტყავი, ჯერ შენ თვითონ უნდა იშიშვლო ხმალი, ჯერ უნდა შენ თვითონ გასწირო თავი“ („ბატონო დავით“). უნდა გაალვიძოთ სისხლი, „ბოლოთას რომ სცემს შენში! უნდა გახსოვდეს „ვისი გორისა ხარ!“ „უნდა გაიხსენო: „ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს“, რომ არა გვყავს არც ხნოვანებით, არც სიწმინდით, არც სიმშვენიერით, არც ზნეობით უკეთესი შენზე! აქ პოეტი ისეთსავე მეთოდს მიმართავს, როგორც დიდი იაკობ ცურტაველი წმინდა შუშანიკ მამიკონიანის პირით: „მამაშენმან აღმართნა სამარტვილენიო“. წინაპართა საქმენი დიდნი გვიხმობენ სიდიადისაკენ, არავის გვაპატიებს, არავინ შეგვინდობს „ამას, ამას რომ თვალი მტერზე უნდა გეჭიროს, ჩვენ კი მტრისა წილ, ღრეობაზე გვიჭირავს თვალი“. „იბასიანოს, დროა, დროა, ქართველმა სუფრამ“. თავისთავად უკვე ეს ფრაზა იპყრობს ყურადღებას. ცნება „იბასიანოს“ (ისევე როგორც „იასპინძოს“) მუხრანისეული „ზმნაა“, უდრის „იძლევამოსილოს“, „იდიადოს“ და ა. შ. ასეთი „ზმნები“ ხალხშია გასული. 1988 წლის მარტის დასაწყისში ჩვენ დავაფიქსირეთ სიღნაღის რაიონში ასეთი გამოთქმა: „იბასიანი ჩვენმა შრომამ, დაე ახლა ამ პატარა სოფელმა იხორნაბუჯოს“. ლაპარაკი ეხებოდა ახალი სოფლის „ხორნაბუჯის“ მშენებლობას ძველი ქალაქის ხორნაბუჯის ნანგრევთა სიახლოვეს. მაგრამ როგორ უნდა „იბასიანოს“ ქართულმა სუფრამ! ალბათ მხოლოდ ქართველი გაიგებს ამას! ქართული სუფრა ორგანიზებული ლხინის, კო-

ლექტიური დროს-ტარების (ძველი ბერძნული „სიმპოზიუმის" მსგავსი) ნიმუშია! იგი შრომა-ტევადიცაა, როგორც მომზადებით, ასევე მონაწილეობის მხრივაც. ნადიმის ისტორიული ტრადიციები კარგა ხანია გადაცდა ნორმას. ქართული სუფრა გახდა რაღაც გაუგონარი „გურმანიზმის მონსტრი". ქართველების ერთ-ერთი უარყოფითი მახასიათებელი. ყველა ქართველი თვლის, რომ საჭიროა ამ ჩვევის „შესწორება", „სუფრის რეფორმა". ამაოდ! სუფრა (სალხინოდ, სამგლოვიაროც!) ყოფით მოვლენად იქცა. იგი იწოვს ეროვნული ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს. ჯერ კიდევ VIII საუკუნის არაბი ქრონიკები აღნიშნავდნენ ქართველთა დრეობის მიულებელ მხარეს, XII საუკუნეში იონა ბოლნელმა ტრაქტატიც კი დაწერა მის წინააღმდეგ. დღეს ე. წ. „ნეგატიური მოვლენების რანგში არაერთგზის წამოწყებული კამპანია ტრადიციის მახინჯი ასპექტების აღსაკვეთად. სუფრა „სპორტული" ჰობი გახდა. სმა, უაზრო შეჯიბრი, სიუხვე, გულითადობის მაჩვენებელია. სუფრა პოეტთან გაცდენილი დროის, უმიზნო „ამქვეყნიური" სიძნელეებისაგან გაქცევის, მომავლის რწმენის შეცვლის სიმბოლოა. მუხრან მაჭავარიანმა მოკლე პოეტური წინადადებით, ერთი მოსმით, სტანდარტული პროპაგანდისტული მითითების გარეშე მოგვცა „სუფრის კულტის" დახვეწის გზა: „იბახიანოს, დროა, დროა ქართულმა სუფრამ". ეს უნდა ნიშნავდეს ქართული ნაციონალური ფენომენის სრულ შემჭიდროებას ერთი საერთო პრობლემის გარშემო. არა, ქართველი პოეტი როდისაა ლხინის წინააღმდეგი. უკვე აღვნიშნეთ, „სუფრა" განზოგადებული სახეა საზოგადოებრივი მოდუნებისა, იგი არსებულისადმი პროტესტიცაა (სადაც „გაქცევაა", იქ პროტესტიც იგულისხმება). ოღონდ ეს პროტესტი პასიურია, უფრო — ფუფუნება. ჩვენ ქართველებს ასეთი „გაქცევის" ან ხანგრძლივი „ჩამუხლების" უფლება არა გვაქვს. აბა დავაკვირდეთ, ჩვენ არ გვყოლია წმინდანთა ერთი რიგი: დაყუდებულები, მესვეტეები, განდგომილები, „მუნჯები", „დაყრუებულები" და ა. შ. ჩვენი წმინდანებიც კი მებრძოლნი, აქტიურნი არიან. ამიტომაც გასაგებია პოეტის მოწოდება: „ვიტყვი, ჯვარზე მაცვან თუნდა, გამოვადგე მამულს უნდა, ან სიცოცხლით, როგორც ვაჟა! ან სიკვდილით, როგორც ცხრა ძმა, არ არსებობს სხვა გზა" („გურამიშვილისა არ იყოს").

დიახ, არ არსებობს სხვა გზა: ან თავი უნდა შესწირო მამულს, ან დიდი სიკეთე დაამფრქვიო. ქართველი არ ეკუთვნის იმ ერთა „მწკრივს", ყველაფერს რომ იკადრებენ... „არა იუდა იტვირთო უნდა, უნდა იტვირთო იესო თვითონ!" ეს უბრწყინვალესი ორი ტაეპი ერის სამომავლო პროგრამაა, მაღალმხნეობრივი, სწორედ ჩვენი ისტორიის, ჩვენი ნაციონალური ხასიათის შესაფერისი. ეროვნული ხსნის გზა ქართველთა ერთიანობაზე გადის, უნდა გაჯერდეს ყველა ქართველი სამშობლოთი, ერთი მიზნით შეკრული ერთიანი საქართველო კი უკვე გამარჯვებას ნიშნავს: „ყოველი ტოტი და ტოტის ტოტი, და ტოტის ტოტის ტოტი ყოველი, საქართველოთი თუა ყოველი, ვინ ეშმაკია თვით სამოელი!"... („ყოველი ტოტი და ტოტის ტოტი").

მუხრან მაჭავარიანის ჰეროიკული პოეზია არასოდეს არ ხდება დეკლარაციული, არც ე. წ. „პლაკატური". იქაც კი, სადაც იგი პროპაგანდისტია, საოცრად ემოციური ლირიკა, ისტორიული ფონით გაჯერებული, ახდენს მკითხველზე განსაცვიფრებელ ზემოქმედებას. ძნელია მშვიდად, აუღელვებლად წაიკითხო ლექსების ერთი ჭეშმარიტად გამორჩეული ციკლი: „შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო". „წარსულით სავსე — მოგორავს სული", „უდღეისდღეომ და უწარსულომ — ვინა თქვას სიტყვა უალსასრულო", „ვითარცა მტკვარი", „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი და ა. შ. ეს საერთო-სახალხო სიყვარულით მოსილი ლექსები, პატრიოტული ლირიკის შედევრები, უკვე მთლიანად გაითავისა ახალგაზრდობამ. მათი გარჩევა არ შეიძლება, ისინი უნდა იკითხო, მათ უნდა უსმინო: „ხარ საურავი ჩემთვის ტაძარი, ხარ გარჭობილი გულში ისარი", „ჩემში რაც არი სხვისი არაა ერთი მისხალი, წუთისოფელი როცა მიყელებს, თიხად ქე მაინც გამომიყენე". ტკივილი გაუყუჩებელი, იარალია, „ავადმყოფობა" განუკურნავი, პრობლემა გადაუწყვეტელი და მაინც... ოპტიმიზმი! ოპტიმიზმი, ისტორიული, ოპტიმიზმი სადღეისო, ოპტიმიზმი სამერმისო! „გულს ნუ გაიტეხ! — მუხა კვლავაც შეიმოსება!" რადგან დღევანდლამდე, ქართველი ხალხი „თავს იმდენს მყისვე კვლავ იბამდა, — რამდენსაც სჭრიდნენ!"

ოდითგანვე ცნობილია, — დიდი ლიტერატურა მარადიულია. ოღონდ არსებითი მნიშვნელობა აქვს მის განსაკუთრებულ აქტუალობას. სათქმელი თავის ადგილას, თავის დროზე უნდა ითქვას — ისტორიულ მოტივებსაც თავისი კანონები აქვს. ან ისტორიული აქტის თანადროული უნდა იყოს მისი ასახვა (მაგ. იაკობ ცურტაველი, ან იოანე საბანისძე), ან ნაწარმოების შექმნის დროის შესაფერისი...

მუხრან მაჭავარიანის პოეზია იქმნებოდა ე. წ. სამი ეპოქის: „პიროვნების კულტის", „ვოლუნტარიზმისა" და „უძრაობის" დროს. ისტორიულად სამივე ეტაპი ერთი ეპოქალური სიბრტყეა, მხოლოდ სოციოლოგიურად განსხვავებული: ყველაზე რთული „ვოლუნტარიზმიდან" „უძრაობის" ხანაში გარდამავალი დრო იყო.

შეირყა რწმენის საყრდენები. უცნაურად გადალაგდა ფასეულობანი. ქართველობას დაბნეულობა დაეუფლა. საჭირო იყო მძაფრი ყვირილი, ჭკვიანურ დუმილთან შეზავებული. ხან ყვირილით უნდა გვეთქვა სიტყვა ქართული, ხან დუმილით მიგვენიშნებინა მისანიშნებელი. ამ ეპოქის მახასიათებელია ის, რომ ფიქრის უფლებაც ბედნიერება იყო. „ბედნიერება არის რამხელა!... თავისუფლება რომაა ფიქრის!" რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურას არც მაშინ ჰკლებია გამბედაობა (არ. სულაკაური, გრ. აბაშიძე, ო. ჩხეიძე, ნ. წულეისკირი, რ. ჭეიშვილი). არც პროზა ყოფილა ჩუმად, არც პოეზია, მუხრან მაჭავარიანი სწორედ ამ გამბედავთა ორდენის წევრია: „ვერ დამადუმონ, ვერ დამაძალონ, თუნდა ჩამქოლონ"... („ანდუყაფარი და ლიპარიტი"). ომახიანად ისმოდა მისი, „გახედე მარაბდას, გახედე ასპინძას, გახედე ბასიანს, გახედე ბაზალეთს" თუმცა დრო და დრო მაინც წამოცდებოდა: „სული მაინც არის ტკბილი", ანდა „ვარ დამნაშავე, რამეთუ მიჭირს დათმობა სოფლის, არადა მიწას, მამულის მიწას, სწყურია სისხლი! არ ყოფნის ოფლი!" პოეტი ამ სიტყვებს დიდ სოლომონ დოდაშვილს ათქმევინებს ალსარებაზე. დამშვიდებული იყოს პირველი ქართველი განმანათლებელი, მშობელი ქვეყნისათვის მას არც ოფლი დაუკლია, არც სისხლი. ასევე დამშვიდებული იყოს მუხრან მაჭავარიანიც.

თავისი შესანიშნავი პატრიოტული პოეზიით ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც დგანან ერისკაცნი, „საქართველოში დამარხვის ღირსნი". სწორედ ამ პატრიოტულმა პოეზიამ ჩააცვა ქართველ პოეტს ერის სულიერი მოძღვრის წმინდა მანტია! ღმერთმა დიდხანს ატაროს-ბინოს!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩვაძე

# საკუთარი გზის ძიება

კნუტ ჰამსუნის ცნობილი მოსაზრება, „ქმნიდე, დღენიადაგ ასამართლებდე საკუთარ თავს“, ჩვენის აზრით, ზუსტად გამოხატავს თამაზ ჭილაძის შემოქმედებით ბუნებას.

თამაზ ჭილაძეზე უბრალოდ, ანდა, ადვილად წერა, შეუძლებელია, რადგან თვით ადვილად ვერადერს ქმნის შემოქმედებითი პროცესის სირთულე, ერთადერთი სიტყვის ძებნის სიხარული და სევდა, ნაწარმოების ბატონობა ხელოვანზე, მიზნის და შედეგის განსხვავებულობა. თამაზ ჭილაძის, როგორც თავისთავადი საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედის სიხარულიცაა და უსაზღვრო ტკივილიც. „ფორმა, რომელსაც ხელოვანი ქმნის, შემდეგ მავთულხლართებივით ერტყმის იმ სამყაროს, რომელშიც შეღწევას ცდილობს და რაც უფრო სრულყოფილია ფორმა, მით უფრო ძნელია შეიცნო შენი არსებობის პაწაწინა ნაწილი მაინც იმ სამყაროში, რომელიც თუმცა შენი გონების ნაყოფია, უკვე უცხო სხეულია, უცხო და უცნობი“.

ცნობილია, როგორი მაქსიმალური სიმკაცრით მოეპყრა იგი საკუთარ შემოქმედებას, რომელსაც რჩეულ სამტომეულში ბევრი კარგი ლექსი არ შეიტანა. არცერთ ბოლო პერიოდის გამოცემებში არ შესულა მისი პირველი მოთხრობები: „შუადღე“ და „გასეირნება პონის ეტლით“. შეუძლებელია ამ მოთხრობებით გამოწვეული სულიერი და ემოციური ზეგავლენის დავიწყება, რადგან სწორედ მათში გამომჟღავნდა მუდამმზადმყოფი შემოქმედებითი ენერგია, რომელმაც მწერლის უპირველესი თვისება — მაღალმხატვრულობა და თანამედროვეობის გასაოცარი გრძნობა წარმოაჩინა. ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის იმის შეხსენება, რომ „შუადღეს“ მოჰყვა ოტია პაჭკორიას კრიტიკული წერილი „შუადღის ილუზიები“, სადაც მოთხრობა მკაცრად იქნა შეფასებული. წერილში გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები თამაზ ჭილაძემ მისთვის ჩვეული ტაქტითა და ობიექტურობით მიიღო და გაიზიარა. უფრო მეტიც, „შუადღის ილუზიებს“ კრიტიკული აზროვნების შესანიშნავი ნიმუში უწოდა. თექვსმეტი წლის შემდეგ ოტია პაჭკორიამ „შუადღის ილუზიებს“ მინაწერი გაუკეთა, კრიტიკოსმა აღიარა ის „შეურიგებელი ყმაწვილური მაქსიმალიზმი“, რომლითაც წერილი დაიწერა, აღნიშნა ისიც, რომ შენიშვნების უმეტესობა საკუთარ თავთან ქვეცნობიერ დავასაც ნიშნავდა, რადგან პირადი შემოქმედებითი იმპულსებისა და სისუსტეების გამოხატულება ამ შემთხვევაში სხვის შემოქმედებაში დაინახა. მართებულად მიგვაჩნია ამ მინაწერიდან ერთი ადგილის ციტირება იმის დასადასტურებლად თუ როგორი მაღალი ინტელექტისა და ერუდიციის მქონე ადამიანებთან გვაქვს საქმე: „თამაზ ჭილაძის შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი თვისება — ლიტერატურული პრინციპების ერთგულება და თანამიმდევრობაა (მას კრიტიკული წერილით ვერ აცდუნებ) სწორედ ამ თანამიმდევრობისა და პროფესიული სერიოზულობის წყალობით დაუმკვიდრა მან თავის პროზას მყარი ადგილი, ხოლო სანამ ვართ, მანამ პატივისცემაც იარსებებს და სადღაც ყოველთვის დარჩება, ასეთია ჩვენი ლიტერატურული არსებობის დიალექტიკა და პირადად ჩვენი ურთიერთობის სტილი“. თამაზ ჭილაძის შემოქმედების უბრალო თვალის გადავლებაც ცხადყოფს, რომ მას ყოველთვის თავისი მკვეთრად გამოხატული პოზიცია გააჩნდა და ამიტომაც ერთხელ არჩეული გზისათვის არასოდეს უღალატია.

„შემიძლია გულახდილად ვთქვა, ვერც ერთ ჩემს ნაწარმოებზე ვერ ვიტყვი, რომ ნამდვილად მომწონდეს, გარდა ერთისა, ეს არის პატარა ლექსი „ყინწვისი“. ვფიქრობ, უფრო მეტად ჩემი შესაძლებლობები ამ ლექსში გამომჟღავნდა“ — აღნიშნავდა თამაზ ჭილაძე ერთ-ერთ ინტერვიუში. სწორედ საკუთარი შემოქმედების შეფასებისას გამოჩნდა ის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რითაც მისთვის ყველაზე ძვირფასსა და სათუთს უფრთ-

ხილდება, რასაც შემოქმედებითი ენერგიის გულწრფელობა და გულუბრყვილობა ჰქვია, და რაც, მისივე აზრით, მკითხველთან მისვლამდე ათასჯერ უნდა შემოწმდეს...

სულიერ ფასეულობათა დაკარგვა ჩვენთვის უდროოდაუდროო თვალნათელი ხდება. დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი, რამ გამოიწვია ადამიანის სულის დაცარიელება. მწერალი, შემოქმედი, დღევანდელი ცხოვრების აქტიური ფიგურა უნდა იყოს, სწორედ მას ძალუძს დაცარიელებული სულების ავსება. დღევანდელი ქართული მწერლობაც ზნეობრივ-ეთიკური ხასიათისაა და ეროვნული თვითცნობიერების ფორმირებას ემსახურება. თამაზ ჭილაძე კი ერთი იმათთაგანია, ვინც ცდილობს საკუთარი შემოქმედებით ადამიანს „სულიერი ტვირთის" ზიდვა შეუმსუბუქოს...

თამაზ ჭილაძემ საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. თამაზ ჭილაძეზე, როგორც პოეტზე, პროზაიკოსსა და დრამატურგზე საკმაოდ ითქვა და დაიწერა. დღეს გვინდა მკითხველს ის სიხარული გავუზიაროთ, რასაც მისი წერილების კითხვის დროს ვეზიარეთ, სწორედ აქ, ახალი ძალითა და შესაძლებლობებით წარმოჩინდა თამაზ ჭილაძის შემოქმედებითი ცხოვრება. მისი ღრმად შთამბეჭდავი წერილები ახალ სუნთქვასავითაა არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ ბოლო დროის ქართულ კრიტიკულ და ესეისტურ აზროვნებაში.

თანამედროვე ქართული მწერლობა და კრიტიკული აზროვნება დიდადაა დავალებული გურამ ასათიანისა და ოტია პაჭკორიას ლიტერატურული მემკვიდრეობისაგან. პირველი თუ მონუმენტურობისა და მთლიანობისაკენ მიისწრაფოდა მეორე ანალიზის სიმართლითა და არტისტიზმით გვხიბლავდა. თამაზ ჭილაძე ყოველ წერილში გაბედულად და თამამად ამკვიდრებს სუბიექტურ აზროვნებას, რაც დიდი სიმართლითაა მოსილი და უპირისპირდება აქამდე გაბატონებულ „ობიექტურობას", რომლის ძირითადი პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი აზრის უქონლობა. ერთხელ დაკანონებული აზრის გაბათილება ძნელია, არადა „ლიტერატურის ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის, როცა ნაწარმოები გამოქვეყნებიდან დიდი ხნის მერე იქნა ნამდვილად წაკითხული. ბევრი სიტყვა, თუ ფრაზა უეცრად აკიაფდა, ან ნიაღვარსავით გადაიხსნა, თითქოს ადრე ტექსტში არც კი იყო და ახლა ჩვენს თვალწინ დაიბადა. დაიბადა და მთელ ნაწარმოებს შუქი მოჰფინა" (იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება").

ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან მომენტებს თამაზ ჭილაძე დიდი ინტერესით სწავლობს. იგი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს სხვათა აზრს, მაგრამ ვერ ეგუება „დოგმასა" და „შაბლონს", რამაც არაერთი ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი შტამპადაც აქცია. ამ მხრივ [illegible]ლებითა და საოცარი აზრობრივ-ემოციური დატვირთვით გამოირჩევა წერილები: „იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამება" და „ვარდფურცლობის ნიშანი".

თამაზ ჭილაძის წერილები მისივე შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი თავფურცელია.

თამაზ ჭილაძე ცხოვრების შუაგულში ტრიალს იმით არ გამოხატავს, რომ ხშირად ჩნდება ტელეეკრანებზე, ლიტერატურულ შეხვედრებსა თუ დისპუტებზე. იგი პროფესიული სერიოზულობით, ჩუმად და უანგაროდ ემსახურება მშობლიურ ლიტერატურას. ბუნებრიობა და სისადავე კი, რომლითაც დაჯილდოებულია ეს შემოქმედი, ეროვნული მსოფლშეგნებიდან იღებს სათავეს. წერილი „მეგასის თავლა" ღრმად ამჟღავნებს არა მარტო ავტორის შემოქმედებით ბუნებას, მის დამოკიდებულებას კრიტიკისადმი, არამედ გულახდილობითა და გულწრფელობით წარმოაჩენს შემოქმედებითი პროცესის სირთულეს. სულის ლაბირინთიდან დაძრული ტკივილის სიმკვეთრე ხშირად წარმოაჩენს იმ უფსკრულს, რომელიც დაწერილ და დასაწერ სიტყვებს შორის შეიძლება არსებობდეს. თ. ჭილაძე გულისტკივილით აღნიშნავს იმასაც, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი ზოგიერთი მწერლის წყალობით უბრალო მსმენელად გადაიქცა: „მკითხველთა მსმენელად გადაქცევა, ჩემის აზრით, უსვინდისობაა, ყოველ შემთხვევაში, მწერალმა ეს არ უნდა იკადროს. ამისათვის არსებობს უზარმაზარი ძალისა და გავლენის საშუალება — რადიო და ტელევიზია, რომელიც თავის მისიას დიდი წარმატებით ასრულებს. მან ჩვენს თვალწინ მკითხველთა უდიდესი ნაწილი მსმენელად ან მაყურებლად გადააქცია. ზოგიერთი პოპულარული პოეტის საესტრადო გატაცებანიც დიდად უწყობს ხელს, აჩქარებს მკითხველის ამ საბედისწერო მეტამორფოზას".

თამაზ ჭილაძის, როგორც შემოქმედის აქტიური ბუნება ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. მან თავისი წერილებით ცხოვრების ისეთ მხარეებზე აგვიხილა თვალი, რაც ჩვენი გონებისა და გრძნობის მიღმა რჩებოდა და რასაც ზოგჯერ ვერც კი ვამჩნევდით. მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გაბედულების გარეშე ვერ დაიწერებოდა მისი წერილების თუნდაც — მცირე ფრაგმენტებიც კი. „არც ერთი წუთით არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ბოროტებას თუ ერთხელ თვალს მოუხუჭავ, შეიძლება საერთოდ ველარც კი გაახილო. არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ ზოგადი მსჯელობა ადამიანის სიყვარულზე, სამართლიანობაზე გაცილებით ადვილია, ვიდრე ის, რომ თუნდაც ერთხელ კონკრეტულად დაეხმარო გაჭირვებულ კაცს".

ვინა ვართ და რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? — აი, ის მარადიული კითხვები, რომელთაც თითოეულმა მწერალმა თავისებურად უნდა გასცეს პასუხი. ქართულმა ლიტერატურამ უნდა წარმოაჩინოს ის, რაც ქართული ნიადაგით იკვებება, რაც ქართული სულის ბუნებრივი და ძალდაუტანებელი ძახილია. სწორედ ამ თვალსაზრისით, ამ პოზიციიდან განიხილავს თ. ჭილაძე იმას, რაც მართლა ფასეულია. ბევრი ნაწარმოები შექმნილია მშობლიურ ენაზე, მაგრამ ყველა მათგანში როდი გამჟღავნებულა ქართული სული და ქართული ფენომენი.

„ეროვნულია ის ნაწარმოები, რომელიც ამეტყველებულია რა მშობლიურ ენაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრების სოციალური თუ ფსიქოლოგიური მომენტით სულდგმულობს, რომელიც აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის წიაღიდან. აუცილებლობის გრძნობა — აი, რა უნდა ახლდეს თან ყველა ჭეშმარიტად ეროვნულ ნაწარმოებს". თ. ჭილაძის წერილებში ფართო მსჯელობის საგნადაა ქცეული ქართული კლასიკური ლიტერატურა, როგორც თანადროული, აქტიური, ქმედითი ძალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მომავალში გადავიხედოთ. შეიცნო და გაითავისო შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და ბევრი სხვა. — ამის უნარი მხოლოდ ზნეობრივად წმინდა ადამიანს აქვს მინიჭებული. თამაზ ჭილაძის წერილები გულისხმიერი მეგობარივით გეხმარება აზრობრივი ბარიერის გადალახვაში. იგი ზრდის თავის მკითხველს, რომელსაც უნარი შესწევს ბევრი ისეთი რამ დაინახოს და გაიაზროს, რაც სტრიქონებს შორის იკითხება, რაც მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული, ინდივიდუალური შემეცნების ნაყოფია.

თამაზ ჭილაძის წერილების საერთო სულისკვეთებას, მის პოეტურ-რომანტიკულ პათოსს, ხედვის განსხვავებულ და განსაკუთრებულ უნარს, გულწრფელობა და გულახდილობა უდევს საფუძვლად. მისი წერილები თვითმყოფადი აზროვნების შესანიშნავი ნიმუშებია, სადაც იგრძნობა დიდი დაინტერესება ქართული ლიტერატურის წარსულით, აწმყოთი და მომავლით. შინაგანი სიწრფელე დაგუბებულ მდინარესავით მოედინება მის წერილებში და თან მოიყოლებს ჩვენთვის საამაყო სახელებს: იაკობ ცურტაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ნიკო ფიროსმანაშვილი და სხვა. წერილებში ფაქტობრივ მასალას დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ მწერალი არსად ფაქტების ტყვე არაა. პასკალი აღნიშნავდა: „ყოველი ვარაუდის გამოთქმა სათანადო ფაქტების უქონლად, იმ კაცის ქცევასა ჰგავს, დაქეტილ სახლში რომ უნდა შესვლა და გასაღები კი არა აქვს: უაზროდ დაბორიალებს, გარშემო, ხელს უღათურებს [illegible] დროდადრო ფანჯარაში იჭყიტება [illegible] სწორედ ის გასაღებია". ფაქტები თუ „არსობის პური", ინტუიცია და ერუდიცია, ფაქიზი პოეტური მგრძნობელობა ის ფრთებია, რითაც ახალი ცინცხალი აზრი ცაში მტრედივით უნდა აიჭრას. ცხოვრებისეული გამოცდილება განუმეორებელი ხიბლით მოსავს და უჩვეულო სიღრმისეულ განზომილებას ანიჭებს მისი წერილების არა ერთსა თუ ორ პასაჟს. თამაზ ჭილაძე „თავისუფლად მოაზროვნეა" „თავისუფლად მოაზროვნე" კი, როგორც ფრანგები აღნიშნავენ „სულით ძლიერის" ტოლფასია. მის წერილებში ბევრი რამაა სუბიექტური თვალთახედვიდან დანახული, რასაც არაერთგზის თვითონვე აღნიშნავს, მაგრამ მის „სუბიექტურ ნააზრევს" გასაოცარი თვისება აქვს: კითხვის დროს იგი ჩვენს გონებაში „ობიექტურ სინამდვილედ" გარდაიქმნება.

მახსოვს, აზრთა რა სხვადასხვაობა, განცვიფრება და გაუნელებელი ინტერესი გამოიწვია წერილმა „იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამება". თხუთმეტი საუკუნის წინათ დაწერილი რომანის ახლებურმა წაკითხვამ ბევრი დააფიქრა. ბევრს შეაცვლევინა აზრი, ბევრი მოწინააღმდეგეც გაიჩინა. თამაზ ჭილაძემ „შუშანიკის წამებას" ბობოქარი ვნებების წიგნი უწოდა. მისმა ღრმა და საინტერესო მოსაზრებებმა წარმოაჩინა ავტორის ეროვნული კონცეფცია და ქართული ბუნების სიღრმიდან მომდინარე მტკივნეული საკითხები, რომელთა ფონზეც მოხდა გმირთა დაპირისპირება. საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ „შუშანიკის წამება" მაღალმხატვრული ნაწარმოებია, ხოლო მისი ავტორი ფუძე ქართული მწერლობისა, ამ დროს განიხილავენ და ასწავლიან იმდენად დაბალ დონეზე, რომ გაკვირვებას იწვევს ურთიერთგამომრიცხავი, პარადოქსული აზრების არსებობა. მწერლის ფართო ერუდიცია და გასაოცარი ინტუიცია თითქოს გარემომცველ სინამდვილეზე უხილავი ძაფითაა მიბმული. მისი გონება განმარტავს, იკვლევს, აანალიზებს, მაგრამ არ ამტკიცებს, რადგან კატეგორიულობა მისი ნააზრევის ნიშანდობლივი თვისება არ გახლავთ. „იაკობ ცურტაველი აღზრდილია წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე. ის ისე თავისუფლად ფლობს მასალას (ვგულისხმობ ფაქტის გადმოცემის ხარისხს), რომ მას უსათუოდ გავლილი აქვს მეტად საინტერესო სკოლა მწერლობისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის სკოლისაგან, ამიტომაცაა, რომ ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობამ ჩვენ მიგვიყვანა საერთოდ აგიოგრაფიული მწერლობის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, იმაზე კი არ ვიფიქრეთ, რომ ეს ნაწარმოები (და არა მარტო ეს ეკუთვნის

მხოლოდ აგიოგრაფიული მწერლობის ქართულ ფრთას, ძალიან ორიგინალურსა და, შეიძლება ითქვას, უნიკალურ მოვლენას“. თამაზ ჭილაძე აღნიშნავს, რომ ტექსტის საფუძვლიანი ახლებური შესწავლა ბევრ საიდუმლოს გვაზიარებს. „შეიძლება ითქვას, იაკობის დახატულსა და ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის მიერ „გამდიდრებულ“ დედოფლის სახეთა შორის დიდი განსხვავებაა“. წერილის მიხედვით, შუშანიკი აღარაა „განებივრებული დედოფალი“, რომლის წმინდანობას ანგელოსური ფრთებით ამკობდნენ, ხოლო ვარსქენს ნაწილობრივ ჩამოშორდა „მგლის ნიღაბი, რომლის ზოგიერთ სიტუაციაში გაგება შეიძლება, გამართლება კი არამც და არამც. ავტორი აღნიშნავს, რომ შუშანიკმა გაიარა ტანჯვის გზა დედოფლობიდან წმინდანობამდე, რომ ამ გზაზე მრავალი ცრემლი და დამცირება იგემა. თ. ჭილაძის აზრით, ნაწარმოების სული და გული იაკობია, იაკობ ცურტაველი, დღეს დიდი მწერალი და დიდი პოლიტიკოსი, მაშინ კი უბრალო კარის მღვდელი, სულიერი მამა შუშანიკისა, მისი ეროვნული ტკივილების მოზიარე და მოჭირნახულე. „იაკობის ხელიდან გამოსული ნაწარმოები იმდენად სრულყოფილ და მაღალმხატვრულია, რომ სცილდება აგიოგრაფიულ ჟანრის ფარგლებს და გვევლინება იმ ნაწარმოებად, რომელიც თავისი დრამატიზმითა და ხასიათების სიმძაფრით ანტიკური ტრაგედიის დონემდე ადის“.

თ. ჭილაძის „ვარდფურცლობის ნიშანი“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ეძღვნება. წერილი მნიშვნელოვანია პრობლემათა ახლებური გააზრებითა და გადაჭრით. მისი მხატვრულ-კრიტიკული პათოსი, ინტელექტუალური სიღრმე და გაბედულება გამოკვლევის მნიშვნელობას ანიჭებს ამ მეტად საინტერესო ნაშრომს. სიტყვა „გაბედულება“ იმიტომ ვახსენეთ, რომ ამ წერილმა იმთავითვე მიიქცია მეცნიერებისა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება და აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია. თ. ჭილაძის „ვარდფურცლობის ნიშანი“ მიმოიხილავს აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი აღმაშენებლის ეპოქის ძლევამოსილი სულის გამოძახილია. პოემაში აღმაშენებლის ეპოქის სულისკვეთება აშკარაა. წერილში ბევრი საინტერესო საკითხია წამოჭრილი და ასევე საინტერესოდ გააზრებული“. „ვარდფურცლობის ნიშანი“ გარკვეული მნიშვნელობით მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც მრავალი და მრავალი დისერტაციის, მეცნიერული ნაშრომისა და საკუთარი „პატივმოყვარეობის საგნად აქცია ეს გენიალური ნაწარმოები და იმდენად დათრგუნა მკითხველი, რომ დღეს თუ რაიმე გვიჭირს, ეს პირველ რიგში „ვეფხისტყაოსნის“ აღქმა, გაგება და სწავლებაა. იყო დრო, აღნიშნავს თამაზ ჭილაძე, როცა უბრალო მუშამ, გლეხმა ზეპირად იცოდა პოემა და არა მარტო იცოდა, ის ცხოვრობდა იმ ზნეობრივი პრინციპებით, რომელთაც დიდი შოთა ამ პოემით ქადაგებდა.

„კაცის მგრძნობელობა ყოველგვარი წვრილმანისადმი და მისი სრული უგრძნობლობა ყოველგვარი დიადის მიმართ სულის უცნაური გახრწნილების ნიშანია“ (ავრელიუსი), სწორედ ასეთი საქართველო გაიმეტა „ფურთხის ღირსად“ აკაკი წერეთელმა, როდესაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თავზარდამცემი ამბავი გაიგო. „სულიერი სამშობლოს“ პოვნა ყველა ქართველი შემოქმედის უპირველესი თვისება და მოვალეობა იყო. ბუნებრივია, ყველა ვერ ახერხებდა ამას, რადგან „ამისათვის საჭიროა აბსოლუტური რწმენა მომავლისა, ფიქრით და სწავლით გაკეთილშობილებული ნიჭის საერთო საკაცობრიო სამსახურის ჩვენება და წინასწარმეტყველის ტანჯვის ატანის უნარი“. თამაზ ჭილაძემ ილია ჭავჭავაძეს „წინასწარმეტყველი“ უწოდა და ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორია, ერის ცხოვრების ისტორიაა, რომელმაც წამებული წინასწარმეტყველის წყალობით ჩვენამდე მოაღწია.

თამაზ ჭილაძე წერილში „აკაკი წერეთლის პოეზია“ იძლევა მნიშვნელოვან და საინტერესო დაკვირვებებს აკაკის ლექსის შესახებ; გვიხსნის აკაკის ლექსის „საიდუმლო თვისებას“: „როდესაც კითხულობ გგონია, შენა ხარ მისი ავტორი, იგი თითქოს შენი არსებიდან, შენი სულის წიაღიდან იბადება. აი, ახლა, ამ წუთს, ჩნდება პირველად ქვეყანაზე და შენ რომ არ ყოფილიყავი, ისიც არ იქნებოდა“. აკაკი წერეთლის პოეზიაში პიროვნული თავისუფლების პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იმდენად, რამდენადაც აკაკი ადამიანური ღირსების, მისი სულიერი ცხოვრების უპირატესობის მქადაგებელია, სამშობლოსა და პიროვნების ცნება აკაკისთან გაიგივებულია. პოეტი დაცინვასაც არ ერიდება, ოღონდ ადამიანი როგორმე გამოაფხიზლოს იმ ეკალბარდიან გზაზე, ცხოვრება რომ ჰქვია. თამაზ ჭილაძე ეთიკური რწმენით, ზნეობრივი იმპულსით, მომადლებული ინტუიციის წყალობით, რეალურ საფუძველზე დაყრდნობით ხატავს აკაკი წერეთლის სულიერ და ფსიქოლოგიურ პორტრეტს, რომელიც უპირისპირდება აქამდე არსებულ „ქრესტომათიულ შეხედულებას“ პოეტზე („ის იყო თავისი ლექსების გმირებივით ყოველდღიური მძიმე შრომით წელში გაწყვეტილი, ხელებდაკოჟრილი ადამიანი“).

ვაჟა-ფშაველას განუმეორებელ გენიას, მის ნიჭსა და დამსახურებას თამაზ ჭილაძემ შთაგონებით აღსავსე წერილი უძღვნა: „უკვდავი ათინათი“ ვაჟა-ფშაველას პოეტური მრწამსის, მისი ამაყი, მშვენიერი სულის საგალობელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც იგი ღირსეულად წარმოჩინდება რუსთაველისა და ბარათაშვილის გვერდით. მწერალი განსაკუთრებით უკვირდება ვაჟას პოეტურ ენას. საერთოდ, თამაზ ჭილაძის წერილებში ქართული ენის პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მწერლის აზრით, ენის დაკანონებული ნორმიდან გადახვევას არ უნდა შევხედოთ „სუფთა წერის მასწავლებლის" თვალით, რადგან ენის დარღვეული ქსოვილი ზოგჯერ ახალ. საინტერესო აღმოჩენას წარმოშობს: „პოეტი ზოგჯერ არღვევს გაბატონებულ ფორმებს და ამით ახალ, უფრო საინტერესო აღმოჩენას აკეთებს, რადგან ენა მდინარესა ჰგავს და არასოდეს ერთნაირი არ არის".

თამაზ ჭილაძის წერილები ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მათში თითოეულმა ჩვენთაგანმა შეიძლება იპოვოს თავისი სულისა და გონების საზრდო, რის საფუძველსაც იძლევა წერილების მრავალპლანიანობა და საკითხებისადმი ფართო მიდგომის შესაძლებლობა.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზია დიდადაა დავალებული გ. ტაბიძის პოეტური ხმით, უფრო მეტიც: „მეოცე საუკუნის ქართული პოეზია სავსეა გალაკტიონ ტაბიძის მაღალი ხმით, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ატყვევებდა და ამშვენებდა ჩვენს გულსა და გონებას". გ. ტაბიძე თავის წინაპრებად აკაკისა და ბარათაშვილს თვლიდა. მისი პოეტური აკვანი კი ჩვენი მდიდარი, მრავალჭირგამოვლილი ქართული ენაა. თ. ჭილაძე გალაკტიონ ტაბიძეს მაღალი ინტელექტის პოეტს უწოდებს, რომელსაც შეუძლია „სიჩუმის სიმღერით" ამოვსება. იგი სიმბოლიზმის მიმდევარიც იყო და რევოლუციის აქტიური მომღერალიც. თანამედროვეობის საყვარელმა ლირიკოსმა ლეგენდად ქცეულმა პიროვნებამ, „სავსემ ქართული პატიოსნებით", ღრმა კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში და „ბოლომდე" დარჩა თავის ხალხსა და სამშობლოზე შეყვარებულ პოეტად და მის პატრიოტულ ლექსებს დღესაც ვმღერით".

თამაზ ჭილაძე, ტიციან ტაბიძის ლექსით აღფრთოვანებული, წერს: „როდესაც მის ლექსებს კითხულობ, გრძნობ, რომ არსებობს იდუმალი კავშირი პროფესიონალ, ვირტუოზ მუსიკოსსა და იმ კაცს შორის, რომელმაც პირველად ჩაბერა ხარის რქას და უეცრად დაბადებული ხმა გაიკვირვა". ანა კალანდაძეს კი „გაზაფხულის პოეტს" უწოდებს, მის ლექსებს „იდუმალების დიდებულ სხივებს" ადარებს. თამაზ ჭილაძე ქართულ პოეზიაში „გულის სისხლით" მოპოვებულ მარგალიტებს აგროვებს, რომელიც სიმშვიდესთან ერთად დიდ შინაგან ჰარმონიასა და სისპეტაკეს გვაგრძნობინებს.

გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობას, მათი ფიქრებისა და ზრახვების, მათი ოცნებებისა და ტკივილების მზის სინათლეზე გამოტანას დიდი აზრობრივი და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ბუნებრივია ის დაინტერესება, რასაც ამა თუ იმ შემოქმედის ცხოვრებისადმი იჩენენ ხოლმე. ზოგჯერ უცაბედი, მოულოდნელი ცხოვრებისეული პასაჟი მთელი სისავსით წარმოაჩენს ადამიანის სულის მთელ ავლადიდებას, რომელშიც მისი ცხოვრება ისე აირეკლება, როგორც პატარა გამჭვირვალე წვეთში — მთელი სამყარო.

თამაზ ჭილაძის წერილები ადამიანთა ცხოვრების, მათი პიროვნული განცდების „მხატვრული ანალიზია". მისმა წერილებმა კიდევ ერთხელ, მთელი სისრულითა და სისავსით წარმოაჩინა იგი, როგორც პოეტური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი. თამაზ ჭილაძე ერთნაირი გულმოდგინებით, ნიჭითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მიმართავს ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებს. „ძალზე საინტერესოა თქვენი სტატიები და კრიტიკული წერილები. სადაც ვერ იპოვით ჩვენს კრიტიკაში გამეფებულ შტამპებს, ლიტერატურათმცოდნეობის გაცვეთილ სქემებს და სადაც, სამაგიეროდ, მრავლადაა მოულოდნელი მიგნებები, ორიგინალური ინტერპრეტაციები, მნიშვნელოვანი დასკვნები, ნაყოფიერი ჰიპოთეზები" (ალგიმანტას ბუჩისი). თ. ჭილაძე საინტერესო მკვლევარი და ასევე საინტერესო ესეისტია. იხილავს რა ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას, ამავე დროს, ღრმად სწვდება ავტორის შინაგან ბუნებას, იძლევა შემოქმედის სულიერ პორტრეტს.

„როდესაც გერონტი ქიქოძე ვფიქრობ, არროცა ჩემთვის მწერლის სრული პორტრეტი მინდა წარმოვიდგინო, რატომღაც ყოველთვის მახსენდება სიტყვები, რომლითაც მან უკეთესი ყრმობის დროინდელი ერთ-ერთი მასწავლებელი დახატა: „ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას მისი პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ: რომ იგი იყო ბაღში გამართული სკოლის ხელმძღვანელი, პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი".

გურამ რჩეულიშვილზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება, რადგან გურამ რჩეულიშვილის პიროვნება ერთნაირად საინტერესო და ახლობელია, როგორც მისი თაობისათვის, ასევე მომდევნო თაობებისათვისაც. ერთდროულად ამოხსნილიცაა და ამოუხსნელიც ის ხიბლი, რაც მის ვაჟკაცურ პიროვნებას კიდევ უფრო საინტერესოდ აჩენს. გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი წერილები შესაშური ნიჭიერებით, გულმოდგინებითა და გულისხმიერებითაა დაწერილი. მათ შორის გამორჩეული ადგილი თამაზ ჭილაძის წერილს უჭირავს. „ის იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც პირველნი ჩა-

დიან კრატერში. პირველნი ჭრიან მავთულხ-ლართებს, პირველნი აღებენ კარს, პირველნი ადიან მწვერვალზე და პირველნი ეგებიან უსინდისობის და ღალატის შუბზე. პირველობის ეს გრძნობა ინსტიქტითა აქვს თანდაყოლილი და თუმცა ეს ტკივილის მეტს არაფერს ანიჭებს, მაინც ბედნიერნი არიან".

თამაზ ჭილაძისათვის გურამ რჩეულიშვილი, პიროვნება და მწერალი, ერთმანეთისაგან გაუმიჯნავია. იგი აღფრთოვანებითა და შთაგონებით წერს ამა თუ იმ შემოქმედზე მაშინ, როცა გრძნობს, რომ მის პიროვნებაში მთავარი შემოქმედების სიყვარულთან ერთად ადამიანის სიყვარულიცაა. გურამ რჩეულიშვილი სწორედ თავისი გამორჩეული ადამიანური თვისებებით ერთგვარ ხატად იქცა, რომელიც ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის პირველწყარო გახდა. მას სიცოცხლის ნიჭი უხვად ჰქონდა მომადლებული, და სწორედ, ამიტომ უპირისპირდებოდა ამქვეყნიურ მეცნიერებებს: ღალატს, შურს, უსინდისობას, პირმოთნეობას და ა. შ. გარდა იმისა, რომ მწერალი გურამ რჩეულიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტს ხატავს, მასთან ერთად, იძლევა მისი შემოქმედების მეტად მნიშვნელოვანი მხარეების ანალიზს. „გურამ რჩეულიშვილს აქვს რამდენიმე მოთხრობა, მსოფლიოს ყველა ანთოლოგიას რომ დაამშვენებდა. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ „ნათელა და ციცქა". მან პირველმა შეამჩნია, რომ სიცოცხლეს მოწყურებულ ბიჭის შემოქმედებიდან უსაზღვრო სევდა მოჟონავდა და ამიტომაც გაკვირვებული კითხულობს: „საიდან ჰქონდა ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკს ამოდენა სევდა, რა ხმები ესმოდა, რა ჩვენებებით, ჰქონდა თვალი სავსე". ერთი შემოქმედის მიერ — მეორე შემოქმედის ფსიქოლოგიური პორტრეტის ამგვარ ხატვას, ჩვენის აზრით, დიდი შემოქმედება ჰქვია.

თამაზ ჭილაძის წერილები გვაზედებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში, გვიხსნის ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტისა და მოვლენის მნიშვნელობას, აკეთებს ზუსტ დასკვნებს და, რაც ყველაზე მთავარია, მისი მარტოობის სევდიანი ბურანიდან გამოუყვანას ემსახურება.

„წერილების ეს წიგნიც, ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვანი წიგნი, გვასწავლის, რომ ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება სიყვარული, თანაგრძნობა, რწმენა. ადამიანი სასწაულმოქმედია, როცა მისი სწამთ (ვან გოგის წერილები). განა იგივე არ შეიძლება ითქვას თამაზ ჭილაძის წერილების შესახებ?

თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში მარტოობის თემას განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ამ თემამ მის წერილებში, უკვე კონკრეტულ საფუძველზე გამლილმა, ახალი ფერი და ახალი ჟღერადობა შეიძინა.

ადამიანი, მარტოობა, ტანჯვა განსაზღვრავს ნიკო ფიროსმანიშვილისა და [illegible] გოგის ცხოვრებას. თამაზ ჭილაძე [illegible]ტოვის ეგზისტენციალისტური გაგებისაგან, თუმცა ბევრს იზიარებს ისეთი დიდი ეგზისტენციალისტებისაგან როგორებიც იყვნენ: კირკეგორი, სარტრი, იასპერსი და სხვა. მან არა მარტო დახატა ორი მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი, არამედ მეტად საინტერესო მოსაზრებები შემოგვთავაზა მათი ცხოვრების შესახებ. სიმარტოვემ, ცხოვრებისეულმა გაუმართლებლობამ, მუქი ფერების სიჭარბემ, არც თუ უსაფუძვლოდ შექმნა შეხედულებამ, რომ ფიროსმანიშვილი და ვან გოგი „ტანჯული ადამიანები" იყვნენ.

„მე შეუბრალებლად მიმიყვანეს თვითმკვლელობამდე" — წერდა ვან გოგი ძმას. აქვე, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ფიროსმანიშვილის ხმა: „აქ კარგად ვერ ვმუშაობ... ღვინოს მაძალებენ".

„ის სიმარტოვეში ქმნიდა. ფრანგული პერიოდი გარესამყაროსაგან მისი თითქმის სრული იზოლაციის ხანაა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ეს სიმარტოვე, ციხის პატიმრობა მან თვითონ აირჩია, რადგან ყველაფერი არსებითად შემოქმედებას დაუკავშირა, შესწირა, ანაცვალა, მისთვის შემოქმედება არსებობის აზრად იქცა (ვან გოგის წერილები).

ჩვენ არ ვაბდენთ ამ ორი შემოქმედის ცხოვრებას შორის მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენას. ეს არც თამაზ ჭილაძის წერილებშია მოცემული. მწერალს განსაკუთრებით აინტერესებს იმ ადამიანთა ბედი, რომელთათვისაც მთელი ღირსება სიკეთის მსახურება და კეთილგონიერული აზროვნება იყო, რომლებიც დაუღალავად ქმნიდნენ, მაგრამ თურმე უბრალო ადამიანურ თანაგრძნობას კი ყოფილან მოკლებულნი. მათ ცხოვრებასა და ბედს შორის კი პარალელი, მართლაც, უხვად დაიძებნება; ორივე თვითნასწავლი მხატვარი იყო. ორივემ მძიმე და ძნელი ცხოვრების გზა განვლო, ნამდვილი აღიარება მათთან ძალიან გვიან, სიკვდილის შემდეგ მოვიდა, მაგრამ მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ სწორედ მარტოობით მოპოვებული სიმშვიდე და სიამაყე, რადგან ნიკო ფიროსმანიშვილისა და ვან გოგის სიმარტოვე ცარიელი სიმარტოვე არ ყოფილა. როგორც თამაზ ჭილაძე აღნიშნავს, „ისინი სიმარტოვეში ქმნიდნენ და ამიტომაც „საწყალი ნიკალა" ძველ დროს სამუდამოდ ჩაბარდა და ჩვენს შორის კი დარჩა ნიკო ფიროსმანიშვილი — გენიალური მხატვარი, ჩვენი ერის სიამაყე".

„თურმე იმ კაცს, რომელმაც სიყვარულისა და მეგობრობის პოემა შექმნა, რომელმაც ხალხის ერთიანობას უმღერა, მთელი სიცოცხლე სიმარტოვეში გაუტარებია: თურმე იმ კაცს,

რომელმაც ასე ცოტა იცოცხლა და ასე ბევრი იცხოვრა, ერთადერთი სიხარული ჰქონია — ეს იყო შემოქმედება და აკი ბოლომდეც ამოთქვა, დაიცალა, ჩვენს თვალწინ დადნა, როგორც მთიდან ჩამოტანილი ყინულის ლოდი ქალაქის მოედანზე“. ეს მართალი და ნამდვილი სიტყვები ალ. ყაზბეგის პიროვნებაზეა ნათქვამი.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება სათანადოდ არაა შესწავლილი. ამიტომ, ყოველი წერილი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია მისი რთული შემოქმედების შესწავლის გზაზე. თამაზ ჭილაძე აღნიშნავს, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში „ყოფნა“ ბატონობს. ყოფნის არსს „სისხლის ამადუღებელი“ გრძნობა წარმართავს და ამიტომაც ყველგან გრძნობა ბატონობს, უფრო სწორად, სიყვარული, რომელიც ზოგჯერ ერთი დიდებული წამით განისაზღვრება, მაგრამ მარადისობის ტოლფასი და თანაზიარია. მის პროზაულ ნაწარმოებებში ძალუმად იგრძნობა ქართული ენის შინაგანი ენერგია. ალ. ყაზბეგი, მწერლის აზრით, არა მარტო ქართული პროზის დიდებული ოსტატია, იგი მნიშვნელოვანი დრამატურგიცაა. მის შემოქმედებაში ძნელია მიჯნის გავლება პოეზიას, პროზასა და დრამატურგიას შორის. ალ. ყაზბეგი დიდი ჰუმანისტია. კარგადაა შემჩნეული, რომ ყაზბეგი სიკეთის დასამკვიდრებლად ხმალამოღებული იბრძოდა „შეიძლება ზოგს გაუკვირდეს ხანჯალი სიკეთის მქადაგებლის ხელში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანამ ამ ქვეყნად ბოროტება არსებობს, სიკეთემ მახვილი არ უნდა გადააგდოს“.

სოლცარი ტრაგიზმით, დიდი მგრძნობელობით და სითბოთია დაწერილი წერილი „კენჭი“, რომელიც გამოჩენილ მწერალს, ფრანც კაფკას ხსოვნას ეძღვნება. თამაზ ჭილაძემ ამ შემთხვევაშიც დამაჯერებლად წარმოაჩინა მარტოსული მწერლის სახე, რომლის შემოქმედება გამუდმებული სწრაფვა იყო ბალხისაკენ. „მაგრამ მის წინ ჯებირივით იყო აღმართული შიში, ოღონდ ბიოლოგიური კი არა, არამედ წარმოდგენილი, როგორც ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი ფენომენი“. ეს დიდებული სულის ადამიანები, სხვადასხვა გზებით, რწმენით, ნიჭით და შესაძლებლობებით ემსახურებოდნენ ხალხს, მაგრამ საერთო მათ მარტოობა ჰქონდათ.

განიხილო თამაზ ჭილაძის წერილები და გვერდი აუარო წერილს „ტოლსტოის გაკვეთილები“, შეუძლებელია. ტოლსტოი განსაკუთრებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს საქართველოში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხისათვის გასაგები და ახლობელია, რასაც ის ქადაგებდა. თამაზ ჭილაძე ჩერდება ტოლსტოის შემოქმედების მნიშვნელოვან მომენტებზე. მოჰყავს ლენინის მოსაზრებები ტოლსტოის შესახებ, საკუთარ დაკვირვებებს და მოსაზრებებს გვთავაზობს რომანებზე: „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „ჰაჯი მურატი“ — ეს [illegible] ადამიანი თავისი უბრალოებით, სისადავით და მიზანდასახულობით სოფლის მასწავლებელთანაა შედარებული. „ანბანის სახელმძღვანელოს შემქმნელი, გუთნისდედა, სოფლის მასწავლებელი“. მის შემოქმედებაში მთავარი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაა, რაც დიადი მიზანია და მისთვის ღირს „სიკვდილიც და სიცოცხლეც“. ტოლსტოი დღესაც გვასწავლის სიკეთეს, სათნოებას, სიყვარულს, ერთობასა და თავისუფლებას, დღესაც ვამბობთ: „ტოლსტოის ცა, ტოლსტოის ხალხი, ტოლსტოის ადამიანი! — ამ ღმერთკაცს ყველაფერი თავისი ჰქონდა“.

ლ. ტოლსტოის გაკვეთილები დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ „იმასაც გვასწავლის, რომ მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით შეუძლია გამოხატოს მწერალმა თავისი ხალხის გულისთქმა, თავისი ხალხის ბუნების „იდუმალებათა სიზუსტე“, რომ სწორედ მშობლიური ენაა პოეტური განწყობილებებისა და მელოდიების საგანძური, საუნჯე იმ მაგიური სიტყვებისა, რომლითაც აგებენ ადამიანის ახალ ხასიათს“.

თამაზ ჭილაძე ტოლსტოის მოულოდნელ სიკვდილს ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით ხსნის. იგი გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებას მისი სიკვდილის უკანასკნელი დღის, უფრო სწორად, „დიადი გაბრძოლების“ შესახებ. ეს ადამიანი კი არ მოკვდა, არამედ თვითონ გაიქცა სიკვდილის შესახვედრად, დასაჩქარებლად, თითქოს სიკვდილი თვითონ ვერასოდეს გაბედავდა მასთან მოსვლას“.

თამაზ ჭილაძის წერილებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე პროზისა და პოეზიის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს წერილები „უძველესი ენა სიყვარულისა“ და „ტრადიცია და დრო“.

„არასოდეს არ ყოფილა პოეზია ისე საჭირო, როგორც დღეს, თუმცა არც არასოდეს არ უცქერიათ მისთვის ასეთი უნდობლობით“. დღევანდელი ცივილიზაციის ეპოქაში, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ, ადამიანს სიმშვიდე ვერ მოუტანა. ჩვენ ავლაპარაკდით „ტექნიკის უახლეს ენაზე, მაგრამ უძველესი ენა სიყვარულისა დავივიწყეთ“. თამაზ ჭილაძისათვის სამყაროს ფერისცვალების, ყოველდღიურობის, ულიმღამო სინამდვილეზე ამაღლების და ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებასთან ზიარების ერთადერთი გზა პოეზიის მაგიური ძალისხმევაა. იგი არ იზიარებს შეხედულებას პოეზიის „უნივერსალური ენის“ შექმნისა, რადგან: „ბოლოს მაინც ენის სტანდარტიზაციას გამოდის, მკვეთრად უპირისპირდება ეროვნულ

ენასა და ამგვარად, ეროვნული კულტურის, პოეზიის განვითარების საკითხებს".

თამაზ ჭილაძის წერილებში არის საგანგებო მსჯელობა მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთობაზე რომელიც ყურადღებას პირველ რიგში, იმით იქცევს, რომ კრიტიკოსი მწერლის პარტნიორად და თანამებრძოლად წარმოუდგენია და არა მოწინააღმდეგედ. როგორც ეს დღესდღეობითაა. „კრიტიკოსის პირველი თვისება მწერლისადმი ერთგულება უნდა იყოს! მაგრამ როდესაც რომელიმე კრიტიკოსის ქედმაღლურსა და ცუდად დამალულ გაღიზიანებით დაწერილ სტატიას ვკითხულობთ: შეწუხებულები ვფიქრობთ ხოლმე: განა შეიძლება მახწავლებელს მოწაფე ეჯავრებოდეს, ანდა ექიმს ავადმყოფი. კრიტიკოსმა თავისი ინტელექტუალური უპირატესობა კი არ უნდა დაუმტკიცოს თუმცა, შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ეს უპირატესობა ძალიან აშკარაც კი იყოს, არამედ ამ მწერლის ერთადერთობა უნდა აუხსნას და დაუმტკიცოს მკითხველს და თვითონ მწერალსაც.

თამაზ ჭილაძე წერილში „პოეზიის დღე" მსჯელობს პოეზიის არსზე და გულისხმობს ბარათაშვილს. „რომ ჩემს შემდგომსა მოძმესა ჩემსა სავალი გზისა გაუადვილდეს". სწორედ „მოძმეზე" ზრუნვა აქცევდა ადამიანს პიროვნებად. თ. ჭილაძის აზრით, პოეზია ჰარმონიული ხელოვნებაა. ზოგიერთი პოეტური სიტყვა მთელი თაობის, ან უფრო მეტიც, ეპოქის სისხლისა თუ ცრემლის წვეთია, რომლის უსასრულოდ ვრცელ წიაღში ირეკლება რეალური მომენტი ცხოვრებისა, ჩვევა, წესი, კულტურისა თუ ცივილიზაციის დონე. მაგრამ პოეზია მარტო ლექსის ენით არ მეტყველებს.

პოეზია, მისი აზრით, ყველგანაა, სადაც ადამიანი ადამიანურს ამჟღავნებს, სხვას ლუკმას უყოფს, ხელს უწვდის. ქართულ ლექსს შეუძლია ადამიანის სულის ყოველგვარი მოძრაობის გამოხატვა, რადგან ქართული ენის წიაღში სიტყვა ის მარცვალია, რომელიც ორმაგად და სამმაგად იბარტყებს და გაზაფხულის რიჟრაჟებს შეეგებება. თამაზ ჭილაძეს მიაჩნია, რომ ლექსის ბოლომდე ახსნა და განმარტება შეუძლებელია, „თუნდაც იმიტომ, რომ ის არ შეიძლება ყველასათვის ერთი და იგივე იყოს, ერთსა და იმავეს ნიშნავდეს".

თამაზ ჭილაძე მრავალმხრივი მწერალია .იგი შესანიშნავად ერკვევა ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. მაგალითად წერილში — „თეატრი ჩვენი სიყვარული" — ეხება ქართული თეატრის პრობლემებს. მისთვის თეატრი და ყოველი კარგი სპექტაკლი სასწაულია. მისი აზრით თეატრი უნდა იწყებოდეს „[illegible]ის მომენტიდან", როცა დრამატ[illegible], მსახიობს არ შეუძლია არ თქვან. წერილში იგრძნობა დაინტერესება არა მარტო ქართული დრამატურგიით, რეჟისურით, სამსახიობო ხელოვნებით, არამედ საერთოდ თეატრით, მისი პერსპექტივებითა და მომავლით: „იდუმალებით მოცული გაურკვევლობა, მოლოდინი, იმედი ადამიანის სასწაულებრივი შესაძლებლობისა, ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც შეიძლება უბრალო მაყურებელმა შემოიტანოს დარბაზში, სცენაზე კი მოქმედების ხანძარი დაანთოს — არის სწორედ თეატრი, ჩვენი სიყვარული!"...

თამაზ ჭილაძე შთაგონებით წერს მხატვრებზე, მათ სინათლითა და სიცოცხლით სავსე ხელოვნებაზე, ხატავს ჩვენი თანამედროვის სულიერ პორტრეტს. ასე შეიქმნა წერილები: „იების გამყიდველი", „თამარ აბაკელია", „იაკობ ნიკოლაძე" და სხვ. მისი ყოველი წერილი დახვეწილი აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია. ავტორის ერთადერთი მიზანია, გასცდეს გრძნობადი სამყაროს ვიწრო ჰორიზონტს, სინამდვილის დახშულ პერსპექტივას და აზროვნებასთან ერთად ოცნებაც ასწავლოს ადამიანებს.

„ბედნიერების კარი გარედან რომ იღებოდეს, შევაღებდი და შევცივდებოდით შიგ. მაგრამ, სამწუხაროდ, შიგნიდან იღება. ამიტომ ვერაფერს გააწყობ" (ს. კირკეგორი). თამაზ ჭილაძეს კირკეგორის ეს სიტყვები შემთხვევით არ წარუმძღვარებია თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი წერილისათვის („კენჭი"). ეპიგრამაში გამოთქმული მოსაზრება გარკვევით გვიჩვენებს არა მარტო კირკეგორის, არამედ ამ შემთხვევაში, თამაზ ჭილაძის შეხედულებას სულიერი ცხოვრების უპირატესობის შესახებ, რომელიც „ამაოების ნაცრისფერ ზღვაში გამოსადებ იალქანს ჰგავს". მისი წერილების კრებული სწორედ სულიერი ცხოვრების უპირატესობის ჩვენებაა, გონებისა და გრძნობის ზეიმია, ზნეობრივი გაკვეთილია მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ყველაფერი ადამიანური.

თამაზ ჭილაძე ბუნებით ინტელიგენტია და ცხოვრების ძნელად სავალ გზაზე უპირველესად საკუთარი თავის სრულყოფისათვის ზრუნავს. მას ძალიან ცოტა რამ მოსწონს, რაც, შეიძლება ბევრს კიდეც აღიზიანებს, მაგრამ რაც მოსწონს, ის მართლა ღირსეული და საქებარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მუჯირი

# გიორგი დეკანოზიშვილი

(დაბადების 120 წლისთავისათვის)

დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი გიორგი დეკანოზიშვილი დაიბადა ქ. პეტროვსკში (ახლანდელი მახაჩკალა) 1868 წლის აგვისტოში. გიორგის მამა, გაბრიელ დეკანოზიშვილი, წარმოშობით ქართლის სოფელ რუისიდან იყო. იგი, როგორც სამხედრო პირი, ოფიცერი, თავისი ცხოვრების უმეტეს დროს რუსეთში ატარებდა. გაბრიელმა, როდესაც შვილები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, თბილისში იყიდა სახლი. გიორგი მიაბარა რეალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წაიყვანა სასწავლებლად, სამხედრო განათლების მიღების მიზნით. გიორგიმ მალე მიატოვა სამხედრო სასწავლებელი, რადგან სამხედრო კარიერა სრულიადაც არ იტაცებდა და პეტერბურგში გადავიდა. სადაც 1892 წელს წარჩინებით დაამთავრა სამთო ინსტიტუტი.

გიორგი დეკანოზიშვილი მეტად სუსტი აგებულების იყო და ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაუდგებოდა სათავეში. თანამედროვენი აღნიშნავდნენ მის დინჯ ქცევასა და ჭკვიანურ გამომეტყველებას, გულღია ხასიათს, კრისტალურ ბუნებასა და არაჩვეულებრივ გამჭრიახობას. გ. დეკანოზიშვილმა ორგანიზატორული ნიჭიც პირველად სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა — დააარსა ქართველ და სომეხ სტუდენტთა კავშირი. კავშირმა გამოსცა და გაავრცელა რამდენიმე ლიტერატურული კრებული მეზობელ ერთა შესახებ.

1892 წლისათვის გ. დეკანოზიშვილი სამშობლოში დაბრუნდა უკვე ინჟინერი. ამ დროს საქართველოში ხოლერის ეპიდემია იყო მოდებული, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას. არ იყო საკმაო სამკურნალო საშუალებანი და ექიმები. ამ მხრივ მეტად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მოსახლეობა. გ. დეკანოზიშვილმა დააარსა მოხალისეთა რაზმები გასაჭირში ჩავარდნილი ხალხისათვის დახმარების აღმოსაჩენად. პირადადაც ენერგიულად შეუდგა სენთან დაავადებასთან ბრძოლას სოფელ რუისში. ეს ბრძოლა დიდ და სერიოზულ სიძნელეებს აწყდებოდა და მართლაც რომ ნამდვილ თავგანწირვას მოითხოვდა. გ. დეკანოზიშვილმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. თვითონ კი სენმა ხენს ვერ ასცდა. იგი სიკვდილს მხოლოდ ენერგიული მკურნალობისა და ზრუნვის წყალობით, მეგობრების დიდი ხელშეწყობით გადაურჩა.

1892 წელს გ. დეკანოზიშვილი სამსახურში მიიწვია ჭიათურის მარგანეცის მრეწველმა ნ. ღოღობერიძემ. აქ ახალგაზრდა ინჟინერმა თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სპეციალისტმა, დანერგა მანგანუმის მრეწველობაში მუშაობის ახლებური მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი გამოკვლევა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობისა და მომავლის შესახებ. გამოკვლევა 1893 წელს გამოქვეყნდა სამ სტატიად გაზეთ „ივერიაში", საერთო სათაურით — „მანგანეზიის ანუ შავი ქვის წარმოება საქართველოში..." მანგანუმის ინტენსიურ წარმოებას იგი დიდ როლს ანიჭებდა ქართველი ერის მატერიალური პირობების გაუმჯობესებაში.

ერთხანს, XIX საუკუნის 90-იან წლებში, რედაქციის გამგის გ. ლასხიშვილის თხოვნით, გ. დეკანოზიშვილი თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში". 1894-1895 წლების სეზონისათვის იგი ავჭალაში ქართული თეატრის შექმნის საქმეს ხელმძღვანელობდა.

გ. დეკანოზიშვილმა 1899 წელს იმოგზაურა ევროპაში. იყო ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში. სრულყო ევროპული ენების ცო-

დნა; გაეცნო აღნიშნული ქვეყნების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ბოლოს დასახლდა პარიზში, სადაც ცოლად შეირთო ფრანგი ქალი ანრიეტა ფრენუა.

1901 წელს გ. დეკანოზიშვილი თბილისშია. ამ დროისათვის ვ. გუნიას რედაქტორობით გამომავალი ყოველდღიური გაზეთის „ცნობის ფურცელი" შეიძინა ალექსანდრე ჯაბადარმა, რედაქტორად კი მუშაობდა ალ. ჭყონია. გაზეთის გარშემო შემოიკრიბნენ სოციალისტ-ფედერალისტები. ამავე გაზეთში დაიწყო თანამშრომლობა გ. დეკანოზიშვილმა. 1901 წელს გ. დეკანოზიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრია. ამ პერიოდიდან გ. დეკანოზიშვილს დაუმეგობრდა არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც ფედერალისტთა ჯგუფში დაიწყო მუშაობა. ფედერალისტთა ჯგუფმა გააჩაღა მუშაობა პარტიის შექმნისა და მისი პროგრამის შემუშავებისათვის. დაიწყო ზრუნვა არალეგალური გაზეთის გამოსაცემად. გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილ ფედერალისტთა ერთ-ერთ კრებაზე არჩილ ჯორჯაძემ დააყენა საკითხი — არალეგალური ორგანოს შექმნის შესახებ. „ცნობის ფურცელს" იმ დროინდელი პოლიტიკური პირობების გამო არ შეეძლო ეროვნულ პროგრამასა და პრობლემებზე წერა და სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული მრწამსის სააშკარაოზე გამოტანა. ამიტომ კრებაზე არჩილ ჯორჯაძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. დავა გამოიწვია საკითხმა, თუ სად უნდა დაარსებულიყო თავისუფალი ორგანო. არჩილ ჯორჯაძე მტკიცედ იცავდა იმ აზრს, რომ ასეთი ორგანო შეიძლებოდა დაარსებულიყო მხოლოდ საზღვარგარეთ, რამდენადაც არალეგალური ორგანოს გამოსაცემად საქართველოში პირობები არ არსებობდა. გადაწყდა ამ საქმის საფრანგეთში მოწყობა.

1901 წლის შემოდგომაზე „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილი ჯგუფი შეუდგა არალეგალური ორგანოს გამოცემისათვის საჭირო თანხის შეგროვებას. ამ საქმის ორგანიზაცია დაევალათ გიორგი დეკანოზიშვილს, არჩილ ჯორჯაძესა და ეტიხი მამინაიშვილს. ფულის შეგროვების საქმე კარგად მიდიოდა. განსაკუთრებული ენერგიით გამოირჩეოდა გ. დეკანოზიშვილი. მან მთელი საქართველო შემოიარა. ბევრი აქტიური დამხმარე გაიჩინა, შეაგროვა 7 ათასამდე მანეთი.

იმავე 1901 წლის შემოდგომაზე გადაწყდა მომავალი თავისუფალი ორგანოსა და, საერთოდ, მომავალი პოლიტიკური პარტიის წინასწარი საქმიანობის გასაძლიერებლად არჩეულიყო კომიტეტი. არჩევნები ჩატარდა არალეგალურად მოწვეულ ერთ-ერთ კრებაზე. კომიტეტში არჩეული იქნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე [illegible] ნოზიშვილი.

1902 წელს გ. დეკანოზიშვილი პარიზში დაბრუნდა და შეუდგა მზადებას არალეგალური გაზეთის გამოსაცემად. პარიზში ჩავიდნენ არჩილ ჯორჯაძე,[1] როგორც მომავალი გაზეთის რედაქტორი და მთავარი პუბლიცისტი, აგრეთვე ახოთამწყობი მიხეილ კიკნაძე. გ. დეკანოზიშვილმა ჩამოასხმევინა „პარიზულის" სახელით ცნობილი ქართული ასოები, მოაწყო სტამბა, თავის გარშემო შემოიკრიბა იმ დროისათვის ევროპაში, განსაკუთრებით კი პარიზში მყოფი ქართული ძალები, რომლებმაც გ. დეკანოზიშვილი ერთსულოვნად აღიარეს ხელმძღვანელად. 1903 წლის 1 მაისს გამოვიდა გაზეთი „საქართველო" — ფრანგულად „ლა ჟეორჟი". გ. დეკანოზიშვილმა მაშინვე გაავრცელა გაზეთი ევროპის ქვეყნებში. და ევროპას გააცნო საქართველო, მისი ხალხი. ეს იყო არსებითად პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპის პრესაში გამოჩნდა საქართველო და მის პოლიტიკურ უფლებებზე ხმა გაისმა.

პარიზში მყოფმა გ. დეკანოზიშვილმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა თვითმპყრობელობის მიერ დაბეჩავებულ სხვა ერთა წარმომადგენლებთან და შეეცადა მათთან ერთად შეექმნა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საერთო ფრონტი. იგი გაეცნო და დაუმეგობრდა ფინელ რევოლუციონერებს, კერძოდ კ. ზილიაკუსს.

გ. დეკანოზიშვილს მძიმე ტვირთად აწვა მრავალი რთული საქმე. სახელდობრ: არალეგალური გაზეთის გამოცემის ორგანიზაცია და ფარულად საქართველოში გამოგზავნა, წამომღების მონახვა, უცხოელ რევოლუციონერებთან დაკავშირება, მიწერ-მოწერა, გაჭირვებულ თანამემამულეთა პატრონობა და სხვ. ამ მეტად მძიმე ტვირთს მას საგრძნობლად უადვილებდა მეუღლე, ქალბატონი ანრიეტა ფრენუა, რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა ქართულ საქმეს. თავის დღიურში 1904 წლის 25 ივლისს გ. დეკანოზიშვილი უჩიოდა მეუღლის ჯანმრთელობას, ვაჟი ტარიელიც ფიზიკურად სუსტი იყო, ქალიშვილი თინათინი უფრო ყოჩაღად გრძნობდა თავს. გიორგი აღნიშნავდა რომ მეუღლესთან „უფრო მეტს ვლაპარაკობდით ტარიელზე და თინათინზე. საშინლად უყვარს ბავშვები. მეც საშინლად უყვარვარ. ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ უშველოს ჩვენ საქმეს. ასწორებს ფრანგულ ნაწერებს. მერე ჩვენ მიერ დაწერილი წერილე-

1 პრეფექტურის ცნობიდან ირკვევა, რომ არჩილ ჯორჯაძე პარიზში ჩასულა 1902 წლის ივლისში; მის საცხოვრებელ ადგილად აქვე დასახელებულია მონპარნასის ბულვარი.

ბის გასწორება რა ძნელია, ასწორებს კორექტურას, შოულობს ფულს, როცა გვჭირდება და სხვ. არა მგონია, რომ ამას შვრებოდეს მარტო იმისათვის, რომ მე უყვარვარ. ეხლა გაიცნო ქართველები, გაიცნო ჩვენი მდგომარეობა და გულით და სულით შველის ყოველ დაჩაგრულს. შველის ხოლმე არა მარტო ქართველებს, არამედ დევნილ რუსებსაც".[1] გაზეთ „საქართველოს" გამოცემაში მას დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი).

გაზეთ „საქართველოს" ფრანგული ვარიანტის რედაქტორი იყო ქ-ნი რენო. იგი კეთილსინდისიერად ილვწოდა გაზეთის რიგიანი გამოცემისათვის.

როგორც გ. დეკანოზიშვილის „დღიურიდან" ჩანს, მას გაუგზავნია გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთი ნომერი, ერთი მდიდარი კაცისათვის (როგორც ირკვევა ი. ზუბალაშვილისათვის) და შეუთვლია: „თუ მოგწონს ჩვენი მიმართულება, თუ გგონია, რომ ჩვენი მოქმედება სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის, მაშინ მოგვეშველე, თუ არა და არც შენი შველა გვინდა, არც შენი ფული, თუმცა ბევრი კი გაქვთ"[2]

გ. დეკანოზიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანარქიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, ზედმიწევნით განათლებულ ვარლამ ჩერქეზიშვილთან, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე ლონდონიდან (მეუღლესთან ერთად) მასთან პარიზში. გიორგი ახლო ურთიერთობაში იყო ქართველ საზოგადო მოღვაწესთან ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილთან, რომელიც რომში ცხოვრობდა.

გ. დეკანოზიშვილი იყო ქართველ რევოლუციონერთა ჟენევის კონფერენციის (1904 წ. აპრილი) მოწვევის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. სწორედ ამ კონფერენციაზე შეიქმნა „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია". გ. დეკანოზიშვილმა დაახეჭდვინა კონფერენციის ოქმები და გამოაგზავნა თბილისში.

რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით გ. დეკანოზიშვილმა ჯეროვნად შეაფასა რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამორჩენილობა და ჩათვალა იგი მოსალოდნელი კრახის მიზეზად. თავის დღიურში გ. დეკანოზიშვილი წერდა: „რუსებს სჯობნიან იაპონელები. ევროპელებს უკვირთ, რადგან არ იციან, რომ რუსეთს დამპალი ძირი აქვს. ყველა დამონებული ერები წინააღმდეგი არიან. თვით წესწყობილება უძლურია, რადგან სათავეში ქურდები და გამყიდველები არიან".3

1 ჟურნ. „კავკასიონი", №9, 1964 წ. პარიზი, გვ. 116.
2 იქვე, გვ. 116.
3 იქვე, გვ. 117.

გ. დეკანოზიშვილი ომში რუსეთის მოსალოდნელ კრახს მეფის მთავრობას უწინასწარმეტყველებდა. იგი წერდა: „ყოველი სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ ქვაბს, რომელშიც დუღს და იხარშება სხვადასხვა ხორაგეული. ადამიანი იკითხავს, როგორ სჯობია: გაუშვას ქვაბი ახდილი და მისცეს ორთქლს თავისუფალი მსვლელობა, თუ დახუროს მაგრად სახურავი და ზედ დაჯდეს, რომ დუღილი არ ისმოდეს. ევროპაში ამჯობინებენ ქვაბის დატოვებას დაუხურავად, რომ ორთქლს შეეძლოს თავისუფლად ამოსვლა. ამის განსახორციელებლად ევროპელებმა მოიგონეს პარლამენტი, მოიგონეს თავისუფლება სიტყვისა, პრესისა და სხვა".[1]

რაც შეეხებოდა რუსეთის მთავრობას, მან, გ. დეკანოზიშვილის სიტყვით, ამჯობინა ქვაბის მძიმე სახურავით დახურვა და ზედაც დაჯდომა, თან ძლიერ უხაროდა, რომ ყოველივე მშვიდად იყო, ყველაფერი დახშული ჰქონოდა, ორთქლი არ ვრცელდებოდა და არავის აწუხებდა. „მაგრამ ის ვერ მოიფიქრეს, რომ მოგროვილი ორთქლი ერთ დღეს იფეთქებს, დაამსხვრევს სახურავს და ზედ მჯდომსაც... როდესაც რუსები იბრძვიან არც ჩვენებმა უნდა დაიძინონ, იმედია ისინიც გაიღვიძებენ და მიიღებენ მონაწილეობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში".[2]

გ. დეკანოზიშვილმა, ალ. გაბუნიასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო პარიზში 1904 წლის შემოდგომაზე შემდგარ რუსეთის რევოლუციური და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის ბოლო სხდომას ჩაუსწრო გ. ლასხიშვილმაც, ხოლო არჩილ ჯორჯაძე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. არადა თავიდან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარმა კომიტეტმა კონფერენციაზე დასწრება დაავალა არჩილ ჯორჯაძესა და ალექსანდრე გაბუნიას. სწორედ კონფერენციაზე გაიცნო გ. ლასხიშვილმა აზეფი — ცნობილი პროვოკატორი, რომელიც ესერთა პარტიის სრული ნდობით სარგებლობდა. მან ცალკე გაიხმო გ. ლასხიშვილი, გამოჰკითხა საქართველოს, განსაკუთრებით გურიის ამბები. შეეკითხა თუ ვინ ედგა მოძრაობას სათავეში, რომელი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ მოძრაობაში და ა. შ. ლასხიშვილი იგონებდა რა ამ ფაქტს, ახსენებდა: „არ ვიცი იყო თუ არა აზეფი მაშინ „ოხრანკის" თანამშრომელი, მაგრამ ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხისაგან თავი შევიკავე".[1] კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ესერების, პოლონეთის სოციალის-

1 გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 177.

ტური პარტიის, ბელორუსიის „გრომადის" და სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციის მოწვევა რევოლუციის მოახლოებამ განაპირობა. კონფერენციის დაწყების წინადღით გ. პლეხანოვმა ორგანიზატორებს წერილით აცნობა, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ მიიღებდნენ მის მუშაობაში მონაწილეობას. ამის უმთავრესი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ „ოსვობოჟდენიეს" (ცადეტთა ჯგუფის მომავალი პარტიის ძირითადი ბირთვის) წარმომადგენლები პ. მილიუკოვის მეთაურობით.

როგორც გ. დეკანოზიშვილი ადასტურებდა, კონფერენციის მიერ შემუშავებული დეკლარაცია მიღებულ იქნა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა გ. დეკანოზიშვილს არ აძლევდა საშუალებას ოჯახზე, შვილებზე ჯეროვანი ზრუნვა გამოეჩინა. ზოგჯერ თვეობით იყო მოწყვეტილი ოჯახისაგან. 1905 წლის 17 აგვისტოს „დღიურში" შვილების შესახებ ჩაწერილი აქვს, რომ „საწყლებს ბევრჯერ არ ხვდებათ მამის ალერსი, ხანდახან თითო თვეობით არ ვხედავ. ჩემი გავლენა ძლიერ საჭიროა, მაგრამ ძნელია ხალხსაც ემსახურო და ოჯახსაც. ჩემს მდგომარეობაში ძნელია, რადგან მუდამ ამ ოთხი წლის განმავლობაში სულ ბრძოლაში ვიყავი, მუდამ მოუსვენარი ვიყავი, მუდამ მოგზაურობაში ვიყავი".[1]

ჯერ კიდევ 1904 წლის გაზაფხულზე გ. დეკანოზიშვილის ინიციატივით ევროპის გაზეთებში გამოქვეყნდა მოწოდება საქართველოს უფლებათა შესახებ, რომელშიც საფუძვლიანად იყო განმარტებული ქართველი ხალხის კანონიერი უფლებები და ის, თუ რატომ ებრძოდა იგი „უჩალთა" ბატონობას. „შევაერთოთ ჩვენი ძალები, შევქმნათ სათანადო ორგანიზაციები, ვიბრძოლოთ, რათა ჩვენი ბედი არ იყოს რუსი ავტოკრატის ხელში", აი მოწოდების ბოლო წინადადება.[2]

უკვე დაავადმყოფებული გ. დეკანოზიშვილის ერთ-ერთი ბოლო გაბედული ნაბიჯი იყო 1906 წლის ივნისში საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის სახელით ვრცელი მემორანდუმის გამოქვეყნება, ფაქტების, თარიღებისა და გვარების დასახელებით, საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ.

მუდმივი საზოგადო საქმეებით დატვირთული გ. დეკანოზიშვილი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა თავის შერყეულ ჯანმრთელობას, როგორც მისი მეუღლე ანრიეტა ფრეხუა ადასტურებდა, 1906 წლის ივლისში გ. დეკანოზიშვილი ავადმყოფობის გამო იძულებული გამხდარა შეეწყვიტა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი მკურნალობდა ჯერ ლოზანაში ექიმ ბურჟეს კლინიკაში. შემდეგ ოჯახით იმყოფებოდა ვანნში. სწორედ აქ ესტუმრა 1907 წლის მარტში გ. დეკანოზიშვილს არჩილ ჯორჯაძე, რომელიც თვითონაც ავადმყოფობდა. 1907 წლის ოქტომბერში გ. დეკანოზიშვილი ოჯახით სამხრეთ საფრანგეთში მონპელიეში გადასახლდა. ენერგიული მკურნალობისა და მეუღლის დაუღალავი მოვლა-მზრუნველობის წყალობით, იგი რამდენადმე გამოკეთდა და რწმენა ჩაენერგა, რომ მოკლე დროში ხელახლა ჩადგებოდა ეროვნული საქმისათვის მებრძოლთა რიგებში. მაგრამ 1910 წლის ნოემბერში მოულოდნელად ცუდად გახდა. ეს იყო ტუბერკულოზის ბოლო შემოტევა. ექიმების რჩევით იგი მეუღლემ მზიან ქალაქ კანში გადაიყვანა, სადაც გარდაიცვალა კიდეც იმავე წლის 18 ნოემბერს. სულ მალე გ. დეკანოზიშვილი ქ. თბილისში წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე დაკრძალეს. თუ როგორ მოხდა მაშინდელი პირობებისათვის გასაოცარ მოკლე დროში გ. დეკანოზიშვილის ცხედრის თბილისში გადმოსვენება ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი მიხაკო წერეთელი. იგი გიორგის ახლო მეგობარი იყო. მიხაკოს ცნობით, გ. დეკანოზიშვილი იმდენად წინდახედული ყოფილა, ყოველი მოსალოდნელი ამბების გამო წინასწარ იმუშავებდა გეგმას. მას ძლიერ სურდა, რომ მისი სხეული აუცილებლად მშობლიურ მიწას მიბარებოდა. ამიტომ თვითონ შეიმუშავა თავისი ცხედრის საქართველოში კონსპირაციულად შემოტანის გეგმა. ეს გეგმა ზუსტად მოიყვანეს სისრულეში მისმა ახლობლებმა, კერძოდ დამ მარიამმა. ასე უდროოდ (სულ რაღაც 42 წლისა) გარდაიცვალა და შეეწირა სამშობლოს უზომო სიყვარულს ეს მრავალმხრივი ღირსშესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

დაქვრივებულ ანრიეტა ფრენუა-დეკანოზიშვილს დარჩა ორი შვილი — თინათინი და ტარიელი (მესამე უკვე გარდაცვლილი იყო). მამის ანდერძის თანახმად, დედამ შვილებს უმაღლესი ტექნიკური განათლება მიაღებინა.

ტარიელი 1927 წელს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. თინათინი, განათლებით ინჟინერი, ამავე სპეციალობის ჟ. ჟაკოლინს მითხოვდა. მათ შეეძინათ ორი შვილი. გიორგი დეკანოზიშვილის შთამომავლობიდან დარჩნენ ქალიშვილი თინათინი, შვილიშვილები — მარიზა

1 ჟურნ. „კავკასიონი", № 9, 1964, პარიზი, გვ. 121.

2 ჟ. „კავკასიონი", პარიზი, 1965, № 10, გვ. 132.

(ფსიქოლოგი) — ექიმ შოპის მეუღლე, და პეტრე, ინჟინერი. შვილიშვილების შვილები ქრისტინე და ჟოელ შოპი, ეტიენ და ვალენტინა ჟაკოლინები.

ანრიეტამ თავისი შვილებით იმოგზაურა საქართველოში 1913 წელს. საფრანგეთში დაბრუნებისას პარიზის პრესაში გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი.

ღირსეული ფრანგი ქალი, შვილების, მეუღლის დიდი მოსიყვარულე, გ. დეკანოზიშვილის მარჯვენა ხელი, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი და მოქირნახულე, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი ანრიეტა ფრენუა გარდაიცვალა 1945 წელს. იგი განისვენებს მისი საყვარელი მეუღლის გ. დეკანოზიშვილის მუდმივი განსასვენებელი ადგილიდან ძალიან შორს დრაველის სასაფლაოზე. დრაველი პატარა ფრანგული ქალაქია. 1902-1906 წლების მანძილზე იქ იმყოფებოდა ქართული ეროვნული საქმის ნამდვილი შტაბი, რომელსაც სათავეში ედგა გ. დეკანოზიშვილი.

გ. დეკანოზიშვილის სახლი (ვილა) „ლა ჟეორჟი" კანში დღესაც დგას და ეკუთვნის დეკანოზი-ჟაკოლინების ოჯახს.

გ. დეკანოზიშვილის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა სანახევროდაც კი ვერ იქნება შეფასებული, თუ არ გავითვალისწინებთ პირველი რევოლუციის პერიოდში უაღრესად რთულ ოპერაციას — იარაღის შეძენისა და საქართველოში შემოტანისათვის მის ტიტანურ საქმიანობას. არა მხოლოდ გ. დეკანოზიშვილის ორგანიზატორული როლია დღემდე მიჩუმათებული ჩვენ ლიტერატურაში, არამედ ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია ევროპაში იარაღის შეძენისა და საქართველოში შემოტანასთან დაკავშირებით.

გ. დეკანოზიშვილმა მაშინდელ ურთულეს პირობებში მართლაც რომ შეუძლებელი შეძლო. ერთ-ერთ თავის წერილში გ. დეკანოზიშვილისადმი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი თხოულობდა „ჯოხებს" (თოფებს), თუმცა ამ საქმის მოგვარების დიდი იმედი არ ჰქონდა. „ჩვენ მაინც ვმუშაობთ" — იწერებოდა იგი. მაგრამ ორგანიზაციის სისუსტეს ემდუროდა. გულს კი მაინც უმაგრებდა ავადმყოფ გ. დეკანოზიშვილს და მოაგონებდა, რომ „ლიბერალებად" არ გადავიქცევით. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებას, რასაც გ. დეკანოზიშვილი მოითხოვდა, ამ საკითხზე გ. ლასხიშვილი სხვა აზრისა იყო. იგი თვლიდა, რომ მათთან კავშირი შეუძლებელი იყო, რომ მათ მხოლოდ ჩვენი „ჯოხები" (ე. ი. თოფები) უნდათ და მეტი არაფერი. სულ ჩვენს ლანძღვაში არიან და სახელს გვიტეხენო.

1905 წლის გაზაფხულზე, გაზეთ „საქართველოს" გამოცემის შეწყვეტასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ არჩილ ჯორჯაძე, თედო [illegible] ასოთ-ამწყობი მიხეილ კიკნაძე. გ. დეკანოზიშვილი პარიზში დარჩა. „მთავარი საქმე, — წერდა გ. ლასხიშვილი — რომელსაც იგი მაშინ აკეთებდა, იყო იარაღის შოვნა და შეგროვება და შემდეგ მისი საქართველოში გამოგზავნა".[1]

გ. დეკანოზიშვილი იარაღის შეძენისა და საქართველოში გამოგზავნისათვის გაწეულ საქმიანობას აღწერს თავის „დღიურში". 1905 წლის 16 აგვისტოს ამ მიზნით იგი ჩავიდა შვეიცარიის პატარა სოფელ კრუაზეტში, რომელიც ლოზანასთან ახლოს მდებარეობდა. წინასწარ შეთანხმებით მივიდა აქაურ ეჟენი ბოსთან, რამდენადაც მას უნდა შეეკვეთა 8500 თოფი და მილიონ სამასი ათასი ტყვია. საჭირო იყო იარაღის შეძენა და თავის დროზე გაგზავნა. თუ რა გზით იშოვნა ფული, ამის შესახებ იგი „დღიურში" არაფერს ამბობს. გ. დეკანოზიშვილი წერდა: „ბ-ნი ბო მშვენიერი შვეიცარიელია, თანაგვიგრძნობს, სულითა და გულით სურს უშველოს ჩვენი ხალხის განთავისუფლებას. ბო-ს ესმის, რომ ჩვენ ვიბრძვით მუშებისა და გლეხების ინტერესების დასაცავად. მას ესმის, ვინ არიან დაჩაგრულნი და ვის უწერია შველა. მე მივეცი ბო-ს სამოცი ათასი ფრანკი და მან შეუკვეთა თოფები, რომელნიც უნდა გავისტუმროთ ჰოლანდიით შავ ზღვაში, მერე ჩვენსა".[2]

ამასთან დაკავშირებით გ. დეკანოზიშვილის პირად არქივში არსებობს ე. ბოს ხელწერილი, რომელიც იუწყება: „მივიღე ბ-ნ გ. დეკანოზიშვილისაგან თანხა (60.000) სამოცი ათას ექვსასი ფრანკი, შვიდი ათასი (7.000) ვეტტერლისის თოფის და ერთი მილიონ ასი ათასი — 1.100 000 ტყვიის შეძენისათვის.

ლოზანა, 22 ივლისი 1908 — ეჟენი ბო".

იარაღის გაგზავნისათვის აუცილებელი იყო გემის შეძენა, რომელიც 80.000 ფრანკი ჯდებოდა, აგრეთვე უნდა მონახულიყო კაპიტანი და ეკიპაჟი, რისთვისაც გ. დეკანოზიშვილმა მეტად დიდი მუშაობა გასწია. ამ საქმეში მას დახმარება აღმოუჩინეს ძმებმა კორნელისენებმა. ორივე განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხვდა გ. დეკანოზიშვილის თხოვნას, რასაც მხოლოდ ფულის ინტერესებისთვის როდი აკეთებდნენ. გ. დეკანოზიშვილს უნდა გაეღო მხოლოდ მათი მოგზაურობისათვის საჭირო ხარჯები. ქრისტიან კორნელისენი თანახმა იყო გემს კაპიტნად გაჰყოლოდა. ასე რომ, გემის შეძენისა და კაპიტნის შერჩევის საკითხი გადაწყვეტილი იყო. ამ მიზნით თვით გ. დეკა-

---

1 გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 204.

2 ჟ. „კავკასიონი", № 9, 1964, გვ. 120.

ნოზიშვილი ჩავიდა ამსტერდამში, სადაც ორი კვირა იმყოფებოდა. ახლა მთავარი იყო ჰოლანდიის ხელისუფლების ნებართვა იარაღით გემის დატვირთვისათვის. გ. დეკანოზიშვილი დიდ სიფრთხილეს იჩენდა. ჰოლანდიის ხელისუფალთა თანხმობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს. რუსეთის მთავრობის აგენტებს როდი ეძინათ, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, აღმოეჩინათ როგორ და რა გზით გაიგზავნებოდა იარაღი. მათთვის რომ გზა აებნია, გ. დეკანოზიშვილი სულ სხვა მისამართებს იძლეოდა და ცდილობდა, რომ მის სახელზე არ მისულიყო დეპეშები და წერილები. ეს გარემოება თავის მხრივ დიდად აბრკოლებდა საქმის წარმატებას. გარდა ამისა, გ. დეკანოზიშვილს პირველ ხანებში დამხმარე არავინ ჰყავდა თავისიანებიდან. მხოლოდ ჰოლანდიელები ძმები — ქრისტიან და პეტერ კორენლისენები უწევდნენ დიდ დახმარებას გ. დეკანოზიშვილს იარაღის შეძენასა და გაგზავნაში, გულწრფელად თანაუგრძნობდნენ მას, მაგრამ რუსეთის მთავრობის აგენტთა წინააღმდეგ ისინიც რას გახდებოდნენ. გემის იარაღით დატვირთვისა და გამოგზავნის ორგანიზაციის მთელი სიმძიმე ფაქტიურად გიორგის აწვა ტვირთად. ბოსთან ახლო მეგობრობაში იმყოფებოდა სამხედრო არსენალების უფროსი, პოლკოვნიკი. ამ უკანასკნელმა აღუთქვა ბოს, რომ, რაც კი იარაღი იყო დარჩენილი ციურიხის ერთ-ერთ სავაჭრო სახლში, ყველას მიჰყიდდა. ამასთან ერთად, თავისი მეგობარი ფინელი კ. ზილიაკუსი, რომელმაც სწორედ გიორგის დახმარებით 15 ათასი თოფი გააგზავნა ფინეთში, იწერებოდა, რომ რუსეთის მთავრობისათვის გიორგის მიერ იარაღის შეძენა ცნობილი გამხდარა და აგენტებიც კი მიუჩენიათ, რათა თვალყური ედევნებინათ, თუ საით, რა გზით იქნებოდა გაგზავნილი იარაღი. ამიტომ კ. ზილიაკუსი აფრთხილებდა გიორგის, რომ ფხიზლად ყოფილიყო. ამასთან ერთად, ცურიხელი ვაჭარი მოითხოვდა, რათა დარჩენილი იარაღი მთლიანად შეესყიდათ, ვინაიდან რუსეთის აგენტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თვითონ შეეძინათ მთელი იარაღი და ამით გზა დაეხშოთ გიორგისათვის. თავის „დღიურში" 1905 წლის 16 აგვისტოს იგი წერდა: „დღესვე ვთხოვე ბოს წასულიყო პოლკოვნიკთან და ეთხოვნა, რომ რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა რუსი მართებლობისათვის. დე მთლად მიყიდოს. მხოლოდ რაც უკვე ჩვენთვის შენახულია, იმაზედ ხმა არ ამოიღოს".[1]

გ. დეკანოზიშვილს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა ძმებ ქ. და პ. კორნელისენებთან, რომლებიც მას საჭირო ცნობებს სთხოვდნენ გემის შეძენისათვის. გ. დეკანოზიშვილი ჯეროვან სიფრთხილეს იჩენდა. თუ კი რუსეთის აგენტები გაიგებდნენ, საქმეც ჩაიფუშებოდა. იგი, საქართველოდან პარიზში ჩასულ ქართველებს უკან დაბრუნებისას ატანდა არალეგალურ ლიტერატურას, ასაფეთქებელ მასალას და ა. შ. ამ ქართველებში ასახელებდა იგი მალალაშვილს, ავალიშვილს, ტატიშვილს, ნატროშვილს (გორიდან) და სხვებს.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, რუსეთის პარიზის საელჩოს თანამშრომლებისათვის და რუსი მოხელეებისათვის ცნობილი გამხდარა, რომ ქართველები იარაღს იძენდნენ საზღვარგარეთ და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

1906 წელს, მეფის „ოხრანკის" მიერ გამოქვეყნებულ იქნა ოცგვერდიანი ბროშურა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქართველები აჯანყებას აპირებდნენ იაპონიის ფულით. თავის დროზე იგი ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდეც საზღვარგარეთ გამომავალ ჟურნალ „ქართველ ერში".

რუსეთის ოხრანკის აგენტებს კარგად ჰქონდათ გამორკვეული, რომ გ. დეკანოზიშვილმა იაპონელებისაგან მიიღო ფული და შეიძინა იარაღი საქართველოში გამოსაგზავნად. იმავე წიგნაკში გამოქვეყნებული იყო საბუთები, რომელთა მოპოვება მოუხერხებიათ „ოხრანკის" აგენტებს. მაგრამ მათთვის მაინც უცნობი იყო, ის თუ დეკანოზიშვილის გარდა კიდევ რომელი ქართველი მონაწილეობდა ამ საქმეში. ბროშურაში გიორგის გარდა არცერთი ქართველი არ იყო დასახელებული. გიორგის მოგონებათა „დღიურში" კი მათ ვეცნობით: „ოხრანკის" წიგნაკში გ. ბო-ს გარდა დასახელებულია იაპონელი „აკაში". აქვე მოიპოვება მათი წერილები და დეპეშები გ. დეკანოზიშვილისადმი.

გაზეთმა „ნოვოე ვრემიამაც" გამოაქვეყნა ცნობა, რომ რუსეთთან მეომარმა იაპონიამ გაუწია ფინანსური დახმარება ქვეყნის რევოლუციურ ძალებს. გაზეთი იუწყებოდა რომ ფინელებმა და ქართველებმა უღალატეს რუსეთს და მიიღეს ფული ნიკოლოზის იმპერიის დასანგრევად.

დოკუმენტებში გამოკვეთილად არ ჩანს იმ დიდი თანხის ყველა წყარო, რომელთა შემწეობით გ. დეკანოზიშვილმა საქართველოში იარაღი გამოგზავნა. მაგრამ ერთი რამ მართლაც ცხადი უნდა იყოს: იარაღის შეძენაზე დახარჯული ფულის დიდი ნაწილი ქართველებმა გაიღეს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მანგანუმის წარმოებას სათავეში ედგნენ ცნობილი პატრიოტები, თავდადებული მამულიშვილები: გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი, წ. ლოლობერიძე და სხვები.

იარაღის შეძენა დააჩქარა რუსეთში დაწყებულმა რევოლუციამ, თვითმპყრობელობის რეპრესიებმა, ვითარების მკვეთრად დაძაბვამ.

---

1 იქვე, გვ. 120.

ევროპაში ბევრი უწევდა დახმარებასა და თანაგრძნობას გ. დეკანოზიშვილს. მათგან. უწინარეს ყოვლისა. უნდა აღინიშნოს ჟან ჟორესი (1859-1914). ფ. დ. პრესანსე (1853-1914), ჟ. ალემანი (1843-1935), კ. ზილიაკუსი და სხვ.

ჟან ჟორესს არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი გაეცნენ 1903 წელს. იგი მტკიცედ იცავდა პიროვნებისა და ერთა თავისუფლებას. ყოველგვარი დესპოტიზმის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ჟან ჟორესის აზრით შეუძლებელია ადამიანი იყოს ინტერნაციონალისტი, თუ ის არ არის ნამდვილი პატრიოტი. მანვე უარყო ადამიანის რელიგიური. მორალური და პოლიტიკური რაობის მხოლოდ ეკონომიკური ფენომენით ახსნა. მისთვის სოციალისტობა შეგნების საქმე კი არ იყო. არამედ ადამიანის მოვალეობა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა ბევრ რამეში ენათესავებოდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პროგრამას.

გიორგი დეკანოზიშვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ადამიანის უფლებათა ლიგის ხელმძღვანელს. სოციოლოგს ფ. დ. პრესანსეს და ალემანს. რომელიც იყო „პროლეტარიატის სტამბის" დირექტორი. სწორედ აქ იბეჭდებოდა გაზეთი „საქართველო" და „ლა-ჟეორჟი". ალემანი იყო პარიზის კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც კომუნის დამარცხების შემდეგ სიკვდილით დასჯა ახალ კალედონიაში გადასახლებით შეუცვალეს. ამნისტიით განთავისუფლებული დაბრუნდა პარიზში და განაახლა პოლიტიკური საქმიანობა. იგი გახდა დეპუტატი და დააარსა „საფრანგეთის მუშათა სოციალისტური სარევოლუციო პარტია".

გ. დეკანოზიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟ. გიომთან. იგი იყო პირველი ინტერნაციონალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბაკუნინთან ერთად. როგორც ანარქისტული მიმდინარეობის აქტიური წარმომადგენელი, 1872 წლის კონგრესზე, სადაც მარქსისტები უმრავლესობას შეადგენდნენ. გარიცხული იქნა ინტერნაციონალის რიგებიდან მან ოთხ ტომად გამოაქვეყნა „ინტერნაციონალის ისტორია".

გემისა და იარაღის შეძენის საქმემ გ. დეკანოზიშვილი უმთავრესად ანარქისტულ ძალებთან დააკავშირა. ქართველ მოღვაწეებსა და ანარქისტებს შორის უპირველეს ხიდად ვარლამ ჩერქეზიშვილი ითვლებოდა (1844-1925). იმ დროისათვის იგი კარგად იყო ცნობილი მთელ ევროპაში.

რამ განაპირობა ამსტერდამის გადაქცევა საქართველოში იარაღის გაგზავნის ორგანიზაციის ცენტრად? იმდროისათვის ჰოლანდიური ანარქიზმის მთავარი წარმომადგენელი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილის მეგობარი დ. ნიუვენჰოიზი, ჟოფილი პასტორი, თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. იგი ქ. კორნელისენთან ერთად სცემდა გაზეთ „ფოლკსტ[illegible]" [illegible] ანარქისტების დახმარებით [illegible] ციპაუის შედგენა და ექსპედიციის მოწყობა.

გ. დეკანოზიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ე. რუბანოვიჩთან. ესერთა პარტიის წარმომადგენელთან ემიგრაციაში. 1904 წლიდან იგი იყო სოციალისტური ინტერნაციონალის აქტიური წევრი. ფლობდა ევროპულ ენებს: იყო ზედმიწევნით განათლებული, ფრანგულ ენაზე სცემდა თავისი პარტიის ჟურნალს — „რუსული ტრიბუნა". ჟურნალი ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში.

გ. დეკანოზიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფინელ პატრიოტ. სოციალისტ აქტივისტთა ლიდერთან კ. ზილიაკუსთან. იგი თანამშრომლობდა გ. დეკანოზიშვილთან იარაღის შეძენის ორგანიზაციისა და, საერთოდ. ანტიცარისტული ფრონტის დაარსების საქმეში. კონი ზილიაკუსი იყო ავტორი შვედურ და გერმანულ ენებზე ფართოდ გავრცელებული წიგნისა „დას რევოლუციონერე რუსლანდ" და ამ საკითხის დიდ სპეციალისტად ითვლებოდა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გიორგი დეკანოზიშვილის ურთიერთობა სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალურ მდივანთან კამილ ჰოისმანსთან. ჰოისმანს შემდეგში კარგად ახსოვდა გ. დეკანოზიშვილთან ურთიერთობა. მთელი რიგი დოკუმენტები ადასტურებს კ. ჰოისმანის აქტიურ მონაწილეობას იარაღის შეძენისა და მისი საქართველოში გამოგზავნის საქმეში. ანრიეტას მტკიცებით, კ. ჰოისმანს გ. დეკანოზიშვილი გაცნობია ფინელ სოციალისტთა მეშვეობით.

ქართველებზე უფრო ადრე. 1905 წლის 16 ივლისს. სწორედ ფინელმა რევოლუციონერებმა გააგზავნეს იარაღით დატვირთული გემი „ჯ. გარსია", იმავე თვის 28 ივლისს მას მიჰყვა გემი „ჯონ კრაფტონი". პირველი გემი რუსეთის მოხელეებმა დააკავეს, ხოლო მეორე გაირიყა, აფეთქდა და იარაღი მთლიანად დაიღუპა. ასეთი ბედი ეწვია ლატვიელთა გემსაც, რომლის მეთაური რიგაში მოკლეს მეფის მთავრობის აგენტებმა.

მხოლოდ საქართველოში იარაღის გაგზავნის ოპერაციას მოელოდა ჯეროვანი წარმატება. გეგმა უფრო მოფიქრებული იყო.

1905 წლის მაისის ბოლოსათვის გ. დეკანოზიშვილმა მოაწესრიგა იარაღის შესყიდვისა და საქართველოში მისი გაგზავნის ორგანიზაციის ფინანსური მხარე. როგორც მიწერ-მოწერიდან ჩანს. გ. დეკანოზიშვილის მთავარი დამხმარე საქართველოში იყო თედო სახოკია. ევროპაში კი მისი მთავარი თანამშრომლები იყვნენ ოფში იასონ ბობლიაშვილი, პავლიკო ჟიფციანი და გიორგი სიხარულიძე.

უცხოელთაგან გ. დეკანოზიშვილს იარაღის

შეძენასა და გაგზავნის ორგანიზაციაში. როგორც აღვნიშნეთ, უშუალო დახმარებას უწევდნენ გემის კაპიტანი ქრისტიან კორნელისენი, — ცნობილი ანარქისტი, და მისი ძმა ვაჭარი პ. კორნელისენი, აგრეთვე შვეიცარიელი ჟურნალისტი ეჟენ ბო და კოლომბო. ეს უკანასკნელი მარსელის ნავსადგურიდან გზავნიდა წერილებს, არალეგალურ ლიტერატურას. ხელს უწყობდა ემიგრანტი ქართველების მოგზაურობას. გ. დეკანოზიშვილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უკვე ნახსენები კ. ჰოისმანსის დახმარებას.

1905 წლის 22 ივლისს გ. დეკანოზიშვილმა დაამთავრა იარაღის შესყიდვის საქმე. იმავე წლის 6 სექტემბერს მანვე შეიძინა ამსტერდამში 397-ტონიანი გემი „სირიუსი" და შეადგინა ეკიპაჟი (19 კაცი) სანდო რევოლუციონერებისაგან. ეს მოხერხდა პ. კორნელისენის შემწეობით. გემის კაპიტანი იყო ქრისტიან კორნელისენი, დეპეშებში გრონდეიკის სახელით ცნობილი.

გ. დეკანოზიშვილის არქივში, სხვა დოკუმენტებთან ერთად, მოიპოვება ქ. კორნელისენის ხელით შედგენილი საბუთი, რომელშიც ნათქვამია: „ბატონ დეკანოზისათვის მე ვიყიდე, ჩემი ძმის, ვაჭარ პ. ლ. კორნელისენის შეწევნით, ამსტერდამში გემი „სირიუსი" ჰოლანდიის საზოგადოებისაგან, რომლის ფასი არის 2 900 გირვანქა სტერლინგი.

მოწყობის ხარჯი 325 გირვანქა სტერლინგი. მთელი თანხა 3.225 გირვანქა სტერლინგი გადაეცა ბ-ნ დეკანოზის მიერ ჩემს ძმას პ. ლ. კორნელისენს, 7 სექტემბერს 1905 წელს.

ქრისტიან კორნელისენ

ამსტერდამი, 7 სექტემბერი 1905 წ.".

იარაღით დატვირთული გემი „სირიუსი" 18 ოქტომბერს გამოემგზავრა საქართველოსაკენ. მან გაიარა გიბრალტარი, მაგრამ შეჩერდა ქ. სეტში. ამის მიზეზი იყო უფულობა. გ. დეკანოზიშვილი ძნელი დილემის წინაშე დადგა. თუ მოკლე დროში მოზრდილ თანხას ვერ იშოვნიდა, ყველაფერი დაიღუპებოდა. ამასთან დაკავშირებით 1905 წლის 25 ოქტომბერს „დღიურში" იგი წერდა: „დღეს მთელი დღე ლონდონში და სირბილში გავატარე. გემი „სირიუსი" დატვირთული იარაღით როგორც იყო დავიჭირეთ გიბრალტარში. რამდენი დეპეშა დამჭირდა, რომ გამეგზავნა. ეს გემი ბრუნდება სეტ-ში (სეტტ.) წუხელი კორნელისენი წავიდა მის დასახვედრად. მე და ბო დავრჩით აქ. მე უნდა ფული ვიშოვო, რადგან ფული გვაკლია. ვაი თუ გზაში დაგვჭირდეს გაჩერება. აქ არიან ჩვენი მდიდრები ბ-ნი იაკობ ზუბალაშვილი, ბატონი ბეს. ლოლობერიძე, ბატონი ჯაყელი. ჩვენ ბურჟუაზიას არ ესმის განთავისუფლების საქმე, არ ესმის, რომ მას ერგება პირველათ ხელმძღვანელობა სახელმწიფოში. მე ვიცი ეგ და ეს მკლავს, რომ მათთვის არის ეს მუშაობა, მაგრამ სხვაფრივ რომ შეუძლებელია, პირდაპირ ვერ დავამყარებთ [illegible] წყობილებას. რას იზამს კაცი ეს პირველი ეტაპი არის".[1]

როგორც ვხედავთ, გ. დეკანოზიშვილს სწორად ესმოდა დაწყებული რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი, რომლის მთავარი ამოცანა იყო მონარქიის დამხობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების დამყარება. ცხადია, სოციალიზმზე სოციალისტ-ფედერალისტებს სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ, ვიდრე მარქსისტებს. ეს უკანასკნელი საქართველოში კაპიტალიზმის ნაკლები განვითარებით იყო შეპირობებული. მას საქართველოს მაშინდელი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ბეჭედი აჩნდა.

როგორც ვხედავთ, გ. დეკანოზიშვილმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია იარაღის შეძენისა და გაგზავნისათვის საქართველოში. მაგრამ მისი გაგზავნისა და საქართველოში ჩასატანად აუცილებელი ხარჯებისათვის ფული უკვე აღარ ჰქონდა. ამ მიზნით 24 ოქტომბერს იგი ეახლა პარიზში მყოფ ბ. ლოლობერიძეს, აუხსნა, რომ იარაღით დატვირთული გემი გაჩერებული იყო, და შეეხვეწა მას ეთხოვა თავის მხრივ იმ დროისათვის პარიზში მყოფ ი. ზუბალაშვილისა და ჯაყელისათვის გაეწიათ მისთვის ფინანსური დახმარება. ბესარიონს განუცხადებია, რომ მან არ იცოდა მათი მისამართები, ხოლო თვითონ კი ცივი უარი უთქვამს დახმარებაზე. გ. დეკანოზიშვილმა ვერაფერს ვერ მიაღწია. ვის აღარ მიმართა დახმარებისათვის. შეეცადა იარაღის ნაწილი დაშნაკებისათვის მიეყიდა, მაგრამ აქაც უარი მიიღო. იგი თავისი მეუღლის სახლის დაგირავებაზეც კი ფიქრობდა. „დღიურში" წერდა: „რა დამრჩენია უნდა მე თვითონ ვიშოვო ფული, უნდა ვისესხო; ჩემს ცოლს უნდა დავაგირავებინო სახლი 10.000 ფრ. და ამით გავისტუმრო გემი დარდანელში, რაც მოუვა მოუვა. თუ მოვახერხეთ, ოსმალეთის ჩინოვნიკების მოსყიდვა, ხომ კარგი, თუ ვერ მოვახერხეთ, მაშინ ჩვენ გემს დაიჭერენ თუ შეიტყვეს. უნდა ვეცადოთ. ცდა ბედის მონახევრეაო იტყვიან. თუ დაიჭირეს, რა ვქნათ. ყველაფერი დაგვეღუპება ფული, იარაღი, 9 თვის შრომა და სხვა. მოვწყდი ამ ცხრა თვეში სულ ანეშალა ნერვები და ძარღვები... გულიც უარესად ამტკივდა, გულის ფრიალი გამიხშირდა. რას ვიზამ უნდა დავამთავრო ეს მუშაობა. მეტადრე, ახლა ჩვენში ხალხი იბრძვიან და იარაღის საჭიროება არის".[2]

---

1 ჟ. „კავკასიონი", № 9, 1964, პარიზი, გვ. 121-122.

2 იქვე, გვ. 122.

გ. დეკანოზიშვილმა ქ. ბრიუსელიდან თავისი ქართული ოჯახით. (მეუღლე ანეტა ბაგრატიონ ამერეჯიბი, შვილები ელენე, რუსუდანი, და როსტომი). იქ მუდმივად მცხოვრები, ერთგული თანამშრომელი პავლე ყიფიანი, აგრეთვე გიორგი სიხარულიძე და იასონ ბობლიაშვილი დაიბარა. შეხვედრაზე გადაწყდა ი. ზუბალაშვილისათვის ძალით თუ ნებით საჭირო თანხა გამოერთმიათ. ამ ამბავს ვრცლად აღწერს თავის „მემუარებში" პ. ყიფიანი. მიმართავდა რა გ. დეკანოზიშვილს. გ. სიხარულიძეს უთქვამს, რომ მზად იყო ყველა საშუალება ეხმარა ფულის მისაღებად.

„— ვისთანაც გინდათ მივალთ! დაუმატა იასონმა — წავახრჩობ და ისე გამოვართმევ.

— აი აქ არის ი. ზ-შვილი. მდიდარი კაცია, მისთვის 25 ათასი მანეთი ერთი გადაფურთხებაა.

— თუ მეტყვით მე თვითონ წავალ. დანით დავადგები და ისე გამოვართმევ. წამოიძახა ა. გ. დ-შვილმა. ისეთი გაბრწყინებულის სახით, რომ იმ წამს ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფულის შოვნას წინ არ უდგას რა".[1]

საქმის აღსრულება დაევალა პ. ყიფიანს, გ. სიხარულიძეს და ი. ბობლიაშვილს. გადაწყდა, რომ ისინი მივიდოდნენ ი. ზუბალაშვილთან და სოციალისტ-ფედერალისტთა კომიტეტის სახელით მოითხოვდნენ საჭირო თანხას. ეს არც თუ იოლი იყო. მათ გაიგეს, რომ ი. ზუბალაშვილი ყოველთვის 12 საათზე გამოდიოდა სასტუმროდან. ამ ამბავს პ. ყიფიანი შემდეგნაირად გადმოსცემს: „თერთმეტ საათზე დანიშნულ ალაგას ვიყავით: რადგან ერთ ალაგას ტრიალი მოუხერხებელი იქნებოდა, მივედით პირდაპირ რესტორანში. მოვითხოვეთ სამი ჭიქა ლუდი და გარეთ დავსხედით ისე კი, რომ სახლიდგან შემსვლელი და გამომსვლელი არ გამოგვპარვოდა. შესრულდა 12 საათი. გავიდა კიდევ ერთი საათი. ამ დროს ოტელის კარებიდან ვილაც ყმაწვილი გამოვიდა.

— ეგ ხომ არ არის? — ვეკითხები გ. სიხარულიძეს. რომელსაც ერთხელ სადღაც ენახა ის.

— იმას გავს — გვიპასუხა სიხარულიძემ.

— როგორ თუ გავს! ნამდვილად უნდა იცოდე...

ჩვენ ყველანი ავდექით, მაგრამ ის ყმაწვილი, რომელიც ი. ზ. გვეგონა, ჩაჯდა ფაიტონში და გაქროლდა".[2]

ბოლოს გადაწყდა, რომ გ. სიხარულიძე და ი. ბობლიაშვილი წასულიყვნენ და ტერორის მუქარით აეძულებინათ ი. ზუბალაშვილი ფული მიეცა მათთვის. მაგრამ სასტუმროში ისინი საერთოდ არ შეუშვეს. მისამართები მოსთხოვეს. ასე რომ, მეორე ცდაც უნაყოფო გამოდგა. მაშინ პ. ყიფიანმა გადაწყვიტა [...] შეხვედრილიყო ი. ზუბალაშვილთან სასტუმროში. მან შეიძინა სავიზიტო ბარათი და ზედ დააწერა, რომ იგი არაფერს არ ითხოვდა და რაიმე დახმარებასაც არ საჭიროებდა, რომ მას იგი უნდა შეხვდეს მძიმე გარემოების გამო, რომელიც მის სიცოცხლეს შეეხებოდა. ასეთი ბარათით შევიდა პ. ყიფიანი სასტუმროში, ბრძანების კილოთი დაავალა იქაურ მოსამსახურეს სასწრაფოდ გადაეცა ბარათი ბ. ზუბალაშვილისათვის. სულ მალე დაბრუნდა მსახური, რომელმაც განუცხადა პ. ყიფიანს, რომ ი. ზუბალაშვილი მალე ეახლებოდა. შეხვედრის სცენას პ. ყიფიანი შემდეგნაირად გადმოსცემს:

„გაიღო სალონის კარები და გამოჩნდა ფრიად სიმპატიური სახის ყმაწვილი.

— ვის მაქვს პატივი ველაპარაკო? — მკითხა მან ცოტა აღელვებული ხმით.

— ბოდიშს ვიხდი, ბ. რომ არ შემიძლიან მოგახსენოთ ჩემი გვარი და ამას არც საჭიროება მოითხოვს. მე მოვედი მხოლოდ გაცნობოთ კომიტეტის გადაწყვეტილება. თქვენი სიცოცხლე განსაცდელშია. თუ გინდათ სიკვდილი აიცდინოთ ეხლავე უნდა წახვიდეთ სადმე დაიმალოთ. მაგრამ არ ვიცი, მოახერხებთ ამას თუ არა. მე ვიცი, რომ შეძლებისდაგვარად ეწევით ჩვენ საზოგადო საქმეს. თქვენი სიცოცხლე კიდევ საჭიროა ჩვენთვის. მინდა აგაცდინოთ... მაგრამ როგორ... აი ეხლა მე რომ აქ გელაპარაკებით, ორი კაცი აქ ჩასაფრებული უცდის თქვენ გადაწყვეტილებას. მე მათ დავპირდი ჩემს თავზე ვიღებ კისრად, რომ თქვენ სიამოვნებით დაეხმარებით სარევოლუციო საქმეს, რომ საჭირო არ არის იმნაირი ზომების მიღება.

— მე ყოველთვის ვშველოდი და ვშველი ჩვენ საქმეს...

— ჰო, მე ეს კარგად ვიცოდი... ამიტომ გავბედე ამ მძიმე მისიის თვითონ აღება.

— მე კომიტეტის ყველა წევრებს ვიცნობ... და მიკვირს ამნაირი გადაწყვეტილება მისი... მეშინია აქ რამე „შანტაჟი" არ იყოს.

— მე გთხოვთ თქვენი გვარი მითხრათ!

— ბატონო, მე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ჩემს გვარს დაუმალავათ მოგახსენებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რომ აღმითქვამთ იმ შემწეობას, რომელსაც კომიტეტი თქვენგან ითხოვს... ეს ფული თქვენ უნდა ჩააბაროთ გ. დეკანოზიშვილს, რომლის შორიდან ნაცნობობა ალბათ გექნებათ.

— რამდენს გვთხოვენ?

— 25 ათას მანეთს.

— დღეს საღამოს ველი გ. დეკანოზიშვილს, მხოლოდ რადგან პირადი ცნობა არა მაქვს მისი, დაავალეთ მოიყვანოს თუნდაც ბ. გ-ძე. ეხლავე გთხოვთ მითხრათ თქვენი გვარი.

1. ჟ. „კავკასიონი", პარიზი, 1965, გვ. 139.
2 იქვე.

— მე უიფიანი გახლავართ!

მან მადლობის ნიშნად ხელი გამომიწოდა".[1]

სამივე პატრიოტმა ქართველმა გ. დეკანოზიშვილს სასწრაფოდ აცნობა სასიხარულო ამბავი. გიორგისთან იასონი შევიდა. იგი ავად იყო, იწვა, მაგრამ მოტანილმა ამბავმა ერთბაშად შეცვალა, გაამხიარულა.

გ. დეკანოზიშვილისათვის ი. ზუბალაშვილის მიერ მიცემული ფულიდან ათი ათასი ფრანკი სტამბოლში გაიგზავნა, ხუთი ათასი პარტიის მთავარ კომიტეტს გაეგზავნა თბილისში, ოთხი ათასი გემზე გადაიგზავნა.

მართალია, გემს ხელი შეეწყო უხიფათოდ სვლაში, მაგრამ უხერხული ნაბიჯი იყო გადადგმული ი. ზუბალაშვილის მიმართ, რომელიც ს. — ფედერალისტთა პარტიას ყოველთვის დახმარებას უწევდა. რაც ცხადია, გ. დეკანოზიშვილმა არ იცოდა თედო სახოკიას წერილში, რომელიც 1905 წლის 18 ნოემბერს ბათუმიდან იყო გამოგზავნილი დეკანოზიშვილისათვის, ნათქვამია: „თქვენ რომ ულტიმატუმი დაგიდგვიათ, ის კაცი ჩვენთან ძალიან კარგად იქცეოდა. აქამდე იმით ვიბრუნებდით სულს. სამწუხაროა, რომ შენ არაფერი იცოდი და იმასთან სირცხვილში ჩავარდი. არა უშავს გამოვაკეთებთ საქმეს და ბოდიშს მოვიხდით მასთან. ყოჩაღად კი მოქცეულხართ".[2]

პავლე უიფიანი და იასონ ბობლიაშვილი გაემგზავრნენ სტამბოლში, რათა წინასწარ მოემზადებინათ პირობები გემის სრუტეებიდან უმტკივნეულოდ გასვლისათვის. ამ საქმესთან დაკავშირებით თურქეთში იმოგზაურა აგრეთვე თვალსაჩინო ქართველმა პატრიოტმა ზია ბეგ აბაშიძემ.

ნოემბერში გემი „სირიუსი" უკვე სტამბოლში შევიდა, საიდანაც პ. უიფიანმა უდეპეშა გ. დეკანოზიშვილს, ითხოვდა ფულს თურქ მოხელეთა მოსასყიდად. მას თავის დროზე გიორგი დეკანოზიშვილმა მისცა 8 000 ფრანკი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ითხოვდა კიდევ 4 000 ფრანკს. გ. დეკანოზიშვილმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა 4 000 ათასი ფრანკი, ხოლო კაპიტნისათვის გადასაცემად 8 000 ფრანკი ადრე ჰქონდა მიცემული. ასე რომ, უიფიანს სულ 10 000 ფრანკი ჰქონდა, რაც, გ. დეკანოზიშვილის ვარაუდით, საკმარისი უნდა ყოფილიყო. როგორც მასალებიდან ირკვევა, პ. უიფიანს გ. დეკანოზიშვილისაგან სულ ჰქონდა მიღებული 10.080 ფრანკი, მგზავრობაში მას დაუხარჯვია 2 825 ფრანკი, დანარჩენი თანხა (7.255 ფრანკი) დაუბრუნებია 24 ნოემბერს პარიზში. 1905 წლის ნოემბერში ს. ფ. პარტიის მთავარ კომიტეტს გ. დეკანოზიშვილმა 5 000 მანეთი გაუგზავნა ალ. დიასამიძის სახელზე, ამასთან უდეპეშა, რომ გემის ჩასვლას მომზადებული დახვედროდნენ. გ. დეკანოზიშვილი მტკიცედ იყო დარწმუნებული, თუ ვერ მოხერხდებოდა იარაღის დანიშნულების მიზნით გამოყენება, თვით მისი შეტანის ფაქტი დააშინებდა მეფის მთავრობას და კავკასიაში აჯანყების შიშით იძულებული გახდებოდა ეფიქრა საქართველოს ავტონომიაზე.

პ. უიფიანს დავალებული ჰქონდა გემის უხიფათოდ მიყვანა დანიშნულ ადგილას. წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად, კაპიტანს უნდა დაეცადა მისთვის. გემზე იმყოფებოდა ორი ქართველი ახალგაზრდა გ. სიხარულიძე და ნაზარაშვილი. ეს უკანასკნელი სრულიად შემთხვევით მოხვდა, რამდენადაც გემი საჩქაროდ უნდა წასულიყო, გ. დეკანოზიშვილმა სთხოვა მას გაყოლოდა. საჭირო იყო მათ პ. უიფიანისათვის დაეცადათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა გემი გზაში დაეკავებინათ. გ. დეკანოზიშვილს ამის გამო დიდი ნერვიულობა შეხვდა. პ. უიფიანთან ერთად იყო ი. ბობლიაშვილი, იგი ბათუმში უნდა წასულიყო და ჩაეტანა ამბავი იარაღის შეტანის თაობაზე.

მოხდა ისე, როგორც გ. დეკანოზიშვილი ვარაუდობდა. პ. უიფიანი წავიდა სტამბოლიდან ზეაში (საბერძნეთი), სადაც გემი უნდა დახვედროდა მისი ვარაუდით, მაგრამ კაპიტანს მისთვის არ დაეცადა და გემი წაეყვანა დარდანელში, სადაც არავინ არ დახვედროდა და ამიტომ უკან დაბრუნებულიყო. ასე რომ, კაპიტანი და პ. უიფიანი ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამიტომ გ. დეკანოზიშვილმა გაუგზავნა დეპეშები კაპიტანსაც და უიფიანსაც დარდანელში.

მაგრამ მალე მიიღო დეპეშა კაპიტანისაგან, რომლითაც იტყობინებოდა, რომ გემი უკვე სტამბოლში იყო. გზაზე სტამბოლიდან გემს დიდი დაბრკოლებები შეხვდა და 20 ნოემბრისათვის ძლივს მიაღწია ბათუმამდე. გ. დეკანოზიშვილმა ამ დღეს ერთბაშად სამი დეპეშა მიიღო. ერთ-ერთ მათგანში იტყობინებოდნენ, რომ ბათუმში უკვე ჩასულიყო ი. ბობლიაშვილი. გემმა 20 ნოემბრისათვის უკვე ფოთსაც მიაღწია. მაგრამ გ. დეკანოზიშვილმა ამის შესახებ უკვე არაფერი იცოდა. მხოლოდ ერთი დეპეშა მიიღო თბილისიდან მთავარი კომიტეტის სახელით, ფულს ითხოვდნენ.

ფოთთან ახლოს გემი უკვე ერთი კვირის მისული იყო. გ. დეკანოზიშვილმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა. მისი ვარაუდით ნავსადგურში მისვლისას გემს ღამით უნდა ეჩვენებინა წითელი ფანრები, თითქოს ტელეგრაფის მავთულებით დატვირთული გემი იყო. გ. დეკანოზიშვილს იმედი ჰქონდა გემის მშვიდობიანად ჩასვლისა, რადგან მასზე ქართველებიც იმყოფებოდნენ. კაპიტანი როგორც ვიცით, ჰოლანდიელი იყო. მისი თანაშემწეც ჰოლანდიელი,

1 იქვე. გვ. 141-142.
2 იქვე. გვ. 142.

მეზღვაურებიდან ნახევარი ჰოლანდიელები იყვნენ, ნახევარიც ფრანგები. მათ ოჯახებში წუხდნენ, რომ არაფერი ისმოდა გემის მოძრაობის შესახებ. გ. დეკანოზიშვილი 20 ნოემბერს თავის დღიურში წერდა: „სამი დეპეშა ჰოლანდიიდან მატროსების ცოლებისაგან მივიღე: მთხოვენ როგორ არიან მათი ქმრები, თუ რაიმე მოუვიდათ ამ საწყლებს. ისევ მე დამაწვება მათი პატრონობა“.[1]

გემის უხიფათოდ შესვლას საქართველოში ისიც აიოლებდა, რომ აჭანყება იმ დროისათვის შავი ზღვის ფლოტსაც მოედო. ამ მომენტით შეეძლოთ ესარგებლათ „სირიუსის“ დამხვედრებს.

ს.-ფ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა თადარიგი წინასწარ დაიჭირა. შეიმუშავა კონკრეტული გეგმა თუ როგორ უნდა მომხდარიყო იარაღის გადმოტვირთვა. წინასწარ შერჩეულ ადგილებში გადამალვა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დარიგება. ამ საქმის მთავარი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დაევალა მიხეილ ესაკიას, რომელიც იმ დროს ფოთში ცხოვრობდა. თბილისიდან გაემგზავრნენ თ. სახოკია და ვლ. ლორთქიფანიძე. საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა, რათა იარაღი მიეღოთ და მიზნობრივად გაენაწილებინათ. მიუხედავად ამისა, წინასწარ შემუშავებული გეგმა ვერ განხორციელდა. „სირიუსის“ მისვლა ნავსადგურში ბევრს გაეგო და იარაღის გამოტვირთვისას ზღვის ნაპირს დიდძალი ხალხი მოაწყდა, ზოგიერთებმა მოინდომეს იარაღის გატაცება. ადგილი ჰქონდა ურთიერთშეტაკებასაც. მოგვიანებით, 1 დეკემბერს ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში რეიტერის სააგენტო იუწყებოდა, რომ 27 ნოემბერს იარაღით დატვირთული გემი ფოთის ნავსადგურში მისულა. გემიდან იარაღის გადმოტვირთვა შეუნიშნავთ ზღვის დამცველებს და გაჩაღებულა სროლა ორივე მხრიდან. ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელებულა. „სირიუსის“ მეზღვაურებს რამდენიმე ყუთი იარაღი, ნავებში ჩასაწყობად გამზადებული, ზღვაში გადაუყრიათ. ამასვე ატყობინებდა გ. დეკანოზიშვილს 30 ნოემბრის დეპეშაში ქრისტიან კორნელისენი. ამ დროისათვის გემი უკვე უშიშარ ადგილას ვარნაში (ბულგარეთი) იმყოფებოდა. იარაღის ნაწილის ზღვაში გადაყრამ (რაზედაც ს.-ფ. პარტიის თანხმობაც ყოფილა) გიორგი ძლიერ შეაწუხა, მაგრამ იგი მაინც იწონებდა კაპიტნის მოხერხებულობასა და სიყოჩაღეს. გადმოტვირთული შვეიცარული თოფები და ტყვიები ბევრგან დარიგდა სოფლად და ქალაქად, უმთავრესად იმერეთსა და სამეგრელოში.

თვითმპყრობელობის ა[illegible]ული ჰქონდათ „სირიუსის“ ფოთის ნავსადგურში მისვლა. როგორც აღინიშნა, მათ იარაღის შეძენის ამბავიც იცოდნენ. როგორც ჩანდა, ამაში აზეფის ხელი ერია. აზეფი, როგორც გ. ლასხიშვილთან მისი შეხვედრიდანაც ვიცით, ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

გ. დეკანოზიშვილის არქივში მოიპოვება ოქმი გემ „სირიუსის“ გადმოტვირთვასთან დაკავშირებით, ოქმს ხელს აწერენ სიხარულიძე, ჩაჩავა, კორძახია.

შემდეგში გ. დეკანოზიშვილი შეეცადა „სირიუსის“ გამოყენებას რუსეთში იარაღის შესატანად. ამ მიზნით მან დახმარებისათვის მიმართა ესერთა პარტიის წარმომადგენელს, რუბანოვიჩს, რომელმაც გადაწყვიტა მდიდარ ებრაელებში საჭირო თანხა შეეგროვებინა ამ მიზნით, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

„სირიუსი“ ამსტერდამის ნავსადგურში შევიდა 1906 წლის 16 იანვარს. გ. დეკანოზიშვილმა მეორე დღესვე გაუსწორა ანგარიში ეკიპაჟის წევრებს, მალე გემიც გაყიდა.

პოლონელმა, ფინელმა, ლატვიელმა და სხვა რევოლუციონერებმა ვერ მოახერხეს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა, ვერ გადალახეს სიძნელენი, თუმცა ცდა არ დაუკლიათ, და აი გ. დეკანოზიშვილმა შეძლო იმ დროისათვის მართლაც შეუძლებელი, მოახერხა იარაღის შემოტანის ორგანიზაცია სწორედ რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში. „კარგად გაშინჯეთ, — წერდა გ. ლასხიშვილი, — და დაუფიქრდით მთელი ამ საქმის ორგანიზაცია-ასრულებას და დარწმუნდებით, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა ამ მეტად ძნელ საქმეში პირდაპირ ზღაპრული ენერგია და ძალა გამოიჩინა... თითქმის მარტოდმარტო იყო, არც დამხმარე თავისიანი ხალხი, არც ფული... მხოლოდ იმის საოცარ ენერგიასა და ორგანიზაციულ ნიჭს შეეძლო ამ მეტად მძიმე საქმის ასრულება“.[1]

მართლაც რომ ძნელია, არ დაეთანხმო გ. ლასხიშვილის სიტყვებს.

სამწუხაროდ გ. დეკანოზიშვილს ცოცხალს არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. მხოლოდ მისი, ჯერ კიდევ ახალგაზრდის, ცხედარი მიებარა მშობლიურ მიწას.

ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა შორის გიორგი დეკანოზიშვილმა ჭეშმარიტად საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს.

---

1 იქვე, გვ. 126.

1 გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ. 1934, გვ. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიტა ჩხენკელი

# კიტა ჩხენკელის წერილები

1982 წელს ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტის გამგის, პუშკინის, სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეთოდისტის, დიომიდე (მიტო) ცქვიტინიძის არქივი. არქივში დაცულია კიტა ჩხენკელის ორი წერილი. ერთი დიომიდე ცქვიტინიძის სახელზეა შვეიცარიიდან გამოგზავნილი, მეორე წერილის ადრესატია საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, დ. ცქვიტინიძის მეუღლის ნინო კვაჭანტირაძის ნათესავი ვლადიმერ კვაჭანტირაძე. იგი წლების მანძილზე უანგაროდ ასრულებდა შუამავლის როლს ვიქტორ ნოზაძეს, კიტა ჩხენკელსა და დიომიდე ცქვიტინიძეს შორის.

ციურიხის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი კიტა ჩხენკელი დაიბადა 1895 წ. ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1920 წ. გაემგზავრა გერმანიაში. დაამთავრა ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 30-იან წლებში მიწვეული იქნა ჰამბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად.

40-იან წლებში კიტა ჩხენკელი საცხოვრებლად გადავიდა შვეიცარიაში. ციურიხის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულსა და რუსულ ენებს. აქ მან დააარსა გამომცემლობა „ამირანი". შექმნა სასტამბო შრიფტი ამერიკული საბეჭდი მანქანა „ვერიტაიპერისათვის". 1957 წ. „ამირანმა" გამოსცა კიტა ჩხენკელისა და რუთ ნოიკომის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვისრამიანი"; 1958 წ. — კიტა ჩხენკელის მიერ შედგენილი ქართული ენის შესავალი ორ ტომად — ქართული ენის გრამატიკა და ქრესტომათია.

1960 წ. თავის ასისტენტებთან, შვეიცარელ ქართველოლოგ ქალებთან რუთ ნოიკომთან, იოლანტა მარშევთან და ლეა ფლურთან ერთად დაიწყო ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემა. კიტა ჩხენკელის სიცოცხლეში გამოიცა ლექსიკონის 6 რვეული, დანარჩენი 20 გამოსცეს მისმა ასისტენტებმა ვიქტორ ნოზაძის დახმარებით 1963-1974 წლებში.

კიტა ჩხენკელი გარდაიცვალა 1963 წლის ნოემბერში. დაკრძალულია ციურიხში.

კიტა ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ ვლადიმერ კვაჭანტირაძემ ლეა ფლური დააკავშირა დიომიდე ცქვიტინიძესთან. მათ შორის საქმიანი მიმოწერა გრძელდებოდა თითქმის 20 წელი. დ. ცქვიტინიძის გარდაცვალების შემდეგ (1981 წ.), ეს საქმე განაგრძო მისმა ოჯახმა.

პუბლიკაციისათვის შევარჩიეთ 1960-1964 წლებით დათარიღებული კიტა ჩხენკელის, ლეა ფლურისა და ვლადიმერ კვაჭანტირაძის რამდენიმე წერილი. ვ. კვაჭანტირაძის წერილები ქვეყნდება მცირეოდენი შემოკლებებით.

რუსუდან დაუშვილი.

19.IV.60.

## სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე სალამი ჩემო დაიკო ნინო!

...მოგწერეთ 30 მარტის თარიღით. ამავე დღეს გამოვგზავნე ორი პატარა წიგნაკი „დიდი ხალხები პატარა ჩარჩოში". წერილი გამოვგზავნე პატ. მიტოს სახელზე... ყველა დასახელებული წიგნი ვ. ნოზაძისა და კ. ჩხენკელის სახელზე უკლებლივ მიღებული მაქვს და დაუყოვნებლივ გადაგზავნილი. მაქვს მათი მიღების მადლობის წერილები და დავალება — გამოგიცხადოთ კმა-

ყოფილება და ულრმესი მადლობა. თუ პირადად არ იწერებიან, გერიდებიან არ შეგაწუხონ. საზოგადოდ, ქვეყნის კულტურის, ლიტერატურის გაცნობის და დაახლოების მოხარულნი არიან არა მარტო ამ წიგნის ავტორები, კიდევ ბევრი პატიოსანი ქართველი, რომლებიც — ისეთი დაახლოების საჭიროებას გრძნობენ და უხარიათ. იქონიეთ სრული ნდობა — ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ...

შენი ძამიკონა ვალოდია!

21.XII.60.

ძვირფასო ბატონო ვალოდია,

თქვენი ამა წლის დეკემბერს გამოგზავნილი წერილი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით, ამავე ფოსტით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიგზავნით იმ ორტომიან შრომას, რომელზედაც გწერთ თქვენ თქვენი და თან ვაგზავნი აგრეთვე ქართულ-გერმანულ ლექსიკონის პირველ რვეულს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა. გიკვირთ, საიდან გაიგოთ. არა, ეს არ არის გასაკვირალი, ვინაიდან საქართველოში უკვე დიდი ხანია რაც იწერენ მაგ წიგნებს როგორც ოფიციალური დაწესებულებანი, ისე კერძო პირებიც. საქართველოში მეტად აინტერესებთ ეს შრომები; ყოველშემთხვევისათვის უფრო, ვიდრე უცხოეთში გადმოხიზნულ ქართველებს. სამწუხაროდ, ეს ასეა. მაშ, გაუგზავნეთ მაქედან ყველა ეს წიგნები თქვენს დას და ღმერთმა მოახმაროს. ძალიან გამახარებთ, თუ მომწერთ იმას, თუ რას გიპასუხებთ.

გილოცავთ შობა-ახალწელს. მომიკითხეთ ქართველები თუ ვინმეს ვახსოვარ.

პატივისცემით თქვენი კიტა ჩხენკელი.

12.III.61.

დიდად პატივცემულო დიომიდე!

...თქვენი წიგნები თავის დროზე უკლებლივ მივიღე... დანიშნულებისამებრ გავაგზავნე. მივიღე პასუხი ერთი თვის დაგვიანებით. იწერება ბოდიშს, დაკავებული იყო თავისი ახალი გამოცემით და მთხოვს კიტა ამ დიდი პატივისცემისათვის გადმოგცეთ მისი ულრმესი მადლობა. ამასთან ერთად მივიღე პატარა წიგნაკი შვეიცარიის გამომცემლობისა გერმანულ ენაზე — „ვისრამიანი", რომელსაც ყურადღება დაუმსახურებია ევროპის მწერლებსა და კრიტიკოსებს შორის. წიგნი კარგა ხანია გამოგიგზავნეთ და ამ მოკლე დროში მიიღებთ. მწერს, დამატებით აპრილში ჩამოვალ, განახავ და პირადად ვილაპარაკოთო. ვიქტორ ნოზაძეს თქვენი წერილი მივაღე და მაშინვე გადავუგზავნე. ასევე [გადავუგზავნი] წიგნებს, როდესაც მივიღებ...

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და მადლობა.

პატივისცემით ვ. კვაჭანტირაძე.

22.XI.1961.

ძვირფასო ძმაო დიომიდე,

როგორც იქნა მოვიცალე წერილის მოსაწერად. დიდი ხანია რაც განვიზრახე მოწერა, მაგრამ ჯერ იყო და ავად შევიქენი, შემდეგ კი აუარებელი მუშაობა დამატყდა თავზე. დაიწყო უნივერსიტეტის სემესტრი და ლექციების კითხვა მართმევს ბევრ დროს და ძალას. თან რაც მთავარია: მორიგი ქართულ-გერმანული ლექსიკონის რვეულის დამუშავებას და დასაბეჭდად მომზადებას ვანდომებ მთელ ჩემს თავისუფალ დროს. ერთი სიტყვით, გთხოვთ, ცუდად არ ჩამომართვათ ეს სიჩუმე.

ამასობაში ბედნიერება მქონდა შევხვედროდი თქვენს ვალოდია კვაჭანტირაძეს, რომელიც ასე ერთგულად და მუყაითად მიგზავნის თქვენს მიერ გამოგზავნილ წიგნებს. უკანასკნელად მივიღე მისგან „დაისის" ფირფიტები — გითხრათ სიმართლე, მე არ მყოფნის სიტყვები, რომ როგორმე გამოვხატო ჩემი და ჩემი ასისტენტების სიხარული და აღტაცება, თან ჩვენი ულ-

რმესი მადლობა. თუ რა ბედნიერებას, ხალისს და ძალას გვმატებთ, ამის წარმოდგენას, ვფიქრობთ, თქვენ თვითონ შეძლებთ, თუ გაითვალისწინებთ შემდეგს: მარტო ვარ [illegible] გაკვეხებული. ჩემი ბარე ათი თანამშრომელი ყველანი შვეიცარელებია; არც [illegible] მელიც ჩვენ ჩვენს საქმიანობაში გვერდში ამოგვიდგეს. ერთი სიტყვით მოვწყდით ყველას. არსაიდან ხმა, არსით ძახილი. თქვენი შედარება არც ისე უნიადაგოა: როგორც წარსულ საუკუნეებში ბერ-მოლოზნებივით ვართ აქ მარტო აყუდებული! და ასეთ პირობებში წარმოიდგინეთ აბა, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ასე შორიდან მოტყორცნილი ხმა! არა, არ ძალმიძს გამოვთქვა სიტყვებით, თუ რასაც განვიცდიდით, როცა ვიხსენთ დაისს; მაგრამ არა ნაკლებ, როცა თქვენ მიერ გამოგზავნილ წიგნებს ვფურცლავთ. დიდი და გულწრფელი მადლობა ყველაფრისათვის! თან ვდგავარ ერთი საკითხის წინაშე: როგორ და რა სახით შემიძლია მე თვითონ გაგახაროთ? ამ მხრივ ძალიან უმწეო მდგომარეობაში ვიმყოფები, ერთად ერთი, რაც მე თვითონ გამაჩნია, ეს არის ჩემი ქართული ენის სახელმძღვანელო და ქართულ-გერმანული ლექსიკონი. ცხადია, თუ გსურთ, მე შემიძლია გამომცემლობას კიდევ ერთხელ გადმოვაგზავნინო თქვენთვის ისინი. ან კიდევ, თუ სხვა რამ წიგნი გჭირდებათ, მომწერეთ და შევეცდები გადმოგიგზავნოთ.

ამ დღეებში ამირანის გამომცემლობიდან მოგივათ თქვენ ქართულ-გერმანულის მესამე რვეული, რომელიც ესეც არის გამოქვეყნდა. თან გამოგეგზავნებათ აქაური ცნობილი „ატლანტის" ოქტომბრის რვეული, რომელიც მთლიანად საქართველოს ეძღვნა. ინიციატივა ჩემი იყო, მასალის დაგროვებაში ზოგი ჩემი თანამშრომელი დაეხმარა, მხოლოდ საქმის ჩატარება ითავა Dr. Hummel-მა, ე. ი. თვით ჟურნალის რედაქტორმა (ის ჩემი ყოფილი მსმენელია უნივერსიტეტში). ცხადია, ბევრ რამეში იქნება ვერ დავეთანხმოთ სხვა და სხვა წერილების ავტორებს, მაგრამ საყურადღებოა, რომ უცხოელებმა ასეთი საქმე ითავეს და ოდნავ მაინც ამცნეს დასავლეთს, ჩვენი კულტურული ავლადიდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალი თაობა წამოიზარდა, რომელსაც ან სრულიად არ აქვს წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზე თუ აქვთ, ხშირად მეტად ბუნდოვანი და თანაც მრუდე.

მოუთმენლად მოველი „ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის" მეშვიდე და მერვე ტომს. ნეტავი თუ იცით, თუ როდის გამოქვეყნდება ისინი? თან საჭიროა ჩვენთვის დათიკაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მესამე წიგნი. ნეტავი თუ უკვე გამოვიდა?

სხვათა შორის, იქნებ შეიძლება დაისის ლიბრეტოს შოვნა? ძალიან დამავალებთ, თუ თქვენ მას მიშოვით.

მოხარული ვიქნები, თუ დამიდასტურებთ ამ წერილის და ლექსიკონის — ჟურნალის მიღებას.

კიდევ მიიღეთ ჩემგან გულითადი მადლობა ყველაფრისათვის.

ჩემი გულწრფელი სალამი, აგრეთვე თქვენს ოჯახობას.

თქვენი კიტა ჩხენკელი

4. I. 63.

დიდად პატივცემულო დიომიდე!

სამშობლოს სიყვარულით, ნატვრით აღსავსე გულითადი სალამი,

29. I. 63 თარიღით მივიღე კ. ჩხენკელის მეტად საყურადღებო, მადლობითა და სიხარულით სავსე წერილი. გაცნობებთ, მიუღია წიგნები, რაც მთავარია მისთვის — მეშვიდე ტომი განმარტებითი ლექსიკონისა და სიტყვასიტყვით მწერს: მიუხედავად იმისა, რომ ავად ყოფილიყო, გახარებული წამოვდექი და კარგი ლუკური შემოვიარეო.

დამავალა გადმოგცეთ მისი უსაზღვრო, ულრმესი მადლობა და გულითადი სალამი...

სხვა, ვ. ნოზაძეს ვაცნობე, ვჩქარობ წიგნების გაგზავნას-თქო და მაქვს სრული იმედი, როგორც კი იქნება მზად, გამოვგზავნით.

გვაფიქრებს მხოლოდ, როგორც წერილიდან ჩანს, უკვე კარგა ხანია ჩემი გამოგზავნილი კ. ჩხენკელის გამოცემა ვგონებ არ მიგილიათ...

თქვენგან დიდად დავალებული,

პატივისცემით, ვალოდია.

25. X. 63.

პატივისცემით აღსავსე სალამი მიტო!

გთხოვთ წერილის ფორმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ძალიან შეწუხებული ვარ; მინდა გაცნობოთ მხოლოდ, გარდაიცვალა მეტად პატიოსანი, კარგი ქართველი კაცი კიტა ჩხენკელი. მისი თანამშრომლები, რომლებიც მან გამოზარდა, შვეიცარელი ქალებია, ლაპარაკობდნენ, სწერდნენ და მუშაობდნენ მასთან ქართულად. მათი თხოვნით დასაფლავებულ იქნა ადგილობრივ, ციურიხში. ტელეგრამა და ეს გლოვის ბარათი გამომიგზავნეს მათ... მისი დასაფლავების ბარათი მინდა მის სამშობლოსაც ეუწყოს ისე, როგორც არის. მწუხარებას

გამოვთქვამ — მას ქონდა გეგმა, ხუთი წლის მისი შრომა დაემთავრებია, რომ[illegible]ერ დასცალდა. ბოდიში შეწუხებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივისცემით, ვალოდია.

14. II. 64.

ციურიხი

დიდად პატივცემულო და ძვირფასო ბატონო ვალოდია,

ვუშინწინ მივიღე თქვენი წერილი და, ბოდიშს ვიხდით, რომ აქამდე ვერ მოგწერეთ. 29 იანვარს გადაუგზავნეთ ბატონ დიომიდეს ჩვენი ორტომიანი ქართული გრამატიკა. და 31 იანვარს აგრეთვე წერილი. რომ ამასობაში მან მიიღოს ყველაფერი. თუ ბატონ დიომიდეს დასჭირდეს კიდევ წიგნები, მოგვწერეთ; იცოდეთ, რომ ჩვენ დიდი სიამოვნებით აქედან გადავუგზავნით მას რაც დასჭირდება.

იმედი გვაქვს, რომ ჯამნრთელად ბრძანდებით. გულითადი სალამი ჩვენ ორივესგან.

Lea Flurj

P. S. ძალიან მოხარული ვართ, რომ ბატონი დიომიდე აპირებს ჩვენთვის გერმანულ-ქართული ლექსიკონის გამოგზავნას. ამისთვის დიდი მადლობელი ვართ.

ბატონო დიომიდე!

მათ წერილს მიტომ გიგზავნით, მართლაც დარწმუნდეთ, შეცდომების გამო ერიდებიან ქართულად მოგწერონ. აი მათი წერილი, პირადად მოხარული ვარ უცხოელები ამდენსაც ხომ ახერხებენ. იმედია, წერილისა და წიგნების მიღებას დაგვიდასტურებთ. საერთო სალამი მაქეთურებს.

პატივისცემით, ვალოდია.

ციურიხი, 3 აპრილი 1964

დიდად პატივცემულო, ძვირფასო ბატონო დიომიდე,

სამწუხაროდ, დაგვიანებით გპასუხობთ თქვენს გრძელ წერილზე. ჩვენი ბატონი კიტას დაკარგვის შემდეგ აუარებელი საქმეები დაგვატყდა თავზე. ბატონი კიტა არა მარტო დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი იყო, ის ჩვენთვის იყო აგრეთვე საიმედო ხელმძღვანელი და ერთგული მეგობარი. ის ახლა აღარ არის, მარტო დავრჩით და მისი პატარა „ქართული წრე“ ციურიხში დაობლებულია.

ამ შემთხვევაში მეტად გაგვახარა თქვენმა ისე შორიდან მოსულმა, გულკეთილმა წერილმა. ნამდვილად ნუგეში იყო ჩვენთვის და გიძღვნით ულრმეს და გულწრფელ მადლობას. ორიოდე დღის წინათ მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი წიგნი „ქართული სიბრძნე“, პირველი ტომი. ეს გამოცემა ძალიან კარგია და ჩვენი სიხარული ძალიან დიდია. რამდენი სიყვარულით და აღტაცებით ლაპარაკობდა ბატონი კიტა საქართველოს კულტურის და ლიტერატურის შესახებ; იმდენად, რომ ჩვენ ახლა იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ არა მარტო მისი შეწყვეტილი ენათმეცნიერული შრომა გრძელდება, არამედ იმის შემდეგ აგრეთვე „heist-ის ტრადიცია“ თარგმანების დარგში.

თოთხმეტ მარტს გამოგიგზავნეთ ბ-ი კიტას მიერ გადათარგმნილი „Wisramiani“: არ ვიცი გაქვთ ეს პატარა წიგნი თუ არა. თუ სხვა წიგნები გჭირდებათ მოგვწერეთ, შევეცდებით გამოგიგზავნოთ.

მიიღეთ კიდევ ჩვენი ულრმესი მადლობა. გულითადი სალამი ყველასგან.

ამირანის გამომცემლობა

ლეა ფლური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის“ 1988 წლის წლიური სარჩევი

## მოთხრობები, რომანები, ნარკვევები

**აბაშიძე მერაბ** — მოთხრობები. № 11.
**ასკურავა დავით** — მაპვერპლი ძლუენისა ვახაკისა. მოთხრობა. № 7.
**ბეჟანიშვილი როსტომ** — ზოდიაქოს ნიშანი. მოთხრობა. № 3.
**ბოცვაძე ნანული** — და იქნა ერი. რომანი. № 5, 6, 7, 8,9, 10, 11.
**გრანინი დანიილ** — ჯერ კვალი არ გამქრალა, მოთხრობა. თარგმნა ვალენტინა ტაბიძე-შვილმა. № 11, 12.
**ისელიანი ოტია** — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. ნაწილი IV. № 1, 2, 3, 4.
**ინანიშვილი რევაზ** — ახალი წიგნიდან. მოთხრობები. № 5.
**კარპენტიერი ალეხო** — დევნა. მოთხრობა. თარგმნა ნოსო პაიჭაძემ. № 4.
**კვიცარიძე დავით** — კახიანაური. მოთხრობა. № 10.
**კოკტო ჟან** — ადამიანის ხმა. პიესა — მონოლოგი. თარგმნა მანანა მიქელაძემ, № 8.
**მაისურაძე გოგი** — შაკტუხა. მოთხრობა. № 10.
**მდივანი ნინო** — ორი მოთხრობა. № 8.
**მიშველაძე რევაზ** — ნოველები. № 5.
**მოსულიშვილი მიხო** — ძველი მთვარის ალსრული. მოთხრობა. № 4.
**რურუა ილია** — ზარდახშაში მთვლემარე ლემი. მოთხრობა, № 10.
**სამადაშვილი ზურაბ** — ივლისი მესამედ. მოთხრობა. № 12.
**სამხარაული სოლომონ** — ფრენა დილისვის გადაიდო. ნოველა. №1; გაზაფხულის მადლური დღე. მოთხრობა. № 9.
**ტალიაშვილი ირინე** — მოთხრობები. № 12.
**ფოლკნერი უილიამ** — იყო. მოთხრობა. თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. № 1.
**ქადაგიძე ნუნუ** — სინათლის ბავშვი. მოთხრობა. № 6.
**ქარჩხაძე ჯემალ** — იუპიტერის სინანული. მოთხრობა. № 2.
**შამანაძე ნოდარ** — გატეხილი სეიფი. მოთხრობა. № 11.
**ჩარკვიანი ირაკლი** — ქიგოლო. მოთხრობა. № 9.
**ჩეკურიშვილი ვალერიან** — ვალაის ბედი. მოთხრობა. №8.
**ჩხეიძე ოთარ** — გამოცხადებანი. რომანი. № 6, 7, 8, 9.
**ძველეგვიპტურიდან** — იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის თავთან. თარგმნა მანანა ნოზაძემ. № 9.
**ხერგიანი მირონ** — იმედის მეურყვანენი. ნარკვევი. № 5, 6.
**ჯავახიშვილი მიხეილ** — დამდნარი ჯაჭვი. მოთხრობა. № 12.

## ლექსები, პოემები

**აბრამიშვილი მარი** — ლექსები. № 6.
**აბუთიძემ გოჩა** — ლექსები. № 11.
**ალექსიძე მიკა** — ნოსტალგია. პოემა. № 1.
**ალხაზიშვილი გივი** — შემოდგომის ელეგიები. ლექსი. № 3; ლექსები. № 10.
**არაბული ალუდა** — ლექსები. № 7.
**არაბული ბალათერ** — ლექსები. № 10.
**ასათიანი ჯიბა** — ლექსები. № 12.
**ბარათაშვილი მარიკა** — ლექსები. № 7.
**ბაქრაძე ეკა** — ლექსები. № 1.
**ბატიაშვილი დარეჯან** — ლექსები. № 8.
**ბერიძე სოსო** — ლექსები. № 11.
**ბექიშვილი თედო** — ლექსები. № 2; 11.
**გაბროშვილი თამარ** — ლექსები. № 5.
**გაბური ალექსანდრე** — ლექსები. № 12.
**გიგაური გიორგი** — ლექსები. № 6.
**გიორგობიანი გურამ** — ლექსები. № 2.
**გოცაძე იზა** — ლექსები. № 10.
**გოჩიაშვილი ელა** — აგზნებამდე და აგზნების შემდეგ. ლექსი. № 8.
**ეკიზაშვილი გიორგი** — ლექსები. № 10.
**თვარაძე რევაზ** — ლექსები. № 10.
**თოთაძე ლალი** — ლექსები. № 9.
**კალაძე ამირან** — ლექსები. № 9.
**კერძევაძე ელდარ** — ლექსები. № 1.
**კვარაცხელია გუჩა** — ლექსები. № 11.
**კვიტაიშვილი ემზარ** — ლექსები. № 8.
**კიკოლაშვილი გელა** — ლექსები. № 4.
**კუხიანიძე ზურაბ** — ლექსები. № 3.
**ლებანიძე მურმან** — ლექსები. № 9.
**ლობჟანიძე მერაბ** — ლექსები. № 12.
**ლორთქიფანიძე ზურაბ** — ლექსები. № 6.
**მაისურაძე ოთარ** — ლექსები. № 2.
**მებურიშვილი ირმა** — ლექსი. № 7.

მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 11.
მიუსე ალფრედ დე — დეკემბრის ღამე. ლექსი. თარგმნა გივი გეგეჭკორმა. № 3.
მჭედლური დავით — ლექსები. № 9.
მჭედლიშვილი შალვა — ლექსები. № 8.
ნადირაძე კოლაუ — დიალოგები. ლექსი. № 3.
ნიჟარაძე ენვერ — ლექსები. № 8.
პეტრიაშვილი გურამ — ლექსები. № 2.
სარიშვილი გიგლა — ლექსები. № 4.
სტურუა ლია — ლექსები. № 4.
სულაბერიძე ლადო — ლოდები. პოემა. — მონოლოგი. № 4,5.
სულაკაური არჩილ — მე და შენ. ლექსი. № 11.
სულაკაური გიგი — მეტამერული სხეულები. ლექსი. № 5.
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები. № 10.
ფხოველი ჯარჯი — ლექსები. № 6.
ფროსტი რობერტ — არყის ხეები. ლექსი, თარგმნა ლია ჯაყელმა. № 10.
ქუთათელაძე ნინო — ლექსები. № 5.
შალამბერიძე ოთარ — ლექსები. № 4.
შალვაშვილი ბელა — ლექსები. № 6.
შალვაშვილი მერი — ლექსები. № 3.
ჩხენკელი თამაზ — ლექსები. № 1,9.
ცეცხლაძე მამუკა — ლექსები. № 11.
ციგროშვილი ირაკლი — ლექსები. № 5.
ჭილაძე თამაზ — ლექსები. № 8.
ხარანაული ბესიკ — შუადღის წიგნიდან. ლექსი. № 7; აგონიუსი. ლექსი. № 12.
ხარჩილავა ვახტანგ — ლექსები. № 3.
ხმალაძე მარინა — ლექსები. № 7.
ჯამბაზიშვილი ნიკა — ლექსები. № 6.
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 7.
ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები. № 7.
ჯაჴუა იმედი — ლექსები. № 12.
ჯონუა ალექსი — ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა. № 3.
ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები. № 7.

### 70 — უნივერსიტეტი — 70

ლეკიშვილი სოლომონ — ილია ჭავჭავაძე — ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე. № 10.

### 60 — ნოდარ დუმბაძე — 60

ვარდოსანიძე ნუგზარ — ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა გმირები. № 7.
მალაზონია ნოდარ — სასაცილო ამბავი. № 7.

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აბდალაძე ალექსანდრე — მიკერძოების სენი ანუ მძვინვარებს. № 9.
**ავალიანი ლალი** — გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა. № 10.
**არველაძე ბონდო** — [illegible]ლი მიჯნური. № 9.
**არჩვაძე ლია** — ოტია პაჭკორია. № 1; სიპეტაკისადმი თოვლის ერთგულება. № 5; საკუთარი გზის ძიება. № 12.
**ბენაშვილი გურამ** — მწერლის ამაყი კეთილშობილი სილუეტი. № 2.
**ბექიშვილი თედო** — ლიმილიანი გულგახსნილი. № 1.
**ბიბილური თამაზ** — „ნატვრის ხე" — რომანი. № 2.
**გაჩეჩილია აკაკი** — მონოლოგი დიალოგიდან. № 7.
**გეგეშიძე გურამ** — მონოლოგი დიალოგიდან. № 9.
**გოგია ზაზა** — კრიტიკოსი და ლიტერატურის პრობლემები. № 3.
**იაშვილი ნიკო** — ნიადაგი (მიწა) და ადამიანი. № 1.
**იმედაშვილი კობა** — სისხლიანი დღეების მატიანე, № 11.
**კანკავა გურამ** — როცა ჟანრი არასრულყოფილია. № 4; „სიზმარეული მესხეთი ჩემი". № 7.
**კვიტაიშვილი ემზარ** — აკაკის მეტაფორა. № 2, 3, 4.
**კუკულია მიხეილ** — ვასამართლოთ სამართალი. № 7.
**მარგველაშვილი გიორგი** — ორი ფრაგმენტი. № 1.
**მერკვილაძე გიორგი** — რამდენიმე მოგონება სერგო კლდიაშვილზე. № 8.
**მუზაშვილი ნუგზარ** — „გადაარჩინეთ ჩვენი სულები!" № 4.
**ნატროშვილი თამაზ** — ახალი სული ჩაუდგა. № 6.
**სიხარულიძე ზაზა** — სიტყვა „ბრინჯაოზე უფრო დროგამძლე". № 11.
**სულაბერიძე ლადო** — წუთისოფელს კაცად შემორჩა ბოლომდე. № 6.
**ტუხაშვილი ლოვარდ** — ეროვნული პრობლემის მხატვრული კონცეფცია. № 3; „ვერ დამადუმონ". № 12.
**ქარჩხაძე ჯემალ** — მონოლოგი დიალოგიდან. № 8.
**ქირია ჯემალ** — ალმანახ „განთიადის", 1987 წლის პროზა. № 5.
**ჭილაძე ოთარ** — მონოლოგი დიალოგიდან. № 11.
**ჭოლოკავა ნოდარ** — გიორგი ჯიბლაძე. № 8.
**ჯაველიძე ელიზბარ** — ქართული მოთხრობის ხვალინდელი დღე უფრო ნათელი იქნება. № 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული



## მეცნიერება

**ახუაშვილი იკობი** — ეთნიკური პროცესები გარისის მიწაზე. № 6.

**ბარამიძე რევაზ** — „ქამთაალმწერლობა ჰეშმარიტისმეტყველება არს და არა თუალახმა ვისმე“. № 9.

**ბერძენიშვილი დევი** — აგარანის საკითხისათვის. № 2.

**გიგინეიშვილი ბაქარ** — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონოლოგია. № 8.

**გოილაძე ვახტანგ** — ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. № 3; ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი. № 10.

**ინაძე მერი** — ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის. № 10.

**კიკნაძე ზურაბ** — „წარმართობა“ თუ ქრისტიანობა? № 4.

**მაისურაძე გურამ** — დინარ დედოფლის ნეტრი კვალზე. № 4.

**მიჩბუანი თეიმურაზ** — სანიგთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. № 6.

**მჭედლიშვილი ბაადურ** — მცხეთის ჯვარპატიოსანი. № 3; წრომის ტაძარი. № 11.

**ნორაკიძე ვლ.** — ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში. № 7.

**რეიფილდი დონალდ** — დენდრონიმები და კავკასიურ ენათა ურთიერთობა. № 9.

**ფოცხიშვილი ალ.** — საიათნოვა. — ლეგენდები და სინამდვილე. № 7.

**ქერქაძე მაია** — ნათლის ესთეტიკისათვის ქართულ საისტორიო მწერლობაში. № 4.

**ჩხარტიშვილი მარინე** — „წიგნი პირველი“. № 5.

**ციხესაშვილი მათე** — საქართველოსა და ეჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან მე-10 საუკუნემდე. № 9.

**ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ.** — ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები. № 2.

**ჯაფარიძე გოჩა** — ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში. № 6.

## საზღვარგარეთის ლიტერატურა

**კამიუ ალბერ** — ნუშის ხეები. თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა. № 7.

**მიხაილიდი — ლორთქიფანიძე ს.** — ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი აფრიკის კონტინენტზე. № 8.

## მოგონებები, ფაქტები

**ბეთანელი ჯემალ** — განც[illegible]ნილი. № 8.

**გაბუნია ლეო** — ელენე ბებია. № 7.

**დურმიშიძე სერგი** — დაფერფლილი გული. № 10.

**ინგოროყვა პავლე** — წერილები. № 11.

**ლომთათიძე გიორგი** — ექსპედიცია ხვამლის ქვაბულებში. № 1.

**ჩხენკელი კიტა** — წერილები. № 12.

**წერეთელი მიხაკო** — ბარათები მეუღლისადმი. № 5.

**ხელაია ამბროსი** — „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“. № 10.

**ხიდაშელი შალვა** — საბჭოთა არმიის ოფიცრის ჩანაწერები. № 3, 4, 5, 6.

## წიგნების მიმოხილვა

**ბართაია ნომად** — ხაყნის ახალი თარგმანები. № 10.

**გასიტაშვილი გურამ** — ისტორიულ-ეთნიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი. № 8.

**გოგოჭური დავით** — კარგი შენაძენი. № 4.

**თაქვარელია ლია** — საყურადღებო გამოკვლევა. № 7.

**კიკნაძე ზურაბ** — წიგნი თუშეთზე. № 5.

**მახაური ტრისტან** — აფხაზი ხალხის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან — „აბითარა“. № 1.

**ნადირაძე ელდარ** — ნაშრომი სამეურნეო ცხოვრებაზე. № 1.

**პაპიაშვილი ავთანდილ** — ერი და ეროვნული თვითცნობიერება. № 11.

**ფეიქრიშვილი ილია** — „შემოქმედებას სიახლე უყვარს“. № 3.

**ფრუიძე ლევან** — კარგი წიგნი მივიწყებულ თემაზე. № 9.

**ქუმსიშვილი დიმიტრი** — ძეგლი დავით აღმაშენებლისა. № 5.

**ცანავა აპოლონ** — „განგებამ გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი“. № 2; დიდი ქორქუთის ეპოსი ქართულ ენაზე. № 8.

**ხუციშვილი სოლომონ** — „სახე დიდი ქართველისა“. № 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 95-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20. X. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. XII. 88 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58. უე 09484. ტირაჟი 30.000. შეკ. 2657. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ